

1162/
2002/2



ისტორიულ- კთლობრაციული პირანი

IV



თაღილიდ
2002



საქართველოს მთავრობასთა აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ისტორიულ- ეთნოგრაფიული პირანი



IV

თავისუფალი
2002

წერილობითი წყაროების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ტოპონიმიკური, ონომასტიკური და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე კრებულში მონაწილე ავტორთა მიერ გამოკვლეულია საქართველოსა და კავკასიის ისტორიის დღემდე შეუსწავლელი უმნიშვნელოვანები საკითხები, ყოფისა და ტრადიციების თავისებურებანი. გამოცემული სამი კრებულის ანალოგიურად რიგით მეოთხე ეს ტომიც განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხებით დაინტერესებელი მეცნიერებებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერიან ითონიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ჯემალ სტეფაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნელი ბრეგაძე

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიკანე“

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილი,
 ანა რუაძე

გამოცემულია ავტორთა ხარჯით

სერიული გამოცემა – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“ დაარსდა ვახტანგ ითონიშვილის ინიციატივით, მაგრამ ის მხოლოდ | ტომის გამოცემას მოესწრო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სოციალურ ურთიერთობათა შესწავლის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა რეკომენდაციით კრებულის რედაქტორობა მე დამევალა.

კრებულის | ტომი გამოიცა 2000 წლის პირველ ნახევარში. მასში მოთავსებულია 16 სტატია (1. ვალერიან ითონიშვილი, თედო სახოკიას ღვანლი ქართულ ეთნოგრაფიაში; 2. ნანული აბესაძე, საქართველოს ქალაქებში მიმდინარე ეთნიკური პროცესების თავისებურებანი; 3. დავით პავლიაშვილი, მებალეობის საკითხი ვეფხისტყაოსანში; 4. გურამ გეგეტკორი, საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი სახეობა საქართველოში – ფაცხა, 5. გულნარა ცეცხლაძე, ოჯახის სტრუქტურა იმერეთში; 6. ნათელა კაპანაძე, ბავშვის აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულებანი რაჭაში (ეთნოგრაფიული მასალების მიმოხილვა); 7. ოლეგ მგელაძე, ქართულ-ვაინახური ეთნიკური და ყოფითი ურთიერთობის ისტორიიდან; 8. ვახტანგ ითონიშვილი, ღვალთა მიგრაციის საკითხისათვის; 9. თამარ შარაპიძე, საქორნინო ურთიერთობის ისტორიიდან უდიებში; 10. მარიამ ილურიძე, მემინდვრეობის ისტორიიდან – სოფელი მარტყოფი; 11. ხათუნა იოსელიანი, სტუმრის მიღების წესი სვანეში; 12. ირმა კვაშილავა, სამურზაყანოს ისტორიული ადგილები; 13. დავით ჭითანავა, დასახლების ფორმა სოფელ ყულიშვარში; 14. არჩილ კოხერეიძე, ოღონდ განძეული გადარჩენილიყო (ეპიზოდი ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან); 15 მიხეილ მიქელაძე, მიქელაძეთა საგვარეულოს მოკლე ისტორია; 16. მიხეილ ლაბაძე, კოლხები აძიუბუადან).

საქართველოს
მინისტრის
მინისტრობა
ეროვნული უნივერსიტეტი
პირველი კავშირი



2000 წლის მეორე ნახევარში გამოქვეყნდა კრებულითა და ტომი, რომელშიც კვლავ 16 ნაშრომი დაიბეჭდა (1. ვალერიან ითონიშვილი, სჯულისკანონთა მონაცემები ქართველი ხალხის ტრადიციებისა და სულიერი კულტურის შესწავლისათვის; 2. ნანული აბესაძე, ეთნიკური პროცესები ქ. ქუთაისში; 3. გურამ გეგეჩკორი, ჯარგვალი; 4. ვახტანგ ითონიშვილი, „კავკასიანთა“ ეთნიკური ვინაობისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხისათვის; 5. ოლეგ მელაძე, „დურძუების“ ლოკალიზაციის საკითხისათვის; 6. თამარ შარაბიძე, ქართველი ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში (პრესის მონაცემების მიხედვით); 7. გულნარა ცეცხლაძე, რამდენიმე საბუთი იმერეთის მოსახლეობის საოჯახო ყოფის შესწავლისათვის; 8. მარიამ ილურიძე, ზედაშე – „ბუდობის“ ერთი სიმბოლო სოფელ მარტყოფში; 9. ხათუნა იოსელიანი, ქცევის ნორმები სვანური „ჩვეულებითი მართლიერების“ აღსრულებისათვის; 10. ირმა კვაშილავა, სამურზაყანოს მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა; 11. დავით ჭითანავა, სოფელ ყულიშვარის მხედეთა სათავადო; 12 ხათუნა იოსელიანი, სვანი ებრაელები?; 13. რუსუდან იოსელიანი, ქართული ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი (რეცენზია წიგნზე – სვანური ლექსიკონი); 15 მიხეილ ლაპაძე, სამაგიდო წიგნი საქართველოსა და ქართველების შესახებ (რეცენზია გ. გაბესკირიას წიგნზე – „სადაც ქართველი გადაწყდება“, 1999 წ., რედაქტორი ვახტანგ ითონიშვილი); 16. ნანა გოგიძერიძე, „ყოველი საქართველო“ ყოველთა ქართველთათვის (რეცენზია ვახტანგ ითონიშვილის მიერ შექმნილ პლაკატზე – „ყოველი საქართველო“, 2000 წ.)

კრებულის III ტომი მიეცდვნა ვახტანგ ითონიშვილის ნათელ ხსოვნას. მას წინ უძლვის წერილი ვახტანგ ითონიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რაც გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახე-

ლობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის სექტორისა და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ეთნოგრაფიის კათედრის სახელით. კრებულში დაბეჭდილია 21 ნაშრომი (1. ვახტანგ ითონიშვილი, სტრაპონის „გეოგრაფიის“ ერთი ცნობის სწორი გაგებისათვის; 2. ვახტანგ ითონიშვილი, ტერმინ „ბარბაროსის“ ნარმომავლობისათვის; 3. ვალერიან ითონიშვილი, ბექასა და ალბულას სამართალი, როგორც ეთნოგრაფიული კვლევის წყარო, 4. ნანული აბესაძე, ეთნიკური პროცესები ქალაქ გორში; 5. ლევან ფრუბაძე, ხალხური ცოდნა-გამოცდილება და საქართველოს ეკოლოგიის პრობლემები; 6. ხათუნა იოსელიანი, სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართველურ ენებში; 7. დავით პავლიაშვილი, მევენახეობა-მეღვინეობა ატენის ხეობაში; 8. გურამ გეგეტკორი, პიტაფიცარა სახლი – ადრეული ფორმები; 9. ნაილი ჩელებაძე, მზითვის ინსტიტუტის რაობისათვის (აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით); 10. ნათელა კაპანაძე, ალზრდის ხალხური წესები სვანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიმოხილვა); 11. თამარ შარაბიძე, ქალთა სალოცავების იდუმალება საქართველოში; 12. გიორგი ლუდუშაური, ხევსურეთის სოციალურ-ეკონომიკური წყობის საკითხისათვის XVIII-XIX საუკუნეებში; 13. გიორგი ლუდუშაური, მწყემსობის ორგანიზაცია ხევის მეცხვარეობაში; 14. გულნარა ცეცხლაძე, ელუარდ აიპვალდის ცნობები საქართველოს შესახებ; 15. მარიამ ილურიძე, ხელოვნური დანათესავების ფორმები გარე კახეთის მოსახლეობაში (სოფელ მარტყოფის მაგალითზე); 16. დალი გიორგაძე, ძველი რელიგიური რწმენის ერთი საკითხი თუშეთში (სულის სახელი); 17. ნანა ომარაშვილი, ხუნძები (ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიისათვის); 18. ირმა კვაშილავა, სამურზაყანოს სამეურნეო ყოფა XIX-XX საუკუნეებში; 19. დავით ჭითანავა, აგრარულ კულტთან დაკავშირებული ერთი რიტუალის შესა-

ხებ სამეგრელოში („ძივავა”); 20. ია გვარმიანი, სოციალური წოდებები სვანეთში; 21. ზამირა ქირია, ცხინვალის მრეწველობა 1921-1940 წლებში).

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ კრებულის მეოთხე ტომს, რომელშიაც მონაწილეობენ როგორც სოციალურ ურთიერთობათა ეთნოლოგიური შესწავლის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლები, ისე სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ვფიქრობთ, რომ წინა გამოცემებთან ერთად ეს კრებულიც მკითხველს საინტერესო გამოკვლევებს გააცნობს. სამომავლოდ ვგეგმავთ მორიგი ტომის მომზადებას, რომელში მონაწილეობაც შეზღუდული არ არის.

ვალერიან ითონიშვილი

ვახტანგ ითონიშვილის გახსენება

ორი წელია, რაც ვახტანგი აღარ არის. სრულიად ახალგაზრდა 42 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან. ნაპერწყალივით ვაიღელვა თითქოს.

საოცრად პრინციპული, პირდაპირი და მიზანმიმართული პიროვნება იყო. მტკიცე წებისყოფის, ენერგიული, მღვრიეტალდებს რომ მიაპობდა და სიცოცხლის დაუოკებელი სურვილით აღსავსე დრო და სივრცე არ ეყო თავისი ნაღვანის სრულად ნარმოჩენისათვის.

ვახტანგ ითონიშვილი მხოლოდ მოვლენას შეიძლება შევადარო, რადგან ნამდვილი მოვლენა იყო მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც, ნიჭით და გონებით გამორჩეული, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში რომ მიიქცია ყურადღება. ინსტიტუტში 1983 წელს მოვიდა. უკვე ჩამოყალიბებული მკვლევარი, გამოკვეთილი მეცნიერული ალლოთი და მიმართულებით. მაღვევე დაიცვა საკანდიდატო დისერტაციაც. ყველა აახმაურა, მოხიბლული იყვნენ მისი სითამამით, ნიჭით, გაძედულებით, ენერგიით. ძირითადად ეთნოსოციალური ისტორიის, ეთნიკური ნომენკლატურის, ისტორიული გეოგრაფიის, მოსახლეობის მიგრაციული პროცესებისა და დინამიკის პრობლემებით იყო დაინტერესებული. იგი ადრე შეუდგა ჭეშმატირების ძიების ურთულეს გზას და მისი დიდი ნაწილი ერთი სულის ამოსუნთქვასავით განვლო. უმოკლეს დროში მოასწრო თავისი სიტყვის თქმა, მოასწრო ისე ლალად და თავისუფლად, როგორც ეს მხოლოდ გამოჩენილ ადამიანებს შეუძლიათ.

მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც მიკერძოების განსაკუთრებული გრძნობა ამოძრავებთ, თუნდაც გამონაკლის შემთხვევაში, მაგრამ ვახტანგ ითონიშვილის ფენომენი ჩემთვის გამონაკლისზე მეტია და მიუხედავად იმისა, რომ სათქმელი ბევრი მაქს, მის შემოქმედებაზე, მაინც მიჭირს საუბარი, მიჭირს იმდენად, რამდენადაც რთული, მრავა-



ლწახნაგოვანი და მრავალფეროვანია ეს შემოქმედება. იგი სა-
განგებო შესწავლასა და განხილვას მოითხოვს, ყველაფერს: უშუალო
კი მომავლის საქმეა. ამჯერად დარწმუნებით შემიძლია
ვთქვა, რომ ვახტანგ ითონიშვილი წუთისოფლიდან უდროოდ
წასული უნიჭიერესი მეცნიერი და ღირსეული მოქალაქე იყო.
ის ჩემს მეხსიერებაში დარჩა ნათელ პიროვნებად, ისეთად,
როგორებიც ინგლისელი მწერლის ჯენ ბრეინის გმირები „თა-
ვისუფალი თაობის ადამიანები იყვნენ“, ეპოქის დინებას რომ
შინაგანად აღელვებულნი, აფორიაქებულები მიჰყვებოდნენ
და მოვლენათა მიმართ საკუთარი უკომპირომისო მრწამსი გა-
აჩნდათ. სწორედ ასეთი ნოვატორული სულის, ჭეშმარიტების
თავისებური მეცვლე იყო ვახტანგი. წარსულის მატიანეს რომ
დღენიადაგ ჩაჰური კურიტებდა და თავის სათქმელს მკაფიოდ,
გამჭვირვალედ გამოხატავდა. დღეს ეს სათქმელი ვინმეს შე-
იძლება ძალიან ხმამაღლად, საკამათო აზრიად, ზოგ შემთხვე-
ვაში მიუღებლადაც კი მოეჩვენოს, რაც სრულიად დასაშვებია
მეცნიერებაში, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი, მთავარი
ისაა, თუ რა დიდი ძალა დაკარგა ქართულმა მეცნიერებამ მი-
სი სახით - ვახტანგ ითონიშვილის სახით.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ვახტანგი ჩქარობდა, ჩქა-
რობდა ისე როგორც ყველა ნიჭიერი, შემოქმედი ადამიანი.
იქნებ იმიტომ რომ ბედისწერისთვის უნდოდა დაესწრო? და-
ასწრო კიდეც - ბრმა, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა,
ისეთმა შემთხვევამ, ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო დროს შექმნი-
ლი „გაუსაძლისობით“ რომ აიხსნება მხოლოდ; თითქოსდა სა-
ვანგებოდ იყო ყველაფერი მოწყობილი. მომავლის გზაზე
მტკუცედ მდგარი, სულით ამაღლებული, პატრიოტი კაცი,
ერთმა ბნელმა ღამემ სამუდამოდ ჩაიკრა გულში.

ჩქარობდაო ვამბობ, მაგრამ რაოდენ საცნაურია ის ფაქ-
ტი, რომ ესოდენ ნიჭიერ, არაჩვეულებრივად პროდუქტიულ
მკვლევარს, რომელსაც უკვე არაერთი სერიოზული ნაშრომი
ჰქონდა გამოქვეყნებული, სადოქტორო დისერტაციის დაცვა



არ ეჩქარებოდა. წერდა ბევრს: წიგნებს, სტატიებს, გამოხმაულებებს, კითხულობდა ლექციებს, ესწრებოდა სხვადაშვილის იფიციალურ შეხვედრებს, გამოღიოდა სიტყვით. საჯაროდ, ტელევიზიით, პრესით, იყო არაერთი შესანიშნავი წამოწების ავტორი და ინიციატორი, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ეთნოლოგთა ასოციაციას, გამოსცემდა, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კალენდარს, ქართულ-კავკასიურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პლაკატს (ამ მხრივ იგი პირველი იყო ისტორიკოსთა შორის), ყავდა შესანიშნავი ოჯახი, იყო ორი შვილის მამა და ა. შ. აი, ყველაფერი ის, რაც ამ ერთი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებამ დაიტია. დაიტია კი? რამდენი რამ დარჩა გასაკეთებელი. გამოსაცემად მომზადებული შრომები, ჩანაფიქრები, ჩანაწერები. მისი თვისებებიდან მე მაინც რამდენიმეს გამოვყოფი: თავდაუზოგავი შრომის უნარი, არაჩეულებრივი მიზანსწრაფვა, ნიჭიერება. მთავარი კი რაც მან, ჩემის აზრით, როგორც ისტორიკოსმა და ეთნოლოგმა შესძლო, ეს არის ეთნიკური ისტორიის კვლევაში ახალი ეტაპის დამკვიდრება, ეთნონომენკლატურის სოციალური ანალიზი, რითაც მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში, ქართველოლოგიაში, კავკასიონლოგიაში, ზოგადად კულტუროლოგიაში. ვახტანგი სულითხორცამდე ეროვნული მეცნიერი იყო. არასოდეს ლალატობდა ისტორიზმის პრინციპს და არ იყო ცალსახად გატაცებული ფსევდოპატრიოტიზმით ან რომელიმე ეთნოლოგიური ფაქტის მხოლოდ აღნერილობით, იგი უწინარეს ყოფლისა იმ მოვლენათა არსში წვდომით იყო დაინტერესებული, რომელზეც ასეთ ფაქტებს ქმნიან. ამიტომაც მისთვის შედეგზე უფრო მთავარი მიზეზი იყო. ამ პრინციპით შექმნა მან ყველა ნაშრომი, რომელთა ჩამოთვლასაც აქ არ შევუდგები. ჭეშმარიტება ერთია - ეს ნაშრომები ღირსეულ ადგილს დაიჭერენ ეროვნულ სამეცნიერო მემკვიდრეობაში. ვახტანგ ითონიშვილის მიერ ქართულ მეცნიერებაში განვლილი გზა კი წარუშმლელ კვალად

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ვახტანგ ითონიშვილის ავტორობით ახლახანს (2002 წ.) გამოცემულ წიგნზე „ნარკვენები კავკასიის ისტორიიდან“. ვფიქრობ ეს არის ნაშრომი, რომელშიც არაჩვეულებრივი სიცხადით არის გამოვლენილი კავკასიის, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერის მნიშვნელობა. მასში სრულიად ახლებური მიდგომით და ფაქტობრივი მასალის სიუხვით არის ნარმოჩენილი კავკასიისა და „კავკასიელების“ გენეზისისა და სემანტიკური გრადაციის პრობლემები, ცენტრალური კავკასიის რეგიონის ეთნიკური გეოგრაფია (ძვ. წ. აღ. I და ახ. წ. აღ. VII საუკუნეებზე დაყრდნობით), განხილულია უძველესი კავკასიური ეთნონიმის „ჰონთა“ ლოკალიზაცის საკითხები, ოსთა მოკლე ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება, მათი ეთნოეკოლუცია და მორფოლოგია, ე. წ. „ოსიანობა“ და მისი შედეგები, რაც სრულიად ახალი მეცნიერული ინტერპრეტაციით არის ნარმოდგენილი. ამ წიგნის გამოცემას სხვა დატვირთვაც აქვს. საქმე იმაშია, რომ კავკასიის ხალხთა ისტორიაში, როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი, სპეციალური სახელმძღვანელო არ არსებობს. არის მხოლოდ მცირეოდენი გამონაკლისები, ისეთი ნაშრომები, რომლებიც ნანილობრივ თუ ავსებენ ამ ხარვეზს. მნირია ფართო საცნობარო ლიტერატურაც, მოძველებულია მეთოდიკა და ა. შ. ამდენად, საისტორიო მეცნიერების ეს ერთ-ერთი კარდინალური დარგი - „კავკასიათმცოდნეობა“, რომელიც დღეს განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, კრიზისულ მდგომარეობაშია. სავსებით ნათელია ის მიზეზებიც, რომლებმაც იგი აქამდე მიიყვანა. ჯერ ერთი საბჭოურ პერიოდში დამკვიდრებული პოსტიმპერიული ტენდენციურობის გამო, შეუძლებელი იყო საქართველოში ასეთი სახელმძღვანელოს (საერთოდ ასეთი ტიპის ნაშრომის) გამოცემა. მეორეც რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნებში მცირე



ერების მიმართ გარკვეული „დამცირება“ და ტენდენციურობა იყრძნობოდა. ყველაფერი ეს აშკარად თუ არა შენიღბულებისა ფორმებით მაინც საგანგებო დაკვეთის ხასიათს ატარებდა; ამ საქმეს „ნაროდი მირას“ რუბრიკით გამოცემულმა „ნაროდი კავკაზას“ გამოცემაც (1961-1967) ვერ უშველა. წლების მანძილზე შექმნილი „აისპერგი“ არ იმსხვრეოდა.

ამდენად, ყოველივე ზეიმოთალნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ნიგნის გამოცემა ჩვენში „კავკასიათმცოდნეობის“ დარგში, უთუოდ დიდი და აღსანიშნავი მოვლენაა. იგი თავისებური წვლილის შეტანაა დასმული პრობლემის გადაჭრაში. თუ რამდენად ეხმიანება მას ვახტანგ ითონიშვილის ნიგნი, ამაში ნაშრომის გაცნობისას დარწმუნდებით.

კიდევ ერთი ვახტანგის ბოლო წლების პუბლიკაციასთან დაკავშირებით!

2002 წელს დაისტამპა უნიკალური ნიგნი - ალბომი „საქართველო“, რომელიც უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, არაჩვეულებრივი შრიფტით და ფერადი ილუსტრაციებით, დოკუმენტური მასალის ჩართვით. ნიგნი ინგლისურ ენაზეა დაწერილი და მისი ავტორია ცნობილი ქართველი ბიზნესმენი, მეცენატი და მოღვაწე გ. გაბესკირია. ეს არის შემოკლებული ვარიანტი საქართველოს ისტორიისა, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნოლოგიური და კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ნიგნის შექმნაში ლომის ნილი მიუძღვის მის რეაქტორს ვახტანგ ითონიშვილს. ეს ფაქტი მასში სათანადოდა აღნიშნული. ავტორი მადლობას უხდის ვახტანგ ითონიშვილს და მსოფლიოს აცნობს მის მოკლე მეცნიერულ ბიოგრაფიას. ვფიქრობ ეს ფაქტიც ძალიან ბერ რამეზე მეტყველებს.

და ბოლოს, ეს წერილი, მოგონება მე ვახტანგის ურთიერთობიდან ერთი ეპიზოდის გახსენებით მინდა დავასრულო. რამდენიმე წლის წინ, სოციალური ურთიერთობის ეთნოგრა-

ფიული შესწავლის განყოფილებაში (რომელიც მაშინ ახლად /
შექმნილი იყო და ვახტანგიც ახალი მოსული გახლდათ) უკრაინა
ერთ სემინარზე ახალგაზრდა დამწყებმა ეთნოგრაფმა, თანა-
მედროვე ევროპელი მეცნიერის ნაშრომის შესახებ წაიკითხა
მოხსენება - ინფორმაციული ხასიათისა, იგი ეხებოდა სახვნე-
ლი იარაღების კლასიფიკაციას. მომხსენებელმა ეს კლასიფი-
კაცია სანიმუშო მოდელად მიიჩნია და ისაუბრა ისე, რომ გიო-
რგი ჩიტაიასეულ კლასიფიკაციას არ შეხებია. მახსოვს ჩემს
პროტესტს და კრიტიკულ შენიშვნებს ამის გამო, აქტიურად
დაუჭირა მხარი ვახტანგ ითონიშვილმა. მან საგანგებოდ გა-
მოკვეთა გ. ჩიტაიას როლი ქართული სახვნელი იარაღების შე-
სწავლაში და ხაზი გაუსვა მისეული კლასიფიკაციის უპირა-
ტესობას ევროპულთან მიმართებაში. ეს იყო უკომპრომისო
გამოსვლა, პრინციპული და შეურიგებელი (იგი არ მოერიდა
ამით მეგობრის განაწყენებასაც კი). ასეთი პრინციპული დარ-
ჩა ვახტანგი სიცოცხლის ბოლომდე.

P.S.

მინაწერი: როცა ვახტანგს კრძალავდნენ, მთხოვეს ორი-
ოდე სიტყვა მეთქვა გამოსამშვიდობებელი. იმდენად ვიყავი
დათრგუნული, რომ ვერ შევძელი. ხმა ვერ ამოვიდე. ახლა ვამ-
ბობ ამ სიტყვებს, ვამბობ დაგვიანებით, მაგრამ იმედი მაქვს
მისი სულისაგან მიტევებისა.

გიორგი გოცირიძე
16. XI 2002.

თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ვახტანგ ითონიშვილმა მრავალი მაღალხარისხოვანი გამოკვლევა შექმნა, რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნდა სამეცნიერო კრებულებში და უურნალ-გაზეთებში. მისივე შემოქმედების ნაყოფია თანამედროვე აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი პოლიტოლოგიური წერილები, მხატვრულად გაფორმებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული შინაარსის კალენდრები და განსაკუთრებით ფასეული პლაკატები. მათ შორის აღსანიშნავია „კავკასიური სამყარო”, რომელიც ილუსტრირებულია კავკასიის ეთნიკური და კონფესიური რუკებით, ეროვნულსა და კუთხურ ტანსაცმელში გამოწყობილი ტიპებით, კავკასიის მოსახლეობის ანთროპოტიპებით, მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლებით და ენათა ოჯახების კლასიფიკაციით. მეორე პლაკატი „ყოველი საქართველო“ ორ ვარიანტად გამოქვეყნდა. პირველ მათგანში ნაჩვენებია 1) ერთიანი დიდი საქართველოს გენერალური ისტორიულ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციული-ტერიტორიული დარაიონება, 2) ეთნოგრაფიული საქართველო ანინდელ შეკვეცილ საზღვრებში, 3) თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 4) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ოპტიმალური ვარიანტი. აქვე გამოსახულია სხვადასხვა ეპოქის ქართული გერბები შესაბამისი განმარტებებით. „ყოველი საქართველო“-ს მეორე ვარიანტში გამოსახულია 1) ისტორიული საქართველოს რუკა ძირითადი ტერიტორიული დანაყოფებისა და მათი გერბების სრული ჩვენებით, 2) სამეფო და საგვარეულო გერბები, 3) ქართველი ტიპები ტრადიციული კუთხური ჩაცმულობით, 4) ქართული გვარების მანარმოებელ ძირითად ფორმანტთა

აღნიშნულთან ერთად ვახტანგ ითონიშვილმა გარდა-
ცვალებამდე გამოაქვეყნა 5 მონოგრაფია: 1. არაგვის ხეობა, 1986 წ., 2. არაგვი და არაგველები, 1989 წ., 3. ქართველი ხალ-
ხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში, 1990 წ., 4. აღმოსა-
ვლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1992 წ., 5. ქარ-
თულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, 1995 წ.

დამთავრებული შრომების უმრავლესობა ავტორს გამო-
უქვეყნებელი დარჩა, რომელთა გამოცემა დაიწყო მისი გარ-
დაცვალების შემდეგ. რამდენიმე გამოკვლევა უკვე დაიბეჭდა
კრებულში - „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძებანი“ და უურ-
ნალებში: „მნათობში“, „ხატაურში“ და „წელიწლებულში (საკე-
აფ) - 2000“ (ამ უკანასკნელში „ქართველთა ეთნოციდი“ ქარ-
თულად და ინგლისურად). სტატიების დიდი ნაწილი ნარდგე-
ნილია დასახელებულ უურნალებში, ნაწილიც მომზადებულია
დასაბეჭდად.

სტატიების პუბლიკაციების პარალელურად მიმდინარე-
ობს გამოუქვეყნებელი წიგნების გამოცემა. ჯერჯერობით გა-
მოიცა 3 წიგნი:

I. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეო-
ბის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში, თბი-
ლისი, 2001 წ.

ქართული სამართლის ძეგლების, ისტორიული დოკუმე-
ნტების, ეთნოგრაფიული, ფილკლორული, ტოპონიმიკური,
ონომასტიკური მონაცემების და სპეციალური ლიტერატურის
კრიტიკული ანალიზის მეშვეობით მონოგრაფიაში შესწავლი-
ლია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის
სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში, ტრადიციუ-

ლი ყოფის იერსახე მასში გაჩენილი ანომალიებით, სამართლებულების წევნების წიგნების (გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება”, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების „განჩინება”) შექმნის მიზეზები, მნიშვნელობა და მოქმედების ტერიტორია. ვახტანგ ითონიშვილის ეს მონოგრაფია ყველაზე უფრო სრულფასოვანი გამოკვლევაა ამ საკითხე არსებულ შრომებს შორის. მისი ესოდენ დიდი სამეცნიერო ღირებულების განმსაზღვრელია ყველა სახის ნყაროების ღრმა ცოდნა და მისი საფუძვლიანი ანალიზი.

II. დვალეთის ისტორიის საკითხები მრუდე სარკეში, თბილისი, 2002 წ.

დვალებისა და დვალეთის შესწავლას მიეძლვნა ვახტანგ ითონიშვილის სადოქტორო დისერტაცია, რომლის დაცვა ვერ შედგა ავტორის მოულოდნელი გადრაცვალების გამო. ამ მონოგრაფიის ზოგიერთი ნაწილი გამოქვეყნებულია. რაც შეება ზემოხსენებულ ნაშრომს, იგი ეხება დვალეთის ისტორიის გაბუნდოვანებულ საკითხებს, რომელთა კრიტიკულ შეფასებასთან ერთად მოცემულია მრვალი მათგანის მეცნიერული ინტერპრეტაცია და ობიექტური კვალიფიკაცია.

III. ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, 2002 წ.

ნერილობითი ნყაროების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ტოპონიმიკური, ონომასტიკური და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გაშუქებულია დღემდე შეუსწავლები საკითხები ცენტრალური კავკასიის ხალხთა ისტორიიდან. მრავალნლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შექმნილ პირველხარისხოვან გამოკლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის მტკიცნეულ პრობლემებს, სა-

ხელდობრ, რუსეთის იმპერიის თანადგომით წარმოშობილი აქცეულური მარკი და საქართველოს კურთა თიანი სახელმწიფო ბრიობის დამანგრეველ შედეგებს. წიგნი განეცა თავისი როგორც სპეციალისტებისა და სტუდენტების სათვის, ისე კავკასიის ისტორიისა და თანამედროვე ვითარებაში მკითხველთა ფართო მასის გაცნობიერებისათვის.

სამომავლოდ გათვალისწინებულია ვახტანგ ითონიშვილის სხვა წიგნებისა და სტატიების გამოქვეყნება, რაც საგრძნობლად გაამდიდრებს ქართულ საისტორიო მეცნიერებას.

ხათუნა იოსელიანი

ლეონტი მროველის ცხობები საქართველოს მთიანეთისა და მისი გადასასვლელების გასახელ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიონის მთავარი ქედი საქართველოს დამცავ ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანნილად მის უსაფრთხოებას განაპირობებდა, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ქედის სახით არსებული სიმაგრე გადაულახავი ბარიერის როლს ვერ ასრულებდა. ამის საფუძველს ქმნიდა კავკასიონის ქედის მთელ სიგრძეზე არსებული და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან დამკავშირებელი „კარნი კავკასიანთანი“ – ზეკარები (ჯვართა ყელის, თაკვერის, უბის, ყადორის თუ ბელაქნის გადასასვლელები) და კლდეკარები (დარიალი ანუ არაგვის კარი, კასრის კარი, ფარჩუანის კარი), რომელთა საშუალებითაც ხორციელდებოდა როგორც მშვიდობიანი სამეზობლო ურთიერთობა, ისე საომარი მოქმედებანი. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ორმხრივი ფუნქციის გამო ამ გადასასვლელებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომლის დამადასტურებელია სხვადასხვა ეპოქის წერილობითი მონაცემები, მათ შორის XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობები.

ლეონტი მროველი თავის საისტორიო თხზულებებში („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, „არჩილის ნამება“) გვაცნობს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს უძველესი დროიდან ვიდრე მეზუთე საუკუნემდე. რამდენადაც ლეონტი მროველი XI საუკუნის ისტორიკოსია, ბუნებრივია, რომ საქართველოს უძველესი ისტორიის თხრობისას მას უსათუოდ უნდა ესარგებლა უფრო ადრინდელი წყაროებით, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე არ შემოგვრჩა. ი. ჯავახიშვილის შეხედულებით, ლეონტი მროველის უმთავრესი წყარო იყო შველი ქართული

საისტორიო ქრონიკა „მოქცევაზ ქართლისაა“ (34, გვ. 187) მეცნიერს პირველ ყოვლისა მხედველობაში ჰქონდა შესწავებული მოყვენების შესაძლებლობა ნაშრომში – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, რასთან დაკავშირებითაც იგი განმარტავდა: „საქართველოს გაქრისტიანების ისტორია ლეონტი მროველს ამოღებული აქვს თითქმის სიტყვა-სიტყვით „მოქცევაზ ქართლისაა“ – თვან და შატბერდისეული წმინდა ნინოს ცხოვრებით გან“ (34, გვ. 187). თ. უორდანიას შეხედულებითაც, ლეონტი მროველი შეიძლება მივიჩნიოთ არა ავტორად, არამედ გადამწერად, ანდა რედაქტორ-გადამწერად (5, გვ. XXIX, XXXVI).

ლეონტი მროველის ავტორობის საკითხის ასეთნაირი შეფასება ზედმეტად კატეგორიულადაც შეიძლება მოგვეჩენოს. როგორც გ. მელიქიშვილი აკონკრეტებს, ყოველ შემთხვევაში, ლეონტი რომ არ არის ზოგიერთი ამ თხზულების ავტორი,. რომელსაც მას მინანერი აკუთვნებს (მაგალითად „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ „მოქცევაზ ქართლისადან“ გადმოღებულ-გადმოწერილი ტექსტისა) ისედაც ცხადია“ (26, გვ. 52). მაგრამ, ასეა თუ ისე, გასათვალისწინებელია ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – იმ წყაროთა უმეტესი ნაწილი, რომლებითაც უნდა ესარგებლა XI საუკუნის ამ ისტორიკოსს, დღეისათვის არ შემოგვრჩენია და, ამიტომ, ლეონტი მროველის თხზულებებს პირველწაროს მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის.

ლეონტი მროველის თხზულებები საინტერესო და საგულისხმო ცნობებს შეიცავს კავკასიაში მცხოვრებ ერთა საზოგადოდ და განსაკუთრებით კი ქართველების წარმოშობის, მათი ურთიერთობის, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების, მისი გაქრისტიანების და სხვა მოვლენების შესახებ. (34, გვ. 178). „დიდი მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულებებს საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის. იქ ამისათვის ძვირფასი ცნობები მოიპოვება. საქართველოს სხვადასხვა თემისა და სამთავროს საზღვრებისათვის ლეონ-

ტი მროველს უეჭველია რაღაც ძველი ქართული ნეარობული ჰერონია” (34, გვ. 187), რომელთა უდიდესი ნაწილი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დღეისათვის არ შემონახულა.

საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული მონაცემებიდან შეიძლება გამოვყოთ ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „მეფეთა ცხოვრება” ისეთი საკითხების შესწავლისათვის, როგორიცაა ქართველ მთიელთა განსახლების სტრუქტურა, კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელები და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან ქართლის სამეფოს ურთიერთობის ხასიათი. მეორე თხზულებაში – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა” აღნერილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების პროცესი, ხოლო „არჩილის ნამება” პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ცნობებით წანართა ლოკალიზაციის შესახებ.

„მეფეთა ცხოვრებაში” ასხული ცნობების საფუძველზე საისტორიო მეცნიერებაში მკაფიოდ გამოიკვეთა შეხედულება, რომ კავკასიონის ზეკარ-კლდეკარები უდიდეს როლს ასრულებდნენ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ქვეყნების ურთიერთობაში, განსაკუთრებით კი საომარ სიტუაციაში. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, უაღრესად დიდი იყო მათი სტრატეგიული მნიშვნელობა და მდგომარეობის გართულებით გამოწვეული შედეგები, რამდენადაც გზა-გადასასვლელების ხელში ჩაგდებით საქართველოსთან მეომარ მხარეს ზოგიერთი რეგიონის ან მთელი ქვეყნის დაყყრობის შესაძლებლობაც კი ეძღვდა (33, გვ. 11). აღნიშნულის დამადასტურებელია ლეონტი მროველის შემდეგი ცნობა: „და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვეს-კარი დარუბანდი და არაგვს-კარი, რომელ არს დარიალა და განამრავლეს ხაზართა გამოსლვა და ტყუენვა მათი და ვერდარა წინა-აღუდგეს. და მიერითგან იქმნეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა” (1, გვ. 12).

როგორც დამოწმებული ცნობიდან ჩანს, სწორედ ვაკები/ სიონის გადასასვლელების საშუალებით ხდებოდა ჩრდილოებული ტომების, კონკრეტულ შემთხვევაში კი ხაზარების (ქართულ წყაროებში ხაზარებად სახელდებულ ხალხში, ანაქრონიზმის შედეგად, ერთ შემთხვევაში იგულისხმებიან სკვითები, ხოლო მეორე შემთხვევაში ჰუნები) შემოჭრა ამიერკავკასიის ფარგლებში. მაგალითად, როგორც კი ხაზართა ლაშქარმა შესძლო დარიალისა და დარუბანდის გამოვლა, თარგამოსიანები (ამიერკავკასიის ხალხები) „ვერდარა ნინაალუდგეს“ მათ, რის შემდეგაც ხაზარებს აღარ გასჭირვებიათ ამიერკავკასიის დამორჩილება. ამ ლაშქრობის შემდეგ ხაზარებმა უკან დასაბრუნებლად კვლავ კავკასიონის გადასასვლელის გამოყენება არჩიეს. ამას გვაფიქრებინებს ლეონტი მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ უკან გაბრუნებულმა ხაზარებმა „გარდავლეს მთა კავკასია“ (1, გვ. 12). კავკასიონზე მათი „გარდავლა“ კი უსათუოდ რომელიმე გადასასვლელის გამოყენებით უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, ხაზარები იმავე მარშრუტით უნდა დაბრუნებულიყვნენ, როგორითაც ამიერკავკასიაში შემოვიდნენ, ე. ი. დარიალისა და დარუბანდის გასასვლელების მეშვეობით, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ხაზარებს სამშობლოში დასაბრუნებლად კავკასიონის სხვა რომელიმე გადასასვლელიც გამოეყენებინათ.

ამრიგად, ჩრდილოელი ტომების შემოჭრა ამიერკავკასიაში კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელების გამოყენებით ხდებოდა, მაგრამ ლეონტი მროველი იმასაც გვაუნყებს, რომ ამიერკავკასიის ხალხებიც აწყობდნენ ლაშქრობებს ხაზარების ნინაალმდეგ, რისთვისაც იმავე კავკასიონის კორიდორებს იყენებდნენ. ნათქვამის დამადასტურებელია ლეონტი მროველის შემდეგი ცნობა: „ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანი და გარდავლეს მთა კავკასია და მოტყუენეს ყოველნი საზღვარი ხაზარეთისანი“ (1, გვ. 11).

ლეონტი მროველის თხზულებაში ფიქსირებული ცნო-
ბები „კარნი კავკასიანი”-ს ორმხრივ მნიშვნელობას წარმო-
აჩინება. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება მათი გა-
მაგრებით სახავდა ჩრდილოეთიდან მონოლილი ტომების შე-
საჩერებელ ღონისძიებებს, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხორ-
ციელდებოდა. მეორე შემთხვევაში ეს „კარნი” გამოიყენებო-
და ჩრდილო კავკასიაზე შეტყვევისა და იქ თავისი პოლიტიკური
და კულტურული გავლენის მოპოვებისათვის.

კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელებიდან განსა-
კუთრებული მნიშვნელობით გამოირჩეოდნენ არაგვის კარი
ანუ დარიალა და ზღვის კარი ანუ დარუბანდი, რისი დამა-
დასტურებელია „მეფეთა ცხოვრებაში” მათი ხშირად ხსენება. აღნიშნული ორი უმთავრესი კორიდორიდან ქართლის სამე-
ფოსათვის უპირატესობა ენიჭებოდა დარიალის ხეობას, რო-
გორც ქართლის ტერიტორიიდან ჩრდილო კავკასიაში პირ-
დაპირ გასასვლელ უმოკლეს ჭიშკარს. ლეონტი მროველის
თხზულებაში მისი მრავალჯერ დასახელებაც ამგვარი ვითა-
რებით იყო განპირობებული.

„მეფეთა ცხოვრების” ავტორი ზოგჯერ პირდაპირ არ
ასახელებს დარიალის კარს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც პირ-
ველ რიგში მისი გამოყენება იგულისხმება. ამ მხრივ დამა-
ფიქრებელია ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსელთა წინააღ-
მდევ წარმოებულ ბრძოლაში, საკუთარ ძალთა უკმარისობის
მიზეზით, ქართლის ხელისუფალნი „ეზრახნეს ოვსთა, გარდა-
მოყვანეს ოვსნი” (1, გვ. 13-14) და მათი მოშველიებით შეძ-
ლეს სპარსელთა უკუგდება. ეს ცნობაც დარიალის გამოყე-
ნების შესაძლებლობის მანიშნებელია, რამდენადაც ოსთა მაშ-
ველი ძალების ოპერატიული გადმოყვანისათვის უპირატე-
სობა ენიჭებოდა დარიალის უმოკლეს გზას. ამ კონტექსტში
გასათვალისწინებელია ლეონტი მროველის მეორე ცნობაც:
სომხებთან ბრძოლაში გამარჯვების საგარანტიოდ, „ამათ მე-
ფეთა ქართლისათა აზოვ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და


ლეკთა და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გო-
ლიათნი, სახელით ბაზუკ და აპაზუკ, სპითა ოვსეთისათურ მათ
მათ გარდამოიტანნეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი და გარდა-
მოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა დურძუკნი და დი-
დონი და ამათ მეფეთა ქართლისათა შემოკრბნეს სპანი თვსნი
და შეკრბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხვ” (1, გვ. 45).

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ეს დიდი სამხედრო ონის-
ძიება განხორციელდა კავკასიონის გადასასვლელების მეშვე-
ობით, რაშიც პირველხარისხოვანი როლი უნდა შეესრულე-
ბინა დარიალის კარს. ყოველ შემთხვევაში, ოსთა ჯარის და
მათთან ერთად პაჭანიკების და ჯიქების შემოსვლა ქართლში
უპირატესად დარიალის გზით უნდა მომხდარიყო. ამასთან
ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველი თავის თხზუ-
ლებაში მოიხსენიებს დვალეთის გზასაც, როდესაც წერს, რომ
მეფე ამაზასპის დროს ქართლში „გარდამოვიდეს ოვსნი, სპა-
ნი დიდნი, გზასა დვალეთისასა“ (1, გვ. 55). ამრიგად, ოსები
ქართლში შემოდიოდნენ დვალეთის გზითაც, რომლის ქვეშ
საგულისხმებელია მამისონის უღელტეხილი. იმავე დვალე-
თის გზის შესახებ ლეონტი მროველის თხზულებაში გვხვდება
მეორე ცნობაც: ქართლში მირიან მეფის არყოფნით ისარგებ-
ლეს ოსებმა და „გარდამოვლეს ოვსთა ფეროშ და კავტია და
განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა
ოვსეთს, მოტყუევნა ოვსეთი და მიუნია ხაზარეთამდი და გარ-
დამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა“ (1, გვ. 67-68).
ამრიგად, მირიანი ოსეთის დალაშქრვის შემდეგ ქართლში და-
ბრუნდა დვალეთის გზით, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ
მირიანს იმავე დვალეთის გზა უნდა გამოეყენებინა ოსეთში
გადასასვლელად. ისიც შესაძლებელია, რომ მირიანი ოსეთში
შეჭრილიყო დარიალის გზით, ხოლო ოსეთის მოოხრების შემ-
დეგ უკან დაბრუნებულიყო დვალეთის გზით. ასეა თუ ისე,
ერთ რამ კი ცხადია, რომ ქართლის სამეფოსათვის დვალეთის
გზაც გარევეულ როლს ასრულებდა, თუმცა იგი თავისი მნი-

შვნელობით ვერ გაუტოლდებოდა დარიალს, რომელიც ამიერ და იმიერკავკასიის ურთიერთდამაკავშირებელ გზებსა და ჭრიელობებს შორის უმნიშვნელოვანეს მაგისტრალს წარმოადგენდა (17, 18).

დარიალს, დარუბანდს და კავკასიონის სხვა გასა-სვლელ-გადასასვლელებს პირველ რიგში მაინც დიდი სტრა-ტეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდათ, რაც განსაკუთრებით ნათლად მუღავნდებოდა სამხედრო ოპერაციების მსვლელო-ბაში. ეს გარემოება კარგად ესმოდათ ქართლის სამეფოს, ამი-ერკავკასიის თუ სხვა ქვეყნების მმართველებს. ამიტომ გასა-გებია, რომ როდესაც ვარაზ ბაქარის მეფობის ჟამს ქართლს სპარსეთმა შემოუტია, „მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ ბაქარისსა მოციქული და რქუეს (ურჩიეს – ვ. ი.), რათა შეკ-რბენ... და განახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანენ ივანი და ლევნი, და ნინაალუდგენ სპარსთა” (1, გვ. 136). ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ქართლის მეფისათვის მიცემულ რჩევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად დასახელე-ბული იყო „კარნი კავკასიონთანი”, რომელთა მეშვეობითაც მა-შველი ძალები უნდა გადმოეყვანათ ქართლში. ასეთ კარებად იგულისხმებოდა დარიალი, დარუბანდი, შესაძლოა დვალეთის გზა და კიდევ სხვა რომელიმე გადასასვლელი, მაგრამ მათ შორის დარიალი აშკარა უპირატესობით გამოირჩეოდა.

საინტერესოა ლეონტი მროველის კიდევ ერთი ცნობა დარიალის შესახებ. ავტორი აღნერს რა ბრძოლას ქართვე-ლებსა და სომხებს შორის, გვაუნყებს, რომ ქართველებმა ოსების დახმარებით დაამარცხეს სომეხთა მეფე ზარენი და შეიპყრეს იგი, რის შემდეგაც „დასუეს პყობილად ციხესა და-რიალისა” (1, გვ. 49). ამ ცნობიდან ვგებულობთ, რომ და-რიალის კარი ციხითაც ყოფილა გამაგრებული. როგორც ვხე-დავთ, ლეონტი მროველისათვის ცნობილი იყო დარიალის ციხის არსებობის ფაქტი. ეს გასაგებია, ვინაიდან ჯერ კიდევ სტრაპონი და პლინიუს სეკუნდი და რო-



მაელი ისტორიკოსები) გვაწვდიან ცნობებს დარიალიკა შესახებ (35, გვ. 251). ამდენად, საფორტიფიკაციო ნატურალურობის არსებობის ფაქტი დარიალის კარში კიდევ ერთხელ ადასტურებს მის დიდ სამხედრო დანიშნულებას. მაგრამ დარიალს მარტომდენ სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონია ქართლის სამეფოსათვის. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესაბამისად დარიალის კარი ხან საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ჩამკეტი სიმაგრე იყო და ხანაც „გზა მშვიდობისა”, რომლის საშუალებითაც საქართველო თავის პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას ავრცელებდა იმიერკავკასიაზე და ამიტომ ეს „გზა მშვიდობისა”, „საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის, როგორიც საქართველოსა და ამიერკავკასიისა თუ „ჩრდილოის“ ქვეყნებს შორის არსებობდა” (9, გვ. 56). სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა განხორციელებაში ორმხრივი გამოყენების შესაძლებლობა დარიალის ხეობის როლს განსაკუთრებით ზრდიდა კავკასიონის ქედის სხვა გადასასვლელებთან ერთად და მათზე კონტროლსაც ქვეყნისათვის უძველესი დროიდანვე სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა (26, გვ. 292-293).

„მეფეთა ცხოვრებიდან” კარგად ჩანს, რომ „კარნი კავკასიანთანის” დიდი ნანილი ქართლის მეფეთა ხელში იყო, რომელთა გახსნა თუ ჩაეტვა საჭიროების მიხედვით შეეძლოთ. მაგალითად, „მეფეთა ცხოვრებიდან” ვგებულობთ, რომ ქართლის ერთ-ერთ მეფეს – ასფაგურს სპარსელებთან ომის დროს როგორც კი დასჭირდა მაშველი ძალები, მან მაშინვე „განახუნის (ე. ი. გახსნა – ვ. ი.) კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლექნი და ხაზარი” (1, გვ. 59). ასფაგურის ანალოგიურად ხშირად ასევე მოქმედებდნენ სხვა ქართველი მეფეებიც, რაც იმის ნიშანია, რომ „კარნი კავკასიანთანი”, ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები კავკასიონზე,

მირითადად ქართლის სამეფოს ხელისუფალთ ეპყრათ. გამოცხადება მდინარე აქედან, მათი დაცვა-გამაგრება, გახსნა თუ ჩაკეტვა მხოლოდ ქართლის მეფებს ხელენიფებოდათ, თუმცალა ლეონტი მროველის ერთი ცნობიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლების პრეროგატივა საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მისი გავლენის ზონაშიც ვრცელდებოდა, როდესაც მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე გადასასვლელებს იცავდნენ და ამით საკუთარი სამეფოს თავდაცვისუნარიანობას ზრდიდნენ. ასეთ გასასვლელს წარმოადგენდა პირველ რიგში ზღვის კარი ანუ დარუბანდი, რაზედაც მეტყველებს ლეონტი მროველის კიდევ ერთი ცნობა: „ოდეს მოვიდიან ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შუელად დარუბანდისა” (1, გვ. 66).

ამრიგად, ქართლის სამეფო ხელისუფლება არა მარტო საკუთარი ქვეყნის გზა-გადასასვლელებს ფლობდა, არამედ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე გასასვლელ-გადასასვლელებსაც აკონტროლებდა. ასეთი პოლიტიკური სტრატეგიის საფუძველი იყო საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ქვეყნების დამაკავშირებელი მაგისტრალების მნიშვნელობა, რომელთა გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო როგორც სამხედრო ოპერაციების წარმოება, ისე და კიდევ უფრო მეტად სასიცოცხლო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. სამხედრო-სტრატეგიული თუ მშვიდობიანი ურთიერთობანი კი ქართველ ხალხს აკავშირებდა იმიერკავკასიის მეზობლებთან – ალან-ოსებთან, დურძუებთან თუ ლეკებთან (დალესტნელებთან), რომლებიც თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით ქართველებზე და ამიერკავკასიის სხვა ხალხებზე (სომხებზე, ალბანელებზე) ბევრად დაბლა იდგნენ. იმ პერიოდში, რომელსაც ლეონტი მროველი გვაცნობს, ეს სხვაობა აშკარა იყო. მეცნიერებაში უკვე გამოთქმული შეხედულების თანახმად, ზემოხსენებული ჩრდილოელი ხალხები „ანტიკური

პერიოდის მთელ მანძილზე არ გამოსულან ე. ნ. სამხედრო დე-
მოკრატიის, ე. ი. პირველყოფილ-თემური წყობილებრივ შემსრუ-
ნასკნელი საფეხურის ჩარჩოებიდან” (8, გვ. 26).

ეს ფაქტორი მნიშვნელოვანნილად განაპირობებდა მე-
ზობელი ქვეყნებისადმი მათ დამოკიდებულებას, კონკრეტუ-
ლად კი ქართლის სამეფოსთან ურთიერობის ხასიათს. განვი-
თარების დაბალ საფეხურზე ყოფნის გამო ამ ხალხების შემო-
სავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა მარბეველი ლაშ-
ქრობანი მეზობელ ხალხებზე და სამხედრო სამსახური რო-
მელიმე ქვეყნისადმი. ჩრდილოკავკასიელი ხალხებისათვის
პრინციპში სულ ერთი იყო, თუ რომელი ქვეყნის სამსახურში
ჩადგებოდნენ. მათვის მთავარი იყო ის, თუ რომელი და-
მქირავებელი მხარე რა გასამრჯელოს გასცემდა სამხედრო
სამსახურის განევისათვის. უმთავრეს შემთხვევაში მათვის
ასევე სულ ერთი იყო, ვის ნინააღმდეგ მოაწყობდნენ ლაშქრო-
ბას. სამიზნეს კი უმთავრეს შემთხვევაში საქართველო წარ-
მოადგენდა. ვალში არც ქართლის სამეფო რჩებოდა, მაგრამ
სამეფო ხელისუფლება მათთან ომით კი არ იყო დაინტერესე-
ბული, არამედ სამშვიდობო ურთიერთობის სტაბილიზაციით,
რათა ჩრდილო კავკასიის ძალები თავის სამსახურში ჩაეყენე-
ბინა და სამხრეთი ზონის დაცვაზე ეზრუნა. მშვიდობიანი
ცხოვრების პირობებში კი ჩრდილოკავკასიელები „ქირის გუ-
ლისათვის ხალისით მიდიოდნენ ომში ყველა მხარეს” (11,
გვ. 78). უფრო ხშირად კი ჩრდილოკავკასიელი მეომრები ქარ-
თლის სამეფოს სამსახურში დგებოდნენ აქტიური სამხედრო
რეზერვის სახით. „მეფეთა ცხოვრებიდან” ნათლად ჩანს, რომ
ამ ძალების მოხმობა თითქმის დაუბრკოლებლად ხორცი-
ელდებოდა სპარსთა ნინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რაზე-
დაც მიგვანიშნებს თუნდაც ცნობა იმის შესახებ, რომ ქართ-
ლის მეფე ასფაგურმა „განუხუნის კარნი კავკასიანთანი და
გამოიყვანის ოვანი, ლევნი და ხაზარნი” (1, გვ. 59). ცხადია,
რომ ესოდენ დიდ სტრატეგიულ ჩანაფიქრს ნინ უძლოდა და-

ქირავების პირობებზე წინასწარი შეთანხმება, ხოლო გამოყენებული გების შემდეგ კი გასასვლელ-გადასასვლელების გახსნაზე და ქართლში სამხედრო კონტიგენტის შემოყვანა. ამგვარი ვითარება დამახასიათებელი იყო როგორც ლეონტი მროველის თხრობის, ისე მერმინდელი წყაროების მიხედვითაც. ამიტომ არაფერია უჩვეულო იმაში, თუ სპარსელთა ერთ-ერთი ექსპანსიის დროს რატომ ურჩია სომეხთა მეფემ ვარაზ ბაქარს, რომ მას „განახუნენ (გაეხსნა – ვ. ი.) კარნი კავკასიანნი და გამოიყვანენ (გამოეყვანა – ვ. ი.) ოვსნი და ლეკნი და ნინა აღუდგენ სპარსთა“ (1, გვ. 136). ამრიგად, მაშველ ძალებს მოელოდნენ ოსეთიდან და ლეკეთიდან (დაღესტნიდან), ხოლო მათი შემოყვანა ხდებოდა დარიალის, დვალეთის და სხვა გზების მეშვეობით.

შემთხვევითი არ არის, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში ყველაზე აქტიურ მაშველ ძალად ფიგურირებენ ოსები და ლეკები. ამიტომაა, რომ ერთ-ერთი დიდი სამხედრო ოპერაციის დროსაც ქართველთა მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა პირველ ყოვლისა „მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა... და გარდამოიყვანეს ოვსთა მეფენი ძმანი ორნი გოლიათნი ბაზუკ და ამბაზუკ სპითა ოვსეთისათა და მათ გარდამოიტანეს თანა ჰაჭანიკნი და ჯიქნი და გარდამოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა დურძუკნი და დიდონი“ (1, გვ. 45).

ამრიგად, საომარ მდგომარეობაში მყოფი ქართლის ძირითად დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ ოსები და ლეკები, მაგრამ დამოწმებული ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ქართლის მმართველი წრეები მათთან ერთად იშველიებდნენ ჸაჭანიკებს, ჯიქებს და დურძუკებსაც. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სამხედრო ოპერაციებში მათი მონაწილეობა ხორციელდებოდა გასამრჯელოს ანაზღაურების პირობით. გარიგების ფაქტორი კი ზოგჯერ საპირისპირო ქმედებას იწვევდა. საკმარისი იყო ქართველების ნინააღმდეგ მებრძოლ ძალას მეტი ქირა გადაეხადა, რომ

ამგვარი გარიგება საქართველოს მტრებთან გაფორმებულიყო. ამაზე მეტყველებს ლეონტი მროველის ცნობებით მარტინ ქართველთა მეფის ყოფილი მოკავშირები – ლეკები, დურძუკები თუ ოსები საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ხაზარების მხარეზე აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც, თავისთვის ხელსაყრელი სიტუაციის შესაბამისად ჩრდილოკავკასიელები საქართველოსაც ესხმოდნენ თავს, რაც ჩანს ლეონტი მროველის თხზულებაში ფიქსირებული იმ ფაქტის მეოხებით, რომ მირიან მეფის ქართლში არყოფნის მომენტში „გარდამოვლეს ოვსთა და განრყვნეს ქართლი“ (1, გვ. 67-68).

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმები საქართველოზე უპირატესად მეკობრული ხასიათისა იყო და არსებითად განსხვავდებოდა თუნდაც ხაზართა ორგანიზებული და მასშტაბური ლაშქრობისაგან, მაგრამ ეს ხშირი მეკობრული თავდასხმებიც საქართველოს დიდ ზიანს აყენებდა. ამიტომ, სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ჩრდილოელთა თარეშის აღკვეთა, რაც ორგანიზებული კონტრდარტყმით ხორციელდებოდა. მაგალითად, ასეთი სამხედრო ოპერაცია დაკავშირებულია მირიან მეფის სახელთან, რომელმაც ოსთა ერთ-ერთ მეკობრულ თავდასხმას იმით უპასუხა, რომ „გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთის, მოტყუევნა ოვსეთი“ (1, გვ. 68). ასეთივე კონტრლაშქრობა მოაწყო ქართლის მეფე მირვანმა, მაგრამ ახლა უკვე არა ოსების, არამედ დურძუკების წინააღმდეგ: „შევიდა მირვან დურძუკეთს და მოაწერა დურძუკეთი“ (1, გვ. 28). ამის შემდეგ ქართლის სამეფომ ჩრდილოეთი საზღვრები განამტკიცა, იარაღის ძალაზე დაყრდნობით მიაღწია მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას დურძუკებთან და შესაძლოა მათი ერთგულების გარანტიაც მიიღო, რამეთუ დურძუკებს მირვანამდე უკვე ჰქონიათ „სიყუარული (ერთგულება – ვ. ი.) ფარნავაზისა და საურმაგისი“ (1, გვ. 27). ეს ცნობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ პერიოდიდან ქართლის სამეფო ჩრდილო კავკასიასთან პო-



ლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას ავითარებდა. აკადემიური შემთხვევითი ის გარემოება, რომ დურძუკეთისა და ოსეტის „მეფეები“ ქართლის მეფეებთან სამოყვრო კავშირში იმყოფებოდნენ (მაგალითად, საურმაგს დურძუკეთში დედისძმები ჰყავდა, ხოლო მისი მამიდა ოსთა მეფეზე იყო გათხოვილი). ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართლის სამეფო კარი ნიადაგს ამზადებდა ჩრდილო კავკასიაზე, კერძოდ კი ოსეტზე და დურძუეთზე თავისი პოლიტიკური გავლენის მოპოვებისათვის. ეს შედარებით მოგვიანებით ხდება, მაშინ როცა კავკასიონის გასასვლელ-გადასასასვლელები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა ნთქვამი და რომელნიც ლეონტი მროველის მიერ აღნერილ ეპოქაში ძირითადად სტრატეგიული მნიშვნელობისანი არიან, იქცევიან „მშვიდობის გზად“. ლეონტი მროველის ცნობების მიხედვით, სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე მდგომ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან საქართველოს სამეფოს არ ჰქონია არც სტაბილური მშვიდობიანობა და არც სისტემატიკური ომიანობა. მათი ურთიერთობა მაინცდამაინც არ იყო მყარი, მაგრამ ჩრდილოკავკასიელი ხალხები მაინც ყველაზე ინტერსიურად საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, რაც ძირითადად სამხედრო თანამშრომლობაში სახიერდებოდა. ლეონტი მროველის მიერ აღნერილ ეპოქაში ქართლის სამეფოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ჩრდილო კავკასიაზე გაევრცელებინა თავისი პოლიტიკური და კულტურული გავლენა. ლეონტი მროველის ცნობები მხოლოდ იმას გვაფიქრინებს, რომ აღნერილ ეპოქაში მზადდებოდა ნიადაგი ასეთი გავლენის გავრცელებისათვის.

* * *

საქართველოს მთიანეთის შესახებ არანაკლებ საინტერესო ცნობები გვხვდება ლეონტი მროველის მეორე ნაშრომში – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეონტი მროველი თავის თხზულებაში ქართლის

გაქრისტიანების შესახებ ემყარება ისეთ მნიშვნელოვან მატიკი ანეს, როგორიცაა „მოქცევაზ ქართლისად”.

ლეონტი მროველის ამ ნაშრომს და მის პირველწყაროს მრავალი მკვლევარი შეეხო. მათი ანალიზის საფუძველზე გამოითქვა არაერთი მოსაზრება, რომელთა შორის განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის ურთიერთსანინააღმდეგო შეხედულებები (არსებულ შეხედულებათა შესახებ იხ.: 15; 24, გვ. 45-83). საბოლოოდ აღიარება ჰპოვა ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისმა და მასზე დაყრდნობით დადგენილ იქნა, რომ ქართლში ქრისტიანობა გავრცელდა და ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნის 30-იან წლებში, მირიანის მეფობის ხანში (31, გვ. 57-76; 29, გვ. 83).

როგორც „მოქცევაზ ქართლისად”, ისე ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა” გვაუწყებენ მძაფრი ბრძოლის სურათს ძველსა და ახალ სარწმუნოებას შორის. ხალხის სულიერ ცხოვრებაში განმტკიცებულ ნარმართულ სარწმუნოებას დაუპირისპირდა მანამდე უცნობი რელიგიური მოძღვრება, რაც ქართლში თანადათანობით ვრცელდება დიდ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. სრულიად აშკარად ჩანს ის გარემოებაც, რომ ქრისტიანულ რელიგიას მცხეთაში პირველ რიგში ეზიარნენ ნანა დედოფალი და მირიან მეფე, მათთან ერთად ქრისტიანობას ღებულობენ პრივილეგიური წრის ნარმომადგენლები, ხოლო შემდეგ სამეფო ხელისუფლების აქტიური ჩარევით ამ სარწმუნოების გავრცელება ხდება ქართლ-კახეთში და მის მთიანეთში.

სამეფო ხელისუფლების ჩარევა მისი ნარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით ცხადად გამოჩნდა მთიელთა გაქრისტიანების გეგმის დასაწყისშივე, რაზედაც მეტყველებენ ორივე ზემოხსენებული წყაროს სათანადო მონაცემები. ორივე წყაროს დედააზრი ისაა, რომ სამეფო ხელისუფლება მთიელთა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას მოელის, რომლის გა-

დალახვა ახალი მოძღვრების ქადაგებასთან ერთად შესაძლებელი იყო კარგად ორგანიზებული ძალებისა და იარაღის ჟგნ-მოყვენებით. წყაროებს შორის განსხვავება შეიძლება დავინახოთ მხოლოდ ამ იდეის ინტერპრეტაციაში. თუ „მოქცევად ქართლისად“ პირველ რიგში აღნიშნავს ნმინდა ნინოს შთამა-გონებელი ქადაგების როლს, ხოლო შემდეგ წარმოაჩენს იძუ-ლებითი მეთოდების მნიშვნელობას, ლეონტი მროველის ცნო-ბით მეფემ თავიდანვე მახვილის გამოყენების გეგმა შეიძუ-შავა.

მთიელთა გაქრისტიანების შესახებ ლეონტი მროველის ცნობების შეფასებისათვის საჭიროდ მიგვაჩინია გავეცნოთ „მოქცევად ქართლისად“-ს, როგორც პირველწყაროს, სათანა-დო მონაცემებსაც. დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ ემზადება ახალი იდეოლოგიის მქადაგებელთა მისია წარმართ მთიე-ლებთან შეხვედრისათვის. „მოქცევას“ შატბერდული ნუსხის მიხედვით, სამეფო კარზე, პრივილეგიურ ზედაფენაში და მცხეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების შემ-დეგ ჯერი მიდგა მთელი სამეფოს გაქრისტიანებაზე. როგორც მატიანეშია აღნიშნული, ნინო მცხეთიდან მთიანეთისაკენ წა-რემართა. მან თან „წარიყვანა იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს“ (6, გვ. 88).

დაახლოებით ასეთივე სურათს გვიხატავს „მოქცევას“ ჭელიშური ტექსტი, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ამ ტექსტის მი-ხედვით მისის შემადგენლობა უფრო გაძლიერებულია: „წა-რიყვანეს მათ თანა მთავარ ეპისკოპოსი და მღვდელი და ერისთავი, და წარვიდეს და დადგეს წობენს“ (6, გვ. 88).

შატბერდული და ჭელიშური ტექსტების ურთიერთშედა-რება სხვაობას იძლევა იმ მხრივ, რომ შეტბერდულ ვარიანტში ნინოს თანმხლებ მოხელეთაგან მხოლოდ ერთი მღვდელი და ერთი ერისთავი იხსენიება, მაშინ, როდესაც ჭელიშური ტე-ქსტის თანახმად მისის შემადგენლობაში იმყოფებიან მთა-



ვარეპისკოპოსი, ერთი მღვდლის ნაცვლად რამდენიმე მღვდლი ("მღვდელნი") და ერისთავი. ეს რაც შეეხება მისისტერიული გენლობას, მაგრამ როდესაც საქმე ეხება მთიელთა გაქრისტიანების მიზნით წინასწარ დასახულ ღონისძიებას, ამ მხრივ ტექსტები არსებითი ხასიათის სხვაობაზე არ მიგვანიშნებენ. ორივე ტექსტის თანახმად გამაქრისტიანებელ მისიაში მონაწილეობდნენ ახალი რელიგიის მქადაგებელნი და სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები (მოხელეები). ეს იმას ნიშნავს, რომ „მოქცევას“ ავტორის თვალსაზრისით უმთავრესა და პირველადს ღონისძიებას წარმოადგენდა მიზნის განხორციელების ცდა ქადაგების გზით, ე. ი. ნინოს და სასულიერო პირთა შთამაგონებელი მოქმედება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენელთა (დედოფალი, ერისთავი) ჩარევა და მათ მიერ სათანადო ზომების მიღება.

„მოქცევას“ ამ მონაცემების საფუძველზე აღნიშნული ვითარება კარგად ცნობილი იყო ლეონტი მროველისთვისაც, მაგრამ მთიელთა გაქრისტიანების ღონისძიებათა ინტერპრეტაციაში მას კორექტივი შეაქვს მისივე ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესაბამისად. ლეონტი მროველი ავითარებს იმ აზრს, რომ მეფე არის ყოვლისშემძლე პიროვნება და ნებისმიერი საკითხი მისი ინიციატივითა და ნება-სურვილით უნდა გადაწყდეს. XI საუკუნის ისტორიკოსი ამ თვალსაზრისით აფასებს მეფის როლს IV საუკუნეში განხორციელებულ ისეთ დიდ მოვლენათა სფეროშიც, როგორიც იყო წარმართული რელიგიის ქრისტიანულით შეცვლა. ლეონტი მროველის ნაშრომის მიხედვით ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ინიციატორია თვით მირიან მეფე, ხოლო წმინდა ნინო და სასულიერო პირები მეფის ნება-სურვილის აღმსრულებელნი არიან. ასეთნაირად შეიძლება გავიგოთ ლეონტი მროველის თხზულების ის ადგილი, სადაც წაჩვენებია ნინოსთან და ეპისკოპოსთან მირიან მეფის შე-

ხვედრის ეპიზოდი. მეფემ მათ ასეთნაირად მიმართა: „მნებაუს გერეთ, რათა იძულებით მახვლითა მოვაქცივნეთ მთეულნიდან სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონნეთ ძესა ღმრთისასა და ვათა-ყუანნეთ პატიოსანსა ჯუარსა” (2, გვ. 125).

ისტორიკოსი ამასთან ერთად აცხადებს, რომ ნინომ და ეპისკოპოსმა მეფის კატეგორიული მოთხოვნა არ შეიწყნარეს. თავის მხრივ მათ მეფეს შესთავაზეს აზრი, რომ უპირატესი მნიშვნელობა მინიჭებოდა არა სამხედრო ძალას, არამედ ჯვრისა და სახარების შთამაგონებელ ზემოქმედებას. მათი პოზიცია შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვლისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა” (2, გვ. 125).

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის ინტერპრეტაციით, მთაში ქრისტიანობის გავრცელების გეგმის შედგენისას გამოიკვეთა ორი თავალსაზრისი. მეფე კატეგორიულად მოითხოვს ძალის გამოყენებას, სასულიერო პირნი კი იდეოლოგიურ ზემოქმედებას. პირველ რიგში მეფის დასახელება და მისი როლის ნარმოჩენა ლეონტი მროველის ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. როგორც ჩანს, ამაზე უფრო ნაკლებად უფიქრია „მოქცევას” ავტორს, ვინაიდან ამ თხზულებაში ასეთი ურთიერთსაპირისპირო დიალოგები არ გვხვდება. „მოქცევა ქართლისაა” მდგომარეობას ისე გვიხატას, რომ ეს ღონისძიება ითვალისწინებდა პირველ რიგში მთის მოსახლეობის შთაგონებას ახალი იდეოლოგიის ქადაგების გზით, ხოლ უშედეგო ცდის შემდეგ ძალის გამოყენებას.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლეონტი მროველმა უფრო რეალურად შეაფასა არსებული ვითარება. მისი შეხედულებით, ახალი რელიგიის გავრცელება ნარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებას, ვინაიდან ის თავისი მოძღვრებითა და



დოგმებით გამოხატავდა კლასობრივი (ფეოდალური) საზოგადოებრივი გადოებისა და მის სათავეში მდგომი სამეფო ხელისუფლების ინტერესებს. ამიტომ, ლეონტი მროველი მთაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მეფის აზრს. მეფესა და სასულიერო პირებს შორის დიალოგის შინაარსსაც ისტორიკოსი იმიტომ გადმოგვცემს, რომ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება სახელმწიფოებრივ ღონისძიებად წარმოგვიდგინოს და ამ ღონისძიების ინიციატორის როლში მეფე დაგვანახოს. ამის გამომხატველია ის გარემოება, რომ მეფემ უარყო ნინოს და ეპისკოპოსის აზრი და მთიელთა მოქცევის საშუალებად ცნო არა იმდენად ქადაგებით მათი დარწმუნება, არამედ უპირატესად ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევა და სამხედრო ძალის გამოყენება.

მთიელთა გაქრისტიანების პროცესის აღნერაშიც ლეონტი მროველი ხაზგასმით აღნიშნავს მეფის როლს. მისი ცნობის თანახმად, მეფესთან თათბირის შემდეგ „წარვიდა ნმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერისთავი ერთი“ (2, გვ. 125).

ისტორიკოსი ამ შემთხვევაში არსებითად „მოქცევას“ ზემოთ დამოწმებულ ცნობებს იმეორებს, მაგრამ ერთი განსხვავებით. ლეონტი მროველი ერისთავის წარგზავნის ინიციატორად მეფეს ასახელებს, მაშინ, როდესაც „მოქცევას“ არც ერთ ტექსტში ამ მომენტში მეფე არ იხსენიება. განსხვავებულად გამოიყურება თვით მისის შემადგენლობაც. თუ შატბერდულ ტექსტში ნინოსთან ერთად დასახელებული არიან იაკობ მღვდელი და ერთი ერისთავი, ხოლო ჭელიშურ ტექსტში მთავარეპისკოპოსი, მღვდელი და ერისთავი, ლეონტი მროველი გამაქრისტიანებელ მისიონერთა შორის ასახელებს ნინოს, იოვანე ეპისკოპოსს და მეფისაგან წარგზავნილ ერისთავს.

ლეონტი მროველი „მოქცევას“ ტექსტებზე დაყრდნობით გვიჩვენება ბით ჩამოთვლის მთის იმ კუთხებსა და მცხოვრებთაც (ეზ-ნიკურ ერთეულებს), სადაც ახალი მოძღვრების გავრცელება ხდებოდა. როგორც ის მოგვითხოვთ, ნინო, ეპისკოპოსი და ერისთავი „მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა“ (2, გვ. 125).

ეს ცნობა რამდენადმე განსხვავდება „მოქცევას“ ცნობისაგან. შატბერდული ტექსტის მიხედვით, წობენს მისულმა ნინომ „მოუწოდა მთეულთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა“ (6, გვ. 88). ჭელიშური ტექსტიც გვამცნობს, რომ ჯერ „დადგეს წობენს“, ხოლო შემდეგ „მოუწოდეს მთეულთა ყოველთა, ჭართალელ-ფხოელთა, წალკასნელთა“ (6, გვ. 88).

წყაროებიდან დამოწმებული ამ მონაცემების ურთიერთშედარების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ლეონტი მროველი ზუსტად არ იმეორებს „მოქცევას ქართლისას“ ცნობებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იმ თემებსა და ეთნიკურ ერთეულებთან ერთად, რომლებიც „მოქცევას“ ტექსტებში გვხვდება, ლეონტი მროველი ასახელებს გუდამაყრელთაც.

„მოქცევაზე“ დაყრდნობით ლეონტი მროველი გვაუწყებს, რომ ზემოხსენებულ თემებში ქრისტიანული რჯულის ნებაყოფლობით მიღება მთიელებმა არ ინებეს. „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარპმართა მახვლი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“ (2, გვ. 125).

ამ შემთხვევაშიც ლეონტი მროველმა კვლავ მეფის სახელი წარმოაჩინა. შატბერდულ ტექსტში მეფის უხსენებლადაა აღნიშნული, რომ „ერისთავმან მცირედ წარპმართა მახვლი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალენად“ (6, გვ. 89). ჭელიშური ტექსტის მიხედვით კი მთიელთა წინააღმდეგობის

დაძლევის მიზნით ერისთავმა ნინოს ბრძანებით იარაღი გამოცემა
იყენა (6, გვ. 89).

აღნიშნული დეტალის გაუთვალისწინებლადაც ნათლად ჩანს, რომ მთიელთა ზემოხსენებულ თემებში ქრისტიანობა კრცელდებოდა სამეფო ხელისუფლების აქტიური ჩარევითა და იარაღის გამოყენებით. ამ მხრივ ანალოგიური ვითარება შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც – ერწო-თიანეთსა და ფხოვში. აქ მიმდინარე პროცესები ლეონტი მროველის მიერ აღნერილი და კვალიფიცირებულია შემდეგნაირად: „გარდამოვიდეს მუნით (ჭართალეთ-გუდამაყრიდან – ვ. ი.) და დადგეს უალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეინყნარეს და ნათელ-ილეს. ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება. ამისთვის წარკრბეს იგინი და შესცოტეს, და რომელნიმე უკანასკნელ მოაქციონა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს-აქამომდე” (2, გვ. 126).

ლეონტი მროველი ამ შემთხვევაშიც „მოქცევას“ მონაცემებს ეყრდნობა. ამ წყაროების ურთიერთშედარება არავითარ სხვაობას არ გვიჩვენებს იმ ფაქტის აღნიშვნასთან დაკავშირებით, რომ გამაქრისტიანებელი მისია დგება უალეთს, საიდანაც იწყება ერწოელ-თიანელთა მონათვლა. სხვაობა არც იმ მხრივ შეინიშნება, რომ მთიელები ახალ რელიგიას ეწინააღმდეგებოდნენ და გაურბოდნენ. სამაგიეროდ, ქრისტიანობისადმი დაპირისპირებული მოსახლეობის ჩვენება განსხვავებულ სურათს იძლევა. ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტიანობას განერიდნენ და თუშეთს შეეხიზნენ ფხოველნი, ხოლო „მოქცევას“ ორივე ტექსტის მიხედვით ასეთ როლში ჩანან ყუარელნი (სოფელ ყვარას მევიდრნი). „მოქცევას“ მიხედვით, წმინდა ნინო „წარვიდა და დადგა წობენს და მო-



უწოდა მთეულთა: ჭართალელთა და ფხოელთა და ნილკან ფულებისა, თა და უქადაგა სარწმუნოება... გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუთიანელთა და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრძეს თოშეთა" (6, გვ. 88).

„მოქცევაშ“ ამ ცნობის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანობას ეზიარნენ ერწოელნი და თიანელნი, მაგრამ მას განერიდნენ „ყუარელნი“, ე. ი. ივრის ხეობის სათავეში მდებარე ერთი სოფლის – ყვარას მკვიდრნი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს არა მარტო დამოწმებული წყაროს ჩვენება ქრისტიანობისაგან „ყუარელთა“ განდგომის შესახებ, არამედ მეცნიერებაში არსებული ინტერპრეტაცია „ყუარელთა“ ვინაობისა და ცალკე ეთნიკურ ერთეულად მათი მიჩნევის თაობაზე. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ნომინაცია, რომლის თანახმად, ქართველი „მთეულნი“ იყვნენ: „ფხოველნი“, ანუ „ფხოვნი“, „გუდამაყარნი“, „მოწევენი“, „წადელნი“, „ცხავატნი“ ანუ „ცხავატელნი“, „ცხრაზმელნი“, „ჭართალელნი“, ანუ „ჭართალნი“, „ნილკანელნი“, „ერწუთიანელნი“, „ყუარელნი“, „თოშნი“, „ნოპეატელნი“, ... „ნანარნი“ (33, გვ. 39).

ამ ჩამონათვალში „ყუარელნი“ სხვა ეთნონიმების იდენტური მნიშვნელობითაა შეტანილი, რაც მიუღებელია. „ყუარელნი“ ასეთივე შინაარსობრივი დატვირთვით გვხვდება სხვა მკვლევართა ნაშრომებში. 6. ბერძენიშვილმა „ყუარელნი“ ფშაველთა და ფხოველთა გვერდით მოიხსენია (10, გვ. 429), რაც მათი გათანაბრების მანიშნებელია. ამ შემთხვევაში არც ის არის გათვალისწინებული, რომ ფშაველნი და ფხოველნი ერთმანეთის თანადროული ეთნონიმები არ არიან. ფხოვი და ფხოველი ადრინდელი ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომლის გაყოფის შემდეგ ნარმოიქმნა ორი ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეული – ხევსურებით დასახლებული ხევსურეთი და ფშავლებით დასახლებული ფშავი. ამდენად, გაუმართლებელია როგორც ფშავისა და ფხოვის სინქრონიზა-

ცია, ისე, მითუმეტეს, იგივეობის ნიშნის დასმა „ყუარელებული“¹ და საუკუნეების განმავლობაში ფორმირებულ ეთნიკური ყუუქ, რიტორიულ ერთეულებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას და მუსხელიშვილის ნაშრომის მიმართ, რომელშიც შეინიშნება ყვარას გათანაბრების ტენდენცია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თემებთან (28, გვ. 193, 199). იმავე ნაშრომში ითქვა, რომ ყვარელნი „დღევანდელი ივრის ფშავის ძველი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო“. ამის დამადასტურებელ საბუთად მიჩნეულია ივრის ხეობის ზემო წელზე ნასოფლარ ყვარას არსებობა (28, გვ. 183). მკვლევარს უნდა დავეთანანხმოთ, რომ ყვარელნი თიანეთის ძველი მოსახლეობის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ გაუმართლებელია თიანეთს „ივრის ფშავი“ უწოდოთ. სულ სხვაა, რომ თიანეთში ჩასახლებულთა აღსანიშნავად ვიხმაროთ „ივრის ფშავლები“, როგორც ეს დაკანონებულია ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (მაგალითად, ვ. ბარდაველიძის ერთ-ერთ ნაშრომს ეწოდება „ივრის ფშავლებში“ (ენიმკის მოამბე, XI, თბ., 1941 წ., გვ. 67-182).

ტერიტორიულ თემთან ერთი სოფლის – ყვარას იდენტიფიკაცია შეინიშნება რ. თოფჩიშვილის კათხვა-პასუხში: „მაშრალას ნარმოადგენდნენ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში დასახელებული „ერწოელნი“, „თიანელნი“ და „ყუარელნი“? ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად ისინი ივრის ხეობის თემები ყოფილიყვნენ“ (16, გვ. 55). მისივე შეხედულებით, „ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „მოქცევა ქართლისაც“ – ში მოხსენიებული „ყვარელთა“ თემის ლოკალიზაციის საკითხი“ (16, გვ. 82). სინამდვილეში „მოქცევაც“ – ში ხსენებულია „ყუარელნი“ და არა ყვარელთა თემი, მაგრამ ამის მიუხედავად განავრძო: „გ. ჩიტაიას მიერ „ყუარელთა“ თემი და „ძვეყანა“ სრულიად სამართლიანად ლოკალიზებულია ივრის ხეობის ზემო წელში“ (მითითებულია: გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, „ენიმკის მოამბე“, XI, 1941; მისივე, გрузинская советская этнография, ж. «Со-

ветская этнография», 1952 г. №3). გ. ჩიტაიას სოფელ ყვარელი თვის არ უნდღებია არც ყვარას თემი და არც ყვარას ქვეყნზე, მაგრამ რ. თოფჩიშვილმა მაინც საჭიროდ მიიჩნია ეთქვა, რომ თიანეთის ტერიტორიაზე „ლოკალიზდება ძველი ქართული თემი „ყვარელნი” (16, გვ. 124), ხოლო „ყვარა ... აღნიშნული „ყუარელთა” „ქვეყნის” ცენტრი უნდა ყოფილიყო” (16, გვ. 83).

გარდა იმისა, რომ არაფრით არ მტკიცდება ყვარას თემის თუ ქვეყნის არსებობა და აშკარაა, რომ ყვარა მხოლოდ ერთი სოფელი იყო, შეცდომაა დაშვებული ტერიტორიულ-ეთნიკური ერთეულების ნომინაციაში. რ. თოფჩიშვილის მიერ თემებადაა სახელდებული არა ტერიტორიული ერთეულები (ერწო, თიანეთი), არამედ მათი მოსახლეობა (ერწოელნი, თიანელნი). რაც შეეხება „ყუარელთ”, ისინი იყვნენ ერთი სოფლის – ყვარას მკვიდრნი და არა არარსებული ყვარას თემის თუ ქვეყნის მოსახლენი. ბოლოს და ბოლოს ხომ ცხობილია და ეს არამც თუ მკვლევარმა, არამედ სტუდენტმაც კი უნდა იცოდეს, რომ ტერიტორიული თემი იყო რამდენიმე სოფლის მომცველი გაერთიანება და არა ერთადერთი სოფელი.

„მოქცევაზ”-ს ცნობისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებათა კრიტიკული შეფასების საფუძველზე თავის დროზე აღვნიშნე, რომ „ერთგვარ გაუგებრობას ინვევს ლეონტი მროველის მიერ ნილკველების სახელდება მთიელებად, ვინაიდან ცნობილია, რომ ნილკანი აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან გვარიანად დაცილებული, ბარის ზოლში ლოკალიზებული ტერიტორიული ერთეულია... მიუღებელია აგრეთვე ქართველ „მთიულებად” (//მთიელებად) ერწოელთა სახელდების ისტორიული ტრადიცია. ამასთან ერთად, ჩვენ ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით სრული უფლება გვაქვს სერიოზულად შევიტანოთ ეჭვი ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფების გვერდით ყვარელთა დასახელების მიზანშენონილობაშიც, ვინაიდან ისტორიული თიანეთის

ტერიტორიაზე (მდ. ივრის სათავეებში) მცხოვრები ყვარელი /
ქართველ მთიელთა დამოუკიდებლად არსებულ ტომს ანთაშავა
მოადგენდნენ და ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით არსები-
თად არ განსხვავდებოდნენ თიანელთაგან. ამიტომ, ჯეროვანი
თვალსაჩინოებისათვის ყოველივე ამის შესახებ საგანგებოდ
უნდა ყოფილიყო მოცემული სათანადო განმარტება ჯერ კი-
დევ მაშინ, როდესაც ქართული საისტორიო წყაროების ანა-
ლიზის საფუძველზე თანმიმდევრულად იქნენ ჩამოთვლილნი
ქართველი მთიელები და მათ შორის მოხსენიებულნი იყვნენ
ნილკანელნი და ყვარელნი" (19, გვ. 11).

ზემოხსენებულ მკვლევრებთან ერთად ყვარას და ყვა-
რელთა შესახებ თავისი მოსაზრება შემოგვთავაზა თ. პაპუა-
შვილმა, რომელმაც „მოქცევა“-ს ცნობის ინტერპრეტაცი-
ასთან დაკავშირებით დაასკვნა: „როგორც ვხედავთ, „მოქცე-
ვა“ ქართლისაგან“ ლეონტისაგან განსხვავებით „ფხოელთა“
ნაცვლად ხმარობს „ყუარელთა“. ყუარელნი დღევანდელი
ფშავლების ნინაპრები იყვნენ და ფხოელთა განაყოფს წარმო-
ადგენდნენ. ყუარელთ თავიანთი ადგილმდებარეობით ივრის
სათავეში ჰქონდათ სამოსახლო“ (30, გვ. 71).

ციტირებული განმარტების საპირისპიროდ საკმარისად
მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ფხოელთა (ფშაველთა და ხევსურ-
თა) დასახლება ერწო-თიანეთში მოგვიანო პერიოდში ხდება.
თიანეთში უპირატესად ფშავლები დამკვიდრდნენ, და ცხა-
დია, მათ ყვარაშიც-მოიკიდეს ფეხი, მაგრამ ყოვლად დაუშვე-
ბელია თიანეთში ფხოველთა მიგრაცია დავუკავშიროთ წმინ-
და ნინოს მოღვაწეობის ხანას. ამიტომ, მტკიცება იმისა, რომ
ყუარელნი დღევანდელი ფშავლების ნინაპრები იყვნენ და,
ამდენად, ისინი ფხოველთა განაყოფს წარმოადგენდნენ, შე-
უსაბამობაშია რეალურ ქრონოლოგიასთან. დაბეჯითებით შე-
იძლება ითქვას, რომ უძველესი ყუარელნი არ ყოფილან ფხო-
ველთა განაყოფები და, მით უმეტეს, დღევანდელ ფშაველთა
ნინაპრები. ისტორიული თიანეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ

ფშაველთა წინაპრები არიან თვით ფშავიდან თიანეთში მო-
გვიანებით გადასული ფშავლები და არა აქ მათ გადმოსახლების გა-
ბამდე ადგილზე მყოფი მკვიდრი მოსახლეები – სოფელ ყვა-
რაში მცხოვრები თიანელები. ამდენად, თქმა იმისა, რომ „მო-
ქცევა ქართლისაა“ ლეონტისაგან განსხვავებით „ფხოველ-
თა“ ნაცვლად ხმარობს „ყუარელთა“, გაუმართლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნინოს მოღვაწეობის პერი-
ოდისათვის ერთი სოფლის – ყვარას მკვიდრნიც თიანელებად
სახელდებული ეთნიკური ერთეულის შემადგენლობაში შედი-
ოდნენ. ამასთან მიმართებაში სრულიად მოულოდნელად გა-
ისულერა გ. ჩიტაიას შემდეგმა ფრაზამ: „მეცხრამეტე საუკუნის
პირველ ნახევარში, უფრო ზუსტად პირველ მეოთხედში, ყვა-
რლელები ცალკე ეთნიკურ ერთეულს შეადგენდნენ, რასაც
საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში და-
ცული იმ ხანის სურათები ამტკიცებს. ამ მონაცემების მიხედ-
ვით მატიანის „მოქცევა ქართლისაას“ და ყვარლელების ად-
გილსამყოფელის ივრის ხეობაში ლოკალიზაცია იქნებ დასა-
შვები იყოს“ (32, გვ. 61).

ლოგიკის ნორმებს არ ექვემდებარება XIX ს. პირველ მე-
ოთხედში ყვარლელთა გამოყოფა ცალკე ეთნიკურ ერთეუ-
ლად და თანაც მუზეუმში დაცული იმ ხანის სურათების მი-
ხედვით. კიდევ უფრო გაუგებარია ამ მონაცემების საფუძ-
ველზე ვარაუდის სახით იმის თქმა, რომ „მოქცევას“ ყვარლე-
ლების ადგილსამყოფელის ივრის ხეობაში ლოკალიზაცია იქ-
ნებ დასაშვები იყოს“. „იქნებ დასაშვები“ კი არა, სარწმუნოა
„მოქცევას“ ცნობა, რისი მტკიცებისათვის გაუმართლებე-
ლია წარმოდგენილი არგუმენტები.

ლეონტი მროველისა და „მოქცევას“ ჩვენებანი რამდე-
ნადმე განსხვავებულია, ვინაიდან ყვარა თიანეთის ერთ-ერთი
სოფელია, ხოლო ფხოვი მთელ თანამედროვე ფშავ-ხევსუ-
რეთს მოიცავდა. გამოდის, რომ „მოქცევას“ თანახმად ქრის-
ტიანობას განუდგა თიანეთის ერთი სოფლის მოსახლეობა,

ხოლო ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით კი ფხრველი /
ფშავლები და ხევსურები/ მთლიანად.

საქონლები
გადამდინარე

აღნიშნულ ცნობებს შორის განსხვავების მიუხედავად, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ქრისტიანობისადმი მთიელთა დაპირისპირებასთან. ამ დაპირისპირებაში „მოქცევა“ გამოყოფს ყუარელთ, ლეონტი მროველი – ფხოელთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ ვინ ილტვოდა თუშეთისაკენ. ორივე ცნობის მნიშვნელობა მდგომარეობს იმის ჩვენებაში, რომ განდგომილი მთიელები თავშესაფარს ეძებდნენ იმ კუთხეში, სადაც, როგორც ჩანს, იმხანად შეღწეული არ იყო ახალი რელიგია და ლტოლვილნი იმედოვნებდნენ პირვანდელი სარწმუნოების შენარჩუნებას.

ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტიანულ მოძღვრებას მნყრალად შეხვედრიან არა მარტო ფხოველი (ფშავლები და ხევსურები), არამედ „სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს“. ეს იმას ნიშნავს, რომ მთიელებმა საერთოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ახალი რელიგიის მქადაგებელთ. ამის გამო, თუ სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარმართი მთიელების მიმართ თავდაპირველად სამხედრო ძალა გამოიყენეს და კერპების მსხვრევის შემდეგ მთიელები იძულებით მონათლეს, შემდგომ პერიოდში შეფერ ურჩ მთიელებს ხარკი დაუმძიმა. ლეონტი მროველი ყურადღებას ამახვილებს იმის შესახებაც, რომ მირიანის მეფობის შემდგომ პერიოდშიც ქრისტიანობის გავრცელების პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა. მირიანის შემდეგ მეფედ დაჯდა მისი ძე ბაქარ „და ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა“ (2, გვ. 130). ლეონტი მროველის დაკვირვებით, მთიელთა ნაწილი მის ეპოქაშიც ჯერ კიდევ არ იყო გაქრისტიანებული. ამის მანიშნებელია ცნობა იმის შესახებ, რომ „რომელიმე უკანასკნელ მოაქცივნა აპიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმა და რომელიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასვე შინა დღეს – აქამომდე“.

ლეონტი მროველი რეალურად წარმოგვისახავს საქართველოს კუთხით ერთა უძველეს ცის მიმდევარი მინისტრის მიერ მომისახურებას. მას შესაძლებლობა ჰქონდა „მოქცევაზე ქართლისას“ მონაცემებზე დაყრდნობით ეჩვენებინა გაქრისტიანების ადრინდელი ეტაპი, ხოლო ამასთან ერთად, თავისი ეპოქის (XI ს.) სურათიც. ისტორიკოსი როდესაც აღნიშნავს, რომ მთიელთა ერთი ნაწილი აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმა მოაქცია, ხოლო ნაწილი კვლავ წარმართობას ინარჩუნებდა, ეს მისთვის ცნობილი იყო როგორც მოვლენათა თვითმხილველისათვის. ამიტომ, ლეონტი მროველის ცნობებს ორმხრივი მნიშვნელობა ენიჭება: ერთი მხრივ, იმიტომ რომ იგი იმეორებს და ადასტურებს „მოქცევას“ მონაცემებს, ხოლო მეორე მხრივ იმიტომ, რომ უშუალო დაკვირვების საფუძველზე გვაცნობს ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პროცესს.

ლეონტი მროველის ამ ცნობებთან ერთად, რაც საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების პროცესს შეეხება, უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ ცნობებს მთიანეთის ცალკეული კუთხეების, სამოსახლო პუნქტებისა და თვით მოსახლეობის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ლეონტი მროველი ძირითადად იმეორებს „მოქცევას“ მონაცემებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მას გარკვეული სიახლეც შემოაქვს. როგორც „მოქცევას“ ტექსტებში, ისე მათზე დაყრდნობით ლეონტი მროველის მიერ პირველ პუნქტად დასახელებულია ნობენი, საიდანაც იწყეს ქრისტიანობის გავრცელება. აღნიშნული ნყარობის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ეს პუნქტი მდებარეობდა ქართლის მთიანეთის მისადგომებთან, სახელდობრ, არაგვის ხეობის ქვედა ნაწილში, საიდანაც შეიძლებოდა აპყოლოდნენ ამ ხეობას თანამედროვე მთიულეთის მიმართულებით. სპეციალური კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ ნობენი მდებარეობდა არაგვის ხეობის ქვედა ზონაში, ჭართალის თემის ქვემოთ (სამხრეთისაკენ) და ის წარმოადგენდა ჭართალეთ-მთიულეთის კარებში მდებარე პუნქტს (14).

დამოწმებული წყაროების თანახმად, წოპენიდან იწყება კომისიუს ველ რიგში იხსენიებიან ჭართალელნი, ჭართალის თემის მკვიდრნი. ამ ცნობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიულ თემთა ლოკალიზაციისათვის ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მთიულეთის არაგვის ხეობაში დაბა ფასანაურის ქვემოთ (სამხრეთი) მდებარე ჭართალი ისტორიულად ცალკე ტერიტორიული თემი იყო. ასეთი ვითარება ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის დაკვივრებით. როდესაც ისტორიკოსი არაგვის ხეობას აღწერს, პირველ რიგში გვაცნობს არაგვისპირსა და ბაზალეთს, ე. ი. არაგვის დინების ქვედა ნაწილს მუხრანის მიდამოებიდან ანანურამდე. მისივე აღწერილობის თანახმად, „ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლეთიდამ ჭართალის-ჯევი“ (8, გვ. 354). ვახუშტი არაგვის ხეობის აყოლებით ჭართალის ზემოთ (ჩრდილოეთის მიმართულებით) გამოყოფს მთიულთ-კარს და წანდოს-ჯევს, უფრო ზევით არაგვის გვერდით ხეობად ასახელებს გუდამაყრის ხევს, ხოლო შემდეგ იძლევა საკუთრივ მთიულეთის აღწერას (8, გვ. 355-356). ვახუშტი მთიულეთის შემადგენლობაში აქცევს არაგვის ხეობის ტერიტორიას გუდამაყრის ხევის შესართავიდან (ლდევანდელი დაბა ფასანაურიდან) ჯვრის ულელტეხილამდე (ჩემ მიერ დაზუსტებულია, რომ მთიულეთი ინუბა ფასანაურის ჩრდილოეთით, 1,5 კმ-ით დაშორებული ხოფელ ქავთარაანიდან ანუ ქავთურთვარიდან). მთიულეთის ფარგლებში ვახუშტი აფიქსირებს ამირთ-ჯევს, წარწელ-თჯევს, ნალუარევს, ღუდის-ჯევს, წადას და ციკარას (8, გვ. 355). 1774 წლის აღწერის მონაცემებით მთიულეთში შედიოდა ოთხი ტერიტორიული თემი: ხადა, გარეშემო, მრევლი და ცხაოტი (4, გვ. 428). ისტორიულად არსებული ეს სტრუქტურა დადასტურდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგადაც (25, გვ. 11-13; 36, გვ. 6-7).

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ჭართალი მთიულეთის შემადგენლი ნანილი არ იყო და ის ცალკე ტერიტორიულ თემს წარმოადგენდა (არაგვის ხეობაში ლოკალიზებული ტერიტორიული ერთეულების შესახებ დაწვრილებით იხ. 19, 20, 21). ეს გვაფიქრებინებს, რომ „მოქცევასა“ და ლეონტი მროველის თხრობის მიხედვითაც ჭართალი დამოუკიდებელი ტერიტორიული თემი იყო, სადაც ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებას შეუდგნენ. ქადაგების ასპარეზად აქ მთიულეთი არ არის დასახელებული, მაგრამ იგულისხმება, რომ ეს ღონისძიება გატარდა ჭართალის შემდეგ მთიულეთშიც და თანდათანობით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

როგორც წყაროები მოვგითხრობენ, ჭართალელებთან ერთად ახალი სარწმუნოების მიღება უქადაგეს ფხოველთაც. მაშინდელი გაგებით, ფხოვი მოიცავდა მერმინდელ ფშავსა ხევსურეთს. ამდენად, ფხოველთა შორის იგულისხმებიან ფშავლები და ხევსურები.

ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ეტაპზე მქადაგებელთა მისიამ გადაინაცვლა ერწო-თიანეთში. თუ ჭართალისა და ფხოვის ფარგლებში ქადაგებისას ბაზად შერჩეულ იქნა წობენი, ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ასეთი მნიშვნელობის მქონე პუნქტად წარმოგვიდგება ჟალეთი. ამ სახელწოდებით ეს ადგილი თავისი ეკლესიით დღესაც ცნობილია ერწოს ტერიტორიაზე. თვით ერწო-თიანეთის ტერიტორიის თანამედროვე მოხაზულობასა და ისტორიულ ლოკალიზაციას შორის სხვაობას ვერ დავინახავთ. ზემოხსენებულ წყაროებში აღნიშნული ერწო-თიანეთი ამ ტერიტორიის დღევანდელ საზღვრებში თავსდება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებთა შორის, სადაც ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდა მიმდინარეობდა, იხსენიებიან აგრეთვე ნილკანელნი. ეს ცნობა ყურადღებას იქცევს იმასთან დაკავშირებით, რომ მთიანეთში



ტოპონიმი წილკანი არ გვხვდება. სამაგიეროდ, სოფელი წილკანი მდებარეობს ბარში – სამუხრანოში. წყაროში "მთულენი" შორის წილკნელთა დასახელების საფუძველზე გაჩნდა სურვილი წილკნის ძიებისა მთის ზოლში. გამოითქვა მოსაზრება, რომ მთიელთა რიგში ხსენებული წილკნელნი არ შეიძლება სამუხრანოში მდებარე წილკნის მცხოვრებნი ყოფილიყვნენ. ჯ. გვასალიამ აიკიატა, რომ წილკანი ისტორიულად ფარავდა მთიულეთის სათავეებს, ჯვრის უღელტეხილის მიმდგომ ტერიტორიას, სახელდობრ, ვახუშტის მიერ ლოკალიზებულ ციკარას (13). მთიულეთში ეთნოგრაფიული მასალის ჩანერის დროს დავრნმუნდით, რომ მსგავსი რამ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სავსებით უცნობია. ამდენად, ჯ. გვასალიას მიერ შეთხზულ ამ ვერსიას სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. ეს თვით ჯ. გვასალიამ მოიგონა და ის ადგილობრივ მოსახლეობასაც შთააგონა, რომ „ძველი ქალალდების“ მიხედვით ხადას წინათ წილკანი ერქვაო. რეალობის ასე გაყალბების ნაცვლად აღვნიშნავთ, რომ წილკანელნი მთიელები კი არ იყვნენ, არამედ ნინოს მოგზაურობის მარშრუტში მოხვდა წილკანიც, რომელთა მკვიდრნი მთიელებთან ერთად უნდა მონათლულიყვნენ. საფიქრებელია, რომ მთაში შესვლამდე გამაქრისტიანებელმა მისიამ იქადაგა წილკნელთა შორის, ხოლო შემდეგ მთიელებს მიხედა. მისიონერთა მარშრუტის აღნერამ და მთიელებთან ერთად წილკნელთა დასახელებამ წყაროს ჩვენებაში ერთგვარი გაუგებობა გამოიწვია, რის ნიადაგზედაც წარმოიქმნა წილკნელთა მთიელობის ვერსია, ხოლო ამან თავის მხრივ განაპირობა მთიულეთის მაღალმთიან ზონაში – ხადაში წილკნის განთავსებაც.

* * *

ზემოთ განხილულ ცნობებთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ცნობას ვხვდებით ლეონტი მროველის მესამე თხზულებაშიც (3).

როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, არაბთა ბატონობის ხანის დასაცავის დროის განვითარების შემთხვევაში არაბთა მიერ მან სარკინოზობის მიღებაზე უარი თქვა, არაბთა სარდალმა ასიმმა^{*} „უპრძანა შეპყრობა მისი და შეყვენება საპყრობილესა, რათა ლონის-ძიებითა მიაქციოს იგი” (3, გვ. 209). ეს ამბავი შეიტყო თუ არა ერთ-ერთმა ქართველმა მთავარმა, „მაშინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი, მოქცეული სარკინოზად, რომლისა მამის-ძმა მოკლა წანართა და მკვლელნი მისნი განერინეს მშვდობით ჰაპასა არჩილისსა, ადარნასე მეფისა” (3, გვ. 210).

ისტორიკოსი შემდეგ იმასაც გვაუწყებს, რომ „ამისთვის უკუე შური იგო გარდაბანელმან” და ასიმი არჩილის წინააღმდეგ განაწყო, მაგრამ ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს აღნიშნული მოვლენის განხილვა. ლეონტი მროველის ცნობიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო წანართა ხსენებამ. XI საუკუნის ისტორიკოსის მიერ წანართა მოხსენიება იმის მაჩვენებელია, რომ VIII საუკუნეში, არაბთა ბატონობის ხანაში, წანარები კახეთის ტერიტორიაზე ჩანან, ისინი ტერორისტულ ღონისძიებებშიც მონაწილეობენ და მეფეც მათ მფარველობს. ეს ფაქტი თავისთავად ისეთ ვითარებაზე მიგვანიშნებს, როდესაც წანარები მოსახლეობდნენ არა მარტო მთიანეთში, არამედ ბარადაც. წანართა ასეთი ფართო განსახლების ფაქტს მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური ისტორიისათვის, კერძოდ, მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების პროცესის შესწავლისათვის, რასაც ყურადღება მიაქციეს ქართველმა ისტორიკოსებმა. ისინი ფიქრობენ, რომ წანართა პირვანდელ ადგილ-სამყოფელს წარმოადგენდა ხევი (დღევანდელი ყაზბეგის რა-

* მ. ლორთქიფანიძის განმარტებით, „არაბი სარდლის სახელი ასიმი, როგორც მას ქართველი მემატიანე უნიდებს, შეიძლება იყოს ხუზაიმა იბნ ხაზიმის დამახინჯება. იმავე ხუზაიმა იბნ ხაზიმს, არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, ამავე ხანებში მრავალი ქართველი დაუსჯია სიკვდილით” (23, გვ. 143).



იონი), საიდანაც შემდეგში ხდება მათი ჩამოსახლება კახეთისა-
ტერიტორიაზეც. ამასთან ერთად, დადგენილია, რომ წანა-
რებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს არაპ დამპურობლებს. ამ
მოვლენის შესახებ არაერთმა ისტორიკოსმა გამოთქვა თავისი
შეხედულება (12, 22, 23, 27, 29, 30, 35). ყველა მათგანი პირ-
ველ რიგში დაინტერესდა წანართა სამოსახლო ტერიტორიის
დადგენით, რაც არც თუ ისეთი იოლი აღმოჩნდა. ხელმი-
საწვდომი წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუ-
ძველზე წანართა განსახლების შედარებით სრული სურათია
დახატული მ. ლორთქიფანიძისა და თ. პაპუაშვილის მონო-
გრაფიებში (23, 29, 30). მათ წამრომებში გარკვევით ითქვა,
რომ წანართა პირვანდელ სამოსახლოს წარმოადგენდა ხევი,
საიდანაც ისინი ინაცვლებენ კახეთისაკენ, აქტიურად მონაწი-
ლეობენ სამხედრო ოპერაციებში არაპ დამპურობთა წინააღ-
მდეგ და კახეთის გაერთიანება-შემომტკიცებისათვის იღვწი-
ან, რის შედეგადაც VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუ-
ნის დასაწყისში კახეთის გაერთიანება წანართა მოთავეობით
და არაპთა უღლისაგან განთავისუფლებით დამთავრდა.

წანართა შესახებ კვლევა-ძიება ალბათ მომავალშიც გა-
ვრძელდება, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მიზნად არ დაგვი-
სახავს არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და შეფასება.
დავჯერდით მხოლოდ იმის თქმას, რომ წანართა განსახლების
საკითხზე არსებული გამოკვლევების მიხედვით ეს ეთნიკური
მასივი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თერგის ხე-
ობაში) არის ლოკალიზებული და აქედან მათი განსახლება
ხდება ბარშიც. ეს გარემოება კი მნიშვნელობას ანიჭებს ლე-
ონტი მროველის ზემოხსენებულ ცნობას წანარების შესახებ.

დასკვნა

ლეონტი მროველის თხზულებები საყურადღებო წყარო-
ებს წარმოადგენენ საქართველოს მთიანეთის ისტორიისა-

თვის. მისი პირველი ნაშრომი ნათლად წარმოაჩენს კავკასიურ-ურთიერთობის გასასვლელ-გადასასასვლელების მდებარეობას და შეზღუდვების როლს ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან ქართლის სამეფოს ურთიერთობის საქმეში. ლეონტი მროველის ცნობები გვიჩვენებენ ამ ურთიერთობის მრავალ მხარეს – კავკასიის ხელხებთან ქართველების მეზობლურ დამოკიდებულებას, სამხედრო ოპერაციებში ერთობლივ მონაწილეობას და ურთიერთშორის ბრძოლის ეპიზოდებს.

– მ საქართველოს მთიანეთის ისტორიული წარსულის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ლეონტი მროველის მეორე ნაშრომშიც. მართალია, ისტორიკოსი ამ მხრივ არსებითი ხასიათის სიახლეს არ იძლევა, მაგრამ მისი ნაშრომი უსათუოდ საყურადღებოა შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ლეონტი მროველი ადასტურებს „მოქცევად ქართლისაა“ მონაცემებს საქართველოს მთიანეთის ცალკეული კუთხეების, ეთნონიმიკისა და ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ხასიათის შესახებ. აღნიშნული ვითარების მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ XI საუკუნეში ისეთსავე ტოპონიმებთან და ეთნონიმებთან გვაქვს საქმე, როგორსაც ვხვდებით წინამორბედ წყაროში – „მოქცევად ქართლისაა“ -ში. 2. ლეონტი მროველს ამასთან ერთად შემოაქვს გარევეული სიახლეც. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების არეში ის აქცევს გუდამაყრის ხეობასაც, რაც „მოქცევად“ -ში ხსენებული არ არის. განსხვავება შეინიშნება იმ მხრივაც, რომ თუ-შეთისაკენ ლტოლვილთა შორის „მოქცევად“ ასახელებს „ყუარელთ“, ხოლო ლეონტი მროველი – ფხოელთ. 3. „მოქცევად“ -სთან შედარებით ლეონტი მროველის თხზულებაში უფრო მკაფიოდაა ნაჩვენები სამეფო ხელისუფლების როლი და აქტიური ზემოქმედება იდეოლოგიურ ცვლილებათა სფეროში, რაც უნდა აიხსნებოდეს თვით ეპოქის სულისკვეთებით – უფრო მეტად განვითარებული ფეოდალური ქვეყნის მმართველი წრეების ყოვლისშემძლეობით.



საქართველოს მთიანეთის ისტორიული წარსულებაში თვის საყურადღებოა ლეონტი მროველის მესამე თხზულებაც, რამდენადაც იქ ხსენებული წანარნი ლოკალიზებულია ხევის ტერიტორიაზე, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მთიანეთის ეთნონიმიკის შესწავლისათვის.

საქართველოს მთიანეთის შესახებ ლეონტი მროველის ცნობების მნიშვნელობა კიდევ უფრო სრულად და მკაფიოდ გამოჩინდება მომავალში, როდესაც ამავე თვალსაზრისით იქნება განხილული ქართული საისტორიო მწერლობისა და უცხოური წყაროების მონაცემები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

I. წყაროები:

1. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა... „ქართლის ცხოვრება”, I, თბ., 1955 წ.
2. ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქართლის ცხოვრება”, I, თბ., 1955 წ.
3. ლეონტი მროველი, წამება არჩილისი, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები”, II, თბ., 1967 წ.
4. ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში, ტფ. 1907 წ.
5. თ. უორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1892 წ.
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963 წ.

II. ლიტერატურა:



7. ზ. ანჩაბაძე, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ძველ ხანაში, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები”, თბ., 1969 წ.
8. ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება”, IV, თბ., 1973 წ.
9. 6. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966 წ.
10. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990 წ.
11. 6. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს, ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948 წ.
12. ჯ. გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხებისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, ტ. 59, №3, 1970 წ.
13. ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ცხავატი, ნილკანი, წანარნი), „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული”, III, თბ., 1971 წ.
14. ჯ. გვასალია, „მოქცევად ქართლისად” წობენის ლოკალიზაციისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, ტ. 66, №3, 1972 წ.
15. ვ. გოილაძე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, ჟ. „მნათობი”, 1986 წ., №2; მისივე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991 წ.
16. რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1984 წ.
17. ვალ. ითონიშვილი, ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებანი, ჟ. „მაცნე” (ისტორიის ... სერია), 1974 წ., №1.
18. ვალ. ითონიშვილი, მეგობრობის გზა, თბ., 1983 წ.
19. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბ., 1986 წ.

- საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია
20. ვახტ. ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ., 1989 წ.
 21. ვახტ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთაბაზუ, თის ისტორიიდან, თბ., 1992 წ.
 22. С. Какабадзе, О племени цанар, „Саисстонриот კრებული”, III, თბ., 1928 წ.
 23. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963 წ.
 24. ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975 წ.
 25. ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930 წ.
 26. გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, I, თბ., 1970 წ.
 27. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959 г.
 28. დ. მუსხელიშვილი, ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, I, თბ., 1977 წ.
 29. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970 წ.
 30. თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1962 წ.
 31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973 წ.
 32. გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, „ენიმკის მოამბე”, XI, ტფ., 1941 წ.
 33. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948 წ.
 34. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977 წ.
 35. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952 წ.
 36. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965 წ.

პრინციპულური სახელმოძღვან ნარმობა ვლობის შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს სამხედრო გზად სახელდებული არაგვის გზის ისტორიული და თანამედროვე მნიშვნელობა. უძველესი დროიდან დღემდე ამ გზასთან არის დაკავშირებული არაერთი ლირსშესანიშნავი მოვლენა. პირველ რიგში ეს ეხება საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან, მოგვიანებით კი რუსეთთან, რამაც განსაკუთრებით ცხოველმყოფელი ხასიათი მიიღო XVIII საუკუნიდან. აღნიშნული მაგისტრალის მნიშვნელობასთან კავშირში განიხილება აგრეთვე მის გაყოლებაზე მდებარე მხარეების, თითოეული მიკრო თუ მაკრორაიონის ისტორიული წარსული, ყოფა და კულტურა.

თავის მხრივ არაგვის გზის ისტორიული როლის ობიექტურად და მასშტაბურად წარმოჩენა წარმოუდგენელია ხსენებული მაგისტრალის იმ მონაკვეთების მნიშვნელობის შეფასების გარეშე, რომელთა ფუნქციონირებაზე მთლიანად იყო დამოკიდებული დასახელებული კომუნიკაციის რამდენადმე ეფექტუანი ექსპლუატაცია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დარიალის ხეობა და ჯვრის უღელტეხილი, რომელთა დაუფლებით ქართულმა სახელმწიფომ უძველესი დროიდანვე მტკიცე და ხელუყოფელი კონტროლი დამყარა მთელ არაგვის გზაზე. სამეფო ხელისუფლებამ ამით უზრუნველყო თავისი ჩრდილოეთი საზღვრის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის უსაფრთხოება და საიმედო პლაცდარმი შექმნა პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული გავლენის გავრცელებისათვის ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დარიალის კარისა და ჯვრის უღელტეხილის მნიშვნელობის ჯეროვანი სის-

რულით შეფასება, რაც გულისხმობს აღნიშნული „მთის ალი გების“ შესახებ არსებული მონაცემების წარმოჩენას მონოგრაფიული კვლევის დონეზე, ჯერ კიდევ ქართული ისტორიოგრაფიის დღის წესრიგში მდგარ ამოცანას წარმოადგენს. ამ სერიოზული ხარვეზის შევსებაზე მეცადინეობა კი ნიადაგ ითვალისწინებს ხსენებული თემის ყველა ასპექტის საფუძვლიან შესწავლას, რომელთა შორის, უნინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს დარიალის კარისა და ჯვრის ულელტეხილის სახელწოდებათა წარმომავლობის საკითხი. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სახელწოდება „დარიალის“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა საკმარისი დამაჯერებლობითაა ახსნილი, უთუოდ უპრიანი ჩანს ამჯერად შევეხოთ მხოლოდ ჯვრის ულელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის საკითხს, რომლის გაშუქებასაც ტრადიციულად არაერთი სიძნელე ახლავს.

აღნიშნულ სიძნელეთა ხასიათის გარკვევა მიზანშეწონილია დავინუოთ იმ ფაქტის ხაზგასმით, რომ ჯვრის ულელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის ახსნით ჯერ კიდევ XIX საუკუნის რუსი და ევროპელი სწავლულები დაინტერესდნენ. მაგრამ ეს უკანასკნელი, იმვიათი გამონაკლისის გარდა, ულელტეხილის სახელწოდების წარმომავლობას უკავშირებდნენ მაინცდამაინც XIX ს-ის მოვლენებს, პირველ რიგში კი საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების დროიდან ხსენებულ გადასასვლელზე ორგზის (1803 და 1809 წ.). აღმართული ქვის ჯვრის განახლების ღონისძიებას, რაც 1824 წელს განხორციელდა. თქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია დავიმოწმოთ ე. ვეიდენბაუმის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს „Перевал чрез Главный хребет называется обыкновенно крестовым. Название это возникло вследствие того, что в 1824 году управляющий тогда горскими народами майор Давид Кананов поставил на старой дороге каменный крест для обозначения точки перевала“¹.



მოცემული მტკიცება, რასაკვირველია, თავიდან ბოლო
მდე მიუღებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში გათვალისწინებული
ბული არ არის ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო
უღელტეხილის სახელწოდებად „ჯუართა ყელი“ ჯერ კიდევ
XIV-XVIII საუკუნეებით დათარიღებულ ქართულ ნერილობით
ნყაროებში ფიგურირებს², რასაც დამატებით მხარს უჭერს
ეთნოგრაფიული მასალებიც. მაშასადამე, XIX საუკუნის მოვ-
ლენებთან კავშირში ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების
ნარმომავლობის ახსნის ნებისმიერი ცდა არსებული ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული მონაცემების სრული იგნორირების ტო-
ლფასია. თუმცა, რამდენადაც ადვილია ამ რიგის ცდების უა-
რყოფა (და ამაში ჩვენ ქვემოთ კიდევ არაერთგზის დავრწმუნ-
დებით), იმდენად ძნელია ამომწურავი პასუხის გაცემა კითხ-
ვაზე – საერთოდ ჰქონდათ თუ არა ზემოთ განხილული მოსა-
ზრების ავტორს და მის თანამედროვე სხვა სწავლულებს თუ-
ნდაც მინიმალური ნარმოდგენა ზემოთ მითითებული მონაცე-
მების შესახებ. და მაინც, როგორც იმავე ე. ვეიდენბაუმის ნაა-
ზრევზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, ასეთი შესაძლებლობის
ვარაუდის სახით დაშვება უფრო ნაკლებად შეესაბამება სი-
ნამდვილეს.

ვითარების ასეთნაირად შეფასების საერთო ფონზე არა-
ნაკლებ თვალში საცემია XIX ს-ის ზოგიერთი სხვა ავტორისა-
თვის დამახასიათებელი მეორე რიგის უკიდურესობა, რაც გა-
მოხატულებას პოულობს საკვლევი საკითხის გაშუქებისას ამ-
ჯერად უკვე ჩვენთვის სრულიად უცნობი ისტორიულ-ეთნოგ-
რაფიული მონაცემებით სარგებლობის პრაქტიკაში. ამგვარი
მიდგომის საუკეთესო მაგალითად გვესახება ა. ანდრეევის
თვალსაზრისი იმის თაობაზე, თითქოს „Перевал этот назван
крестовым потому что в 200 саженях влево от дороги находится
крест поставленный по преданию грузинским царём Давидом Вс-
зобнавителем... Крест этот в 1824 году был реставрирован гене-
ралом Эрмоловым и называется Эрмоловским“³.

ძნელი სათქმელია კონკრეტულად რა მონაცემებს ეფუძნებოდა დამონმებული თეზისის ავტორი, მაგრამ, შემოწმებული გამოყენებული გადმოცემებისადმი მეტ-ნაკლები ნდობით განწყობის შემთხვევაშიც, მაინც სრულიად დაუშვებელია 1824 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოს ობიექტად თითქოსდა დავით აღმაშენებლის მიერ აღმართული ქვის ჯვრის მიჩნევა და არა იმავე ადგილას 1803 და 1809 წლებში დადგმული ქვისავე ჯვრების გააზრება. თუმცა, მიუხედავად ასეთი ხარვეზისა და იმ საგულისხმო ფაქტის გათვალისწინებისა, თუ რაოდენ უპერსპექტივოა მარტოოდენ ა. ანდრეევისათვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული მასალის მოძიება, ხსენებული სწავლულის ნააზრევიდან მაინც შედარებით უფრო მეტად გამოსჭვივის საკვლევი საკითხის ობიექტურად გაშუქების მოთხოვნილება. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ავტორი ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობას ქართველი მეფის ღონისძიებას უკავშირებს, განსხვავებით მის თანამედროვე სხვა მკვლევართაგან, რომელნიც იმავე საკითხის ახსნას ადგილობრივი სინამდვილისაგან მოწყვეტით ცდილობენ. მაგრამ, როგორც XIX საუკუნის ლიტერატურის გაცნობა გვარნმუნებს, ამნაირ ორიენტაციას მომხრეები არ გამოუჩინდნენ, რაც სავსებით ბუნებრივიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ არამც თუ XIX საუკუნის, არამედ ჩვენი ეპოქის ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილიც კი საკვლევი საკითხის შესახებ XIX ს-ში შემუშავებული ვერსიების მექანიკური გამზიარებლების როლით კმაყოფილდებოდა. ამას მოწმობს მაგალითად ი. არჯევანიძის ნაშრომში მოცემული შემდეგი განმარტება: „Перевал был назван „Крестовым” в 1824 году, когда водрузили крест на высшей точки перевального участка. Крест находится в стороне от нынешней дороги“⁴. ანალოგიურ პოზიციაზე დგანან აგრეთვე ვ. დოლიძე და რ. შმერლინგი, რომელთა შეხედულებით: „Крестовый перевал“

вал получил название от каменного креста, водруженного по приказанию Ермолова в 1824 г.⁵.

რამდენადაც მოტანილი მტკიცებანი ჩვენს მიერ კრიტიკულად შეფასებული შეხედულებების სრული განმეორებაა, მათი სავანგებოდ გარჩევის საჭიროება ამჯერად აღარც ჩანს. სამაგიეროდ, აუცილებელია სავანგებოდ გაესვას ხაზი იმ დეტალს, რომ თუ XIX ს-ის ავტორები ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობდნენ ჯვრის უღელტეხილის შესახებ არსებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ხსენებული ქართველი მკვლევარნი ფაქტიურად არ ცნობდნენ იმავე მონაცემებს. ასეთნაირი კვალიფიკაციის მიზანშეწონილობაში მკითხველს ეჭვი რომ არ შეეპაროს, ალბათ, სავსებით საკმარისი იქნება თუნდაც ისეთი შემთხვევის დამოწმება, როდესაც ერთ-ერთ ნაშრომში ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების ნარმომავლობა 1824 წლის მოვლენასთან კავშირშიც აიხსნა და იმავდროულად იქვე ქართულ ნერილობით ნყაროებში სახელწოდება ჯვართა ყელის უძველესი დროიდან არსებობაზეც იქნა მითითებული⁶. კიდევ უფრო სერიოზული დაბნეულობის საფუძველს ქმნის დასახელებულ ნიგნში შეტანილი ის განცხადებაც, თითქოს: „По последним данным название „Джврис угел-техили“ известно было в Грузии с древних времен (XI-XII век.)”⁷. ამნაირი მტკიცებიდან ხომ ძალაუნებურად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ძველ ქართულ ნერილობით ნყაროებში („ძეგლის დადება“, „ძეგლი ერისთავთა“ და სხვ.) დაცულმა და მეცნიერულ დონეზე არაერთგზის გაანალიზებულმა ცნობებმა ჯვრის უღელტეხილის შესახებ მხოლოდ ხსენებული თეზისის ავტორის მოღვაწეობის ხანაში შეიძინა პრაქტიკული ლირებულება მის მიერ პოლო დროს გამოვლენილი მონაცემების მნიშვნელობით. ვფიქრობთ, კონკრეტულ შემთხვევაში იმ რიგის უზუსტობასთან გვაქვს საქმე, რომელიც კომენტარს საერთოდ არ საჭიროებს. დაახლოებით იგივე ითქმის ციტირებული ნაშრომის ისეთ ხარვეზზეც, როდესაც ჩვენთვის სა-

ინტერესო გადასასვლელის ძველ, ქართული საისტონო
თხზულებებით ცნობილ, სახელწოდებად მიჩნეული ქუართა „ჯუართა ყელი”, არამედ მოგვიანებით ხმარებაში დანერგილი „ჯვრის უღელტეხილი”⁸. ერთი სიტყვით, ქართველ მკვლევა-
რთა ნამრომებშიც, ისევე როგორც XIX საუკუნის რუს და ევ-
როპელ სწავლულთა ნაწერებში, ჯვრის უღელტეხილის წარ-
მომავლობის განსაზღვრას ტრადიციულად თან ახლავს სერი-
ოზული ხასიათის შეცდომები, რომელთა სრულად გამომზეუ-
რების შესაძლებლობას ამჯერად მოკლებული ვართ წინამდე-
ბარე სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო. სამაგიეროდ,
დიდ ადგილს არ დაიჭერს იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ სა-
ნამ რომელიმე ქართველი ავტორი ზემოთ განხილულ უზუს-
ტობათა კრიტიკული შეფასებისა და საკვლევ თემაზე თავისი
ორიგინალური მოსაზრების ჩამოყალიბების საჭიროებას დაი-
ნახავდა, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე XIX საუკუნეში შე-
მუშავებულმა, ხოლო XX საუკუნეში მექანიკურად გაზიარე-
ბულმა ყველა ვერსიამ საბოლოოდ დასაბუთებული თვალსაზ-
რისის უფლებით საბჭოთა ენციკლოპედიაში ჰპოვა თავისი
ასახვა. ამას მოწმობს ენციკლოპედიაში მოცემული შემდეგი
განმარტება: „Крестовый перевал – перевал на Военно-Гру-
зинской дороге... Название получил в 1824 от каменного креста,
поставленного для обозначения точки перевала”⁹. ეს აზრი სრუ-
ლი სახით იქნა განმეორებული დიდი საბჭოთა ენციკლოპედი-
ის მესამე გამოცემის მე-13 ტომშიც¹⁰.

ენციკლოპედიის დონეზე ჯვრის უღელტეხილის სახელ-
წოდების ნარმომავლობის საკითხის ცალმხრივად გაშუქებაშ
კი, როგორც ჩანს, უკვე გვარიანად დააფიქრა ზოგიერთი ქარ-
თველი მკვლევარი. იმის შესახებ, რომ „ჯუართა ყელი” იხსე-
ნიება ჯერ კიდევ XIV საუკუნის ქართულ წყაროებში („ძეგლის
დადება” „ძეგლი ერისთავთა”), მითითებულია ნ. კვეზერელი-
კოპაძის გზამკვლევში¹¹, ხოლო აღნიშნული სახელწოდების
ისტორიულად არსებობა დასაბუთებულია ვალერიან ითონიშ-

კილის სპეციალურ გამოკვლევებში. როგორც გაირკვა, ჯვრის უდელტეხილის სახელწოდების ნარმომავლობის ახსნა 1824 წელს ნლის მოვლენასთან კავშირში გაუმართლებელი იყო თუნდაც იმ მიზეზით, რომ საკვლევ რაიონში ქვის ჯვრები აღმართეს ჯერ კიდევ 1803 და 1809 წლებში, რის კვალობაზეც ჯვრის უდელტეხილის სახელწოდების ნარმომავლობა, ლოგიკის თანახმად, უნდა დაკავშირებულიყო უპირველეს ყოვლისა სწორედ 1803 წლის ღონისძიებასთან. მაგრამ სამართლიანად ითქვა, რომ ხსენებული გადასასვლელის სახელწოდება არც 1824 წლის ღონისძიებას უკავშირდება და არც იმაზე ადრე ჯვრის ორჯერ აღმართვას. ზემოხსენებული ადგილის ტოპონიმიკაში სიტყვა ჯვარი რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ბევრად ადრე ყოფილა ცნობილი, რაც დასტურდება წერილობითი წყაროების მონაცემებით და ეთნოგრაფიული მასალებით¹².

მართალია, დასახელებულ ნაშრომებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დამტკიცდა ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ადრე შემუშავებული ვერსიების სრული უნიადაგობა და დამაჯერებლად დასაბუთდა ჯვრის უდელტეხილის სახელწოდების ნარმომავლობა მხოლოდ ადგილობრივი ქართული სინამდვილიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხებში სანახევროდ იქნა შეტანილი სასურველი სიცხადე, ვინაიდან მთლიანობაში აუხსნელი დარჩა ის, თუ დაახლოებით როდის და როგორი კანონზომერებით უნდა მომხდარიყო საკვლევი გადასასვლელის სახელდება ჯვრის უდელტეხილად. ამ თვალსაზრისით კი უთუოდ ყურადღებას იქცევს 6. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომი¹³, რომელშიც არა იმდენად საკუთრივ ხევ-მთიულეთის გამიჯნავი ჯვრის უდელტეხილის სახელწოდების, რამდენადაც ზოგადად სახელწოდება „ჯვრის უდელტეხილის“ ნარმომავლობა საქართველოს სამიმოსვლო გზებზე, მათ შორის უდელ-

ტეხილებზე მდებარე სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტების ფუნქციასთან პირდაპირ კავშირში იქნა განხილული.

6. კვეზერელი-კოპაძის განმარტებით, საქართველოს

ცალკეულ რაიონებში გზა-გადასასვლელებზე იდგა სხვადასხვა სახის ნაგებობანი – ქვის სვეტები, ქვაყრილები, ქვის ჯვრები ან მშრალი წყობით აშენებული და ასევე ჯვრად სახელდებული სამლოცველოები, რომელთაც ჰქონდათ გარკვევით დიფერენცირებული ორგვარი დანიშნულება: პრაქტიკულ-უტილიტარული და რელიგიურ-საკულტო. მაგრამ მათი ეს ფუნქციონალური მხარეები ისე იყო ურთიერთშეზრდილ-გადახლართულ-გადაწნული, რომ დიდხანს, თითქმის ბოლო დრომდე, დამკვირვებელთა და მკვლევართა თვალში ამ ძეგლთა სასულიერო დანიშნულება ჰყარავდა, ჩემალავდა, აუჩინარებდა არსებითს მხარეს – მათს თავდაპირველ, ძირითად, განმსაზღვრელ, პრაქტიკულ დანიშნულებას, რომლის გამოციქცეოდნენ ისინი კულტის ობიექტებად. ვითარების ასეთნაირად შეფასებასთან ერთად ავტორმა ხაზი გაუსვა იმ დეტალს, რომ მაღალ, ქვის აყუდებულ სვეტს, ქვის შექუჩულ გროვებს არ ეძახდნენ „ჯვრებს“, მაშინ როდესაც ქვებისაგან მშრალი წყობით მოწყობილ ნაგებობებს, რომელთაც საკულტო-სამლოცველო დანიშნულება ჰქონდათ, ადგილობრივი მოსახლეობა „ჯვარს“ უწოდებდა. ამის შესაბამისად კი იმ უღელტეხილებს, რომლებზედაც ისინი იყვნენ განლაგებულნი, დაერქვათ „ჯვრის უღელტეხილები“. 6. კვეზერელი-კოპაძის მითითებით, საქართველოში ორ ათეულზე მეტი „ჯვრის უღელტეხილია“. და ბოლოს, იმავე მკვლევარის შენიშვნით, ბევრ „ჯვრის უღელტეხილს“ დროთა მსვლელობაში დაუკარგავს თავდაპირველი, ძირითადი სახელწოდება და ახლა საქართველოს გეოგრაფიულ რუკებზე აღნიშნულია სხვა სახელებით. თქმულის საილუსტრაციოდ ავტორი იმოწმებს, ერთი მხრივ, ჯვრის უღელტეხილთა ძველ სახელწოდებებს (ჯვრის მინდორი, ჯვარი-მხთო, რკინის ჯვარი, ჯვრის თავი, ჯვრის წვერი,

ციხე-ჯვარი, ჯვარისი), მეორე მხრივ კი ჩამოთვლილი ადგი-
ლების თანამედროვე სახელწოდებებს (ტაგანური, ბადიში, ზე-
ჯვარი, ვენტლაშეტო, გომის ციხე, სველი მთები, გომბორი)¹⁴.
დამონაბეჭდული მოსაზრება არაა თავისუფალი სერიოზუ-
ლი უზუსტობებისაგან. ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით ავ-
ტორს იმაში, რომ საკულტო ულელტეხილის სახელწოდების
ნარმომავლობის ახსნას უნდა ვცდილობდეთ უნინარეს ყოვ-
ლისა სწორედ ჯვარის, ვითარცა ორმაგი ფუნქციის (საგზაო
ნიშნისა და საკულტო-სამლოცველო ნაგებობის) მქონე ობი-
ექტის მნიშვნელობასთან კავშირში, მაგრამ სრულიად გაუმა-
რთლებლად მიგვაჩნია ჯვრის ულელტეხილად ყველა იმ გზა-
გადასასვლელის სახელდება, სადაც კი ჯვარი იყო ლოკალი-
ზებული. ამნაირი ვარიანტის დაშვებისას მხედველობაში არ
არის მიღებული ის გარემოება, რომ არაერთ გზა-გადასას-
ვლელზე ჯვრების არსებობის მიუხედავად ყველა ამ ალაგისა-
თვის ჯვრის ულელტეხილი არ შეურქმევიათ. ნინთქმულის სა-
სარგებლოდ მეტყველებენ თუნდაც ნ. კვეზერელი-კოპაძის
მიერ თავის ნაშრომში მოტანილი ის მონაცემებიც, რომელთა
თანახმად საქართველოს სხვადასხვა რაიონში მდებარე გზა-
გასასვლელებზე მართლაც იყო აღმართული საგზაო ნიშნები
(მაგ., ქვის სვეტები, ლოდები), მაგრამ ამის შესაბამისად ყვე-
ლა ამ გადასასვლელს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კონკ-
რეტულ სახელწოდებად „ქვის სვეტის ულელტეხილი“ ან „ლო-
დის ულელტეხილი“ არ დამკვიდრებია. რამდენადაც ამგვარი
ვითარების ვარაუდის სახით ნარმოსახვა თვით ნ. კვეზერელი-
კოპაძესაც არ უცდია., მით უფრო მოულოდნელად და დაუჯე-
რებლად გამოიყურება სხვენებული ავტორის მოსაზრება
ათეულობით „ჯვრის ულლტეხილის“ არსებობის თაობაზე.

არანაკლებ თვალშისაცემია იმავე ავტორის მხრიდან იმ
ფაქტის გაუთვალისწინებლობაც, რომ მის მიერ დამონაბეჭ-
დული ე. ნ. ჯვრის ულელტეხილთა თითქოსდა ძველი, თუმცა
დროთა განმავლობაში სახეშეცვლილი, სახელწოდებანი (მაგ.


 ჯვრის მინდორი, ჯვარი-მხთო, რკინის ჯვარი და სხვ.) უნდა
 დახასიათებულიყვნენ მარტოოდენ ამა თუ იმ გზა-გზულს შესჭრა
 ლელის გარკვეული ადგილის და არა მთელი გზა-გადასასვ-
 ლელის აღმნიშვნელ ტოპონიმებად. მაგრამ ამ უკანასკნელთა
 მნიშვნელობის ასეთნაირი გაფართოების შემთხვევაშიც, რაც
 თავისთავად დაუშვებელია, ძალაუნებურად მოგვიხდება, ამ-
 ჯერად უკვე იმის აღიარება, რომ დასახელებული ტოპონიმე-
 ბის სახით საქმე გვაქვს არა ე. წ. ჯვრის ულელტეხილების
 ძველ და შემდგომში დაკარგულ სახელწოდებებთან, არამედ
 სავსებით ორიგინალური ეტიმოლოგიური მნიშვნელობის
 მქონე სახელწოდებებთან. მართლაც, თუკი ნ. კვეზერელი-კო-
 პაძისათვის საინტერესო ე. წ. ჯვრის ულელტეხილთა ძველ სა-
 ხელწოდებებად გამოვაცხადებთ ჯვრის მინდორს, ჯვარი-
 მხთოს, რკინის ჯვარს, ჯვრის თავს, ჯვრის წვერს, ციხე-
 ჯვარს და ჯვარისს, მაშინ ხომ, ელემენტარული ლოგიკის თა-
 ნახმად, ამ სახელწოდებებით ცნობილი ყველა გზა-გადასასვ-
 ლელი დამსახურებს არა ზოგადად ჯვრის ულელტეხილად,
 არამედ შესაბამისად ჯვრის მინდვრის, ჯვარი-მხთოს, რკინის
 ჯვარის, ჯვრის თავის, ჯვრის წვერის, ციხე-ჯვარის და ჯვა-
 რისის სახელწოდებების მატარებელ ულელტეხილებად გააზ-
 რებას. აქედან გამომდინარე, მკვლევარს მოეთხოვებოდა გა-
 ნემარტა, რომ თავისი თავდაპირველი სახელწოდება დაკარ-
 გეს სწორედ ჯვრის მინდვრის, ჯვარი-მხთოს, რკინის ჯვარის
 და სხვა ულელტეხილებმა არა ე, ნ, „ჯვრის ულელტეხილებმა“.
 თუმცა ჩვენ არც ამნაირი განმარტების მომხრენი ვიქნებო-
 დით, ვინაიდან საერთოდ გამოვრიცხავთ არა ერთი ან ორი,
 არამედ ათეულობით ულელტეხილის ძველი სახელწოდების
 უკვალოდ დაკარგვის შესაძლებლობას, რაც ნ. კვეზერელ-კო-
 პაძეს რამდენადმე გამარტივებულ მოვლენად ესახება. ასეა
 თუ ისე, ერთი რამ კი სავსებით ნათელია – როგორი კუთხი-
 თაც არ უნდა შევაფასოთ ნ. კვეზერელი-კოპაძის ნააზრევი
 ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, ავტორისეული თეზისი ათე-



ულობით ჯვრის უღელტეხილის არსებობის შესახებ არავითზე-
რი ფაქტობრივი მასალით არ საბუთდება. ამდენად, ის სამუშაოებით
ბით მიუღებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დეტალებზე,
თუ რაოდენ არსებით სხვაობას აქვს ადგილი ისტორიულ-ეთ-
ნოგრაფიული ტრადიციით ცნობილ სახელწოდება „ჯუართა
ყელსა“ და იმავე აღაგის გვიანდელ, მოდიფიცირებულ სახელ-
წოდება „ჯვრის უღელტეხილს“ შორის, რაც ასევე არ იქნა
მხედველობაში მიღებული ხსენებული მკვლევრის მიერ.

მაშასადამე, ნ. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომშიც ვერ მო-
ხერხდა ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების ნარმომავლო-
ბის საკითხის დაზუსტება. მართალია, ავტომა ზოგად ხაზებში
მაინც მიგვანიშნა იმაზე, თუ კონკრეტულად რა ობიექტისაგან
შეეძლო მიეღო სახელწოდება „ჯუართა ყელი“. ჩვენთვის საინ-
ტერესო გზა-გადასასვლელს, მაგრამ მაინც ერთობ ზედაპი-
რული დამოკიდებულება გამოიჩინა იმ უთუოდ მაპროფილე-
ბელი საკითხისადმი, თუ მაინც რა მიზეზით შეეძლო მიეღო
აღნიშნული ობიექტის („ჯვრის“) სახელწოდება მარტოოდენ
ერთ კონკრეტულ უღელტეხილს და არა ყველა იმ გზა-გადა-
სასვლელს, სადაც ანალოგიური ფუნქციის მქონე ნიშნულები
იყო აღმართული. არადა მხოლოდ ასეთი ორმხრივი მიდგომა
ნარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხის რამდენადმე
სრულფასოვნად გაშუქების უცილობელ პირობას, თუმცა სა-
მართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნ. კვეზერელი-კოპაძის
და ვალ. ითონიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა
უთუოდ კარგი სამსახური გაუწია შესასწავლი საკითხის უმ-
თავრესი ასპექტების დაზუსტების საქმეს. რაც მთავარია,
ხსენებულ ავტორთა ნაშრომებში დამაჯერებლად იქნა გაბა-
თილებული არაქართული მონაცემების შუქზე ჯვრის უღელ-
ტეხილის სახელწოდების ნარმომავლობის ახსნის ცდები, და,
ამდენად, აღნიშნული საკითხის კვლევას უთუოდ სწორი გეზი
მიეცა.

ყოველივე ამის შემდეგ იმის მოლოდინში უნდა ცყოფილი იქნებოდა ლიკავით, რომ ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებით არა ლოკალიზაციით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევარი პირველ რიგში ქართული წყაროების მონაცემებსა და მათზე დამყარებული კვლევა-ძიების შედეგებს გაითვალისწინებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად მოულოდნელი ვითარების ნინაშე აღმოვჩნდით. მხედველობაში მაქვს „მოგზაურთა კლუბის“ გადაცემა ცენტრალური ტელევიზიის 1985 წლის მაისის პროგრამით, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა საქართველოს სამხედრო გზის ისტორიულ ნარსულს თუ თანამედროვეობას და სადაც ტელემაყურებელთა ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე საგანგებოდ იქნა გამოტანილი ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის თაობაზე შემუშავებული სრულიად ახალი „ვერსია“. ამ უკანასკნელის ავტორად ამჯერად მოგვევლინა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჟებრი ისმაილის ძე კუსოვი, რომელმაც განაცხადა: „В семидесятых годах двадцатого века был открыт интереснейший памятник материальной культуры. Около селения Заманкул еще никто не обращал внимания на стоящий в ложбине каменный, довольно мощный крест. Когда его нашли, определили, описали, мы сразу почувствовали, что конечно же он связан с каким то интереснейшим событием. В начале была точка зрения а нет ли здесь какого нибудь захоронения. Сделали раскопки – нет захоронения. Более того. Мы обратили внимание на такую деталь: вокруг когда-то стояли мусульманские селения, и здесь же христианский символ. Как и почему мусульмане могли так обращаться, относится к кресту, не повредить, не убрать его? – Значит он играл какую-та роль в быту. Так какую-же роль? – Мы начали думать. Появилась интересная гипотеза – а не связан ли он с убийством в золотой орде ханом Улубеком Великого Тверского князя Михаила Тверского. Но вот мы больше относимся с интересом к другой версии, которая появилась совсем недавно. Просто Заман-



кульский крест это географический ориентир средневековья, когда почти все предкавказье было покрыто крестами-ориентирами, которые указывали на главные перевальные дороги. Однажды мы посмотрели в ясную погоду на Заманкульский крест и вдруг увидели, что он точно указывает перекрестиями на Дариальский проход, на Крестовый перевал. И мы подумали: а вот не назван ли Крестовый перевал по имени Заманкульского креста, который указывал всем караванам торговый путь – подойдите к кресту и держите путь прямо на Дариальский проход" (ტელეგადაცემის ეს ვერსია ჩავინარებული მაგნიტოფონზე – ვ. ი.).

დამონმებული მოსაზრება იმდენად მოულოდნელია ჩვენთვის, რამდენადაც ნინააღმდევობებით აღსავსე და მეტის-მეტად სუსტად აგრუმენტირებული. ეს უნინარეს ყოვლისა ვლინდება იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობაში, რომ თითქმის ქ. გროზნოს ჰორიზონტალზე ლოკალიზებული სოფ. ზამანყული ძალიან დიდი მანძილითაა დაცილებული საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებს, რასაც უსათუოდ უნდა დაეფიქრებინა ამ ვერსიის შემთხვეველი მკვლევარი. ამასთან ერთად, პ. კუსოვს მხედველობიდან გამოპარვია იმ საკითხის გარკვევის აუცილებლობაც, თუ რა პერიოდიდან ფიგურირებს ნერილობით ნყაროებში სახელწოდება ჯვართა ყელი და როდისაა გამოკვეთილი და აღმართული ზამანყულის ჯვარი. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ავტორი ვალდებული იყო ზედმინევნით ზუსტად დაედგინა მისთვის საინტერესო უღელტეხილის შესახებ არსებული ცნობებისა და ხსენებული გადასასვლელის სახელწოდების ნარმომექმნელ ობიექტად ნაგულისხმევი ზამანყულის ჯვრის დადგმის დროის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება. ამის გარეშე სრულიად ნარმოუდგენელია აღნიშნული „ვერსიის“ ლოგიკურად გამართვა მეცნიერული ნააზრევის დონეზე. მაგრამ პ. კუსოვმა ამის საჭიროება, როგორც ჩანს, ვერ დაინახა იმ მარტივი მიზეზით, რომ იგი საერთოდ არ

ავტორის კომპეტენტურობის სასარგებლოდ არ მეტყვე-
ლებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ მან დაბეჭითებით გამოაცხადა
ზამანყულის ჯვარი მაინცდამაინც გეოგრაფიულ ორიენტი-
რად, ხოლო მთელი ჩრდილოეთ კავკასია ასეთი დანიშნულე-
ბის მქონე ჯვრებით დაფარულ რეგიონად წარმოგვისახა. ძნე-
ლი სათქმელია რა მონაცემები დაედო საფუძვლად აღნიშნულ
თვალსაზრისს, მაგრამ ამ უკანასკნელის შეფასებისას ხომ
თვალშისაცემია იმავე ჯვრების, ვითარცა ორმაგი ფუნქციის
გამორჩეული ობიექტების მრავლად არსებობა არა მარტო
ჩრდილოეთ კავკასიის, არამედ საქართველოს ტერიტორია-
ზეც¹⁵. აქედან გამომდინარე, ჯვრის უცელტეხილის სახელწო-
დების ახსნას ჰ. კუსოვი ისევ და ისევ საქართველოს ფარგლე-
ბში დაფიქსირებულ მასალაზე დაფუძნებით უნდა ცდილოყო,
მაგრამ რამდენადაც ასეთ ცდას მკვლევარის მხრიდან საე-
რთოდ არ ჰქონია ადგილი, ვფიქრობთ სრული საფუძველი
გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მან რატომღაც გვერდი აუარა ამჯე-
რად უკვე ქართველ მკვლევართა ნაშრომების დამოწმებას.
ყოველივე წინათქმული კი გვაძლევს უფლებას უყოფმანოდ
განვაცხადოთ, რომ ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების
ახსნა ზამანყულის ჯვართან კავშირში მხოლოდ და მხოლოდ
ჰ. კუსოვის ფანტაზიის ნაყოფია.

მართალია, ჰ. კუსოვის მოსაზრება თავიდან ბოლომდე
მიუღებელია, მაგრამ სსენებულ „ვერსიას“ ის პრაქტიკული
ღირებულება მაინც გააჩნია, რომ მისმა გამოჩენამ კიდევ ერ-
თხელ თვალნათლივ დაგვარწმუნა შესასწავლ საკითხზე შეძ-
ლებისამებრ დაზუსტებული და ოპტიმალური მეცნიერული
თვალსაზრისის შემუშავების საჭიროებაში. აღნიშნული ვითა-
რებისა და საერთოდ საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით
დღემდე წარმოებული კვლევა-ძიების მთელი გამოცდილების
გათვალისწინება კი ჩვენ გვავალებს იმ უთუოდ მაპროფილე-

ბელი საკითხის გარკვევაზე საფუძვლიან მეცადინეობას, თუ მაინც რისგან და როგორ შეიძლება დამკვიდრებოდა სახულმართა წოდება „ჯუართა ყელი“ მარტომდენ არაგვის გზაზე მდებარე უმნიშვნელოვანეს უღელტეხილს.

აღძრულ კითხვებზე პასუხის გაცემა უნდა დავიწყოთ იმის განმეორებით, რომ სახელწოდება „ჯუართა ყელი“ მართლაც პირდაპირ კავშირს ავლენს საკულტო რაიონში ძეველთა-განვე მცირე ზომის ქვის ჯვრებთან და ასევე ჯვრებად სახელდებულ შედარებით მოზრდილ საკულტო ნაგებობებთან. ამასთან, როგორც სპეციალური ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, ხსენებული ობიექტების თავდაპირველი და უმთავრესი ფუნქციის განსაზღვრაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ერთ-ერთ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ ქართლის მოქცევის პირველ ხანებში აღმართული ქვაჯვარები თავდაპირველად მხოლოდ სალოცავ ძეგლებს ნარმოადგენდნენ, რომელთა ადგილი შემდგომში ჯვრის ტიპის ტაძარმა დაიქირა ან დროთა განმავლობაში ქვაჯვართა დანიშნულება შენელდა და დღეს ზოგან ისინი სამიჯნო ნიშნადაც მიაჩნიათ¹⁶. მოგვიანებით შემუშავებული სხვა შეხედულების მიხედვით კი ჩვენი ქვეყნის სამიმოსვლო გზებზე, უნინარეს ყოვლისა უღელტეხილებზე, დადგმული ჩვეულებრივი ქვის ჯვრები და ასევე ჯვრების სახელწოდებით ცნობილი საკულტო ნაგებობანი თავდაპირველად ძირითადად საგზაო ნიშნების ფუნქციას ასრულებდნენ, რის გამოც გადაიქცნენ კიდევაც ისინი კულტის ობიექტებად¹⁷. მართალია, პირველი მოსაზრება უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ მეორე თვალსაზრისიც ერთობ დამაფიქრებელია, რომლის შეფასება მოითხოვს ჯვრის უღელტეხილის გარემოსა და აქ გამავალი არა-გვის გზის მონაკვეთზე საგანგებოდ დაკვირვებას. მართლაც, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის დეტალი, რომ დასახელებული გადასასვლელის მისადგომებთან არაგვის

გზა სამი მიმართულებით იტოტება, რაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ე. ი. ხევისაკენ) მიმავალ მგზავრს საშუალებების, აძლევდა დიდეველზე გამავალ გზა-გადასასვლელის გარდა ესარგებლა ლუდის ხევისა და ხალის ხეობაზე გამავალი გვერდითი კომუნიკაციებითაც¹⁸.

ეს ფაქტი თავის მხრივ გვაძლევს უფლებას, რომ საკვლევი რაიონი გავიაზროთ ერთგვარ გზა-ჯვარედინად, სადაც მგზავრები თავისი შეხედულებისამებრ ირჩევდნენ ყველაზე ხელსაყრელ მარშრუტს. ამაში კი მათვის გარკვეული (თავდაპირველად ალბათ ქმედითი, ხოლო შემდგომში უფრო სიმბოლური) დახმარების გაწევა შეეძლოთ სწორედ საორიენტაციო მიზნით გზის განშტოების ადგილას დადგმულ ქვის ჯვრებს. როგორც ჩანს, ამგვარი დანიშნულების ქვის ჯვრების ფუნქციის დაკნინების შემდეგ ხსენებული საგზაო ნიშნები თანდათანობით გარდაიქმნენ კულტის ობიექტებად, რის შესახებაც თავის დროზე მითითებულ იქნა ნ. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომში. თუმცა, წინთქმულთან ერთად აუცილებელია საგანგებოდ განიმარტოს, რომ აღნიშნული ტრასფორმაცია შეეძლო განეცადა ქვა-ჯვართა მხოლოდ ერთ ნაწილს, ვინაიდან მათი უმრავლესობა, ასევე ჯვრებად სახელდებული საკულტო ნაგებობების ჩათვლით, ძველთაგანვე ფუნქციონირებდა ჩვეულებრივ სალოცავ ძეგლებად, რაც ასევე იქნა შენიშნული ვ. თოფურიას გამოკვლევაში. მართალია, ვითარების ასეთნაირად შეფასებით, ძირითადად იკვეთება ჩვენი დამოკიდებულება ხსენებულ მკვლევართა მოსაზრებისადმი, მაგრამ თხრობის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით ამჯერად მიზანშენონილია ღიად დავტოვოთ ჯვრებად სახელდებული ობიექტების ფუნქციის საკითხი, რადგანაც საკვლევ საკითხში ჯეროვანი სიცხადის შეტანისათვის მთავარი მაინც არა იმდენად ჯვრების დანიშნულების გარკვევაა, რამდენადაც იმის ახსნა, თუ რატომ იქნა ნანარმოები აღნიშნული ობიექტებისა-გან მარტოდენ ერთი უღელტეხილის სახელწოდება. მოცემუ-

ლი კუთხით კვლევის წარმართვა კი გულისხმობს ყურადღე-
ბის აქცენტირებას ჯვრის უღელტეხილის რაიონის და მის მიზანების
მიჯნავე (თუ მიმდებარე) ტერიტორიაზე ლოკალიზებული ძე-
გლების განსაკუთრებული სიმრავლის ფაქტზე.

უთუოდ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ არაგვის
გზის ძველი მარშრუტით მიმავალი და ჯვრის უღელტეხილის
რაიონში (მაგ. დიდველზე) მოხვედრილი მგზავრი დასავლე-
თით ხედავს მაღლა მთის წვერზე მდგარ ლომისის ეკლესიას,
ხოლო დიდველის თავზე აღმართულ მთაზე, სტრატეგიული
თვალსაზრისით მეტად მოგებიან ალაგზე დგას და ქვემოთ
გამავალ გზას დაჰყურებს ცეცხლის ჯვრის კომპლექსი. მათ-
თან ერთად, ყურადღებას იქცევს აგრეთვე ღუდის ხევში მდე-
ბარე ყველანმინდის ეკლესია, რომელსაც ემატება ასევე გა-
დასასვლელის რაიონში და მასთან უშუალო სიახლოების გან-
ლაგებული მრავალრიცხოვანი ციხე-კოშკები და ჯვარ-ხატე-
ბი. რად ლირს მარტო 60-კოშკიანი ხადის ხევის (უამთააღმნე-
რლისეული „ციკარეს“, „ვახუშტისეული „ციკარას“, ხოლო
ეთნოგრაფიული ტრადიციით „გაღმა ხადად“ სახელდებული
ტერიტორიული ერთეულის) და დაახლოებით 25-კოშკიანი
დიდველის (წერილობითი წყაროებით ცნობილი „ვაკე ჭადისა“
ან „დაბა ჭადა“, ხოლო მთიულთა მიერ „გამოღმა ხადად“ სახე-
ლდებული მიკრორაიონი, რომელიც რუსული მმართველობის
დამყარების პერიოდიდან ლიტერატურაში კაიშაურის ველის
სახელწოდებით ფიგურირებს) დასახელება. სხვადასხვა დანი-
შნულების მქონე ძეგლებით ესოდენ მდიდარ „მთის ალაგზე“
დაკვირვების შედეგად ჯვრის უღელტეხილის მთელი მიდამო,
მიმდებარე ტერიტორიითურთ, მართლაც საეულტო და საფო-
რტიფიკაციო ნაგებობების სიმრავლით გამორჩეული (და ამა-
სთანავე ოთხკუთხა ფორმის) მიკრორაიონის შთაბეჭდილებას
სტოვებს. ამასთან, ჩვენი აზრით, აღნიშნული რაიონი გაცი-
ლებით უფრო ძლიერ ზემოქმედებას იქონიებდა მნახველზე,
აქ რომ შემორჩენილიყო მკვლევართა მიერ სწორედ საკვლევ

ტერიტორიაზე ნაგულისხმევი მცირე ზომის ქვის ჯვრები, დროთა განმავლობაში გამწრალნი, ან მათ ადგილზე მარტინიუსული ჯვრის ტიპის ეკლესიებით შეცვლილნი. ამგვარი ტრანსფორმაცია ჯვრის უღელტეხილის რაიონში შეიძლება განვჭრიტოთ თუნდაც ცეცხლისჯვრის ეკლესიის კონკრეტულ მაგალითზე, თუმცა ამნაირი ვარაუდის სათანადო არგუმენტაციის გარეშე და იმის გაურკვევლადაც გეოგრაფიული სახელები უფრო დიდხანს ძლებენ, თუ ამ სახელებით აღნიშნული ადგილების დამახასიათებელი ნიშნები, ერთი რამ სავსებით ნათელია – საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა სიუხვის თვალსაზრისით, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მასტიაბით, პირველობა უდავოდ ეკუთვნის სწორედ საკულტო რაიონს. ეს გარემოება კი ძალაუნებურად განგვანყობს დასკვნისაკენ, რომ აღნიშნული სპეციფიკით გამორჩეულ მაკრორეგიონზე გამავალ გადასასვლელს მართლაც ყველაზე მეტად შეჰვეროდა სახელწოდება „ჯუართა ყელი”, რისი აღიარებაც თავის მხრივ მეტად ამარტივებს იმ საკითხებში ზუსტიად ორიენტირებას, თუ დაახლოებით როგორი კანონზომიერებით შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო ხსენებული სახელწოდება ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილის აღმნიშვნელობით.

წინთქმულის კვალობაზე, ასევე კანონზომიერად გვესახება სწორედ ჯვრის უღელტეხილის (და არა სხვა რომელიმე) რაიონში ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლე. ეს აიხსნება, ერთი მხრივ „მუნებური“ მოსახლეობის მიერ საკუთარი კუთხის უსაფრთხოების მიზნით წარმოებული აღმშენებლობითი საქმიანობით, რაც თავისთავად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტასაც აადვილებდა, მეორე მხრივ კი ცენტრალური ხელისუფლების სისტემატური ზრუნვით აქაურობის კეთილმოწყობაზე, რაზეც დამკვიდრებული იყო მთელი არაგვის გზის ნორმა-

მართალია, ოფიციალური ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით შემუშავებულ ღონისძიებათა საილუსტრაციო მონაცემები ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ დამოწმებულ ხარვეზს ნაწილობრივ მაინც ავსებს ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ იმ მონაცემებზე დაკვირვება, სადაც აღნერილია ჩვენი სახელმწიფოს მმართველთა მეცადინეობა მთელი არაგვის გზის, განსაკუთრებით კი მისი საზღვრისპირა მონაკვეთის გამაგრებაზე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ჯერ მირვან მეფის (ძვ. წ. III საუკუნის ბოლო და II ს-ის დასაწყისი), შემდგომ ვახტანგ გორგასლის, ბოლოს კი დავით აღმაშენებლის ღონისძიებები, მიმართული დარიალის კარის თავდაცვითი სისტემის განმტკიცებისაკენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ხელისუფლებას უყურადღებოდ დაეტოვებინა ჯვრის უღელტეხილის რაიონი. რასაკვირველია, დარიალთან შედარებით საკვლევი რაიონის გამაგრების საჭიროება ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ სამაგიეროდ არაგვის გზის უმთავრესი გზა-გადასასვლელის კეთილმოწყობაზე გარჯაც დარიალის კარის სიმტკიცისუნარიანობის ინტერესებთან კავშირში გაიაზრებოდა. მოცემულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კი უთუოდ ინტერესს იწვევს ა. ანდრეევის მიერ მოტანილი, თუმცა ჩვენთვის სრულიად უცნობი, გადმოცემა დავით აღმაშენებლის მიერ საკვლევ რაიონში ქვის ჯვრის აღმართის შესახებ. ჩვენი აზრით, რუსი სწავლულისათვის ხელმისაწვდომი მონაცემების ხარისხის მიუხედავად ისინი მაინც აგნარიშგასანევია და მათზე დაკვირვებას თან ახლავს იმ ვარაუდის გამოთქმის ცდუნება, რომ სახელოვან ქართველ მეფეს მართლაც შეეძლო არაგვის გზის გავლის დროს რაიმე ღონისძიებაში (თუნდაც ჯვრის აღმართვაში) მონანილეობის მიღება. არ არის გამორიცხული, რომ ამ რიგის მოვლენაში გამოხატულება ეპოვა მეფის სურვილს რამენაირად აღენიშნა

თავისი ინიციატივით წარმართული უმნიშვნელოვანება
ჩრდილოკავკასიური კამპანიის (იგულისხმება ყივჩამაგრაფია
მოსხლების საქმის ორგანიზება) წარმატებით მიმდინარეობა
ან უკვე დასრულება, რისთვისაც ყველაზე უფრო შესაფერის
დრო სწორედ არაგვის გზის უმთავრესი უდელტეხილის „გარ-
დავლის“ უამს უნდა გამოენახა. მოცემულ ვარაუდთან დაკვ-
შირებით მეტად ნიშანდობლივია საქართველოში რუსული
მმართველობის დამყარების დროიდან საკვლევ გზა-გადსასვ-
ლელზე ქვის ჯერის ორჯერ (1803 და 1809 წწ.-ში) აღმართვის
ფაქტიც, ვინაიდან ეს უკანასკნელი შესაძლოა ზოგადად მიგ-
ვანიშნებდეს იმ ძველი ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობა-
ზე, როდესაც ჩვენთვის საინტერესო უდელტეხილზე გზის
მეპატრონეთა ინიციატივით პერიოდულად ხდებოდა განსაზ-
ღვრული ფუნქციის მატარებელ ქვა-ჯვართა შეკეთება-განახ-
ლება ან ახალ ქვა-ჯვართა დადგმა. როგორც ჩანს, მარტო-
დენ აღნიშნული ტრადიციის მოქმედებაც სავსებით საკმარი-
სი იქნებოდა იმისათვის, რომ ხსენებული უდელტეხილის რაი-
ონში განსაკუთრებულად მომრავლებულიყო დასახელებული
ობიექტების რაოდენობა, ხოლო მოვლენათა ამგვარი მსვლე-
ლობის ძალით მთელი გზა-გადსასასვლელი მართლაც ტიპიუ-
რი „ჯვართა ყელის“ შთაბეჭდილებას მოახდენდა აქაურობის
მნახველ ნებისმიერ მგზავრზე.

ძნელი სათქმელია, ადგილობრივი (ე. ი. კუთხური) წარ-
მომავლობისაა ხსენებული ტოპონიმი, თუ ის ოფიციალური
ხელისუფლების მეცადინეობით არის ხმარებაში დანერგილი,
მაგრამ ამის გაურკვევლადაც დაბეჯითებით შეიძლება ით-
ქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო მთის ალაგისათვის დამახა-
სიათებელი თავისებურების განმსაზღვრელ ნებისმიერ ფაქ-
ტორს, პირველ რიგში კი ჯვართა სიმრავლეს, ერთნაირი სიმა-
რტივით შეეძლო დაემსახურებინა როგორც გზის მეპატრონე-
თა (ან აქ მოხვედრილ მგზავრთა), ისე მუნებურ მოხელეთა
ყურადღება. ამის შესაბამისად კი უდელტეხილისათვის ყვე-

ლაზე შესაფერისი სახელწოდების შერჩევა არც ავტორითა მულ და არც რიგით დამკვირვებელს არ უნდა გასჭირვებულ ამიტომ, ჩვენ ვერც ერთი მხარის ალლოს ვერ მივანიჭებთ გა-დამწყვეტ უპირატესობას.

არანაკლები სიძნელეები ახლავს თან აგრეთვე იმის და-ზუსტებას, თუ დაახლოებით როდის უნდა დამკვიდრებულიყო „ჯუართა ყელი“ ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილის ალ-მნიშვნელ სახელწოდებად. მოცემულ საკითხში მართებული ორიენტაციისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში გამოთქმული ის მოსაზ-რება, რომ „...ქვაჯვართა დასაბამი საქართველოში მოქცევის პირველ ხანებს უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელების-თანავე ჯვარმა მოიკიდა ფეხი. შემდეგში მის ადგილს იქცერს ტაძარი, და რაც საგულისხმოა, სწორედ ჯვრის ტაძარი. ამდე-ნად ჯვრის ტაძარი უშუალო გაგრძელებაა ჯვრისა თუ ქვა-ჯვარასი“¹⁹.

ვინაიდან აღნიშნული პროცესი საგულვებელია ჯვრის უღელტეხილის მაკრორაიონშიც, ბუნებრივია არსებობს იმ ვარაუდის გამოთქმის ცდუნება, რომ „ჯუართა ყელი“ ჯერ კი-დევ მაშინ შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო საკვლევი უღელ-ტეხილის სახელწოდებად, როდესაც აქ ქვა-ჯვართა დადგმა მოხდა. მაგრამ ამგვარ ვარაუდს ენინაალმდეგება ის ფაქტი, რომ საერთოდ ქვა-ჯვარები სხვა გზა-გადასასვლელებზეც იქნა დადგმული, რასაც არ მოჰყოლია მათი სახელდება „ჯუა-რთა ყელად“. რამდენადაც საქართველოს სხვადასხვა კომუ-ნიკაციებზე პირველ ქვა-ჯვართა დადგმა დაახლოებით ერთი და იმავე პერიოდის ღონისძიებად უნდა გავიაზროთ, ხოლო ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილის იმ სპეციფიკის გაფო-რმება, რისთვისაც მან სახელწოდება „ჯუართა ყელის“ მიღე-ბა დაიმსახურა, მოვლენათა საკმაოდ ხანგრძლივად მსვლე-ლობის შედეგი ჩანს, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხსენებული სახელწოდების გადაქცევა არაგვის აუზის

მთავარი უღელტეხილის აღმნიშვნელ ტოპონიმად ამ რაიონში
პირველ ქვა-ჯვართა დადგმაზე გაცილებით უფრო დაგვისას
უნდა მომხდარიყო, მაგრამ ზუსტად როდის, ამის დადგენა
ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში XIV საუ-
კუნემდე წერილობით წყაროებში ჩვენთვის საინტერესო უღე-
ლტეხილზე ცნობას საერთოდ არ ვხვდებით, ხოლო „ძეგლი
ერისთავთაში“ ის XIII საუკუნის მოვლენებთან კაშირში ფიგუ-
რირებს. როგორც აქედან ირკვევა, საკვლევი უღელტეხილის
სახელწოდებად „ჯუარის ყელის“ დამკვიდრების თარიღი არ
ემთხვევა წყაროებში ხსენებული ტოპონიმის პირველად ხსე-
ნების (XIV ს.) პარიოდს. თუმცა ეს გარემოება არავითარ შემთ-
ხვევაში არ იძლევა აღნიშნული მოვლენების ქრონოლოგიური
შეუსაბამობის მასშტაბების ხელოვნურად გაზიადების უფ-
ლებას. ჩვენი აზრით, ჯვართა ყელის სახელწოდების ხმარება-
ში დანერგვა საკვლევი უღელტეხილის ტოპონიმად დიდი დაგ-
ვიანების გარეშე ჰპოვებდა ასახვას წერილობით წყაროებში.
არავის გზის განსაკუთრებული პოპულარობა ამის ყველა პი-
რობას ქმნიდა, რაც კარგად ჩანს იმავე დარიალის მაგალი-
თზე. წინთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ უფრო იმ აზრისკენ
ვიხრებით, რომ სახელწოდება „ჯუართა ყელი“ დაახლოებით
XII საუკუნეში უნდა გადაქცეულიყო ხსენებული გზა-გადასა-
სვლელის აღმნიშვნელ ტოპონიმად.

მაშასადამე, ზემოთქმულის შეჯამების საფუძველზე შე-
გვიძლია დავასკვნათ, რომ სახელწოდება „ჯუართა ყელი“ და-
კავშირებული ჩანს ამ გზა-გადასასასვლელის რაიონში ძველთა-
განვე მდებარე ობიექტებთან, რომელიც სხვადასხვა დანიშ-
ნულების შესრულების მიუხედავად ჯვრების ზოგადი სახელ-
წოდებით იყვნენ ცნობილნი. მართალია, ეს უკანასკნელი სა-
ქართველოს არაერთ სხვა გზა-გადასასასვლელზეც იდგნენ, მა-
გრამ კონკრეტულ სახელწოდებად მათ „ჯუართა ყელი“ არ
დამკვიდრებიათ. ეს ტოპონიმი ლოკალიზებულია მხოლოდ ის-
ტორიული არგვის გზის უმაღლეს ზონაში, რომელიც თავისი

ლოკალური თავისებურებებით (უნინარეს ყოვლისა კი საფო-
რტიფიკაციო და საკულტო ნაგებობების, აგრეთვე საგზაო-
შენების განსაკუთრებული სიმრავლით) ყველა დანარჩენ გზა-
გადასასვლელზე უფრო მეტად იმსახურებდა აღნიშნული სა-
ხელნოდების მიკუთვნებას, რაც დაახლოებით XII საუკუნეში
უნდა მომხდარიყო. მართალია, უამთა სიავით მოისპო ბევრი
ის ობიექტი, რომელიც ხსენებული უღელტეხილის რაიონში,
ჩვენს ეპოქამდე შემორჩენილ ძეგლებთან ერთად, განსაზღვ-
რავდნენ კოდეც საკვლევი რაიონის განუმეორებელ სპეციფი-
კას, მაგრამ მიუხედავად ასეთი დნაკლისისა, აქაურობამ ნაწი-
ლობრივ მაინც შემოინახა თავისი უძველესი სახელნოდება.
ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე პოპულარულია ტოპო-
ნიმი „ჯორთვაკე“ (//ჯვართვაკე“). რაც შეეხება წერილობითი
წყაროებით (ცნობილ ტრადიციულ სახელნოდებას – „ჯუართა
ყელი“, ის საქართველოში რუსული მმართველობის დამყარე-
ბის დროიდან თანდათანობით შეიცვალა გამარტივებული
ფორმის ტოპონიმით – „ჯვრის უღელტეხილი“, რომელიც შემ-
დევში დატანილ იქნა ქვეყნის თანამედროვე გეოგრაფიულ
ატლასზე.

მითოებული ლიტერატურა:

1. Е. Г. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу (Военно-Грузинская дорога), Тифлис, 1888, с. 296.
2. ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, „ქართული სამართლის ძეგლები“, ი. დოლიძის რედ., ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 402; ძეგლი ერისთავთა, „ქართული სამართლის ძეგლები“, ი. დოლიძის რედ., ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 105; ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, „ქართლის

- ცხოვრება", ს. ყაუხეჩიშვილის რედ., ტ. II, თბილისი, 1959,
გვ. 443; ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსშესაჭრებში,
თვეელოსა, „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხეჩიშვილის რედ.,
ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 356.
3. А. Н. Андреев, От Владикавказа до Тифлиса. Военно-Грузинская дорога, Тифлис, с. 105-106.
 4. И. А. Арджеванидзе, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1954, с. 194.
 5. В. Долидзе, Р. Шмерлинг, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1956, с. 35.
 6. ი. არჯევანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.
 7. იქვე.
 8. იქვე.
 9. БСЭ, т. 23, второе издание, М., 1953, с. 353.
 10. БСЭ, т. 13, третье издание, М., 1973, с. 395.
 11. Н. Н. Квазерели-Копадзе, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1967, с. 98-100.
 12. ვალ. ითონიშვილი, ჯვრის უდელტეხილის სახელწოდება-
ნი, უ. „მაცნე", ისტორიის.... სერია, 1974, №1; მისივე, და-
რიალის გზა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში.
ჯვრის უდელტეხილი. უ. „მნათობი", 1983, №9; მისივე, მე-
გობრობის გზა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდ-
ნა", თბილისი, 1983.
 13. 6. კვეზერელი-კოპაძე, გზათა მშენებლობა საქართველო-
ში, თბილისი, 1974.
 14. 6. კვეზერელი-კოპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135-168.
 15. ვ. თოფურია, ქვაჯვარნი საქართველოში, „მასალები საქა-
რთველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვეთი IV,
თბილისი, 1942; 6. კვეზერელი-კოპაძე, დასახ. ნაშრომი,
გვ. 143-165.
 16. ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.
 17. 6. კვეზერელი-კოპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144-163.



ეროვნული
ბიблиოთეკა

18. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1983, გვ. 32-48.
19. ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

**შავი ზღვის აუზის ეთნიკური გეოგრაფიდან
(ნინასნარი მონახაზი)***

შავი ზღვის სანაპირო ზოლი მიმდებარე ტერიტორიები-თურთ ოდითგანვე ნარმოადგენდა იშვიათი პოლიეთნიკუ-რობით გამორჩეულ რეგიონს, სადაც საუკუნეების მანძილზე ადგილი ჰქონდა ევროპული და აზიური ცივილიზაციების ინ-ტენსიური კონტაქტებით სტიმულირებულ ეთნოევოლუციურ და ეთნოტრანსფორმაციულ პროცესებს. შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ფორმირება ამა თუ იმ ქრონოლოგიურ მონა-კვეთში და მისი ეთნიკური ფიზიონომიის სისტემატური ცვლა შეპირობებული იყო ისეთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებით, როგორებიცაა, მაგალითად, ე. წ. „ეგეოსური ხა-ლხების“¹ და თრაკიულ-კელტური ტომების პერიოდული შეჭრა მცირე აზიაში და ზღვისპირა რაიონებში მათი დამკვიდრება (ძვ. წ. XIII-VIII სს.), შუა აზიიდან დაძრული ირანულენოვანი სკვით-სარმატების ინკორპორაცია ჩრდილო კავკასიისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რაიონებში (ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევრიდან), თავდაპირველად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთ-სა და აზოვისპირეთში მცხოვრები და შემდეგ სკვითებისგან გამოდევნილი კიმერიელების მასობრივი მიგრაცია სამხრე-თისაკენ აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროების (ე. წ. მეოთხი-და-კოლხეთის გზის) გავლით (ძვ. წ. VIII-VII სს), შავიზღვისპი-რეთის ბერძნული კოლონიზაცია (ძვ. წ. VII-VI სს.), ოსმალეთი-სა და რუსეთის იმპერიათა ბრძოლა შავი ზღვის „შიდა ტბად“ გადაქცევისათვის და ა. შ.

¹ რედაქტორის კომენტარი: პირველად დაიბეჭდა გაზეთში - „ახალი ერა“, 2002 წ. №78.



სწორედ ამ რიგის ისტორიული კატაკლიზმების კანონი ზომიერი რეზულტატია ხაზგასმული რეგიონისათვის დამახმარებელი სიათებელი თანამედროვე ეთნოგეოგრაფიული სიტუაციაც, რომელიც დიდად განსხვავდება თუნდაც ორი საუკუნის წინანდელი ვითარებისაგან.

დღესდღეობით ჩვენთვის საინტერესო არეალი პირობითად ოთხ უმთავრეს სექტორად შეიძლება დაყოს, რომელიც ტერიტორიულად შეეფარდება შესაბამისად უკრაინა-რუსეთის ზღვისპირა რაიონებს (ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი), საქართველოს ზღვისპირეთს (აღმოსავლეთი სექტორი), თურქეთის სანაპირო ზოლს (სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი სექტორი) და თურქეთ-ბულგარეთ-რუმინეთის ზღვისპირეთს (დასავლეთი სექტორი).

პირველი სექტორის დასავლეთი მონაკვეთი (უკრაინის ტერიტორია) რუსებისა და უკრაინელების, ხოლო აღმოსავლეთი უბანი (რუსეთის ტერიტორია) ძირითადად რუსების კომპაქტური განსახლების რეგიონებს წარმოადგენს. მაგრამ მათი ესოდენ მასიური კონცენტრაცია ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აქ ოდითგანვე ცხოვრობდნენ. რუსებიც და უკრაინელებიც შავი ზღვის სანაპიროებზე მოგვიანებით (და-ახლოებით XVIII საუკუნიდან) დასახლდნენ, ე. ი. მას შემდეგ, რაც აღნიშნული რაიონები რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. მანამდე შავიზღვისპირეთის როგორც ჩრდილო, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთ უბნებზე სლავების კომპაქტური მოსახლეობა თითქმის არსად ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტამანის ნახევარკუნძულზე დროებით (X-XII სს.) გაჩენილ ძველ რუსულ დასახლებას ტმუტარაკანს და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ასევე დროებით წარმოქმნილ თითო-ოროლა ქალაქს. სამაგიეროდ, უძველესი დროიდან ვიზრე XVIII საუკუნემდე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ერთ-მანეთს თანმიმდევრულად სცვლიდა კიმერიული, სკვითურ-

სარმატული, ბერძნული, თურქულ-თათრული ეთნიკური ეტნო-მენტები. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის კუნძულების რეთს, აქ ოდითგანვე აღიღეური მოდგმის ტომები (აზტკებული წყაროების სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქაველები, ზოგები ან ზიხები) ცხოვრობდნენ, რომელნიც XV-XVIII სს. წყაროებში ზოგადად „ჩერქეზების“ შემკრებლობითი სახელწოდებით ფიგურირებენ. რუსეთის იმპერიის მიერ მათ მიმართ გატარებულმა ეთნოციდის პოლიტიკამ ვეებერთელა სანაპირო ზოლი ტამანიდან ვიდრე საქართველოს საზღვრამდე მონეთნიკურ რეგიონად (resp. რუსეთად) აქცია.

მეორე სექტორი იმითაა ლირსშესანიშნავი, რომ პირველი სექტორისაგან განსხვავებით მის ორ უმთავრეს უბანზე (1. აფხაზეთი; 2. სამეგრელო-გურია-აჭარა) დაცულია ორი ეთნიკური მასივი ქართველებისა და აფხაზების სახით. მართალია, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულ-აფხაზური მოსახლეობის გვერდით ლოკალიზდება რუსების, სომხების, ბერძნებისა და ესტონელების ეთნოდისპერსული ჯგუფებიც, მაგრამ ეს უკანასკნელი მოგვიანებით (უპირატესად XIX-XX საუკუნეებში) დამკვიდრდნენ აქ.

აფხაზების (თვითსახელწოდება „აფსუა“) ეთნიკური ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხი ჯერაც ბურუსითაა მოცული და უკიდურესად ტენდენციურად შუქდება, რაც უნინარეს ყოვლისა საძიებელი ხალხის ეთნონიმიკისა და ეთნიკური გეოგრაფიის პრობლემების ფრიად ზერელე დამუშავებით და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შეუწყნარებელი „ორი აპორიგენი ერის“ თეზისის უცნაური „სიცოცხლისუნარიანობით“ აიხსნება.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ონომასტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, აფხაზ-აფსუები კოლხეთის მიწა-წყალზე გარკვეული ქრონოლოგიური პერიოდიდან ინფილტრირებული ეთნოსია, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში

დღესაც ეგულვება ეთნიკური განაყარი ყუბანის აუზში მცხოვრები ხალხის – აბაზების (თვითსახელნოდება „აბაზებური სახით, თავად აბაზები კი ადილეური ეთნიკური მასის დერივატია. მეტად სიმპტომატურია, რომ თურქები აფხაზებს „აბაზას“ უწოდებენ, რაც ძალაუნებურად აბაზას და აფხაზის (აფსუას) იდენტურობაზე მიგვანიშნებს. გამომდინარე აქედან, „აბაზას“ ანალოგიურად „აფხაზიც“ ადილეური ეთნიკური მასის დერივატია.

აფხაზ-აფსუებისა და აბაზების ურთიერთობა ეთნოკვალიტატიური თვალსაზრისით თითქმის ისეთივეა, როგორიც, მაგალითად, ჩაჩნებისა – ინგუშებთან, ადილეელებისა – ყაბარდოელებთან და ჩერქეზებთან, რუმინელებისა – მოლდაველებთან და ა. შ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ აბაზები აფხაზებს უწოდებნ „აშვას“, ხოლო აფხაზები აბაზებს ეძახიან „აშუას“. 1929 წელს ს. ჯანაშიას მიერ ჩაწერილი ეთნოლინგვისტური მასალების თანახმად, აბაზები აფხაზ-აფსუებს აბაზური (კერძოდ, მედოვეური) მოდგმის ტომად მიიჩნევდნენ და საკუთარ ენას და ტომობრივ ქსოვილსაც (აფსუას ჩათვლით) აღნიშნავდნენ ტერმინებით: „აფსაშ>ა“, „აფსაშ>ქუა“. ამდენად, სრულიად ნათელია, რომ ეთნონიმები „აშუა“//„აშვუა“ და ენის აღმნიშვნელი „აფსაშ>ა“//„აფსაშ>ქუა“ ერთიან აბაზურ-აფსუურ ეთნიკურ მასას ფარავს. ასე, რომ აბაზები და აფსუები უყოყმანოდ შეიძლება გავიაზროთ ერთი და იგივე ეთნოსის შემადგენელ ორ ეთნოგენტილურ ჯგუფად.

მაშასადამე, რამდენადაც აბაზები ადილეური ეთნიკური სამყაროს მონასხლეტია, ცხადია, მათი განაყარი ანინდელი აფსუების ეთნიკური ფესვებიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, სახელდობრ ყუბანის აუზში არის საძებნი და არა კოლხეთის ტერიტორიაზე.

აბაზ-აფსუების მოძრაობას კოლხეთის ზღვისპირა რაიონებისაკენ და აქ მათი წინაპრების ინკორპორაციას ადგილი

უნდა ჰქონოდა ჩრდილო კავკასიაზე სარმატ-ალანთა დიდი მონოლის ეპოქაში (ძვ. წ. I საუკუნის მიწურულს ან ახ. ენ. სამხრეთი უკუნის დამდეგს).

მესამე სექტორი ძირითადად თურქების, ხოლო ნაწილობრივ ქართველების (უპირატესად ჭანების ან ლაზების), მუჭაჯირობის დროს გადმოსახლებული ადილურ-აფხაზური ეთნიკური ჯგუფების (ე. წ. „ჩერქეზების“) და ბერძნების განსახლების არეალს წარმოადგენს. თურქებმა XI-XII სს-დან მოიციდეს ფეხი საერთოდ მცირე აზიაში და კონკრეტულად შავიზლვისპირეთში. მანამდე აღნიშნული სექტორის დასავლეთი და ცენტრალური უბნები ბერძნულ, თრაკიულ და კელტურ მოსახლეობას (მაგალითად, ბითინიელებს, გალატელებს), აგრეთვე გაურკვეველი ეთნიკური ვინაობის პაფლაგონიელებს ეკავათ, ხოლო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და მასთან უშუალო სიახლოვეში მდებარე რაიონებში ქართველური ტომები (ანტიკური წყაროების ხალდ-ხალიბები, მოსინიკები, ტიბარენები, მაკრონები, ბიძერები, სანები ან ჭანები და სხვ.) იყვნენ განსახლებულნი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჭანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ჭანები (ან ლაზები) ძველთაძველი ქართველური ეთნიკური მასივის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად წარმოჩნდებიან, რომელიც კარგა ხანია მოსწყდნენ ქართველ ეთნოსს და სამნუხაროდ ინტენსიურ ეთნოტრანსფორმაციულ პროცესში არიან ჩართულნი.

მეოთხე სექტორის მცვიდრთ დღესდღეობით შეადგენენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ კიდეზე მცხოვრები თურქები, მათ ჩრდილოეთით ლოკალიზებული ბულგარელები და რუმინელები. თურქების დამცვიდრება აქ XV საუკუნის მერმინდელი ფაქტია. მანამდე მათ ამ რაიონში უსწრებდა თრაკიული და ბერძნული მოსახლეობა. ბულგარელები ბალკანეთში VI-VII საუკუნეებში გადმოსახლებული სლავების ადგილობრივი თრაკიული მოსახლეობისა და VII საუკუნეში

შრდილო შავიზღვისპირეთიდან მოსული თურქული მოდგმის
 ბულგარების შერწყმის გზით წარმოქმნილი ეთნოსია. ხოლო აღმი-
 რაც შეეხება რუმინელებს, ისინი შავიზღვისპირა და დუნა-
 ისპირა რაიონებში განსახლებული უძველესი თრაკიული ტო-
 მების (გეტების, დაკების და სხვ.) რომანიზირებულ მემკვი-
 დრეებს წარმოადგენენ.

21.05.1997 წ.

ერთობლივ

ტერიტორიული თავი საქართველოში

ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის უმნიშვნელოვანებს კომპონენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვადასხვა დროისა და სახეობის თემის სტრუქტურას. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული წომინაციით ცნობილია სამი კატეგორიის თემი – გვაროვნული, საოჯახო და ტერიტორიული. პირველი მათგანი, რომლის არსებობის საფუძველი იყო სისხლით ნათესაობა, ფუნქციონირებდა გვაროვნულ წყობილებაში, რის გამო მისი პირვანდელი ფორმის შესწავლისათვის არც წერილობითი წყაროების მონაცემები არსებობდა და არც შესაბამისი ეთნოგრაფიული მასალა. უკეთეს შემთხვევაში სამეცნიერო კვლევა-ძიებას ექვემდებარება მხოლოდ ყოფაში შემორჩენილი გადმონაშთური ტრადიციები. ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით ასევე შეუძლებელია საოჯახო თემის რეკონსტრუქცია. ამიტომ, კვლევის ობიექტად გვესახება მრავალთაობიანი დიდი ოჯახი, როგორც საოჯახო თემის ტრანსფორმირებული სახეობა. აღნიშნული უძველესი სოციალური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით ხელშესახები წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე შეისწავლება ტერიტორიული ანუ სამეზობლო თემი, რომლის არსებობა დასტურდება ფეოდალიზმის პერიოდში და XIX საუკუნეში.

საქართველოში მრავალნლიანი კვლევის შედეგად თვალიათლივ გამოჩნდა, რომ ძველი ყოფითი კულტურის, მათ შორის სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთური მოვლენები უპირატესად მთიანეთის მოსახლეობამ შეინარჩუნა. აღნიშნული ვითარების საფუძველი იყო ბარში კლასობრივი ურთიერობის ბევრად ადრე და ინტენსიურად განვითარება მთი-



ანეთთან შედარებით. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა მთიანეთისათვის არ იყო დამახასიათებელი, დავას არ იწვევს. ერთიანი სახელმწიფო ბრიტის ფარგლებში მთიანეთი სამეფო ხელისუფლებას ემორჩილებოდა სახელმწიფო ფეოდალიზმის დონეზე. ასეთ პირობებში თემობრიობის ტრადიციები ქმნიდა მთიანეთის მოსახლეობის ცხოვრების პროფილს, რომლის დამადასტურებელია ტერიტორიული თემის არსებობა ცალკეული კუთხეების ლოკალური მახასიათებლებით.

იმის გამო, რომ ტერიტორიული თემის შესწავლა მთიანეთის ყველა კუთხის მიხედვით მოცულობით ლიმიტირებულ ნაშრომში შეუძლებელია, შემოვიდარგლები მხოლოდ რამდენიმე მათგანის თავისებურების წარმოჩენით.

ტერიტორიული თემის სტრუქტურითა და თემობრიობის ტრადიციებით გამორჩეულ ერთ-ერთ კუთხეს წარმოადგენდა სვანეთი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ । საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი წერდა: „სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ; ფლობენ ისინი ორგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 კაცისაგან შემდგარი, და, როგორც ამბობენ, ჰყრებენ ლაშქარს 200 000 კაცის რაოდენობით“ (27, გვ. 126).

დამოწმებული ცნობა სვანეთის ესოდენ ვრცელი ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმრავლის შესახებ გადაჭარბებულია, მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ სტრაბონის ცნობა ეხება შორეული წარსულიდან მომდინარე თემობრიობის ტრადიციას მმართველი საბჭოს ფუნქციონირებით და სამხედრო დემოკრატიის კომპონენტებით.

მართვა
ეკონომიკა

ტერიტორიული თემის სტრუქტურა და მისი მშაობების სისტემა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ფეოდალური ზმის ხანის წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ სვანეთში რამდენიმე სოფლის გაერთიანებას ერქვა საზოგადოება ან სოფლობა ("აბუასდ"), ხოლო საზოგადოების კავშირს – ხეობა ("კუობ"). აღნიშნული ტერიტორიული ერთეულებისაგან განსხვავებით, უძველესი დროიდან არსებულსა და ერთი ნინაპრის მთამომავლობას გვარეულობის სახით ეწოდებოდა თემი ("ლამხუბ"), რომლის წევრებიც შორს წასული გენეალოგის, გამრავლებისა და რამდენიმე სოფელში განსახლების მიუხედავად, ერთმანეთში ნათესაობას და ურთიერთშორის მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ. შეუძლებელი იყო თემის შიგნით ქორწინება. მათი ერთობის გამომხატველი იყო სათემო სალოცავი, დღესასწაულები და საერთო სასაფლაო. ლამხუბს ეკონომიურად აერთიანებდა სათემო სათიბ-საძოვრები და ტყე (25, გვ. 106, 115-117).

შემდგომი კვლევის შედეგადაც გამოჩნდა, რომ თემთა კავშირი წარმოადგენდა ტომობრივი ხასიათის გაერთიანებას, რომელსაც ეწოდებოდა „ერთობილ სვანეთის ჭეშ“, ანუ ჭეშ ბედნიერი". მისი განსახლების სივრცეს გააჩნდა თავისი საზღვრები, რაც ხშირად იცვლებოდა საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად. ფაქტიურად ერთობილი სვანეთის ხევი, ბალს ქვემო სვანეთში დადგეშქელიანების გაბატონებამდე, აერთიანებდა ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთს. მთელი სვანეთის ყრილობის შესაკრებ ადგილად მიჩნეული ყოფილა აღმოსავლეთით უშგული, დასავლეთით ლალვერი, ხოლო სვანეთის შუა ნაწილში იფარის მინდორი – „სვიმონი“ (31, გვ. 165-167).

ერთობილი სვანეთის ხევის შიგნით არსებულ ლოკალურ ხევებს ეწოდებოდათ ბალს ზემო სვანეთში ლაკრანი, ბალს

ერთობილ სვანეთის ხევის შეკრებას, რაც სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა, სვანეთის ყველა თემს ბუკით (საყვირით) ატყობინებდნენ. ასეთ შეკრებაზე განიხილებოდა ერთობილ ხევის საკითხები და კალას თემის ლაგურკას ეკლესიაში იდებოდა ფიცი მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის. განსახილველი საკითხების რიგს განეკუთვნებოდა უმთავრესად მთელი სვანეთის ამოცანების განხორციელება მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში, რაც საჭირო შემთხვევაში სალაშქროდ მომზადებასაც ითვალისწინებდა (31, გვ. 69, 170-172).

სათემო მმართველობის უზენაესი ინსტანცია იყო ერთობილ სვანეთის საზოგადო კრება („ლუზორ“) ან ყრილობა („ლუხორ“). მასში მონაწილეობდა 20 წელზე მეტი ხნის ყველა მამაკაცი. ისეთ შემთხვევაში კი, თუ ოჯახიდან რომელიმე მამაკაცი ყრილობას დააკლდებოდა, საერთო სასვანეთო შეკრებაში ქალიც მონაწილეობდა. საერთოდ, ასეთი უფლებით სარგებლობდნენ გონიერებითა და ავტორიტეტით სახელმოხვეჭილი ქალებიც.

ყრილობის უფლებებში შედიოდა მოსახლის აყრა, მისი სახლ-კარის გადაწვა, დამნაშავეთა მოკვეთა, ქვეყნის მოღალატის ან ეკლესიის მძარცველის სიკვდიდლით დასჯაც. ყრილობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა ქურდობისა და უზნეობის აღკვეთა, გადამტერებული ოჯახებისა და გვარების მორიგება-დაშოშმინება, მოსისხლეთა შერიგება „ნორის“ (საურავის) გადახდის პირობით, ჩრდილო კავკასიაში სამეკობროდ წასვლის ორგანიზაცია, თემთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება, ტყვეების დახსნა შეგროვებული თანხით, საქორნინო კავშირის რეგულირება ნათესაობის ნორმების გათვალისწინებით და ა. შ. (25, გვ. 85).

თემის მოქმედ ძალას წარმოადგენდა ყოველ ხუკუკის უკეთესო ვაჟკაცებისაგან შედგენილი „სუიმრა” (შეიარაღებული რაზმი), რომლის ჩარევა ხდებოდა თემის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. თემთა ასეთი რაზმები ერთიანდებოდა ერთობილი ხევის სვიმრაში, რომლის გამოყენებითაც ხორციელდებოდა ყველა სახის დანაშაულის აღკვეთა და სვანეთის კრების გადაწყვეტილებათა აღსრულება. სვიმრას უფლებამოსილებაში შედიოდა აგრეთვე მეზობელ მხარეებში ლაშქრობა ბეგარის ასართმევად. თემში დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში (ლალაჭი, ქურდობა, ჩხუბი, სახნავ-სათიბის წახდენა, უქმის გატეხვა) სვიმრა დამნაშავეს ავალდებულებდა საურავის („ჰიბარ”) გადახდას თემისა და სოფლის სასარგებლოდ (31, გვ. 189-198).

მეზობელი თემების დაბეგვრასთან ერთად მებეგრეობას ადგილი ჰქონდა თვით სვანეთის თემთა შორისაც. წერილობითი წყაროებისა (13, გვ. 44) და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სვანეთის თითოეულ თემს ჰყოლია თავისი მებეგრები, რომელთა საქმიანობას „ქვეყნისა ჩენილნი” (თემთა რჩეულები სათემო საბჭოში) განავებდნენ. მებეგრეობა ნიშნავდა ძლიერი თემის მიერ სუსტი თემის დაბეგვრას. ამ მხრივ ცნობილი იყო მულახის ძლიერი თემისადმი სუსტი თემების (წვირმი, იფარი, კალა, ჰადიში, მუჟალი) მებეგრეობა – გამასპინძლება. ვალდებულების შეუსრულებლობას მოყვებოდა ჩხუბი, ხოლო შესრულების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნებოდა „მეგობრობა” იმ დონეზე, რომ დაქვემდებარებული თემებისათვის მულახელებს დახმარებაც კი მართებდათ. იქვე, სადაც ფეოდალური ურთიერთობა იყო ფეხმოკიდებული (მაგალითად, ლაშეთის თემში), სავალდებულოდ ითვლებოდა ნივთიერი გადასახადი დადიანისათვის – ე. ნ. „დადიანა ბეგარ” (31, გვ. 177-178).

თემობრივი მმართველობის სისტემაში პირველ პირად ითვლებოდა „მახვში”, როგორც სათემო ან სასოფლო ყრილო-

ბის თავმჯდომარე. მისი არჩევის საფუძველი იყო პიროვნული ღია კონცენტრირებული ებისადმი ერთგულება – პატიოსნება, სიმამაცე, გამოცდილება, საზოგადო ებისადმი ერთგულება. ჩვეულებისამებრ მას ირჩევდა საზოგადოება ყველა სრულწლოვანი მამაკაცის მონაწილეობით. ნდობის მოხვეჭის შემთხვევაში მახვში თავის მოვალეობას სიბერემდე ასრულებდა. სამართალწარმოებაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ მოდავე მხარეთა მიერ თანაბარი რაოდენობით (2,6 ან უკიდურეს შემთხვევაში 12 კაცი) არჩეული მსაჯულები („მორვარ“), რომელთა ერთი ნახევარი ერთი მოდავის, ხოლო მეორე ნახევარი მეორე მოდავის ინტერესებს იცავდა. მახვშს არავითარი გასამრჯელო არ ეძლეოდა. ერთადერთი ის იყო, რომ მეთემეები სამეურნეო საქმიანობაში ეხმარებოდნენ მისი მოუცდელობის გამო (25, გვ. 90-95).

სათემო მმართველობაში მონაწილეობდნენ ცალკეული ხევების ანუ თემის მახვშები და არა „თემის ქორა მახვშები“, როგორც ეს ითქვა ერთ-ერთ ნაშრომში (31, გვ. 168). „ქორა მახვში“ ეწოდებოდა ოჯახის უფროსს და არა თემის მახვშს. ორივე შემთხვევაში მახვში ნიშნავს უფროსს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ერთია თემის მახვში, ხოლო მეორე – ოჯახის მახვში. ეს უკანასკნელი შეიძლება ყოფილიყო ოჯახის სრულუფლებიანი ნარმომადგენელი მთელი სვანეთის თუ მისი რომელიმე თემის ყრილობაზე.

სვანეთის საისტორიო ძეგლებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ერთობილ სვანეთის ხევს ჰქონდა თავისი დროშა – „ლემ“ ლომის გამოსახულებით (ზოგიერთი გადმოცემით დროშაზე მგელი იყო გამოსახული), რომელსაც მელომე ანუ მედროშე ატარებდა. ბალს ზემო სვანეთში მეჭურჭლის არსებობაც დასტურდება, რომელიც ხევის საეკლესიო ქონებას მეთვალყურეობდა. აღნიშნულ მოვალეობათა შემსრულებლებს საპატიო ადგილი ეჭირათ ერთობილ სვანეთის საბჭოში (31, გვ. 172-174).

განხილული მონაცემებით აშეარავდება სამეზობლო/ ურთიერთობაზე დამყარებული ტერიტორიული თემისაჭირო/ ბობა სვანეთში, რაც სათავეს იღებს სტრაპონის დროიდან და სამხედრო დემოკრატიის ნიშნებით ფუნქციონირებს ფეოდა- ლურ ეპოქაში. სოციალური განვითარების დონით განსხვავე- ბა შეინიშნება ბალს ზემო, ბალს ქვემო და ქვემო სვანეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ სპეციფიკის გათვალისწინე- ბით ერთობილი სვანეთის შესახებ მეცნიერებაში ჩამოყალი- ბდა განმაზოგადებელი შეხედულება, რომ XII-XIII ს. სვანეთი იმყოფებოდა გარდამავალ საფეხურზე სამხედრო დემოკრა- ტიიდან ადრეფეოდალურ ურთიერთობაში. მონლოლების თუ თურქების შემოსევების დროსაც „სოციალურ-პოლიტიკურად სვანეთი იმავე ნცობისა რჩებოდა, რაც აქამდე იყო (სამხედრო დემოკრატია და ადრეფეოდალური ურთიერთობა)“. სვანეთში „არც განვითარებული ფეოდალური ურთიერთობაა, იქ მხო- ლოდ ადრეფეოდალური ურთიერთობაა სამხედრო დემოკრა- ტიის მეტნაკლებად ძლიერი გადმონაშთებით“ (5, გვ. 438-441).

სვანეთის სოციალური განვითარების შესახებ მეცნიე- რებაში გამოთქმულია მეტნაკლებად განსხვავებული შეხედუ- ლებებიც, რომელთა განხილვა სპეციალურ კვლევას მოითხ- ოვს. ამჯერად მიზანშენონილად მიმაჩნია გავიზიაროთ 6. ბე- რძენიშვილის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ტერიტორიუ- ლი თემი სვანეთში ფუნქციონირებდა ადრეფეოდალური გან- ვითარების სტადიაზე სამხედრო დემოკრატიის გადმონაშთე- ბით.

საქართველოს კუთხეებს შორის ყოფითი კულტურის ტრადიციულობით გამორჩეულ მხარეს ნარმოადგენდა ისტო- რიულად არსებული ფხოვი, რომელიც დაახლოებით XV საუ- კუნიდან ორ კუთხედ – ხევსურეთად და ფშავად გაიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ფხოვი მის გაყოფამდე იყო სვანეთის მსგავსი

ერთიანი ტერიტორიული თემი მასში შემავალი ლოკალური ხევებით ანუ თემებით. მისგან გამოყოფილი ხევსურეთისა და ფშავის სახით საკმაოდ მსხვილი ტერიტორიული ერთეულები წარმოიქმნა, რომლებიც თავის მხრივ შედარებით მცირე თემებს აერთიანებდნენ.

XIX-XX საუკუნეებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე ყველა მკელევარმა დაადასტურა, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ხევსურეთი ორ წარმილად იყოფა. მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე წარმილს ეწოდება პირაქეთი ანუ ბუდე ხევსურეთი, ხოლო ქედსგადაღმა მხარეს – პირიქითი ხევსურეთი. ორივე ეს მხარე მოიცავს რამდენიმე ხეობას, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ ერთიან ხევსურეთში შემავალ მცირე ტერიტორიულ თემებს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოითქვა აზრი, რომ ხევსურეთი რამდენიმე ტერიტორიული თემის კავშირს წარმოადგენდა. ყოველ ასეთ თემს თავისი სათემო სალოცავი გააჩნდა, რომელსაც სხვაგან გადასახლების შემდეგაც არ ივინყებდა და რელიგიურ დღესასწაულებზე ძლიერი მიტანით მასთან კავშირს ინარჩუნებდა. ამგვარ ვალდებულებათა შესრულებით სხვაგან გადასახლებული ხევსური კვლავ მამა-პაპური სალოცავისადმი კუთვნილებას აღიარებდა. რაც შეეხება მკვიდრ მოსახლეობას, მისი ყოველი წევრი სათემო რჯულსა და ჩვეულებას ემორჩილებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის თემიდან მოიკვეთებოდა, რაც უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა. იმის გამო, რომ თემის ორგანიზაცია მის მთავარ სალოცავთან იყო დაკავშირებული მისი პერსონალის (ხუცესი მისდამი დაქვემდებარებული პირებით) თაოსნობით, ხევსურული თემისათვის დამახასიათებელი ყოფილა თეოკრატიული მმართველობის სისტემა (36, გვ. 19, 20, 23, 35).

მთელი ხევსურეთის მთავარ სალოცავს წარმოადგენდა გუდანის ჯვარი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი გვა-

რეპის – არაბულების, ჭინჭარაულებისა და გოგოჭურების
პრიორიტეტით. ამ გვარებიდან გამოყოფილი ხუცესაზეურებული
რეპი, რომელთაც ხელთ ეპყრათ გუდანის ჯვარის დროშა,
ცდილობდნენ თავიანთი ძალა-უფლების გავრცელებას მთე-
ლი ხევსურეთის ტერიტორიაზე. ამ მიზნით ისინი ბეგრავდნენ
შატილისა და არხოტის თემებს. წინააღმდეგობის შემთხვევა-
ში ზემოხსენებული გვარები – გუდანის მეგანძურები ანუ
ჯვარის ყმები, ლაშქრობას აწყობდნენ და ძალით ართმევდნენ
შენერილ ცხვარს, მაგრამ ხევსურეთის სხვა გვარების გაერ-
თიანებულ ძალებთან დამარცხების შემდეგ გუდანის ჯვარის
პრიორიტეტსაც ძალა დაუკარგავს. სამაგიეროდ, გუდანის
ჯვარისა და სხვა სალოცავების დროშით ხევსურები ნადა-
ვლის მოპოვების მიზნით თავს ესხმოდნენ საქართველოს
მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის კუთხეებს, რაც ცნობილია
მეკობრეობის სახელწოდებით. როგორც მეკობრეობის ორგა-
ნიზაცია, ისე თემის შიგნით არსებული დარღვევები თემის
ბჭეთა მიერ განიხილებოდა. სპეციალური ლიტერატურის
მიხედვით თემის საბჭოს ერქვა საფეხნო, ხოლო მონანილე მა-
მაკაცთა ჯგუფს – ფეხონი. ასეთი შესაკრები ყორით ნაგები
მცირე დარბაზის სახით შემონახული ყოფილა შატილში, სა-
დაც არა მარტო ბჭობდნენ, არამედ საუბრობდნენ და საქმია-
ნობდნენ – ტყავს ზელდნენ, თოფის ნამალს ამზადებდნენ და
ა. შ. (22, გვ. 79, 80, 99, 104; 28). როგორც ჩანს, საეჭვოა ბჭო-
ბის ორგანოდ შატილის საფეხნოს არსებობა თურდაც იმის
გამო, რომ ბჭეთა შესაკრებ ადგილად ითვლებოდა ხევსურე-
თის მთავარი სალოცავი გუდანის ჯვარი.

შემდგომი პერიოდის გამოკვლევების მიხედვით ხევსუ-
რეთი, როგორც ერთიანი თემი, თავის მხრივ მსხვილ და
წვრილ სათემო ერთეულებად იყოფოდა. ამ „ერთიანობის“ მი-
უხედავად თემებს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა –
ერთი თემი მეორეს ლაშქრავდა და ბეგრავდა. თემის ეკონო-
მიკურ საფუძველს შეადგენდა ჯვარის მიწები, სათემო ადგი-

ლები, საგვარო-სამამო და საოჯახო მამულები. ადგილ-მამულების უმეტესობა სამამო (პატრონიმიულ) საკუთრებას წარმოადგენდა. საჯვარო და სათემო მიწების ექსპლუატაციის წესის მიხედვით ხევსურული თემი სტადიალურად გაიგივებულია ძველ აღმოსავლეთში ცნობილ სატაძრო თემთან. ჯვარ-ხატის ქონების მნიშვნელოვან ნაწილს ნარმოადგენდნენ საკულტო ნაგებობანიც, რომელიც ყოველ თემს გააჩნდა, ხოლო მთელი ხევსურეთის თეოკრატიული მმართველობის ცენტრი იყო გუდანის ჯვარი. ამ საქმეში აშვარა პრიორიტეტით სარგებლობდა მისი მომსახურე პერსონალი ხუცესის ანუ ხევის-ბერის მეთაურობით, რომელიც შედარებულია ძველაღმოსავლური ტაძრის ქურუმთან (2; 3).

ანალოგიური სურათი გამოჩნდა ფშავის საკულტო ძეგლების შესწავლის საფუძველზედაც. აღრიცხული ნაგებობებიდან საერთო-საფშავლო ძეგლებად სახელდებულია ლამარის ჯვარი, საკვირაო, თამარის ხატი და დამასტურის ხატი. ამასთან ერთად, ფშავში შემავალ 12 ტერიტორიულ თემს თავისი სათემო ხატები ჰქონდა საკულტო ნაგებობებითა და სახატო მეურნეობით, რომლებიც ამგვარი თემების ადგილობრივ საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრებს ნარმოადგენდნენ (4, გვ. 11-12).

„საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობებს განეკუთვნებიან: დარბაზი ანუ საპერო, სადაც სრულდებოდა სადღესასწაულო ღვთისმსახურების წესები, ამავე დროს ამა თუ იმ დიდი ხატობის დღეებში ცენტრალური ხატის, სახელდობრ ლამარის ჯვარის დარბაზში და მის მახლობლად საგანგებო ადგილას, რომელიც ხალხური სამართლის ნარმოების ადგილი იყო და ამისდა შესაბამისად, ბჭე-ხევისბერთა საბჭო ერქვა, რჯულის საკითხებს არჩევდნენ და გამოჰქონდათ განაჩენი თემის რთულ და ძნელად გადასაჭრელ საშინაო საქმეებზე“ (4, გვ. 14).

ფშავში თემი წარმოადგენდა რამდენიმე სოფლის გარე თიანებას, რომელთა სახელწოდება ან გვარობრივია, მაგრამ რაფიული. თოთოეული თემის სათავეში იდგა ხევისბერი, ხოლო მთელი ფშავის ხევს კი თავხევისბერი განაგებდა. თემის მართვა-გამგეობასთან ერთად მათ თუნქციას შეადგენდა უცხო პირის მიღება თემის წევრად ხატის და თემის ერთგულებაზე დაფიცების პირობით. დამნაშავის მოკვეთაც მის კომპეტენციაში შედიოდა, ხოლო დანაშაულის საფუძველი იყო თემისა და ხატის ღალატი, გვარში პირის გატეხა და ა. შ. კიდევ უფრო მძიმე სასჯელს წარმოადგენდა ჩაქოლვა, რაც გამართლებულად ითვლებოდა თემისადმი ღალატის ან ქალისათვის ნამუსის ახდის შემთხვევაში. ბჭეების დასხმაც და მოხისხლეთა შერიგებაც ხევისბერის თავმჯდომარეობით ხდებოდა.

საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების ანალოგიურად ფშავის თემის ერთ-ერთი ატრიბუტი იყო მეკობრეობა, რაც უპირატესად შერისძიების მიზნით სრულდებოდა იმათ მიმართ, ვისგანაც ფშავლებმა თავდასხმები იგემეს (21, გვ. 68-72, 84-87).

ფშავ-ხევსურეთში რელიგიური ცენტრებისა და თემობრივი მმართველობის სისტემასთან დაკავშირებით კიდევ ერთ ნაშრომშიც აღინიშნა, რომ ჯვარ-ხატები წარმოადგენდნენ მთიელთა რელიგიურ და საერო ცენტრებს, რომელთაგან ხევსურეთისა იყო გუდანის ჯვარი, ფშავისა – ლაშარის ჯვარი და თუშეთისა – ლაშარის ჯვარი. აღნიშნულ სალოცავებში განიხილებოდა რელიგიისა და ჩვეულებითი სამართლის საკითხები. ამ საქმეში პრიორიტეტით სარგებლობდნენ თეოკრატიული ხელისუფლების მესვეურები – ხუცეს-ხევისბერები. მათი თაოსნობით მიღებული გადაწყვეტილება ვრცელდებოდა თითოეულ კუთხეში შემავალი თემის სალოცავებში (17).

განხილული მონაცემების მიხედვით ფშავ-ხევსურეთში ფუნქციონირებდა ტერიტორიული თემი მისი დიდი და პატარა



ერთეულების სახით, რომელთა მართვა ემყარებოდა კლასობრივ საზოგადოებაში შენარჩუნებულ ხალხურ ტრადიციის მას საერთო არაფერი ჰქონდა ძველაღმოსავლურ სატაძრო თემთან. ყოვლად შეუძლებელია პარალელის გავლება უდიდესი გაბარიტების ტაძარსა და ხევსურეთში ჯვარ-სალოცავად განეუთვილ ქოხს შორის. ასევე დაუშვებელია ხევსურეთში ჯვარის მიწებად გამოყოფილი პატარ-პატარა საყანეების გათანაბრება უზარმაზარი მოცულობის სატაძრო მიწებთან. ასეთ ვითარებაში ხევსური ხუცეს-ხევისბერი, კულტის მსახურის ფუნქციების მქონე ღარიბი მეთემე, არაფრით არ ჰგავს უდიდესი უფლებამოსილებით აღჭურვილ უმდიდრეს ქურუმს. გამომდინარე აქედან, მიუღებელია შეხედულება, თითქოს საქართველოს მთიანეთში თითქმის ჩვენს ეპოქამდე შენარჩუნებული თემი და თემობრივი ტრადიციები სტადიალურად ესადაგებოდეს ძველაღმოსავლური ტიპის ადრეკლასობრივი (ადრემონათმფლობელური) საზოგადოების სტრუქტურას და განასახიერებდეს მის შესაბამის მმართველობის სისტემას (ვ. ბარდაველიძე).

ხევსურული ტერიტორიული თემის სტრუქტურის წარმოჩენის ცდასთან დაკავშირებით ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში თავი იჩინა კიდევ ერთმა გაუგებრობამ. რ. თოფჩიშვილის მტკიცებით, ხევსურეთისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა მრავალრიცხოვან გვართან მცირერიცხოვანი გვარის შეყრა-გაერთიანების წესი, რაც ცნობილია წარ-ქვაბით შეყრის სახელწოდებით. სპეციალური გამოკვლევებით ცნობილი ამ ტრადიციის უარყოფის საფუძველი არ არსებობს და რ. თოფჩიშვილიც ამ ჩვეულების ფუნქციონირებას ადასტურებს (11). გვართა შეყრის ცალკეულ შემთხვევებს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ უსაფუძვლო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ შეყრის გზით იქმნებოდა დიდი საგვარეულო, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ტერიტორიულ თემს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის მეორე უმნიშვ-

ნელოვანესი ფაქტორი – გვარის ზრდა-გაფართოების ბუნება / კრისტიან საც ერთი ძირიდან მომდინარე გვარი რამდენიმე შტოგვარად იყოფოდა. ეს კი თავის მხრივ ინვევდა დედაგვარის არა გამსხვილებას, არამედ მის დანაწევრებას და, ამდენად, ძირეული გვარის სიდიდის შემცირებას. გვარის, მისი შტოგვარების, ჭარ-ქვაბით შეყრილი გვარებისა და მათი სამოსახლო სოფლების გაერთიანება ქმნიდა ტერიტორიულ ანუ სამეზობლო თემს. ტერიტორიული თემის ფარგლებში შედიოდა როგორც მონოგენური, ისე პოლიგენური დასახლებები სოფლების სახით. ხევსურეთში ჯერ-ჯერობით არავის აღმოჩენისა მონოგენური (ე. ი. ერთი გვარით დასახლებული) ტერიტორიული თემი. ამდენად, ყოვლად დაუშვებელია არა მარტო იგივეობის ნიშნის დასმა გვარსა და ტერიტორიულ თემს შორის, არამედ პროცესის ისე წარმოდგენა, თითქოს „ხევსურეთში მცირერიცხოვანი გვარების დიდ და ძლიერ გვარებში შესვლა ფაქტიურად წარმოადგენდა ტერიტორიული თემის ჩამოყალიბების ერთ-ერთ გზას“ (11, გვ. 68). ჩემთვის პირადად გაუგებარია, ამ „ერთ-ერთი გზას“ გარდა კიდევ სხვა რა გზა აქვს მხედველობაში რ. თოფჩიშვილს ტერიტორიული თემის ფორმირებისა, მაგრამ აქვე მტკიცება იმისა, რომ „ეს სოციალური მოვლენა ანონასწორებდა აქ არსებულ სოციალურ სტრუქტურას და ერთგვარად ხელს უშლიდა ამ სოციალურ სტრუქტურას და საზოგადოებრივ ყოფაში დისონანსის შეტანას“ (11, გვ. 68), რბილად რომ ითქვას, შორს დგას საღი მსჯელობისა და დასაბუთებისაგან. სიტყვების კორიანტელი ამითი არ მთავრდება და კვლავ გრძელდება იმის აბსურდული მტკიცება, რომ „მცირერიცხოვანი გვარების მრავალრიცხოვან გვარებში შესვლა ეს იყო ხევსურეთში ტერიტორიული თემის წარმოქმნის პროცესი“ (11, გვ. 74). საინტერესოა, როგორ აქვს წარმოდგენილი რ. თოფჩიშვილს – ჭარ-ქვაბით შეყრის ტრადიციის შესრულების დროს ხევსურეთში ტერიტორიული თემი არ არსებობდა?

გამოდის, რომ ტერიტორიული თემი ვერ შეიქმნებოდა გვარე-
ბის შეყრის ცალკეული შემთხვევები რომ არ მომხდარი მომდინარეობა
თუმცა ამის შესახებაც თავისი შეხედულება შეუმუშავებია,
რომლის დასანახადაც საჭიროდ მიმაჩნია მისი „ნააზრევის“
ციტირება: „ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვება უფრო იმ
აზრის სასარგებლოდ იხრება, რომ ხევსურეთის თავდაპირვე-
ლი დასახლება უნდა მომხდარიყო საოჯახო თემის სტადიაზე,
გვაროვნული თემიდან ტერიტორიულ თემზე გადასვლის გარ-
დამავალ საფეხურზე. ხევსურეთში დასახლებულები საოჯახო
თემებად სახლდებოდნენ. აյ დასახლებული ამა თუ იმ გვარის
ნინაპრები, პირველ რიგში, ხდებოდნენ საოჯახო თემის უფ-
როსები, რომლებმაც, ამავე დროს, საოჯახო თემის სეგმენტა-
ციის შედეგად გვარებს დაუდეს საფუძველი. პირველად ჩვენ
უნდა გვქონოდა არაბას დიდი საოჯახო თემი, ჭინჭარას დიდი
საოჯახო თემი, სანაგის საოჯახო თემი და ა. შ., რომელთა გა-
რშემოც თავმოყრილი უნდა ყოფილიყო მათი შთამომავლების
რამდენიმე თაობა. თითოეული საოჯახო თემი სეგმენტაციის
შედეგად გვარებად გარდაიქმნა. ხოლო ამ საოჯახო თემიდან
გამოსულმა მამაკაცებმა საფუძველი დაუდეს პატრონიმიებს,
ე. ი. მამანს (მამიშვილობებს)" (11, გვ. 70).

საოჯახო თემის (დიდი ოჯახის) დაშლის შედეგად რომ
პატრონიმია (ახლო ნათესავთა გაერთიანება) იქმნებოდა, ეს
საყოველთაოდაა ცნობილი სპეციალური გამოკვლევებით.
ისიც ცნობილია, რომ პატრონიმიის სახელწოდება მომდინა-
რეობს ეპონიმის სახელიდან, მაგრამ რ. თოფჩიშვილის მსჯე-
ლობა ეფუძნება სრულ გაუგებრობას, რისი საფუძველიც არ-
ის მეცნიერებაში მიღებული კლასიფიკაციის აღრევა. მას არ
გაუთვალისწინებია, რომ სამი კატეგორიის თემიდან უძველე-
სი იყო გვაროვნული თემი, რომლის არსებობა შეესატყვისება
გვაროვნული წყობილების სტადიას. გვაროვნული წყობილე-
ბის დაშლისა და სამხედრო დემოკრატიის ფორმირების საფუ-
ძველზე, ი. ი. ნინაკლასობრივი საზოგადოების რღვევისა და

ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების პერიოდში
იქმნება საოჯახო თემი. როგორც გვაროვნული თემის მატერიალურ
ოჯახო თემის ფუნქციონირების განმსაზღვრელი კომპონენ-
ტია სისხლით ნათესაობა. თემის მესამე კატეგორია ცნობი-
ლია ტერიტორიული ანუ სამეზობლო თემის სახით, რომლის
ძირითადი მახასიათებელია ერთ განსაზღვრულ ტერიტორი-
ულ არეში განსახლებულთა მეზობლობა. ამდენად, მკვლე-
ვარს სტუდენტისა და ასპირანტისათვის სავალდებულო ცოდ-
ნა მაინც მოეთხოვებოდა აღნიშნული სამი კატეგორიის თემის
შესახებ. ასეთი ცოდნით შეიარაღების შემთხვევაში დაუშვე-
ბელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ „გვარის ნინაპრები, პირ-
ველ რიგში, ხდებოდნენ საოჯახო თემის უფროსები“ (11,
გვ. 70). კიდევ უფრო კურიოზულ ელფერს იძებს იმის აღნი-
შვნა, რომ საოჯახო თემის უფროსებმა საოჯახო თემის სეგმე-
ნტაციის შედეგად გვარებს დაუდეს საფუძველი, რომ „თითო-
ეული საოჯახო თემი სეგმენტაციის შედეგად გვარებად გარ-
დაიქმნა“ (11, გვ. 70). თანაც საკითხავია, რა სახის მონაცემები
არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ხევსურეთში პირვე-
ლად საოჯახო თემები დასახლდნენ არაბას, ჭინჭარას თუ სა-
ნაგის დიდი საოჯახო თემების სახით. აქვე იბადება მეორე კი-
თხვაც – თუ შეყრის გზით გამსხვილებულ გვართა გაერთია-
ნების შედეგად ჩამოყალიბდა ტერიტორიული თემი, ერთი დი-
დი გვარის რამდენიმე შტოგვარად დანაწევრების შემთხვევა-
ში რა ემართებოდა ტერიტორიულ თემს – იძლებოდა?

როგორც ვხედავთ, რ. ოთფჩიშვილმა სრული ქაოსი შე-
მოიტანა ხევსურეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტუ-
რის სფეროში, რაც განაპირობა საკითხის კვლევისადმი ზერე-
ლე და არაკვალიფიციურმა დამოკიდებულებამ. რეალობა კი
მხოლოდ ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გვართა შეყრაც და
ძირეული გვარის შტოგვარებად დაყოფაც, მიმდინარეობდა
არსებული ტერიტორიული თემის ფარგლებში, რაც თავისთა-



ტერიტორიული თემის სტრუქტურის შესწავლისათვის ერთ-ერთი საყურადღებო კუთხეა თუშეთი, რომელიც, როგორც ერთიანი თემი, მასში შემავალი ცალკეული ხეობების მიხედვით, რამდენიმე ლოკალურ თემს აერთიანებდა. ამაზე ნარმოდგენას გვაძლევს როგორც არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ისე ჩემს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა. ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე ინახავს გადმოცემებით მიღწეულ ცოდნას, რომ თუშეთის შემადგენელი ნანილები იყო: 1. ნოვათა, 2, გომენარი, 3, ჩალმა და 4. პირიქითი თუშეთი. რუსული ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად თუშებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა 7 საზოგადოება. ამის გამო XIX საუკუნის მკვლევართა მიერ ტრადიციულად არსებული 4 თემი და მის ბაზაზე შექმნილი 7 საზოგადოება შესაბამისი სახელწოდებებით ზუსტად გამიჯნული არ არის. რ. ერისთავმა თუშეთის თავდაპირველი ტერიტორიულ თემებს საზოგადოებები უწოდა. მის ჩამონათვალში აღირიცხა: 1. პირიქითის საზოგადოება (12 სოფელი), 2. გომენრის საზოგადოება (18 სოფელი), 3. ნოვათის საზოგადოება (4 სოფელი) და 4. ჩალმის საზოგადოება (13 სოფელი) (9, გვ. 87-89). თუშეთის 4 ტერიტორიული თემი საზოგადოებებადაა სახელდებული ი. ცისკარიშვილის ნაშრომშიც (30).

მ. მაჩაბელმა თუშეთის ანუ სათუშოს, როგორც მთელი კუთხის მომცველი ეტრიანი თემის შემადგენელ ნანილებს, საზოგადოებები უწოდა, მაგრამ ფრჩხილებში მიაწერა თემიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის იცნობდა როგორც ძველ, ისე ახალ სტრუქტურას. თანახმად მისი განმარტებისა, თუშეთი ორ დიდ ნანილად იყოფა; ერთია ჩრდილოეთი თუშეთი, ანუ პირიქითი თუშეთის საზოგადოება (თემი), ხოლო მეორეა სამ-

ხრეთი თუშეთი სამი საზოგადოების (თემის) – ნოვათის, ვაკერიანის, გრიგორიანის, მეწრისა და ჩალმის მოსახლეობით (23, გვ. 318-319). ასახულია კვალიფიკაცია შეესატყვისება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემულ ლოკალიზაციას, რომლის თანახმადაც მდინარე ალაზნის ორი დიდი ხეობიდან ერთი მოიცავდა ფარსმანის თუშეთს (ე. ი. პირიქით თუშეთს), ხოლო მეორე ნოვა-გომე-ნარ-ჩახმართის თუშეთს (1, გვ. 554).

1873 წლის მონაცემებზე დაყრდნობით აღინიშნა, რომ თუშეთის დიდი თემის ანუ „საოლქო თემის“ ტერიტორიაზე განთავსებულია 7 საზოგადოება: 1. დართლოს (5 სოფელი), 2. ჯვარბოსელის (10 სოფელი), 3. ილურთის (10 სოფელი), 4. ნაციხვარის (8 სოფელი), 5. ომალოს (5 სოფელი), 6. ფარსმის (7 სოფელი), ნოვათის (ინდურთა და საგირთა) – სულ 46 სოფელი. ნოვების საზოგადოებად სახელდებულია ალვანის ველზე სოფელ გურგალჭალაში დაასახლებული ნოვა-თუშები. ეს იმას ნიშნავს, რომ ხსენებული 7 საზოგადოებიდან 6 იყო თუშეთში და მეშვიდე ალვანის ტერიტორიაზე (23, გვ. 334-336).

დამოწმებული მონაცემებისაგან განსხვავებით სხვა ნაშრომში საზოგადოებათა სხვადასხვა რაოდენობაა (6, 7, 8) ნაჩვენები (6, გვ. 14, 302, 326). ს. მაკალათიამ თუშეთის ძირითად ტერიტორიულ ერთეულებად დაასახელა გომენარი, ჩალმა და პირიქითი – გაუკაცრიელებელი ნოვათის გამოკლებით, მაგრამ არ აღუნუსხავს ისტორიულად არსებული ამ თემების დაყოფის შედეგად შექმნილი საზოგადოებები (20, გვ. 20).

თემებად და საზოგადოებებად თუშეთის დაყოფის სტრუქტურასთან კავშირში განიხილება ხალხური მმართველობის სისტემა, რაც სახიერდებოდა ბჭობაში ნდობით აღჭურვილი თავკაცების მონაწილეობით. საზოგადოებრივი თუ კერძო საკითხების განსჯა ხდებოდა როგორც მთელი თუშეთის მასშტაბით, ისე ცალკეული თემების თუ სოფლების მიხედვით. თუშეთის მოსახლეობისათვის ცნობილია და ეს ყველა

ჸევლევარმა დააფიქსირა, რომ სათუშეთოს საანჯელოს და სა-
თემო ყრილობის ადგილი იყო ჩილოს ღელე. ჯერ კიდევ  საუკუნეში აღინიშნა, რომ კერძო პირთა თუ სოფელთა შორის
ნარმოები 12 მოსამართლის მონანილეობით (19, გვ. 124). „მთელი თუშეთის
შესაკრები ადგილი უნინ „ჩილოს ღელე“ ყოფილა“ (6, გვ. 22).
ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვითაც, საერთო-სატომო საკი-
თხების განხილვა მთიელთა მთავარ ჯვარ-სალოცავებში კი
არ ხდებოდა, როგორც ამისი მტკიცების ცდაა მოცემული ზო-
გიერთ ეთნოგრაფიულ ნაშრომში, არამედ თემის ყრილობის
თუ ბჭეთა სათათბიროდ განკუთვნილ ადგილებში. თუშეთის
მაგალითზე აღნიშნულია, რომ „სათემო ყრილობა ტარდებო-
და ე. წ. „თუშეთის ღელეზე“, რომელიც თუშეთის ყველა თემი-
სათვის ცენტრალურ და სასაზღვრო ადგილს ნარმოადგენდა“
(8, გვ. 40).

ამგვარ შეკრებაზე, როდესაც ბჭობის საგანი იყო საერ-
თო-სათუშეთო პრობლემა, ყველა თემის ნარმომადგენლობა
მონანილეობდა. ესოდენ ფართო ხასიათის ბჭობა თუშეთის
დაცვის, ან თემებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების ინ-
ტერესებით იყო ნაკარნახევი და შედარებით იშვიათად ხდე-
ბოდა, ხოლო უფრო ხშირად ყოველი სოფლის საჭიროებაზე
მსჯელობა იმართებოდა თითოეული მათგანისათვის საამი-
სოდ განკუთვნილ ადგილზე. ასეთ შესაკრებ ადგილს, სადაც
სხვადასხვა მნიშვნელობის საკითხები განიხილებოდა, „სა-
ანჯელო“ ეწოდებოდა. თვით ბჭობის პროცესის შესახებ ნათ-
ქვამია: „სოფ. დართლოს ბოლოზე არის საფრინდაო (ადგლის
სახელია). აქ დასავლეთ მხარეს არის ქვის სკამები, რომელზე-
დაც მსხდარან მოსამართლენი. მთავარი მოსამართლე მჯდა-
რა სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთ მხრისაკენ მაღალზურგიან
სკამზე. შუაში არის ერთი პრტყელი ქვა ნინ დაყუდებული
ნერილი ქვით, რომელთანაც მუხლზე დადგებოდა და მოახსე-
ნებდა მოჩივარი. ჩრდილოეთ მხარეს არის მოწმის ქვა, ჩრდი-

ლო-დასავლეთ კუთხეში კი – დამნაშავისა. აქ ირჩეოდა ხილ-ხლის საქმე. აქვე, საფრინდაოს ჩრდილო ნაწილში არის უცხოური ცარი ქვა”, თავმოტეხილი. იმას ამოიღებდნენ მოფიცრები, ულვაშებს გამოიძრობდნენ, ჩაჰურიდნენ და ისევ ქვას დაადგამდნენ. საფრინდაოზე არის 11 ქვა საზურგით (მე-12 დაკარგულია) და შუაში – 1 ქვა, ნინაღმართული მეორე ქვით მომჩივნისათვის, 1 მოწმისათვის და 1 დამნაშავისათვის. მოსამართლენი თორმეტნი მსხდარანი” (6, გვ. 298).

უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარ მოსამართლედ ხსენებული პიროვნება იყო თავხევისბერი, რომლის თავმჯდომარეობითაც თუშეთის ყველა თემიდან არჩეული ხევისბერების ბჭობა იმართებოდა სოფ. დართლოში არსებულ სათუშეთო საბჭოში ანუ თუშეთის მთავარ საანჯმოში. მთელი თუშეთის მოსახლეობის შესაკრები ადგილისა და სახალხო ყრილობისაგან განსხვავებით, რაზედაც განიხილებოდა თუშეთის დაცვის, თემებსა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხები, სათუშეთო საანჯმოში უმთავრესად ირჩეოდა სისხლის სამართლის საქმეები. თავისი მასშტაბითა და უფლებამოსილებით ის მაღლა იდგა ამა თუ იმ თემის ან სოფლის საანჯმოზე, რომელსაც ლოკალური დანიშნულება ჰქონდა.

საანჯმო და ბჭობის ხალხური წესი თუშეთში არსებობას ინარჩუნებდა რუსული მმართველობის პირობებშიც. გ. ბოჭორიძის დაკვირვება სწორედ იმ პერიოდს შეეხება, როდესაც თემები შეცვალეს საზოგადოებით და უფლებამოსილება მიანიჭეს სახელმწიფო მოხელეებს (ნაცვალი, მამასახლისი), მაგრამ ადგილობრივი ტრადიციული თვითმმართველობა კვლავაც ხალხის ნდობას და ინტერესებს განასახიერებდა. შექმნილი ვითარების შედეგად თემობრიობა და ტრადიციულობა არსებობას ინარჩუნებდა რუსული ადმინისტრაციული სტრუქტურისა და ხალხური მმართველობის თანაარსებობის პირობებში.

თემური მმართველობის სისტემას და ადათობრივ სამართლის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველების რეგულირებაში. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც მშვიდობიანი სამეზობლო კავშირი, ისე ინდივიდუალური ან ტომობრივი მტრობა. მშვიდობიან ვითარებაში თემის მონაწილეობა ნაკარნახევი იყო ისეთი საკითხებით, როგორიც იყო მოსახლეობის გადაადგილება ერთი თემიდან მეორეში, საადგილმამულო ურთიერთობა, აღებ-მიცემობის განვითარება და ა. შ. რჯულის კაცებს კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მტრობით დაპირისპირებულ მხარეთა შერიგების საქმეში. რწმენის სხვადასხვაობა ხელს არ უშლიდა რჩეული კაცების ერთობლივ მონაწილეობას, ვინაიდან ხალხური სამართალწარმოება კავასიის ყველა ხალხისათვის ერთნაირად ცნობილ ადათობრივ ნორმებს ექვემდებარეობა. ბჭეების ერთობლივი მონაწილეობა ხდებოდა უმთავრესად მოსისხლეთა შერიგების მიზნით. იყო შემთხვევა, როდესაც ქართველი მთიელები თავიანთ მედიატორებთან ერთად იწვევდნენ ჩრდილოკავკასიელ რჯულის კაცებსაც და პირიქით. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც მტრობა ჩამოვარდებოდა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის და მათი შერიგებით ორივე მხარე იყო დაინტერესებული, ორმხრივი შეხვედრა ხდებოდა ბჭობისათვის ამორჩეულ ადგილზე, უპირატესად იქ, სადაც სისხლი დაიღვარა. ასეთი ურთიერთობა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ერთიმერის მეზობლად მცხოვრებ ქართველ მთიელებსა (ხევსურები, თუშები) და ვაინახებს შორის. ინგუშეთში ბჭეთა შეკრებას ერქვა ფჰიელა, რაც შინაარსობრივად ხევსურული და თუშური ბჭობის ანალოგიურია (29, გვ. 115). როგორც წესი, შერიგება ხდებოდა დაზარალებული მხარისათვის მატერიალური ანაზღაურების პირობით, ე. ი. კომპოზიციის წესით, რაც არსებითად განსხვავდებოდა შურისძიების გვაროვნული ჩვეულებისაგან (33).

სამეზობლო ურთიერთობაზე დამყარებული ტეროტო-
რიული თემის ერთობა სახიერდებოდა სხვადასხვა სულიერი
და მნიშვნელობის ჯვარ-სალოცავების არსებობაში და შესა-
ბამისად დღესასწაულების ორგანიზაციაში. ამის საფუძველს
ქმნიდა კერძო პირთა მიერ ხატის სახელზე შენირული ჯვარის
მამულებით ან სასოფლო მიწებით სარგებლობის ტრადიცია.
„ჯვარის მემამულე არის სოფელი. თუ ვინმე უშვილო ამოს-
წყდებოდა, ის თავის მამულს ხატს შესწირავდა. ამ მამულს ნა-
თე ხმარობდა და შემოსავლის ნაწილს ჯვარს ახმარებდა, ნა-
წილს თითონ იღებდა” (6, გვ. 326).

შემდგომი კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ უპატრო-
ნოდ დარჩენილი ნაოხარი ადგილებით იქმნებოდა სასოფლო
მიწის ფონდი, რომლის ერთ ნაწილს – მცირედი მოცულობის
საწალე მიწას ქვრივ-ობლებს აძლევდნენ, ხოლო მეორე – ე. ნ.
სახატო მიწას ანუ ჯვარის ყანას მორიგეობით ამუშავებდნენ
და ჭირნახულსაც დღესასწაულებისათვის იყენებდნენ (32,
გვ. 199).

სასოფლო-საჯვარო მიწებით სარგებლობისა და დღესა-
სწაულების ორგანიზაცია მინდობილი ჰქონდა ხატის მომსა-
ხურე პერსონალს ხელოსნად წოდებული ხევისბერის მეთაუ-
რობით. ხელოსნის თანაშემწედ ითვლებოდა შულტა, რომე-
ლსაც გვარებიდან ირჩევდნენ 1 ნლის ვადით. მას ევალებოდა
ხატის მამულის ჭირნახულით ლუდის დუღება და ერთი საკ-
ლავის დაკვლა. ხატის უმამულობის შემთხვევაში შულტა
ხალხს სალუდეში მიატანინებდა თავიანთ წილ ფირს, შეშას და
ნყალს. ლუდის დამზადებაში შუტლას ეხმარებოდა მგოლავი,
რომელსაც გასამრჯელოდ ეძლეოდა ხოტი (ფორის ჩენჩო).
შულტასაგან განსხვავებით, რომელსაც ზაფხულის დღეობის
მოწყობა ევალებოდა, საახალნლო დღესასწაულზე მასპინ-
ძლობდა ნათე. ლუდის დასამზადებლად ის იყენებდა ხატის
მამულის ჭირნახულს და გიორგობა დღეს დაკლულსა და და-
მარილებულ საკუთარი ძროხის ხორცის. ნათეს ეხმარებოდა

ერთი წლით არჩეული მაქალათი. მისი ოჯახიდან ქალები კაცობრივი პურს აცხობდნენ, კაცები ლუდს ხარშავდნენ, ხოლო მესაფერი რეს ლუდი ებარა (20, გვ. 193-195; 6, გვ. 317-323).

თუშეთის ტერიტორიული თემის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი იყო ერთიმეორესთან ახლო მდებარე ორი სოფლის ერთობა, რაც ცნობილია მეკოდეობის სახელწოდებით. მათი კავშირი ვლინდებოდა ერთობლივ ხარჯში, ლხინსა და ჭირში. თვით მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად გამართულ დოღშიც მეკოდეთა მხედრების მონანილეობა სამეკოდეო ურთიერთობის წესით იყო ნაკარნახევი. სოფელთა კავშირის აღსანიშნავად გამოყენებული სახელწოდებების – „მეკოდეს“ და „მეკოდეობის“ საფუძველია თვით ლუდის დასაყენებლად კოდის (საწდეს) სახელწოდება. აქედანვე მომდინარეობს ტერმინი „კოდისკარი“, რაც ერქვა ხატში კოდის დასადგმელად და ხალხის შესაკრებად განკუთვნილ ადგილს (6, გვ. 327, 433).

სპეციალური კვლევის შედეგად კიდევ უფრო სრულად და ნათლად გამოჩნდა მეკოდეობის ხასიათი და მისი ადგილი თუშეთის ტერიტორიული თემის სტრუქტურაში. ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ორი თუ სამი სოფლის კავშირი განპირობებული იყო თავდაცვისა და ცხოვრებისეული ინტერესებით, რაც გამოხატულებას პოულობდა ერთმანეთისადმი დახმარებაში, ნათესაობის დონეზე აყვანილ ურთიერთობაში, ერთობლივი დღესასწაულების მოწყობაში და ტრადიციული რიტუალების შესრულებაში. მიღებული დასკვნის მიხედვით, „მეკოდეობა თუშეთის ტრადიციულ საზოგადოებაში მეზობლური გაერთიანების ფორმას წარმოადგენდა და თუშური ყოფის ძირითად ინტერესებს ემსახურებოდა, თუშეთის მეთემეთა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და რელიგიურ ინტერესებს აწესრიგებდა“ (18, გვ. 39).

როგორც ერთიან თუშეთს, ისე მასში შემავალ ხეობებს ჰქონდათ ციხე-კოშკებით გამაგრებული თავდაცვის სისტემა,

ხოლო მტრის დასახვედრად დგებოდა ადგილობრივ მეომრთა/ლაშქარი ბელადის ნინამძღოლობით. მტერთან შეპრძოლუმავა/ მდე ნინ მიდიოდა ყარაული (მზვერავი), ხოლო ამბის მომტანა/დ გამოყოფილი იყო მაცნე. ბელადის შემდეგ მეორე კაცად ითვლებოდა მებაირახე ანუ მებაირახტრე, რომელსაც ხელთ ეპყრა ბაირახი – სამხედრო დროშა, თავისი დანიშნულებით განსხვავებული მიცვალებულის სახელზე გამართულ დოლში გამოყენებული ალამისაგან და სალოცავებისათვის განკუთვნილი რიტუალური დროშაკისაგან. თავდაცვის მიზნით დარაზმული ჯარისაგან განსხვავებით ნადავლის მოპოვებისათვის შემდგარი ჯგუფის მონაწილეს ერქვა მეკობარი. მეკობრეობა ენყობოდა უმთავრესად მეზობელ ჩრდილოკავკასიურ თემებში შერისძიებისათვის, რისი შედეგიც იყო ბარგის (სპილენძეულისა და სხვა ნივთების) ნამოღება, საქონლის გამორეკვა, ადამიანთა დატყვევება, მათ შორის ქალების მოტაცება (6, გვ. 56).

მეკობრეობა თუშეთში ისეთივე ხასიათისა იყო, როგორიც სხვა ქართველ და ჩრდილოკავკასიულ მთიელებში. ეს ნარმოადგენდა თემობრივი ტრადიციების ერთ-ერთ კომპონენტს, რაც სხვა ნიშნებთან ერთად დამახასიათებელი იყო ტერიტორიული თემის სტრუქტურისათვის.

ნარმოადგენილი მოკლე მიმოხილვა წარმოაჩენს ტერიტორიული თემის ფუნქციონირებას თუშეთში მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით, რაც თუშეთის ტრადიციული საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფენომენად წარმოგვიდგება.

როგორც წერილობითი წყაროების, ისე ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ტერიტორიული თემებად დაყოფილ რეგიონად წარმოგვიდგება ქართლის არაგვის მხარე. ასეთ თემებად ლოკალიზებულია შავი არაგვის ხეობაში გუდამაყა-

რი, ხოლო თეთრი არაგვის ხეობაში ხადა, ცხავატი, ხანდა და ჭართალი. გიორგი V ბრწყინვალის მეფობის პერიოდში (1314-1346 წწ.) ხადა და ცხავატი ცალკეულ თემებადაა სახელდებული (7), მაგრამ შემდგომ პერიოდში ამ ორი თემის გაერთიანების სახელწოდებად დამკვიდრდა მთიულეთი, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას სოფ. ქავთარაანთკარიდან (დაბა ფასანაურის სამხრეთით მე-2 კილომეტრზე) ჯვრის უღელტეხილამდე. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით მთიულეთის შედარებით უფრო მაღალმთიან ნაწილს ენოდება თავმთიულეთი, ხოლო ქვემო ნაწილს – ბოლომთიულეთი. ფაქტიურად თავმთიულეთი მოიცავდა ისტორიულ ხადას, ხოლო ბოლომთიულეთი – ცხავატს. ისტორიულად სწორედ ხადისა და ცხავატის თემები არსებობდა, რომელთა გაერთიანების შედეგად შეიქმნა მთიულეთი (14, გვ. 83-157; 15, გვ. 5-68).

სხვა ავტორებთან ერთად რ. თოფჩიშვილსაც მიაჩნია, რომ „მთიულეთი და გუდამაყარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დამოუკიდებელ, თავისთავად კუთხეებს წარმოადგენდნენ“ (12, გვ. 101). წყაროების მოხმობით იქვე აღნიშნავს, რომ „გუდამაყარი მთიანეთის სხვა კუთხეებთან ერთად (ჭართალელნი, ფხოელნი, წილკნელნი) მოხსენიებულია ლეონტი მროველთან“ (12, გვ. 101). მისივე თქმით, „გუდამაყრის მოსახლეობა ტრადიციულად თემების მიხედვით იყო დაყოფილ-დასახლებული“ (12, გვ. 101), რაც შემდეგნაირადაა არგუმენტირებული: „ეს კუთხე, ალბათ, რამდენიმე თემისაგან შედგებოდა, რასაც გვაფიქრებინებს დეკანოზის დალოცვა: „ღმერთმა გაუმარჯოს თემს ოსავს და სოფელს გუდამაყარს“ – ო, ე. ი. აქ ამკარად საუბარია გუდამაყრის ოსავის თემზე, სოფელ გუდამაყარში კი ძველი გაგებით, გუდამაყრის მხარე, კუთხე უნდა იგულისხმებოდეს“ (12, გვ. 101).

რ. თოფჩიშვილს უნდა დავეთანხმოთ, რომ გუდამაყარი ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეა, მაგრამ მიუღებელია მისი დაყოფა თემე-

ბად. ამის მტკიცების საფუძველს არ ქმნის დეკანოზის დალოცული ცვაში ხსენებული ოსავის თემი და სოფელი გუდამაყრის გაუგებრობის გასაფანტავად იკმარებდა იმის აღნიშვნა, რომ ამ დალოცვაში გუდამაყარი შეცდომითაა გაიგივებული სოფელთან, ხოლო ოსავის თემის არსებობა საერთოდ უცნობია როგორც წყაროებით, ისე ეთნოგრაფიული ლიტერატურით. საქმეს ვერ შველის ვარაუდი, რომ გუდამაყარი „ალბათ რამ-დენიმე თემისაგან შედგებოდა. ეს „ალბათობა“ არაფრის მოქმედი არ არის ასეთ ვითარებაში, ვინაიდან ადგილზე ნარმოებული ეთნოგრაფიული მუშაობის დროსაც არავითარი ოსავის თემის არსებობა არ დადასტურდა. მით უფრო, ეს „ალბათობა“ შეუსაბამობაშია ავტორის კატეგორიულ მტკიცებასთან, რომ „გუდამაყრის მოსახლეობა ტრადიციულად თემების მიხედვით იყო დაყოფილ-დასახლებული“.

ციტირებული ადგილი უზუსტობის მაგალითია იმ მხრივაც, რომ ეთნონიმები (ჭართალელნი, ფხოელნი, ნილკნელნი) კუთხეებადაა ნარმოჩენილი. სულ სხვაა, რომ ამ ხსენებული ყოფილიყო ჭართალი თუ ფხოვი. რაც შეეხება ნილკნელთ, ესეც ბარში მდებარე სოფელ ნილკნის მოსახლეობის აღმნიშვნელია და არა კუთხისა. აშკარად შეინიშნება აქ ჯ. გვასალიას გავლენა, რომელმაც თავისი აკვიატებული ფანტაზიით წილკანი უწოდა წადას და, ამდენად წილკნელნიც მთიელებად გამოაცხადა.

მთიულეთის შიდასტრუქტურაში შემავალი მიკროთემები (ხადა, გარეშემო, ცხავატი, ღუდა) აღნუსხულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შედგენილ უთარილო საგადასახადო დოკუმენტში, რომელსაც ენოდება მთიულეთის, გუდამაყრისა და ხანდოს „დებულობა“ (35, გვ. 41). მისი ჩამონათვალი განსხვავდება ლოკალიზაციის უფრო სრული ვარიანტისაგან, სადაც მთიულეთის შემადგენელ ნაწილებად სახელდებულია: ხადა (რომელშიც შედიოდა „დუბულობაში“ ხსენებული ღუდა), ცხავატი, გარეშემო და მრევლი (10).

ამგვარი ლოკალიზაცია შეესაბამებოდა არაგვის ხეობის
ამ მონაკვეთში თემებად დაყოფის ძველ ტრადიციას, რაც მართვისა
ხელმწიფო ხელისუფლებამ არ შეცვალა, მაგრამ იმის გამო,
რომ გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში „ძველთაგან გაჩენილი“
სახელმწიფო კანონის უგულვებელყოფისა და „განაჩენ-დაუ-
დებლობის“, ე. ი. ახალი კანონის შეუდგენლობის მიზეზით სუ-
ფედა „აღრევით ყოფა ერთმანეთსა შიგან“, სამეფო ხელისუ-
ფლებამ საჭიროდ ცნო საგანგებო კანონის შექმნა „ძეგლის
დადების“ სახით (7; 16, გვ. 47).

„განაჩენ-დაუდებლობის“ მიზეზით „აღრევით ყოფის“
გამომხატველი იყო თვით ტრადიციული ცხოვრების წესის
მოშლა, განუკითხაობა, გამძაფრებული შურისძიება, მკვლე-
ლობა, ქურდობა, მეკობრეობა სოფლებსა და თემებს შორის,
სალაშქრო და საბეგრო სამსახურის შეუსრულებლობა (7).

როგორც ჩანს, სახელმწიფო ხელისუფლებამ ბოლომდე
ვერ შესძლო ვერც კანონიერების განმტკიცება და ვერც თე-
მის შინაგანი რღვევის პროცესის შეჩერება, თორემ XVIII საუ-
კუნის მეორე ნახევარში კვლავ საზრუნავი არ იქნებოდა კი-
დევ ერთი სამართლის წიგნის შედგენა, რაც დაკავშირებულია
ერეკლე მეორის შვილების – ლევან და ვახტანგ ბატონიშვი-
ლების სახელთან. მათ მიერ დანერილი „განჩინება“ „ძეგლის
დადების“ ანალოგიურად ითვალისწინებდა როგორც სახელმ-
წიფო კანონმდებლობის აღსრულების საჭიროებას, ისე ცხოვ-
რებისათვის შეუთავსებელი ჩვეულებებისა (მესისხლეობა,
ქურდობა, ჯვარდაუნერლად ქორნინება...) და ქრისტიანული
რელიგიისადმი დაპირისპირებული წარმართული რწმენა-ნა-
რმოდგენების აღმოფხვრას. „განჩინებამ“ განსაკუთრებული
მნიშვნელობა მიანიჭა მინაზე საკუთრების საკითხს. სამარ-
თლის შესაბამისი მუხლი ეხება ამონწყვეტილი ოჯახის დანა-
ტოვარს ბეითალმანის სახით, რომლის თვითნებური მითვისე-
ბა ყველას ეკრძალებოდა და სათანადო გადაწყვეტილების მი-

„განჩინებიდან“ აშკარად ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლება თავისთვის სასარგებლოდ იყენებდა სათემო გაერთიანებებს და ცდილობდა თემობრივი სტრუქტურის შენარჩუნებას, რომლისკენაც იყო მიმართული სახელმწიფო ხელისუფლების ბრძოლა კანონების დანერგვისა და ყოფა-ცხოვრების წორმალიზაციის მიზნით.

ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე გაირკვა, რომ ყოველ თემს ჰქონდა მთავარი სალოცავი და თემის ბჭეთა შესაკრები ადგილი. ხანდოს თემისათვის ასეთი საერთო სალოცავი იყო მთავარაგნელოზის ხატი (სოფ. ნინამხარი), ხოლო ბჭეთა შესაკრებად განკუთვნილ ადგილს ეწოდებოდა საფიცარი. თვით ეს სახელწოდება პირდაპირი მაჩვენებელია იმისა, რომ იქ იდებოდა ფიცი თემის გაუტეხლობისა და ცხოვრების წესის შენარჩუნებისათვის. ამ სალოცავის სახელზე თემისათვის საკლავისა და სასმელის სახით კულუხის გადახდა ევალებოდათ სხვა თემიდან შემოხიზულ გვარებსა და ოჯახებს (35, გვ. 48).

თემის სტრუქტურის თავისებურება ვლინდებოდა საკუთრების ფორმებში. საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიურად საარაგვოს თემებშიც საერთო საკუთრებას შეადგენდა სათემო საძოვრები და მამულები, რაც სოფლების მიხედვით იყო გამინული. ამ საზიარო მამულს ოჯახები ან მორიგეობით ამუშავებდნენ, ან ერთობლივად იყენებდნენ მოსავლის თანასწორად გაყოფის პირობით. საზიარო ყანით მოსარგებლე ოჯახები სოფლის სალოცავში სათემო პურობას მართავდნენ, რასაც საბეგრო ეწოდებოდა. სათემო პურობის გადახდა კულუხის სახით (1 საკლავი და 20 თუნგი სასმელი) ევალებოდა იმ ოჯახსაც, რომელიც ხატის სახელზე შემონირულ სახნავსათიბს გამოიყენებდა. შესაბამისად ამ წესისა, ასეთ მამულს ეწოდებოდა საკულუხე მინა, ხოლო მით მოსარგებლე ოჯახს

- მეცულუხე (35, გვ. 50). თავისი შინაარსით ბეგარა, კულუხი და მათი შესატყვისი მებეგრე და მეცულუხე, აგრეთვე მეტებული მის აღმნიშვნელი ხატის ყმა მიუთითებს ვალდებულებათა ფეოდალურ ხასიათზე, და იმ გზებზე, საიდანაც უნდა შესულყო ეს ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში (24, გვ. 411; 35, გვ. 51).

საარაგვოს თემებში ტრადიციული მმართველობის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს შეადგენდა ხალხური სამართალნარმოება, რომლის კომპეტენციაში შედიოდა მეთემის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. სასჯელის უმკაცრეს ზომად ითვლებოდა დამნაშავის მოკვეთა. მისგან განსხვავებული დასჯის ფორმად მიღებული იყო სამრისხველო სამანის ჩადგმა თემის ამრევისა და უქმის გამტეხისათვის. სამანჩადგმულ კაცს ეკრძალებოდა ხატში მისვლა. დანაშაულის პატივის საფუძველი იყო მონანიება ფიცის დადებითა და საკლავის დაკვლით. დასჯასთან ერთად თემში მიღებული იყო სახელოვანი ადამიანის ღვანლის დაფასებაც. იმ პიროვნების სახელზე, რომელიც ხალხში კარგი ყმის სახელს მოიხვეჭდა, სრულდებოდა სამლოცველო სამანის ჩადგმა და გადაწყვეტილების მიღება, რომ ის ყოფილიყო „სუფრა უშურველი“ (ე.ი. დაუპატიჟებლად ყველგან მისვლა შესძლებოდა) და „ქალი უთხოვარი“ (ნებისმიერი გვარის ქალი ცოლად შეერთო ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე). ასეთ პიროვნებათა უფლებამოსილება მთელ მის გვარზე ვრცელდებოდა (35, გვ. 51).

განხილული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასწავათ, რომ ქართლის არაგვის ხეობაში რამდენიმე ტრიტორიული თემი არსებობდა ლოკალიზებული ტერიტორიით და ხალხური ტრადიციების ფუნქციონირებით. ამ ტრადიციებისა და ხალხური მმართველობის სისტემის შენარჩუნება ხდებოდა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი სამეზობლო თემების დაქვემდებარების პირობებში, რისთვისაც დამახასიათებელი

იყო ერთ შემთხვევაში ბრძოლა სახელმწიფო კანონმდებლობის მოქმედება-განმტკიცებისათვის, ხოლო მეორე შეტყობინებულების ქმედითი საშუალებების გამოყენება მეთემეთა ყოფა-ცხოვრების ნორმალიზაციისათვის.

საკითხის მიმოხილვა იმითი შეიძლება დავასრულოთ, რომ ტერიტორიული თემი საქართველოში ისტორიულ რეალობას წარმოადგენდა, რაც გამოკვეთილი სახით ძირითადად მთიანეთმა შემოგვინახა ყოველი კუთხისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ატრიბუტებით. მისი ყოველმხრივი შესწავლა საქართველოს ყველა კუთხის მონაცემების მიხედვით მონოგრაფიული კვლევის ამოცანას ექვემდებარება.

გამოყენებული ნუაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, თბ., 1973.
2. ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, ტ. XIII, №8, 1952.
3. ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, ტ. XIII, №10, 1952.
4. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I (ფშავი), თბ., 1974.
5. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990.
6. გ. ბოჭორიძე, თუშეთი, თბ., 1993.
7. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

8. ქ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1988.
9. Р. Д. Эристов, О тушино-пшаво-хевсурском округе, «Записки кавказского отдела императорского русского географического общества», кн. III Тифлис, 1855.
10. ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907.
11. რ. თოფჩიშვილი, ხევსურული გვარები (ზოგიერთი ეთნო-ისტორიული და სოციალური საკითხები), კრ. „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები”, თბ., 1990.
12. რ. თოფჩიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, ჟ. „მაცნე”, (ისტორიის... სერია), 1985, №2.
13. პ. ინგოროვა, სვანთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941.
14. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა (მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები), თბ., 1986.
15. ვახტ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992.
16. ვახტ. ითონიშვილი, ერთხელ კიდევ „ძეგლის დადების” შედეგების მიზეზისა და მიზნის, სამართლის წიგნის მნიშვნელობისა და მოქმედების ტერიტორიის შესახებ, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის”, ტ. XXIII, თბ., 1987.
17. მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის” ტ. XVIII, თბ., 1975.
18. მ. კანდელაკი, მეკოდეობის ტრადიცია თუშეთში, თბ., 1995.
19. М. И. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, М., 1890.
20. ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933.
21. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934.
22. ს. მაკალათია, ხევსურთი, თბ., 1935.



23. М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда Тифлисской губергии, «материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», т. V, Тифлис, 1887.
24. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959.
25. ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962.
26. ი. ფუტკარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964.
27. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
28. გ. ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში (შატილის საფეხო), „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის”, ტ. VII, თბ., 1955.
29. Г. Д. Чиковани, Из истории общественного быта вейнахов, «Кавказский этнографический сборник», т. VI, Тб., 1986.
30. И. Д. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», 1849, №7.
31. რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის”, ტ. VI, თბ., 1953.
32. რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის”, ტ. X, თბ., 1959.
33. Р. Л. Харадзе, некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей, «Кавказский этнографический сборник», т. II, Тб., 1968.
34. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.
35. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.
36. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნანერები, თბ., 1940.

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების თავისებურობაზე ტანა-ატენის ხეობაში

ტანა-ატენის ხეობა, რომელიც ადმინისტრაციულად გორის რაიონს ეკუთვნის, თრიალეთის ქედის ერთ-ერთი შემადგენელი, პატარა და ულამაზესი ადგილია. უძველესი დროიდანვე, იგი თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, უმოკლეს დერეფანს ნარმოადგენდა შიდა ქართლისა და ახლო აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის. ხეობა ამ რეგიონებთან, არა მარტო მრავალმხრივი საცალფეხო ბილიკებით იყო დაკავშირებული, არამედ საურმე გზებითაც, რაც ბუნებრივია, ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ამ ხალხთან ურთიერთ სოციალურ-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობისათვის. ასეთ ვითარებაში, თავის-თავად, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ხალხთა ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობას, მეურნეობრივი ტრადიციების შერწყმას, აღებ-მიცემობას და სხვ. რაც ზედმინევნით კარგად ვლინდებოდა საზოგადოების განვითარების იმ პირობებში, რომელსაც საფუძვლად მთა-ბარობის წესი ედო. კერძოდ, ბარის მოსახლეობა მთას აწვდიდა ძირითადად მარცვლეულს, სასმელს და სამრეწველო საქონელს, ხოლო მთა, თავის მხრივ ამარაგებდა ბარს ხე-ტყით, მეცხოველეობის პროდუქტებით, სხვადასხვა სამეურნეო იარაღ-ინვენტარით და სხვ. მათ ურთიერთკავშირს ადუღაბებდა საერთო რწმენა და ხატ-სალო-ცავებში შესრულებული რიტუალი, რაშიც ყველა მონაწილეობდა განურჩევლად მათი ეროვნული კუთვნილებისა და სოციალური მდგომარეობისა. ამ გზით ხდებოდა ხალხთა ურთიერთდაახლოება-დანათესავება, კულტურულ-მეურნეობრივი გამოცდილების გაზიარება. თუმცა, ისტორია მეტყველებს არა-ერთ მძიმე პერიოდზე, როდესაც საშინაო თუ საგარეო ურთიერთობათა მოშლისას მთა-ბარობის ეს ტრადიცია ირღვეოდა.



ასეთ პირობებში, ღრმად ფესვებგადგმული ტრადიცია ბი მაინც ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას და შეშძგომში, მეტ-ნაკლებად შექმნილი ნორმალური ცხოვრების უამს, მათი აღორძინება და შემოქმედებითი სრულყოფა გარკვეულ აღმავლობას აღწევდა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ ასეთ ვითარებაში ბარისა და მთის მოსახლეობას, შესაბამისი მოვლენების ფონზე, გამოუმუშავებია და შეუქმნის დამოუკიდებელი ცხოვრების არაერთი კომპონენტი, რომელსაც ე.ნ. „კარჩაკეტილი“ პირობები კარნახობდა. კერძოდ, ცხოვრების იმ აუცილებელი მინიმალური პირობების შექმნა-შენარჩუნება, რაც ქვეყნისა და ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის იყო გარდუვალი.

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება შესასწავლი რეგიონი, სადაც განსაკუთრებით XVIII-XX სს. მანძილზე მიმდინარეობდა რთული პოლიტიკური პროცესები. აქ, ტანა-ატენის ხეობაში, რომ არაფერი ვთქვათ „ლევაინობის“ შედეგებზე, საკმაო ძალით მიმდინარეობდა ადგილობრივი ყოფითი ტრადიციების რღვევისა და დაკინების პროცესები. თვალსა და ხელს შუა ჰქონდა და ირღვეოდა მთისა და ბარის ურთიერთ მჭიდრო კავშირები, რაც ბუნებრივია განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი შიდა და გარე პოლიტიკური გარემოებით. ამ ხნის მანძილზე, აღნიშნული პროცესები, საბედნიეროდ განუწყვეტლად არ მიმდინარეობდა და იყო პერიოდები, როდესაც ხალხი სულსაც ითქვამდა, თუმცა იმ განწყობით, რომ მათში უიმედობის გრძნობაც არ იყო ჩამქრალი. ასეთ ვითარებაში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავის შრომით საქმიანობას წარმართავს ძირითადად საარსებო საშუალებათა შესაქმნელად: უმთავრესად ხვნა-თესვით, სამუშაო ძალის გაქირავება-გაყიდვით, მყუდრო-მშვიდობიან ადგილებში გადასახლებით, სახელოსნოებში და სავაჭრო დუქნებში დასაქმებით და სხვ. მაშინ, როდესაც ტრადიციულად ქართველი გლეხის ძირითად საარსებო

საშუალებად ხვნა-თესვასა და მესაქონლეობასთან ერთად
მრავალწლიანი ნარგავების ნარმოება იყო, რომ მისი (ამ შემთხვევაში
თხვევაში ქართლელის) საშოვარზე გასვლა ერთ-ერთ დამამ-
ცირებელ პირობას ნარმოადგენდა. და მიუხედავად ამისა, ეს
მძიმე პროცესი გარკვეული სახით და გარკვეულ პერიოდებში
ტანა-ატენის ხეობაშიც მიმდინარეობდა, სადაც ხშირად მათ
ადგილს სხვადასხვა რეგიონებიდან მოსული ფენები იკავებდნ.

ამგვარი მიგრაციული პროცესები, განსაკუთრებით შე-
სამჩნევი ხდება XIX საუკუნიდან, კერძოდ მეორე ნახევრიდან,
როდესაც გლეხი „განთავისუფლდა“ და ადგილმონაცვლეო-
ბის საშუალება მიეცა. ასეთ ვითარებაში იქმნება გარკვეული
სოციალური ფენები, რომელთა მიგრაციულ პროცესებში ჩა-
რთვა პუნქტრივია საზოგადოების განვითარების, მიმდინარე
პოლიტიკური მოვლენებით იყო ნაკარნეხევი. მიმდინარეობს
ტრადიციული მეურნეობრივი ფორმების ახლებურად ნარმო-
ება-გაზრება, მასში შემოქმედებითი ძვრები, რომელიც არც-
თუ იმვიათად არღვევს ძველ თუმცა ჯერკიდევ საჭირო მეთო-
დებს, ძნელდება მათი შერწყმის პროცესები და სხვ. „თავისუ-
ფალ“ გლეხთა და ხელოსან-ვაჭართა გარკვეული ნანილი ეძ-
ებს ერთის მხრივ ნომიკრ, ნაკლებად დასახლებულ ადგილებს,
მეორის მხრივ, გამომდინარე დარგის სპეციფიურობიდან, ირ-
ჩევს ხალხმრავალ რეგიონებს. ამ მხრივ, ტანა-ატენის ხეობის
მოცულობამ, მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, კერძოდ
თრიალეთის გადასასვლელებმა, შიდა ქართლის ცენტრალურ
რეგიონებთან – ძირითად სამიმოსვლო მაგისტრალებთან სი-
ახლოვე-კავშირმა, განაპირობა მისი აღზევება-აღორძინება,
რაც გამოიხატა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლე-
ობის მეტ-ნაკლებ სწრაფვაში, ვაჭარ-ხელოსანთა მომძლავრე-
ბის გააქტიურებაში, მსხვილ მემამელეთა მოქმედების არეა-
ლის დაინტერესება-გაფართოებაში და ა. შ.

ტანა-ატენის ხეობაში შედიან ქალაქელი ვაჭარ-ხელოს-
ნები, ქსან-არაგვის დიდი და პატარა ლიახვებისა და ქციის ხე-

ობებიდან აყრილი გლეხობის გარკვეული ნაწილი, რაც გამოიჩინა რობებული იყო ერთხანს ამ რეგიონის თითქმის დაცილებულების ბით. ამასთან, მათი განთავისუფლების ვერტიკალური ჭრილი შესაბამისად მიმდინარეობდა სოციალური ნიშნისა და მეურნეობრივი ტრადიციების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ხეობის ქვედა წელში ჭარბობდნენ ვაჭარ-ხელოსნები, გარდამავალ ზოლში მიწათმოქმედნი, ხოლო მთაში მეცხოველეობაში დასაქმებული ადამიანები. აღნიშნული პროცესი, თანდათანობით კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებს, რაც დაფუძნებული იყო ზონალობის მჯიდრო ურთიერთკავშირზე, მის გარდუვალობაზე. მიმდინარეობს გლეხთა ფენებიდან ვაჭართა, ხელოსანთა და წვრილ-წვრილ მემამულეთა წარმოქმნის პროცესები, რომელთა ნიადაგზე ხშირად იგივე მოქალაქე გლეხის, მემამულის, ხელოსნის ან ვაჭრის როლში გვევლინება. თუმცა, მაინც გამოკვეთილია ერთიანი სოციალურ-მეურნეობრივი სისტემის ხასიათი, მათი ვერტიკალურ-პორიზონტალური ჭრილით.

როგორც წესი, მიწათმოქმედი და მესაქონლე ხალხი, თავისთავად მტკიცედ ფეხმოკიდებულ ფენას წარმოადგენდა, ხოლო ვაჭრების და ხელოსნების გარკვეული ნაწილი უმთავრესად მომთაბარულ საქმიანობას ენეოდნენ. აქედან ვაჭრები უმთავრესად ქალაქელები იყვნენ. აქედანვე იყვნენ მჭედლები, ნალბანდები, მენალეები, ქვის მთლელები, რომელნიც პერიოდულად მოძრაობდნენ. ხოლო რაც შეეხება ხელოსანთა სხვა კატეგორიას: ხით-ხურო კალატოზი, ყავრის მხდელი, ურემ-მარხილის მკეთებლები, სხვადასხვა წვრილი იარაღ-ინვენტარის მკეთებლები, უმთავრესად ადგილობრივი გლეხობა წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში, შეინიშნება აგრეთვე ახლადჩამოსახლებულთა ერთი ნაწილის – განსაკუთრებით ოსური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის პროფილის გამოკვეთა-სპეციალიზაცია, რაც გამოიხატებოდა ხე-ტყის დამზადებაში, ურემ-მარხილის კეთებაში, ყავარის გამოხდაში, ხის სასოფ-

ლო-სამერნეო იარაღების, საოჯახო ინვენტარის დამზადება-
ში, რომლის რეალიზაციასაც თვითონ ახდენდნენ. ხოლო რეალურობა
შეეხებოდა ტყავის პირველად დამუშავებას, რეინა-კავეულის,
ნინდა-პაჭიქების, ხამი ქსოვილების წარმოება და სხვ. მთელი
ხეობის მახასიათებელს შეადგენდა. ოსურმა მოსახლეობამ
მეტ-ნაკლებად გააძტიურა მეცხოველეობის დარგისა და მის-
გან მიღებული პროდუქციის, აგრეთვე შალის, ნაბდისა და ხა-
მის წარმოება. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს:
„სიმდიდრე მათი (ოსთა) არს თოფი, ხმალი, ჯაჭვი, ჯავშანი,
სპილენძი და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უნყიან თეთრი,
არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი,
ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით. უნყიან
უცხოთა სტუმართა პატივი და უკნებლობით დაცვანი... უნყი-
ან ხელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისი, თელვა, კეთება ნაბ-
დისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა,
სახლთ შენება, არამედ არღარა ხმარობენ ქვითკირსა. გარნა
აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ, და მრავალთა ერთმანე-
თსა ზედა... ხდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ
შინა სვივა, და იგიცა მიაქუთ ქართლიდან, რაჭიდან და ჩერქე-
სიდამ. კვალად ხდიან და აკეთებენ იყსა, ბოზასა, პურთა და
ქერთაგან, და სმენ დღესასწერსა თვისსა და სტუმრობასა შინა.
უნყიან სულთა მკვდართა მათთა სასხრად და მოსახსენიე-
ბლად... სარწმუნოებით არიან ძველა ქრისტიანენი და სამწყ-
სონი ნიქოზლისანი, და უფრის დვალნი, არამედ ანინედოი უა-
მსა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ
დიდ მარხვისა, ხატთა, ეკლესიათა, და სამღვდელოთა პატი-
ვისა და თაყვანსცემენ, და სხვისა სრულად უმეცარნი, არა
უვისთ მღვდელი, და უნათლისლებანი არიან, თვინიერ რომე-
ლნი ქართლსა და რაჭის მოინათვლიან... უნყიან მსგავსი კერ-
პისა, რომელსა უნოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას
თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ
მაღალ ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა

როგორც ვნახეთ ვახუშტის აღწერა უმთავრესად საქართველოში დამკიცდრებულ ძველ, ოსურ მოსახლეობას ეხება, რომელთაც ძირითადად შეთვისებული აქვთ ადგილობრივი, ქართული ყოფა და კულტურა, რამაც განაპირობა მათი ფაქტობრივად შეუზღუდავი მომძლავრება უმთავრესად ქართლის, კახეთისა და რაჭის მთიან რეგიონებში. ასეთ ვითარებაში, მათი მეურნეობრივ-საყოფაცხოვრებო კულტურა ბუნებრივია დიდად არ განსხვავდებოდა ადგილობრივი ქართული ტრადიციებისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირეოდენ სახეცვლილებებს, რაც გამოიხატა ბინათმშენებლობაში, შინამრეწველობის ცალკეულ დარგებში და სულიერი ცხოვრების ელემენტებში. კერძოდ, ტანა-ატენის ხეობის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, სადაც ოსური მსახლეობა ფეხს იკიდებს უმთავრესად XX საუკუნის 20-30-იანი ნლებიდან, ჩანს, რომ ადგილობრივ ქვით-კირით ნაგებობებს საკმაოდ კარგად მიუსადაგეს მათვის დამახასიათებელი ხის საცხოვრებელი სამეურნეო ნაგებობანი. ამ მხრივ კარგად შეინიშნება ქვით-კირით ნაგებ პირველ სართულზე დაშენებული ხის საცხოვრებელი, ბანიან-ერდოიანი სახლები, რომელთა დამხმარე მეურნეობრივი კომპლექსი შეიცავს როგორც ბარის, ისე მთისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ხის ბინების მშენებელ-ხელოსნებიც უმთავრესად ოსები იყვნენ. ასევე ითქმის მარხილების კეთების, ყავრის გამოხდის, ხე-ტყის დამუშავების, ხის საოჯახო, სამეურნეო იარაღ-მოწყობილობის კეთება-რეალიზაციის მიმართულებითაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, როდესაც საერთო მოვლენების ფონზე, დღის წესრიგში დგება კარჩაკეტილი ცხოვრების პირობების მეტაკლები გაუმჯობესება და ხელ-ფეხი ეხსნება კაპიტალი-



სტურ ურთიერთობათა მახასიათებელ ელემენტებს, ბუნებრი-
ვიდ წინა პლანზე წამოინია ვაჭარ-ხელოსანთა ინსტიტუტების
გააქტიურებამ, საბაზრო დანიშნულებით სოფლის მეურნეო-
ბის პროდუქტების წარმოების გაფართოებამ, მიგრაციულმა
პროცესებმა. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გამო-
ირჩეოდა აღებ-მიცემობის, ანუ ვაჭრობისა და ხელოსნური
დარგების გააქტიურება, რომელთაც ტრადიციულად საკმა-
ოდ მძლავრი ბაგა გააჩნდათ.

მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. 30-იანი წლებისათვის რუ-
სეთის ცარიზმის პოლიტიკა ამიერკავკასიაში უმთავრესად
საომარი მოვლენებისაკენ იყო მიმართული და ეკონომიკური
ათვისებისათვის და საერთოდ ადგილობრივი მმართველობი-
სათვის არ ეცალა, მაინც ზემოაღნიშნული პროცესები ბუნებ-
რივი განვითარების კანონზომიერებით მიმდინარეობდა, ირ-
ლევოდა პატრიარქალურ-ნატურალური მერნეობრივი თავი-
სებურებანი წვრილ გლეხურ მინათმოქმედებაში, თანდათან
დრომოქმული ხდებოდა შესაბამისი იარაღ-მოწყობილობა,
აგროტექნიკური პროგრესი გარდაუვალს წარმოადგენდა.
თუმცა, ცარიზმის რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკით, მისი
განაპირა მხარეები, მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებლები და
საქონლის გამსაღებელი უნდა ყოფილიყვნენ, რითაც ხელ-
ფეხს უბორკავდა ადგილობრივ სასაქონლო მეურნეობას და
აღებ-მიცემობა-ვაჭრობის განვითარებას. ამასთან, რუსეთის
ინტერესებში შედიოდა აგრეთვე ამიერკავკასიის სავაჭრო-სა-
ჭრანსპორტო ობიექტად გამოყენება, რომელსაც საამისო
ტრადიციებიც გააჩნდა. 1831 წ. რუსეთმა საქართველოში გაა-
უქმა შიდაფეოდალური გადასახადი და შეღავათები, რითაც
უკმაყოფილო დარჩა ადგილობრივი ნაციონალური ბურუჟა-
ზია, რამდენადაც შეიზღუდა მათი უფლებები მსხვილ სავა-
ჭრო-სამრეწველო ცენტრებთან, რომელთა ფერხულშია ჩაბ-
მული საქართველოს ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, გორი,
თელავი და სხვ. [2, გვ. 191]. რუსეთთან ეკონომიკური კავში-

 რეპის გააქტიურებამ გამოიწვია სხვა ქვეყნებთანაც კამ მხრი
ვი დამოკიდებულების გაფართოება. საქართველოში სიცადა
სხვა სავაჭრო-სამრენველო ცენტრებიდან „შეღავათიან ტა-
რიფით“ შემოდიან საქმიანი ადამიანები, რომელთა მეშვეობი-
თაც ადგილობრივ ვაჭართა ხელში თავს იყრიდა საკმაოდ მნი-
შვნელოვანი ფულადი კაპიტალი, რომელიც პირველ რიგში
მრენველობის მიმართულებით ბანდდებოდა. იპადებოდნენ
ახალ-ახალი ფაჭრები და მასთან ერთად ხელოსნობის დარგე-
ბიც. აღნიშნული პროცესები მიმდინარეობდა ძველი ტრადი-
ციების გარკვეულწილად რღვევითა და უცხოური გამოცდი-
ლება-მიღწევების ფონზე, რაც უმტკივნეულოდ ცვლის გლე-
ხის ყოფაში დამკიდრებულ ოჯახურ შინამრენველობას.
გლეხურ-მეურნეობრივ მარტივ ხელოსნურ ნარმოებას ერწყ-
მის ქალაქად უკვე საკმაოდ გაბატონებული ამქრული მოძ-
რობა.

1844 წლის მონაცემებით, მარტო აღმოსავლეთ საქართ-
ველოს სოფლებში აღრიცხული იყო სამი ათასზე მეტი შინაუ-
რი დაზვა, რომლებზედაც ბამბის, შალის და აბრეშუმის ქსო-
ვილებს ამზადებდნენ. გორის სამაზრო ადმინისტრაციის არა-
სრული ცნობებით, 1845 წელს საქართველოში გაიყიდა დამ-
ზადებული „სოფლის ნაწარმი“ დაახლოებით 30-60 პროცენ-
ტი. სულ 15 ათასამდე მანეთის ღირებულების, რომელთა შო-
რის ჭარბობდა ხალიჩები, ჩული, ქეჩა, ფლოსტები, შალის ქსოვილი,
ტილო, აბრეშუმის ქსოვილი, ჭილოფი, შალის ზონა-
რი, მაფრაშა და სხვ. [3, გვ. 69]. აღნიშნული ნაწარმის გარკვე-
ული ნაწილი ბუნებრივია ადგილობრივადაც მოიხმარებოდა,
ხოლო ნაწილი ახლო-მახლო ბაზრებზე გადიოდა. ამავდროუ-
ლად, უცხოური ნაწარმის შემოტანა, როგორც ითქვა, თანდა-
თანობით უხშობდა კარს ოჯახურ რეწვას და ჰქმნიდა პირო-
ბას მათი ნვრილ კაპიტალისტურ სარენებად ვადაქცევას, რა-
ზეც მეტყველებდა სოფლად ხელოსნურ ნარმოებაში დასაქმე-

ბულ თსტატთა რიცხვის ზრდა, რომლის ოდენობა 1845 წლის 2800-მდე შეადგენდა.

ტანა-ატენის ხეობის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეს პროცესები ვერტიკალური განლაგებით მიმდინარეობდა, რა-მდენადაც იგი სწორედ იმ სოფლების სინამდვილეში იყიდებდა ფეხს, რომელნიც მსხვილი ქალაქებიდან და გზა-ჯვარებინების სიახლოვეს მდებარეობდა. აღნიშნულის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ფაქტობრივად ახალი სოფელის – ხიდისთავის წარმოქმნა. აღნიშნული სოფელი ფაქტობრივად გორის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოქმნა, იქ სადაც ტანა-ატენის ხეობა იწყებოდა. სოფელი, რომელიც მტკვარზე ხიდისყურთან წარმოქმნა, XIX ს. პირველ ათწლეულშივე იქცა იმ გარდამავალ სავაჭრო-საქმიან ტერიტორიად, რომლის მეშვეობითაც შიდა ქართლი თრიალეთის გადასასვლელებით ქვემო ქართლსა და ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირებდა. აღნიშნულ გარემოებას – ხიდისთავის დაწინაურებას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო აგრეთვე ხეობაში უძველესი ისტორიული სოფლის – ატენის არსებობამაც, სადაც ამ მხრივ მდიდარი ტრადიციები არსებობდა.

სოფ. ატენი, რომელიც ქ. გორთან ათიოდე კილომეტრზე მდებარეობს და, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი, VII საუკუნიდან იყო ცნობილი, ბუნებრივია ვაჭარ-ხელოსნობის გარეშე არ იქნებოდა, რომელთა არეალი ხეობის ფარგლებსაც სცილდებოდა. შემდგომში, კერძოდ XVIII საუკუნეში ლეკოთა განუწყვეტილმა შემოსევებმა დააკნინა და დააქვეითა ერთდროს ძლიერი ქალაქი, თუმცა სოფელი, როგორც სავაჭრო-სამეურნეო კულტურის ცენტრი თავის პრიორიტეტულ მდგომარეობას XIX საუკუნემდეც ინარჩუნებდა. ამავე საუკუნის შუა ხანებისათვის გორი-ხიდისთავის გავლით, მიმდინარეობს კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პროცესი. კერძოდ, XIX ს. 40-იანი წლებისათვის თავად-ერისთავებს მოწყობლი ჰქონდათ

ნყლის ენერგიაზე მოწყობილი „ქარხნები”, რომელთაგან ერთ-ერთი ატენში იყო განთავსებული. ცოტა მოგვიანებით, ფერმოდა 80-იან წლებში, ფინელმა მრეწველმა ავგუსტი იაგორისძე ზე-ზემანმა ტანა-ატენის ხეობაში გაიყვანა ვინროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელიც გორიდან ამ ხეობის გავლით გადიოდა ბორჯომის ხეობამდე. რკინიგზის ძირითადი ფუნქცია ხეტყის გატანაში მდგომარეობდა, რომელიც მზადდებოდა განსაკუთრებით ხეობის ზედა წელის სოფლებში: ბობნევში, ბის-ში, თრინალაში, ორმოცაში, ბოშურში, ტუსრებში, საცხენისში, თეთრწყალში, ლევიტანაში. ზეზემანს შესაბამისი ქარხნები ჰქონდა მოწყობილი სოფ. ზინდისში, ლევიტანაში და პატიანა ატენში, რომელთაგან ერთი ცეცხლზე და ერთიც წყალზე მუშაობდა.

განსაკუთრებით ხეობის ცენტრალურ სოფლებში: ხიდისთავში, ატენში, წელისაში, ბობნევში და სხვაგან ჩნდება კირის, აგურის, ნახშირის გამოსაწვავი მცირე საწარმოები, ნავთობის რეზერვუარები, საპნის სახდელები, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი, სამღებრო და სხვა სახის საოჯახო მოთხოვნილების საქონლის მწარმოებელი ქარხნები, მრავლდება წყლის ნისქვილები, არყის სახდელები, რასაც თავისთავად მოსდევდა ვაჭარ-ხელოსანთა ზრდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გლეხთა ფენაზე მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ XIX ს. მეორე ნახევრში, ტანა-ატენის ხეობაში მოწყობილი პირველი საწარმოებისა და ქარხნების ნაკვალევმა XX საუკუნის მეორე ნახევრამდეც კი მიაღწია, რომელთა ბაზაზეთ შემდგომ მოეწყო არაეთრი მძლავრი, ელექტროენერგიაზე მომუშავე ხის სახერხი ქარხანა, ნათვთობ-პროდუქტების გადასამუშავებელი საწარმო, შპალსაუდენთი ქარხანა, და სხვ. სერგი მაკალათიას გამოკვლევით „ზეზემანის რკინიგზა აქ დღესაც კარგად ახსოვთ, მისი პირველი მუშა ყოფილა სანდრო თედოს ძე ჭილლაძე. ზეზემანის ეს რკინიგზა მუშაობდა 1918 წლამდე, როდესაც იგი წყალდიდობამ

ნალეკა, გააფუჭა და შემდეგ ის აყარეს"-ო. ამასთან აქვე დასპუბლიკური დოკუმენტი მიერ ჩარჩული, უწყალობო ექსპლოატაციაში ციის შედეგად ნადგურდებოდა ატენის ამ ლამაზი ხეობის უნიკალური ტყე ჯიშები, რომლის კვალი დღესაც სავალალოდ გამოიყურებათ" [4, გვ. 15].

ტანა-ატენის ხეობის ქვედა ნელში, შეინიშნებოდა არა მარტო ადგილობრივი და მიმდინარე რეგიონებიდან სარენაო-ებისა და საამქროების მოწყობის მსურველები, არამედ აქ შესვედებოდით ქ. თბილისიდან, ბათუმიდან და სხვ. სამრეწველო-სავაჭრო ცენტრებიდან ჩამოსული ადამიანსაც. მაგ. 1898 წლისათვის, სოფ. ხიდისთავში, ნათვის მსხვილი რეზერვუარი გააჩნდა პეტრე დავითის ძე აბუევს, რომლის ქონება 600 მანე-თად იყო შეფასებული და იხდიდა ნელინადში 12 მან. გადასა-ხადს; მის ძმას ზაქარია აბუევს პურის საცხობი, შეფასებული 600 მან. და იხდიდა 12 მან., მესამე ძმას ივანეს შერეული სახის სანარმოები 400 მან. შეფასებული და იხდიდა 8 მანეთს; აქვე ნისქვილი ჰქონდა მოწყობილი ვინმე გიორგი დავიდოვს, შე-ფასებული 120 მანეთად და იხდიდა 2 მან. და 40 კაპიკეს; სო-ლომონ ბარათოვს ჰქონდა სავაჭრო დუქანი 400 მანეთად შე-ფასებული და იხდიდა გადასახადს 8 მანეთს. [5] და ა. შ.

ამავე ხიდისთავის მხარეში – სოფ. ატენში 1857 წლისა-თვის ფუნქციონირებდა მძაფრი ხე-ტყის გადასამუშავებელი სახერხი ქარხანა, რომლის შემოსავალი 3550 მანეთს უდრიდა, ავრეთვე შუმის ქარხანა 4100 მან. შემოსავლის სიმძლავრით და ა. შ., რომლის პროდუქცია არა მარტო გორსა და მის შემო-გარენში საღდებოდა, არამედ ქ. თბილისშიც. ალსანიშნავია, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ხიდისთავის მხარეში აღრი-ცხული იყო 10426 მამაკაცი და 9434 ქალი, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ სანარმოებში იყო დასაქმებული [6].

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედე-გად, ტანა-ატენის ხეობის ვაჭარ-ხელოსანთა და საერთოდ მოსახლეობის ამ პროცესებში გააქტიურებაზე მეტყველებს

მეზობელ რეგიონებიდან ურთიერთ ეკონომიკურ-კულტურული კავშირები. ამ მხრივ განსაკუთრებით შეინიშნება ურავრემცვულება, და ფციის ხეობებთან, ბორჯომ-მანგლისთან და სხვ. მაგალითად, XIX ს. 30-იან წლებში, როდესაც ბორჯომის ხეობაში, ხოლო შემდეგ აწყურის მახლობლად არსებობდა ზავილეისკის მინის „ქარხანა“ მისთვის პეტერბურგიდან გამონერილი იქნა ჰოლანდიური მინის სალბობი ქურა. მის წარმოებასაც რუსი ოსტატები ხელმძღვანელობდნენ. მათთან მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ ატენის ხეობის შესაბამის სანარმოებს, რამდენადაც აქ ასეთივე ტიპის „ქარხანა“ ჰქონდათ მოწყობილი თავად ერისთავებს, რომელმაც XIX ს. 40-70-იან წლებში იმუშავა. აღნიშნულ „ქარხანაში“ 20-30-მდე დაქირავებული მუშა მუშაობდა, ხოლო დამხმარე სამუშაოებში – შეშის დამზადება, სილის მოთხრა-მოზიდვა და სხვ. საქმიანობას მათი ყმები ასრულებდნენ. ისე, რომ აღნიშნულ სანარმოებში მთლიანად 100-ზე მეტი კაცი იყო დასაქმებული და 15 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციას უშვებდა, რომლის რეალიზაცია მიმდინარეობდა არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ ჩრდ. კავკასიაშიც. აქ ძირითადად ინარმოება ბოთლი, ფანჯრის მინა, სააფთიაქო და სხვა ჭურჭელი [3, გვ. 81].

აღნიშნული პროცესების განვითარების მომდევნო ეტაპზე, გარკვეულწილად, რუსეთიც უწოდდა ხელს, რამდენადაც მათ ფაბრიკული ნანარმის გასაღების ბაზრად საქართველოს მსხვილი ქალაქები ეგულებოდათ, რისთვისაც აარსებდნენ იამარკებსა და ბაზრებს, ხოლო სოფლებში ხელს უწყობდნენ რუსი მეწვრილმანების მოძრაობას. თუმცა, თავდაპირველად, როგორც აღვნიშნეთ, იგი ყოველმხრივ აბრკოლებდა მრეწველობის ფართომასშტაბიან განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში საერთოდ, რამდენადაც ის მხოლოდ სანედლეულო და სავაჭრო კოლონიად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ქვეყნად მიმდინარე მოვლენები, იწვევდა გლეხთა ფენებითი სამართლებრივი სამსახურის მოძრაობაში ჩაპას და მათგან შეწარმეთა და ვაჭართა საზოგადოების ჩამოყალიბებას, საშოვარზე გასვლის ტენდენციას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამგვარ მოძრაობას მეტ-ნაკლებად მხარი აუბა არა მარტო შეძლებული გლეხობის გარკვეულმა ნაწილმა, არამედ გაღატაკებულმა ფენამაც, რომლის ნათელი დადასტურებაა 1897 წლის მონაცემებიც. კერძოდ, აღნიშნული პერიოდისათვის მარტო თბილისის გუბერნიის ძირეული მაცხოვრებლებიდან ადგილზე არ აღმოჩნდა, ანუ საშოვარზე იყო გასული 28846 კაცი, რომელთა უმეტესობა სამუშაოდ იყო გასული და სამუშაო ძალას ყიდდა სოფლისა და ქალაქის ბურუუა-კაპიტალისტებზე [3, გვ. 357].

ეს ის პერიოდია, როდესაც სამიმოსვლო, განსაკუთრებით სარკინიგზო მეურნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო ძველი ქალაქების აღორძინება-გამოცოცხლებას და ახალი სავაჭრო-სამრეწველო დასახლებების, დაბა-სოფლების წარმოქმნას. ასეთთა რიცხვს საკვლევ რეგიონში განეკუთვნებოდა სამაზრო ქალაქი ვორი; „მცირე ქალაქები”: ალი, სურამი, ახალგორი, ცხინვალი და სხვ., რომელნიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოადგენენ ვაჭრობისა და უპირატესად კი წვრილი საქონლური წარმოებების ცენტრებს. თუკი ვერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში წატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში, დაპირისპირება სოფელსა და ქალაქს შორის წაკლებად იგრძნობოდა და ქალაქების სამეურნეო ფუნქციები შემოიფარგლებოდა შედარებით შეზღუდული მასშტაბის საშუამავლო ვაჭრობით, შემდგომ, წვრილსაქონლური – უპირატესად ხელოსნური წარმოების განვითარებით, რომელიც მომსახურებას გაუწევდა ვიწრო ბაზრის გარდა თბილისისას, XIX ს. პირველ ნახევარში, განსაკუთრებით კი 40-50-იანი წლებიდან, წატურალური მეურნეობის რღვევის ინტენსიურ პროცესთან დაკავშირებით ხდება ქალაქისა და



სოფლის დაპირისპირების გაღრმავება, ქალაქების აქტიური ზემოქმედება სოფელზე. ისე, რომ ქალაქები ხდებიან ურთიერთობის დან ფაქტობრივად გამოდევნილი მოსახლეობის თავშესაფრად. აღნიშნულ პროცესებში კი განსაკუთრებით აქტიურად ებმევა მთის სოფლის მოსახლეობა, სადაც თავის რჩენის პირობები შედარებით ნაკლებად არსებობდა. თავის მხრივ, გამოცდილი ქალაქელი ვაჭრები კაპიტალს სოფლებში აპანდებდნენ, აარსებდნენ სავაჭრო დუქნებს და ქირით ადგილობრივ გლეხობას აძლევს. მაგალითად, 1816 წელს ერთ-ერთ „შეკრულობის წიგნში“ ნათქვამია: „ესე შეკრულობის წერილი მოგეცი მე, მელიქიანთ შაქრუას შვილმა იოსებმა, შენ, იოსების შვილი ბაყალი სიმონას და ბაყალი სოლომონას, ესე რომ ხადაკოაანთშვილი(ის) ქისეთას ორი დუქანი ჩემთა გირაოთ არის და თქვენ ერთის წლის პირობით ქირით მოგეცით ორი დუქანი, თავში (თვეში?) ორი მინალთუნით“... [7, გვ. 259] ან კიდევ, სოფლებში, თუ დაბა-სავაჭრო ადგილებში მიმართავენ წვრილ-წვრილი სანარმოების მოწყობას და მის იჯარით გაცემას, კერძოდ, 1800 წ. ივნისის 7 ბრძანებაში აღნიშნულია დავით ბატონიშვილისა სურამის მოურავების ევგენ და დავით აბაშიძეებისადმი სურამისა და ხეფინის – ხევის ბაჟისა და სამღებროების იჯარით გაცემის შესახებ [7, გვ. 25] და ა. შ.

საგლეხო რეფორმის შემდგომი ხანა საქართველოში, როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობის, ხელოსნობის გამოცოცხლება-განვითარებისათვის საკმაოდ ხელსაყრელ პერიოდად ითვლება. ეს ის დროა, როდესაც რკინიგზის გაყვანამ, სამთამადნო მრეწველობის აღმავლობამ, სავაჭრო მინათმოქმედების განვითარებამ და სახელმწიფო კერძო საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებით, საქართველო ებმება მსოფლიო საქონელბრუნვაში. ამ ფერხულში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სასოფლო-სამურნეო კულტურების თვისობრივი და რაოდენობრივი წარმოების ზრდა. გლეხობაში და მემამულეებში იზრდება მისწრაფება ტრადიციული და ახალი,

განსაკუთრებით ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტუ-
რების საწარმოებლად და ამ მხრივ საბაზრო მოთხოვნილებების
თა დასაკმაყოფილებლად. გასაკუთრებულ პრიორიტეტს
იძენს მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, სიმინდის; მე-
ცხოველეობის დარგებიდან მეცხვარეობა, მატყლისა და სხვა-
თა საბაზროდ წარმოება. საგარეო ვაჭრობაში გარკვეულ ად-
გილს იკავებს წიაღისეული.

მიუხედავად ამ სფეროში გარკვეული წარმატებებისა,
ქვეყნის საშინაო ვაჭრობას ჯერ კიდევ არ შესაბამებოდა იმ
საქონლის პრუნვა, რომელიც ადგილობრივ ბაზრობებზე სუ-
ფევდა. ამ მიმართულებით, ტანა-ატენის მოსახლეობა აქტიუ-
რად მონაწილეობს მიმდებარე მუდმივ და სეზონურ ბაზრობე-
ბში. კერძოდ, ხეობიდან გაედინება, როგორც დამუშავებული,
ისე დაუმუშავებელი ხე-ტყე, მესაქონლეობის პროდუქტ-ნედ-
ლებული, ლვინო-არაყი, სასოფლო სამეურნეო და საოჯახო
იარაღ-ინვენტარი, სხვადასხვა სახის ქსოვილი. ამ მხრივ აქა-
ურ გლეხებს და მეწარმეებს კარგად იცნობდნენ გორის, ახა-
ლქალაქის, ერთანმინდის, ხიდისთავისა და გორისჯვრის ბაზ-
რობებზე. ხეობაში წარმატებით მიმდინარეობდა ადგილობრი-
ვი ვაჭრობაც, საქონელგაცვლა. ლვინო-არაყის, ცოცხალი პი-
რუტყვის, ერბო-კარაქის, მატყლისა და ტყავის, ხე-ტყის შესა-
ძენად ადგილზე მიდიოდნენ სირაჯები, ბაყლები, დაბალები,
სოვდაგრები, მეწვრილმანები და სხვ. რომელიც ხშირად წი-
ნასწარ უხდიდნენ ფულს, ან სამრეწველო საქონელს უტოვებ-
დნენ. ასეთ პირობებში, ბუნებრივია გლეხები იძულებული
ხდებოდნენ მიღებული მოსავალი სარაჯ-შემსყიდვების და-
ნესებულ ფასებში, ან სარგებელში მიეცათ. თუმცა XIX ს. 90-
იანი წლებიდან საქართველოს საშინაო საფრობაში აქტიურად
ვითარდება ვაჭარ-შემსყიდველთა საშუამავლო ფუნქციის შე-
მცირების ტენდენცია. ეს ის პერიოდია, როცა თვით მწარმოე-
ბელი ცდილობს ხელი მიჰყოს წარმოებული პროდუქციის რე-
ალიზაციას. აქედან გამომდინარე, იქმნება გაერთიანებები,

რომელთაც თავდაპირველად მსხვილი მემამულეები დარსებული იყო, მაგრა მათ შემდეგ დაბალი ფენებიც. ეს პროცესი მიმდინარეობდა, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სამრეწველო პროდუქციის ნარმოების მიმართულებით. აღნიშნულმა გარემოებამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ხეობის სოფლების: ხიდისთავის, წუდისის, ატენის, ბობნევის, წეროს და სხვ. მოსახლეობის ზრდას და კონომიკურად დაწინაურებასაც. ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული როლი ხეობის საქმნელბრუნვის კონცენტრაციაში შეასრულა სოფ. ხიდისთავმა, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა წვრილ-ბურუჟაზიული ფენა – წვრილმნარმოებელ ხელოსანთა, ვაჭართა, მინის მუშაკთა ოდენობა და არეალი. ხეობის ცენტრალური სოფლების გლეხობიდან გამოსული ვაჭარ-ხელოსნები ავსებდნენ და ამდიდრებდნენ ქალაქის წვრილ-ბურუჟაზიულ ფენას. ისევე, როგორც ამ ტიპის დაბა-სოფლებში ასრულებდნენ იმ საშუალებრო-ვაჭრობის ფუნქციას, რომელიც უმთავრესად დაკავშირებული იყო მსხვილი ქალაქების ცხოვრების პირობებთან.

XX საუკუნის დასაწყისში, აღნიშნული პროცესი განვითარების მნიშვნელოვნად მაღალ დონეს აღწევს. გორის მაზრაში მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ საუკეთესო რეგიონად ითვლებოდა ხიდისთავი და ატენი, სადაც მის ნარმოებაში ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად მკვიდრდებოდა ევროპული მეთოდებიც. აღნიშნული რეგიონებიდან, ღვინო გაპქონდათ 3-5 წლისა. მაშინ, როდესაც 1908 წლის მონაცემებით საქართველოში წლიური მოსავალი უდრიდა 5.584.340 ვედროს და 1908-1916 წლების საშუალო ოდენობა გორის მაზრაში აღწევდა 200.000 ვედროს, მუხრანთან ერთად მისი ძირითადი მნარმოებელი იყო ტანა-ატენის ხეობის სოფლების ხიდისთავისა და ატენის რაიონები [8, გვ. 74].

XX ს. 20-30-იანი წლებიდან, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, ტანა-ატენის ხეობაში, ერისთავების, ორბელიანების, ამილახვრების, ზეზემანისა და სხვათა მამულები-

დან ქონება განსაზოგადებული იქნა, რომელთა ადგილებზე
გაფათროვდა და მომრავლდა ახალი სოფელ-უბნები: ჯებირუსი-გორისა,
ვანიანთ უბანი, გარდატენი, პატარა ატენი, დეგეულა, ჭეჭე-
ლანთ უბანი და სხვ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941 წ.
2. Г. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX в., Тб., 1950 г.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970 წ.
4. ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957 წ.
5. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არ-
ქივი (სსცია), ფ. 254, ანან. 3, საქ. 12702.
6. სსცია, ფ. 48, ანან. 1, საქ. 1834.
7. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის,
6. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბ., 1953.
8. გ. გეხტმანი, საქართველო, ადერბაიჯანი, სომხეთი, ტფ., 1923 წ.

მოსაზრებანი აკად. გ. ჩიტაიას სახელობის
ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის
თბილისის სახელმიწოდებისა და ცის ქვეშ მუზეუმის
რეანიმაციისა და ფუნდაციონირებისათვის

XX საუკუნის 60-იან წლებში მეცნიერულ-თეორიულად
მომწიფდა საკითხი, რომ საქართველოს დედაქალაქში ქარ-
თული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ამსახველი
ლია ცის ქვეშ მუზეუმი დაარსებულიყო. ამ დიდი ეროვნული
საქმის ინიციატორად საბჭოთა ეთნოგრაფიის მამამთავარი
აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია გამოვიდა. მასთან თანამშრომ-
ლობდა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების შესანიშნავი
მცოდნე არქიტექტორი ლონგინოზ სუმბაძე. მათი ზრუნვით
საქართველოში პირველი ლია ცის ქვეშ მუზეუმის იდეა განხო-
რციელდა¹.

ლია ცის ქვეშ მუზეუმისათვის ტერიტორია თბილისში,
კუს ტბის მიდამოებში 1960 წელს შეირჩა, საზღვრები 1965

¹ გ. ჩიტაია, ხალხური არქიტექტურისა და ყოფის მუზეუმი, „ძეგლის მეცნიერება“, 1964, №1, გვ. 18-21; მისივე ქართული ხალხური ხურო-
თმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ლია ცის ქვეშ (თბილისი), „ძეგ-
ლის მეცნიერება“, 1966, №7, გვ. 3-8; მისივე, ლია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, „ძეგლის მეცნიერება“, 1971, №25,
გვ. 40-51; ლ. სუმბაძე, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის გენერალური გეგმის შესახებ, „ძეგლის მეცნიერება“, 1966, №7, გვ. 9-14; მისივე, ქართული ხალხური ხურო-
თმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმი (გენერალური პროექტი და მისი ხუროთმოძღვრულ-გეგმარებითი გადაწყვეტა კუს ტბის მი-
დამოებში. არქიტექტორი ლ. სუმბაძე, კონსულტანტი გ. ჩიტაია), „ძეგლის მეცნიერება“, 1971, №25, გვ. 52-65; მისივე, გიორგი ჩიტაია
- ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ლია ცის ქვეშ მუზეუმის ფუნქციებებითი „მასალები საქართველოს ეთნოგ-
რაფიისათვის“, „ხელეური“, 1985, ტ. 22, გვ. 24-30, გზამკვლევთა
სახით გამოცემულია წიგნებიც.

წელს დამტკიცდა, ხოლო სამშენებლო ობიექტია 1966 წლიდან იქნა აღიარებული. დახლართული და მძიმე საპჭოური ტრანსფორმაციური ტარიელი ბარიერები რევაზ ფრუიძის (სწორედ ამ წლები იყო ჯერ თბილისის კპ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ საქართველოს კპ ცკ-ს მდივანი, ბოლოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე) უშუალო მხარდაჭერით და დახმარებით გადაიჭრა.

მიზანი გრანდიოზული გახლდათ: მოცემულ ტერიტორიაზე საქართველოს ყველა ტრადიციული კუთხე უნდა ასახულიყო განსახლების სისტემით, გზებით, მოედნებით, შუკებით, ორადობებით, თვით ბილიკებითაც კი, ეზო-კარმიდამოებით, საცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობებით, ლობე-სავარგულებით, ჭიშკრებით, ნყაროს-თვლებით, წისქვილებით, ზეთსახდებელით, საცეხველებით, საერობო-საფიხნოებით და ა. შ. ყოველი ნაგებობა, ავეჯი, ნივთი, იარაღ-ჭურჭელი, ტანსაცმელი, უბრალო თუ ხატოვანი ქსოვილები, მუსიკალური საკრავები და ა. შ. უშუალოდ ყოფიდან უნდა ყოფილიყო აღებული, ნატურალური, ხმარებული, მაგრამ სამუზეუმოდ და სანახავად სახეშენარჩუნებული. თითოეული კარმიდამო, სახლი თუ სამეურნეო ნაგებობა და სხვა დამოუკიდებელ, თავისთვად ექსპოზიციად უნდა განხილულიყო, სადაც გამოწვლილვით აისახებოდა ქართველი ხალხის მრავალათასწლოვანი ყოფა და კულტურა, ვერტიკალურ ზონალობაში განლაგებული მოსახლეობის თავისებურებათა აბსოლუტური ჩვენებით. ამ უდიდსი ამოცანის განხორციელებას სათანადო სახსრებთან ერთად, შესაბამის მეცნიერებათა (ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ისტორიული გეოგრაფია, ეკოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფოლკლორი, ბოტანიკა, მემცენარეობა საერთოდ, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ა. შ.) სრული მობილიზაცია სჭირდებოდა. ამ მხრივ არავითარი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაფინანსება არ გამოყოფილა, ძირითად მრგანიზაციად კულტურის ძეგლთა

დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება გამოვიდა და მუხრანი მის მშენებლობა ფაქტურად შეისველი ხელებით დაიწყო, მაგრამ იმდენად დიდი იყო ენთუზიაზმი, რომ 1961 წელს უკვე პირველი საცელე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია განხორციელდა.

მუზეუმის ერთ-ერთი მესვეური და დამაარსებელი გამოჩენილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა გახლდათ. გადასახლებიდან დაბრუნებული მწერლობიდან თავისუფალ დროს მთლიანად ამ საქმეს ახმარდა. სამეცნიერო საბჭოს მხცოვანი აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ხელმძღვანელობდა, ხუროთმოძღვრულ სფეროს პროფესორი ლონგინოზ სუმბაძე განაგებდა. საბჭოში შესაბამისი დარგების ყველა თვალსაჩინო მეცნიერი იყო გაერთიანებული, მაგრამ ძირითად პრაქტიკულ საქმიანობას ეს სამი კაცი ენეოდა. ხანგრძლივი მსჯელობა იმართებოდა, თუ ვინ უნდა დაენიშნათ მუზეუმის დირექტორად, ხმამაღლა არ ამბობდნენ, თუმცა ყოველმხრივ იგრძნობოდა, რომ ის კომპარტიის წევრი არ უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს „ურა ბოლშევიკი“ უცოდველ და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ კაცს ეძებდნენ, ასეთად ღერქსო (ალექსი) ივანიშვილი მიიჩნიეს, რეპრესირებული, ლევან გოთუასთან ერთად გადასახლებაში ნაყოფი, რომელსაც ერის სამსახური გულწრფელად სწყუროდა. ამრიგად, ახალდაარსებული მუზეუმის პირველ დირექტორად რაიკომის, ცეკას და ტეკას დაუკითხავად ღერქსო ივანიშვილი დაინიშნა, რათემა უნდა მცირე, სიმბოლურ ხელფასზე. კულტურის სამინისტროში მუზეუმისათვის მიკროავტობუსის გამოყოფაც მოხერხდა და საქმე გაიჩარხა, რაიონებში გასვლა შესაძლებელი გახდა. სამუზეუმო-ეთნოგრაფიულ მუშაობას, კოლექციების, ექსპონატების მოძიებას, საერთოდ საველე-საექსპედიციო საქმეს, აკად. გ. ჩიტაიას რწმუნებით, ამ სტრიქონების ავტორი ხლმძღვანელობდა. გარდა ამისა, ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ხოლო შემდეგ ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რიგითი მეცნიერ-თანამშრო-

მელი, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვასრულებდი ღრა ცის ქვეშ მუზეუმის სწავლული მდივნის მოვალეობას, ძალაშემუშავების ნებურად საფონდო-სამუზეუმო და საექსპოზიციო პრობლემების გადაწყვეტაც მიწევდა, დაუფინანსებლად სპეციალისტების მოწვევა გვიჭირდა, მუზეუმი ძირითადად ენთუზიაზმით შენდებოდა. იმუამად მთავარი ამოცანა იყო მოცემული ტერიტორია როგორმე აგვეთვისებინა და ორიოდე ნაგებობა ჩაგვედგა.

მუზეუმი კულტურის სამინისტროს დაექვემდებარა: ამ უწყებაში სამეცნიერო-სამუზეუმო საქმიანობაზე ძალიანი მცირე ხელაფასს იძლეოდნენ, არ ითვალისწინებდნენ სამეცნიერო წოდებებს და ხარისხებს, ამიტომ კვალიფიციური მეცნიერები მუზეუმში მუშაობით მატერიალურად არ იყვნენ დაინტერესებულნი, აქედან გამომდინარე, საქმიანობის მთელი ტვირთი დამწყებმა მეცნიერებმა იკისრეს, ასე დადგნენ მუზეუმის დაარსების სათავეებთან ანზორ და დურმიშხან გოგიაშვილები, დავით ხახუტაშვილი, რობერტ (ზურაბ) კეკელიძე, ამირან შელია, გიორგი დავითაშვილი, ალექს ნარიმანიშვილი, იგორ კეცხელავა, შადურ შუკვანი და სხვები.

მშენებარე მუზეუმს ზრუნვას არ აკლებდა საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების სწავლული მდივანი ბ-ნი ირაკლი ზაქარიაშვილი.

არქიტექტურულ საქმიანობას უძლვებოდნენ ირაკლი მოსულიშვილი, შალვა ცინცაძე და სხვები.

ყველანი ერთი იდეით გატაცებული ახალგაზრდები ვიყავით, ზოგი „შტატში მოხვედრილი“, ზოგიც „უშტატოდ“, სრულიად აუნაზღაურებლად სოფელ-სოფელ დავდიოდით და ხშირად ნაჩუქარ, ზოგჯერ შეძენილ ექსპონატებს მუზეუმში ვეზიდებოდით. კუს ტბის ფერდობზე თანდათან წამოიმართა საქართველოს თითოეული მხარისათვის დამახასიათებელი ნაგებობანი: რაჭული კათხა-სახლი, მესხური დარბაზები, ქართლური ბანიანი სახლები, იმერული, გურული, მეგრული ოდე-



პი და სამეურნეო ნაგებობანი, აჭარული სახლები, საქართველო
ნაგებობანი და ა. შ. გაომიკვეთა ეზო-კარმიდამოები, ჭირქებულები,
შუკა-ბანდები, ფოლორცები, ტალავერ-ხეივნები და ა. შ.

მუზეუმში უსასყიდლოდ მოღვაწეობდა მაშინ სრულიად
ახალგაზრდა, ხოლო შემდეგ ქართული მევენახეობა-მეღვინე-
ობის ცნობილი სპეციალისტი, უდროოდ გარდაცვლილი პრო-
ფესორი რევაზ მაქსიმეს ძე რამიშვილი. ერთი სიტყვით, ლია
ცის ქვეშ მუზეუმი იმ ადგილად იქცა, სადაც ბოლშევიკური
დიქტატურის პირობებში სულშეხუთული და ფრთაშეკვეცილი
მამულიშვილები უანგარო მოღვაწეობის ასპარეზს ჰპოვებ-
დნენ. მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, 70-
იან წლებში ლექსო ივანიშვილი გულის შეტევით გარდაიცვა-
ლა, ლევან გოთუაც მიიბარა არმაზის მიწამ და ის ეროვნული
სული გაიძარა, ის აღტკინება და მამულიშვილური მგზნება-
რება ჩაიფერფლა... გამოცდილი, უკვე ნაწილობი კადრები გა-
იძნა, ზოგიც უდროოდ გარდაიცვალა (დავით ხახუტაშვილი,
რობერტ კეპელიძე) და საქმე დაბრკოლდა. გარკვეული წინა-
აღმდეგობანი თავიდანვე იგრძნობოდა: ჩვენ, გიორგი ჩიტაიას
მონაფეები კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით მუზეუმში
რაიმე ფანტაზიური, ე. წ. „შემოქმედებითი“ განხორციელებუ-
ლიყო. აქ მხოლოდ მეცნიერული სიზუსტით ქართველი ხა-
ლხის მრავალათასწლოვანი ყოფა და კულტურა უნდა ასახუ-
ლიყო. ვინც ქართველი ხალხის განსახლების სისტემაში, ნაგე-
ბობათა ტიპსა და მოსახმარი ნივთების თავისებურებებში გა-
რკვეულია, ის უსათუოდ დამეთანხმება, რომ გამოყენების,
ე. ი. ფუნქციის გარეშე მკვიდრ, ჭეშმარიტ, ტრადიციულ მოსა-
ხლეს არცერთი რეალია არ ჰქონდა, თუ არ სჭირდებოდა,
ეზოში სარს არ დაასობდა, ასევე არც მცენარეს დარგავდა,
არც ორნამენტს ამოკვეთდა, მით უმეტეს, ნაგებობას არ ააშე-
ნებდა და ნივთებს არ გააკეთებდა. ამიტომ ლია ცის ქვეშ მუ-
ზეუმში მომუშავე ეთნოგრაფთა მთავარი ამოცანა გახლდათ
ქართველი ერის უაღრესი რაციონალიზმი გვეჩვენებინა, რაც

უკვე თავისთავად ქმნიდა სრულყოფილი მშვენიერების წარუ-
სოცელ შთაბეჭდილებას. ბუნებრივია, არქიტექტორებიც ამავრითია
უმთავრეს იდეას უნდა მომსახურებოდნენ. სხვათა შორის, ეს
ამოცანა კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული არქიტექტო-
რებს, როგორც ირაკლი მოსულიშვილს, ისე შალვა ცინცაძეს,
მაგრამ ბ-ნ ლონგინოზ სუმბაძე, რომელსაც მთელი ეს მუზე-
უმი თავისი შემოქმედებით პირმშოდ (გენერალური პაროე-
ქტის ავტორი გახლდათ) მიაჩნდა, ხალხურ რაციონალიზმს
ზოგჯერ „შემოქმედებით ესთეტიკურობას“ ამჯობინებდა. მას
სურდა მუზეუმის ძირითადი კონტურები კოშკებით მოენიშნა
და ნაგებობანი ისე დაედგა უფრო „ესთეტიკური“ – „ლამაზი“
ყოფილიყო, ვიდრე რაციონალური. ასე აღმოჩნდა კუს ტბის
კორაზე სვანური კოშკი, მაშინ როდესაც სვანეთში კოშკებს
მწერვალებზე ვერსად ვერ ნახავთ, მათი განლაგების ადგი-
ლები ჩვეულებრივ, ზვავსაშიში ფერდობებია. გარდა ამისა,
კუს ტბის ფერდობი მეტად დამრეცი და მოუხერხებელია; იქ
ეზო-კარმიდამოების გამონახვა ძლიერ გაჭირდა. კუს ტბა რა-
ტომლაც მუზეუმის ფარგლებს გარეთ დარჩა და „ზღვის“ შთა-
ბეჭდილების შექმნის, ქართული უძველესი სანაოსნო საშუა-
ლებების ჩვენების ფრიად ხელსაყრელი შესაძლებლობა დაი-
კარგა.

ლევან გოთუას და ლექსო ივანიშვილის გარდაცვალების
შემდეგ სამეცნიერო საბჭოც ნაკლებ პრინციპული გახდა, ხო-
ლო ახლადდანიშნული დირექტორები ან არასპეციალსტები
იყვნენ, ანდა კაბინეტსა და ბეჭედზე შეყვარებული პერსონე-
ბი. მოკლედ, მუზეუმის შენებლობის ძირითადი იდეა დაირ-
ღვა, კარ-მიდამოები და ნაგებობანი მკვდარ სამუზეუმო ექს-
პონატებად დარჩნენ. მათი უსიცოცხლობა, ე. ი. გამოუყენებ-
ლობა თითოეული მათგანის ნგრევა-განადგურებას განაპი-
რობებდა და განაპირობებს.

ჩანაფიქრი, რომ მუზეუმში წარმოდგენილი თითოეული
ნაგებობა და ეზო-კარმიდამო მის მშობლიურ კუთხესთან სის-

ხლხორცეულ კავშირში უნდა ყოფილიყო, მათზე ზრუნვა ის
რაიონს, სოფელს უნდა განხორციელებინა, საიდან მარტინი ჩამოტანილი, მუზეუმის დირექტორის და ძეგლთა დაცვის სამ-
მართველოს მოუქნელი მუშაობის გამო, ვერაფრით ვერ გან-
ხორციელდა. არა და ამის მიღწეული საბჭოთა ხელისუფლების
წლებშიც დიდ სიძნელეს არ ნარმოადგენდა. მაშინ სრულიად
თავისუფლად შეიძლებოდა დედაქალაქის ამ უკვე აღიარე-
ბულ, ღირსშესანიშნავ მუზეუმში ხალხური გამოყენებითი ხე-
ლოვნების და შინარენვის მუდმივმოქმედი ექსპოზიციების
მოწყობა. ამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც არსებობდა
და მეცნიერულ-თეორიული საფუძვლებიც, მაგრამ პრესაში
მრავალგზის მწვავე გამოსვლის მიუხედავად ვერაფრით ბიუ-
როკრატიული ბარიერები ვერ გადაიღახა. მიუხედავად იმისა,
რომ ამ საქმის თავდადბეული ქომაგი და გამოჩენილი სპეცია-
ლისტი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი გურამ გა-
ბაძვილი დიდად იყო მონადინებული ღია ცის ქვეშ მუზეუმში
ემოღვაწა, იგი იქ არავინ მიინვია, ხოლო ადგილმრეწველობის
სამინისტროსთან ასრებული ხალხური გამოყენებითი ხელოვ-
ნებისა და რენვის გაერთიანება „სოლანსა“ (ამ გაერთიანებას
ეს სახელწოდება აკად. გ. ჩიტაიამ შეარქვა; მისი დაარსების
სათავეებთანაც ქართველი ეთნოგრაფები იდგნენ) და ღია ცის
ქვეშ მუზეუმს შორის შემოქმედებითი კავშირი პრაქტიკულად
ვერ განხორციელდა. საბოლოოდ „სოლანი“ თავის მოწოდე-
ბას, მიზანდასახულობას ასცდა და „ცეხავიკების“ ასპარეზად
გადაგვარდა, ღია ცის ქვეშ მუზეუმი კი მკვდარშობილად დარ-
ჩია. მას ვერც კარზე მომდგარმა ტურიზმის ინდუსტრიამ უშვე-
ლა. ჯანსაღი კომერციის ყოველი ცდა მიზანმიმართულად
იდგვნებოდა. ამ მხრივ მარიკა არჩავაძის წამოწყებები გამოი-
რჩეოდა, მაგრამ მისი საქმიანობაც გადაულახავ წინააღმდე-
გობას წააწყდა და ფაქტიურად დაკონსერვდა.

თბილისში ექსპოზიციის მოწყობაზე არანაკლები მნიშ-
ვნელობა ჰქონდა ადგილებზე ეთნოგრაფიული ნაკრძალების

შერჩევას, დაცვას და გამოყენებას. ამ მხრივ ხევსურეთში შავ ტილი, ხოლო სვანეთში უშესული გაომირჩეოდა. იქ ნაკრძალული ბი დაარსდა კიდეც, მაგრამ მთელ ქვეყანაში ამ მიმართულებით ფართო მუშაობა ვერ გაიშალა. უამთასვლის აუცილებლობიდან გამომდინარე და გულგრილობის, უყურადღებობის გამო ეთნოგრაფიული ძეგლები და ექსპონატები სწრაფად ქრებიან, მათ გამოსავლენად, აღრიცხვა-დაცვა-დაუზებისა-თვის რაც კეთდებოდა და კეთდება, ეს ზღვაში წვეთია. საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობაში ამაო ოცნებად დარჩა ფიქსაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება, თვით ფოტო-გრაფირებაც კი დილეტანტიზმს ვერ გაშორდა. დამოუკიდებლობის წლების სიდუხჭირემ მეცნიერება ყოფას მთლიანად მოწყვიტა, საბჭოთა პერიოდის სახელდახელო ექსპედიციებიც კი სანატურელი გახდა. ეთნოგრაფიულ ნაკრძალებად შერჩეული სოფლები სწრაფად კარგავენ სახეს, კოლორიტს ვინჩივის, მიგრაციის უმართავი პროცესები და მახინჯი ურბანიზაცია ქართულ ტრადიციულ სოფელს დაღუპვით ემუქრება. კერძო საკუთრებაში მყოფი მრავალი სამუზეუმო ლირებულების მქონე კოლექცია ან ადგილზე იღუპება, ანდა უცხოეთის განძსაცავებს ავსებს, იქ ძვირფასი ექსპონატები მუზეუმიდანც გაედინება, ამ მხრივ საჩითირო მონდომებას ჩვენი მეგობარი სახელმწოდის ისრაელი იჩენს... ჯერჯერობით განგაში ამაოა, რადგან „უცხოეთის სამოთხის“ მსხვერპლი თვით ადამიანები ხდებიან, ნივთებს ვინ ჩივის...

უსახსრობის გამო საქართველოს ეროვნულ მუზეუმებში ახალი კოლექციების მიზიდვა თითქმის არ ხდება, დაუწესებული ექსპონატებიც მძიმე მდგომარეობაშია. ამის სამწუხარო მავალითები ღია ცის ქვეშ მუზეუმშიც საკმაოზე მეტია. გარდა ამისა, იქ დაშვებულმა შეცდომებმა ახლა განსაკუთრებით მტკიცნეულად იჩინა თავი. საერთოდ ღია ცის ქვეშ მუზეუმში ნაგებობა მხოლოდ და მხოლოდ ხალხური წესის დაცვით, სახალხო ოსტატების მიერ უნდა აგებულიყო. აშენება ერთდრო-

ულია, მაგრამ აშენებულის მოვლა ხანგრძლივი, შეუქცევიდა
პროცესია. ლია ცის ქვეშ მუზეუმში სწორედ ეს მარტივი კულტურული
მარიტებაა დავინუყებული. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ძნე-
ლია მუზეუმის გადარჩენაზე ფიქრიც კი, როცა თითოეული
ნაერობა დაუყოვნებლივ შველას საჭიროებს, ხოლო სახსრე-
ბი არ არის, ანდა მინიმალურია. სამწუხაროდ, ლია ცის ქვეშ
მუზეუმის დაარსებიდან დღემდე აშკარად ნათქვამი, პრესაში
გამოქვეყნებული საქმიანი წინადაღებები სრულიად უყურად-
ღებოდ რჩება², ხოლო საჩივრებს და ანონიმურ ნერილებს
უპირატესობა ენიჭება. იყო ერთი გამონაკლისიც: 1997 წლის
ივლისში მუზეუმზე მორიგი საჩირვის განხილვის დროს კულ-
ტურის სამინისტროში მიგვინვიეს და ლია ცის ქვეშ მუზეუმის

² ლია ცის ქვეშ მუზეუმის ცხოვრებას პრესაში ხშირად ვაშუქები და
მის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები ფართო საზო-
გადოების წინაშე პირუთვნელად გამომქონდა. უპირველეს ყოვლი-
სა, მეცნიერულად დასაბუთდა და განისაზღვრა ეთნოგრაფიული
ძეგლების რაობა და დანიშნულება, რათა ლია ცის ქვეშ მუზეუმის
მიერ მათი გამოვლენა-შესწავლა-ექსპონირება-დაცვა სწორედ
ნარმართულიყო (ლ. ფრუიძე, ეთნოგრაფიული ძეგლები (არსი და
დაცვის აუცილებლობა), „მაცნე“ ისტორიის სერია... 1977, №1,
გვ. 34-48; ყოვა და ტრადიციები, ნიგნი პირველი, გამომცემლობა
„მეცნიერება“, 1981 წელი). ლია ცის ქვეშ მუზეუმში რაჭა-ლეჩხუ-
მის სწორად ასახვისათვის საგანგებო სტატია გამოვაქვეყნე (იხ.
„საბჭოთა ხელოვნება“, 1972, №10, გვ. 48-53). მუზეუმში არსებულ
მუქ-ჩრდილებზე დაუფარავად ვწერდით სტატიაში – „ქართული
ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ეთნოგრაფიის
თვალიახედვით“ (ჟურ. „ცისკარი“, 1980, №11, გვ. 141-146). მრა-
ვალ საგაზირო ნერილს აღარ მოვიხსენებ, ოღონდ ერთ გამონაკ-
ლისზე ვამახვილებ ყურადღებას: როდესაც ლია ცის ქვეშ მუზეუ-
მში ხელალებით დაირღვა ხალხური ყოფის სიზუსტით ასახვის
პრინციპი, მაშინ საკმაოდ დიდი ძალის მქონე უურნალ „ნიანგს“ მი-
ვმართე და პამფლეტი – „თვალს არ ვუჯერებ, ბიძია!“ გამოვაქვე-
ყნე (იხ. „ნიანგი“, 1976, №6, გვ. 2, ფსევდონიმი -ესე გულდამ-
ნეარი). ამას დიდი აურზაური და ავტორის დევნა მოჰყვა, მაგრამ
მუზეუმის ექსპოზიციაში უნებლივ თუ განზრას დაშვებული შეც-
დომების გასწორებისათვის არავინ გარჯილა. ყველაფერი ძველე-
ბურად დარჩა.

ჰემონმებაში მონაწილეობა მიგვაღებინეს. შევხვდით კოლექტური ეტიკეტის; მიუხედავად დაძაბული მდგომარეობისა საქმისადმისადმისა ერთგვარი სიყვარული მაინც იგრძნობოდა. მუზეუმის სტრუქტურა და საქმიანობის კონცეფცია სწორად გამოიყურებოდა, რაც შესაბამის დოკუმენტებში იყო ასახული. მიმდინარეობდა მუშაობა ფონდების შეჯერება-მოწესრიგებისათვის, კოლექციების აღრიცხვა და დაცვა შედარებით დამაკმაყოფილებლად ჩანდა. დაკარგულ ექსპონატებზე მთელი წიგნი პქონდათ შედგენილი (დაკარგულს თუ სწორად გააცნობიერებ, ესეც საქმეა), იყო ცდები საველე-საექსპედიციო და საექსპოზიციო საქმიანობის უკეთესად ორგანიზებისა და ა. შ. ახალი დირექტია (დირექტორი ზაზა ჯინჭარაძე) და სამეცნიერო საბჭო თითქოს ვითარების გაუმჯობესებას ცდილობდა. რაც მთავარია იგრძნობოდა სურვილი ახალ ეკონომიკის პირობებში სამუზეუმო საქმიანობის გარდაქმნისა. აქედან გამომდინარე, კულტურის მინისტრის სახელზე, დირექტორთან ერთად, მოხსენებითი ბარათი მოვამზადეთ:

„საქართველოს კულტურის მინისტრს პ-ნ ვალერი ასათიანს

აკად. გ. ჩიტაიას სახელობის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის ლიაცის ქვეშ მუზეუმში თანამედროვეობის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობის გარდაქმნა. ჩატარდა ფონედების მეცნიერული ინვენტარიზაცია და გამიჯვნა. ამჟამად ძირითადი ამოცანაა მუზეუმის ე. წ. "გაცოცხლება", რაც ითვალისწინებს თითოეული კარმიდამოს და ნაგებობის ისეთნაირად გამოყენება-ადაპტაციას, რომ არ დაირღვეს ექსპონატის დაცვის სამუზეუმო წესდება.

ცნობილია, რომ გამოუყენებული ნაგებობანი ადვილად ზიანდება და მათი შენახვის ხარჯები მუზეუმის ისედაც მცირე ბიუჯეტს მძიმედ აწვება. მოუვლელი კარ-მიდამოები და


ნაგებობანი სანახაობით-შემეცნებით ღირებულებას მატერიალური რგავენ და მათ დაღუპვა ემუქრებათ. ასეთია ჩვენი სოზომიკულება. ამრიგად მუზეუმის კოლექტივი მზად არის საბაზრო ეკონომიკაში თავისი ადგილი დაიკავოს და შემოსავლის ნორმალური წყაროები გამონახოს. ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ გვესახება ჩვენი მუზეუმის თბილისობის დღესასწაულის საბაზო დაწესებულებად გადაქცევა. თქვენთვის ცნობილია დედაქალაქისა და რაიონების ხელმძღვანელობას თბილისობის ჩატარებისათვის რამდენი ძალისხმევა სჭირდება. აქამდე კამპანიურობისა და აუნაზღაურებელი ხარჯებისათვის თავი ვერ დაუღწევიათ.

ჩვენი კონცეფციის თანახმად, თბილისობის ორგანიზაცია მეცნიერულ საფუძველზე წარიმართება და ჯანსაღი კომერციული მიმართულება მიეცემა, რითაც თბილისობა ჭეშმარიტი სახალხო დღესასწაულის სახეს მიიღებს.

სახალხო დღესასწაულის არსი ის არის, რომ ადამიანები ყოველგვარი დაძალების გარეშე, თავიანთი სურვილით მონანილეობდნენ. ეს მაშინ მიიღება, თუ დღესასწაულს ფუნქცია ექნება და იგი მონანილეებისათვის სარგებლობის მომტანი გახდება. ერთი სიტყვით, ჩვენ შევძლებთ თბილისობას ასეთი ფუნქციური დატვირთვა მიენიჭოთ. საქართველოს ყველა მხარის ადგილობრივ ხელმძღვანელებთან, სათანადო რწმუნების მიღების შემდეგ, კონკრეტულ პროექტებს წარვადგენთ, რომლებიც ძირითადად ურთიერთსარგებლობაზე იქნებიან გააზრებული.

თბილისობის მეშვეობით ადგილობრივი მცხოვრებლები თავიანთი საქონლის ორგანიზებულ რეალიზაციას შეძლებენ და მოგებასთან ერთად სულიერ კმაყოფილებასაც მიიღებენ.

ლია ცის ქვეშ მუზუმი საქართველოს რეგიონალურ პრინციპებზეა აგებული და ამის მეშვეობით ქვეყნის ყველა კუთხესთან საქმიანი კავშირი დამყარდება. დედაქალაქში ჩამოსულები ჩვენთან თავიანთ სათვისტომოებს იპოვიან.

მუზეუმი, კულტურის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტის მიერთავ ერთად, ადგილებზე ორგანიზაციას გაუკეთებისათვის მხატვრული თვითშემოქმედების ანსამბლებს და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინარენვის ოსტატებს. ეს უზარმაარი სამუშაოა, მაგრამ კულტურის მინისტრის, სამინისტროს და შესაბამისი უწყებების მხარდაჭერა, ქვეყნის პრეზიდენტის კეთილგანწყობა საშუალებას მოგვცემს ყველა დაბრკოლება გადავლა-ხოთ და თბილისობა სრულიად საქართველოს ჭეშმარიტ დღე-სასწაულად გადავაქციოთ.

ამ საქმეს მინიმალური ხარჯები დასჭირდება. თუ ქვეყნის პრეზიდენტის კეთილი ნება და თქვენი თანხმობა იქნება, მაშინ დაწვრილებით პროექტს ნარმოვიდგენთ და თბილსობის ორგანიზაციას წელსვე შევუდგებით. მიუხედავად იმისა, რომ მცირე დროა დარჩენილი, ჩვენი ჩანაფიქრის უპირატესობის ჩვენებას მაინც შევძლებთ. სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და ხელშეწყობის შედეგად, მომავალი წლიდან უკვე თბილისობა მართლაც გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულად გარდაისახება და საბოლოოდ მყარ ტრადიციად დამკვიდრდება".

1997 წელს გაგზავნილ ამ მოხსენებით ბარათს თან ახლდა თბილისობის დესასწაულის ახლებურად ჩატარების პროგრამა. კულტურის მინისტრმა და სამინისტროს შესაბამისმა დეპარტამენტმა ჩვენს წინადადებას მხარი დაუჭირა და სათანადო შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა. პრეზიდენტმა ჩავნაფიქრი მოინონა და 1988 წლის 22 ოქტომბრის განკარგულებით – „საქართველოს დედაქალაქში თბილისობის მოწყობის შესახებ“ (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა 1998, №275, 24 ოქტომბერი, გვ. 1) თბილისობის მოწყობის ეპიცენტრი ღია ცის ქვევ მუზეუმში გადმოვიდა, მომავალი წლიდან ნარმოდგენილი პროგრამა დიდებულებად უნდა ჩამოყალიბებულიყო, მუზეუმთან არსებული სამეცნიე-

რო საბჭო გადახალისებულიყო და მუშაობა ყველა შესაბამის უწყებაში უმაღლეს დონეზე დამტკიცებული დეპულექტოს უნდა წარმართულიყო. თანდათან უნდა დაძლეულიყო თბილისობის საბჭოურ-პარადული, პომპეზური ხასიათი, რისგანაც ჭეშმარიტი სახალხო დღესასწაული ჩვეულებრივ თავისუფალია. თავის დროზე შეცდომა იქნა დაშვებული, რომ ასეთი ფუნქციური დატვირთვა ღია ცის ქვეშ მუზუმს არ მიანიჭეს და თბილისის შუაგული „რიყე“ კიჩის ასპარეზად, „ფსევდოსოფლად“ აქციეს. თავის დროზე ამის შესახებ ბევრი დაინერა და ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებ, თუმცა რიყეს კიჩის დამახასიათებელი პროვინციული ელფერი დღემდე შემორჩა. საბოლოოდ იქ რესტორნებმა, მეღუქნებმა და მეხინკლეებმა იხეირეს, რომელთა ძალისხმევით ქართული ხალხური საკრავების ერთადერთი სახელოსნო გაუქმდა...

აქვე იმასაც დავძენთ, რომ საზოგადოებრივი კვება და საერთოდ მოსახლეობის დაპურება თუ სტუმართა გამასპინძლება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და მისი მეცნიერული მართვაა აუცილებელი. სამწუხაროდ, დღეს ეს სათუთი სფერო თვითდინებაზეა მიშვებული, ვისაც რა მოესურვება იმას აკეთებს, მეცნიერება და მეცნიერული ნააზრევი არავის სჭირდება. ბუნებრივია, ასე გაგრძელება შეუძლებელია, ღია ცის ქვეშ მუზუმი ეროვნულ-ტრადიციული კვების თვალსაჩინოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა უნდა გახდეს. დამთვარიელებელს სასმელ-საჭმელი თუ საჩუქარ-სუვენირების სახით ქართული კულტურის დამახასიათებელი ყოველივე საუკეთესო უნდა შევთავაზოთ, რათა მათ სრულფასოვნად შეიცნონ ჩვენი ცივილიზაციის ფასი. თუ მხარდაჭერა და მონდომება იქნება, ამისი მიღწევა სავსებით შესაძლებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტურიზმის ინდუსტრიამ საქართველოს ჭიშკარი უკვე გააღო. ღვთის განგებით ტურიზმის დეპარტამენტი და ღია ცის ქვეშ მუზუმი გვერდივერდ არიან განლაგებული, მაგრამ, ახლო მეზობლობის მიუ-

ხედავად, მათ შორის არავითარი შემოქმედებითი კავშირი არსებობს. დროა ყინული გალბვეს და სათანადო კოორდინაცია დამყარდეს. სხვა საჭირო უნიკებებთანაც უნდა გამოინახოს საერთო ენა. ერთი მერცხალი, რა თქმა უნდა, გაზაფხულს ვერ მოიყვანს...

ამ ამოცანების გადაწყვეტის დროს ქართული ხალხური სურომოძღვრებისა და ყოფის მუზეუმმა მეცნიერებასა და კომერციას შორის ოქროს შუალედი უნდა გამონახოს. უეჭველია მუზეუმს სამიკიტნოდ და საბაზრო ადგილად ვერ გადავაჭევთ. იქ მხოლოდ კულტურული ღონისძიებანი უნდა ჩატარდეს, ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც დღესასწაულებსა თუ ჩვეულებრივ დღეებში რაც შეიძლება მეტ დამთვარიელებელს მოიზიდავს. ჩვენი ღრმა რწმენით, როგორი წყობილებაცა არ უნდა იყოს საქართველოში მუზეუმის პროფილი მკაცრად უნდა იყოს დაცული. ის მარადებას სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერად უნდა დარჩეს და ყოველივე სხვა დანარჩენი აქედან უნდა გამომდინარეობდეს. ითვალისწინებს რა აღნიშნულ პრინციპს, ამ სტრიქონების ავტორმა ჯერ კიდევ XX ს-ის 70-იან წლებში საგანგებო მოხსენებითი ბარათით მიმართა „ცეკავშირის“ ხელმძღვანელობას, რომ თბილისობასთან დაკავშრებული კომერციული საქმიანობა მას ენარმოებინა, ოღონდ ლია ცის ქვეშ მუზეუმთან მჭიდრო კავშირში. სხვათა შორის მაშინდელ ცეკავშირში იყო ცდები კვების ობიექტების ერთგვარი „ფოლკლორიზაციისა“. საგზაო მაგისტრალებზე, დაბა-ქალაქებისა თუ სოფლების თვალსაჩინო ადგილებში ჩნდებოდა „ფაცხები“, „ოდები“, „მარნები“ და ა. შ. ზოგიერთი მათგანი ახლაც მოქმედებს. ეს მისწრაფება იყო ერთგვარი კიჩი, უგემოვნობის, ფსევდოკულტურის შემოდგომის ყვავილობა. მაშინ ცეკავშირში სურდათ თბილისში ან მის შემოგარენში ლია ცის ქვეშ მუზეუმის მსგავსი ვეებერთელა კვების ობიექტები მოეწყოთ (ასეთები ახლაც მრავალად შენდება, ოღონდ ემპირიულად, მეცნიერული აზრის გაუთვალის-

ნინებლად). თავისთავად აქ თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ გახსნილმა ობიექტებმა და განსაკუთრებით რიყის „სოფლის“ ვაირაქიტექტურამ უკვე აჩვენა მსგავს მისწრაფებათა გამოუსწორებელი ნაკლოვანებანი. ხალხური ხუროთმოძვრება, კვება, მუსიკა, ტანსაცმელი და ა. შ. სრულფასოვანი ფენომენებია და მათი შებლალვის, დამახინჯების უფლება არავის აქვს. ღია ცის ქვეშ მუზუმი სწორედ იმის მოთავედ უნდა გამოვიდეს, რომ ხალხური ხუროთმოძვრება და ყოფა სუფთად, თავანკარად იყოს შემონახული, ნაგებობა იქნება ეს თუ ქსოვილი, მუსიკალური ინსტრუმენტი თუ სასმელ-საჭმელი. ყოფაში, მუზეუმებსა თუ მიზნობრივად გამოყენებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე სწორედ ისეთი რეალიები უნდა იყოს დაცული და ექსპონირებული, რომლებიც დამხვდურს თუ მოსულს დამახასიათებელ მაღალ ეროვნულ კულტურას აჩვენებს, ჯერ კიდევ ცეკავშირისადმი ნარდგენილ მოხსენებით ბარათში ვწერდით, რომ დედაქალაქში საქართველოს ყველა კუთხეს დასამხრისად თავისი სათვისტომო უნდა ჰქონოდა – მუდმივ-მოქმედი კულტურულ-კომერციული ცენტრი, დამახასიათებელი ნაგებობებით და სხვა ყოფითი რეალიებით. მიუხედავად მონონებისა და კეთილგანწყობისა. მაშინ ეს ეროვნული საქმე ვერ განხორციელდა, რადგან მოსკოვმა დასტური არ მისცა... ამჟამად თავსიუფლება გვაქვს, მაგრამ საშინელ ხელმოკლეობას განვიცდით, ამიტომ ჩვენი მიზანი მეტად მოკრძალებულია: ღია ცის ქვეშ მუზუმი გადარჩეს და მან არსებობა ისე შეძლოს, როგორმე საკუთარი თავი შეინახოს. ამისი განხორციელება კი არსებულ სიდუხჭირეშიც შეიძლება, თუ ხელისუფლების კეთილი ნება იქნება და მუზეუმის დირექცია და სამეცნიერო საბჭო თავის მოვალეობას პირნათდალ შეასრულებს.

სამწუხაროდ, 1998 წელს თვით საქართველოს პრეზიდენტის და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერა გამოუყენებელი დარჩა. წინამორბედების მსგავსად მუზეუმის დირექცია კვლავ თვითდინებას მიენდო. ქალაქის მერიასთან საერთო

ეს ვერ გამოინახა და იქ გადატანილი თბილისობის დღესასწაული ნაულის ეპიცენტრი არარაობად იქცა. მუზეუმთან ვერაფრიდი მოქმედი სამეცნიერო საბჭო ვერ ჩამოყალიბდა. მუზეუმის პირველი დირექტორის ლექსო ივანიშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს არცთუ რთული საქმე მიუწვდომელი ოცნება გახდა. ეტყობა კაბინეტი და ბეჭედი დირექტორებაზე მაგიურად მოქმედებს... მიუხედავად ჩვენი დაუინებული რჩევისა, საბჭოს გარდაქმნა და ამოქმედება ზაზა ჯინჭარაძისთვისაც მიუღწეველი შეიქნა. ყველაფერს ფინანსურ კრიზისს ნუ გადავაპრალებთ, საქართველომი უამრავი ფულ შემოდის, მაგრამ მავანთა ჯიბის გასქელებას ხმარდება, გადაუდებელი პრობლემები კი გადაუწყვეტელი რჩება. ზაზა ჯინჭარაძეს თანადგომა რომ გამოეყენებინა, ასეთ საჩინო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ მან ეს არ ისურვა, იგი შტატების შემცირების თუ სხვა მტკიცნებულ პრობლემების წინაშე თავისი ნებით პირისპირ აღმოჩნდა, საჩივრების აგონიამ პიკს მიაღწია, მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობასა და სპონსორების ძიებაში ათას ხათაბალაში გაიხლართა (იხ. თეონა გეგელია, ეთნოგრაფიულ მუზეუმში მალე პროკურატურა შევა?! სად „აორთქლდა“ ნახევარი მილიონი დოლარი? გაზ: „ალია“, 2000 წ. №36, 4-5 მარტი, გვ. 7). გასაგები მიზეზების გამო ამ ვაიბიბლიოგრაფიის აღარ გავაგრძელებ. ამჟამად მუზეუმი სულთმობრძავია. როგორც მითხრეს, დირექტორი თავის გადასარჩენ შვებულებაშია გახიზნული, სამეცნიერო საბჭო აღარ არსებობს. ვიმედოვნებ კულტურის სამინისტროს და კულტურის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა ამ უნიკალური მუზეუმის გადასარჩენად ყველაფერს იღონებს. ამ სტრიქონების ავტორი პირადად შეხვდა კულტურის მინისტრს ქ-ნ სესილი გოგიბერიძეს და პრაქტიკული წინადადებები შესთავაზა. ასევე ესაუბრა საქართველოს პარლამენტის შესაბამისი ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი შაიშმელაშვილს, სწორედ მათი საუბრიდან

გამომდინარე დაიწერა ნინამდებარე მოსაზრებანი. უკუკველი
მუზეუმის ბედით დაინტერესებულმა ყველა პიროვნებმაჟნებ
და გამონახოს დრო და ამ საგანგაშო ვითარებიდან თავის და-
ღნევის პრაქტიკული ნინადადებანი წერილობით ჩამოაყალი-
ბოს. თითოეულ დასაბუთებულ შენიშვნას და საქმიან კრიტი-
კას დიდი სიამოვნებით მივიღებ. როგორც თანამდებობის პი-
რებმა, ისე სპეციალისტ-მეცნიერთა საბჭომ ყოველი ჯანსაღი
აზრი უნდა გაითვალისწინოს და მუზეუმის გადარჩენის, ასევე
ფუნქციონირების პროგრამა შეიმუშაოს.

ჩემი ღრმა რწმენით, მუზეუმი სახელმწიფოს ხელში უნ-
და დარჩეს. მისი ნორმალური მართვისა და ფუნქციონირები-
სათვის ნებაყოფლობის პრინციპზე დაუყოვნებლივ უნდა შეი-
ქმნას მეცნიერ-სპეციალისტთა დიდი საბჭო, რომელიც მუზე-
უმის ხელმძღვანელობისათვის აირჩევს მუდმივმოქმედ მცირე
საბჭოს. მცირე საბჭო ანგარიშვალდებული იქნება დიდი საბ-
ჭოს ნინაშე.

საბჭოში ერთ-ერთი წევრი დირექტორის მოვალეობის
შემსრულებლად დაინიშნება. ყველა ადმინისტრაციულ დანი-
შვნას დიდი საბჭო დაამტკიცებს.

დიდი საბჭოს მიერ არჩეული საგანგებო კომისია მუზე-
უმში შექმნილი ვითარების მეცნიერულ ანალიზს გააკეთებს,
რომლის გათვალისწინებითაც შედგება მუზეუმის გადარჩენი-
სა და ამოქმედების პროგრამა, რომელიც თანთადან კონცეფ-
ციის სახეს მიიღებს, რაც შესაბამის კანონმდებლობაში აისა-
ხება.

არსებული პრობლემები სიმწვავის მიხედვით უნდა და-
ლაგდეს და მათი გადაწყვეტა სახელმწიფოებრივ და საერთო-
სახალხო საქმედ უნდა გადაიქცეს.

ამ დიდი ეროვნული საქმის პრაქტიკულად განხორციე-
ლებისათვის სახსრები სახელმწიფომაც უნდა გამონახოს და
იმ შეძლებულმა პირებმაც, რომელთაც ეროვნული კულტუ-
რის გადარჩენა კეთილშობილურ მიზნად აქვთ დასახული.

ვაინახეპის გადმოსახლება საქართველოს მთიანეთში ანტიკურ ხანაში

ვაინახები (ჩაჩნები და ინგუშები) ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთი მაკროფერდობის აღმოსავლეთი ნაწილის უცილობელ ავტოქტონებს წარმოადგენენ, რომელთაც ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია „დურმუკთა“ სახელწოდებით მოიხსენიებს და მათ ზოგადად „კავკასიანებად“ წოდებული ეთნოკონგლომერაციის შემადგენელ ერთორთ უმთავრეს კომპონენტად განიხილავს.

საინტერესოა, რომ ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულების „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთა განთა მამათა და ნათესავთა“-ს მიხედვით ტერმინი “კავკასიანი“ თავისი ვიწრო და შესაძლოა, უფრო არქაული გავით, ფარავს ცენტრალური კავკასიონის პირიქითი კალთების ტომობრივად არაერთგვაროვან მთიელ მოსახლეობას, ხოლო შედარებით უფრო ფართო გაგებით – ცენტრალური კავკასიონის ორივე კალთის მკვიდრო (ქართლ-კახეთის მთიელების ჩათვლით).

ლეონტის მიერ შემუშავებული ეთნოგენეტიკური სქემით ე.წ. „კავკასიანთა“ ეთნარქად წარმოჩინდება მითიური თარგამოსის ერთ-ერთ ძლევამოსილ ძედ შერაცხული გაგასი (ან გავგახანი, გავგახოთხი)¹, რომლის „...შვილთა ზედა ...იყო უფალ დურმუკ, ძე ტირეთისი“². ამასთან, მემატიანის განმარტებით კავკას-კავკასან-კავკასიონს თავდაპირველად წილში რგებია იმიტრკავკასიის საკმაოდ ვრცელი მიწა-წყალილომეკის მდინარითგან (ე.ი. მდ. თერგიდან, ო.მ.)

¹ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქც“, I, გვ. 3-4.

² იქმ. გვ. II.



ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავლით³, ³ მაგრამ შემდეგ, რაც კავკასის წილხვედრი ქვეყნის დიდი ნაზილი ჩრდილოეთიდან მოზღვავებულ „ხაზართა“ (ლეონტისეულ „ხაზართა“ ქვეშ იგულისხმებიან ჩრდილოირანული მოღმის სკვითები*) მიერ იქნა მიტაცებულიდურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, და უწოდა სახელი თავსი დურძუკეთი და მისცემდა ხარქსა მეფესა ხაზართასა⁴.

ამგვარად, ჩვენთვის საყურადღებო ეთნოგენეტიკური სქემა დურძუკ ტირეთის ძეს ლეგენდარული კავკას-კავკასიან-კავკასიოსის შთამომავლად და თანამედროვე ვაინახთა ეთნიკური წინაპრების – დურძუკების მამამთავრად გვაცნობს. თანაც, მითიური კავკასოსის ამ „უწარჩინებულების“ ნატამაღლის პირველსაცხოვრისი ლეონტი მროველს იმიერ-კავკასიის ბარის რაიონებში (სადღაც დღევანდელი ოსეთ-ალანეთის ტერიტორიაზე) ეგულება, საიდანაც ის „ხაზართა“ (ე.ი. სკვითთა) ზეწოლის მიზეზით მთებისკენ მოილტვის და „ნაპრალსა შინა მთისასა“ დამკვიდრების შემდეგ საფუძველს უყრის ცენტრალური კავკასიონის მიუდგომელ ხეობებში დურძუკეთა მთიელი ტომის ფორმირებას.

რაოდენ კრიტიკულადაც არ უნდა განვეწყოთ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ამ ცნობებისადმი, ისინი უთუოდ მეტად საგულისხმო და ანგარიშგასაწევია, ვინაიდან არაა გამორიცხული, რომ ლეონტის აღნიშნული მონათხრობი თვალს გვიზელდეს ვაინახთა ეთნიკური ევოლუ-

³ ქართ. გვ. 6.

* ლეონტისეულ „ხაზარში“ სწორედ „სკვითის“ შეცნობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით იხ.: Г.А.Меликишвили, К истории древней Грузии, გვ.35; В.Б.Ковалевская, Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели, „მაცხ“, ისტორია, №3, 1975; გვ. 64.

⁴ დეონტი მრთველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქც“, გვ. 12.

ფის დასაბამით ეტაპზე და იმიერკავკასიის ტერიტორიზე სახოცებული წარსულში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებზე მიმდინარე აწინდელ ჩაჩან-ინგუშთა ეთნიკური წინაპრების – ლურმუკების იმიერკავკასიის ბარის რეგიონიდან ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანი ზოლისაკენ ოდინდელი მულებითი მიგრაციის დოკუმენტურად უცნობ ფაქტზე.

მართალია, იმიერკავკასიის ონომასტიკურ სივრცეში აღმოცენებული „დურმუკეთის“ ეპონიმურ სახელ დურმუკი-საგან მომდინარეობის ლეონტისეული ვერსია ძნელად შესაწყნარებელია, მაგრამ სამაგიეროდ, საკმაოდ დამაჯერებლად გვეჩვენება ტერმინ „დურმუკის“ ოსური ენის მონაცემებით ასენის მცდელობა (ოს. დურლვყ = „ქვის ორმო“ ან „მთის ხეობა“; დიგორული ფორმა = დორვყ; შესაძლოა დურმუკი ნიშნავდეს „მთის ხეობას“ ან „მთის ხეობის მკვიდრს“), რასაც არგუმენტირებულად გვთავაზობს ა.გენკო და თავის მ ეტიმოლოგიას ზურგს უმაგრებს ლეონტის თხზულებაში დაცული მითითებით დურმუკთა მამამთავრის მაინცდამაინც „ნაპრალასა შინს მთისასა“ დაშენების შესახებ.⁵ არადა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დაახლოებით ქ.წ. VII ს-დან მოყოლებული ცენტრალური კავკასიონის მთებში შემოკეტილ დურმუკებს ჩრდილოეთის მხრიდან უშუალოდ ემეზობლებოდნენ ჩრდილოირანული მოდგმის სკვითები (ლეონტისეული „ხაზარნი“), სარმატები და ას-ალანები (ან ალან-ოსები), სწორედ ამ უკანასკნელთა (მეტად-რე დურმუკებთან ახ.წ. I ს-დან დამეზობლებული ალან-ოსების) მხრიდან ვაინახთა სამოსახლო მხარის „მთის ხეობად“, „მთის ნაპრალად“, თუ „ქვის ორმოდ“ მოაზრებისა და იქ მცხოვრები ტომის შესაბამისი ეთნიკური სახელ-

⁵ А.Н.Генко. Из культурного прошлого ингушей. „ЗКВПАН СССР“, т. V. Л., 1930, გვ. 705.

დების მოტივიც, ვფიქრობთ, სრულიად ნათელი ხდება, მთელი უმეტეს, რომ ლეონტის მკაფიო ჩვენებით დურძუჭა შესაბამის მთავრის იმიერკავკასიის ბარიდან გამოდევნით და „ნაპრალსა შინა მთისასა“ მისი შემწყვდევით „ოვსების“ ეთნიკურ წინაპრებად წარმოჩენილმა „ხაზარებმა“ (ე.ი. სკვითებმა) „ისახელეს თავი“. ამდენად, იმ საკითხის გაურკვევლადაც, თუ მაინც ვინ უწოდა „ნაპრალსა შინა მთისა“ მცხოვრებ ვაინახებს „დურძუკი“ – სკვითებმა, სარმატებმა, თუ აღანოსებმა, ალბათ ლოგიკური იქნება ქართველთა მიერ ეთნონიმ „დურძუკის“ სწორედ ერთ-ერთი ირანულენოვანი ხალხისაგან (მეტადრე კი დურძუკთა მომიჯნავე „ოვსებისაგან“) შეთვისების შესაძლებლობის დაშვება, რაზეც თავის დროზე სამართლიანად იქნა მინიშნებული ერთ-ერთ ნაშრომში.⁶

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ჩაღრმავებული ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევაც კი არ იძლევა დურძუკ თა ტოშის სამოსახლო ქვეყნის – „დურძუკეთის“ თავდაპირველი საზღვრების ზედმიწევნითი სიზუსტით მოხაზვის საშუალებას, მაინც დაბეჯითებით შეიძლება ამ ქვეყნის ლოკალიზაცია თანამედროვე ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი განმარტავს თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში, „...დურძუკოს, უწარჩინებულეს იყო ნათესავთა მორის კავკასოსთა, შემოივლტო კავკასიის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვესი. ამის გამო უწოდა არაგვს აღმოსავლის ქერძს, ლეპეთის საზღვრამდე, მურძუკეთი, ხოლო არაგვს დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერვი, რომელი დის ტევიდამ კავკასთა შინათა, უწოდა დუალეთი

⁶ В.Б.Виноградов. К.З.Чокаев. Древние свидетельства о названиях и размещении нахских племен. „Археолого-этнографический сборник“. ГР.. 1966, გვ. 85.



...ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზის ძურძუკი და დუალეთი, და სხუანი ჭევნი იგინი ივ-დაშონენ მეფეთა ოსთასა, და იწოდნენ ჭევნი იგინი ოვ-სეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე. ხოლო შემდგომად კუალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად, ქისტად და ღლიღლუად...”⁷

იმავე ავტორის სხვა ცნობით: „...ჩამოვიდა ესე ძურძუკოს კავკასიასა შა, და ჰპოვა ადგილი ფლ მაგარი, და აღაშენა ქალაქი, და უწოდა სახელი თუსი ძურძუკი, და ხარკთა მისცემდა ხაზართა, და ეწოდა შდ მისსა ძურძუკეთი ჭევის აღმოსავლეთთა ჭეობათა. ხ-ჭევის დასავლეთი-სათა კავკასიი, ანუ შდ მისა ძურძუკეთი, ანუ დუალეთი, რ-ლთა შა დაეშენენ კავკასოს ძეთაგანნი და ნათესავთა-განნი, და იყვნენ ყნი ძურძუკოსის მორჩილებასა შა და შდ მისსა ჩამომავალთა მისთა, და ესენი მორჩილებასა შა მცხეთელ მამასახლისისასა, ვე პლისა მეფისა ფარნავაზი-სადმე: ხ- ფარნავაზ მოიყვანა ნათესავი ძურძუკოსი ქალი ძურძუკეთიდამ, და შეირთო თუთ ცოლად, და დაიმორჩილა კდ უმეტესად ძურძუკეთი ამით და შდ ფარნავაზ მეფისა, ვა აჩენს ცხოვრება, იყვნენ მორჩილებასა შა, და მომცე-მელნი ხარკთა მეფეთა ქართველთასა: ძურძუკი, ჭევი, დუ-ალეთი, კასრის კარს ზეითი. ხ- სხვანი იყვნენ მორჩილე-ბასა შა ოვსთა მეფეთასა. . .”⁸

დამოწმებული ციტატების გულისხმიერი ანალიზი გვარწმუნებს, რომ „პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ეპოქის დურძუკეთი (ან ძურძუკეთი) მდ. თერგის (ან პირი-ქითი არაგვის, ხევის არაგვის)⁹ აღმოსავლეთით მდებარე-

⁷ ვანუშტია, „აღწერა“, გვ. 633.

⁸ ვანუშტია, „აღწერა“, გვ. 654.

⁹ როგორც წერილობითი, ეთნოგრაფიული და ონომასტიკური მასალა მოწ-მობს, მდ.თერგის უფრო ძველ სახელწოდებას „არაგვი“ წარმოადგენდა და საერთოდ, საქართველოს მიწა-წყალზე აღირიცხება არაგვად სახელ-

მაღალმთიან ხეობებს მოიცავდა და მთლიანად ლოკალური კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე.

დურმუკეთ-ძურმუკეთის მიჯნების შეძლებისამებრ მართებულ დაღგენასთან დაკავშირებით მეტად ფასეულია აგრეთვე კახუშტის თხზულების ის ადგილებიც, სადაც ავტორი ცნობებს გვაწვდის მისი თანამედროვე „ქისტის“ (ან „ქისტეთის“), „ძურმუკის“, „ღლიღღვის“ (ან „ღლიღვეთის“) ქვეყნებისა და ღლიღვ-ღლიღვეთის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი ხეობის (სამწუხაროდ ამ ხეობის აღმნიშვნელი სახელწოდება მკითხველისათვის გამოცანად რჩება „აღწერის“ ტექსტის ნაკლულობის გამო) შესახებ და მათ თანმიმდევრულ აღწერას აგვირგვინებს შემდეგი ფრაზით: „არამედ ეს ჭევნი, რომელი აღვსწერეთ, პირველ იყო ყოველთა სახელი ძურმუკეთი, ხოლო აწესრეთ განიყოფებიან“.¹⁰

საინტერესოა, რომ ვახუშტი „ქისტს“ (ან „ქისტეთს“) მდ. თერგის მარჯვენა შენაკადის – ქისტეთის წყლის (თანამედროვე მდ. არმხის) ხეობის შეა წელზე (ჯარიახის კლდისა და კოშკის მეზობლად) უჩვენებს („...გარნა ჭევის ბოლოს, სადა დაივაკებს მდინარე არაგვ ანუ ლომეკი, ამ არაგუს...ერთვის ქისტეთის წყალი და ძურმუკისა. ესე მოერთვის აღმოსავლეთიდამ, გამოსდის ძურმუკეთსა და ფშავ-ჭევსურეთს...შორის კავკასია, დის სამკრიდამ ჩდილოთ და მცირედ ჩდილო-დასავლეთ შეა. სიგრძით არს კავკასიდამ ლომეკამდე. ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შეაში ჯარიეხი, კლდე დიდი, მოვლებული ველსა დიდისა გარე, ქარაფოვანი, და ამითი არს ფრიად მაგარი,

დებული 12 მდინარე (გახტ. ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ. 1989, გვ.19, 39-40, 54-57). საინტერესოა, რომ ბვ. წ. VIII ს-ის ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ლეონტი მროველი მოიხსენიებს „არაგვის-გარს“, რაც დარიალია წოდებული კლდეკარის პირვანდელ ქართულ სახელწოდებად შეიძლება მიუჩინოთ.

¹⁰ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 653.

და შენი არს კოშკი დიდი, ზღუდოვანი, ვითარცა ციხე, და წყალსა ზედა, ჭეობაში, ამ ჯარიებს ზეით, არს ქრისტიანობით დაბნებიანი, შენობიანი¹¹), „ძურძუკს“ ქისტეთის „სამხრით“ და მის „ზეით“ მდებარე მხარედ წარმოაჩენს („...კუალად ამის სამკრით, ქისტეთს ზეით, არს ძურძუკი, შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანნი ორნივე“¹²), „ღლიაღვეს“ (ან „ღლიაღვეთს“) ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთით (დაახლოებით აწინდელი ინგუშეთის ტერიტორიაზე მომდინარე ასის ხეობასა და თანამედროვე „ჩრდილო-ოსეთის“ ფარგლებში მოქცეული სოფ. ტარსის მიდამოებში) ათავსებს („...ხოლო ამ ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიაღვე- ეთი ...რომლის მდინარე გამოსდის ფშავისა და ღლიაღვს შორისს კავკასია, და მოდის სამკრიდამ ჩდილოთ და მიერთვის...წყალსა, მერმე მიერთვის ბორალნის წყალსა. ამ წყალზედ არს ანგუსტი, დაბა დიდი. და არს შენობიანი ჭეობა ესე და დაბნებიანი...“¹³), ხოლო ღლიაღვ-ღლიაღვეთის აღმოსავლეთით იმ ხეობას მიუთითებს, რომლის სახელწოდება ჩვენთვის უცნობია, თუმცა საერთო კონტექსტიდან მნელი არაა მასში ჩაჩნებით დასახლებული მდ. არღუნის (უფრო ზუსტად ჩანთი-არღუნის) ხეობის ზემოწელის შეცნობა („...ხოლო ამ ღლიაღვს აღმოსავლით არს ... ჭეობა, რომლისა მდინარე გამოსდის ამასა და პანკის შორისს კავკასია, მოდის სამკრიდამ ჩდილოთ, მიერთვის ღლიაღვს

¹¹ იქნ. გვ. 651.

¹² იქნ. გვ. 652.

¹³ იქნ. შენიშვნა: საინტერესოა, რომ ვახუშტის მიერ ხსენებული დაბა ანგუსტის (თანამედროვე დაბა ტარსი-ტარსკოე) სახელწოდება უდევს საფუძვლად ეონონიმ „ინგუშს“. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღიარებული. კავკასიაში დაბუდებულმა რუსებმა აღნიშნული სახელწოდება თვითონბურად გაავრცელეს იმ ეონოსზე, რომელიც საკუთარ თავს ღალღას უწოდებს.

წყალსა, და მერმე მიერთვიან ბორალნის წყალს და-
ვლეთიდამ. და არს გეობა ესეცა შენობიან-დაბნებიანტიკურისა.

თუ ჩვენ ერთმანეთთან შევაჯერებთ ვახუშტის ცნობას
ე.წ. „ხაზართა“ (ე.ი. სკვითთა) შემოსევების ეპოქიდან დუ-
რძუკ-ძურძუკეთად პირიქითი არაგვის (გვიანდელი თერგის)
„აღმოსავლის კერძის“ სახელდების შესახებ და იმავე ავ-
ტორის მკაფიო მინიშნებას დურძუკეთის ქვეყნის მერმინდე-
ლი „განყოფის“ თაობაზე, აღბათ მნელი არ უნდა იყოს იმ
ლოგიკურ დასკვნებამდე მისვლა, რომ:

1. ქ. წ. VII-VI სს-დან დურძუკეთი (ძურძუკეთი) პირი-
ქითი არაგვის (მერმინდელი თერგის) აღმოსავლეთით მდე-
ბარე ხეობებს მოიცავდა;

2. დროთა განმავლობაში მოხდა დურძუკეთის (ძურძუკე-
თის) დაყოფა ოთხ ურთიერთმომიჯნავე „ხევად“: ქისტე-
თად, საკუთრივ დურძუკ-ძურძუკეთად, ღლილვეთად და ამ
უკანასკნელის მეზობელ ხეობად (როგორც ჩანს, ჩანთი-არ-
ღუნის ხეობად);

3. რამდენადაც ვახუშტის მიერ ხსენებული ეს ოთხივე
მხარე („ხევი“) ზუსტ ტერიტორიულ შეფარდებაშია თერ-
გის აღმოსავლეთით მდებარე ხეობებთან ანუ ამჟამინდელი
ინგუშეთისა და ჩაჩნეთის მიწა-წყალთან (უფრო სწორედ
ინგუშეთისა და ჩაჩნეთის მთიანეთთან), უძველესი დურძუ-
კეთ-ძურძუკეთის ქვეყნის ლოკალიზაცია დასაშვებია იმ ის-
ტორიულ-გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც თანამედროვე
ჩაჩნები და ინგუშები თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ
თვლიან;

4. ამასთან, ვახუშტის მიერ ვიწროდ გაგებული „დურძუ-
კეთ-ძურძუკეთის“ ლოკალიზაცია ქისტეთის წყლის (არ-
მხის) ხეობის სათავეებში (ინგუშეთის ტერიტორიაზე) აღ-
ბათ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თავდაპირველად დუ-
რძუკეთი არმხის ხეობის მაღალმთიან და ყველაზე უფრო

¹⁴ აქევ, გვ. 652-653.

მელად მისადგომ მონაკვეთს მოიცავდა (ანუ იმ მხარეს, რომელიც თავისი ბუნებრივი პირობებით ყველაზე მეტყველებოდა მოგვაგონებს ეთნარქ დურმუკის პირველსამოსახლო ადგილად წარმოჩენილ „ნაპრალსა მოისასა“), საიდანაც შემდგომში მოხდა მისი ტერიტორიული გაფართოება მომიჯნავე ხეობების ხარჯზე.

დურმუკეთის ქვეყნის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს „მოქცევად ქართლისაას“ (IX ს.) ის ფრაგმენტიც, სადაც ლაპარაკია სპარსელთა მიერ დურმუკეთში ოვსეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი „კარის“ აგების შესახებ: „და ვითარცა მეფობა დაესრულა ქართლისა შინა, სპარსი განძლიერდეს და ერთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კარი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორი დვალეთს და ერთი პარჭუანს დურმუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს და სხუა ვინმე კაცი დაადგინეს მთავრად წანარეთისა ჭევსა და მორჩილებად დასდევს მისი.“¹⁵

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ VII-ში ოსეთ-ალანეთის აღმოსავლეთი საზღვარი თერგი-სპირა დაბლობებამდე აღწევდა, „პარჭუანად“ წოდებული ადგილის ძებნაც უთუოდ ასის ან არმხის ხეობებში არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნული ხეობების მეშვეობით იყო შესაძლებელი „ოვსეთის“ ქვეყანასთან მეზობლური კონტაქტების განხორციელება (ცხადია, იმავე ჩანთი-არღუნის ხეობაში „ოვსეთის კარს“ ვერ ააგებდნენ იმ მარტივი მიზეზით, რომ ჩანთი-არღუნის ხეობა ოსეთს უშუალოდ არ ესაზღვრებოდა). ამასთან, „მოქცევად“-ს ის ცნობა, რომ „ოვსეთის კართა“ მცველებად დადგინებული

¹⁵ მოქცევად ქართლისაა, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წ. I, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963, გვ. 95.

მთიელები წანარეთის ხევის (გვიანდელი ხევის, აწინდელი უორტენის ა-ნი) „მთავარს“ ემორჩილებოდნენ, ფაქტსამც მიგვანიშნებს პარტუანად სახელდებული კლდეკარის და საერთოდ, დურძუკეთის ქვეყნის, წანარეთთან ტერიტორიული სიახლოვის ფაქტზე.¹⁶

ამრიგად, „მოქცევად ქართლისავ“-ს მიხედვით VII-ის დურძუკეთის ქვეყანა დანამდვილებით თანამედროვე ინგუშეთის მთიან ნაწილს შეეფარდება, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იმხანად დურძუკეთი აწინდელი ჩაჩნეთის მთიანეთზეც არ ვრცელდებოდა.

დურძუკეთი რომ თავის დროზე ჩაჩნეთის მიწა-წყალსაც მოიცავდა, ეს კარგად მტკიცდება არა მარტო ვახუშტის „აღწერის“ ცნობებით, არამედ ზოგიერთი ონომასტიკური ფაქტითაც, კერძოდ ჩაჩნეთის ტერიტორიაზე ფიქსირებული ისეთი ტოპონიმებითაც, როგორებიცაა მაგალითად, დურზმიე ქორთა (Дурзмие корта) – მთის სახელწოდება ჭანთას თემის სოფ. წამადასთან და დურზმიე (Дурзмие) –

¹⁶ საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ხალხური თქმულება ჩაჩნთა ეთნიკური აქვნის დარწვევის ადგილად წარმოაჩენს აკი-ლამად წოდებულ შხარეს და სწორედ ამ რაიონიდან 14 თაობის წინ გამოსულ უძველეს ნათესაურ კოლექტივებად ახასიათებს ფარჩხოის და ცეჩეის გვარებს (იხ. “Сборник сведений о Терской области”, Владикавказ, 1878, вып. 1, гв. 266-268). ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა გვარსახელი ფარჩხოი, რომელშიც გამოიყოფა ფარჩ-ფუძე, ქართული -ელ-ის შესაბამისი ხო- სუფიქსი და -ი მრავლობითობის ნიშანი და რომელიც ნიშნავს „ფარჩოელს“ (შდრ.: Жланрахой -ჯარიახელები; შენგიშხოй -პანკისხელები და ა.შ.). რამდენადაც ფარჩხოი ტოპონიმური წარმომავლობის ანთროპონიმია, მნელი არაა იმის მიხვედრა, რომ თავის დროზე აკი-ლამის რაიონში არსებული ფარჩოდ სახელდებული თემ-სოფელი. ვინაიდან ფარჩ ტოპოფუძე გარკვეულ ფონეტიკურ მსგავსებას ამჟღავნებს „მოქცევას“ ტექსტში ასახულ „პარჭუანის“ პარჭ თუ პარჭუ ნაწილთან, ადგილი შესაძლებელია, რომ ქართული პარჭუანი სწორედ ნახური ფარჩ-ფარჩოს გადმოცემას წარმოადგენდეს.



დგილის სახელწოდება ზუმსას თემში¹⁷. ყურადებას იქცევს ურთევე ერთ-ერთი ჩანსური სოფლის დორძინის სახელმწიფო წოდება და ხალხური თქმულება იქ შორეულ წარსულში მცხოვრები დარღიხოვლების შესახებ,¹⁸ რომელთაც მკვლევრნი თავდაჯერებით უკავშირებენ ტერმინ დურძუქს.¹⁹

ამრიგად, ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებისა და ზოგიერთი ეთნოგრაფიულ-ონომასტიკური ფაქტის ანალიზი ქმნის საიმისო საფუძველს, რომ ჰველ ქართულ მატიანებში მოხსენიებული დურძუკეთ-ძურძუკეთის ქვეყნის უძველესი მიჯნები თანამედროვე ჩანსურის მთანი ნაწილის საზღვრებს შეუფარდოთ, ანუ დურძუკეთად წარმოვიდგინოთ ის მიწა-წყალი, რომელსაც ვარახები თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ თვლიან და თაობიდან თაობას გადასცემენ ცოდნას სწორედ აღნიშნული მიწა-წყლიდან არღუნისპირა, სუნჯისპირა და თერგისპირა დაბლობებში გვიანდელი (XIV-XIX სს.) ჩასახლების შესახებ.²⁰ ამასთან, როგორც წერილობითი წყაროების ჩვენებე-

¹⁷ А.С.Сулейманов, Топонимия Чечено-Ингушетии, ч. I, Гр., 1976, გვ.143, 145.

¹⁸ Н.С.Иваненков, Горные чеченцы, “Герский сборник”, Владикавказ, 1930, вып. VII, გვ.9.

¹⁹ В.Б.Виноградов, К.З.Чокаев, დასახ. ნაშრომი, გვ.86; Н.Г.Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, გვ. 139.

²⁰ ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ საკუთრივ ჩაჩანთა წარმოდგენით ისინი იყოფიან მთიელებად (ლამრო) და ბარელებად (ოყარანახ), ხოლო თავად ჩაჩეთი („ნოხჩიიჩი“) შეცვას სამ ძირითად რეგიონს: 1. მთიან ჩაჩეთს („ლომ მოხქ“), 2. დაბლობს ან შიდა ჩაჩეთს („ჩო“) და 3. თერგისპირეთს („ტერკიისტე“). ამათგან მთიანი ჩაჩეთი, რომელიც თავის შხრივ შედგება რამდენიმე მხარისაგან (იჩქერია ან ნოხჩიმოხქ, ჭებერლოი, შატოი, შარო, მალხისტა და სხვ.), ფაქტობრივად წარმოადგერებულ რეალურ-ისტორიულ ჩაჩეთს, ნოხჩითა უძველეს სამკვიდრებების კიდევ რეალურ-ისტორიულ ჩაჩეთს, ნოხჩითა უძველეს სამკვიდრებების, საიდანაც XIV-XIX სს-ში მოხდა მათი ჩამოსახლება თერგის, სუნჯისა და არღუნისპირა დაბლობებზე. ასევე, ინგუშეთი იყოფა მთის და ბარის რეგიონებად. ამათგან მთის თემები (დალღაიჩო, ცორი, მთის და ბარის რეგიონებად. ამათგან მთის თემები (დალღაიჩო, ცორი,

ბზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, უძველეს დურმუკეთსა და მის მეზობლად წარმოქმნილ ქართლის (იბერიის) სახუმურავის მწიფოს შორის ჩამოყალიბებული სასაზღვრო ხაზი სწორედ აწინდელ ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და საქართველოს შორის არსებულ სასაზღვრო ზოლს ემთხვეოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ნამდვილად არ იძლევა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ მაკროფერდობზე გამავალი აღნიშნული საზღვრის არც უფრო ჩრდილოეთით და არც უფრო სამხრეთით გადმოწევის უფლებას.

ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში დაცული ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, დურმუკეთი ძველთაგანვე მეზობელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ზეგავლენას განიცდიდა. ვახუშტის მითითებით, ჯერ კიდევ ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს დაუუძნებამდე დურმუკები ყოფილან „...მორჩილებასა შა მცხეთელ მამასახლისასა“, ხოლო ფარნავაზის გამეფებისა და დურმუკებთან მისი დამოყვრების შემდეგ ქართლის პირველმა ქართველმა მეფემ „დაიმორჩილა კად უმეტესად მურძუკეთი ამით და შად ფარნავაზ მეფისა, ვა აჩენს ცხოვრება, იყვნენ მორჩილებასა შა და მომცემელნი ხარკთა მეფეთა ქართველთასა: მურმუკი, ქევი, დუალეთი, კასრის კარს ზეითი...“

მართალია, წერილობითი წყაროების სიმწირის გამოჩენ გვიძნელდება იმის ჯეროვანი სიზუსტით განსაზღვრა, თუ როგორი იყო საქართველოსადმი დურმუკეთის „მორჩილებას“.

ვარიანტი, ფაპი-მეცხალი), რომელიც მდებარეობს მდ. ასის და არმხის ხეობების სათავებში და შუაწელზე, წარმოადგენს „ბუდე ინგუშეთს“, საიდანაც „დალღები XVI-XIX სს-ში ჩასახლდნენ ნაზრანის რაიონში და თერგ-უჯიისპირა დაბლიბებში (იხ. Н. Г. Волкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 164-173; Народы Кавказа, т. I, М., 1960, с. 347, 375).



ლების“ ხასიათი და ხარისხი, მაგრამ სამაგიეროდ, დაბეჯი-
თქმით შეიძლება იმის თქმა, რომ ძვ.წ. III ს-დან დურძულებული და
კუთხით შეზობელი დვალეთისა და ხევის (ძველი წანარეთის)
დარად თუ მთლიანად ან უშუალოდ არ შემოდიოდა მზარ-
ლი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, იგი მასზე
ესალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყანას მაინც წარმო-
ადგნდა. მეტად ნიშანდობლივია, რომ „მოქცევად ქართლი-
საღ“-ს მკაფიო ჩვენებით VI ს-ში სპარსელთა მიერ დურ-
ჭექეთში აგებული „პარჭუანის კარის“ „მცველებად“ და-
დგინებული ადგილობრივი მთიელები (ე.ი. საკუთრივ დურ-
ჭექები) წანარეთის ხევის (გვიანდელი ხევის) „მთავრად“
განწესებულ დიდობრივებულების ემორჩილებოდნენ, რაც შესა-
ძლოა მთელი დურძულების ან მისი გარკვეული ნაწილის
ქართლის სამეფოსადმი ოდინდელ ადმინისტრაციულ კუ-
თხნილებაზე მიგვანიშნებდეს.

ცხადია, დურძულების ქვეყნის საქართველოზე პოლი-
ტიკურ და კულტურულ ორიენტაციას თავისი ისტორიული
მოტივაციაც გააჩნდა. საქმე ისაა, რომ დურძულების ძვ.წ.
VII ს-დან ჩრდილოეთის მხრიდან უშუალოდ ემეზობლებო-
დნენ ჩრდილოირანული მოდგმის აგრესიული ნომადები
სკვითების სახით, რომელთაც ლეონტისა და ვახუშტის
კრისით დურძუკთა ლეგენდარული ეთნარქი - დურძუკი
„ხარქსაც“ კი აძლევდა. სკვითებისა და შემდგომ სარმატე-
ბის იმიერკავკასიაში განუკითხავი ბატონობის ხანაში
(ძვ.წ.VII-I სს.) ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხე-
ობებში შემოკეტილი დურძუკები ფაქტობრივად მოკლებუ-
ლნი აღმოჩნდნენ მათდამი მტრულად განწყობილ მომთაბა-
რებთან ნორმალური ურთიერთობების განვითარებისა და
თერვისა და სუნჯისპირა დაბლობების მიმართულებით თა-
ვისი საარსებო სივრცის გაფართოების შესაძლებლობას.
ამიტომ სავსებით კანონზომიერია ის, რომ დურძუკებმა იმ-
თავითვე სამხრეთისკენ იბრუნეს პირი და იმედიანი მზერა

ქართლის (იბერიის) ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს
მიაპყრეს, სადაც მათ ქართველთა სახით გენეტიკური აუდიტი
პულტურულ-ყოფითი ნიშნით ახლოს მდგომი ხალხი ეგუ-
ლებოდათ. ფარნავაზის მიერ დურძუკთა „მეფის“ ასულის
ცოლად მოყვანის შემდეგ კი ქართველთა და დურძუკთა
ურთიერთობა როგორც ჩანს, თვისობრივად ახალ სიმაღ-
ლეზე ავიდა და ამიერიდან დურძუკები ქართველთა იმიერ-
კავკასიელ სტრატეგიულ მოკავშირეებადაც იქცნენ.

დურძუკებს ფარნავაზიანები რომ თავიანთ ახლომონა-
თესავე ხალხად და საიმედო დასაყრდენად განიხილავდნენ,
ამას თვალნათლივ მოწმობს ფარნავაზის ძის – საურმაგის
მეფობის უამს განვითარებული მოვლენები, კერძოდ ის სა-
გულისხმო ფაქტი, რომ მან ერთობ თამამად მიიღო საქარ-
თველოს მთიანეთში თავის „დედულთა“ - დურძუკთა მასო-
ბრივი გადმოსახლებისა და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე
„მისანდობელად თუსად“ მათი „დასხმის“ არც თუ ურისკო
გადაწყვეტილება.

როგორც ლეონტი მროველი მოგვითხრობს, ფარნავა-
ზის მემკვიდრემ - საურმაგმა სწორედ დურძუკების შემწე-
ობით მოახერხა მისგან მოულოდნელად განდგომილი ქარ-
თველი ერისთავების „მოსრვა“ და ტახტის შენარჩუნება,
რის შემდეგაც მან „...დაამდაბლნა ქართლოსიანნი და გან-
მრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასიისნი. ხოლო
ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშედობით დარჩო-
მილ იყვნეს, სიმაგრისაგან ჭუეყანისა, და ვერდარა იტევდა
დურძუკეთი. მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყო-
ველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათ-
განნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთი,
დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და
ესენი დაიპყრნა მისანდობელად თუსად, დედულნი.“²¹

²¹ დუონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქც“, I, გვ. 27.



იმავე მემატიანის ცნობით, საურმაგის გარდაცვალების და მირიან I-ის გამეფების შემდეგ „...დურძუკთა დაივიწყებისთვის სიყუარული ფარნავაზისა და საურმაგისი; და გარდამო-
კიდეს დურძუკეთს მყოფნი, და გაერთნეს თანა ჭართალეთ-
სა მსხლომნი კავკასიანნი, მოტყუენეს კახეთი და ბაზალე-
თი. მაშინ მირვან მეფემან მოუწოდა ყოველთა ერისთავთა
ჭართლისათა, და შემოიკრიბნა ყოველნი სპანი, მტედარი და
ჭუეთი, და ყოველნი კავკასიანნი იყვნეს სარწმუნოდ მორჩი-
ლებასა ზედა მირვანისა, რომელნი გარდამოვლინებულ იყ-
ნებს საურმაგ მეფისაგან, თვინიერ ჭართალთასა. შემო-
იკრიბნა ესე ყოველნი და წარემართა დურძუკეთს. შეკრბეს
და დაუდგეს სიმაგრეთა ზედა გარდასავალთა გზასა მას...
იქნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი...ხოლო იძლივნეს დურ-
ძუკი და ივლტოდეს...მიუდგეს უკან ქართველნი, მოსრნეს
და ტყუე ქმნეს. და შევიდა მირვან დურძუკეთს, და მოა-
ოქრა დურძუკეთი და ჭართალი. და შეაბნა კარნი ქვეყნი ქვეყ-
ნითა, და უწოდა სახელად დარუბალ“.²²

დამოწმებული ამონაწერების ურთიერთშეჯერებით ჩვე-
ნთვის ნათელი ხდება, რომ: 1) ძვ.წ. III ს-ში მეფე საურ-
მაგის ინიციატივით ადგილი აქვს ნამეტი მოსახლეობის
პრობლემის წინაშე დამდგარ დურძუკთა დიდი ნაწილის
(„ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნის“) მასობრივ გა-
დამოსახლებას საქართველოში; 2) დურძუკების ერთი ნა-
წილი საურმაგმა „წარჩინებულ ყვნა“, ხოლო დანარჩენები
დაასახლა საქართველოს მთიანეთში „დიდოეთითგან ვიდრე
ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“, ანუ ცენტრალური კავ-
კასიონის მაღალმთიან ზოლში დიდოეთიდან ვიდრე სვანე-
თამდე; 3) ცენტრალური კავკასიონის ხეობები დიდოეთიდან
მოყოლებული ვიდრე სვანეთამდე ქართლის (იბერიის) სამე-
ფოს ხელშია და ზოგადად „მთიულეთად“ (მთიანეთად) არ-

²² დურძუკი მრთველი, იქვე, გვ. 27-28.



ის სახელდებული. ეს რეგიონი მოიცავს ცენტრალური კავკასიონის როგორც პირაქეთ, ისე პირიქით კალანჩებს და მის ფარგლებში იგულისხმება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ მაკროფერდობზე მდებარე მხარეებიც, კერძოდ თუშეთის ქვეყანა, პირიქითი ხევსურეთის ტერიტორია, აგრეთვე ხევის და დვალეთის მიწა-წყალი. ცხადია, ქართლის (იბერიის) კუთვნილი „მთიულეთის“ შემადგენლობაში თუშეთი. რომ არ იგულისხმებოდეს, მაშინ ქართველი მემატიანე მარტივი ლოგიკით „მთიულეთის“ აღმოსავლეთ კიდევ დაასახელებდა არა დიღოეთს, არამედ თუშეთს; ხოლო თუკი „მთიულეთის“ შემადგენლობაში ვიგულისხმებოთ თუშეთს, მაშინ იმავე რეგიონის ფარგლებს გარეთ პირიქითი ხევსურეთის (დღევანდელი არხოტის და შატილ-მილმახევის ხევების) ყოფნა უბრალოდ ძნელი წარმოსადგენი ხდება. რაც შეეხება ხევსა და დვალეთს, მათ გააზრებას იმავე „მთიულეთის“ შემადგენელ ნაწილებად მხარს უჭერს ერთი მხრივ, ვახუშტის ცნობა აღნიშნული მხარეების ფარნავაზის ხელში გადასვლის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, დარიალის ხეობაში მირიან I-ის მიერ ქვიტკირის ზღუდის აგების ფაქტი.²³ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დარიალის კლდეკარის გამაგრება ხომ იმის მანიშნებელია, რომ ქართლის (იბერიის) მესამე მეფე პირიქითი არაგვის (მერმინდელი თერგის) ხეობას საქართველოს მონაპირე რაიონად თვლიდა და ხსენებული კლდეკარის გამაგრებით ის საბოლოოდ წყვეტდა ქვეყნის ჩრდილოეთი კარიბჭის საიმედოდ ჩარაზვის ამოცანას; 4) დურბუკთა კომ-

²³ ლეონტისეულ „დარუბალში“ რომ სწორვდ დარიალის სიმაგრე იგულისხმება, ამაში გვარწმუნებს ვახუშტის ობზელების ერთი ფრაგმენტი, სადაც ხევის აღწერისას განმარტებულია: „...ამას ჭუებით არს დარიქლა არა აგნეს აღმოსავლით, კიდესა ზედა, მშეფის მირვანის მიერ. შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვეს, რათა უმისოდ ვერდარა ვიღოდნენ...“ (ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 358).



ჰაეტური განსახლების არეალის ერთ-ერთ მხარეს წარმო აღენს ჭართალი, რომელიც მდებარეობს არავის ხეობაში სანდოს მეზობლად და მთიულეთ-გუდამაყრის მახლობლად²⁴; 5) ქართლის (იბერიის) სამეფოს მთიანეთში „დას-ხმულ“ დურძუკთა ერთი ნაწილი მართალია, ძვ.წ. II ს-ში განუდგა მირიან I-ს, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც დარჩა „სარწმუნოდ მორჩილებასა ზედა მირიანისსა“. ეს გარემოება კი თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ სა-ქართველოს „მთიულეთში“ ძვ.წ. III ს-ში „გარდამოვლინებულ“ დურძუკთა უდიდესი ნაწილი იმთავითვე შეურიგდა თავის ახალ ეთნოპოლიტიკურ სტატუს კვის და ქართველთა მეურვეობაში ყოფნასთან დაკავშირებულ პირობებს, რაც მათი თანდათანობითი ასიმილაციის პერსპექტივას სახავდა.

ჩვენი აზრით, ლეონტი მროველის თხზულებაში და-ცული ჩვენთვის საინტერესო ცნობის რეალურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს და ამდენად არაა გასაკვირი ის, რომ ცალკეული მქვლევარნი მას სრული ნდობით ეკიდებან.²⁵ კავასალიას აზრით, ლეონტის აღნიშნული ცნობა „შეიძლება დამათარილებლად გამოდგეს ქართლში ნახური ტომების თავდაპირველი შემოღწევისა და ნახური ტოპონიმების გაჩენისათვის ... ნახურ ტომთა ინფი-ლტრაციას ადგილი ჰქონდა ქართველური ტომებით დასა-

²⁴ ჭართლის თემის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით იხ.: გახტ. ითონიშვილი, არავის ხეობა, თბ. 1986, გვ. 151-154; შიხვები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ.49-50.

²⁵ განიტანა, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, I, 1955, გვ. 393; **В.Н.Гамрекели**, Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э., Тб., 1961, გვ.18, 23-24; ჯ.გაბაძელია, აღმოსავლეთ სა-ქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შილა ქართლი), თბ., 1983, გვ. 168; ლ.მარგოზეალია, პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბ., 1985, გვ.5; გახტ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 167.

ხლებულ ტერიტორიაზე”²⁶. მაგრამ ერთ-ერთ ნაშრომში ასეთი მოთქმულია მოსახრება ქისტურ-ბაცბური მოდგმისას ტარექშეს არა მარტო კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით, არამედ მის სამხრეთ კალთებზე ოდიოგანვე გავრცელების შესახებ და მიჩნეულია რომ ლეონტის ცნობა დურძუკთა ქართლ-კახეთის მთიან მხარეში დასახლების შესახებ უნდა ასახავდეს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ჩრდილოკავკასიური მოსახლეობის გაჩენის გზებზე შემუშავებულ წარმოდგენას.²⁷

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ლეონტის ცნობის ამდაგვარი ინტერპრეტაცია რამდენადმე ნაჩქარევია, ვინაიდან: 1) ლეონტი გარკვევით ლაპარაკობს საურმაგის მეფობის უაშს (ძვ.წ. III ს.) ქართლის (იბერიის) „მთიულეთში” დურძუკთა მასობრივი გადმოსახლების შესახებ და თვალს გვიზელს ქართლის (იბერიის) მთიანეთში დურძუკთა „გარდამოვლინების” კონკრეტულ მოტივზეც – მათ დიდ დამსახურებაზე საურმაგისთვის სამეფო ტახტის შენარჩუნების საქმეში; 2) ქართველი მემატიანე აშკარად შორსაა იმის თვითნებური ახსნის მცდელობისაგან, თუ საიდან შეიძლება გაჩენილიყო ქისტურ-ბაცბური მოდგმის მოსახლეობა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ანუ იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში, სადაც ძვ.წ. III ს-ის წინარე ხანაში ჩრდილოკავკასიური ტომების (კერძოდ ვაინახების) ცხოვრება არავითარი ფაქტობრივი მასალით არ მტკიცდება; 3) ლეონტის ცნობა ნამდვილად არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების უფლებასაც, რომ დურძუკთა „დასხმა” მოხდა მაინცდამაინც კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე, რამეთუ პირველწყაროს სეული „მთიულეთი”, გადაჭიმული დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე,

²⁶ ჯ.გვიათადია, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

²⁷ Г.А.Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 40, 120, 125, 295.

შესაძლოა მოიცავდეს კავკასიონის პირიქით კალთებსაც და დაარსებისთანავე შევიდა მის შემადგენლობაში.

ამრიგად, ლეონტის ცნობისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მაგალითზეც საქმარისად კარგად ჩანს, რომ ძვ.წ. III ს-ში ვაინახთა (დურმუკთა) საქართველოს ტერიტორიაზე მასობრივი გადმოსახლებისა და მათი შემდგომი ეთნიკური ბედის საკითხი სასურველი სიღრმითა და სისავსით არ არის შესწავლილი. ამასთან, ჯერაც დაუდგენელია საქართველოს „მთიულეთში” დურმუკთა კომპაქტური განსახლების ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის საზღვრები და არ არის მოცემული მათი ოდინდელი ლოკალიზაციის კარტოგრაფიული სურათის წარმოჩენის მცდელობა. ასე რომ, ჩვენ ამოცანას შეადგენს აღნიშნული ხარჯების თუნდაც ნაწილობრივი შევსება.

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია შეინიშნოს, რომ საქართველოს მთიანეთში ვაინახთა ოდინდელი გადმოსახლება-განსახლებას თვალნათლივ მოწმობს ჩვენს ხელთ არ-სებული მრავალრიცხოვანი ონომასტიკური მონაცემები. სწავლულნი ყურადღებას ამახვილებენ რა ქართული ენის მთის კილოთა გავრცელების არეალის (თუშეთი, ხვესურეთი, ფშავი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ხევი) გეოგრაფიულ სახელებზე, დასაბუთებულად მიუთითებენ მათ ნახურ წარმომავლობაზე.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთი მკვლევარი სწორედ ნახური წარმომობისად თვლის ხვესურულ ტოპონიმებში მოცემულ -ღა და -ტი სუფიქსებს და არგუმენტირებულად დასძენს, რომ ამ „... გეოგრაფიული სახელების ანალიზი ეხლანდელი ხვესურეთის ტერიტორიაზე ქისტური მოსახლეობის არსებობას გვავარაუდებინებს. მაგალითად, შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებები ქისტური ენების ნიადაგზე უნდა იხსნებოდეს: ჭიმღა – სოფელია არხოტში,

ჭიმღის მაღალი — მთაა არხოტში. ამღა — სოფელია, კომ-
ლის მაღალი მთაა. ქმოსტი — სოფელია ხევსურებიშვილების
ხოტი სოფელია. აღნიშნულ სახელებში და, ტი ქისტურ
მიმართულების აღმნიშვნელი თანდებულები უნდა იყოს
წარმოშობით.”²⁸

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოძიებულ ცა-
ლკეულ ტოპონიმთა ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე
თუ ტერიტორიაზე დასკვნის, ომ „მთის კილოთა გავრცელე-
ბის ტერიტორიაზე ძირითადად ქართული წარმომავლობის
გეოგრაფიული სახელები გვხვდება, მაგრამ საკმაო რაოდე-
ნობით ვხვდებით ისეთ ტოპონიმებსაც, რომელთა წარმო-
მავლობისა და ეტიმოლოგიის გარკვევა ხერხდება მხოლოდ
ნახური ენების მონაცემთა გათვალისწინებით”²⁹ ავტორი
განიხილავს საქართველოს მთის კუთხეების (თუშეთი, ხევ-
სურეთი, ფშავი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი) ტერიტო-
რიაზე ფიქსირებულ -ლო, -გო, -გა, -ჩო, -ჩა, -ჩე, -მათე, -
ტე, -ებ, -ტი სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებს (მაგ.: არ-
ჭილო, კაკნიელო, დიშლო, ომალო, კვავლო, კესელო, ტე-
ბულო, ბაჩქათელო, ჩაფრილო, ქალილო, წუნტელო, ბაცა-
ლიგო, ღაღანიგო, ბეცეგო, ამუგა, თარმათიგო, მოძღვარჭი-
რიგო, დალაგოტე, ქერიგო, დათაგო, ბათხანამუგო, გორთი-
გო, კანთეგ-ჭირიგო, ძარანგუ, შოჩოგო, შოჩოკო, ხანიგა,
ლოგანგა, ჭაფნაგა, ხოდგა, ბაშამაგა, აწიგა, ლაფოგა, ატ-
ნიგა, ბადაჭადგა, ამუგა, მუხათჭეჩო, ბაზკიჩოხი, მასტალი-
ხო, ედეკნიჩო, ვუყერეჩო, ნაყავეჩო, ეკინეჩო, დოიჩონაჩო,
ჭიჩო, დიჭიო, ლაქვჩე, გამბაჩა, ყოფჩა, შუებჩო, ლუიბარჩე,

28 დამნააშვილი, ქართული ენიდან სიტყვათა სესხების კანონზომიერები-
სათვის პანკისის ქისტურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“
XI, 1959, გვ. 245; შენიშვნა: არხოტის ხევი ავტორს შეცდომით სოფ-
ლად აქვს წარმოდგენილი.

29 თუ ტერიტორიაზე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ.,
1966, გვ. 88-89.

ქომათე, მაციმათე, ბაციმათე, ლომათე, ცუგირმათე, ხოხოშვილის სათე, გაღმათე, მაჭეშტე, მუკარტე, ქორეშტაე, წურტე, ბაიტე, დალაგოტე, ლაპანტე, ქეშალტე, გონახოტე, ვოკოტე, ქარატე, ახოსტი, დალესტი, დახეშტი, ტარახუტი, არხოტი, გერგეტი, ჭაჭმატი, თხასეტი, ფანშეტი, ყორშატი, აჩხოტი, ტილავეტა, ვეტა, უებოტა, ხიბრეტი, აცეხი, ვაუეხი, ბაყაწეხი, გაზნეხი, ბაკნეხი, დაქოეხი, ფენიეხი, აყეხი, იჭუეხი, კავნიეხა, ბუყიეხა, თურსიეხი, მუყიეხი, ურციეხი, გინჯეხი, მაწარეხი და სხვ.) და მათ სწორედ ნახური ენის მასალით ხსნის. ამასთან ერთად, მკვლევარი იძლევა ზოგიერთი ნახური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელის (ხელის წყალი, ქაჩუ, ხიდოტანი, არჭილი, ამუგა-ამდა, ახიელი, წუნტელო, ბაციმათე, კოკლათა, ვუყერეჩო, ტაბაჩე, დოპერწუე, ჯელათუე, ჯელარკუე) ეტიმოლოგიას. მას ნახური ენის ნაშთად მიაჩნია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთის მხარეებში დამოწმებული -სო, -ში დაბოლოებიანი ისეთი ტოპონიმებიც, როგორებიცაა მაგალითად ხისო, თრუსო, ჭანიშო, ხარჭიშო, ჭორმეშო, ჭეშო და სხვ. ჩატარებული კვლევის შედეგად თუთურგაიძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქართული ენის მთის კილოთა გავრცელების არეალში ადგილი ჰქონდა ქართული და ნახური ტომების შერევას.³⁰

გაბედოშვილი ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში საგანგებოდ გამოყოფს გაურკვეველი სემანტიკის ტოპონიმებს (ალოტი, არბუკი, არხალი, აძეძი, ახადი, ახუნი, ბოჭორმა, ბაჩალი, გოთალრა, გუზუმბათი, დამასტე, დოლოშა, ევჟენტი, ერწო, იღრაყო, იკვლივი, ილდაკანი, იხინჭა, კადაჩალი, კარატე, კარსა, კაწალო, კორსავი, ლარტუშო, ლახატო, ლიშო, მაკასტახი, მასარა, უებოტა, ღორღაში, ყვარა, ჩაბანო, წერათო, ხაიშო, ხახმატი, ხოფცა, ჭიჩო და სხვ.) და განმარტავს, რომ აღნიშნულ სემანტიკურად ბუნდოვან სახე-

³⁰ თუთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, 88-103.

ლებში „პირველ რიგში ნახური (ბაცბური) ენობრივი დაწყები უნდა ვივარაუდოთ.“³¹

გ.ხორნაულს უცხო ენის ნაშთად მიაჩნია არაგვის ხეობის მთის ზოლში (კერძოდ მთიულეთსა და გუდამაყარში) მოკვლეული ისეთი ტოპონიმებიც, როგორებიცაა, მაგალითად, იუხო, შონჩო, ლემაგო, ესოჯე, შონჩოქო და მაშაგო.³² ადვილი შესაძლებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნული ტოპონიმი თუ არა, მათი დიდი ნაწილი მაინც, მართლაც ნახური წარმომავლობისა იყოს.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მთის თემების (მთიულეთი, გუდამაყარი, თუშეთი, ფშავი, ხევი, ხევსურეთი) ტერიტორიაზე მოძიებული ისეთი სემანტიკურად გაუმჭირვალე ტოპონიმების შესახებაც, როგორებიცაა, მაგალითად: მაშალითი//მაშალიტი, დაუნიჟი, წაკარო, დიხჩო, თხორჩალი, ლოფო, წიბარბაცი, სმორე, ლუთხუბი, მაჩაგანი, ცობაცი, დამეუგა (-გუდამაყარში); იანტალო, ნალემო, კეტმო, მირისე, ზმარტლიჩო, იზუქე, ლემაგო, უორთო, ტემათაი, უცეხო, კაპლიჩო, შოჭრო, ჭოჩინო, შორჩოქო, იუხო, კიმიჩხო, მულთო, ოლიანჩო, უორთო, ტე, ფიადო, დანეში, შორჩოკო, წაქანიტები, ხიწლაკო, ფეთო, ხირგო, თახეილო//თახაელო, ფო, ხაჯალიჩო, შონჩო, უბურგო, ჩირე, ძეგლე, ლობცა, ესოჯე//ეშოჯე, მიდრე, წიტე (-მთიულეთში);³³ აუმბარჩა, აფორა, აღარტე, აყუნიეხი, აშტო, აჩაროი, ბაიჯლე, ბახანჩო, ბემბელე, ბუიჩო, გარჩაგო, დედბაჩე, დოიდალოე, დოტკალტო, ვაცეტა, ვეჭკუ, ზარანგუ, იმურკლე, იღონე, კპასტე, მაინიში, მასენკაკუ, ნისტოხი, ნიშტაყო, ტიე, უყერეჩო, ფაშკატე, ცირმაშტე და ა.შ. (-თუშეთში);³⁴ ალიშბალიში,

³¹ გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 48.

³² გ.ხორნაული, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 30.

³³ გ.ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 61-133.

³⁴ გ. ქურდელაძე, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 90-129.

ალბაინიში, დოლთი, დონატავ, ბაკნი, დეკელჭო, ტელ-
ჰორ, ბლოტავ, ელოგეში, იკარე, მადალესი, ლამორდენისათვის
შადამაგავ, გალამაშავ, სურბეტავ, ტარაგავ (-ხევში);³⁵
ზეისტეჩო, ესაჩუ, ედეკენიჩო, მასტალიჩო, ტეკუჩო, ჩე-
გვაჩო, ხერხინაჩო, შიბუეჩო, ეტერიაჩო, უსტამალაე, ხიტა-
ლე, ატაბე, ბოქჩილო, ჯოხემართლო, მიცხელო, წუნტე-
ლო, ქეჩალილო, ღალანიგო, კოზლუ, უდელო, ეშმაიალო, ბე-
ცეგო, მაშალიგო, მეშნიგა, იმიეგა, დენიდა, დიხნეგა, მაამი-
ტე, სამარსიტე და სხვ. (-ხევსურეთში);³⁶ მაშალო//მაშაგო,
სიდო, კერბუკა, ჩიკორკა, ხანიგა, ჭიჩო, ხიშმუ, ჭაფნაგა,
ბოგოჩარა და სხვ. (-ფშავში).³⁷

ერთ-ერთ ნაშრომში ვაინახური წარმომავლობის ტო-
პონიმად არის მიჩნეული წავ (ყოფილი მაღრან-დვალური
სოფლის სახელწოდება დიდი ღიახვის ხეობის სათავეებ-
ში),³⁸ რომელიც ნახურ ენათა ნიადაგზე საკმაოდ დამაჯე-
რებლად ეტიმოლოგიზირდება, როგორც „სახლი“ (ჩაჩნურ-
ინგუშურად ცია ნიშნავს „სახლს“, „ოჯახს“, „ოთახს“) და
სასაობება ქართული „დარბაზის“, „ვანის“, „სავანეს“,
„ბაგების“ ანალოგიური ტიპის გეოგრაფიულ სახელად.³⁹

საქართველოს მიწა-წყალზე ნახური ძირის ტოპო-
ნიმთა შეძლებისამებრ უცდომელად მოძიების ამოცანას მნი-

³⁵ ვად. ათონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 16-42.

³⁶ ვახტ. ათონიშვილი, „ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები“ (ქვემოთ ყველგან „ხემ“), 1987-1988 წ.წ. რვ. 1-3.

³⁷ ვახტ. ათონიშვილი, „ფშავის ეთნოგრაფიული მასალები“ (ქვემოთ ყველგან „ფემ“), 1988-1989 წ.წ. რვ. 1-2.

³⁸ ვახტ. ათონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 167.

³⁹ გ. გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის, „შრომები“, ტ. IV, ნაკვ. 1, თბ., 1958, გვ. 138-139.

შვნელოვნად გვიადვილებს ის საგულისხმო ტოპონიმიანული
შეხვედრებიც, რომელნიც საკმაოდ ხშირად იჩენჭიანული
თანამედროვე ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და საქართველოს ონო-
მასტიკურ სექტორებს შორის, აი ისინიც:

ჩარბაყია (Чарбакъие – ნასახლარის სახელწოდება
ზუმსოის თემში, ჩაჩნეთი)* – ჩარბაყო (ადგილის სახელწ.
ს. ხახმატში, ხევსურეთი⁴⁰);

ამდა (Iamgla - ადგილის სახელწ. მაისტის თემში,
ჩაჩნეთი) – ამდა (სოფლის სახელწ. პირიქითა ხევსურეთ-
ში, არხოტის თემში);

თერათე (Terate - მთის ფერდობის სახელწ. ს. ბუნა-
ხუში, ჭებირლას თემში, ჩაჩნეთი) – თერეთეგო (სოფლის
სახელწ. თუშეთში);

რიგახუთ (Rigaxuo - ნასოფლარის სახელწ. ჭებირ-
ლას თემში, ჩაჩნეთი) – რეგეხი (ადგილის სახელწ. ს.უკან-
ხადუში, ხევსურეთი;⁴¹ შდრ.: რეგახი – სოფლის სახელწ.
დვალეთში);

გუორუთ (Gyoryuo - ნასოფლარის სახელწ. ტერლას
თემში, ჩაჩნეთი) – გურო (სოფლის სახელწ. პირიქით ხევ-
სურეთში, გურო-შატილის ხევში);

ერხოტა (Эрхотта - ადგილის სახელწ. გუჩიან-კხელ-
ლის თემში, ჩაჩნეთი) – არხოტი (პირიქითი ხევსურეთის
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხევის სახელწ.);

ჭეშოინ-ლამ (Чиешойн-лам - ადგილის სახელწ. სა-
ნდახოის თემში, ჩაჩნეთი) – ჭეშო (სოფლის სახელწ. თუ-
შეთში) – ჭეშე (სოფლის სახელწ. ფშავში);

აჩხოთან მართან (Ачхой-мартан - სოფლის სახელწ. ჩა-
ჩნეთში) – აჩხოტი (სოფლის სახელწ. ხევში);

* ეს და სხვა ჩაჩნური ტოპონიმები მოძიებული გვაქვს წიგნში: A. C. Суле-
йманов, Топонимия Чечено-Ингушетии, ч. I, Грозный, 1976.

⁴⁰ „ხემ“, 1988, რვ. 1, გვ. 11.

⁴¹ იქან, გვ. 38.



ექმართი (Гемарой - ნასოფლარის სახელწ. ქეის თემში, ჩანაბეჭდითი) – გიმარა (სოფლის სახელწ. თრუსოს ხევის მიმართითი);

ყავ (Къай - ნასოფლარის სახელწ. ქეის თემში, ჩანაბეჭდითი) – ყავ (ადგილის სახელწ. ს.კარკუჩაში, ხევი);⁴²

ხონა (Сона - სოფლის და მთის სახელწ. შუათას თემში, ჩაჩნეთი) – ხონი, ხონა (ხევის და მოხევების აღმიშვნელი ოსური სახელწ.);⁴³

ეხვე (Iesciex - ადგილის სახელწ. ხილდიხაროს თემში, ჩაჩნეთი) – ეხახოქედი (ადგილის სახელწ. ს. გერგეტში, ხევი);⁴⁴

ქანატეყყახ (Канатекъах - ადგილის სახელწ. წესას თემში, ჩაჩნეთი) – ქანატია (სოფლის სახელწ. ფშავში);

ერშე (Эршэ), არშტე (Арште) – სოფლების სახელწ. ინგუშეთში* – არშა (სოფლის სახელწ. ხევში);

ლულ (Пул - სოფლის სახელწ. ხამხის თემში, ინგუშეთი) – ლული (სოფლის სახელწ. ხევსურეთში);

ქსოარაღე (Кхойрагхе - სოფლის სახელწ. მეცხალის თემში, ინგუშეთი) – ქოროღო (სოფლის სახელწ. მთიულეთში);

ასეა (Ieca - მდინარის სახელწ. ინგუშეთში) – ასოსევე (მდინარის სახელწ. ფშავში);⁴⁵

⁴² გად. ათონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

⁴³ ტერმინ ხონის (//სონას//წონას) გავრცელების არვალისა და მნიშვნელობის შესახებ იხ.: Н.Г.Волкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 106-107, 125-127; გასტ. ათონიშვილი, არაგვის ხეობა. თბ., 1986, გვ. 40-48. შენიშვნა: სამრტერესოა რომ გიულდენშტედტი ხევს უწოდებს სწორედ Son-ს (გაულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 2-შვილის გამოც. თბ., 1964, გვ. 63).

⁴⁴ გად. ათონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

* ინგუშური ტოპონიმები მოგვყავს წიგნიდან: З.К.Мальсагов, Грамматика ингушского языка, Грозный, 1963.

⁴⁵ „ფეტ“, 1988, რვ. 1, გვ. 5.

ფხუვ, ფხუვვო (Пхув, Пхуввой - სოფლის სახელი ხამხის თემში, ინგუშეთში) – ფხოვა (აწინდელი ფრაკ-ხუ სურეთის უძველესი სახელწოდება).

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ვა ინახური წარმომავლობის ტოპონიმები გვხვდება თანამედროვე თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის, მთიულეთის, გუდამაყრის, ხევის, ერწო-თიანეთისა და ისტორიული ღვალუთის ტერიტორიაზე და მათი გავრცელების არეალის საზღვრები თითქმის სრულად ემთხვევა ღეონტის თხზულების მკაფიო ჩვენებით დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე გადაჭიმული „მთიულეთის“ მიჯნებს. ეს საგულისხმო ფაქტი კი, თავის მხრივ, ღოგიერად გვეწევა იმ აზრისაკენ, რომ აღნიშნული ტოპონიმები სწორედ ძვ. წ. III ს-ში ქართლის (იბერიის) მთიანეთში „დასხმულ“ დურძუკთა დანატოვარს უნდა წარმოადგენდეს, რაზეც თავის ერთ-ერთ ნაშრომში სამართლიანად აქვს მითითებული ჯ.გვასალიასაც.⁴⁶

ჩვენი აზრით, აღნიშნული ტოპონიმების გაჩენის დროის ხელოვნური დაძველება და მათი მიჩნევა ყობანური არქეოლოგიური კულტურის შემქმნელი ტომების ენობრივ ნაშთად, როთაც სცოდავს რუსი ავტორის ვ.კობიჩევის გამოკვლევა,⁴⁷ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და დაუსაბუთებელ მტკიცებათა თანრიგს განეკუთვნება. ამ შემთხვევაში აშკარად იგნორირებულია ღეონტი მროველის ცნობა საურმაგის მიერ დურძუკთა საქართველოს „მთიულეთში“ გადმოსახლების შესახებ, რომელიც მართლაც „შეიძლება და მათარიღებლად გამოდგეს ქართლში ნახური ტომების თავდაპირველი შემოღწევისა და ნახური ტოპონიმების გაჩენისათვის“ (ჯ.გვასალია); თანაც, ნახური ძირის ტოპონიმების

⁴⁶ ჯ.გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

⁴⁷ В.П.Кобычев, Расселение чеченцев и ингушей в свете этногенетических преданий и памятников их материальной культуры, “Этническая история и фольклор“, М., 1977. გვ.173.

მაინცდამაინც ყობანური ტომების ენობრივ დანაშრევად გა-
მოცხადებით ძალზე ცალმხრივად არის გადაწყვეტილი ვარდის
ყობანელთა ეთნიკური ატრიბუციის საკითხიც - ავტორის
„ლოგიკით“ ხომ ძალაუნებურად ისეთი სურათი იხატება,
თითქოს ე.წ. ყობანელები ერთობად ვაინახურ ეთნიკურ
წრეს ეკუთვნონ, რაც ცხადია, მხოლოდ სერიოზული
დაბნეულობის საფუძველს ქმნის.

ამრიგად, ლეონტის თხზულებაში დაცული ერთი ცნო-
ბისა და ჩვენს ხელთ არსებული ონომასტიკური მასალის
შუქზე, ძვ. წ. III ს-ის 30-იან წწ.-ში საქართველოს მთი-
ანეთში (უფრო ზუსტად ქართლის სამეფოს მაღალმთიან
ზოლში) დურმუკების (-თანამედროვე ჩახან-ინგუშთა ეთნი-
კური წინაპრების) მასობრივი „გარდამოვლინება-დასხმის“
ფაქტი ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს. ასევე დაბეჯითებით
შეიძლება იმის თქმაც, რომ ძვ.წ. III ს-ის წინარე ზანაში
ვაინახური მოსახლეობის საქართველოს მიწა-წყალზე ინ-
ფილტრაციის დამამტკიცებელი საბუთი ნამდვილად არ
არსებობს და მაშასადამე, ზოგიერთ ნაშრომში გატარებული
აზრი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე ქის-
ტურ-ბაცბური მოდგმის ტომების ძველთაგანვე განსახლების
შესახებ სათანადო არგუმენტაციას არის მოკლებული.

ამ ცალსახა დასკვნის შემდეგ კი ჩვენს წინაშე დგება
დურმუკთა განსახლების ოდინდელი ისტორიულ-გეოგრაფი-
ული არეალის საზღვრების შეძლებისამებრ ზუსტად და-
დგენისა და საქართველოს მთის რეგიონში „დასხმულ“ ვა-
ინახთა შემდგომი ეთნიკური ბედის გამორკვევის ამოცანა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქართლის
(იბერიის) „მთიულეთში“ გადმოსახლებულ დურმუკთა გან-
სახლების არეალის საზღვრების დაზუსტებას მნიშვნელოვ-
ნად გვიადვილებს დურმუკთა „დასხმის“ დოკუმენტურად
ცნობილი მთიანი რეგიონის მიჯნებისა (ქართლის (იბე-
რიის) კუთვნილი „მთიულეთი“ დიდოეთიდან ვიდრე სვანე-



თამდე) და ნახური წარმომავლობის ტოპონიმიკური გლოსების თითქმის სრული ურთიერთდამთხვევა. ამასთან, პირველწყარო დურძუკთა კომპაქტური დასახლების ერთ-ერთ მთის მხარედ წარმოაჩენს არაგვის ხეობაში მდებარე ჭართლის თემს, ხოლო ჩვენს მიერ გამომზეურებული ონო-მასტიკური ფაქტების შუქზე იოლად ხერხდება იმ ისტო-რიულ-გეოგრაფიული არეალის საზღვრების მოხაზვაც (იგ-ულისხმება თანამედროვე თუშეთის, ფშავის, თიანეთის, მთიულეთის, გუდამაყრის, ხევის ტერიტორია), სადაც ნა-ხური ენის კვალი ადგილობრივ გეოგრაფიულ ნომენკლა-ტურას ყველაზე უფრო შთამბეჭდავად ემჩნევა და ნახურ-ქართული ტოპონიმიური შეხვედრებიც განსაკუთრებული სიხშირით იჩენს თავს, რაც თავისთავად, სწორედ ხსენე-ბულ მხარეებში დურძუკთა ოდინდელი უპირატესი თავ-მოყრის მანიშნებელია.

ამდენად, ლეონტის თხზულებაში დაცული ცნობებისა და ონომასტიკური მონაცემების ანალიზი გვაძლევს უფლე-ბას ვამტკიცოთ, რომ საურმავის ინიციატივით ძვ.წ. III ს-ის 30-იან წწ.-ში „გარდამოვლინებული“ „კავკასის ნათე-სავნი“ - დურძუკები „დასხმულ“ იქნენ ქართლის (იბერი-ის) კუთვნილი „მთიულეთის“ საკმაოდ ვრცელ ტერიტორი-აზე დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე, თუმცა ისინი კომ-პაქტურ დასახლებებს ქმნიდნენ და ძირითადად თავმო-ყრილი იყვნენ ცენტრალური კავკასიონის აღმოსავლეთ სე-ქტორში (კერძოდ, დღევანდელი თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის, მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოს, ჭართლის, ხე-ვის და თიანეთის ტერიტორიაზე), ხოლო შედარებით მცი-რე რაოდენობით და სპორადულად სახლობდნენ ცენტრა-ლური კავკასიონის დასავლეთ სექტორში (ქსნის, დიდი ლიახვისა და არდონის ხეობების მაღალმთიან ზოლში).

რაც შეეხება საქართველოს მაღალმთიანეთში „დას-ხმულ“ დურძუკთა შემდგომი ეთნიკური ევოლუციის სა-

յոთხს, ამ უკანასკნელის გაშუქება უპრიანია დავიწყოთ იმ სი წინასწარი განმარტებით, რომ საურმაგმა დურძუკებზე დასახლდა არა უკაცრიელ მთის ხევ-ხუვებში, არამედ ქელთაგანვე ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რის შესახებაც სავსებით მართებულად არის მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში.⁴⁸ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართლის (იბერიის) მთიანეთში ძვ.წ. III ს-დნ საფუძველი ეყრება მკვიდრი ქართველური მოსახლეობისა (-როგორც ეთნიკური სუბსტრატისა) და საურმაგის ინიციატივით „გარდამოვლინებულ“ დურძუკთა (-როგორც ეთნიკური სუპერსტრატის) მჭიდრო სამეზობლო ურთიერთობის ტრადიციას, მათი კულტურულ-ყოფითი ურთიერთდაახლოების პროცესს, რაც საბოლოო ანგარიშით, კანონზომიერად განაპირობებდა დურძუკთა თანდათანობით ასიმილაციას ავტოქტონური ქართული მოსახლეობის მიერ. ამასთან, ლოგიკურად გვეჩვენება იმის დაშვებაც, რომ ქართლის (იბერიის) მთიანეთის ისეთ რაიონებში, სადაც საურმაგის მიერ „დასხმული“ დურძუკები ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ, მათი ქართველიზაცია განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ხოლო ისეთ მხარეებში, სადაც დურძუკი მოახალშენები ეთნიკურ უმრავლესობას შეადგენდნენ, იგივე პროცესი შედარებით უფრო დუნედ მიმდინარეობდა.

როგორც ჩანს, ახ.წ. I საუკუნის დამდეგისათვის დურძუკთა გარკვეული ნაწილი უკვე გათქვეული იყო მკვიდრ ქართველურ მოსახლეობაში და იმხანად უკვე არსებობდა ქართულ-ვაინახური ეთნოსიმბიოზი „მთიელი იბერიელების“ ზოგადი სახელწოდებით ცნობილი ეთნიკური ერთობის სახით. ამას გვაფიქრებინებს თუნდაც სტრაბონის „გეოგრა-

⁴⁸ Г.А.Меликишвили, К истории древней Грузии, гл.295; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, გ.მელიქიშვილის რედ., თბ., 1970, гл. 461; ჯ.გვასალია, დასახ. ნაშრომი, гл. 168.



ფის” იმ ადგილზე დაკვირვება, სადაც იბერიის მოსახლეობა და დაყოფილია დაბლობისა და მთის მცხოვრებლების საგანგებოდ არის განმარტებული: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან: თუმცა ეწვეიან მიწათმოქმედებასაც და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი (ე.ი. სკვითებისა და სარმატების) სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი მებრძოლი“.⁴⁹

მართალია, ამ შემთხვევაში მთიელი იბერიელები ე.წ. „სკვითებისა” და „სარმატების” ნათესავებად და მეზობლებად არიან გამოყვანილი, მაგრამ დამოწმებულმა ცნობამ მხოლოდ ის არაკომპეტენტური მკითხველი შეიძლება შეიყვანოს შეცდომაში, ვინაც არ იცის, რომ სტრაბონთან და ანტიკური ეპოქის არაერთ სხვა ავტორთანაც, ტერმინები „სკვითი” და „სარმატი” ხშირად კრებითი მნიშვნელობით არის გამოყენებული და გარკვეული კულტურულ-ისტორიული კოდის შემცველია⁵⁰. როგორც გ.მელიქიშვილი განმარტავს, სტრაბონთან „...სახელი „სარმატი” ჩანს, ფართო მნიშვნელობით იხმარება, როდესაც იგი მოიცავდა აგრეთვე საკუთრივ ჩრდილო კავკასიელ ტომებსაც და თუ სტრაბო-

⁴⁹ ო. ყაუნჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახვ), თბ., 1957, გვ.128.

⁵⁰ ავ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950; Г.А.Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 119-120; გახტ. ითონაშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ.108; ნ.აფხაზავა, კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე, კრ. „ოსთა საკითხი“, თბ., 1996, გვ. 71-75.

ის ეს ცნობა ნამდვილად რეალურ ვითარებას ასახავს, ბუ-
ნებრივთა ვიფიქროთ, რომ იბერიის მთიანეთის მოსახლეობაში იმა-
სტორედ ამ უკანასკნელებს ენათესავებოდა და არა სარმატ-
ალან-ოსებს. ამას თითქოს მხარს უჭერს „ქართლის ცხოვ-
რების“ ცნობაც, რომლის მიხედვით აღმ. საქართველოს მთი-
ანეთი „გავკასიანთა“ ტომებით (ე.ი. ბაცბურ-ქისტურ ენაზე
მეტყველი მოსახლეობით) იყო დასახლებული.”⁵¹

მაშასადამე, ძნელი მისახვედრი არაა ის, რომ სტრა-
ბონისეულ მთიელ იბერებში იგულისხმებიან როგორც სა-
კუთრივ ქართველი მთიელები ამ უკანასკნელთა შასაში გა-
ოქვეყნილი (ასიმილირებული) ნადურძუკალი მოსახლეობის
ჩავლით, ისე ქართველიზაციის პროცესში ჩართული ან
აღნიშნული პროცესისაგან ჯერაც დაზღვეული ვაინახების
ლოკალური ჯგუფები. ხოლო რამდენადაც ქართულ-დურძუ-
ქული ეთნოსიმბიოზისა და ქართულ-დურძუკული ეთნოკონ-
კლომერაციის ერთი მნიშველოვანი ნაწილი (კერძოდ, დურ-
ძუკუმოფილი იბერიელები და საკუთრივ დურძუკები) მარ-
თლაც ემეზობლებოდა და ენათესავებოდა ისტორიული დუ-
რძუკეთის მკვიდრ მოსახლეობას. ცხადია არაფერია უჩვეუ-
ლო იმაში, რომ აღნიშნულმა ფაქტმა სტრაბონის „გეოგრა-
ფიაშიც“ პპოვა ასახვა სწორედ „მთიელი იბერიელებისა“
და „სკით-სარმატებად“ სახელდებული იმიერკავკასიელი
მოსახლეობის ურთიერთმონათესავეობისა და მეზობლობის
შესახებ საგანგებო მითითების სახით.

ცხადია, შემდგომ საუკუნეებში ქართლის(იბერიის)
„მთიელეთში“ გადმოსახლებულ დურძუკთა ქართველიზაცი-
ის პროცესს კიდევ უფრო მეტი გასაქანი უნდა მისცემოდა,
განსაკუთრებით მას მერე, რაც ქართლში ქრისტიანობა სა-
ხელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული (IVს.).

წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ თხრობი-
სას ლეონტი მროველი მოიხსენიებს ქართლ-კახეთის მთი-

⁵¹ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, გვ. 461.

ანეთის მკვიდრთ („მთიულნი კავკასიანნი”, „მთეულნი” „კავკასიანნი”): ჭართალელო, ფსოველო, გუდამაყრელო, ლელებანელო და ერწო-თიანელო („...წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერის-თავი ერთი. მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი...ხოლო მათ არა იქ-ბეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახული მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერძნი მათნი. გარდამოვიდეს მუნით და დადგეს უალეთს, და უქა-დაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-ილეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარ-დავიდეს თუშეთს... და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს...და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბი-ბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს-აქამომდე...⁵²), რომ-ლებშიც, ჩვენი ღრმა რწმენით, უთუოდ ქართველი მთიელე-ბი უნდა დავინახოთ და არა ქართლ-კახეთის მთიანეთში მოსახლე „უცხო ტომის ხალხი”, როგორც ამის შესახებ ერთ-ერთ ნაშრომშია მითითებული.⁵³ ვფიქრობთ, ზემო-ხსენებულ ფხოელებში, გუდამაყრელებში, ჭართალელებში, წილკანელებსა და ერწო-თიანელებში უკვე ის ქართველი „მთეულნი” უნდა შევიცნოთ, რომელთაც დროთა განმავლო-ბაში ორგანულად შეისისხლხორცეს ასიმილირებულ დურ-მუქთა მნიშვნელოვანი ეთნიკური კონტინგენტი და საბო-ლოო ანგარიშით ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობისგან გულტურულ-ყოფითი პარამეტრებით მკვეთრად განსხვავე-ბულ ეთნოტერიტორიულ ჯგუფებად განიცალეს ფორმირება.

⁵² ლურნტი მრთველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქც“, I, გვ. 125-126.

⁵³ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, გვ. 461.

სწორედ ამ მიზეზით ქართველ მემატიანესაც სრულიად ამ კულტურული უძერხულება „მთეულთა“ ფრიად გამკილავი ფორმით („მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა“) მოსსენიება, რაშიც არეკლილი ჩანს ეთნოსოციალური ნიშით ქართლის (იბერიის) მთის და ბარის მოსახლეობის ხისტი ურთიერთგამიჯვნის ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიცია.

ამრიგად, ძვ.წ. III ს-ში საურმაგ მეფის მიერ საქართველოს მთიანეთში „დასხმულ“ დურძუკთა დიდი ნაწილის ქართულ მოსახლეობაში ნატურალიზაციის ფაქტი IV საუკუნისათვის უკვე ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს, თუმცა დაბეჯითებით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართლ-კახეთის მთიანეთის იმ აღაგებში, სადაც დურძუკები ეთნიკურ უმრავლესობას შეადგენდნენ და კომპაქტურ დასახლებებს ქმნიდნენ, მათი ასიმილაციის პროცესს საბოლოო წერტილი უფრო მოგვიანებით უნდა დასმოდა.

ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის ანალიზი ხომ თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ცალკეულ მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები კანიახები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა როგორმე შეენარჩუნებინათ თავისი ეთნიკური მეობა და საურმაგისაგან ბოძებული ეთნიკური ტერიტორია, რაც გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდებში ქართულ მოსახლეობასთან ძალის-მიერი დაპირისპირებისა და მიწა-წყლის მფლობელობისათვის საკმაოდ მძაფრი ურთიერთბრძოლის ფორმასაც ღებულობდა. ეს პირველ რიგში აღბათ დღევანდელი პირი-ქითი ხევსურეთის ხევებზე (არხოტი, მთასიქითი, მიღმა-ხევი) და თუშეთის განაპირა თემებზე (მაგ. ფარსმა) ითქმის, სადაც წერილობითი და ეთნოგრაფიული მასალა იქ ქისტების ხევსურებამდელ განსახლებას, ხევსურთა მიერ მათი ძალით განდევნა-დამორჩილებას ან გვიანობამდე შემონახულ „ორენვნებას“ მოწმობს. ვახუშტის ცნობით იმ



თუშებმა „რომელნი არიან მჯარეთა ქისტთა და ღლედლუსა უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის ჭევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტ-ნი“⁵⁴ ხოლო ხევსურეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით „დღევანდელი პირიქითი ხევსურეთის ტერიტორია ქისტების ნადგომად ისახება“⁵⁵ თ. ოჩიაური საგანგებოდ განიხილავს რა ფშავ-ხევსურულ თქმულებებს ღვთისშვილთა (იახსარის, კოპალას) მიერ ოდესლაც ფშავ-ხევსურეთის, გუდამაყრისა და თიანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ღვვ-კერპების განადგურების შესახებ, გამოთქვას აზრს, რომ ამ შემთხვევაში „ღვვ-კერპების სახელს ამოფარებული უნდა იყვნენ სწორედ ის ჩრდილო კავკასიელი ტომები, რომელნიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ცხოვრობდნენ ჩვენს მთაში ქართველ მთიელებთან ერთად. რაც შეეხება სახელწოდება ღვვს, ვფიქრობთ იგი ამ შემთხვევაში პირობითია, აღებული ჯადოსნური ზღაპრების სამყაროდან. ღვვ-კერპების სახელით მოხსენიება ხალხისა, რომელიც ჩვენი წინაპრებისაგან განსხვავდებოდა ზნითა და ადათით, რომელიც მასთან მტრულ ურთიერთობაში იყო, რომლებთანაც სასტიკი ბრძოლები მოუხდათ, დროთა განმავლობაში უნდა მომხდარიყო, თქმულების გაზღაპრულებასთან შეფარდებით.“⁵⁶ იმავე ავტორის დასაბუთებული მტკიცებით ხევსურული გადმოცემა შატილის თავდაპირველ და ჟამიანობის მიზეზით შემდგომში ამოწყვეტილ მოსახლეობასა (კერძოდ ქისტური მოდგმის ანატორელ სისვაურებსა) და შატილის მახლობლად მდებარე ქაჩუს სიმაგრეში გამავრებულ ჭინჭარაულებს შორის ბრძოლის შესახებ, ასევე ვაინახურ და ქართულ მოსახლეობას შორის სამოსა-

⁵⁴ განკუშტით, „აღწერა“, გვ. 555.

⁵⁵ თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 72-73.

⁵⁶ იქვე, გვ. 79.

ხლო ადგილისათვის მიმდინარე ბრძოლას უნდა ასახოს კულტურული და სოციალური მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიერ კავკაზაურთა (ან კივკაზაურთა) ამოწყვეტის შესახებ, კავკაზაურ-კივკაზაურებში სწორედ იმ ეთნიკურ ფენას ხედავს, რომელიც გარკვეული ისტორიული პერიოდში ივარაუდება „კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში, პირაქეთ-პირიქითში, დიდოეთიდან მოყოლებული ვიდრე სუანეთამდე“.⁵⁷ ანალოგიურ მოსაზრებას ანვითარებს თოჩიაურიც, რომლის ნაშრომში გამომზეურებული ეთნოგრაფიული მასალა კინკოზაურებს (ან კიმკაზაურებს, კივკაზაურებს) „ურჯულოებად“ და სამაგანბუროს „მჩაგვრელებად“ წარმოაჩენს, ხოლო ოხერხეველ ბადრიაულებს „ურჯულოებად“ და „ქისტებად“⁵⁹.

ასე რომ, ზემოთ მოტანილი ფაქტობრივი მასალა ცალსახად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საურმაგ მეფის მიერ გადმოსახლებულ ვაინახთა ეთნოვოლუცია საქართველოს მთიანეთში მიმდინარეობდა როგორც მკვიდრ ქართულ მოსახლეობასთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მასთან კულტურულ-ენობრივი შერწყმის, ისე ეთნიკური ინდივიდუალობისა და ეთნიკური ტერიტორიის შენარჩუნებისათვის წარმოებული მედგარი ბრძოლის ნიშნით. ამასთან, არ შეკვდებით თუ ვიტყვით, რომ ვაინახების ქართველიზაციის პროცესი საკვლევ რეგიონში მთლიანობაში საკმარისად დინამიურ ხასიათს ატარებდა და ის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური აღზევებისა და კულტურული გაფურჩქვნის „ოქროს ხანაში“ (XII-XIII სს.) ძირითადად უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ წინასწარი ვარაუდის საფუძვლიანი არგუმენტაცია და ვაინახთა ქართველიზაციის ფენა ასპექტის შეძლებისამებრ სრულფასოვანი გაშექება

⁵⁷ თ. თხიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 67-75.

⁵⁸ გ. ჩიტაძა, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, გვ. 393.

⁵⁹ თ. თხიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 104-109.



ამჯერად ჩვენ ამოცანას არ შეადგენს და ამდენად შეიძლება შეულ საკითხზე სიტყვის გაგრძელების საჭიროება აღარც ჩანს.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ.წ. III ს-ის 30 წლ-ში რეალურად პქნდა ადგილი ვაინახთა მასობრივ გადმოსახლებას ცენტრალური კავკასიონის იმ მაღალმთიან ზოლში, რომელიც ქართლის (იბერიის) სამეფოს ეკუთვნოდა. ლეონტი მროველის ცნობა საურმაგ მეფის (ძვ.წ. III ს.) მიერ დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე განვრცობილ ქართლის (იბერიის) „მთიულეთში“ დურძუკთა „გარდამოვლინება-დასხმის“ შესახებ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს და ის მართლაც შეიძლება დამთარიღებლად გამოდგეს საქართველოში ნახური მოსახლეობის თავდაპირველი შემოღწევისათვის.

ძვ. წ. III საუკუნეში საქართველოში ვაინახების ჩამოსახლება-დამკვიდრებისა და ამის ნიადაგზე მომხდარი ეთნიკური პროცესების შესწავლით შუქი ეფინება ქართულ-ვაინახური ურთიერთობის ხასიათს უძველეს პერიოდში. ეს ურთიერთობა გრძელდება მომდევნო საუკუნეებშიც, რაც განაპირობა ერთი მხრივ მათმა გენეტიკურმა ნათესაობამ და მეზობლობამ, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფოებრივი აღმავლობის გზაზე დამდგარი საქართველოს ინტერესებმა. ამ ესოდენ მრავალმხრივი ურთიერთობიდან, რომლის სრულფასოვანი შესწავლა ბევრად აღემატება ერთი დისერტაციის ფარილებს, მიზანშეწონილად გვესახება სარწმუნოებრივ-კულტურული ურთიერთობის წარმოჩენა X საუკუნის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი ხელშესახები მონაცემების საფუძველზე.

ქართულ-ვაინაცხრი სარმოულოებრივი და კულტურული ურთიერთობაზე შუა საუკუნეებში

ქართული სახელმწიფოს კავკასიურ პოლიტიკას ჯერ յიდევ ფარნავაზ-საურმაგ-მირიანის ეპოქაში ეყრდნობა მტკიცე საფუძველი, როდესაც ქართლის (იბერიის) ახლად წარმოქმნილი სამეფო ახერხებს ჩრდილოეთი საზღვრების კავკასიონის მთავრი წყალგამყოფი ქედის პირიქით კალთებზე გადატანას და თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში იმიერკავკასიის მკვიდრთა ერთი ნაწილის (პირველ რიგში კი დურძუკების) მოქცევას. სწორედ ამ შორეულ ხანაში (ე. ი. ძვ. წ. IV-II სას-ში) იწყებს ჩამოყალიბებას ქართულ-ვაინაცხრი მჭიდრო სამეზობლო ურთიერთობანიც, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს მაშინ, როცა საქართველოს ფეოდალური მონარქია გაერთიანების გზაზე დგება და მას ამ რეგიონში პოლიტიკურ-კულტურული პეგემონობის პრეტენზია უჩნდება.

ს. ჯანაშიას დასაბუთებული მტკიცებით საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური სახელმწიფო „...წარმოიშვა მაშინ, როდესაც კავკასიაში ჩვენ ვამჩნევთ უაღრესად ხელსაყრელ ტენდენციას, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული კულტურული ერთობის ერთ სახელმწიფოებრივ ჭერქვეშ მოქცევას. ახლა აყენებს უფრო მნიშვნელოვან, უფრო ფართო ტენდენციას, რომელიც ობიექტურ მიზანს ისახავს ერთ ფეოდალურ სახელმწიფოს ფარგლებში მრავალი ერისა და ტომის გაერთიანებას. ეს ისტორიული ამოცანა, ისტორიის ობიექტურმა მსვლელობამ დააყენა კავკასიის ხალხების წინაშე, მაგრამ აქ მხოლოდ ორ ქვეყანაში ვამჩნევთ იმას, რომ არის შესაძლებლობა, ან შედარებით შესაძლებლობა, ეს ტენდენცია



ატარონ ან განახორციელონ. ეს ქვეყნებია: საქართველო¹ და სომხეთი, მაგრამ სომხეთში ეს ტენდენცია ეცემა უმაღლეს; კიდევ რე ჩინდება და მხოლოდ საქართველოს შეუძლია განავითაროს ის მანამ, სანამ იქნება საშუალო საუკუნეებში დიდი ქართული ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც თითქმის მთელი კავკასია ეკავა. აქ იბადება შესაძლებლობა, რომ გაფართოვდეს თვითონ ის ფარგლებიც, რომლის შიგნითაც გამაერთიანებელი ტენდენციით მუშაობდნენ, კერძოდ, კულტურული ქვეყნის ჩამოყალიბებისათვის”².

როგორც ნ. ბერძენიშვილის ერთ-ერთ ნაშრომშია შენიშნული „X-XII საუკუნეებში არა მარტო „საქართველო“ – ახალი ქვეყანა – წარმოიქმნა, არამედ ჩაისახა კიდევ უფრო დიდი სამყარო კავკასია. მას ჯერ კიდევ ისტორიულ-გეოგრაფიული სახელიც არ ჰქონდა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ მისი სახელი „საქართველო“ იქნებოდა... ამ ქვეყანაში არა მარტო კავკასიის სამხრეთი და აღმოსავლეთი (სომხეთი, შირვანი), არამედ მთის იქითი კავკასიონიც (დაღესტან-ჩაჩნეთი, ოსეთი, ჩერქეზეთი) აქტიურად მონანილეობდნენ. იქმნებოდა დიდი „მსოფლიო“, რომლის მაიორგანიზებული ცენტრი საქართველო იყო... ამ ახალ ქვეყანაში მთიანეთის მდგომარეობა მეტად თავისებური იყო. მთიანეთი, რამდენადაც უფრო მაღალ კულტურას ეზიარებოდა, სულ უფრო და უფრო შემოდიოდა ქართულ მსოფლიოში, სულ უფრო და უფრო აქტიური მონანილე ხდებოდა ახალი ქვეყნის მშენებლობისა”².

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქართული ქრისტიანული კულტურა საკმაოდ წარმატებით იყალბა გზას ჩრდილოკავკასიელ მთიელებში. „ქართული ენა და ქართული წიგნები, ქართველთა კულტურული მონაპოვარი, პოეზია, ხე-

¹ ს. ჯანაშია, „შრომები“, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 181-182.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990, გვ. 643.

ლოვნება, ფილოსოფია და ისტორია, საყოფაცხოვრებო წესები ბი და ადათ-ჩვეულებანი, უმთავრესად თავისი პროგრესული ხასიათისა და შინაარსობრივი მიმზიდველობის გამო, ძლიერი ძალით არღვევდა ეროვნულ კარჩაკეტილობის ძველ ზღუდებს და არა მარტო კავკასიელთა, არამედ ბევრი სხვა ხალხის შემოქმედებითი ინტერესის საგნად და მისი შესწავლის ობიექტად ხდებოდა”³.

ამასთან, აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიზანს არასოდეს ნარმოადგენდა იმიერკავკასიელ ტომთა ძალდატანებითი ასიმილაცია და მათი ეთნოკულტურული თავისთავადობის სრულ გაქრობაზე გათვლილ ლონის-ძიებათა გატარება. როგორც ერთ-ერთ ნაშრომშია განმარტებული „... ისტორიულად ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების კულტურული კავშირები ორმხრივ სასარგებლო და საჭირო საფუძველზე ვითარდებოდა... საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო თანამშრომლობამ ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის ჩვეულებების, რწმენის, მითოლოგიის, ზეპირსიტყვიერების, ხალხური ხელოვნების ბევრი ელემენტის ერთობა მოგვცა, ზოგჯერ მისი თავდაპირველი ნარმოშობა ძნელი დასადგენია”⁴.

სპეიალურ ლიტერატურაში კარგა ხანია მყარად არის ფეხმოკიდებული ის შეხედულება, რომ ჩაჩრეთ-ინგუშეთის ქრისტიანიზაციის ყველაზე აქტიური ეტაპი IX-XIII სს-ზე მოდის და რომ საქართველომ ვაინახთა გაქრისტიანება მათი პოლიტიკური დაქვემბედარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად აირჩია⁵. ვაინახებსა და ქართველებს შორის ნარსუ-

³ ტ. სარაჯიშვილი, სეოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, სტალინირი, 1956, გვ. 30.

⁴ გ. ღუდუშაური, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობა (XIX საუკუნე და XX ს. დამდეგი), თბ., 1985, გვ. 139-140.

⁵ 3. Ш. Дидебулидзе, Роль Грузии в распространении христианства на Кавказе. – Тезисы научной конференции аспирантов и молодых науч-

ლში არსებულ მჭიდრო და მრავალმხრივ სარწმუნოებრივ-კულტურულ ურთიერთობებზე დამაჯერებლად მეტყველებულია თანამედროვე ჩაჩნეთ-ინგუშეთში დამონმებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, არქიტექტურული და ნუმიზმატიკური მონაცემები, აგრეთვე ქართულ-ვაინახური ლექსიკური პარალელები, რაც შედეგია არა მხოლოდ ენათა ნათესაობისა, არამედ ვაინახებზე საქართველოს კულტურული ზეგავლენისა.

ქართველთა და ვაინახთა საკმაოდ ნაადრევი სარწმუნოებრივი ურთიერთობის შესახებ საინტერესო ინოფრმაციას შეიცავს XIV ს-ის ერთი დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ „ქ: ოდეს: სანატრელმან: მან: პატრიარქმან: ჩუენმან: ექვთიმე: მოიხილა: კახეთი: ანნუხისა საეფისკოპოზო: და: მიერითგან გადმოვიდა: ნახურს: კაკ-ელისენს: და: მოვლო: საყდარნი:... ხუნძთა: ნახჩითა: თოშეთისა: და ყოვლისა ვაკისა: ესე გი არს: ძუელი: მოვაკნისა და ელისენისა: ვერხვიანითზეგანით: გამო: ვიდრე: ივრის მდინარის: ჩასართავამდე: ალასანსა: და: ამან: სანატრელმან: ექვთიმე: გიბრძანა: მთავარ-ეფისკოპოსსა: და ყოვლისა: მთიულისა: ნინამდლუარსა: კირილე: დონაურსა: გარდანერნებად: სახარებისა: და ნარგზავნად: თუითეულისა: თვე: ეკლესიისა”⁶.

როგორც ვხედავთ, კონკრეტულ შემთხვევაში გარვევითაა ლაპარაკი გიორგი V ბრნეინვალის (1314-1346) მეფობის უამს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად გამნესებულ

ных работников, Тб., 1972, გვ. 19-20; მისივე, Из истории средневековой культуры народов Северного Кавказа, "Грузино-Северокавказские взаимоотношения" Тб., 1981, გვ. 107; გვ. 66-67; Г. Г. Гамбашидзе, Из истории связей Грузии и Ингушетии в средние века. – Тезисы докладов IV крупновских чтений, Орджоникидзе, 1974, გვ. 66-67; მისივე, К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа, Тб., 1977, გვ. 2-12 და სხვ.

⁶ მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1895, გვ. 205.

ექვთიმე III-ის (1310-1325) მიერ კახეთ-ჰერეთის ზოგიერთი რაიონის და ცენტრალური და აღმოსავლეთი კავკასიონში მთის მხარეების „მიმოხილვა-მოვლაზე”. ამასთან, „მთეულ” (//მთიელ) ტომთაგან მოიხსენიებიან „ნახჩები”, რომელიც ისეთ გეოგრაფიულ და ონომასტიკურ კონტექსტში არიან მოცემული, რომ მათში უპრობლემოდ ამოიცნობიან ანინდელი „ნოხჩები” (ე. ი. ეთნიკური ჩაჩნები). დოკუმენტებიდან ისიც ირკვევა, რომ XIV ს-ის I ნახევარში „ნახჩები” (აღმოსავლეთელი ვაინახები), როგორც „ყოვლისა მთიულისა” ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ქურმუხის მთავარეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდნენ და იმხანად მათ ნინამძღვარს კირილე დონაური წარმოადგენდა. ამდენად, ზემოთ მოყვანილ საბუთზე დაყრდნობით ერთ-ერთ ნაშრომში მართებულადაა შანიშნული, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დაღესტანსა და ჩაჩნეთ-ინგუშეთში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისათვის ზრუნავდა გიორგი ბრწყინვალე და ქართული სასულიერო წრეები. ამ მიზნით პატრიარქ ექვთიმეს შემოუვლია ეს კუთხეები და შეუსწავლია შექმნილი მდგომარეობა.

ამ ლონისძიებას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონია. მთიულებში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებითა და გაძლიერებით მან მოახერხა ამ ხალხების თავისი გავლენის ქვეშ შენარჩუნება. მთის ხალხებში პატრიარქის მოგზაურობის შედეგი ის იყო, რომ ნახჩითა ქვეყანაში შეიტანეს სასულიერო წიგნები, აღადგინეს ეკლესია-მონასტრები და გაგზავნეს მისონერები”⁷.

მართალია, წერილობითი წყაროების უქონლობის გამო ვაინახთა ქრისტიანიზაციის დაწყების თარიღის ზედმინევნითი სიზუსტით დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკ-

⁷ ა. შავხელიშვილი, საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს-ში, თბ., 1980, გვ. 74.

ლორული თუ არქიტექტურული მონაცემების შეჯერება  ინც ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ საკვლეული უფრო ინტენსიული საქართველოდან ქრისტიანობა აღწევს IX საუკუნიდან, ხოლო XI-XIII სს-ში აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. საინტერესოა, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის ისტორიის განმაზოგადებელ ნაშრომში ვაინახთა ქრისტიანიზაციასთან დაკავშირებული ყველა სიუჟეტი ქრონილოგიურად თავსდება მხოლოდ XI-XII სს-ის ჩარჩოებში⁸. ცალკეულ მკვლევართ ვაინახთა ქრისტიანიზაცია XI-XIII სს-ის მოვლენად აქვთ გააზრებული⁹, ხოლო ზოგიერთ სტატიაში მეტ-ნაკლებად თამამად არის გამოთქმული თვალსაზრისი საქართველოს მხრიდან ჩაჩნეთ-ინგუშეთში ქრისტიანობის XVI-XVIII სს-ში ხელმეორედ შეღწევის შესახებ¹⁰.

ქართული ქრისტიანული კულტურის უძველეს ძეგლს ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე თხაბა-ერდის ეკლესია ნარმოადგენს, რომელიც მდებარეობს მდ. ასის ხეობაში, ყოველი მხრიდან მთებით შემოზღუდულ ბუნებრივ ქვაბულში (ინგუშეთის მთიან ზოლში). მისი მშენებლობის ყველაზე ადრეული პერიოდი IX საუკუნეზე უნდა მოდიოდეს, თუმცა ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებს (მათ შორის დურძუკეთ-ქისტეთის) მიმართულებით საქართველოს მიერ ნარმოებული მისიონერული პროპაგანდა განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს იღებს XI ს-ის I ნახევრიდან, საქართველოში ბაგრატ III-ის

⁸ Очерки истории Чечено-ингушской АССР, т. 1, Грозный, 1967, гл. 38-49.

⁹ Е. И. Крупнов, Средневековая Ингушетия, М., 1971, гл. 195; М. Б. Мужухов. Средневековая материальная культура горной Ингушетии (XIII-XVII вв.), Грозный, 1977.

¹⁰ В. И. Марковин, К вопросу о язычестве и христианстве в верованиях горцев Кавказа. – «Вестник Кабардино-Балкарского научно-исслед. института», вып. 6, Нальчик, 1972, с. 258; В. Б. Виноградов, Н. Н. Бараниченко, Об одном аспекте грузино-вайнахских взаимоотношений в XVI-XVII вв., „მაცნე”, ისტორიის... სერია. 1980, №3, гл. 73-83.



(975-1014) მეფობისა და კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის (1010-1033) ხელდასხმის უამიდან¹¹". ეს ქართული სახელმწიფო ნიფოს სვებედნიერი განვითარების ის ხანაა, როდესაც წერილობითი წყაროების ჩვენებით პაგრატ III-მ „.... დაიპყრა ყოველი კავკასია თვთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურებუნადმდე”, ხოლო მისი ახლო ნათესავი მელქისედეკ I ისტორიაში შევიდა, როგორც სვეტიცხოვლის გამამშვენიერებელ-აღმდგენელი. სწორედ ამ ქრონოლოგიურ პერიოდში მთავრდება თხაბა-ერდის სამნავიანი ბაზილიკის მშენებლობა და იმავე ასის ქვაბულში იგება ალბი-ერდისა და თარგიმის მშვენიერი ტაძრებიც¹².

თხაბა-ერდოს ტაძარი კარგა ხანია წარმოადგენს მრავალრიცხვან დამკვირვებელთა განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რომელიც ერთხმად განიხილავენ მას იმიერკავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ძეგლად. ორნამენტირებული ფილებისა და ადამიანთა და ცხოველთა რელიეფური გამოსახულების გამორჩეული სიუხვით აღნიშნული ტაძარი მნახველზე მართლაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. დ. ბაქრაძე თხაბა-ერდის აგების თარიღიად 830 წელს ასახელებს, გ. ჩუბინაშვილი მის მშენებლობას ოთხ ეტაპად ყოფს (I ეტაპი – IV ს-ის ნინარე ხანა; II ეტ. – IXს.; III ეტ. – X-XII სს., ხოლო IV ეტ. – XV-XVI სს.), ხოლო ა. შანიძისა და ღ. სემიონოვის აზრით ხსენებული ძეგლი აგებულ-განსრულებული უნდა იყოს არა უადრეს XII საუკუნისა¹³.

¹¹ Г. Г. Гамбашидзе, Из раскопок Тхаба-Ерды, «Декоративное искусство СССР», 1970, №7, с. 50; Л. П. Семенов, К вопросу о культурных связях Грузии и народов Северного Кавказа, «Материалы и исследования по археологии СССР», 1951, №3, гл. 302-306.

¹² Л. П. Семенов, დასახ. ნაშრომი, гл. 302-306.

¹³ В. Миллер, Археологические наблюдения в области Чеченцев, «Материалы по археологии Кавказа» (ქვემოთ უკელვაბ «МАК»), вып. 1, М., 1888, сс. 8-24; Д. Бакрадзе, «МАК», вып. 12, М., 1909, гл. 25; Г. К. Мартиросян, Нагорная ингушетия, «Известия ингушского

საინტერესოა, რომ ინგუშები გვიანდელი გამაპემადიან-
ბის მიუხედავად, თხაბა-ერდის ტაძრისა და მისი შემოგზაუდის
სადმი უჩვეულო რელიგიურ მონიწებას იჩენდნენ და აქაურო-
ბას წმინდა ადგილად თვლიდნენ. ერთი ინგუშური თქმულები-
დან ირკვევა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ნარმოდგენით აღ-
ნიშნული ტაძარი იმ ადგილზე აუგიათ, სადაც ნინასნარმეტყ-
ველ მაჰამედს ყურანი დაუფლავს¹⁴.

ყველა სხვა მკვლევართან ერთად თხაბა-ერდის, რო-
გორც ქართული მატერიალური კულტურის ძეგლის მნიშვნე-
ლობას აღნიშნავს ვ. ხრისტიანოვიჩი¹⁵. იგი აღიარებს ქართუ-
ლი ფეოდალური კულტურის დიდ გავლენას ვაინახურ სამყა-
როზე და უარყოფს ზოგიერთი დამკვირვებლის მცდარ შეხე-
დულებას, თითქოს ასეთი გავლენა არ არსებობდა. უარყოფის
საფუძვლად რუსი ავტორი მიიჩნევს აგრეთვე ქართული ლექ-
სიკის ნაკვალევს, რასაც სხვა მონაცემებთან ერთად ქვემოთ
გავეცნობით.

მდ. ასას მარცხენა ნაპირს თავის დროზე ამშვენებდა ამ-
უამად ნანგრევებად ქვეული ალბი-ერდის ქრისტიანული ეკ-
ლესიაც, რომლის ძეგლი ქართული სახელწოდება – ტვირ-
ლისწმინდა დაცულია ფრანგი ავტორის ე. შანტრის 1887

института краеведения» (ქვემოთ ყველგან «ИИИК»), т. 1, Владикав-
каз, 1928, გვ. 46-48; მ. ჯანაშვილი, შესანიშნავი ნაშთი, „ივერია“
1895, №132; გ. ჩუბინაშვილი, საქართველოსა და ინგუშეთის კულ-
ტურული კავშირების საკითხისათვის, „საქართველოს სსრ მეცნ.
აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფ. ხ სესიის მოხსენების თეზისები“,
თბ., 1941; Е. И. Крупнов, Грузинский храм Тхаба-ерды на Северном
Кавказе, «КСДИИМК», т. XV, М., 1947, გვ. 116-125; Л. П. Семенов,
Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925-
1932 годах, Грозный, 1963, გვ. 97-98; Г. Г. Гамбашидзе, Из раскопок
Тхаба-Ерды, «Декоративное искусство СССР», 1970, №7, გვ. 50.

¹⁴ Ч. Ахриев, Ингуши, «ССКГ», VIII, Тифлис, 1875, გვ. 50.

¹⁵ В. П. Христианович, Горная Ингушия, Ростов на Дону, 1928, გვ. 69.



წელს გამოცემულ ნაშრომში¹⁶. ამ ქართული არქიტექტურული ძეგლის აგებაც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, XI-XII სს-ში ივა-რაუდება.

ცხადია, ასის ხეობაში (ინგუშეთი) ქართული ქრისტიანული ძეგლების ასეთი თვალშისაცემი თავმოყრა შემთხვევითობას არ შეიძლება მივაწეროთ. ეს საგულისხმო ფაქტი სავსებით მართებულად აქვს ინტერპერეტირებული ლ. სემიონევს, რომელიც ასის ხეობას ინგუშებზე საქართველოს გავლენის უმთავრეს კერად განიხილავს¹⁷. რუსი სწავლულის ამ თვალსაზრისს ზურგს უმაგრებს რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის მიერ სამეცნიერო მიმოქცვაში შემოტანილი ერთი ხევსურული თქმულება თამარ მეფის ღლილვეთში ყოფნის ჟამს იქ ს. არნახთან მართლმადიდებლური ეკლესიის აშენების, აღვილობრივ მცხოვრებთა ნაწილის გაქრისტიანებისა და შემდეგ ნარმართ თანამეტომეთა ზენოლის მიზეზით მათი საქართველოში (ხევსურეთში) გადმოსახლების შესახებ¹⁸. არანაკლებ საყურადღებოა ვ. კობიჩევის მიერ 1970 წელს ჩაწერილი ლეგენდაც ასის ხეობაში თხაბა-ერდის ტაძრის დაარსების შესახებ, რომელშიც გადმოცემულია ს. ცორში ქართველთა მოსვლის, აյ ქრისტიანული ეკლესიის აშენების, შემდეგ ასის ხეობაში (Acc-ხეც) მათი დროებითი ბატონობის და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირების ამბები¹⁹. ამდენად, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ასის ხეობაში (მეტადრე თარგიმის ქვაბულში) ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს XI-XIII სს-ში ყველაზე მყარი პოზიციები გააჩნდა ვაინახურ სამყაროზე თა-

¹⁶ Л. П. Семенов, დასახ. ნაშრომი; გვ. 62.

¹⁷ იქვე, გვ. 61.

¹⁸ Р. Л. Харадзе, А. И. Робакидзе, К вопросу о нахской этнографии – «КЭС», вып. 2, Тб., 1968, гв. 33-34.

¹⁹ В. П. Кобычев, Расселение чеченцев и ингушей в свете этногенетических преданий и памятников материальной культуры, «Этническая история и фольклор», М., гв. 176-177.



ვისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული გავლენის/ განვრცობისათვის. ამასთან, საგანგებოდ უნდა ითქვას; ჩასა ასის ხეობა შეიძლება განვიხილოთ საქართველოს მხრიდან მთელი სავეინახოს (და არა მხოლოდ ინგუშების) ქრისტიანიზაციის უმთავრეს პლატფარმად.

ვაინახთა ოდინდელ ქრისტიანიზაციას თვალნათლივ მოწმობს ჩაჩნეთ-ინგუშეთის მიწა-წყალზე საკმაო რაოდენობით გავრცელებული ქვის ჯვრებიც, რომელთაგან უძველესი თხაბა-ერდის ეკლესიაშია მიკვლეული²⁰. თუ კ. მილერისა და პ. ხიცუნოვის ცნობებს ვირწმუნებთ, ასეთი ჯვრები თავის დროზე მდგარა ს. ჩახქერსა (ჩაჩნეთი) და ს. ცორიში (ინგუშეთი). ამასთან, ინგუშური მასალის მიხედვით ს. ცორის მთაზე ქვის ჯვარი აღუმართავთ მუსლიმანთა ლაშქარზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, ხოლო რაც შეეხება ჩახქერის ქვის ჯვარს, ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა გათთოის გვარს (შატოის თემიდან), რომელიც მას თაყვანს სცემდა თავისი მუსლიმანური მრნამსის მიუხედავად²¹. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ ქვის ჯვრები მუსლიმანურ სასაფლაოებზეც აღიმართებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქტირებული აქვს ი. პოპოვს, რომლის ნაშრომი აღნერილია მამის უცნაური გადაწყვეტილებით (პაპის საფლავზე ქვის ჯვრის დადგმით) გაკვირვებული შვილის სრული გაურკვევლობა ამდაგვარი წეს-ჩვეულების არსში²².

ზოგიერთი მკვლევარი ქრისტიანობის ოდინდელ არსებობას ჩაჩნეთში ისე გამოკვეთილად ვერ ხედავს, როგორც ინგუშეთში. შეინიშნება იმის მტკიცების ცდაც, თითქოს ჩაჩნეთ-

²⁰ Г. Г. Гамбашидзе, Из истории связей Грузии и Ингушетии в средние века..., гл. 65.

²¹ В. Ф. Миллер, Терская область, Археологические экскурсии, «МАК», вып. 1, М., 1888, гл. 7.

²² И. Попов, Ичкеринцы, «Сборник сведений о Терской области» (ქვემოთ ყველგან "ССТО"), Владикавказ. 1878, гл. 262.



ში გაბატონებული და ერთადერთი რელიგია იყო ისლამი და რომ ჩაჩინები ქრისტიანები არასდროს არ ყოფილან. ამას ამჟამად კუცებდა ა. იპოლიტოვი, თუმცა იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ ვაინახთა ერთ ნაწილში შესაძლებელია ოდესლაც ქრისტიანობაც ყოფილიყო გავრცელებული (მაგალითად, აკის საზოგადოებაში). მისივე მითითებით, ტბის პირად მდებარე სოფელ გალანჭოჩიში ბორცვზე მდგარა ეკლესია. გადმოცემით, ის ოთხი საუკუნის წინ აუმენებიათ „ფირენგებს“ („ევროპელებს“, ე. ი. ქრისტიანობის მიმდევრებს), რომლებიც დალლის თემიდან მოსულან. ეკლესიაში იკრიბებოდნენ ჩაჩინები, ქართველები, ღლილვები და ადგილობრივი მცხოვრებნი²³.

ამ ეკლესის ნანგრევები აღნერა ვ. მილერმა მანვე შატრის ციხიდან 4 კმ-ის დაშორებით, სოფელ მახალოის ახლოს ნახა ქრისტიანული ჯვარი და აღნიშნა, რომ საერთოდ ჩაჩინეთ-ინგუშეთში ქართულის ანალოგიური მრავალი ჯვარი არ-სებობდა. მკვლევარმა კონკრეტულად დაასახელა დიდ ჩაჩინეთში, არღუნის ხეობის დასაწყისში აღმოჩენილი დიდი ქვის ჯვარი, რომელიც ფორმით ჰგავდა ძველ ქართულ ჯვარს. მისივე მონმობით, ჩაჩინეთ-ინგუშეთში ნაპოვნი რკინის ჯვრები არ განსხვავდებოდნენ ხევის სოფელ სნოში არსებული ჯვრებისაგან²⁴.

ქრისტიანობის გავრცელების საბუთად ქვის ჯვრების ჩაჩინეთში არსებობის ფაქტი გამოვლენილია სხვა დამკვირვებების მიერაც. ასეთი ჯვარი ჭებერლოის საზოგადოების სოფელ ხოის ახლოს უნახავს ნ. ზეიდლიცს²⁵. გაზეთი „დრო-

²³ А. Ипполитов, Этнографические очерки Аргунского округа, «ССКГ», I, 1868, გვ. 6, 48-49.

²⁴ В. Миллер, Археологические наблюдения в области Чеченцев, გვ. 6-7, 21-22, 46.

²⁵ Н. Зейдлиц, Поездка в Чечнию, к верховьям Аргуна, в Ичкерию и через Хасав-Юрт вверх по Тереку до Моздока, "ИКОРГО", т. II, №4, Тифлис. 1973, გვ. 154-155.

ბაც” იტყობინებოდა, რომ 1844 წელს ციხე-სიმაგრის შექმნას უკიდესი დროს ა. გროზნოს ახლოს მინაში აღმოუჩენია და უკიდესი სის ეზოში დაუდგამთ ორი ქვის ჯვარი²⁶.

ვედენოს საზოგადოების სოფელ გუნიბში ხალხისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ი. პოპოვი წერდა, რომ აქაურნი ადრე ქრისტიანები იყვნენ და ყველაზე დაგვიანებით გამაჰმადიანდნენ. უფრო მეტიც, ნაშრომში დაბეჭდილია ფოტოსურათი ქრისტიანული საფლავის ქვისა, რომლის მსგავსი ბევრი ყოფილა ამ მიდამოებში²⁷.

ჩაჩნეთში ქრისტიანობის არსებობის მაჩვენებლად ნ. დუბროვინი თვლის ეკლესიის ნანგრევებს და ხალხურ გადმოცემებს²⁸.

ხალხში შემორჩენილი გადმოცემების მიხედვით ა. ზისერმანიც წერდა, რომ ოდესლაც ჩაჩნები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ბარად ჩამოსახლების დროისათვის უკვე მაჰმადიანობას მისდევდნენ²⁹.

ე. ვეიდენბაუმის შედეულებით, ჩაჩნეთში წარმართული რწმენა-წარმოდგენების შენარჩუნებასთან ერთად ერთ დროს გავრცელდა ქრისტიანობაც, რის დამამატკიცებლადაც მას მიაჩნია ზოგიერთი ჩვეულების შესრულების ტრადიცია ძველი ეკლესიის ნანგრევებთან³⁰.

ქრისტიანობის კვალს ჩაჩნეთში ხედავდა ე. მაქსიმოვიც. მისი დაკვირვებით, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის პრიორი-

²⁶ რ. ძამსაშვილი, მგზავრის შენიშვნები, „დროება”, 1880, № 123.

²⁷ И. Попов, Ичкерия (историко-этнографический очерк), «ССКГ», IV, Тифлис, 1870, гл. 12.

²⁸ Н. Дубровин, История войн и владычества русских на Кавказе, т. I, кн. 1, СПб., 1871, гл. 383.

²⁹ А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, II, СПб., 1879, гл. 438.

³⁰ Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, гл. 94.

ტეტული მდგომარეობა მოიპოვა ისლამმა, მაგრამ ამის მიუ-
ხდავად ზოგიერთი გვარი ქრისტიანობასაც ინარჩუნებდა ³¹ ანგლიკანითი

ქისტურ კოშკებსა და საკულტო ნაგებობებზე საკმაოდ
მრავლად გვხვდება ე. ნ. გოლგოთიანი ჯვრების (ჯიარგ) გამო-
სახულებები, რომელთაც დამკვირვებელთა უმრავლესობა
ადამიანთა ფიგურალურ ნიშნად და უვარცმის ცნობილი სიუ-
ჟეტის შესაძლო განსახიერებად აღიქვამს. ცხადია, ვაინახთა
ყოფითი კულტურის ეს ელემენტიც საქართველოდან არის შე-
ტანილი. ერთ-ერთ ნაშრომში ამ ტიპის ჯვრები დახასიათებუ-
ლია ვაინახური საზოგადოების იმ ნაწილის სოციალურ და
სარწმუნოებრივ სიმბოლოდ, რომელიც თავის დროზე ფეოდა-
ლურ საქართველოზე იყო ორიერტირებული და ამის ნყალო-
ბით სოციალურად დაწინაურებული³². მაკმადიან ვაინახებთან
გვიანობამდე იყო შემონახული ქრისტიანი წმინდანების სახე-
ლებისადმი პატივისგების ტრადიციებიც, რის შესახებ ცნო-
ბას გვაწვდის ი. ცისკარიშვილი³³. ჩარჩოთ-ინგუშეთში დადას-
ტურებული სანთლის ხმარების წესიც ქართველებისგან არის
შეთვისებული, თუმცა ამ უკანასკნელისათვის ვაინახურ გა-
რემოში უცხოა მყარ კანონიკურ ჩარჩოებში მოქცევა; სან-
თლს ქისტები მარტოდენ მაგიურ თვისებებს მიაწერდნენ³⁴.

საინტერესოა, რომ XVII ს-ის ერთ რუსულ დოკუმენტში ჩაჩანთა გარკვეული ნანილის (კერძოდ შატოის თემის მკვიდრთა) კონფესიური კუთვნილების საკითხი შემდეგნაირად

³¹ Е. Максимов, Чеченцы, «ТС», вып. III, кн. II, отд. I. Владикавказ, 1893, §3. 27.

³² Д. Ю. Чахкиев, О социальном и конфессиональном статусе владельцев вайнахских боевых башен с крестами – «голгофами», «Этнография и вопросы религиозных воззрений чеченцев и ингушев в дореволюционный период», Грозный, 1981, 83. 52-57.

³³ И. Цискаров, Записки о Тушетии, «Кавказ», 1849, №7.

³⁴ Ч. Ахриев, Ингушеские праздники, «ССКГ», вып. 5, Тифлис, 1871, с. 10; М. А. Мамакаев, Чеченский тайп в период его разложения, Грозный, 1973, гл. 63.



არის გადაწყვეტილი: „მართლმადიდებელ ქრისტიანებად იჩნევა დებოდნენ იმიტომ, რომ ჭამენ ღორის ხარცსო“ („Называются же они православными христианы, потому что едят свинину“);³⁵ ანალოგიური ნარმოდგენები მთიელ ჩაჩანთა (ტერლოელების, ჭანთელების და სხვ.) კონფესიური კუთვნილებისა და მათ მიერ საკვებად ღორის ხორცის გამოყენების შესახებ XIX საუკუნეებდეც იქნა შემონახული, რის შესახებ გვაუწყებს ნ. ივანენკოვი³⁶.

ჩვენი აზრით, ღორის ხორცისადმი დამოკიდებულების მიხედვით ვაინახთა შორის ქრისტიანთა გამოყოფის ტრადიციას იმ დროიდან უნდა ჩაყროდა საფუძველი, რა დროიდან იმიერკავკასიის ქვეყნებში (დაღესტანში, ჩაჩნეთ-ინგუშეთში) ფეხი მოკიდა ისლამმა და გამაპმადიანებული (თუ გამაპმადიანების გზაზე საბოლოოდ დამდგარი) ადგილობრივი მოსახლეობის (მათ შორის ვაინახების) კვების რაციონიდან ფაქტობრივად ამოღებული იქნა ღორის ხორცი. მეტად ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სწორედ ხაზგასმული ნიშნის მიხედვით ახდენს მის თანემედროვე ოსთა საერთო მასიდან ქრისტიანული კონტინგენტის გამორჩევას, როდესაც წერს: რომელნი თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაპმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ეს: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაპმადიანნი”³⁷.

მოსკოველი ეთნოგრაფის ნ. ვოლკოვას მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით თანამედროვე ჩაჩანთა შორის აშკარად გამოიყოფა მთის ქრისტიანთა (ჩაჩნ. ლამქერსტა)

³⁵ Е. Н. Кушева, М. А. Усманов, К вопросу об общественном строе вайнахов, «СЭ», 1978, №6, გვ. 105,

³⁶ Н. С. Иваненков, Горные Чеченцы, «Терский сборник», вып. 7, Владикавказ, 1910, гვ. 9-13, 150.

³⁷ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 638.

ფენა, რომელიც ხევსურეთის მომიჯნავე მაისტისა და მალ-
ჲრონიული
სისტის თემების მოსახლეობით არის დაკომპლექტებული მაისტე-
რის ჩარინების ერთი ნაწილი (სახელდობრ ჭინახოლები) მაისტე-
ლებს არ თვლის ეთნიკურ ნოხჩებად და მათ ენობრივად და
კულტურულად უფრო ქართველებთან დაახლოებულ, ნარ-
სულში ქრისტიანობის მიმდევარ ხალხად ახასიათებს. სხვა
ჩარინები (კერძოდ ურუს-მარტანის მკვიდრნი) მალხისტელებს
ნოხჩებად განიხილავენ, ხოლო მაისტელებს მთის ქრისტია-
ნებს (ლამქერსტებს) უწოდებენ. სს. დაის და რომნიჩუს
მცხოვრებთა ცნობით მაისტისა და მალხისტის მოსახლეობა
ადრე ქრისტიანული იყო. 6. ვოლკოვას დაფიქსირებული აქვს
ავრეთვე საგულისხმო ინფორმაცია მალხისტელების არა
ნოხჩერი, არამედ ქართული (კერძოდ ხევსურული) ნარომავ-
ლობის შესახებ. ასევე ყურადღებას ქიცევს ორსთხოელებთან
მოკვლეული ეთნოგრაფიული მასალაც, რომლის მიხედვით
მალხისტელები არ მიეკუთვნებიან არც ნოხჩებს (ჩარინებს),
არც ლალღებს (ინგუშებს) და არც ორსთხოელებს³⁸.

6. ვოლკოვას ეთნოგრაფიულ მასალას ერთგვარად ავ-
სებს XIX ს-ის 70-იან წლებში გამოქვეყნებული ერთი ხალხური
გადმოცემა ჩაჩან-ინგუშთა ნარმოშობის და უძველესი ად-
გილგადანაცვლების შესახებ. ამ უკანასკნელის მიხედვით
„სადღაც პაშ-ლამისკენ (ყაზბეგისკენ) არის მთები, საიდანაც
მოედინება მდინარეები ასა, ფორტანგა და გეხი... ამ მთებს
აქი-ლამ ეწოდება. აქ ოდესლაც პინადრობდნენ ჩაჩანთა წი-
ნაპრები – ლამ-ქრისტები (ე. ი. ქრისტიანები). ეს ადგილი ჩაჩ-
ნების აკვანია. თოთხმეტი თაობის წინ ლამ-ქრისტების ნაწი-
ლი წამოვიდა იქიდან და აღმოსავლეთისაკენ გაემართა, იმ მი-
ზეზით, რომ მათ პირველსამშობლოში მოსახლეობის სიჭარ-
ბის გამო გაძნელდა ცხოვრება. მათ გაიარეს მდინარეები არ-

³⁸ Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа,
с. 166-167.

ლუნი და აქსაი, მაგრამ ეს ადგილები საცხოვრებლად არ მოჩნდონათ. საბოლოოდ დამკვიდრდნენ იმ ალაგზე, სადაც მად აული იურთ-აუხია (ნარსულში შირში) გაშენებული. ამ ადგილის პირველმოსახლენი იყვნენ ფარჩხოის (ფეშხოის) და ცეჩეის (ცეცეის) გვარები³⁹. იგივე თქმულება გამოქვეყნებულია ვ. ხრისტიანოვიჩის ნაშრომში „მთიანი ინგუშეთი”, თუმცა ამჯერად ის მთავრდება ჩაჩან ინფორმატორთა შემდეგი განმარტებით: „... роды Нохчи ели свинину и были русские (т. е. христиане)⁴⁰. ამ შემთხვევაში „ქრისტიანი” ასოცირებულად არის დაკავშირებული „რუსთან”, რაც ჩაჩნეთ-ინგუშეთში რუსთა გაბატონებით და ვაინახთა გვიანდელი მსოფლშეგრძებაზე ამ მოვლენის თავისებური ზეგავლენით აიხსნება.

როგორც ზემოთ დამოწმებული მასალიდან ჩანს, ლამქერსტები (ან ლამქრისტები) ერთ შემთხვევაში ჩაჩანთა ნინაპრებად არიან ნარმოდგენილნი და მათ პირველსაცხოვრისად აქის მთებია დასახელებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მთის (თუ მთიელ) ქრისტიანებად მაისტის და მალხისტის ჩაჩნური თემების მცხოვრებნი არიან მიჩნეულნი. ეს ეთნოგრაფიული ფაქტები კი თავის მხრივ გვაძლევს უფლებას, რომ მთის (თუ მთიელ) ქრისტიანებში (ლამქერსტებში ან ლამქრისტებში) საქართველოს მოსაზღვრე ქისტურ მხარებში განსახლებულ ვაინახთა ის ნაწილი დავინახოთ, ვისაც ჩაჩნეთ-ინგუშეთზე საქართველოს იდეოლოგური ზეგავლენის პერიოდში ყველაზე მეტად შეეხო ქრისტიანიზაციის და ქართველიზაციის პროცესები და ვისაც ალბათ გულისხმობდა კიდეც თეიმურაზ ბაგრატიონი, როცა მკითხველს აუწყებდა:

³⁹ П... в. Землевладения у чеченцев, «ССТО», Владикавказ, 1878, вып. 1, гл. 266-268.

⁴⁰ В. П. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

„ქისტნი, ლლილვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანენიო”⁴¹.

როგორც ჩანს, ქრისტიანიზაციის პროცესში ვაინახთა არცთუ მცირე ნაწილი აღმოჩნდა ჩათრეული. ნინააღმდეგ შემთხვევაში ე. ლაუდაევის ნაშრომში „Чеченское племя” არ შევხვდებოდით იმ თამაშ მითითებებს, რომ „ჩეჩენები ყურანის მიღებამდე ქრისტიანები იყვნენ”... ჩეჩენთა მტკიცებით „მათი ნინაპრები ქერესტანები იყვნენ. სიტყვათა თანაულერის მიხედვით ეჭვგარეშეა ის, რომ ქერესტანი ქრისტიანს ნიშნავს”⁴². იმავე ავტორის განმარტებით წარმართობიდან ჯერ ქრისტიანობაზე მიღრეკილი, შემდეგ კი გამაჰმადიანებული ჩაჩინებისათვის ქრისტიანები საბოლოოდ მტრებად იქცნენ, რის გამოც ტერმინმა „ქერესტანმაც” ყველა არამაჰმადიანის მისამართით გამოყენებული გამკილავი, სალანძღვი სიტყვის შინაარსი შეიძინა. ერთ-ერთი არაბული ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე უ. ლაუდაევი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩაჩინები ქრისტიანებად რჩებოდნენ XVII ს-ის ბოლომდე და მხოლოდ XVIII ს-ში მოხდა მათი საბოლოო დადგომა გამაჰმადიანების გზაზე⁴³.

ვაინახთა ქრისტიანიზაციის პროცესის მასშტაბებზე სათანადო წარმოდგენას გვიქმნის ის საგულისხმო ფაქტიც, რომ ზოგიერთი ქისტი მთხრობელი თვით ეთნონიმ „ქისტსაც” კი ტერმინ ქერისტ-ქრისტესაგან (ე. ი. ქრისტიანისაგან) მომდინარედ თვლის. მ. ალბუთაშვილის ეთნოგრაფიული ჩანაწერების თანახმად, ბარელ ჩაჩანთა გამაჰმადიანების შემდეგ მთებში ასული დაღესტნელი მოღები ადგილობრივ მთიელ ჩაჩინებს ქერისტ-ქრისტებს ეძახდნენ, ვინაიდან ბარელმა ჩაჩინებმა მოლებს თავისი მთიელი თანამოძმენი ქერისტ-ქრისტე-

⁴¹ თეიშურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1948, გვ. 36.

⁴² უ. ლაუდაევ, Чеченское племя, "ССКГ", вып. VI, Тифлис, 1872, გვ. 56.

⁴³ იქვე, გვ. 27, 57.

ბად (ე. ი. ქრისტიანებად) გააცნეს, რომელთაც ამიერიული /
შერჩათ სახელწოდება „ქისტი“. მსგავსი გადმოცემა ჰქონია სირებული აქვს ლ. მარგოშვილსაც⁴⁴.

მართალია, ეთნონიმ „ქისტის“ ნარმომავლობის ასეთნა-ირი ახსნა უკიდურესად ხელოვნურია, მაგრამ ამჯერად ჩვენ-თვის მთავარია აღნიშნული სახელდების მოტივზე და ერთობ გულუბრყვილოდ შეფასებულ ნომინაციის სიტუაციაზე დაკ-ვირვების შედეგად მიღებული ის ლოგიკური დასკვნა, რომ ქრისტიანიზაციის პროცესი ფაქტობრივად საქართვლოს მო-მიჯნავე მთიან რაიონებში მცხოვრებ ვაინახებს შეხებია, ხო-ლო ისლამიზაციას პირველნი ბარში ჩასახლებული ვაინახები დაქვემდებარებიან.

როგორც სპეციალური კვლევა ცხადყოფს, XVI-XVII ს-ში ჩამოავრცელებული მთიან რეგიონებში ადგილი აქვს საქართ-ველოს მხრიდან იქ ქრისტიანობის შერყეული პოზიციების ხე-ლახალი განმტკიციბის მცდელობას, თუმცა იმავე ეპოქაში ვაი-ნახური თემ-საზოგადოებები მთისნინეთ-ბარის ზოლში უკვე ისლამიზაციას განიცდიან და მაჰმადიანობა იკაფავს გზას ზოგიერთი მთის მხარის მიმართულებითაც⁴⁵.

ს. ბრონევსკი თავის დროზე შენიშნავდა, რომ ძველად ვაინახები ქრისტიანული აღმსარებლობის ხალხი იყო, რომე-ლიც „ქართველ მეფეთა ქვეშვრდომს ნარმოადგენდა. ქრის-ტიანებისაგან განმდგარნი, ისინი დაუბრუნდნენ თავისი ძვე-ლი ღმერთების თაყვანისცემას (აქ იგულისხმება ნარმართო-

⁴⁴ Л. Ю. Маргошвили, Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-Ингушетией в XIX и нач. XX в. (Кисты Панкиси), Тб., 1990, გვ. 12.

⁴⁵ В. Б. Виноградов Н. Н. Браниценко, Об одном аспекте грузино-вайнахских взаимоотношений, გვ. 74-83.

ბის ტრადიციებისაკენ მიპრუნება - ო.მ.), თუმცა შემდეგ ისევ ქრისტიანობა მცირე ხნით ნარმოიქმნა ქრისტიანობა”⁴⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ვაინახთა სარწმუნოებრივი განვითარების გვიანდელი სურათი მთლიანობაში სწორადაა გადმოცემული, ავტორი ბოლომდე მაინც ვერ იცავს სიზუსტეს, როცა გაკერით მიუთითებს ჩაჩან-ინგუშებთან „ქრისტიანობის მცირე დროით ნარმოქმნაზე”, ვინაიდან XVI-XVII სს-ში ვაინახებთან ქრისტიანობა კი არ ნარმოიქმნა, არამედ ის ხელმეორედ დროებით აღორძინდა მათთან საქართველოს ძალისხმევის შედეგად. როგორც, მართებულად არის შენიშნული ერთ-ერთ ნაშრომში (და ეს შენიშვნა ეხება სწორედ ს. ბორნევსკის): “Оно христианство – не “возникло”, а вторично проникло из Грузии, засвидетельствовав очередное оживление связей через Кавказский хребет”⁴⁷.

ვაინახებში ქრისტიანობის გავრცელების ბოლო მცდელობას ადგილო ჰქონდა რუსეთის მთავრობის ინიციატივით 1774 წელს შექმნილი სამისიონერო ორგანიზაციის – „ოსეთის სასულიერო კომისიის” მხრიდან. ეს კომისია დაკომპლექტებული იყო ქართველი სასულიერო პირებით. 1765 წლის დოკუმენტში (“Письмо осетинской комиссии игумена Григория начальствующему в урочище Моздок подполковнику П. И. Гаку о льготах и вспоможении желающим переселиться в урочище Моздок: осетинам, кистинам, грузинам и армянам”) ოსეთის კომისიის ერთ-ერთი აქტიური ნევრი იღუმები გრიგოლი იუბილა, რომ Чрез нынешнее лето в бытность моё для проповеды слово божия в осетинском и киштинском народе, мною святым

⁴⁶ С. Броневский, Новейшие географические и исторические известия о Кавказе, ч. 1, М., 1823, гл. 161.

⁴⁷ В. Б. Виноградов, Н. Н. Бараниченко, დასახ. ნაშრომი, гл. 83.

крещением просвящено как из старшин и из подлого народа жонами и з детьми не малое число душ..."⁴⁸

Романци аმ საბუთიდან ჩანს, XVIII ს-ის 60-იან წლებშიც კი ქისტების გარკვეული ნანილი ქართველ მისიონერთა პროპაგანდის შედეგად ქრისტიანიზაციას ექვემდებარებოდა, თუმცა ზემოხსენებული კომისიის საქმიანობამ მთლიანობაში ვეღარ შეუშალა ხელი ვაინახთა გამაჰმადიანების პროცესს.

ვაინახებთან შექმნილი რელიგიური სიტუაციის შესახებ საინტერესოდ მსჯელობს ნ. გრაბოვსკიც. იგი ინგუშეთის ეთ-ნოგრაფიულ სინამდვილეზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ დალებებთან საქართველოს გავლენით ქრისტიანობა გავრცელებული იყო თვით XVIII ს-მდე, თუმცა მათთან კიდევ უფრო მყარი იყო ნარმართობის პოზიციები. ავტორის თქმით: „ინგუშთა რელიგია ამჟამად მაჰმადიანურია. ამ რელიგიის განმტკიცება დაიწყო უმთავრესად... ჩაჩნეთის და დაღესტნის დაპყრობის დროიდან, ანუ მაშინ, როცა აქაურ მოლებს მიეცათ კავკასიის ყველა მხარეში თავისუფალი შეღწევის შესაძლებლობა. მანამდე ინგუშთა რელიგია ნარმოადგენდა რაღაც-ნაირ შენარევს: ნამაზის გვერდით, აღნიშნავდნენ კვირის უქმობას და იცავდნენ ნარმართულ წეს-ჩვეულებებს“⁴⁹.

მოგვიანებით ისლამიზირებულ ინგუშთა რელიგიური ყოფის ხაზგასმული სპეციფიკის გათვალისწინება კი ლოგიკურად გვენევა იმ აზრისაკენ, რომ ვაინახებთან ფეხმოკიდებული ქრისტიანობაც თავისი არსით სინკრეტული ბუნებისა იყო და ის ფაქტობრივად საქართველოდან შეტანილი

⁴⁸ Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., изд. В. Н. Гамрекели, Тб., 1968, гл. 167.

⁴⁹ Н. Грабовский, Ингушки, "ССКГ", IX, Тифлис, 1876, с. 21. შენიშვნა: ავტორი „ჩაჩნეთის და დაღესტნის დაპყრობაში“ აღბათ გულისხმობს რუსეთის ნინაალმდევ მებრძოლი ჩაჩნეთ-დაღესტნის მიერ იმიერკავკასიის სხვადასხვა ხალხის თუ ქვეყნის თავისი გავლენის სფეროში მოქცევას.

რელიგიური წარმართობის შენაზავს წარმოადგენდა. ამ შრივ მას პევრი საგულისხმო პარალელი შეიძლება დაეძებელი წერილის აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (მეტადრე თუშ-ფშავ-ხევსურთა) ქრისტიანობასთან, რომლისთვისაც ასევე დამახასიათებელი იყო წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების შერწყმა-შეთანაწყობა და ძველი და შედარებით ახალი კულტის ელემენტების თავისებური ურთიერთდაშრევება. ამიტომ, ვაინახებთან შეღწეულ და XVIII ს-ის შუა პერიოდამდე შემონახულ ქრისტიანობას პირობითად „მთური ქრისტიანობა”, ან, როგორც ცალკეული მკვლევარნი გვთავაზობენ, „ეთნიზირებული ქრისტიანობა” შეიძლება ვუწოდოთ. მართალია, ამ ორი სახელწოდებიდან არც ერთს არ აქვს სრულფასოვნების პრეტენზია, მაგრამ ამის გარეშეც, სრულიად ნათელია ის, რომ ვაინახურ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გარემოში ქრისტიანობა სულ ცოტა 7 საუკუნის მანძილზე მაინც საკმარისად მყარად ინარჩუნებს თავის პოზიციებს და თანამედროვე ჩამანთა თუ ინგუშთა ნინაპრების ათეულობით თაობა ქრისტიანულ ტრადიციებთან არის ნაზიარევი.

ცხადია, საქართველოს მხრიდან ვაინახთა ქრისტიანიზაციის მცდელობა განაპირობებდა მათ შორის ქართული ენისა და დამწერლობის გავრცელებასაც, რასთან დაკავშირებით ნამდვილად არ უნდა იყოს ზედმეტი თეიმურაზ ბატონიშვილის იმ ცნობის ხელმეორედ დამოწმება, რომ „.... ქისტნი, ღლილვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მომზრახენი და ქრისტიანენი”. მართალია, ამ ცნობით რამდენადმე გაზვიადებულია ქართული ენის როლი და მნიშვნელობა ვაინახებისათვის, მაგრამ ის უთუოდ ძალზე ფასეულია საკვლევ რეგიონებზე საქართველოს კულტურული გავლენის მასშტაბების დასადგენად.

1922 წელს პეტერბურგში გამოსულ წიგნში „თანამედროვე ქართული ენის შესწალვისათვის” ნ. მარი შემდეგნაირ

შეფასებას აძლევდა ქართული ენის მნიშვნელობას: „ქართული დღევანდლამდე ტომობრივი კი არა, არამედ ერთფულყოვა ენაა.. ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოების ენაა, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული, ისეთ ტომებსა და ერებს შორისაც კი, რომელნიც ტომობრივი წარმოშობილობით, ანდა თავიანთი პრაქტიკული ყოფაცხოვრებით მათზე სრულებით შორს დგანან, ამასთანავე სარწმუნოებისდა მიუხედავად... წარსულთან შედარებით ქართულს, ვითარცა კავკასიის საერთაშორისო ენას, ზოგიერთი ადგილი (პოზიცია), რასაკვირველია, დაკარგული აქვს, მაგრამ, ამისდამიუხედავად, ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან საერთაშორისო ენათაგანის ყველა თვისების მქონეა... კავკასიის საზომიან საერთაშორისობასთან ერთად ქართულ ეროვნულ ენას განსაკუთრებული დემოკრატიულობაც გააჩინია. ორივე ეს თვისება... უზარმაზარი კულტურული მუშაობის ნაყოფია.. ამ შემოქმედებაში მონაწილეობას ქართველი ერის მარტო ერთი ფენა, მარტო ერთი ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი ერი არ იღებდა. ქართული ენა ნაწილობრივ კავკასიის კულტურული ცხოვრების, რომელიც ძველადაც ერთი საზოგადოებრივი ენის შექმნას ცდილობდა, სინთეზიც არის”.

ვფიქრობთ, ესოდენ შთამბეჭდავი სტრიქონების საერთო ფონზე გაკვირვებას აღარ შეიძლება იწვევდეს ის ფაქტი, რომ ქართულმა ენამ, როგორც „კავკასიის საერთაშორისო ენამ”, საკმაოდ ღრმა კვალი დაამჩნია არა მარტო ვაინახების, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის არაერთი სხვა ხალხის თუ ტომის ლექსიკას და ონომასტიკურ ველს.

თქმულის ილუსტრირება კი უპრიანია დავიწყოთ იმ საინტერესო ფაქტით, რომ ქართული სიტყვა „ჯვარი“ შესულია და ადაპტირებულია იმიერკავკასიის მრავალი ხალხის თუ ტომის ენაში. ეს კარგად იცოდა ს. ჯანაშიამ, როდესაც წერდა: „ქართული ტერმინი „ჯვარი“ შემონახულია კავკასიის მთია-



ნეოთისა და ჩრდილო კავკასიის მრავალ ადგილას (ჩერქეზეთ-
ში: შავიზლვისპირა შაფსულებში, ყუბანის შაფსულებში, საერთაშორისო
თოდ კიახების სხვადასხვა ტომში; ყაბარდილებში; აბაზებში
(პირიქითა აფხაზებში); ოსებში; ქისტებში". ავტორი იქვე შე-
ნიშნავს: „საყურადღებოა, ამასთან, ტერმინის დღევანდელი
მნიშვნელობანი, რომელთაგანაც ძირითადია ორი: 1) ტერმინს
შერჩენილი აქვს ძველი აზრი, იგი გამოხატავს ქრისტიანულ
სიმბოლოს, 2) ტერმინი აღნიშნავს წარმართულ ღვთაებას,
კერძს"⁵⁰.

სპეციალურ ლიტერატურაში „ჯვართან“ ერთად აღნუ-
სხულია უმთავრესად ქართულიდან მომდინარე და ჩრდი-
ლოეთ კავკასიის რეგიონებში გავრცელებული ტერმინები ად-
გილობრივი ნორმებით: ქართული „ჯვარი“ (>ჩაჩნური და ინ-
გუშური „жлара, жарг“, ოსური „дзуар“), ქართული „ეკლესია“
(>ინგუშური „килс“), ქართული „მთავარანგელოზი“ (>ოსური
„таранджелос“), ქართული „ორშაბათი“ (>ჩაჩნური და ინგუშუ-
რი „օრშოт“), ქართული „პარასკევი“ (>ინგუშური „піаьраска“
და ჩაჩნური „піераска“; ოსური „Бараска“), ქართული „შაბათი“
(>ინგუშური „шоатта“ და ჩაჩნური „шот“), ქართული „კვირა“
(>ინგუშური „клиранди“ და ჩაჩნური „клирананде“, ოსური „ку-
ири“), ქართული „გიორგობა“ (>ოსური „джиоргоба“), ქართუ-
ლი „სამება“ (>ოსური „саниба“), ქართული „მიქელგაბრიელი“
(>ოსური „микалгабирта“), ქართული „მარიამი“ (>ოსური
„майрам“), და ა. შ.⁵¹ ზ. ვანევიც ნერდა, რომ იესო ქრისტეს სა-
ხელიც კი ოსურში უშუალოდ საქართველოდან შევიდა⁵².

ვაინახური ენების ლექსიკურ ფონდში „ჯვართან“ (жлара,
жарг) ერთად ქართულიდან ნასესხებ ტერმინებად მიიჩნიეს

⁵⁰ ს. ჯანაშია, შრომები, 1, თბ., 1949, გვ. 251.

⁵¹ В. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 69; ა. შავხელიშვილი, დასახ.
ნაშრომი, გვ. 74; ზ. Ш. Дидебулиძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

⁵² З. Ванеев, Средневековая Алания, Сталинград, 1956, გვ. 170.

ა. გენკომ და ს. უმაროვმა ჩაჩნურ-ინგუშური მიზეა („მლუდელი”, „მოძღვარი”), მარხა („აღდგომა”), ჯასამანი, ჯასამანი („მოთხე”), ჯოჯახათი, ჯოჯგეთი („ვოვეოხეთი”), ტურამ, ტერამ („სანთელი”) და ა. ბ.⁵³

როგორც თ. გონიაშვილის ნაშრომშია ნაჩენები, „ჯერ ქრისტიანობამ და შემდეგ ისლამშია შეინირა ოდინდელი ნახური სარწმუნოების არა ერთი ლექსემა, მათ შორის ჯვრის სახელწოდება. მიუხედავად იმისა, რომ არმხის, ასას, მართანისა და ორივე არღუნის ხეობები დასერილია ქრისტიანობამდელი და ქრისტიანობისდროინდელი ქვის ჯვრებით, თვით ცნება გადმოცემულია ნახური ფონეტიკური წესების შესაბამისად გამართული ქართული სიტყვით ჯვარი: შაროული ჯშარ, ინგუშური უშარგ ჯშარგ (<ჯშარიგ/ ჯშარ), ბარის ჩაჩნური ჯარ/უა არ/ჯშარა, აკიური ჯარ და ბაუბური ჯორ (<ხევს. ფშ. ჯორი „ჯვარი”) ... ჯვრისთა ყვანის მცემლობა, როგორც ქრისტიანული კულტის გამოხატულება, აღიბეჭდა ჩაჩან-ინგუშთა ნივთიერი კულტურის ძეგლებში. ჯერ კიდევ ვს. მილერმა აღნუსხა ქვის ჯვრები მათი ტერიტორიის არა მარტო ტაძრებზე და სალოცავებზე, არამედ საომარ და საცხოვრებელ ციხე-კოშკებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკე აღმართულ ჯვრებზე. ჯვრები ყოფილა, მაგ. მნვერვალ და ლიტეზე, რომელიც საკულტო მთად იყო მიჩნეული. სამხრეთ ჩაჩნეთინგუშეთის ისტორიის მონაცემები - ზეპირსიტყვიერება, ნივთიერი კულტურის ძეგლები გვაფიქრებინებს, რომ ამ მხარეში ქართ. ჯვრისა და ინგ. ერდა-ს მსგავსად ჯშ-არ „ჯვარი” აღნიშნავდა ნაგებობასაც - ჯვრის სალოცავს. ასეთი სალოცავები აქა-იქ თუ ატარებდა სახუროთმოძღვრო ფორმებს, ძირი-

⁵³ А. Н. генко, Из культурного прошлого ингушей, "ЗКВАМАН СССР", т. V, Л., 1930, с. 738; С. Ц. Умаров, Доисламские религиозные верования чеченцев и ингушей "Характер религиозности и проблема атеистического воспитания", Грозный, 1979, гл. 120-121.



თადად კი, ალბათ წარმოადგენდა ადგილობრივ წარმართულ საკულტო მეობას, რომელშიც გარკვეულ ხანაში ჯვრის სიჭრალითავს ბოლო სავალდებულო უნდა ყოფილიყო⁵⁴. ასეთი დასაბუთებული მსჯელობის შემდეგ მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამი ნახური ტოპონიმის - ჯელ-ლამ (< ინგ. ჯშარ-ლოამ, კლდოვანი ქედის მწვერვალი ინგუშეთში; ითარგმნება როგორც „ჯვრის მთა”, „ჯვრის გორი”), ჯერახ (ინგ. ჯშარახ, სოფლის და ხევის სახელწოდება ინგუშეთში) და ჯარეგო (ჩაჩნური სოფელი მითხოს თემში) ანალიზი ავლენს მათ წარმომავლობას სიტყვა ჯშარ-ისაგან („ჯვარი” > „სალოცავი”), რომელიც ოდესალაც იქ ყოფილა აღმართული⁵⁵.

დაბოლოს, თ. გონიაშვილი გამოთქვამს აზრს, რომ ინგუშური სიტყვა ელგაც//ელგგც („სასახლე, პალატი, სამლოცველო”, „სახლი, სადგომი”) ქართული (<ბერძნ.>) ეკლესია უნდა იყოს, რომელმაც ჩაჩნურ-ინგუშური ფონეტიკის წესთა შესაბამისად იცვალა სახე და ამ ენებში შესაძლოა შეიქრა ბევრად ადრე, ვინემ ჩაჩნური ქილს (< თურქ. Kilise „ეკლესია“) ან ინგუშური ქინაზ („ეკლესია“). გამოთქმული ვარაუდის შესამაგრებლად კი ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ზეპირი დამონმებით თვით ნახებს ელგაცების აგება თამარ მეფის ხანაში გადააქვთ. პირველი ელგაცი, რომელიც აღნერა ვს. მიღერმა სოფ. ეგენთის ახლოს (ინგუშეთი, მეცხალის თემი) ტიპიური ქართული ქრისტიანული ბრტყელსახურავიანი, სამკამაროვანი ქვის ეკლესიაა. გავრცელებული სახით, კი ცხადია, ელგაცი ერდას ტიპის ქვის საკულტო შენობასაც დაერქმეოდა, რომელიც რაიმე ნიშნით უახლოვდებოდა ქრისტიანულ ტაძარს. ტერმინის წმინდა კუთხური ხასიათი მონმობს

⁵⁴ თ. გონიაშვილი, ქართველთა და ნახთა კულტურული კონტაქტიდან, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული”, III, თბ., 1971, გვ. 213-214.

⁵⁵ იქვე, გვ. 214-216.

ქართველთა ინტენსიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას
ელგაც/ელგაც-ის გავრცელების უპანში⁵⁶.



ჩაჩნეთ-ინგუშეთში ქართული დამწერლობის გამოყენებას მოწმობს სასულიერო ნიგნები, ცალკეული ტაძრებისა და აკლდამების კედლებსა და ფილებზე თუ იქ ნაპოვნ ჭურჭელზე გაკეთებული წარწერები და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თხაბა-ერდის ტაძრის ორ ფილაზე დაცული ასომთავრული ქართული წარწერები, რომელთაც მკვლევარნი ათარიღებენ 830 წლით (დ. ბაქრაძე) ან არა უადრეს XII ს-ით (ა. შანიძე). ქართული წარწერები გვხვდება აგრეთვე იმავე ტაძარში აღმოჩენილ თხის ფილაზე (ა. შანიძის აზრით ეს წარწერა არა უადრეს XII საუკუნისაა) და მაგატეს და მოხტეს აკლდამებში მიკვლეულ დოქტებზე (არა უადრეს XIII-XIV სს.)⁵⁷.

მაგი-ერდისა და თხაბა-ერდის ეკლესიებში აღმოჩენილია ძველი ქართული ხელნაწერები (ამათვან ძალზე საგულისხმოა ქართული ფსალმუნის XI-XII ს-ის ხელნაწერი), რაც ცალსახად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქისტ-დალდებთან თავის დროზე ნამდვილად გამოყენებაში იყო ქართული დამწერლობა და აქ დვთისმსაუხრება ქართულ ენაზე წარმოებდა⁵⁸.

ა. შავხელიშვილის თქმით „ინგუშეთის საველე მასალებით, ჰერგამენტზე დაწერილი ქართული ტექსტები (სასულიერო ნიგნების ფურცლები თუ ფრაგმენტები) 1944 წლამდე ინგუშების მრავალ ოჯახს გააჩნდა. მას ინახავდნენ როგორც წმინდა, სასწაულებრივ საგანს. ასეთი ფურცლები ზოგს ახ-

⁵⁶ იქვე, გვ. 216-217.

⁵⁷ Л. П. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 61-62.

⁵⁸ Е. Такаишвили, Грузинские надписи на археологических предметах... "Известия Кавказского отдела Московского археологического общества", вып. 1, Тифлис, 1904, გვ. 63; Г. Г. Гамбашидзе, Древнегрузинские церковные книги из Ингушетии, "Тезисы докладов V Крупновских чтений по археологии Северного Кавказа", Махачкала, 1975, გვ. 115; История народов Кавказа с древнейших времен до конца XVIII в., М., 1988, გვ. 263.

ლაც აქვს, მაგრამ მას გარკვეული რელიგიური მოსაზრებით
არავის აჩვენებენ - ინახავენ როგორც ოჯახის განძს და ასეთი გადადის თაობიდან თაობაზე⁵⁹.

იმავე მკვლევარის ნაშრომებიდან ვგებულობთ, რომ „ასის ხეობაში შემონახულია ძეგლი, რომელსაც ინგუშები სა-
მებას უწოდებენ. ამ ეკლესიაში ინახებოდა სახარების წიგნე-
ბი. მათ ადგილობრივი „ნმინდა“ კაცი დარაჯობდა. საერთოდ,
ამ მხარეში ძალზე უხვად ყოფილა გავრცელებული ქართული
ხელნაწერები, რომელთა ნანილი XVI-XVII სს. თარიღდება.
6. იაკოვლევი ინგუშეთში ნაპოვნ ხელნაწერს ქრისტიანულად
თვლის იმის გამო, რომ ნარწერას ახლავს ქართული ტიპის
ჯეარი. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ
ავტორის აზრით, ტექსტში ნახმარი „ენოლა“ არაქართული
ნარმომავლობისაა და ამდენად იგი ადგილობრივი ხელოსნის
სახელზე უნდა მიუთითებდესო. იგი ასკვნის, რომ ადგილობ-
რივ ენაზე ნერისათვის ჩრდილო კავკასიაში იყენებდნენ ქარ-
თულ ანბანს. 6. იაკოვლევის გამოთქმული მოსაზრება კიდევ
ერთხელ გვიდასტურებს ვაინახებზე ქართული კულტურის
გავლენას”⁶⁰.

ჩაჩნურ-ინგუშური დამწერლობის შესწავლამ მ. ჩენთიე-
ვა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ვაინახებთან ადრე მართა-
ლია, გამოიყენებოდა ძველ ქართულ ანბანზე დაფუძნებული
დამწერლობა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მათთან ვერ ჰპოვა
ფართო გავრცელება და ის მხოლოდ სასულიერო საქმიანობი-
სათვის იყო გამიზნული. ავტორის მტკიცებით ვაინახებთან
XVII საუკუნისთვის ქართული დამწერლობისა და ენის კვალი
ფაქტობრივად გამქრალია⁶¹.

⁵⁹ ა. შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75-76.

⁶⁰ იქვე, გვ. 76.

⁶¹ М. Д. Чентиева. История Чечено-Ингушской письменности, Грозный, 1958, გვ. 19.

მ. ჩენთიევას ამ მოსაზრებას ა. შავხელიშვილი შემდეგ უკავეთებს: „რადგან ეს საკითხი სპეციალურობის კვლევის საგანი არ გამხდარა და ამავე დროს, არ შეიძლება ერთი ენის მეორეზე გავლენის ფაქტები უცებ გაქრეს, მ. ჩენთიევას მოსაზრება ნაჩქარევად მიგვაჩნია”⁶².

ჩვენი მხრიდან უფრო თამამად დავსძენთ, რომ ერთ-ერთ ქრისტიანულ სამლოცველოში -ლალ-ერდის ტაძარში ნაპოვნ ჭურჭელზე ამოკითხული ქართული წარნერები XVII-XVIII სს-ით თარიღდება⁶³, რაც იმის დამაჯერებელი მონმობაა, რომ ვაინახურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქართული ენა და დამწერლობა გამოიყენებოდა XVII-XVIII სს-შიც, ანუ იმ ქრონოლოგიურ პერიოდში, როცა მ. ჩანთიევას აზრით, ქისტებთან ქართული ენა-დამწერლობის კვალი უკვე გამქრალია.

მ. ჩენთიევას მოსაზრებას აბათილებს 1733 წლის ერთ საყურადღებო დოკუმენტიც ("Письма старшин горных провинций Гудамакари, Мтиулети, Кистети, Тагаури и Хеви к царю Вахтангу VI, с изъявлением своей верноподанности"), რომელშიც ქისტეთის პროვინციის თავკაცები ვახტანგ VI-ს ქვეშვრ-დომობას შესთხოვენ და ერთგულბის ფიცს აძლევენ; უპრიანია ამ წერილის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტის სრულად მოყვანა:

"Перевод з грузинского письма

Величайший царь иверский Вахтанг Леониевич

всемилостивейший государь

Всепокорнейше просим мы нижайшие рабы Кистецкой провинции жители, а имянно:

Яндосшвилс Подза Караджа

Абулжаевшвилс Кериханас

⁶² ა. შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

⁶³ Л. П. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

Чиуришвилис Боджас и Жабо
Хаматанишвилис Канчас
Леванишвилис Ахорас
Чиулишвилис Пата
Харисов Батер
Лавджакас Бония
Котаишвилис Лазыбекс
Садикишвилис Адзус
Таршас Диidis Кадзас
Итишвилис Мерихала
Тамишвилис Кацос
Вадзовинишилис Матавс
Ангетелс Кикча Марзов
Арджахашвилис Ачакс

и все старшие обыватели означенной провинции всенижающие просим и в верности вашему царскому величеству присягу учинили, которая нашими руками и подписана и от нас поданных нарочно посланы люди, которая о верности нашей и обо всем сбстоятельно вашему царскому величеству донесут. Оное переводил з грузинского на русской диалект князь Борис туркистанов...⁶⁴

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, ქისტეთის პროვინციის გავლენიან პირთა მიმართვა ვახტანგ VI-სადმი ქართულ ენაზე შედგენილი, ხოლო ამ წერილის ხელის მომნერი ქისტები გვარ-სახელთა ტრადიციული ქართული გაფორმებით არიან მოხსენიებულნი. მათ შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომელნიც აშკარად ქართული წარმოშობის პი-

⁶⁴ Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., № 123-124, № библиогр.: "ქისტეთის პროვინციაში" როგორც ჩანს, ინგუშეთის ერთ-ერთი უმთავრესი ნანილი - ჯარიახის ხეობა იგულისხმება.

როვნულ სახელებს (პატა, ლევან, მერცხალა, კაცო) ატარებს. ყოველივე ეს მათზე ქართული კულტურის და ენის ძირი ზეგავლენით შეიძლება აიხსნას. ცხადია, ამგვარი დოკუ-
მენტი ვერ შეიქმნებოდა ისეთ გარემოში, სადაც ქართულ ენას
და დამწერლობას თავის დროზე საკმაოდ მტკიცე პოზიციები
არ ჰქონდა და მით უმეტეს, სადაც ისინი სრულიად გამქრალი
იყო.

საინტერესოა, რომ XVIII ს-ის 50-იან წლებში ქისტები (კერძოდ ინგუშები) ქართულ ენაზე შედგნილ წერილში ყიზ-ლარის კომენდანტს აუწყებდნენ, რომ ისინი „ძველთაგან სა-ქართველოს სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ“ და „მხოლოდ ორმოცდაათიოდე წლის წინ (ე. ი. XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე) გა-მოვიდნენ მათი მეურვეობიდან“⁶⁵. ვფიქრობთ, ეს დოკუმენტი გამოდგება იმის საბუთად, რომ ვაინახებთან ქართული ენის და დამწერლობის გამოყენებას XVIII ს-ის 50-იან წნ-შიც არ დასმია საბოლოო წერტილი.

ამრიგად, მოტანილი ფაქტები მ. ჩენთიევას მტკიცებას საფუძველს აცლის და გვარნმუნებს იმაში, რომ ჯერ კიდევ XVIII ს-ის შუა პერიოდისათვის ვაინახთა შორის არცთუ მცირე რაოდენობით აღირიცხებოდნენ „ენითა ქართულითა მომზრა-ხნი” და ქართული დამწერლობაც უკვალოდ არ იყო ვამქრა-ლი.

ქართულ-ვაინახური მრავალმხრივი ურთიერთობის კვლევასთან დაკავშირებით საყურადღებო ვითარება ვლინდება მატირიალური კულტურის სფეროში. ვაინახებზე ქართული კულტურის გავლენის ერთ-ერთ საბუთად მეცნიერებაში მიჩნეულია, მაგალითად, სახვნელი იარაღის სახელწოდება გუთანი, რაც ჩამოაყალიბდა ალინიშნება ტერმი-

⁶⁵ Б. В. Скитский, К вопросу о феодальных отношениях в истории ингушского народа, "ИЧИННИЙ", т. 1, вып. I, Грозный, 1959, д.з. 190.

ნით „гата“. ისიც აღნიშნულია, რომ ვაინახებმა ქართულიდან შეითვისეს სიტყვები: *ხერხი* („ხერხი“), *ხიონხალ* („სახნისი“), *მაჯა* („ნემისი“, „მახათი“) და სხვ⁶⁶. ვაინახურ ლექსიკაზე ქართულის ზეგავლენას მოწმობს ისიც, რომ შემონახულია ქართული მო- ნეტების სახელწოდებანი: აბაზ (აბაზი), შაურშეი (შაური)⁶⁷.

სრულიად კავკასიაში ძნელად თუ სადმე მოიძებნება ისეთი შესანიშნავი ქვითხურონი, როგორნიც ჩაჩან-ინგუშები არიან. მათი კოშკური კულტურის შემხედვარეს აღბათ არ გა- უკვირდება ის, რომ ვაინახური ხალხური ეტიმოლოგიით ინ- გუშთა თვითსახელწოდება *Главгай* (ლალღაი) „კოშკის მშენე- ბელს“ უნდა ნიშნავდეს, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდის უ- ლაუდაევი⁶⁸.

როგორც ცნობილია, ვაინახური საბრძოლო კოშკები ჩვეულებრივ, სახურავის კონუსისებრ-საფეხურებრივი ფორ- მით გამოირჩევა. საინტერესოა, რომ ასეთივე გადახურვის ციხე-კოშკები და საკულტო ნაგებობები საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია ქართლ-კახეთის მთიან კუთხეებშიც (ხევ- სურეთში, ფშავში, თუშეთში, გუდამაყარში, ხევში და მაღრან- დვალეთში). სწორედ კონუსისებურ-საფეხურებრივი გადა- ხურვის მქონე ერთი საბრძოლო კოშკი დღემდე ამშვენებს ანანურის დიდებულ ანსამბლს⁶⁹. ამდენად, სრულიად ბუნებ-

⁶⁶ История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в., гл. 262.

⁶⁷ Л. П. Семенов, დასახ. ნაშრომი, гл. 35.

⁶⁸ უ. ლაудაევ, დასახ. ნაშრომი, гл. 43.

⁶⁹ ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935; მისივე, ფშავი, თბ., 1985; მისივე, თუშეთი, თბ., 1933; მისივე, საბრძოლო და თავდაცვითი ნა- გებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945; გ. ბოჭორიძე, თუ- შეთი, თბ., 1993; ვალ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა (სა- ცხოვრებელი ნაგებობანი) თბ., 1967; П. Закарая, Фортifikацион- ные сооружения Шида-Картли, "Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях института истории материальной культуры АН СССР", XLVI, М., 1952, гл. 122-134.

რივია, ის რომ აღნიშნული „ნაგებობების თავისებუროს“
 კვლევის დროს ავტორთა ერთ ნაწილს მათი ჩამოყალიბდა
 თის ტერიტორიაზე გამოჩენა მიაჩინა ქართული კულტურის
 გავლენის შედეგად, რის დამადასტურებელ საბუთად მოაქვთ
 ნაგებობების აშენების ტექნიკა, ქრისტიანული ჯვრის გამო-
 სახულება, სათვალთვალოების დატანება, მიშენებული ქონ-
 გურები, შიდა ფართის გამოყენების ხალხური ტრადიცია და
 სხვ”⁷⁰. საკითხის ასეთნაირი დასმის საუკეთესო მაგალითს იძ-
 ლევა უ. ლაუდაევი, რომელიც შემდეგნაირად აყალიბებს
 აზრს: „სავსებით შესაძლებელია, რომ საპრძოლო კოშები
 მთაში ქართველების აგებული იყოს... მართალია, ხალხში
 არაა შემონახული გადმოცემები ამ კოშების მშენებლობის
 შესახებ, მაგრამ... შეიძლება დაუშვათ მათი აგება ქართველ-
 თა მიერ. ქართველებს ძალუძღავთ ჩრდილოეთ კავკასიაში
 შეღწევა. ისინი მრავალი... ფეხით სავალი გზით იყვნენ დაკავ-
 შირებული ჩამონაბაზა; ასანიშნავია ისიც, რომ მრავალი ჩამო-
 ნობის ჟამს ქართველებს შეეძლოთ ქვის კოშების აგება, რა-
 თა იქ თავისი ლაშქარი შეენახათ; ეს კოშები მათ დასაყრდენს
 ნარმოადგენდა უფრო სუსტი ხალხის წინააღმდეგ. კოშებს
 აქვთ წავეთილი ოთხნახნაგოვანი პირამიდის ფორმა, მცირე
 საძირკვლით, რის გამოც ისინი გაომიყურებიან ვიწრო და მა-
 ღალ ნაგებობებად. ადგილობრივი მკვიდრნი მათ უწოდებენ
 ღალა-ს (სიმაგრეს); ეს ისევ იმაზე მიუთითებს, რომ იქ ინახა-
 ვენ ჯარს. ამასთან, ისინი აღმართულია ისეთ ადგილებზე, სა-
 იდანაც ხელსაყრელია გარემო მიღამოზე დაკვირვება. კოშე-
 ბი აულ ვარდანის ახლოს ბატონობენ არღუნის მრისხანე ხეო-
 ბაზე...”⁷¹

⁷⁰ შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

⁷¹ უ. ლაუდაევ, დასახ. ნაშრომი, გვ. 42- 43.



ა. შავხელიშვილი სწორედ უ. ლაუდაევისა და ვაინახებზე ზე ქართული კულტურის ძლიერი გავლენის მაღიარებელი მისამართის სხვა ავტორების ნააზრევს ეთანხმება, როცა წერს: „... ის ფაქტი, რომ კონუსისებური, კირის დუღაბით გადახურული ციხე-კოშკების კომპლექსი მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც (თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, ხევი) და ბარის (მარტყოფი, ენისელი, შუამთა და სხვ.) რაიონებში, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ბარის ადგილებზე კი მსგავსი კოშკების არსებობის არავითარი ნიშანწყალი არ არის, მკვლევრებს აძლევს საშუალებას თამამად განაცხადონ, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთში ეს ნაგებობები გაჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან კულტურული ურთიერთობის წყალობით. აღნიშნული ძეგლები XVI-XVIII სს-ით თარიღდება. ეს ის დროა, როდესაც ქართლ-კახეთის ელჩები რუსეთისაკენ, მოსკოვისაკენ იღებენ გეზს. თუშეთის, ხილდახაროს, ჰაჩიაროს და სხვ. ადგილების გავლით ასტრახანის მიმართულებით”⁷².

საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა შედეგიანი აღმოჩნდა ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში 1962-1965 წლებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციამ (რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, ვალ. იორნიშვილი, გ. გევარა გური, ბ. გამყრელიძე და სხვანი) აღგიღზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ცხადჰყო ვაინახური და ქართული მატერიალური კულტურის დიდი მსგავსება და თანაც, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოლში. კვლევის შედეგები აისახა ძირითადად ალ. რობაქიძის, გ. გევარა გურის, ი. სადოვის და სხვათა

⁷² შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

ნაშრომებში, რომლებიც მიეძღვნა დასახლების ფორმების
საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების შესწავლაც მომადა

ჩვენი მხრიდან ყურადღებას გავამახვილებთ იმ გარემო-
ებაზე, რომ კონუსისებურ-საფეხურებრივი (თუ პირამიდული)
გადახურვის მქონე მატერიალური კულტურის ძეგლები (საბ-
რძოლო კოშკები, საკულტო ნაგებობები) საკუთრივ ჩაჩნეთ-
ინგუშეთის მიწა-წყალზე XVI-XVIII სს-ში არის აშენებული, ხო-
ლო მათთან ტიპოლოგიურად დაახლოებული ის კოშკები და
საკულტო-ნაგებობანი, რომელიც გვხვდება აღმოსავლეთ
საქართველოს მთიანეთში (მეტადრე თუშეთში, ფშავესა და
ხევსურეთში) შედარებით უფრო ადრეულ ხანაში ჩანს ნაგები.
ეს ფაქტი შესაძლოა იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ ჩვენთვის სა-
ინტერესო არქიტექტურული სტილის გენეზისის უძველეს
არეალს სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი
რეგიონი ნარმოადგენდა, საიდანაც მოხდა მატერიალური
კულტურის ზემოაღნიშნული ელემენტის დიფუზია ცენტრა-
ლური კავკასიონის ჩრდილოეთი კალთების მიმართულებით.
მხედველობაში მისაღებია ის დეტალიც, რომ საუკეთესო ვაი-
ნახური საბრძოლო კოშკები ყველაზე დიდი რაოდენობით მა-
ინცდმაინც ასის ხეობის სათავეში (თარგიმის ქვაბული, ეგი-
კალი და სხვ.) და ჯარიახის ხეობაში არის თავმოყრილი, ანუ
თანამედროვე ინგუშეთის იმ რაიონებშია გავრცელებული,
რომელიც სავაინახოს ყველა სხვა რეგიონზე უფრო მეტად
განიცდიდა საქართველოს პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და
კულტურულ გავლენას და დროდადრო საქართველოს სა-
ხელმწიფოს შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენდა.

მაგრამ გამოთქმულ მოსაზრებებს რამდენადმე სათუოს
ხდის ის ფაქტი, რომ კონუსისებურ-საფეხურებრივი გადა-
ხურვის ძეგლები (მეტადრე მიწისზედა აკლდამები, სალოცა-

⁷³ კვლევის შედეგები აისახა კრებულში: "Кавказской этнографической
сборник" (ქვემოთ ყველგან "КЭС"), т. II, Тб., 1968.

კები) საკმაოდ დიდი რაოდენობით ფიქსირდება ოსეთის ტე-
რიტორიაზეც. ოსეთის აღმოსავლეთი ნაწილის ზოგიერთი მთის ხეობა (მაგ. სანიპის ხეობა თაგაურის თემში) კი ოსური
ეთნოგრაფიული მასალით, ნარსულში ვაინახებით ყოფილა
დასალებული, რომელთაც სხვათა შორის, მიეწერება კიდეც
აღნიშნული (კონუსისებურ-საფეხურებრივი გადახურვით
ლირსშესანიშნავი) ძელგების მშენებლობა⁷⁴. ასე რომ, კონკრე-
ტულ შემთხვევაში უკვე დიდია იმის ცოტნება, რომ ჩვენთვის
საინტერესო მატერიალური კულტურის ძეგლები ან ცალსა-
ხად ვაინახებს დავუკავშიროთ ან კიდევ ვილაპარაკოთ მთელი
ცენტრალური კავკასიონისათვის დამახასიათებელი მატერი-
ალური კულტურის ერთ ლოკალურ გამოვლინებაზე, რაც ჩვე-
ნი აზრით, სუბიექტური მსჯელობისაგან თავის დაზღვევის
ყველაზე კარგი საშუალებაა.

ქართულ-ვაინახური ურთიერთობის შესწავლისათვის
საინტერესო მაჩვენებლების არსებობა შეინიშნება ენისა და
სულიერი კულტურის სფეროში. ვაინახებისა და ქართველი
მთიელების ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებდა ენობრივი
ფაქტორიც. როგორც ეთნოკური და ყოფითი ურთიერთობის
საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ქვემოთ კიდევ დავი-
ნახავთ, ამის შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატი-
ონი და იოჰან გიულდენშტედტი⁷⁵. ვაინახური ენების ცოდნით
პირველ რიგში გამოირჩეოდნენ წოვა-თუშები. შეიძლება ითქ-
ვას, რომ მათ შორის ენობრივი ბარიერი არ არსებობდა. რაც
შეეხება სხვა ქართველ მთიელებს, მათ შორისაც მოინახე-
ბოდნენ ვაინახური ენის მცოდნენი, ისევე, როგორც ვაინახე-

⁷⁴ П. Л. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 26-28; В. П. Кобышев, დასახ. ნა-
შრომი, გვ. 176.

⁷⁵ ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 555; გიულდენშტედტის მოგზაურობა სა-
ქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის გამოც., თბ., 1962, გვ. 263.

ბიდანაც ზოგიერთს სცოდნია ქართული ენა. ენის ცოდნა უ-
თავრესად შეინიშნებოდა ერთმანეთთან ახლო მეზობლების
დაკავშირებულ ქისტებსა და ქართველებს შორის. მაგალ-
თად, ხევის სოფლ გველეთში XIX საუკუნეში დასახლებულმა
ინგუშებმა იცოდნენ ქართული ენა. თვით მოხვევებს შორისაც
ზოგიერთს სცოდნია ქისტური (ვაინახური) ენა. იგივე ვითა-
რება შენიშნებოდა ხევსურებისა და ვაინახების მეზობლობა-
ში. ეს მაფიოდ ჩანდა პირიქითი ხევსურეთისა და მის ახლოს
მდებარე ჩაჩნეთის თემების მცხოვრებთა შორის.

ქართულ-ვაინახური ურთიერთობის შესწავლის საფუძ-
ველზე ა. შავხელიშვილიც მიუთითებს: „მთხრობელთა გადმო-
ცემით, თუშეთში ქისტური ენის მცოდნე კაცი ავტორიტეტია-
ნი იყო. იგი ქისტებთან ურთიერთობის დროს მოენედაც იყო
გამოყენებული. საერთოდ კი ქისტურის ცოდნა, ისევე რო-
გორც სხვა ენებისაც, საამაყოდ ითვლებოდა თუშისთვის”⁷⁶.

ვახუშტისა და გიულდენშტედტის ცნობებთან ერთად
(ამის შესახებ ქვემოთ) ა. შავხელიშვილის ეს ცნობა დამაჯრე-
ბელია, მაგრამ ამასთან შეუსაბამო ჩანს შემდეგი მტკიცება:
„საქართველო-ჩეჩჩნეთ-ინგუშეთს შორის მჭიდრო კულტურუ-
ლი, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის არსებო-
ბას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჰაჩაროს, ხილდიხაროს, მა-
ისტის, ასის ხეობის მცხოვრებთა უმრავლესობამ კარგად
იცოდა ქართული სალაპარაკო ენა, ხოლო ხევსურეთის, ხევის,
მთათუშეთის მოსახლეობამ გომენრისა და ჩაღმის ხეობის გა-
მოკლებით, - ქისტური ენა”⁷⁷.

საჭვალა, რომ ფართო მასშტაბით ენების ცოდნის შემთხ-
ვევაში ენის მცოდნეს განსაკუთრებული ავტორიტეტით

⁷⁶ ა. შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

⁷⁷ იქვე, გვ. 78-79.


ესარგებლა და ეს ცოდნა ესოდენ საამაყო ყოფილიყო. რო-
გორც ჩანს, ენის ცოდნა ვაინახებსა და ქართველებს შორის არ
არ იყო საყოველთაო ხასიათისა და ამიტომ გამორჩევით აფა-
სებენ იმას, ვინც ენას ფლობდა. ენების საყოველთაო ცოდნის
პირობებში არ იქნებოდა მოენის გამოყენების საჭიროება.

მევლევართა დიდმა ნაწილმა ენობრივ ურთიერთობას-
თან ერთად ყურადღება მიაუცია ქართულ-ვაინახური ურთი-
ერთობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს სულიერი კულტუ-
რის განვითარებაში. თითქმის ყველა მათგანი იმ საერთო შე-
ხედულებას ავითარებს, რომ საქართველოს ფეოდალური მო-
ნარქიის ძლიერების ხანაში მისი გავლენა ვრცელდებოდა
ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის ჩაჩნეთ-ინგუშეთ-
შიც. ეს სავსებით კანონზომიერი იყო, ვინაიდან იმ ქვეყნის სა-
ხელმწიფო წყობილება, ენა და რელიგია აღნევს პრიორიტე-
ტულ მდგომარეობას, რომელიც ძლიერია და ჰეგემონის
როლში იმყოფება. ეს ჰქონდა მხედველობაში ყველა მევლე-
ვარს, რომელიც ქართული ენისა და ქრისტიანული რელიგიის
გავლენის ფაქტობრივ მაჩვენებლებს აფიქსირებდა. საქართ-
ველოსადმი ჩრდილო კავკასიის ქვეყნების ვასალურ დაქვემ-
დებარებამდე მათი მოსახლეობისათვის უცნობი იყო რო-
გორც ქრისტიანობა, ისე ისლამი. ამდენად, ისინი ნარმართუ-
ლი რელიგიის მიმდევარნი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებთა-
ნაც ქართული ენისა და ქრისტიანული რელიგიის გავრცე-
ლება, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, იწყება ჩრდილო კავკასი-
ის ქვეყნების საქართველოს გავლენის სფეროში მოქცევის
დროიდან.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში ქრისტიანობა ისლამმა შეცვალა. იქ
ეს ორი რელიგია ერთდროულად არ არსებობდა. ერთადერ-
თი, რაც ქართველ მთიელებთან მათ აკავშირებდა, იყო უფრო
მეტად ნარმართული ტრადიციები, ხოლო შედარებით ნაკლე-
ბად ქრისტიანობის გადმონაშთები. ამ მხრივ სულ სხვანაირი
მდგომარეობა იქმნებოდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დასახ-



ლებულთა ცხოვრებაში. ამის მაგალითად შეიძლება დაგვასტანის ლოთ პანკისის ხეობა, სადაც ერთდროულად მოსაზღვრობს ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა თან მოტანილი მაპმადიანობა, მეორე ნაწილმა მიიღო ქრისტიანობა და შემდეგ თანდათან-ბით ეს ორი რელიგია ერთიმეორეს ენაცვლებოდა გარდამავა-ლი უპირატესობით. ამასთან, შენარჩუნებული ჰქონდათ ნარ-მართობის გადმონაშთებიც.

იმის შესახებ, თუ პანკისის ქისტები როდის რა დამოკი-დებულებას იჩენდნენ სხვადასხვა რელიგიისადმი, ლ. მარგოშ-ვილი წერს: „აღსანიშნავია ისიც, რომ სამამულო ომამდე პან-კისის ხეობის ქისტები ორი რელიგიის (ქრისტიანული და მუს-ლიმანური) მიმდევრები იყვნენ. სოფელ დუისის მცხოვრებ-ლები მუსლიმანობას მისდევდნენ (თუმცა მათი პირველი ტალღა საქართველოში ნარმართული სარწმუნოებით მოვი-და), ხოლო ჯოყოლოს და ომალოს მცხოვრებნი კი - შიგადა-შიგ, ზოგიერთი ოჯახების გარდა, - ქრისტიანობას. მათი სა-საფლაოც ორად იყო გაყოფილი. ცალ მხარეზე ასაფლავებდ-ნენ ქრისტიანებს, ხოლო მეორე მხარეს - მუსლიმანებს. საი-ლუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ დღემდე შემონახულ სოფელ ომალოს სასაფლაოზე. სოფელ დუისის სასაფლაო შე-მოლობილი იყო. თუ სოფელში ვინმე ქრისტიანი გარდაიცვლე-ბოდა, მას ღობის გარეთ მარხავდნენ. სამოსსაც რელიგიის მოთხოვნებს უფარდებდნენ. ამჟამად პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების სარწმუნოება მუსლიმანურია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ორივე რელიგიის მიმართ იგრძნობა ფორ-მალური დამოკიდებულება (ვის როგორ აწყობს, რომ საზოგა-დოებაში მოიპოვოს ავტორიტეტი). მათ რელიგიისადმი თავ-დადებად მიაჩნიათ სექტებში მონაწილეობა, სადაც გართობის მომენტიცაა ჩაქსოვილი. რაც შეეხება საქართველოს მთიანე-თის ქართველ მოსახლეობაში მცხოვრებ ქისტებს, მათი რე-

ლიგიური რწმენაც ქრისტიანულია, თუმცა ყოფაში ემჩნევა
ნარმართობის კვალი”⁷⁸.

პანკისის მოსახლეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული
მასალების მიხედვით ლ. ხუციშვილმაც ანალოგიური სურათი
დაინახა. მისი დაკვირვებით, პანკისის ქისტები ზოგიერთ რი-
ტუალს თუშებთან ერთად ასრულებდნენ. მკვლევარი ამის სა-
ფუძველს ხედავს ჯერ ერთი იმაში, რომ მათ აკავშირებდათ
ნარმართული რელიგიის გადმონაშთების ფუნქციონირება და
მეორე მხრივ ქრისტიანობის გავლენა და ქისტების დიდი ნა-
ნილის მისდამი ზიარება, ქრისტიანულ სალოცავებში მონაწი-
ლეობა შესაბამისი წესების დაცვით⁷⁹.

სულიერი კულტურის სფეროში ქართულ-ვაინახური
ურთიერთობის ხასიათის მაჩვენებელია ხანგრძლივად შემორ-
ჩენილი რწმენა-ნარმოდგენები და დღეობათა შესრულების
წესები, რაც კარგად ჩანს გვიანდელი ეთნოგრაფიული მონა-
ცემების მიხედვითაც. ამის შესახებ წერდა ნ. ხიზანაშვილი,
როდესაც ეხებოდა ქისტების სალოცავში ხევსურების მიერ
შესრულებულ ერთ-ერთ რიტუალს: „ივნისის პირველ რიცხ-
ვებში, როცა გუთანი აეშვება, სოფელი და საზოგადოება შეიკ-
რიბება და დაადგენს - ეს და ეს დღეები ვიუქმოთ, რომ სეტყ-
ვამ არ გაგვიფუჭოს, ნათესი და სათიბი არ წაგვიხდინოს: „მეუქმეებს“ ირჩევენ, რომელიც თვალყურს ადევნებენ არა-
ვინ დაარღვიოს დარისხება, უქმე დღე არ გასტეხოსო. დარის-
ხების გამტეხელს „სარბიელი“, დასარბევი ერთმევა. საყუ-
რადლებოა, რომ სოფ. ხახმატში სეტყვის მოსაშორებლად ქის-
ტების ხატს ლოცულობენ, მაისტის ხატს. ეს ხატი ქვისა ყოფი-
ლა და კაცი იყო გამოხატულიო ვერცხლ-პირიანი; ღრუბელი
და ბურუსი მაისტის მხრით მოდის და სეტყვა-ხორხოშელას

⁷⁸ ლ. მარგოშვილი, ჩაცმულობა, რომელიც მოდას არ დაგიდევთ, თბ., 1992, გვ. 134.

⁷⁹ Л. Хушишвили, Из Грузино-вейнахских культурно-исторических взаимоотношений, "КЕС", VI, Тб., 1986.

იქაური ხატი მოგვავლენს ხოლმეო: საკლავსაც უკლავინაშვილი ხატს”⁸⁰.

ს. მაკალათიას დაკვირვებით, თვით ხახმატის ჯვარიც ხევსურებისა და ქისტების ერთობლივი სალოცავი ყოფილა: „ხევსურების თქმით, ხახმატის ჯვარი საქონელს იცავს ქურდისა და მავნე ნადირისაგან. თუ არა ხახმატის ჯვარის ნებით, ქურდი საქონელს ვერ მოიპარავსო. ამიტომ ქისტებიც თურმელოცულობენ ხახმატის ჯვარს, რომ ხევსურეთის ამ ხატმა მათ ხელი მოუმართოს საქონლის ქურდობაში”⁸¹.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭებოდა არა იმდენად ქურდობის მიზნით ლოცვას, არამედ იმ ფაქტორს, რომ ხახმატის ჯვარი „რჯულიან-ურჯულოს” სალოცავად ითვლებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სალოცავში ქრისტიანი ხევსურებისა და მაჲმადიანი ქისტების ერთდროული მონაწილეობა გამოძახილია იმ ეპოქისა, როდესაც მათ რწმენას აერთიანებდა წინაქრისტიანული თუ წინაისლამური რელიგია ნარმართობის სახით. აქედან მომდინარე ტრადიცია ინერციით განავრძობდა არსებობას სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის. აღნიშნულის დამადასტურებელია ს. მაკალათიას მეორე ცნობაც: „ამდაში ხუცესს წიკლაურის გვარიდან ირჩევენ და ხატობას მხვენარს ის ამნყალობებს. იახსარის ხატში ათენგენობას წინათ ქისტებიც მოდიოდნენ თურმე. ქისტები ამ ხატს კვიცებს უკლავდნენ და იახსარს ცხენების გამრავლებას შესთხოვდნენ. დღეს კი იახსარის ხატს ამღელები სარემაოს უდიან. ამ მიზნით, როდესაც ცხენი კვიცს მოიგებს, ცხენის პატრონმა კვიცის მაგიერ იახსარს ცივანი ან ბატკანი უნდა დაუკლას, თორემ ხალხის რწმენით, კვიცი არ გაიზრდება”⁸².

ქართულ-ვაინახური კავშირის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი სალოცავი შატილში, რომე-

⁸⁰ ს. ხიზანაშვილი, დასახ. ნარომი, გვ. 71.

⁸¹ ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 242.

⁸² ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 265.



ლიც საერთო იყო შატილის, ანატორისა და მოსაზღვრე ქისტების სოფლებისათვის (ჯარეგო, სახანო და ა. შ.) ა. რობერტ კარაულისაგან ჩაუწერია შემდეგი: ამ სალოცავში ამაღლება დღეს იკრიბებოდნენ ქისტები და ხევსურები. როგორც ნები, დეკანოზი ყოველთვის შატილელი ყოფილა, ხოლო მედროშე - ქისტი. საკლავები თავ-თავისი მოყავდათ, რომლებიც ხევსურ დეკანოზს უნდა დაეკლა, მაგრამ ვინაიდან მაჰმადიანური რელიგია ქისტს უკრძალავდა ქრისტიანი დეკანოზის მიერ დაკლული საკლავის ხორცის ჭამას, ამიტომ დეკანოზი საკლავს ყურზე უმნიშვნელო ჭრილობას მიაყენებდა, რომ სისხლი გამოედინა და თავს კი თვით ქისტს მოაჭრევინებდა. დეკანოზი ამწყალობნებდა ყველა იქ დამსწრეს ქართულად, ამ ლოცვაში გაისმოდა ღმერთის თუ ქრისტეს სახელი, ცალ მუხლზე დაჩოქილი და ქუდმოხდილი ქისტებიც ისმენდნენ ამ დამწყალობნებას, ქისტი მედროშე დროშას აუდარუნებდა და ასე ტარდებოდა დღესასწაული გვიან გამაჰმადიანებული ქისტებისა და ქრისტიანი ხევსურებისა, რომლებიც არ ივინწყებდნენ ნინაქრისტიანულ რწმენა-წესებს. შემდეგ იმართებოდა საერთო ქეიფი. ხევსურები სვამდნენ არაყსა და მაგარ ლუდს, ხოლო ქისტები უალკოჰოლო ლუდს. ამბობდნენ ერთმანეთის სადღეგრძელოებს. აქედან მიდიოდნენ ქისტების სოფლებში და იქ აგრძელებდნენ ღრეობას⁸³.

ფიქსირებული მონაცემებიც იმ ურთიერთობის მაჩვენებელია, რაც საუკუნეების სიღრმიდან მოდის და დამახასიათებელია ისეთი რეალობისათვის, როდესაც ქართველებსა და ვაინახებს შორის სარწმუნოებრივი ბარიერი არ არსებობდა ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის სახით და ორივენი ნარმართული რელიგიის სამსახურში იმყოფებოდნენ. ახალი რე-

⁸³ А. Робакидзе, Жилица и поселения горных ингушей, "КЕС", II, 83. 100.

ლიგიებისადამი ზიარების მიუხედავად ბოლომდე ვერ შომა.
ლა ოდინდელი ერთობა სულიერი კულტურის სფეროშიცამდე
ნად, რნმენა ერთ-ერთი კომპონენტია იმ მრავალმხრივი ურ-
თიერთობისა, რაც არსებობდა და ვითარდებოდა ქართველი
და ვაინახი მთიელების ცხოვრებაში, მათ საზოგადოებრივ ყო-
ფაში, მატერიალურსა და სულიერ კულტურაში.

სულიერი კულტურისათვის დამახასიათებელ პარალე-
ლურ მოვლენებს შორის ზოგიერთი თავისებურება შეინიშნე-
ბა მიცეალებულის გლოვასთან დაკავშირებითაც. ამ მხრივ
საყურადღებოა ერთნლიანი გლოვის დამაგვირგვინებელი რი-
ტუალი, რაც მხოლოდ თუშეთში სრულდებოდა „დალაობის“
სახელწოდებით. ამ ჩვეულების არაერთი აღნერილობის მი-
ხედვით⁸⁴, რასაც ახლავს ლექსად თქმის ნიმუშებიც, მიცვალე-
ბულის წლისთავზე დალაობა იმართებოდა ხუთი მხედრის მო-
ნაწილეობით. მათი შორის რიტუალის მთავარი შემსრულებე-
ლი მიცვალებულის ცხენზე ჯდებოდა. ცხენი შავი საფენით
იყო შემოსილი და ხურჯინიც ეკიდა. მხედრების შუაში ჩამდ-
გარი მთავარი მოდალავე სევდიანი კილოთი სიმღერით იწყებ-
და მიცვალებულის შექებას, ხოლო დანარჩენები შეუბანებდ-
ნენ. მთავარი მოდალავე მოთქმით ჩამოთვლიდა მიცვალებუ-
ლის ლირსებებს, თემში და ოჯახში მის დამსახურებას, კაი-
ყმის სახელიანობას, მისი სიკვდილით გამოწვეულ უსაზღვრო
მნუხარებას, ხოლო დანარჩენი მხედრები ყოველ მის ნათქ-
ვამს „დალაიდალაის“ განმეორებით აგრძელებდნენ ლექსად
ხოტბის შესხმას. დალაობას მოყვებოდა დოლი, ნიშანში სრო-
ლა, გამარჯვებულთა დასაჩუქრება და შესანდობარის შესმა.

მკვლევართა შორის პირველად ი. ცისკარიშვილმა 1849
წელს აღნერა დალაობა და თანაც წოვა-თუშებში. მის მიერ ჩა-
ნერილი ტექსტი აღჭურვილია ნოვური ტერმინებით. ი. ცის-

⁸⁴ И. Цискаров, записки о Тушетии, газ. "Кавказ", 1849, № 10; ს. მაკა-
ლათია, თუშეთი, გვ. 171-178; გ. ბოჭორიძე, თუშეთი, გვ. 310-311.

კარიშვილის შემდეგ ს. მაკალათიამ და გ. ბოჭორიძემ დალაშვილის ბა აღნერეს გომეწრის, ჩაღმისა და პირიქითის თემების თუ-
შებში. ლ. მარგოშვილის ცნობით, 1940-იანი წლებიდან წოვა-
თუშების ცხოვრებაში ეს ჩვეულება მოშლილა⁸⁵. როგორც
ჩანს, მთიდან დიდი ხნის ნინ ჩამოსახლებულმა წოვებმა ზო-
გიერთ სხვა მამაპაპურ ჩვეულებასთან ერთად ეს რიტუალიც
დაივიწყეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათვის და-
ლაობა არ იყო ცნობილი. პირიქით, სხვა რომ არაფერი, სა-
ხელნოდების მიხედვით მაინც წოვა-თუშების პრეროგატივაა
საგულვებელი. ამ მხრივ დამაფიქრებელია პირველ რიგში გი-
ულდენშტედტის ცნობა ქისტების შესახებ: „მათ სწამთ ერთი
ღმერთი, რომელსაც დაკლა-ს უნოდებენ და არ იციან არც
კერპები, არც სხვა ღმერთები და ნმინდანები”⁸⁶. ანალოგიურ
მდგომარეობას აღნიშნავს ინგუშებში: „მათ სწამთ მხოლოდ
ერთი ღმერთი, რომელსაც დაილას უნოდებენ, თუმცა არ
იციან არაფერი ნმინდანების, ან რელიგიაში მნიშვნელოვანი
პიროვნებების შესახებ”⁸⁷.

ღვთაების ორივე ხსენებული სახელნოდება, უფრო მე-
ტად კი მეორე, ფაქტობრივად იგივეა, რაც „დალა//დალე”,
რასთან დაკავშირებითაც ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა: „ღმერ-
თის XVIII ს. ქისტური სახელი დალა-დ გვაქვს აღბეჭდილი.
თანამედროვე ქისტურად კი დალა-ს ეძახიან”. ქისტურთან მი-
მართებაში ივ. ჯავახიშვილი წოვურ ენობრივ მონაცემებსაც
ეხება: „წოვურში XVIII ს. სახელად დალე გვაქვს. ეხლა ღმერთს
წოვები დალ-ს უნოდებენ, დალე კი ნათ. ბრ. ფორმაა. დალობა
უკვი ღვთაებას ნიშნავს”⁸⁸. ნათქვამის დამადასტურებელია

⁸⁵ ლ. მარგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

⁸⁶ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გ. გელა-
შვილის გამოც., თბ., 1964, გვ. 71.

⁸⁷ გიულდენშტედტი, ტ. II, გვ. 121.

⁸⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, ეპიკასიისა და მახლობელი აღ-
მოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950,
გვ. 185.

სხვა მკელევართა განმარტებებიც: ზ. მალსაგოვი და ბ. ალბოროვი მიუთითებენ, რომ „დალა//დალე“ ვაინახური ჭარტულება და ღმერთს ნიშნავს⁸⁹, ხოლო ს. მაკალათიას დაკვირვებით, „დალა“-დან წარმოებული თუშური „დალაობა“ ნიშნავს „ღმერთი ვახსენოთ“⁹⁰.

არსებული მონაცემების მიხედვით, დალაობა თუშეთის ყველა თემის მცხოვრებთა ჩვეულებას წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც მისი სახელნოდებიდანაც ჩანს, თუშეთში შემოსული უნდა იყოს ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან. თანაც ამაზე მიგვანიშნებს მისი ანალოგიური ჩვეულება ვაინახებში, რის შესახებაც ლ. მარგოშვილი წერს: „თუშური დალაის წარმოთქმა, სახელდობრ, ბანის მიცემა, გვაგონებს ვაინახურ ძიქარ-ს, რომელიც სრულდება მიცვალებულის გასვენების დღეს და მასთან დაკავშირებული წესების (ორმოცი, დოლი) შესრულების დროს. ვაინახებში 10-12 მამკაცი წრედ დადგებიან და დამნუხრებული ხმით ერთი წამოიწყებს „სიმღერას“ და სხვები კი ბანს აძლევენ. შესაძლებელია დალაი მეზობლობის, წათესაობის შედეგად ერთიმეორისაგან გადალებული წესი იყოს და შემდგომ, რელიგიის შესაბამისად, ყოფაში თავისებურადაა განმტკიცებული. ფაქტია ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დალაის შესრულება მარტო თუშეთშია დადასტურებული“⁹¹.

ის გარემოება, რომ ერთიმეორის მსგავსი ორი ჩვეულება პარალელურად არსებობდა ვაინახებსა და თუშებში, დამატებით იმის გათვალისწინებითაც, რომ ვაინახური სიტყვა დალა ღმერთს ნიშნავს და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალი თუშეთშიც ვაინახური სახელნოდებით იყო

⁸⁹ 3. Мальсагов, Ингушская грамматика со сборником ингушских слов, Владикавказ, 1915 გვ. 139; Б. Алборов, Ингушское "галлерды" и осетинское "альерды", "ИНИИИК", Владикавказ, 1918, გვ. 356.

⁹⁰ ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 172.

⁹¹ ლ. მარგოშვილი, დასახ. წაშრომი, გვ. 73.

ცონბილი, ვაინახებისა და თუშების მეზობლობით განპირობებული ურთიერთობის მაჩვენებელია. როგორც ჩანს, მათი კულტურული კავშირი გამოვლდინდა პირველ რიგში ვაინახებისა და წოვა-თუშების ცხოვრების ნესში, ხოლო შემდეგ გავრცელდა დანარჩენი თუშების ყოფაშიც.

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ-ვაინახური კულტურული და სარწმუნოებრივი ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა. ამ ურთიერთობაში პრიორიტეტული მლგომარეობა ჰქონდა საქართველოს მისი მაღალგანვითარებული სახელმწიფო ორგანიზაციით, კულტურით, ენით და სარწმუნოებით. ნათქვამის საფუძველია ქართული ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლების მრავლად არსებობა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე, ქართული წარწერების ფაქტები, მონაცემები ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შესახებ, მასთან დაკავშირებული სიმბოლიკის არსებობა ჯვრების თუ სამღვდელოების სამოსელის სახით, ქართული ნასესხობები ნახური ლექსიკის სფეროში. კულტურულ-სარწმუნოებრივ ურთიერთობაში შეინიშნებოდა ერთის მხრივ, ქრისტიანობის საქართველოდან გავრცელებისა და მერმე ქრისტიანული სარწმუნოების ისლამით შეცვლის პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა. ორი სხვადასხვა რელიგიის მსახურთ აკავშირებდათ ქრისტიანობამდელი და ისლამამდელი სარწმუნოება წარმართობის სახით, რასაც თავის დროზე ერთნაირად მისდევდნენ ქართველი და ვაინახი მთიელები, ხოლო შემდგომ პერიოდშიც, სარწმუნოების სხვადასხვაობის მიუხედავად, გრძელდებოდა ამ უძველესი ტრადიციის შესრულება.

პავშვის აღზრდის ტრადიციები საქართველოში

თანამედროვე საქართველოში, როცა პრინციპულად დგება საკითხი, თუ რა სტრატეგიული მიმართულებანი უნდა ავირჩიოთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის, დიდ მნიშვნელობას იძენს მემკვიდრეობითობის უნივერსალური პრობლემის გადაწყვეტა: თუ რა მემკვიდრეობას უნდა და-ვეყრდნოთ იმისათვის, რომ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალ-ეკონომიკურ სტრუქტურებს.

თავის დროზე, კერძოდ კი, 1918 - 20-იანი წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რეფორმების გატარებისას, ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული სახელმწიფოს ნარმატებითი მშენებლობისათვის აუცილებელია რეფორმის განხორციელება ჩვენი უძველესი და უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის გათავისების საფუძველზე. საჭიროა საუკუნეების მანძილზე ხალხის პრაქტიკული ცხოვრებით შობილი პრინციპების ახალ ისტორიულ პირობებში აღორძინება და მათი შემდგომი განვითარება.

ეს მითუმეტეს ეხება ეროვნული ცხოვრების ისეთ დიდ-მნიშვნელოვან სფეროს, როგორიც ოჯახური ტრადიციები და ბავშვთა აღზრდის ხალხური პრინციპებია. ოჯახი იყო, არის და მარად დარჩება ჩვენი ეროვნული მეობისა და თვითმყოფა-დობის „ბალავრის ქვად“, აღნიშნავდა დიდი ილიაც და სა-სტიკი კრიტიკის ქარცეცხლში უცნებდა იმათ, ვიხც ჩვეხი ეროვნული ყოფაცხოვრების და საოჯახო ურთიერთობის წინა-აღმდეგ გამოიდოდა. ამ მხრივ სამაგალითოა მისი პოლემიკა სომებ ნაციო/ალისტ-დაშნაკთან გიორგი თუმანოვთან, სადაც იგი საქართველოს მომავალს სწორედ ოჯახის სიმტკიცეს,

დედაქაცობის ძველი ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების უკავშირებს. ერისა და ქვეყნის საქმეთა უუღმა მაშინ დატრიალდება ხოლმე, როცა ეს „მტკიცე ზღუდე-გალავანი მოეშლება“ – ასკვნის იგი (1, გვ. 99-100).

ერთი სიტყვით, ჩვენი დიდი ერისკაცები საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ ოჯახურ-საყოფაცხოვრებო ტრადიციებსა და ახალი თაობის სწორი აღზრდის გადამწყვეტ მნიშვნელობას ერის სამომავლო განვითარებაში და ამ მხრივ ოჯახის პრობლემა, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა დღევანდელ გარდამავალ პერიოდშიც. სწოდერ გარდამავალ პერიოდში უნდა გადაწყდეს ჩვენი 200-წლოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი პოლიტიკური საკითხი – ქართული სახელმწიფოს აღდგენა-აღორძინება და მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარება.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ როგორიცაა ოჯახი, ისეთია ბავშვიც. ამდენად, სხვა ფაქტორებთან ერთად, ოჯახს უდიდესი გავლენა აქვს ბავშვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ოჯახი, საზოგადოების მცირე უჯრედია, და რამდენადაც ძლიერია ოჯახი, საზოგადოებაც იმდენად ჯანსაღი და ძლიერი იქნება. თავდაპირველად, ოჯახმა უნდა უზრუნველყოს ბავშვის ბედნიერება, სიყვარული, ჰარმონია.

ჩვენ გვქონდა შესანიშნავი სიტყვა ოჯახისშვილი, რომელმაც სამწუხაროდ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ოჯახი ერის ბურჯია, ამიტომ, როდესაც ერის მოსპობა სურდათ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ პირველ რიგში გაუფასურებულიყო ოჯახის გავლენა. „ჩვენზე გრიგალივით გადაიარდა მრავალნაირი ურდოები, მრისხანე შემოსეული ლამქრები, წაიღებდა ყველაფერს, წალეკავდა ყოველივეს, მაგრამ ვერ წალეკავდა ძირითად ასოციაციას – ოჯახს და გვარს და ესენი ერთიმეორის დახმარებით კვლავ ფეხზე დგებოდნენ – ერი არ კვდებოდა. ცივილიზაციის ახალ ხანაში მრავალნლიანი ოჯახის როლი და მისდამი ინტერესი დაქვეითდა, ოჯახის დაშლაც



გაადვილდა, მაგრამ XX ს-ის პირველ ნახევარშიც „ქართველი დებს ჯერ კიდევ ყველაზე უფრო შერჩათ ოჯახის ძველებულად გაება“ (2, გვ. 98-99).

ოჯახი ჩნდება გვაროვნული წყობილების დაშლის საფეხურზე, მანამდე კი ძირითად სოციალურ ერთეულს ნარმაზე გენდერიზაციას გვარი, სისხლით მონათესავე პირების ბუნებრივი საზოგადოებრივი გაერთიანება, ხოლო გვართა კავშირი შეადგენდა ტომს (4, გვ. 110).

როგორც ვალერიან ითონიშვილი შენიშნავს: „ივ. ჯავახიშვილის დამსახურება იმის აღნიშვნა, რომ V საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში იქცა ოჯახის ძირითად ფორმად, ხოლო მის პარალელურად, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილის სხვა გამოკვლევებიდანაც ნათლად ჩანს, ქართველი ხალხის ყოფაში არსებობას ინარჩუნებდა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა დიდი ოჯახის სახით (5, გვ. 11).

XIX საუკუნეში არსებული დიდი ოჯახი გენეტიკურად უკავშირდება საოჯახო თემს და ნარმოადგენდა მის გადმონაშთურ სახეობას. დიდი ოჯახის შენარჩუნების ყველაზე უფრო მტკიცე საფუძველს ნარმოადგენდა საოჯახო-თემური საკუთრების მოუშლელობა (6, გვ. 34).

ოჯახის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბავშვის აღზრდის სისტემას. ბავშვი რომ იზრდებოდა, ოჯახში მისთვის სამაგალითო იყო ყველა მის გარშემო მყოფი. ბავშვს უხამსობას არავინ აპატიებდა. სამნუხაროდ საბჭოთა პერიოდში „ოჯახისშვილობის“ გვერდით „არაოჯახისშვილები“ მომრავლდნენ, მოიშალა აღზრდის ის ფორმა, რომელიც სრულფასოვან ადამიანს აყალიბებდა, ბევრი საუკეთესო თვისება, რომლითაც ცნობილი იყო ქართველი, დაიკარგა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არა სამუდამოდ; ქართველი, აღათ, კვლავ დაიბრუნებს თავის ჩვეულ სახელს.



ოჯახი, შვილები, საზოგადოების, ერის ერთ-ერთი ფუნქცია იყენდება, საძირკველია. ოჯახი, ადამიანთა საზოგადოების ბაზაზე, მისი ძირითადი უჯრედია, რომლის შექმნა, „დაარსება უდიდე-სი პრობლემაა, გაძლიერა – კი „უდიდესი და უმაღლესი მოვა-ლეობაა“. ახალი ოჯახი იქცევა იურიდიულ პირად, საზოგადო-ების ახალ უჯრედად“ ოჯახის ფუნქცია არის არა მარტო ადა-მიანთა გამრავლება, არამედ შვილების აღზრდა ჰუმანიზმისა და მოთმინების, გამძლეობისა და თანასწორობის ურთი-ერთპატივსცემისა და ძმობის ქრისტიანულ პრინციპებზე (7, გვ. 14-15).

საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთ-რებული ყურადღება ენიჭება ოჯახს, რამეთუ ოჯახი მუდამ ეროვნული თვითმყოფადობის სახეს ქმნიდა და, ამდენად, ბავ-შვის აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა განეკუთვნე-ბოდა.

ნოე უორდანია მოუწოდებდა თავის ერს დაეცვა ბუნებ-რივობა, არ გაჯიბრებოდა უგზო-უკვალოდ მქროლავ დასავ-ლეთს და შეენარჩუნებინა საკუთარი ეროვნული, ადამიანური სახე, ოჯახი, საზოგადოება, კულტურა, რამეთუ, როგორც სარგის ცაიშვილი წერდა: „მიმბაცველობისა და პროვინცი-ალიზმის მძიმე სნეულება სულიერი და ზნეობრივი გადაგვა-რებისაკენ ეზიდებოდა ქართველ ხალხს (8, გვ. 15).

ბავშვის აღზრდის მრავალრიცხოვან საშუალებებში სა-თანადო ადგილი ეჭირა სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმას, მათ შორის სწავლა-დარიგებას, რასაც ბავშვი უშუალოდ ასე-ვე ოჯახიდან ღებულობდა. აღზრდის პროცესში აღმზრდელე-ბი ცდილობდნენ თავიანთი შვილიშვილებისათვის შთაენერ-გათ მაღალზნეობრივი ქცევის ჩვევები. ბავშვის ზნეობრივი განვითარების ძირითადი საფუძველი იმ ადამიანთა ტრადი-ციებისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლა იყო, რითაც ისინი ცხოვრობდნენ. აღზრდის უპირველესი მიზანი იყო ხალხური



ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლა, რაც არ მათ შვი, უნინარეს ყოვლისა, მშობლებისაგან ღებულობდა.

აღზრდას ჩვენში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა. იყო დრო, როდესაც ყველა ბავშვს ერთნაირად არ ზრდიდნენ: ზოგს ყრმობიდანვე სასულიერო სამსახურისა და სამონასტრო ცხოვრებისათვის ამზადებდნენ, ზოგს – საერო სამსახურისათვის და ა. შ.

საგულისხმოა მეფე-პოეტის არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ (9, გვ. 9-16). რომელიც ფეოდალური ზნეთსნავლულების მხატვრული კოდექსია და თავისი დროისათვის მოწინავე იდეებს ქადაგებდა.

აკად. ნიკო ბერძენიშვილმა მნიშნელოვნად გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა არისტოკრატიის, და განსაკუთრებით ქართული არისტოკრატიის ფორმირების პროცესზე იმით, რომ გვარიშვილობისა და სიმდიდრის გვერდით, უფრო სწორედ მაღლა, კარგად აღზრდა დააყენა. ის ემყარება აკად. ნიკო მარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ XII საუკუნეში შექმნილ ლექსში „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“, ასახულია ქართული ჰუმანიზმის პოლიტიკური შინაარსი. ნიკო ბერძენიშვილი თავს უყრის უამრავ ისტორიულ მასალას და დაასკვნის: „ის ფაქტი, რომ ზრდილობა ასე ძვირად ფასობდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, რომ ზრდილობას აქ აგრე დიდი პატივი ედო, მხოლოდ იმის მაჩვენებელია კი არ იყო, რომ ეს საზოგადოება მაღალგანვითარებული იყო, არა-მედ იმისაც, რომ ამ საზოგადოებაში შესასვლელი კარები დახშული არ იყო, რომ ზრდილობიან ადამიანს ამ საზოგადოებაში შემოსვლის საშუალება ჰქონდა, ზრდილობა რომ გვარიშვილის პრივილეგია არ იყო (10, გვ. 163-168), სწორედ ოჯახში ეზიარებოდა ბავშვი ზრდილობის ამ ელემენტებს, რითაც თავი მოჰქონდა ყოველთვის ქართველ კაცს.

აკად. ნიკო ბერძენიშვილის გამოკვლევით, დადგენილია სასკოლო ასაკის საწყისი პერიოდი – შვიდი წელი, გიორგი

ათონელის ბიოგრაფიის მიხედვით შესრულებულ გამოკვლეულ გაში „მასალები მეთვრამეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდისათვეს შესახებ”, იგი წერს გიორგის დედ-მამამ პირველი ქალი – თექ-ლა, შვიდი წლისა როცა შეიქმნა, მონასტერში წაიყვანა, ნინამ-ძღვარმა აიყვანა ის და „ვითარცა შვილი თვისი” კეთილად აღ-ზარდა... აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ნ. ბერძენი-შვილი დასკვნის: „შვიდი წელი, როგორც ჩანს, მიღებული ყო-ფილა საკმაო ჰასაკად, რომ ბავშვის დედ-მამამ მოიცალოს და აღსაზრდელად გასცეს. ჩანს სწავლა-აღზრდა იწყება შვიდი წლიდან” (11, გვ. 20).

აქვე აღნიშნავთ იმასაც, რომ ნ. ბერძენივშილის გამო-კვლევით პირველად დადგინდა ძველ საქართველოში შემუშა-ვებული ასაკობრივი პერიოდიზაციის სქემა, რომლის მიხედ-ვით ექვს პერიოდს გაივლის ადამიანი დაბადებიდან მოხუ-ცებულობამდე.

1. ჰასაკი - ჩჩვილი (შვიდ წლამდე),
2. ჰასაკი - ყრმა,
3. ჰასაკი - ჭაბუკი,
4. ჰასაკი - სრული,
5. ჰასაკი - განმწყესებული
6. ჰასაკი - მოხუცებულობის

სასწავლო ჰასაკია პირველი სამი – 50 წელი სიბერედ არ ითვლება (12, გვ. 22).

ივ. ჯავახიშვილი ავლენს ადამიანთა ორივე სქესის ასა-კის შესაბამის სახელწოდებებს და ერთმანეთისაგან მიჯნავს ყრმობას და ჰასაკებს, რომელთაგან პირველი გამოხატავდა ბავ-შვილის ასაკს, ხოლო სქესობრივი მომწიფების პერიოდიდან ივულისხმება ჰასაკად მოსვლა (13, გვ. 130-138).

ოჯახი, ასევე დიდ ყურადღებას უფლობდა მოზარდთა აღზრდას ჰატრიოტიზმისა და ჰუმანურობის, მშობლიური ენ-ის, ტრადიციების, თავისი ხალხისა და მშობლიური მიწის სი-



ყვარულის, კეთილსინდისიერების და პატიოსნების ცენტრის მიერთებით. ამ მიზნით ბავშვებს უყვებოდნენ ძველ საგმირო ამბებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, თქმულებებს, რაც ხელს უწყოდა მათ გონიეროვ განვითარებას. ასე ზრდიდა ოჯახი თანდათანობით მამულიშვილს.

„მამულიშვილის“ აღზრდა სათუთი ხანგრძლივი პროცესია. ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა საზრდოობდეს მამულიშვილური სულისკვეთებით. ამ სულისკვეთების ნებაროს კი მისთვის უნდა ნარმოადგენდეს ოჯახი.

მამულიშვილობის პირველი და რეალური გაკვეთილები მოზარდმა ოჯახში უნდა მიიღოს. მშობელი, რომელიც ჯანსაღი საზოგადოებრივი და პატრიოტული იდეალებით ცხოვრობს და მოღვაწეობს მომავლისათვის უაღრესად შთამბეჭდავ ზნეობრივ მაგალითს ნარმოადგენს. კარგი მაგალითი კი მოზარდისათვის შეუცვლელი მასწავლებელია.

ოჯახი სწორედ ამ თვისებებით განსხვავდება სკოლისაგან. სკოლაში ასწავლიან, ოხახში უჩვენებენ.

ოჯახის ამ თავისებურებაზე საგანგებოდ მიუთითებს ანტონ მაკარენკურ და აფრთხილებს მშობლებს, რომ მოზარდების თვალწინ ყოველთვის ფრთხილად იყვნენ, რადგან ოჯახში ბავშვები იზრდებიან არა მხოლოდ მშობელთა რჩევა-დარიგებით და არა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი შვილებთან არიან, არამედ მაშინაც, როცა მშობლები შინ არ არიან და მოზრდილები მათი ქცევებისაგან მიღებული შთაბეჭდილებებით საზრდოობენ. სწორედ მშობელია ყრმის მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდის მთავარი წაყარო.

ყრმის პატრიოტული აღზრდისათვის ოჯახს მდიდარი შესაძლებლობანი გააჩინია. ოღონდ მთავარია სამშობლოს ეროვნული ინტერესებისათვის ზრუნვა, მშობლის საქმიანობის ნარმართველ მოტივს ნარმოადგენდეს (14, 31.09.91).

ჩვენი განმანათლებლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბავშვის აღზრდას. კერძოდ აკაკი წერეთლის პედაგოგიური

յონცეფციის ამოსავალი პრინციპია აღზრდის საზოგადოებრივი რიგი დანიშნულების აღიარება „კარგი აღზრდა საზოგადოების წინსვლაა, ცუდი აღზრდა – კი მის წახდენას მოასწავლებო – წერდა აკაკი.

აკაკი ღრმად არის დარწმუნებული ბავშვის ფიზიკური წრთობის აუცილებლობაში, კერძოდ სპარტანული აღზრდის სიკეთეში: „საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ – წერს აკაკი, – სპარტანულად გვზრდიდნენ არ გვარიდებდნენ არც სიცივეს, არც დარს და არც ავდარს. დილდილაობით ცვრიან ბალაზზე ფეხშიმველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა. დასველებული და სიცივისაგან გაჭარბლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ჯანმრთელობა მოგვემატებოდა. მართალია სპარტანული აღზრდა გაცილებით უფრო მკაცრი და რთულია, ვიდრე „ცვრიან ველზე ფეხშიმველა გარბენა, მარგამ თვით საკითხის დაყენება, აკაკის მხივ სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური წრთობის აუცილებლობის შესახებ ანგარიშგასაწევია დღესაც (15, გვ. 78).

დედის აღმზრელობითი საქმიანობის მთავარი პრინციპი, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდაში, იყო ბავშვის შრომაში აღზრდის პრინციპი. აკაკი წერეთლის დედაც ღრმად იყო დარწმუნებული შრომის აღმზრდელობით პოტენციალში და უდიდეს პატივს სცემდა შრომას, შრომისმოყვარეობის მიხედვით აფასებდა თითოეული ადამიანის პირად ღირსებასაც. ყველას გასაგონად ხშირად იტყოდა ხოლმე „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარი ბოროტებისა“ -ო (6, გვ. 162). ამიტომაც უსაქმოდ არავის გააჩერებდა.

ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხივ ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით საქართველოში, კერძოდ გურიაში, ოჯახი მტკიცე და ჰარმონიული იყო. ოჯახის ყველა წევრის ფუნქცია



გარკვეული იყო. ყველამ იცოდა თავისი მოვალეობა, მოვალეობა კმარი პატივისცემით ექცეოდა ერთმანეთს. შვილი მომარწმუნების იყო მშობლისა. ზრდილობაც უნინ მეტი იყო. ასეთ ამბებს, რაც ახლა ხდება, სად გაიგონებდით, მაშინ თემი ჩაქოლავდა უნესო ადამიანს, რწმენაც მეტი ჰქონდათ. მშობელს მხოლოდ ბატონობით მიმართავდნენ. სინდის-ნამუსი იყო. ენდობოდნენ ყველას და ყველაფერს. ახლა ნდობა აღარაა, რწმენა აღარაა.

ბავშვების ფიზიკური დასჯა წესად არ იყო. ჩემი შვილები ახლაც უსიტყვოდ მემორიილებიან. დავასაქმებდი ბავშვს, უსიტყვოდ გაიკეთებდა ყველაფერს. უჩემოდ ვერსად გაძე-დავდა წასვლას.

შვილს სალანძღავი სიტყვებით არ მივმართავდით, ვინაიდან ბავშვი რასაც უყურებდა და რაც ესმოდა, იმასვე აკე-თებდა. აღზრდის ასეთი ფორმა შთამომავლობიდან-შთამომავლობამდე გადადიოდა; არ მახსოვს მამა სახლში შემოსულიყო და ხმამაღალი სიტყვა ეთქვას, ან ჩვენ ფეხზე არ ავმდგარიყავით და ისე არ შევგებებოდით.

ბავშვებს არ გვათამამებდნენ. ფეხზე კარგად სიარული რომ შეგვეძლო, იმ ხნიდან თითქმის დაკავებული ვიყავით პატარ-პატარა საქმეებით. ახლანდელი ახალგაზრდობა კი, შეიძლება ითქვას, თითქმის მთლიანად დაუსაქმებელია. ჩვენ დროს მამაკაცი თავის საქმით იყო დაკავებული, ქალი კი – ქალის საქმით. მამაკაცის ძირითად მოვალეობას ოჯახში შეადგენდა საგარეო საქმეების მოგვარება, ყანაში მუშაობა. იგი ჩალანგდარიც იყო.

ქალი, ძირითადად, დიასახლისი იყო. გურიაში, ქალის გარეთ, მაგალითად, ყანაში მუშაობა არ იყო მიღებული. იგი, ძირითადად, ოჯახში ტრიალებდა, შვილებს ზრდიდა, კერავდა, ქსოვდა, ქარგავდა. საოჯახო აღზრდა იყო მტკიცე სკოლა, რომელიც მამა-პაპის მიერ გადაეცემოდა მემკვიდრეობით თაობიდან თაობას (17).

და ბევრს ფიქრობენ იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყონ ხელისა და მოვალეობის სიმტკიცეს, იმას, რომ ქალი მეტად დაკავდეს მჯახში და ამავე დროს მრავალი შვილის ყოლის სურვილი ჰქონდეს. ამ პრობლემებზე დაფიქრება, რასაკვირველია, საჭირო ვინაიდან, მართლაც, სტატისტიკას რომ მივმართოთ, დღეისათვის საქართველოში ასეთი მდგომარეობაა: 5 მილიონი მოსახლეობიდან 69%-ია ქართველი, ერთობ დაბალია ბუნებრივი ნამატი (9,5%) და შობადობის (17,5%) კოეფიციენტი ქართველთა ხვედრითი ნილი ყველაზე მცირეა სხვა ხალხებთან შედარებით. ასეთ ვითარებაში, ყველანი იმ აზრისა ვართ, რომ ერს გამრავლება სჭირდება, ოჯახებს მეტი სიმტკიცე, მაგრამ ვერაფრით დავეთანხმებით იმათ მოსაზრებას, რომელთაც ამის მიღწევა სურთ ქალის სწავლა-განათლების აკრძალვით ან შეზღუდვით. საკითხის ამგვარად დაყენება არასწორად მიგვაჩინია. ფეოდალურ ეპოქაშიც ხომ მნიგნობრობა და წერა-კითხვა ქალის საქმე იყო. ქალი რომ თხოვდებოდა, მას „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ მზითვად და ეს შემთხვევითი არ იყო. შვილების აღზრდას, ყოველ დროსა და ეპოქაში, დედა წარმართავდა და წერა-კითხვის პირველდაწყებითი სწავლებაც, ბავშვისათვის, სწორედ დედის ინიციატივით ხდებოდა.

დღევანდელ საზოგადოებაში ქალის უსწავლელობა მთლიანად მოშლის ჩვენი ცხოვრების რიტმს; შეუთავსებელი იქნება ქალისა და კაცის ურთიერთობა. ამ საკითხების გადაჭრა, ვფიქრობ, ალბათ, უფრო სხვა გზით უნდა მოხდეს, კერძოდ, ოჯახებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, მატერიალური და მორალური დახმარებით.

ჩვენი განმანათლებლების აზრიც ქალთა სწავლა-აღზრდის შესახებ ასეთი იყო:

„დედათა სქესმა კაცობრიობის უკეთესთა წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით, უკვე დაიმტკიცა“

უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და
ეხლა მარტო პრმანი და თვალახვეულნილა ეურჩებიაზაჲულება...
ლებას...

იგი უსამათლობა, რომელიც დღეს აქამომდე დედათა
სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას, საძიძაოდამ და
სამზარეულოდამ გარეთ არ უშვებდა და ამით გარე არავი-
თარს საქმეში მონაწილედ არ ხდიდა, ასე რომ ლუკმაპურის
საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს
ერთხელ ფეხადგუმლს მოძრაობას (18, გვ. 194).

„...გვერდი ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი,
ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგლით უზომავენ ადგილს და დედა-
კაცი ადამიანობიდამ ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცო-
ლობისა და დობის უღელი გააწევინონ, ესე იგი ბევრისაგან
ცოტა უწყალობონ“ (19, გვ. 372).

ილია ჭავჭავაძე დაასკვნის, რომ განათლებული ქალი
უფრო კარგი ცოლი, და, დედა და, რაც მთავარია, კარგი აღმ-
ზრდელი იქნება:

„ესეთს აზრებით, რწმენით და თვალთამხედველობით
დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვი-
ლად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას, და უკვე გა-
ნათლებულის ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსა-
კუთრებულს ცოდნას, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის
საჭირო იქნება (20, გვ. 336).

აკაკი წერეთელიც ამ აზრს ავითარებს და თვლის, რომ
ქალებს უნდა მიეცეს განათლება. წარმოიდგინეთ, ქალებს
უპირატესობასაც კი აძლევს ეროვნული საკითხების გადა-
ნუვეტაში, მამაკაცთან შედარებით:

„ეროვნული ნაყოფი ქალებს მეტი მოაქვთ, ვიდრე ვა-
ჟებს თუმცა სულ მოკლე ხანია, რაც ისინი გამოდიან ასპარეზ-
ზე და მიტომაც საჭიროა, რომ ქალებს მეტი ყურადღება მი-
ვაქციოთ, ვიდრე ვაჟებს“ (21, გვ. 490).

„კაცებსა ჰეროინით, რომ ქალებს ჩიტივით გაზრდისა და გათხოვების მეტი არა უნდათ რა, მაღლობა ღმერთს, რომ უცხოურია არ დაიჯერეს ქალებმა და ეს ერთი ხანი მიჰყვეს ხელი თვით-განვითარებას, დადიან ეს რამოდენიმე წელიწადია მაღალ სასწავლებლებშიაც და გლეხურად ვიტყვი, მოსავალსაც კარგი პირი უჩანს” (22, გვ. 489).

დაბოლოს დასძენს: „მართალია, იქიდან ყველა აქტრისა ვერ გამოვა, მაგრამ სამაგიეროდ გამოვლენ კარგად მომზადებული ქართველი ქალები, რომელნიც შვილებსაც გამოზრდიან და ოჯახსაც ნაუძღვებიან” (23, გვ. 489).

ალბათ, ორი აზრი არ არსებობს რომ ქართველმა ქალებმა განათლება უნდა მიიღონ და საკმაოდ მაღალი განათლებაც სწორედ იმისათვის, რომ კარგი დედა და ოჯახის დიასახლისები იყვნენ, და მათი შეგნება უნდა ავიყვანოთ იმ დონემდე, რომ ერს გამრავლება და ოჯახს სიმტკიცე ჭირდება, რაშიც ქალს მართლაც უდიდესი და გადამწყვეტი როლი განეკუთვნება.

აქედან გამომდინარე დიდია დედის როლი შვილების საქმეში. შვილები უნდა აღიზანდონ ჩვენი საზოგადოებისა და ცხოვრებისათვის შესაფერის მოქალაქეებად, რაც, უპირველეს ყოვლისა, შრომით აღზრდას გულისხმობს. სკოლის ასაკამდე ბავშვის აღზრდა მთლიანად, მშობელზეა დამოკიდებული. ამ საქმეს სათავეში ძირითადად დედა უგდას, ამიტომ ბავშვის სწორად აღზრდის ელემენტებს დედა უნდა ფლობდეს, სწორედ დედამ უნდა ჩაუნერგოს შვილს შრომის დიდი სიყვარული, სულიერი სისპექტაკე, კაცომიყვარეობა. ერი ყოველთვის ამაყობდა კარგი აღმზრდელი დედებით. ცხოვრების ასპარეზზე გასულ ახალგაზრდას უმაღლ ეტყობა ოჯახიდან გამოყოლილი დადებითი ან უარყოფითი თვისებები. მშობლები ხშირად იმიზეზებენ, ოჯახში ყველა ვმუშაობთ და დრო არ გვრჩებათ. ის კი ავიწყდებოდათ, რომ ბავშვს დღეს რასაც დაკალებ, ხვალ ვერაფრით შეუვსებ. ამავე დროს, ყველა მშო-

ბელმა უნდა იცოდეს, რომ ის მშობელია და პასუხისმგებელი /
თავის შვილზე ქვეყნის წინაშე. დიდი ილია ამ მოვალეობაზე უკუკი
განსაზღვრავდა: „ტანთ მოიკელი, ფეხთ მოიკელი, მშიერ-
მწყურვალი იარე და ნუ ჩადგები ჯერ შვილისა და მერე ქვეყ-
ნის ცოდვაში – აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზე იმ წმინ-
და საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან. ეს ბრძნული
შეგონება უნდა ახსოვდეს ყველას და შვილების აღზრდა არ-
ამც და არამც მეორეხარისხოვან საქმედ არ უნდა მიიჩნიონ”.

ვაჟა-ფშაველა ქალის მოვალეობასა და ადგილს ცხოვ-
რებაში ასე განსაზღვრავდა:

„დედაკაცს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხო-
ვრებაში. კაცობრიობა შესდგება სხვადასხვა ერებისაგან, ერ-
ები ცალკე ოჯახებისაგან, ხოლო საძირკველი პირველისა, მე-
ორისა და მესამისა არის პიროვნება, ცალი ადამიანი; რამდე-
ნადაც მათი შემადგენელი ადამიანები არიან სრულნი, ამაღ-
ლებულნი, განვითარებულნი და ბედნიერნი, იმდენადვე ამაღ-
ლებულია ოჯახი, ოჯახის გარეშე – ერი, ერის გარეშე – კაცო-
ბრიობა. თავი და თავი, მაშასადამე, ოჯახის გონივრულად
მოწყობა უნდა ვალიაროთ, ხოლო ოჯახში უფლობს დედაკაცი.
დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში დიდზე და პატარაზე: შვი-
ლების პირველდანწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნე-
ლობა აქვს, დედის ხელშია: დედაა გადამწყვეტი შვილების ბე-
დილბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებუ-
ლი, თუ დედამ რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის
ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდავი გული და გონება... ამიტომ
საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, რათა შინ ოჯახ-
ში და გარეთ საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას
ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდეც
აღადგინოს.

როგორც დღეს, ისე მომავალში დედაკაცი უმთავრესად
უნდა ემსახურებოდეს ოჯახს და შვილების აღზრდას, თუ ამას

ლირსეულად შეასრულებს, დიდს, ძალიან დიდ საქმეს გააკეთონებს, დიდს ამაგს დადებს თავის ქვეყანას (24, გვ. 302).

შემდეგ ვაუა-ფშაველა გვიზიარებს საზოგადოების აზრს ქალის შესახებ და გვამცნობს თუ რას ავალებს ის დედაკაცს ქვეყნის წინაშე:

„საზოგადოებრივი აზრი და ჩვეულება ამრიგად დედაკაცს ბევრს მოვალეობას ადებს კისრად და ყოველივე ეს კი მოითხოვს მისგან მხნეობას, შრომას და მომჭირნეობას, რაშიც ფშაველ დედაკაცს იშვიათად თუ ვინმე შეედრება. იგი მარტო ოჯახს როდი უვლის და მის საქმეებს განაგებს, აწესრიგებს, ამავე დროს ოჯახის გარეთაც შრომას ეწევა, შვილის აღზრდასაც არა ჰლალატობს: სიცხე-პაპანაქებაში ხშირად ჰნახავთ ფშაველის დედაკაცს სადმე გვერდობში ყანას ჰმეტეს გაცხარებული, ხოლო იქვე პალოებზე აკვანი იყოს მიბული, რაშიც ძუძუთა ბავშვი წევს ხის ტოტებით დაჩრდილული, მოგრილებული” (25, გვ. 302).

აკაკი წერთელი, შეიძლება ითქვას, აჯამებს ქალის იმ უდიდეს როლს, რაც მას აკისრია ერის წინაშე: „ამ პატარა საქართველოს შემოსეული ჰყავდა ირგვლივ მტრები და უნდოდათ მოესპოთ. ეს ერთი მუჭა ხალხი გაკაუდა, დადგა საზღვრებზე, რომ მტრები მოეგერიებინა. და მართლაც გმირობის სახელი მოიპოვა და ჩაიდინა ისტორიული საკვირველებაც. ეს უტყუარი ფაქტია. და ამის მიზეზი ქალები იყვნენ. დედები შვილებს ძუძუსთან ერთად აწოვებდნენ სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავდადებას. აკვანს რომ არწევდნენ საგმირო „ნანინას“ უმღერდნენ და საგმირო ზღაპრებით აღლვებდნენ ახალგაზრდობას” (26, გვ. 486).

ქალი, გარდა ბავშვის აღზრდისა და საოჯახო საქმიანობისა, დიდ როლს ასრულებდა ყოველთვის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც და მუდამ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა კიდეც.



დავიწყოთ „შუშანიკის ნამებით”, რომ დედით და ქრისტიანმა და თავადაც ქრისტეს მოძღვრების მიმდევარმა დიქტატორმა, პოლიტიკური მოსაზრებების გამო რწმენას რომ უღალატა და სხვა რელიგია აღიარა. ქმრის ამ საქციულით აღშფოთებული ცოლი მეუღლეს სასტიკ პროტესტს უცხადებს, ოჯახს ტოვებს და მცირენლოვან შვილებთან ერთად ეკლესიაში გადადის საცხოვრებლად. დიქტატორი ქმრის ყველა ცდა, ცოლი როგორმე თავის ჭკუაზე დაეყენებინა და ოჯახში დაეპირუნებინა, ამაო გამოდგა. არ გაჭრა არც დარწმუნებამ, არც მუქარამ, არც ლანძლვა-გინებამ და არც ფიზიკურმა შეურაცხყოფამ. ცოლმა აჯობა ქმარს. თითქოსდა უუფლებო ქალმა აჯობა ყოვლისშემძლე დიქტატორს.

და ეს ამბავი მეხუთე საუკუნეში მოხდა. მოხდა იგი საქართველოში, კერძოდ, მის ერთ-ერთ პროვინციაში, ქართლში, ქალაქ მცხეთაში. თავნება დიქტატორი ქართლის პიტიახში ვარსკენი იყო. ქალი – მისი მეუღლე შუშანიკი.

დიახ, იმ ეპოქისათვის, ალბათ, მსოფლიო მასშტაბით არატიპიური ეს ისტორიული ამბავი, როგორც ცნობილია, საქართველოში მოხდა და ეს სულაც არ იყო გამონაკლისი, იშვიათი სენსაციური მოვლენა. ისტორიულადაა ცნობილი, რომ ჩვენს ქვეყანაში ძველთაგანვე დომინირებდა დედის კულტი. არც ის ფაქტი ყოფილა შემთხვევითი, რომ იმავე მეხუთე საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიული მნერლობის ბრწყინვალენარმომადგენელმა იაკობ ცურტაველმა, შუშანიკის ცხოვრების ამ ტრაგიკულ შემთხვევას მაღალმხატვრული რომანი მიუძღვნა.

ამ შემთხვევაში ჩვენ მიზანს არ შეადგენს არც ვარსკენის საქციელის შეფასება, არც მომხდარი ტრაგედიის საბოლოო შედეგი და არც ცურტაველისეული რომანის მხატვრულ დონეზე საუბარი. ჩვენ გვაინტერესებს და ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, საქართველოში ქალი არა მარტო ოჯახის, არამედ მთელი საზოგადო-

ების სრულუფლებიანი წევრი იყო. ქვეყანაში კი ისეთი სოცი-
ალ-ეკონომიკურ-მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო სუფესიანი იყო
და, რომ შეეძლო არ დათანხმებოდა ქმარს, ხელმწიფეს, დიქ-
ტატორს, მიემართა პროტესტის უკიდურესი ზომისათვის, აშ-
კარად გამოეთქვა საკუთარი შეხედულებები პოლიტიკის, რე-
ლიგიის, ზნეობის, ოჯახური ურთიერთობების შესახებ.

თვით ის ფაქტი, რომ შუშანიკის ამ საქციელს ცურტა-
ველმა რომანი მიუძღვნა, არა მარტო ავტორის მიერ ორთო-
დოქსი ქრისტიანი ქალის ქებათა-ქება, არამედ და უპირველეს
ყოვლისა, იმის ნათელი დადასტურება, რომ იმ დროს საქარ-
თველოში, ქალის ეს გაბედული საქციელი (მამაკაცის, ქმრისა
და ხელმნიფის ნინააღმდეგ გალაშქრება) საყოველთაო მხარ-
დაჭერისა და განზოგადების ლირს მოვლენას განეუთვე-
ბოდა. თუ კი, რა თქმა უნდა, ქალის ასეთი ქცევა მორალურ-
ზნეობრივი პრინციპით გამართლებული იყო. ჩვენს ქვეყანაში
დედის კულტი, მისდამი გამორჩეული თაყვანისცემა რომ გან-
საკუთრებულ ფენომენს ნარმოადგენდა, ამის დამადასტურე-
ბელია ქართულ ენაში დამკვიდრებული და ძალზე პოპულა-
რული ტერმინები. ყველაფერ მთავარსა და მნიშვნელოვანს
ქართველი კაცი დედას უკავშირებს. პლანეტას, რომელზედათ
ვცხოვრობთ, დედამინა ჰქვია, მშობლიურ ენას – დედა ენა,
მთავარ ქალაქს – დედაქალაქი, მთავრ აზრს – დედააზრი,
ძველი ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ მთა-
ვარ ბოძს, რომელზედაც მთელი შენობა იყო დაფუძნებული –
დედაბოძი, გუთნეულზე მომუშავე კარგ მეგუთნეს – გუთნის-
დედა, მშობლიურ ადგილს სადაც ადამიანი დაიბადა და აღი-
ზარდა – ადგილის დედა და ა. შ.

მრავლისმეტყველია საყოველთაოდ აღიარებული და სა-
უკუნეების მანძილზე ოფიციალურად მიღებული ის ფაქტი,
რომ საქართველო ღვთისმშობლის (ესე იგი ქალის) ნილხვედ-
რი ქვეყანაა და რომ ქრისტიანობა ჩვენში პირველად ქალმა –
ნინო კაპადოკიელმა შემოიტანა.



ქართული ანდაზის მიხედვით „ქალს წესიერი ძალაში მოქმედი არ დაუყეფს“. ქართულ მეტყველებაში არსებულ მარჯვე და მოქნილ ისეთ კომპოზიტებში, როგორიცაა ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი, ცოლ-შვილი, დედ-მამა, და-ძმა და სხვა, ქალი, როგორც წესი, პირველ ადგილზეა და ამით მისდამი დიდი პატი-ვისცემაა უდავოდ გამოხატული.

საქართველოში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანბის პრობლემა რომ საერთოდ თავიდანვე არ მდგარა, ამის მჭერმეტყველურ დასტურად, გენიალური რუსთაველის „ვეფხისტაოსნის“ ცნობილი აფორიზმიც კი იკმარებდა, სადაც ვკითხულობთ, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადია“. იმავე „ვეფხისტაოსნის“, რომელშიც მეთორმეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების რეალური სურათებია და-ბატული, პოემის პერსონაჟი ქალები: წესტან-დარეჯანი, თი-ნათინი, ფატმანი, ასმათი და სხვები, ძალზე აქტიურ საზოგა-დოებრივ ცხოვრებას ეწევიან. ერევიან ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ურთიერთობათა სფერში, თავად ქმნიან სახელმწი-ფო პოლიტიკას, ამუღავნებენ ჯანსაღ პატრიოტიზმს, სანიმუ-შონი არიან სიყვარულში, მეგობრობაში (მამაკაცებთან მე-გობრობაშიც). განსახილველი საკითხის კუთხით, ყველაზე სა-ინტერესო კი მაინც ის გახლავთ, რომ პოემის ორივე მთავარი მოქმედი პირი ქალი – თინათინიცა და წესტან-დარეჯანიც, თავიანთ მიჯნურებს, ფაქტიურად, პირველად თვითონ უტ-ყდებიან სიყვარულში, რაც, კაცმა რომ თქვას, ზოგიერთ აღ-იარებულ მეტად ცივილიზებულ ქვეყანაშიც კი ერთგვარად საჩითიროა.

მივუბრუნდეთ ისევ ისტორიულ ფაქტებს: საქართვე-ლოში ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის უამრავ დიდ მეფეთა შორის ყველაზე პოპულარული, საყოველთაოდ აღი-არებული და სიყვარულით გრემოცული მეფექალი თამარი გახლდათ. და ეს იმიტომ კი არა, რომ იგი ყველა დანარჩენზე

(თუნდაც ბაგრატ დიდზე, დავით ალმაშენებელზე, გიორგი მირიანძე ბრწყინვალეზე) უკეთესი იყო, არამედ, და უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ქალი იყო. თამარის, როგორც ქალის, სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი არც ერთ დიდ ბაგრატიონ მამაკაცს, არაფერში ფაქტიურად ტოლს არ უდებდა.

ცნობილი ფაქტია, რომ ტახტზე ახლადკურთხეულ ახლგაზრდა მეფე ქალს, განუსაზღვრელი უფლებებით განებივრებული ფეოდალების ერთმა ნაწილმა სერიოზული პოლიტიკური შეთქმულება მოუწყო. ქვეყანა ორ რადიკალურად დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. ძმათა სისხლისმღვრელი ომი თითქოს გარდაუვალი იყო. თამარ მეფემ ამ ძნელბედობის უას მაინც გამონახა ორი პიროვნება, რომლებიც (დღევანდელი პოლიტიკური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ) მიუსხლნენ შეთქმულებთან მოლაპარაკების მაგიდას და მოხერხებული დიპლომატიური მანევრებით შესძლეს ქვეყანა კატასტროფისაგან ეხსნათ. დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაიდო კომპრომისული შეთანხმება, რომლის ძალითაც, თამარის სამეფო კართან შეიქმნა თანამედროვე პარლამენტის მსგავსი პოლიტიკური ორგანო – კარავი. საღად მოაზროვნე მეფე ქალის დიპლომატიამ გაიმარჯვა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ბრძნინვალე დიპლომატიური მისიის განმახორციელებლები ქალები იყვნენ სამეფო კართან დაახლოებული აქტიური მანდილოსნები: კრავაი ჯაყელი და ხვაშაგ ცოქალი.

საქვეყნოდაა ცნობილი მომდევნო საუკუნეების საქართველოში მანდილოსანთა მრავალმხრივი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა: ორბელიანების, ჭავჭავაძეების, ციციშვილების, ბარათაშვილების, ნერეთლების ასულთა ლიტერატურული სალონები, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

ქართველ ქალებს რომ მუდამ ფართო ცხოვრებისეული ასპარეზი გააჩნდათ და ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის უცხო არ ყოფილა ქალი ლიდერი, თუნდაც აჯანყებული



და მეომარი, ამის ნათელი დასტურია სოციალური უთანასწორობისათვის პრძოლის ჭეშმარიტი სახალხო გმირების წარმატების წყნეთელი, თამარ ვაშნოვანელი და სხვები. უძველესი ქართული ქრისტიანული ეკლესის მიერ წმინდანად შერაცხულთა შორის საყოველთაო სიყვარულითა და თაყვანისცემით არიან მოსილნი ქეთევან ნამებული და იგივე შუშანიკი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის – ხევსურეთის მართლაც რომ უპრეცენდენტო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც სულით რაინდი და რომანტიკოსი ხევსური მამაკაცები სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლასაც კი სწვეტდნენ და მახვილებს ქარქაშში აგებდნენ, თუ მათ შორის ქალი თეთრ მანდილს ჩააგდებდა.

ზემოაღნიშნული უნიკალური რაინდული ტრადიციის თავისებურ ინტერპრეტაციად შეიძლება ჩაითვალოს ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში ჩამოყალიბებული ქალთა საერთომორისო მოძრაობა - „თეთრი მანდილი”, რომლის შექმნის ინიციატორებმა გადაწყვიტეს სწორედ ასეთი მშვიდობის მანდილი ჩაევდოთ აფხაზთა და ქართველთა შორის ძმათამკვლელ ომში. ათასობით მამაცი ქართველი ქალი შეიკრიბა მაშინ საქართველოს დედაქალაქში და გაემგზავრა აფხაზეთში უშუალოდ ბრძოლის წინა ხაზზე გასავლელად, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ წება არ დართო მათ ასეთი სარისკო ნაბჯი გადაედგათ. საშიში იყო არა მთლიანად აფხაზი ერი, რამედ სისხლით დამთვრალი სეპარატისტების გარკვეული ბანდიტური ჯგუფები, პროფესიონალი მკვლელები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ბოევიკების სახით იბრძოდნენ ქართველთა წინააღმდეგ. მათი არა-ადამიანური საქციელი სარიოზულ საშიშროებას უქმნიდა მანდილოსანთა სამშვიდობმ მისის მონაწილეებს.

ქართველ ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურობის ისტორიული ტრადიციები, ბუნებრივია,

ჩვენს საუკუნეში მშვიდობიან ცხოვრების პირობებშიც გრძელდება, ვითარდება და ახალ-ახალ საინტერესო ფორმებს ჩამოყალიბება: ქალი მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი, მწერალი, მხატვარი, სამეცნიერო ხელმძღვანელი, ექიმი, მძღოლი, ტრაქტორისტი, მეციტრუსე, მეჩაიერი, მშენებელი. აღნიშვნის ღირსია კლასიკურ დონეზე აყვანილი და საყოველთაოდ აღიარებული ქართული სუფრის უაღრესად დახვენილი წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქალს განსაკუთრებული მოწინებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. პირველი სადღეგრძელო, როგორც წესი, ქალისა ისმება, ქალის თანდასწრებით სუფრასთან ჩხერის, აყალ-მაყალს, ბილნისტყვაობას და ხმამაღლა ლაპარაკსაც კი ძალზე ერიდებიან.

ერთი სიტყვით, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, არ მოიძებნება ისეთი ეპოქა, რომელშიც ქალი განსაკუთრებული პრივილეგიებით, პატივისცემითა და მოღვაწეობის ფართო ასპარეზით არ ყოფილიყო განებივრებული და ეს დამახასიათებელია არა მარტო ქრისტიანობის მიღების შემდგომი პერიოდის (ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებისთანავე), არამედ ნინაისტორიული ეპოქისთვის საც (გავიხსენოთ თუნდაც ფარნავაზ მფის დედის აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქალის ასეთი დიდი აქტიურობისა საზოგადოებრივ თუ ისტორიულ-პოლიტიკურ პროცესებში, ქართველი ქალი თავის ძირითად ფუნქციად მაინც მიიჩნევდა ოჯახის, ქმარ-შვილის მოვლას, მომავალი თაობის აღზრდას, მეუღლისადმი ერთგულებას. ქართველმა ქალმა ყოველთვის იცოდა და იცის თავისი ნამდვილი ადგილი საზოგადოებასა თუ ოჯახში. უფრთხილდება და პატივისცემით ეპყრობა მეუღლის ავტორიტეტს. ყოველმხრივ უწყობდა ხელს ოჯახის, როგორც საზოგადოების ჯანსაღი უჯრედის ჩამოყალიბება-განმტკიცებას. თამამად



შეიძლება ითქვას, რომ 40 საუკუნის მანძილზე გეოპლატფორმა ტიკურად ძალზე უხერხულ ადგილზე განთავსებულმა ქართველთა პატარა სახელმწიფომ, ისტორიულ ქარტებილებს სწორედ ქართველი ქალის მიერ ნასათუთევი ოჯახის, მის მიერ აღზრდილი შვილების, ბავშვების შემდგომში ვაჟუაცების სიმტკიცით გაუძლო.

ქართველი ქალი ამაყი იყო, მაგრამ არა ეგოისტი. „ახირებულად ვერავინ შეხედავდა. მან თავისი ფასი და ლირსება იცოდა... ითხოვდა პატივისცემას, როგორც ქალი, დედა, მეფე ვახე, შთამომავლობის მოთავე..., ქმარ-შვილიანი... ყოველივე ამას პატარა ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და "გაევრო-პიელება ქართველ ქალს დიდ საფრთხეს უქადის..."

ქალის უფლების ნამდვილი დაცვა უნდა ნიშნავდეს ოჯახის დაცვას, მისი ამ მთავარი ასპარეზის შენარჩენებას, უამისოდ ქალის დამოკიდებულება და თავისუფლება ფიქცია. „საზოგადოების მთავარი უჯრედი არის ოჯახი, ხოლო ოჯახის მთავარი ბურჯია ქალი“ – ოჯახის გაუქმება უტოპიაა. საზოგადოებანი იშლებიან, სახელმწიფოები ირლვევიან, ადამიანთა შემაერთებელი ყველა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძაფები იგლივება, ადამიანები იფანტებიან, აქეთ-იქით მიღიმოდიან. ამ საერთო ქაოსში მხოლოდ ერთი პატარა ასოციაცია რჩება დაურღვეველი, გადაუშენებელი, გაუმქრალი, - ეს არის ოჯახი. ის მუდმივია“. შეიცვლება მამაკაცის განუკითხავი ძალი ძალმომრეობა და ბატონობა ოჯახში, მაგრამ არ შეიცვლება ქალის და მამაკაცის, ცოლისა და ქმრის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ოჯახის საფუძველი, „ორივე გონიერი არსებაა, იძულებული არიან იყვნენ ერთმანეთზე დამოკიდებულნი, თუმცა ორი სხვადასხვა ანატომიურ-ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური სამყაროა და ამიტომ „არც ერთი საკითხი არ არის ისე რთული, ისე ღრმა და ძნელი გამოსაცნობი, როგორც ქალისა და კაცის როლი და ადგილი ცხოვრებაში.“

ცხადია მხოლოდ ერთი რამ – ქალი და კაცი ვერ შე-
ცვლიან და არც უნდა შეცვალონ ერთმანეთი, რადგან მათ მართვა
თავიანი უცვლელი დანიშნულება აქვთ. რაკი კაცი ვერ გას-
ნებს ქალის მაგივრობას, რატომ ქალმა უნდა გასწიოს კაცის
მაგივრობა, რაზედაც თანამედროვე ვითომ ემანსიპირებული,
თავისუფალი ქალი აცხადებს პრეტენზიას, რაც ხორციელ-
დება ან პროსტიტუციით ან ნივთად გადაქცევით. ორივე შემ-
თხვევაში კი უოჯახობით და უშვილობით ქალსაც რომ ვნებს,
კაცსაც არ არგია და მთელ საზოგადოებასაც რომ აზიანებს.

„დედა და მამა ორივე ერთნაირად ეჭირვება ბავშვს –
დედის ალერსი და (მკაცრად მოქცევაც) ოჯახს მაყვარებდა,
ხოლო მამის სიდინჯე და გინიერი მოჟყრობა სწავლასო“ –
წერს ნოე უორდანია, ერთადერთ ვაჟიშვილს არ მანებივრებ-
დნენ, დედა ხშირად ხელსაც შემომარტყამდა, მაგრამ დედის
ხელი არასოდეს მეტკინებოდა, მით უფრო, რომ ორი შვილის
პატრონს ერთშვილიანად მიაჩნდა თავი, რადგან ჩემი დაი
„სხვის ნაცრად“ ითვლებოდა, მე კი, „ბიჭი ოჯახის ბურჯად“ –
ოჯახში ეს ტრადიციული ქართული აზრი ბატონობდა XIX-XX
საუკუნის მიჯნაზეც.

ქალის მთელი ფიზიკური პროცესი ხომ ემორჩილება ბუ-
ნების უმაღლეს მოთხოვნილებას – შვილოსნობას, ქალს ორი
გული აქვს – ნამდვილი გული, როგორც კაცსაც, და საშვილო,
რომელთა შორის მეორე პირველს ჭარბობს და ფლობს მთელ
მის არსებას, მის ფსიქიკას, რის მსგავსი კაცს არაფერი მო-
ეძოვება. ამიტომაა, რომ „ქალმა შვა არა მარტო ადამიანი,
არამედ ღმერთიც“, რაც ქალის გაღმერთების საფუძვლად იქ-
ცა განსაკუთრებით „ღვთისმშობლის წილხვდომილ“ საქართ-
ულოში. ქალის ღვთისმშობლობამ ძლიერ აამაღლა ქალის
როლი და შუასაუკუნეთა რაინდობა ნარმოშვა, რასაც მოჟყვა
მისი კულტი, როგორც მისდამი პატივისცემის უმაღლესი გა-
მოვლინება, ქრისტიანობის იმ იდეის საპირისპიროდ, რომ
თითქოს ორსული და მშობიარე ქალი „უნმინდურია“. პირიქით

ქალი და მისი უმთავრესი დანიშნულება შვილოსნობა და შეკ-
ლის აღზრდა უნმინდესია (26^o, გვ. 20, 21, 53, 61, 90-92, 77-81,
89-90, 94, 98).

ამავე დროს „ქალი უნდა დარჩეს არა მხოლოდ როგორც
მეუღლე და დედა, არამედ როგორც დიასახლისი და არა მხო-
ლოდ შვილების, არამედ საერთოდ სახლის დედა, როგორც
ოჯახის სითბოს მშვენიერების, მყუდროების, მეუღლის
(ქმრის), ყოველდღიური სიმშვიდის, კმაყოფილების, იმედის,
ჰუმანურობისა და დავანების დღენიადაგ განახლებადი წყა-
რო (26^o, გვ. 73).

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით: „ფშაველს უყვარს ფარ-
თოდ ცხოვრება. არის დაუღალავი მუშა, სახლისთვის შრომა,
მუშაობა მარტოკაცს არ ეკუთვნის, მამაკაცს გვერდს უდგას
დედაკაცი თითქმის ყველა საქმეში და ვაჟკაცურად, კაცთან
ართად, ეწევა ცხოვრების უღელს: მკაში, ლენვაში, ხვნაში, შე-
შის მოტანაში. ის არის ნამდვილი მეუღლე კაცისა. დადაკაცი
იკიდებს შეშის ტვირთს და წინდის ქსოვით ორი ვერსის სიშო-
რიდამ მოაქვს სახლში. დედაკაცს, გარდა კაცურის შრომისა
აქვს თავისი სადედაკაცო საქმეცა, - ის ქმარს და შვილებს
„თავის ხელით აცმევს”, როგორც თვითონვე ამბობს, მხოლოდ
საპერანგის და საახალუხის ყიდვა სჭირდება. დედაკაცი
ქსოვს ფარდაგებს, წინდებს, ხურჯინებს, ფლასებს, შალებს,
სთელავს. ქალებს სცოდნიათ ჰურის გამოცხობა, საჭმლის გა-
კეთება და შინაურობის მოვლა ხომ ყველგან დედაკაცის ვა-
ლია (26^o, გვ. 9).

რაც შეეხება ხევსურეთს, ქალი, ხევსურის საოჯახო
შრომა-საქმიანობაში, მის ეკონომიკურ ცხოვრებაში უდიდეს
როლს თამაშობს. ხევსურის ოჯახის კეთილდღეობა დამყარე-
ბული იყო ქალის შრომაზე, მის გამჭრიახობაზე. იგი პირველ
რიგში ზრდიდა ბავშვებს და მამაკაცთან ერთად მონაწილეო-
ბას დებულობდა ყოველმხრივ საქმიანობაში. ამასთანავე

ქალბე იყო დამოკიდებული ოჯახის წევრების ჩაცმა (26^მ, რაც გვ. 178).

თანამედროვე ოჯახში უნდა სუფევდეს ქალისა და მამა-კაცის შეთანხმებული ერთსულოვანი მოქმედბა ოჯახის სიმ-ტყიცისა, ბავშვების სწორი აღზრდისა და ქვეყნის წინაშე მო-ვალეობის შესასრულებლად. ქალმა, საზოგადოებრივ აღ-მზრდელობით ორგანიზაციებთან ერთად, უნდა აღზარდოს თავისი შვილი, რათა ღირსეულად მოიხადოს თავისი მოქალა-ქეობრივი ვალი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე.

დასამალი არ არის, რომ ამ ცხოვრების გართულების ხა-ნაში, როცა ქალი იძულებულია გარეთაც იმუშაოს ქმარივით და იყოს შემომტანი ოჯახში, შრომის გაყოფის პირობები ირ-ლვევა და თვით ოჯახი მხოლოდ აჩრდილი რჩება. ოჯახი აღარ არის ის, სადაც დიასახლისი მთელი დღე სახლში არაა. ჩნდება საშიშროება იმისა, რომ ცოლ-ქმრობა, როგორც ინსტიტუტი გაუქმდეს და ოჯახს სიძლიერე უსუსტდება.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოპოვებული მა-სალის მიხედვით ირკვევა, რომ აჭარაშიც ოჯახი აერთიანებ-და მშობლებისა და მათი დაქორწინებული შვილების ოჯახებს. გაუყოფელი ოჯახი, ჩვეულებრივ, მრავალრიცხოვნობით ხა-სიათდებოდა. გურიის სოფელ ზოტში, სადაც უმეტესად აჭარ-ელები ცხოვრობენ, მრავალრიცხოვანი ოჯახები ჰყავდათ და დიდი ოჯახები იყო. დიდი ოჯახი, როგორც წესი, ოჯახის ეკო-ნომიკურ მდგომარეობას თვითონვე ანესრიგებდა.

ოჯახის უფროსი იყო ხნით უფროსი მამაკაცი: ოჯახის მამა ან ბაბუა, ან უფროსი შვილი, რომელსაც ეკისრებოდა მთელი ოჯახის ბატონპატრონობა. ოჯახის უფროსის ძირი-თად მოვალეობას მაინც შეადგენდა ოჯახის წევრთა შორის შრომის მოწესრიგება და ზრუნვა ოჯახის მომარავებაზე. მას უსიტყვოდ ემორჩილდოდა ოჯახის ყველა წევრი, მაგრამ უფ-რო უშუალოდ იგი ეხებოდა ოჯახში მამაკაცებს შორის შრო-მისა და ოჯახის შემოსავლის სწორად განაწილებას, ოჯახის

ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას და გადაწყვეტილებას
ტაბა.



შინასაოჯახო საკითხებს კი განაგებდა ოჯახის უფროსი
ქალი, რომელიც იყო დედა ან ხნით უთროსი ქალი. უფროსი
ქალის – დიასახლისის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა
ოჯახის დაპურება და საჭმელ-სასმელზე ზრუნვა, ბავშვების
აღზრდა და ოჯახის ყველა წევრზე ზრუნვა, მოვლა-პატ-
რონობა, სისუფთავე. ქალი იმით ფასობდა თუ როგორი ხელ-
საქმე იცოდა და როგორი დიასახლისი იყო. იგი ოჯახში დიდი
ნდობით სარგებლობდა.

სამი ძმა თუ იყო ოჯახში, მაგალითად, დაოჯახებული
უფროსი ვაჟი ცხოვრობდა, ჩვეულებრივ მშობლებთან, მაგ-
რამ შემდეგ მომდევნო ორი ძმაც რომ დაქორწინდებოდა –
ოჯახი იყოფოდა: უფროსი ძმა „გადიოდა“, ხოლო უმცროსი
ძმა რჩებოდა ოჯახში მშობლებთან ერთად.

სოფელ ზოტში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის
მიხედვით, სადაც ძირითადად აჭარიდან გადმოსული ქართვე-
ლები ცხოვრობდნენ, თოთხმეტი, თხუთმეტი წლის გოგონა
უკვე სრულწლოვნად ითვლებოდა და ასაკში შესულს ეტყო-
დნენ. ამდენად, აქედან მოყოლებული, ქალი, ფეხშიშველი ან
თავშიშველი მამაკაცს, და განსაკუთრებით უცხო მამაკაცს,
რომ ჩვენებოდა არ შეიძლებოდა. ადრე ქალები მთლიანი სა-
ხის გამოჩენასაც ერიდებოდნენ, ჩადრით დადიოდნენ. ამდე-
ნად სირცხვილად ითვლებოდა შიშველი ყელისა და მკერდის
გამოჩენა.

ქალი მამაკაცს ნინ არ გაუვლიდა. მგზავრობის დროს
უკან მიჰყვებოდა. ქალები და მამაკაცები სუფრაზეც ცალ-
ცალკე სხდებოდნენ.

ახალმოყვანილი პატარძალი მოკრძალებით იქცეოდა
ოჯახში. განსაკუთრებით მორიდებული იყო მამამთილთან და
მაზლთან. ხათრით მათ ვერც კი დაელაპარაკებოდა. შემდგო-
მშიაც მამამთილს სახელით არ მიმართავდა.

ცოლი, ჩვეულებრივ, ქმრის მორჩილი იყო. ქმრის სიტყვა მისთვის კანონი იყო და ქმრისათვის სიტყვის შებრუნება სპარახისად ითვლებოდა. ქალი ოჯახის მთავარი ბურჯი იყო.

აქ, სოფელ ზოტში, ოჯახის უფროსი ხნით უხცესი მამაკაცი იყო, რასაც იტყოდა, დანარჩენები აკეთებდნენ იმას, დილით ან საღამოს საქმეს გაანაწილებდა. ოჯახი ყველა უჯერებდა მას, და უსიტყვოდ ასრულებდა ყველაფერს.

ახალმოყვანილი რძალი ოჯახში ხმას არ გასცემდა უფროსებს, ფეხს კი დაბანდა მამამთილს, მაზლებს, მაზლიშვილებს, პატივისცემით ეპყრობოდა მათ. სანამ არ შეეჩერება იჯახის უფროსობას, ხმას არ გასცემდა.

ნლამდე მამაკაცი ხელს არ მოკიდებდა ჩვილ ბავშვს, რცხვენოდა მასთან მისვლა.

იჯახის საქმეს ქალი აკეთებდა. ქალი გარეთ სამუშაოზე არ გავიდოდა. მამაკაცის მოვალეობას შეადგენდა მეურნეობა, საქონლის, მიწის პატრონობა.

სტუმარი რომ მოვიდოდა, კაცი მას ცალკე, სასტუმრო ოთახში მიიღებდა. ქალი გაამზადებდა საჭმელს და კაცი შეიტანდა.

ქალი თუ მოვიდოდა სტუმრად, იმას ქალი მიიღებდა, კაცი არ შევიდოდა მასთან. ქალი და კაცი ერთად თუ ესტუმრებოდნენ ოჯახს, ქალი ქალთან დავდებოდა ცალკე, კაცი კაცთან, ბავშვები მათ საუბარში არ ჩაერეოდნენ. ქალისა და მამაკაცის მორიდება ძალიან დიდი იყო. ადრე ქალი მამაკაცს სახით არ ეჩვენებოდა, თუ ნათესავი არ იყო. ნათესავს შეიძლებოდა რომ ჩვენებოდა.

სოფელ ზოტში სტუმრისათვის ალკოჰოლიანი სასმელის მირთმევა არ იცოდნენ. სტუმარს, ძირითადად ყავით უმასპინძლდებოდნენ.

ქალი და კაცი საჭმელად ერთად არ დასხდებოდნენ. ჭირშიც და ლხინშიც მამაკაცები ცალკე სეფაში სხდებოდნენ, ქალები – ცალკე.


ქვემო ქართლში - კი ოჯახურ ცხოვრებაზე გვაუწყებენ /
მთხოვთ და მოგვითხოვთ /
და ჭირზე, ტკივილსა და სიხარულზე, შრომასა და გარჯაზე,
რწმენასა და ბედ-ილბალზე. სიყვერულსა და სიძულვლზე,
სტუმართმოყვარეობაზე, რელიგიურ თუ საერთო დღესაწა-
ულებზე, მოკლედ ყველაფერზე, რასაც ჰქვია ცხოვრება.

დავიმოწმოთ ეთნოგრაფიული მასალაც: მაში სუხიტა-
შვილი (დარიკო ნონიაშვილი): რვა და ძმანი ვიყავით, ეხლა
ექვსნი დავრჩით. დაბადებული ვართ რატევანში. ადრე დიდი
ოჯახები იყო. ყველა ძმები თავიანთ ცოლ-შვილითა და მშო-
ბლებით ერთ ბანიან სახლში ვცხოვრობდით. კედელზე გა-
დებული გვქონდა გრძელი ხის ტახტი და ერთად გვეძინა ყვე-
ლას. ბანიანი სახლები ქვისაგან იყო აშენებული, გარშემო ხე
ჰქონდა მოჩუქურთმებული. ამ დიდ ოჯახში ხნით უფროსი მა-
მაკი განაგებდა ყოველგვარი სახის მეურნეობას, მამა იყო
უფროსი; ყველამ თავისი საქმე იცოდა ოჯახში. დიდი ბებია
მყავდა და ის იყო უფროსი დიასახლისი, მამა მუშაობდა მინ-
დორში, გუთანი ჰქონდათ, ყანასა მკიდნენ, დიდ ძნებს და-
აყენებდნენ და მერე გავლენავდით. ხორბალს ჩავყრიდით
ამბარში. სათიბები გვქონდა მინდორში თაფანზე. მკა იწყე-
ბოდა ივლისის თვეში, მკათათვიდან. პური, ქერი გვეთესა და
ცელით ვთიბავდით. ხორბალს ნამგლით ვმკიდით. ძნებს შევ-
კრავდით, დავაათეულებდით. ოცდაორი ძნა ერთი ათეული
იყო. „კოლხოზი“ ბრიგადებად იყოფოდა. მერე ძნებს შევკრავ-
დით ათეულებს დავდგავდით. მკას რომ მოვრჩებოდით, შე-
კუდგებოდით კალოს და კალოებს ცხენით ან ხარით ვლენავ-
დით. ცხენს გამობმული ჰქონდა კევრი, კევრზე ქვები იყო ჩას-
მული, ეს იყო სპეციალური დამტვრეული ქვა და ფიცარზე
იყო ჩარჭობილი. ამ ქვას ისე არჭობდნენ, რომ არ გამოვა-
რდნილიყო. კევრი ლენავდა ხორბალს, ქერს. ზედ დადგებო-
დნენ მძიმე რომ ყოფილიყო. ლენვის დროს უმეტესად ბავ-
შვები დგებოდნენ კევრზე. ორთითებით ავჩეჩავდით, ავაბრუ-

წებდით. არნადით მოვხვეტავდით მარცვალს და ნიჩბებით გამოიყენებით ნივებდით, შემდეგ ხახალში (ეს საცერზე უფრო დიდია) ხდებოდა გამორჩევა მარცვლის. ჩელხი ცალკე რჩებოდა და სუფთა მარცვალი ცალკე, შემდგომში „მაღატინკები“ შემოვიდა, „მაღატინკებზე“ შევდგებოდით და ღამეებს ვათენებდით.

თიბვა თიბათვეში, ე. ი. ივნისში იწყებოდა. თიბვის დროს ქალებიც მიჰყავდათ. ისინი აფოცხებდნენ და აბულულებდნენ თივას. მოთიბავდნენ, დაზვინავდნენ, კირთებად დასტვირთავდნენ, ბულულებად დააყენებდნენ, ძირებად დაზვინავდნენ. ყანას ხელით მკიდნენ. საძნე დიდრონი ურმები იყო და ძნები იმით მოქონდათ. საძნე ურმებზე გვერდებზე ლაიდრებს ან-ყობდნენ, ბევრი ძნა და თივა რომ დატეულიყო. საძნე ურმებში ყევარი ხარი, ორი უღელი ხარი იყო შებმული. ყანის მკაშიც და თიბვაშიც ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ყანებს გუთნით ხნავდნენ. გუთანზე ვინც მუშაობდა იყო გუთნისდედა. დღის მეხრე, გუთანში 6 უღელს აბავდნენ ხოლმე. ვინც დღე აძოვებდა ხარს – დღის მეხრე ერქვა, ვინც ღამე – ღამის მეხრე. გუთნისდედას შრომაში ორი ალო ერგებოდა., ღამის მეხრეებს ორ-ორი, დღის მეხრეებს – თითო. თითო უღელ ხარში მათ პატ-რონებს ჩვეულებრივ უხნავდნენ თითო დღეს.

სამუშაო დღეს სოფელში რომ ვინმე გარდაცვლილიყო, „გუთნეული უნდა ჩაშლილიყო“. სანამ მიცვალებული სახლში ესვენა „მინის გადაბრუნება არ შეიძლებოდა“.

გივი ლაზარაშვილის ცნობით, თავდაპირველად დიდი გაუყოფელი ოჯახები იყო. მამაჩემს თავისი საკუთარი გუთანი ქონდა, ჩვენი ხარ-კამეჩიც გვყავდა. ყავდათ საქონელი, 300 სული ცხვარი, ამავე დროს თესავდნენ ხორბალს შავფხათა-თუხს და თეთრფხათათუხს უძახდნენ, ხორბლის ასეთი სა-უკეთესო ჯიშები იყო, ახლა სადღაა ეს ჯიშები, ხორბალს კო-დავდნენ ხოლმე, მათ თავსა და ბოლოს აცლიდნენ და შუ-აგულს თესლად ინახავდნენ, ამას ეძახდნენ დაკოდვას, ყველა

ოჯახს ჰქონდა პურის საცხობი ფურნე. ფურნე ქვით იყო. ასეთი გები, თაღოვანი ფორმისა. ფურნეები ახლაც გვაქვს". ასეთი ისე

მარიამ მანთაშვილის თქმით; „ძველად დიდი ოჯახები იყო. რამოდენიმე ძმა ცხოვრობდა ერთ სახლში. მიწებიც არ იყო იმდენი, რომ გაყოფილიყვნენ. ასეთ ოჯახში ხნით უფროსი მამაკაცი იყო უფროსი, რომელსაც ყველა უსიტყვიდ ემორჩილებოდა. შემდგომ თანდათანობით იწყეს ოჯახებმა გაყოფა. მოიწვევდნენ ვინმე მონმეს, „შუამავალს” ეძახიან მას და ის ანუობდა ამ საქმეს, ყველაფრის გაყოფა ხდებოდა - მინის, ავეჯისა. მშობლებსაც აუცილებლად თავისი წილი უნდა აელოთ.

დიდი ხის „სტოლი” გვქონდა. ერთად დავსხდებოდით და ერთად ვჭამდით. სტუმარი რომ მოვიდოდა, ბავშვები ცალკე ვსხდებოდით, სტუმართან არც კი შევიდოდით; რომ ეხვენათ ბავშვებისათვის. იქ არ შევიდოდნენ მაინც. რაც შეეხება რაციონს, ასეთი იყო: ვჭამდით მანვნის კერძს ძიფუას. საჭმელ-სასმელის შესახებ მოგვითხრობენ: ძიფუა კეთდება რძით, ფქვილით და კვერცხით. წყალში გახსნილ ფქვილს ჩავასხამდით რძეში და ჩავახლიდით კვერცხს. ეს მიგვქონდა გუთანზე. რძიკორკოტა - რძეში ვხარშავდით დაფქულ ხორბალს. მახოს - ცომს ჩასდებდნენ ქილაში, ამოჭყლეტდნენ, წყალს და-ასხამდნენ, ხახვს დაუზვავდნენ და მანვნის კერძივით ჭამდნენ. ლოლოს კერძი - ლოლოს მოვხარშავდით და ვჭამდით; მაშინ ჯანიც კარგი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არც ამდენი კვება იყო.

ვჭამდით ხის პინებზე, ხის კოვზებით. საჭმელს თუჯისა და სპილენძის ქვაბში ვაკეთებდით. ძროხას ვწველიდით სპილენძის ბადიაში. ცომს ვზელდით ვარცლში. მარცვლეულს ვინახავდით ხის ამბარში, ფქვილს ვინახავდით პატარა ამბრებში. წყლის ჭურჭელი იყო კოკა და თიხის პატარა ნიტრა.

პურს ვაცხობდით ფურნეში. ვაცხობდით თუჯის საჭეზე გამოიყენება ცეცხლზე ზედადგარს ვდებდით და ისე ვაცხობდით. სატრანსპორტო საშუალება იყო ხარის ურემი და ცხენის ფურგონი.

ასევე საინტერესოა რაჭიდან და იმერეთიდან გადმოსული მოსახლეობის ნაამბობი.

გრუზა გრძელიშვილი (რაჭიდან) გვიანმბობს: დიდი ოჯახი გვქონდა, სადაც ხუთი ძმისა და ორი დის შთამომავლობა ცხოვრობდა ერთად. ორსართულიან ქვიშითა და კირით ნაგებ სახლში. ძილით ეძინათ ხის ტახტებზე. ასეთ დიდ ოჯახებს, რასაკვირველია, ესაჭიროებოდა უფროსი, რომელიც ანესრიგებდა ყოველგვარ სამეურნეო თუ საოჯახო საქმიანობას. ყოველ ახალ წელს ხდებოდა არჩევნები, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ოჯახის უფროსი, რაც, ჩვეულებრივ, ხნით უფროს მამაკაცს ეკუთვნოდა. აირჩეოდა ოჯახის უფროსი, რომელიც ანანილებდა შრომას და ირჩევდა მცხობელს, ხაბაზ ქალს, მარნის მიმხედავს, საქონლის მომვლელს, მწყემსებს (ცხვრებისა ცალკე ყავდათ, ღორებისა ცალკე). ერთი იქნებოდა გარე საქმეების მომგვარებელი და ფულის მომწოდებელი. მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი მიწები ეყიდათ. გარედან მონდებულ ფულს აპანდებდნენ ტყეებისა და მიწების შეძენაში, სახნავ-სათესების შეძენაში. ის ითვლებოდა მდიდრად, ვისაც ბევრი მიწა ქონდა.

ოჯახს შეადგენდა ცოლი, ქმარი და შვილები. თუ ოჯახში მამაკაცი თავის ადგილზე დგას, იქ შვილებიც ნესიერები იქნებიან. როცა შვილებს ყველაფერს უსრულებენ, ის არავითარ შემთხვევაში მორჩილი და დედა-მამის სურვილის შემსრულებელი არ იქნება.

ვახტანგ ჯავრიშვილი იტყვის: „ვაზმა თქვა თუ ჩემი დაღუპვა გინდა, ყველა ლერნი დამიტოვეო, თუ შვილის დაღუპვა გინდა ყველა სურვილი აუსრულეო”. ახალგაზრდობაში სიტყვა „თავისუფლების” სწორი გაგება არაა, ამიტომ ბევრი უკულმართობა ხდება. ჩვენ მოვითხოვთ კანონის უზენაესობას და

კანონიერებას არა მარტო ქაღალდზე, არამედ ცხოვრებაში, /
მის ამოქმედებასა და შესრულებასაც მოვითხოვთ. მაშინ კვლეული
ქნება ნამდვილი თავისუფლება, ჯანსაღი ყოფა-ცხოვრება
ჭირდება დღეს ჩემ სამშობლოს, რომელიც იტანჯება".

ვიქტორ ნოზაძე (იმერეთიდან): ადასტურებს, რომ იმე-
რეთში ადრე დიდი ოჯახები იყო. შვილი დაქორნინდებოდა თუ
არა, იყოფოდა და ცალკე გადიოდა ოჯახიდან. მედიატორი
მოყავდათ და ის ანესრიგებდა ამ საქმეს. მინასაც და ქონე-
ბასაც ძმურად იყოფდნენ. იმ დიდ ოჯახში ოჯახის უფროსი
ადრე მამაკაცი იყო. ახლა თითქმის ხმა ერთნაირი გვაქვს და
შეილებსაც აღარ აქვთ იმდენი დისციპლინა, ადრე რომ იყო.
ცოლი ესიტყვება ქმარს, ამას უყურებს ბავშვიც და ისევე იქ-
ცევა. ჩვენს ბავშვობაში დისციპლინა დიდი იყო. ახლაც მეხა-
თორება მკვდარი მამის. 6 წლის ვიყავი დედა რომ მომიკვდა, 6
წლიდან შრომაში ვარ ჩაბმული.

ნოდარ შეყლაშვილი (იმერეთი) ასევე აგრძელებს
თხრობას: „იმერეთში დიდი ოჯახები იყო 10, 12, 18 სული
ცხოვრობდა ერთად. ერთი ხის გრძელ ტახტზე ეძინათ. უფ-
როსი იყო მამა ან უფროსი ძმა და იმის სიტყვას ემორჩილე-
ბოდა სუყველა. პურს ვერ გატეხდნენ იმის გარეშე. მეურნე-
ობასაც ოჯახის უფროსი განაგებდა. შემდეგ და შემდეგ და-
ინყო დიდი ოჯახების გაყოფა. სოფელს ეყოლებოდა თავკაცი,
რომელსაც მედიატორეს ეძახდნენ და ის გაყოფდა ხოლმე
ოჯახებს".

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლში დიდი
ოჯახები იყო. ამ ოჯახებში ცხოვრობდნენ ჰარმონიულად, შე-
ხმატკბილებულად, ორგანიზებულად, დისციპლინა და წეს-
რიგი სუფევდა ყველა ოჯახში. კაცი თავისი საქმეებით იყო
დაკავებული: შოულობდა ფულს, მოპერნდა შეშა, ამუშავებდა
ყანას, უვლიდა ვენახს, საქონელს, თიბავდა თივას, იღებდა
პურს, ნამგლით მკიდა, კრავდა ძნას და მიქონდა კალოზე ურ-

მით. კალოზე პურის ძნებს დადგამდნენ დიდ ძირებზე და ლენინის
ნავდა ხარებით.

ქალებს ძირითადად ოჯახი ევალებოდათ, სისუფთავე,
პურის ცხობა და ბავშვის აღზრდა.

ნოდარ შაყელაშვილის თქმით, ძველად იყო რწმენა და
ჩვეულება, რომელსაც ვერავინ გადაუვიდოდა, მშობლის წინ
შეილი ხმას ვერ ამოიღებდა. მშობლის უკითხავად ვერაფერს
გააკეთებდა. სიტყბო-დამჯერობა იყო მთელ ოჯახში, რასაც
მშობლები გადასცემდნენ თავის შვილებს, იმას ითვისებდნენ
და ისევე იქცეოდნენ. დედა, ქალი, მორიდებული იყო ქმრის,
მამამთილისა და საერთოდ უფროსების მიმართ. რძალი
მაზრს ვერაფერს შეასაქმებდა. სტუმართან ბავშვი ვერ დაჯ-
დებოდა, წესად არ იყო მაგიდასთან ბავშვის მისვლა. დი-
ასახლისიც კი სტუმრებთან არ დაჯდებოდა, მით უმეტეს თუ
უმრავლესობა კაცები იქნებოდნენ. ამხელა კაცი გავხდი, სუ-
ფრასთან ვინ მიმიშვებდა, არ არსებობდა, რომ პატარა, მო-
ზარდი ბავშვი სტუმართან ერთად და საერთოდ უფროსებთან
მაგიდასთან დამჯდარიყო. ეს კი არა მაგალითად ვაჟი რომ
ნამოიზრდებოდა და თამბაქოს წევას დაინყებდა, მამასთან
ვერ მოწევდა, ერიდებოდა. ჯარს რომ მოივლიდა ბიჭი, იმის
შემდეგ გაბედავდა მამის გვერდით დაჯდომას და მასთან ერ-
თად სუფრასთან ყოფნას.

ვნახოთ რა ვითარებაა რაჭაში: რაჭაში ძირითადად „დი-
დი ოჯახები“ იყო, სადაც ერთად ცხოვრობდნენ მშობლები და
მათი ვაჟიშვილები ოჯახებით. „დიდი ოჯახი საშუალოდ ოცი
სულისაგან შედგებოდა, ძმები არ იყოფოდნენ, სირცხვილად
მიაჩნდათ გაყოფა. სიამაყით იტყოდნენ: სახლი არ გაუყვიათ
შეხმატუილებულად ცხოვრობენ.

ზემო რაჭა განთქმული იყო ხელოსნობით. ძირითადად
ხეზე მუშაობდნენ, ქვის ხელოსნებიც იყვნენ. პურის მცხო-
ბლებიც ბევრი იყვნენ: ვისაც მარჯვე ხელი ჰქონდა მშობლის
ხელობას სწავლობდა ისიც (27).

ამასვე ადასტურებს ფრანგი მოგზაური გამბა ნიგნი „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში და ამიერკავკასიაში”; ამას ეცნობა ხკაცთა უმეტესობა რომელიღაც ხელობას არის დაუფლებული. ზოგი მათგანი ნაყიდ ბამბისაგან ტილოს ქსოვს, ღებავს მას ძალზე კარგი მინდვრის ენდროთი... ზოგი ამზადებს უხეში ქსოვილის მაუდს, რომლისათვის მატყულს ქართლში საქონლის გაცვლით შოულობენ. ამ მაუდს ჰყიდიან კავკასიის მთიანეთში და თვით თბილისში. რაჭველები აკეთებენ აგრეთვე ხის სახლებს და ჰყიდიან მას მეზობელ მხარეებში” (28). ასე ცხოვრობდა რაჭველი კაცის ოჯახი თავისი გარჯითა და შრომით.

ოჯახის უფროსი იყო ბაბუა ან მამა. ბაბუაჩემს მარტო ჩვენი ოჯახი კი არა, მთელი სოფლის ჭკუაც ეკითხებოდა, ვინაიდან ჭკუით გამორჩეული კაცი იყო. იგი განაგებდა ოჯახს და მის მეურნეობას. ბაბუაჩემი სპირიდონ ტურძელაძე შეძლებული კაციც იყო. ფოთში ნიკო ნიკოლაძესთან ერთად დიდ საქმიანობას ენეოდა. სოფელ ზნაკვეთში (ამბოლაურის რაიონი) სამეურნეო საქმიანობას მისდევდა. მოჰყავდა სიმინდი, ლობიო, ლვინოც გვქონდა, მესაქონლეობასაც მისდევდა. ძირითადად კაცი იყო ოჯახის მომარაგებელი და ოჯახში შემომტანი. ქალის ძირითადი საქმე ოჯახში საქმიანობა იყო. სადილის კეთება, სისუფთავის დაცვა. ბოსელში ქალს არ გაუშვებდნენ, საქონელს კაცი უვლიდა, ვენახში, ყანაში კაცი მიღიოდა, თიბავდა; ქალი სადილს მიუტანდა. ოჯახში ყველამ თავისი საქმე იცოდა, ბავშვმაც, კაცმაც და ქალმაც (29).

როგორც რაჭაში, ასევე მთელ საქართველოში XIX საუკუნიდან მოყოლებული გრძელდებოდა ქართული ოჯახის განახლების პროცესი. გაუყრელად ცხოვრება მხოლოდ მთაში იყო შემორჩენილი, როგორც ეს იყო მთის რაჭაში (გლოლა, ჭიორა, ღები). ბარში და ქალაქებში დიდი ქართული ოჯახები საბოლოოდ იშლებოდა. გარკვეულ ცვლილებს განიცდიდა, თანდათანობით, ოჯახის სამეურნეო ფუნქციაც, ცოლ-ქმრის, მმობელთა და შვილთა ურთიერთდამოკიდებულებაც. მამაკა-

ცის საშოვარზე თუ სამსახურში სიარულის გამო, ქალს სადი ასახლისო საქმეებთან ერთად მამაკაცის საქმის კეთებაც უმნიშვნელობა დებოდა. შვილებისაგან მეტს მოითხოვდა. ახალ ვითარებაში შრომასთან ერთად სწავლა-განათლებაც იყო საჭირო. ქართული ოჯახის ბატონ-პატრონად მიჩნეული იყო უფროსი მამაკაცი, რომელიც ისმენდა ოჯახის დანარჩენ წევრთა რჩევას, მაგრამ შეეძლო საიოჯახო საქმე მათი ნება-სურვილის გაუთვალიშინებლადაც გადაეწყვიტა. საეკლესიო მორალისა და სახელმწიფო კანონმდებლობის გარდა, ამას ის გარემოებაც განაპირობებდა, რომ მამაკაცი მშოგნელი და მარჩენალი იყო, ქალის როლი კი უპირატესად სარჩოს გონივრული მოხმარებითა და შვილების აღზრდით განისაზღვრებოდა.

სვანეთშიც, ოჯახში, ყველა წევრის ფუნქცია განსაზღვრული იყო.

პატარა ბავშვებს, როგორც წესი, სტუმართან მაგიდასთან არ დასვამდნენ. ბავშვებისათვის ცალკე სუფრა (ტაბაკი) ჰქონდათ. ქალებიც ცალკე ჭამდნენ. ბიჭი უთქმელად გრძნობდა მამასთან რისი ნება ჰქონდა და როგორ უნდა მოქცეულიყო. უფროს-უმცროსობის კანონი აქ მკაცრად იყო დაცული.

ვფიქრობთ, ყოველივე ეს იმ ტრადიციის გაგრძელება იყო, რომელსაც ისინი არ არღვევდნენ, რაც წინაპართაგან მომდინარეობდა და რასაც საუბრითა და პირადი მაგალითებით გადასცემდნენ მომავალ თაობას იმდენად, რომ ისინი თავისთავად გრძნობდნენ და შეითვისებდნენ უფროსთა პატივისცემას, რომელსაც ტრადიციის ძალით ღებულობდნენ პატარები და საქართველოში უძველესი დროიდან იყო დამკვიდრებული, რაც გამოიხატებოდა მოხუცისადმი განსაკუთრებულ პატივისცემაში. ეს ჩვეულება კიდევ უფრო ფართოდაა ფესვგადგმული მთიელ ტომებში. ს. მაკალათია და ვალერიან თიონიშვილი ისტორიულ ასპექტში წარმოგვიდგენენ რა მოხევეთა სოციალურ და ეთნოგრაფიულ ყოფას, აღნიშნავენ, რომ ამ კუთხეში თემური წყობილების გადმონაშთები გვი-

ანობამდე შემორჩია. „ოჯახის სათავეში დგას უხუცესი მამა-
კაცი „სახლის უფროსი“ და უხუცესი დედაკაცი „დიხაზალუა-
სი“. უფროს მამაკაცს თავის საკუთარი საპატიო „სამარტო
სკამიც“ აქვს. ამ უფროსების პატივისცემის წესებიც არსე-
ბობდა, რასაც ნინათ მტკიცედ ასრულებდნენ. სალმის დროს
ოჯახის უფროსებს ყველანი ფეხზე უდგებოდნენ. როცა უფ-
როსი წყალს დალევდა, ან ცხვის დააცემინებდა, ყველანი ფეხ-
ზე დგებოდნენ. მათ ნინ გავლაც არ შეიძლებოდა, შორით უნ-
და მოვლოთ (30; გვ. 98).

სვანეთში ისევე როგორც მთელ საქართველოში ოჯახის
ყველა წევრმა თავისი მოვალეობა იცოდა. კაცი სამამაკაცო
საქმით იყო დაკავებული, ქალი, სადედაკაცო საქმით და ასევე
ბავშვებმაც იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობანი.

ქართული ოჯახის სხვა უპირატეს თვისებად ნორ უორ-
დანია მიიჩნევს საოჯახო შრომის გადანანილებას სადედა-
კაცო (საშინაო) და სამამაკაცო (საგარეო) საქმიანობად – ცო-
ლი მომხმარებელია, ქმარი მწარმოებელი და „ასე ანუობილი
საქმიანობა ახანგრძლივებს ერთიმეორის სიყვარულსა და, მა-
შასადამე, ხელს უწყობს მეორე დიდ საქმეს – მოდგმის გა-
გრძელებას“, ქალი არსად არ არის ისე პატივცემული, რო-
გორც ქართველთა შორის. „ჩვენში არასოდეს არ ყოფილა სა-
დაო ქალთა უფლება (31, გვ. 110, 111).

სვანეთში მამაკაცის ძირითადი საქმიანობა იყო მესა-
ქონლეობა, საქონლის საკვებით მომარაგება, თიბვა, შეშის
მოტანა, მშენებლობა, ხვნა, თესვა, ფულისა და სანოვაგის
შოვნა, ტრანსპორტის გამართვა.

ტრანსპორტის ძირითადი სახე იყო მარხილი, შიგ შებმუ-
ლი ხარებით. მარხილით მოქონდათ თივა, ჩალა, შეშა, მორე-
ბის გარდა ყველაფერი. კარტოფილის გადასატანად კი იყე-
ნებდნენ თხილის ნკნელისაგან მონაულ ჩავს, რომელსაც
დგამდნენ პატარა მოკლე მარხილზე.

მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე საზამთროდ პროფესიული და დუქტის მომარაგება. ცხიმად ღორის ქონს ინახავდნენ, საშემოდგომოდ ხარი იკვლებოდა. ქონს ინახავდნენ გვიან შემოდგომიდან კოშკში. საქონლის და ღორის ხორცსაც ამარილებდნენ; თხის ხორცისაგან შაშხს ამზადებდნენ, ხორცს შეერის კვამლზე ბოლავდნენ. ზამთრისათვის სასოფლო-სამეურნეო მოსავალს იღებდნენ. პურს, ქერს ლენავდნენ, ამორეცხავდნენ, აშრობდნენ და ნისკვილში ფქვავდნენ.

მამაკაცი ძირითადად სამუშაოზე ყაბარდო-ბალყარეთში დადიოდა. იქ, ყაბარდოელებში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამაკაცი საუკეთესო ცელით გაუძლვებოდა სვანებს წინ, მას ერთ კილომეტრზე მიჰქონდა რიგი და სვანებიც უნდა გაყოლოდნენ შეუსვენებლივ. ამ სამუშაოდან შემოჰქონდათ ვერცხლი და მოყავდათ ხარები, რომელიც ძალიან კარგი ჯიშისა იყო, ძროხა – იშვიათად. ყაბარდოელებსა და სვანებს შორის ყოფილა ძალიან კარგი მეზობლობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ახლა ცოტა აირია ურთიერთობა, მაგრამ მიმოსვლა მაინც აქვთ ერთმანეთში, გადადიან უღელტეხილზე და საქმიანობენ ერთად.

თიბვაც მამაკაცის საქმე იყო. თიბვის დაწყებას ახანახა ერქვა. ნათესავ-ახლობლები ეხმარებოდნენ ერთმანეთს თიბვაში. როცა სოფელი დაადგენდა, მაშინ ინყებოდა თიბვა, უმეტესად აგვისტოში. წესი იყო ობოლ, ხელმოკლე ოჯახებისათვის ერთი-ორი დღით ადრე დაენიშნათ თიბვის დაწყება. მათ საძმო ეხმარებოდა და ვიდრე ისინი არ მოჩინებოდნენ თიბვას სოფელი არ დაიწყებდა. მთიდან თივა მარხილით ჩამოჰქონდათ და ზვინებად დგამდნენ. ცელს – კი ქალი ხელს არ მოკიდებდა. თიბვაში ქალის დახმარება სირცხვილად ითვლებოდა. თიბვას რომ დაამთავრებდნენ, საკლავს დაკლავდნენ და კარგადაც მოილხენდნენ.

მამეკაცის საქმე იყო ნადირობა და თევზაობა. მონადირე აუცილებლად მეკლდეულიც უნდა ყოფილიყო და ფიზიკურად



ძლიერი, მარჯვე და მოხერხებული. სანადიროდ მოზარდული განვითარებული პუკს 16-17 წლის ასაკში წაიყვანდა, მანამ კი წესებს აჩვევდა. ხალხი ჯიხვებზე წადირობას ერიდებოდა, უმეტესად შემოდგომაზე წადირობდნენ. ისე კი წებისმიერ დროსაც შეიძლებოდა, წადირობდნენ ძირითადად მგელზე, დათვზე, კურდღლზე, კვერნაზე, მელაზე, ფოცხვერზე.

სანადიროდ შეიძლებოდა ექვსიც წასულიყო და ორიც. ექვსზე მეტი არ იკრიბებოდა. სანადიროდ წამსვლელი არავის არ უნდა გაუტყდეს; მონადირე ჩუმად უნდა წავიდეს. ექვსი კაცი დათქვამდა წასვლის დროს და სამგზავროდ სასმელი და საგზალი მიჰქონდათ; ღორის ხორცის წალება არ იყო მიღებული; „წმინდანად“ უნდა წასულიყვნენ. ოჯახში ქალს რიგი თუ ჰქონდა ვინმეს, მაშინ მონადირის სანადიროდ წასვლა არ შეიძლებოდა, ოჯახიც სუფთა უნდა ყოფილიყო. ახალშობილი თუ ყავდათ ოჯახში, არც იმ ოჯახიდან არ შეიძლებოდა მონადირის წასვლა. წასვლის წინ პირჯვარს გადაიწერდნენ და ღმერთს მშვიდობიან დაბრუნებას შესთხოვდნენ. იცოდნენ რა მხარესაც მიღიოდნენ და სად უნდა გაეთიათ ღამე. გამოქვაბულში ყოველთვის არის შეშა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი სამყოფი შეშა მაინც უნდა წაეღოთ, ვინაიდან დიდ სირცხვილად ითვლება სხვისი მოგროვებული შეშის სულ დაწვა.

დავუშვათ ყველამ ვერ მოკლა წადირი. წანადირევი იყო ფა თანაბრად ყველა მონადირეზე. მხოლოდ რქები და ტყავი ეკუთვნის იმ მონადირეს, რომელმაც მოკლა წადირი.

მესტიაში არის მოლრიჯგრაგ მონადირეთა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მონადირენი გამარჯვებულნი რომ წამოვლენ, მარჯვენა ბეჭი უნდა წამოიღონ, აიტანონ ამ ეკლესიაში, შეულოცონ და შესწირონ ამ ეკლესიას. რქები კი შეეძლოთ შეეწირათ წმინდა გიორგის ეკლესიებში სხვაგანაც.

წადირობა შეიძლებოდა ორ დღეს ან ერთ კვირაზე მეტიც გაგრძელებულიყო.

ნადირობის დამთავრების შემდეგ ანთებდნენ ცეცხლს და წვერების გულ-ღვიძლს, თან წაიღებდნენ ნადირობის თავად (პირველად ნამოსულ არაყს) და შეულოცავდნენ - „მეროტო მშვიდობით გვამყოფე და რამდენიც ნანადირევს ბალანი ქონდეს, იმდენი გვამოვნინე” და იქვე მიირთმევდა ყველა მონადირე. ეკლესიაში შეიძლება სხვა მონადირეებიც მიენვიათ. იმ მარჯვენა ბეჭს, რომელიც ეკლესიას ეწირება, წვერების, ხოლო ბეჭის ძვალს სალოცავში ტოვებდნენ. ვინც ყველაზე დიდ ბეჭს მიიტანდა, ეს სახელი იყო მონადირი-სათვის.

მოზარდებს, ნადირობის წესებს თანდათანობით ასწავლიდნენ. სროლას რომ ისწავლიდა, უკვე შეიძლებოდა იგი სა-ნადიროდ წაეყვანათ. მათ თავდაპირველად მწყერზე ნადირობით აწყებინებდნენ (მესტია, მარლენ რატიანი).

ოჯახის კეთილდღეობა და სიმტკიცე მეტნილად ქალზე იყო დამოკიდებული. ისტორიულად, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, სვანეთშიც ქალი ოჯახის მეტად შრომისმოყვარე წევრია. მისი უმთავრესი საქმე ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა იყო. მას უეჭველად უნდა სცოდნოდა სა-ოჯახო საქმე - რთვა, ჩეჩივა, სვანური ქუდების დამზადება, ჩოხის შეკერვა, ქსოვა, კერვა. სვანეთში მეცხვარეობა დიდად არ ყოფილა განვითარებული, მაგრამ ყველა ოჯახს იმდენი ცხვარი ჰყავდა, რამდენიც ოჯახის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. ქალი უვლიდა საქონელს, სადგომს ასუფთავებდა, წველიდა; მთაშიც საქონელს ქალები მიყვებოდნენ, სადაც 2-3 თვეს რჩებოდნენ (ივნისი, ივლისი, აგვისტო), ყველის ჩამოტანა კი ისევ მამაკაცს ევალებოდა.

სვანურ სახლს ჰქონდა დერეფანი, ეს იყო მარცვლეულის გასახმობი ადგილი. იმ დერეფანის ყველა ლრიჭოს ნაკელით ამოქოლავდნენ, რომ ერთი მარცვალიც არ დაკარგული ყო. მაჩუბს დერეფანი ჰქონდა მზის მხარეს. მარცვლის მოვლაც ქალის საქმე იყო. ოჯახის სიმდიდრე ხორბლის სიუხვეზე



იყო დამოკიდებული, ხორბალი და ფქვილი ბარაქის სიმბოლო იყო. რაც უფრო ძლიერი იყო ოჯახი, მით უფრო დიდი ზომის კიდობანი ჰქონდა მას. თუ კიდობანი ორი, სამი ან მეტი ჰქონდა, მით უფრო ძლიერი იყო ოჯახი. ხორბლის დაფქვა, განაწილება, ფქვილის განაწილება უფროსი დიასალისის საქმე იყო, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ქალის უპირველესი და ძირითადი საზრუნავი მაინც იყო ოჯახი, განსაკუთრებით შვილებზე ზრუნვა, გაზრდა და აღზრდა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვის შრომით აღზრდას. საჭირო იყო მისი შრომაში ჩაბმა ისე, რომ მათთვის ეს ტვირთი და უსიამოვნო აქტი არ ყოფილიყო, არამედ შრომას მათთვის სიხალისე და სიამოვნება უნდა მოეტანა. ეს მართლაც ასე ხდებოდა. ოჯახში, სადაც ყველა შრომობდა და სადაც შრომა თანაბრად იყო განაწილებული ყველაზე, ბავშვიც არ რჩებოდა უყურადღებოდ და იგი მის წილ სამუშაოს ყოველთვის ასრულებდა ასაკის შესაბამისად. ეს იწყებოდა წყლის მოტანით, მწყემსობით, შეშის დაჭრით და მოტანით. 15 წლის ასაკიდან უკვე თიბავდა და ასე შემდეგ. გოგოც ასევე მისი წლოვანებისათვის შესაბამისი საოჯახო საქმით იყო მუდამ დაკავებული.

ვაჟი სრულწლოვნად 18-20 წლის ასაკიდან ითვლებოდა. წვერ-ულვაში რომ ამოუვიდოდა, იარაღის ტარების ნებას მისცემდნენ. ჩვეულებრივ სვანი კაცი თუ მტრიანი იყო, მაშინ მუდამ იარაღით დადიოდა, ხოლო სხვა შემთხვევაში უიარაღოდ. ჰქონდათ სადღესასწაულო იარაღი, რაც განსხვავდებოდა ყოველდღიურისაგან; იგი იყო ვერცხლის, დაფარული ოქროთი, დამშვენებული ორნამენტებით, ვერცხლის ფირფიტებითა და კოპებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ვაჟების რაინდულ აღზრდას, რომელსაც ბავშვობიდანვე იწყებდნენ. არსებობდა სვიფი, ყველა სოფელს ჰქონდა შესაფერისი ადგილი, სადაც ხდებოდა ხოლმე შეკრება საღამო ხანს ან დილით. ად-

რე აქ ელაგა სხვადასხვა ზომის საჯილდაო ქვები – ლაკვებული რალ ბაჩარ (საჯილდაო ქვა). ინყებოდა ბიჭების წვრთნა. ისრიც ცდილობდნენ საჯილდაო ქვის აზიდვაში შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინაიდან ვაჟის ფიზიკურ წვრთნას დღიდ მნიშვნელობა ჰქონდა. თუ მამაკაცი ძლიერი არ იყო ფიზიკურად, განსაკუთრებით მთაში, ის ოჯახი დაღუპული იყო. მამაკაცს უნდა შეძლებოდა მთიდან მარხილის ჩამოტანა თივით, შეშით და ა. შ. ამიტომაც ბავშვის წვრთნას 5-6 წლიდან ინყებდნენ სირბილში, ცხენზე ჯდომაში, ასწავლიდნენ ნადირობას და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს.

სვანეთმა დღემდე შემოგვინახა ეროვნული ტრადიციები, ქართველებისათვის დამახასიათებელი შრომისმოყვარება და მაღალი ზნეობის ნორმები, საწესო რიტაულები და ადათ-წესები, სადაც სამეურნეო საქმიანობის სრულყოფასთან ერთად ისტორიულად ვითარდებოდა ეროვნული კულტურაც.

ყველაფერი ეს კი გვიჩვენებს, თუ რა მყარ ზნეობრივ საფუძვლებზე იყო აგებული ოჯახურ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობა საქართველოში, რაც ბუნებრივია პიროვნების აღზრდის აუცილებელი წინაპირობა. სრულყოფილი პიროვნება კი შეუძლებელია ჩამოყალიბდეს ოჯახის გარეშე. ამიტომ ჯანსაღი ოჯახური გარემო, ოჯახთან ერთად კი, გვარისა და მთელი თემის მონაწილეობა იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ღირსეულ მამულიშვილთა ახალ-ახალი თაობები აღიზარდოს. ამიტომაა, რომ ხალხი ისტორიული ტრადიციით განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ბავშვის აღზრდის ისეთი სისტემის შექმნას, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა საზოგადოების ყველა სოციალური უჯრედი, ოჯახის ყველა წევრი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული უფროსი თაობა. რაც შეეხება უშუალოდ მშობელთა მონაწილეობას, აქ ორივე მშობელს, როგორც დედას, ისე მამას თანაბარი პასუხისმგებლობა ეკის-



რეპოდათ. თემი, საზოგადოება, როგორც წესი, სამუშაოების საქმიანობასაც აქტიურად იყენებდა ბავშვის აღზრდის მთელ სისტემაში.

ამრიგად, ქართველებმა საუკუნეთა მანძილზე შექმნეს ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური აღზრდისა და სრულყოფის მეტად თავისებური და ორიგინალური სისტემა. ამ სისტემის საშუალებით ხალხი თაობიდან თაობამდე მოზარდ თაობაში ზრდიდა ვაჟკაცურ სულს, ერთგულებას ნინა-პართა ტრადიციებისადმი და წეს-ჩვეულებისადმი, ქალებისა და მოხუცებისადმი პატივისცემას, ეროვნულ სიამაყესა და ღირსებას, შრომისმოყვარეობას, მეგობრებისადმი ერთგულებას და სხვა მაღალზენობრივ თვისებებს.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ბევრი რამ აღზრდის ამ პრინციპებიდან უნდა გათვალისწინებულ იქნას თანამედროვე პირობებში. ის, რაც საუკუნეთა მანძილზე ხალხის პრაქტიკული ცხოვრებით არის გამოცდილი და განმტკიცებული, მომავალმა თაობებმა არ უნდა დაკარგონ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., თბ., 1989, გვ. 688-689.
2. 6. უორდანია, ნიგნი ოჯახში საკითხავი, თბ., 1989, გვ. 99-100.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1960. ტ. VI, გვ. 98-99.
4. ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 110.
5. ვალ. ითონიშვილი, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბ., 1977, გვ. 11.
6. ვალ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

7. 6. უორდანია, წიგნი ოჯახში საკითხავი, გ. შარაძის, 6. შა-
ტაიძის, გ. ალხაზიშვილის რედაქციით, თბ., 1989, გვ. 14-15.
8. ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, თბ., 1985, გვ. 15.
9. არჩილი, თხულებათა სრული კრებული, ტ. 1, ტფ., 1930,
გვ. 3-16.
10. იური ბიბილეიშვილი, შრომები, შოთა რუსთაველის სახე-
ლობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 1, 1995,
გვ. 163-168.
11. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები,
ტ. VII, თბ., 1966.
12. იქვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
13. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მნერლობის ისტო-
რიის საკითხები, თბ., გვ. 130-138.
14. იური ბიბილეიშვილი, მამულიშვილის აღზრდა, გაზეთი
„აჭარა“, 31.03.91.
15. ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, თბ., 1989, გვ. 78.
16. იქვე, გვ. 102.
17. პეტრე ტრაპაიძე, სოფელი ზემო სურები, ჩოხატაურის
რაიონი, მთხოვნელი.
18. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1957,
გვ. 194.
19. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, ერთ
და ისტორია, თბ., 1955, გვ. 372.
20. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 8, თბ.,
1957, გვ. 336.
- 21.ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, თბ.,
1961, გვ. 490.
- 22.ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, თბ.,
1961 გვ. 489.
- 23.ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, თბ.,
1961, გვ. 489.



24. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 302, 1961, გვ. 302.
25. ვაჟა-ფშაველა, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.
26. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 486.
- 26°. ნ. უორდანია, წიგნი ოჯახში საკითხავი, გ. შარაძის, ნ. შატაძის, გ. ალხაზიშვილის რედაქტორობით, თბ., 1889, გვ. 20, 21, 53, 61, 90-92, 77-81, 89-90, 94-98.
- 26°. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწერილობის საკითხები, თბ., 1973, გვ. 73.
- 26°. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1961, გვ. 9.
- 26°. ნ. ცინცაძე, ბავშვის შრომითი აღზრდა ხევსურეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები. თბ., 1987, გვ. 178.
27. თედო რეხვიაშვილი (მთხოვნელი, სოფ. რაჭისუბანი)
28. უაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში.
29. რუსუდან ფურცელაძე (მთხოვნელი, სოფ. ნიკორწმინდა)
30. ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 98; ვალ. თიონიშვილი, მოხევეთა საოჯახო ყოფა, თბ., 1970.
31. ნ. უორდანია, წიგნი ოჯახში საკითხავი, გ. შარაძის, ნ. შატაძის, გ. ალხაზიშვილის რედაქციით, თბ., 1889, გვ. 16, 110-111.

საოჯახო ეტიკეტი იმართის მოსახლეობაში

საოჯახო ეტიკეტი ანუ ოჯახის წევრთა ქცევის ნორმები საოჯახო ყოფის სხვა ძირითად საკითხებთან ერთად შეისწავლება. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი იგი ცალკე შესწავლის საგანიც გახდა. ამ საკითხს მრავალმა ეთნოგრაფმა მიაქცია ყურადღება.

ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მიღებული ნომინაციით ტრადიციულ-ყოფითი კულტურა არის ის, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ხალხურ კულტურას ვუწოდებთ. ეს მეცნიერება პრაქტიკულად ყოველთვის პირველ რიგში სწავლობდა მატერიალურ კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ხალხურ შემოქმედებას, ე. გ. იმ კომპონენტებს, რომლებშიც უფრო თვალნათლივ ჩანს ეთნიკური სპეციფიკა (20, გვ. 6). ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ამ ჩამონათვალში შესაძლებლად და აუცილებლად მიჩნეულია „ურთიერთობის“ დამატებაც. ტერმინი „ურთიერთობის ეთნოგრაფია“ პირველად იხმარა ამერიკელმა მეცნიერმა დ. ჰაიმზმა (19, გვ. 160). შემდეგ ეს ტერმინი დავიწყებას მიეცა. ბ. ბეგაუნოვი ცდილობს მის აღდგენას და დამკვიდრებას. დასავლეთში „ურთიერთობის ეთნოგრაფიის“ შესაბამისად ამჟამად იხმარება ტერმინი „ქცევის ანთროპოლოგია“. ამ საკითხით თავის დროზე მეცნიერების რამდენიმე დარგი დაინტერესდა, როგორიცაა ლინგვისტიკა, სემიოტიკა, ფსიქოლოგია. ეს არის ახალი მიმდინარეობა, რომელიც, პირველი ეთნოგრაფიული მეცნიერების პრობლემაა. იგი წარმოადგენს ეთნოსის კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ჩვენ გვაინტერესებს კომუნიკაციის ეთნოგრაფიული ასპექტი. აქ ისმის კითხვა - ეთნიკურ კულტურის რომელ ფენას განეკუთვნება ოჯახის წევრთა ურთიერთობის კულტურა, ანუ საოჯახო ეტიკეტი? უნდა აღინიშნოს, რომ ეს, პირველ



რიგში, არის ტრადიციულ-ყოფითი კულტურა. ეს საკონსერვაციო ხშირად ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში ერთმანეთშია გადაჯაჭვული, ამიტომაც მათ ცალკე ნაშრომების სახე არა აქვთ მიღებული და „ეს მდგომარეობა გავრძელდება მანამ, სანამ ურთიერთობის ეთნოგრაფიული შესწავლა სერიოზულ თეორიულ ხასიათს არ მიიღებს“ (19, გვ. 160). ვფიქრობთ, აუცილებელია ამ საკითხების ცალკე შესწავლა, მაგრამ საოჯახო ყოფის კვლევის დროსაც მათი უგულვებელყოფა არ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ მორიდების წეს-ჩეკეულებანი ფართოდ გავრცელებული მოვლენაა მსოფლიოში, მისი გენეზისის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს და არ არის დადგენილი ის მიზეზები, რამაც იგი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ხალხებში XX საუკუნემდე შემოინახა. მორიდების სოციალური ინსტიტუტის შესწავლაში მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მომენტი.

როგორც ცნობილია, საოჯახო-საქორნინო აკრძალვების წარმოშობის შესახებ სამი ძირითადი თეორია არსებობს. პირველი თეორია და მისი წარმომადგენლები ამ აკრძალვების წარმოშობას მოტაცებით ქორწინების იძულებით ფორმასთან აკავშირებენ. (27, გვ. 63, 4, გვ. 157). მეორე თეორიის წარმომადგენელთა თვალსაზრისით ეს აკრძალვები (მორიდება) განიხილება როგორც სქესობრივი ურთიერთობის ამკრძალავი მექანიზმი, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა იმ დროს, როცა მოხდა ჯგუფური ქორწინებიდან ინდივიდუალურ ქორწინებაზე გადასვლა. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამ თეორიას შეუძლია მორიდებულობა ახსნას მხოლოდ სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა შორის (და არა ერთი სქესის), ამიტომაც ამ თეორიას უნივერსალურ ხასიათს არ ანიჭებენ (27, გვ. 63; 4, გვ. 158). მესამე თეორია მორიდებულობას მატრილოკალურიდან პატრილოკალურ დასახლებაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდს უკავშირებენ (27, გვ. 63).

ბ. ბგაუნოკოვი ემხრობა მეორე თეორიას; ამასთანავე განვითარების არი უნივერსალური ტენდენცია - ერთი მხრივ, ჯგუფურიდან წყვილად ქორნინებაზე გადასვლა და მეორე მხრივ, მორიდებულობის, სირცხვილის, ურთიერთპატივისცემის ფორმირება-მორალური გრძნობების კრისტალიზება" (18, გვ. 142). ამ თვალსაზრისის გამოხმაურება იყო ე. სმირნოვასა და ა. პერშიცის ერთობლივი ნაშრომი, რომელშიც ისინი მორიდების წეს-ჩვეულებებს ფორმაციული კრიტერიუმებით ხსნიან. (27). ეს თეორიები კრიტიკულად იქნა შეფასებული (24). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მესამე თეორიას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. ამავე თეორიაში ხედავდა მ. კოსვენი მორიდებულობის გენეზისის ძირითად მექანიზმს (27, გვ. 63). ამ აკრძალვების ფსიქოლოგიური მომენტით ახსნა პირველად ა. მაქსიმოვმა მოგვცა, რომელიც შემდეგ 6. კისლიაკოვმა განვითარა (24; 23, გვ. 237). მათი აზრით, მორიდებულობის ფესვები უნდა ვეძებოთ არა მარტო ქორნინების ლოკალიზაციის ცვლილებაში, არამედ იმ მორიდებაში, რომელიც ახასიათებს ერთმანეთთან ქორნინებით დაკავშირებულ პირებს, რომელებიც მანამდე ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ. ეს თეორია დამოუკიდებელ თეორიადაც კი არის ნარმოდგენილი (26, გვ. 37-40). ამ საკითხების შესწავლამ დიდი დისკუსია გამოიწვია, ის ცნობილია და მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტერმინების ეტიკეტის, ეთიკისა და მორიდების ურთიერთმიმართების საკითხებს. ფართო მნიშვნელობით ამ ტერმინებს საერთო ისტორიული ფესვები, ისინი ადამიანთა ურთიერთობებს არეგულირებენ ოჯახსა და საზოგადოებაში და მათ გარკვეულწილად ზღუდავენ კიდეც (29, გვ. 70-72).

ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: საცხოვრებელი ადგილი, სოციალური მდგომარეობა, ასაკი, სქესი, მათი საქმიანობა ოჯახში და მის გარეთ, განათლების დონე, რეგიონში ძველი და ახალი წეს-ჩვეულებების დაცვის ტრადიცია და სხვ.

ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს განსხვავებული სტრუქტურა, ფუნქცია და რაც მთავარია, სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ. ზოგიერთი მათგანი არეგულირებს მოზრდილთა ურთიერთობას, ურთიერთობას სხვადასხვა გენეალოგიური ხაზის წარმომადგენლებს შორის, ურთიერთობებს არასრულწლოვან წევრებთან იმავე გენეალოგიური ჯგუფიდან (17, გვ. 53). ეს უკანასკნელი, ე. ი. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა აღმზრდელობითი ხასიათისაა და სხვა სახეობებთან ნაკლებ კავშირშია.

ტრადიციულად ქართულ ოჯახის წევრთა სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავების ნორმები მოქმედებდნენ. ოჯახის წევრთა ურთიერთობის დროს, მართალია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ სქესსა და ასაკს, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია ამ ადამიანთა ნათესაური ურთიერთობა, აგრეთვე მათი ურთიერთობის ადგილი, ოჯახში თუ საზოგადოებაში იგი განსხვავებულია. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მთავარი საკითხია ამ ადამიანთა ეთნიკური წარმომავლობაც.

ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის მრავალ საკითხზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში (15). ძველი ქართული ოჯახის ერთ საყურადღებო მხარეს შეადგენდა ის, რომ, როგორც საზოგადო ცხოვრებაში, ისე ოჯახში განხორციელებული იყო უფროს-უმცროსობა, წევრთა შორის დიდ-პატარაობა. ვახტანგ მეექვსემთავის სამართალში იერარქიულად აღწერა ეს მოვლენა და თითოეულ წევრს გაყრის დროს თავისი საკუთარი ხვედრი დაუნიშნა (16, გვ. 152).



ოჯახის უფროსი, როგორც წესი, ასაკით უფროსი მამა-
კაცი იყო, რომლის სიტყვას ძალა ჰქონდა. მის განკარგულებისთვის
ბას ყველა ემორჩილებოდა. ოჯახის წევრები, მიუხედავად მა-
თი რაოდენობისა, უფროს მამაკაცს ყველაზე მეტ პატივს
სცემდნენ (9, გვ. 127; 22, გვ. 121).

მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მართვა უფროსი
ძმის ხელში გადადიოდა და ამ უკანასკნელს იგივე უფლება-
მოვალეობანი ჰქონდა, როგორც მამას. მას სამკვიდრო ქონე-
ბაშიც მეტი წილის მიღების უფლება ჰქონდა. იმერეთის ეთ-
ნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ი. ფუტკარაძე აღნიშ-
ნავს, რომ უფროსი ძმის პატივისცემა დაკავშირებული იყო
არა იმასთან, რომ იგი ოჯახის უფროსი იყო, არამედ იმასთა-
ნაც, რომ უფროს ვაჟიშვილს წინაპართა პატივისცემისა და
სულის მოსახსენებლად საჭირო სამსახური უნდა გაეწია (9,
გვ. 121). ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის სა-
ფუძველზე, ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას, რადგანაც
წინაპართა პატივისცემისა და სულის მოსახსენებლად საჭი-
რო სამსახური არა მარტო უფროს ვაჟს, არამედ ოჯახის ნები-
სმიერ უფროსს უნდა გაეწია. ვფიქრობთ, უფროსი ძმისადმი
მეტი პატივისცემა და სამკვიდრო ქონებაში მეტი წილის მიღე-
ბის უფლება განპირობებულია ასაკით და იმ შრომითი წელი-
ლით, რომელიც ამ უკანასკნელს შეაქვს ოჯახში.

ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული საქორწინო - საოჯა-
ხო აკრძალვები ასეთი სახით წარმოგვიდგება: 1) აკრძალვები
ცოლ-ქმარს შორის, 2) მშობლებსა და შვილებს შორის, 3) ქა-
ლსა და მისი ქმრის ნათესავებს შორის, 4) მამაკაცსა და მისი
ცოლის ნათესავებს შორის (26, გვ. 37-40). აკრძალვების 1-2
სახეობა უშუალოდ ოჯახის წევრებს ეხება, 3-4 სახეობა სცი-
ლდება ოჯახის ფარგლებს და გულისხმობს ერთ-ერთი მეუ-
ლების დამოკიდებულებას მეორის ნათესავებთან, როგორც
ოჯახის ფარგლებში, ისე მათ გარეთ.

საქორნინო-საოჯახო აკრძალვები ფართოდ იყო გამოიწვევა
ცელებული, რამაც შეცვლილი სახით საქართველოს მრავალ
კუთხეში XX საუკუნემდე მოაღწია (რ. ხარაძე, ვალ. ითონიშვილი), სადაც მკვეთრად ჩანს განსხვავება დიდი და პატარა ოჯახის ნევრებს შორის არსებულ ურთიერთობებში.

იმერეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, უფრო სრული სახით შემორჩენილი იყო ქალის მორიდება ქმრის ნათესავებთან, განსაკუთრებით უფროსებთან. „უმძრახობის“ წესი ამ რეგიონში ტრადიციული ფორმით არ დასტურდება, მაგრამ ადრეულ პერიოდში მის არსებობაზე ზოგიერთი შემორჩენილი ელემენტი მიგვანიშნებს, რაც მოწმობს, რომ მორიდების წესები ადრე იმერეთის მოსახლეობისთვისაც დამახასიათებელი მოვლენა ყოფილა.

ქვემოთ ვაჩვენებთ თუ როგორია ოჯახის ნევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმები, საოჯახო ეტიკეტი და რა სახისაა მათ შორის არსებული აკრძალვები.

ცოლ-ქმარი დიდ ოჯახში იცხოვრებდა, თუ პატარა ოჯახში, ქალის უფროსად მაინც ქმარი ითვლებოდა. ქართველმა მნერალმა თავისი მოთხრობის პერსონაჟს ასეთი რამ ათქმევინა: „ქმარი ღმერთია ქალის“ (6, ვვ. 572). მეუღლისადმი ასეთი ჩვევად ქცეული დამოკიდებულება ისტორიული სიღრმიდან მომდინარე მოვლენად არის მიჩნეული. ქმარს უპირატესობა ჰქონდა ცოლთან შედარებით.

მდიდარი და სოციალურად დაწინაურებული ოჯახიდან გამოსული ქალი უფრო ნაკლებად ასრულებდა ქმრისადმი დაქვემდებარების წესებს.

იმერეთის მოსახლეობის წეს-ჩვეულებების მევლევრის მ. სალარაძის ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს იმერულ ოჯახში ქალი მამაკაცის სურვილის უსიტყვო შემსრულებელია, რომელიც მის ბატონად და მფარველად ითვლება. ცოლსა და ქმარს შორის კამათი მუდამ მამაკაცის სასარგებლოდ მთავრდება, რომელიც გრძნობს თავის სრულ უპირატესობას. ის ხშირად

ცოლს სამართლიანად არ ექცევა. ქალს მხოლოდ ბავშვის მო-
კლა და საოჯახო საქმე ევალება, ამიტომაც ცოლ-ქმრის უკრძალული
ყოფილებაზე და გაყრაზე ლაპარაკიც კი არ არის (25, გვ. 5).

ორთაობიან ოჯახებში, სადაც არ იყვნენ ქმრის მშობლე-
ბი და უფროსი თაობის სხვა წარმომადგენლები, მეუღლეებს
შორის ურთიერთობა უფრო თავისუფალი იყო, თუმცა საზო-
გადოებაში მათი ურთიერთობა კვლავ შეზღუდული რჩებოდა.

ქართული წეს-ჩვეულებით ქალს არ შეეძლო ოჯახის გა-
რეთ რაიმე საქმიანობა ენარმოებინა, ნაცნობობა ჰქონიდა
ვარეშე მამაკაცთან, მასთან უბრალო საუბარიც კი სირცხვი-
ლად ითვლებოდა.

იმერეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით
ცოლ-ქმარს შორის მორიდება იმითაც გამოიხატებოდა, რომ
ისინი ერთმანეთს სხვების თანდასწრებით სახელით ვერ მიმა-
რთავდნენ. ცოლქმრულ ურთიერთობაში ცოლი „ვერ ბედა-
ვდა“ და ქმარი „არ დაბლდებოდა“, რათა მეუღლისათვის სახე-
ლით მიერართა. ეს მხოლოდ მათი მარტოდ დარჩენის შემთხ-
ვევაში ხდებოდა. ამისათვის იყენებდნენ შემდეგ გამოთქმებს -
„კაცო“, „ქალო“, „ეი“, „გესმის“. ცოლი ქმარს ხშირად მიმარ-
თავდა სიტყვებით „ოჯო“, „ვეუ“. სხვასთან მოხსენიების
დროს ცოლი ქმარზე იტყოდა „ჩემი კაცი“-ო, მამაკაცი კი ცო-
ლზე იტყოდა „ჩემი ოჯახობა“-ო. „ოჯახობას“ მხოლოდ ქალზე
იტყოდნენ, მამაკაცზე არა. ქმარი ცოლს ასედაც მოიხსენიე-
ბდა - „ჩემი ქალი“, თუ ქალი მოხუცი იყო - „ჩემი დედაბერიო“.

იმერეთსა და გურიაში ხშირი იყო ქალის ჩამომავლობის,
მამის გვარის ან სადაურობის მიხედვით მოხსენიება. ასე მაგ:
ნიქორივე (ნიქორიძის ქალი), ლომინაივე (ლომინაძის ქა-
ლი), გოლიაფე (გოლიაძის ქალი) და სხვ.

თავდაპირველად შესაძლებელი იყო ქართველებს სუფი-
ქსების მიხედვით განესხვავებინათ ქალისა და კაცის გვარები.
ადრე ასეთი ფუნქცია ზანურში და დასავლეთ საქართველოს
სხვა ქართველთა მეტყველებაში ჰქონდა -ფხე(-ხე) სუფიქსს

(3, გვ. 53). სუფიქსი - ფხე ანარმოებს ქალის გვარს და მცურავს თებს ქალის ძველ, მამისეულ გვარს. მაგ.: ცინცაიფხე, ჭჯა-ჯურიფხე, ასათიანიფხე, ჩანტლაიფხე, იმნაიფხე, ჯიბლაიფხე და სხვ. (7, გვ. 64).

ს. უღენტის განმარტებით -ფხე სუფიქსია, რომელიც ქალთა გვარებს ანარმოებს და ქალის წარმოშობით გვარს უჩვენებს, იგი მას მეგრულ -ხეს უდარებს (7, გვ. 248).

ალ. ღლონტის თვალსაზრისითაც -ფხე ქალთა გვარების სუფიქსია. ის აღნიშნავს ქალიშვილს, ქალს, ასულს, მაგ.: ჯიბუტიფხე - ჯიბუტის ასული, ჩხაიფხე - ჩხაიძის ქალი (10, გვ. 169).

ქალის ჩამომავლობის ან სადაურობის აღსანიშნავად, სუფიქს -ფხეს ხმარება ცნობილი იყო აჭარაშიც, რომელსაც ქმარი ცოლის სახელის აღსანიშნავად იშველიებდა, მაგ.: ბაჯელიფხე, - ბაჯელიძის ქალი (1, გვ. 96).

მამაკაცი არ მიმართავდა ქალს სახელით, რათა ამით ქალის განსაკუთრებულობა არ აღენიშნა. ქალსაც საოჯახო ჩვეულება უკრძალავდა ქმრის სახელის ხსენებას, რომ თავისი თავი ქმრის თანატოლად არ მიეჩნია. ორივე შემთხვევა მამაკაცის დომინირების ტენდენციად არის მიჩნეული (11, გვ. 119).

ძველი ტრადიციული ოჯახისაგან განსხვავებით, თანამედროვე ოჯახში გაცნობიერებული არა აქვთ ამა თუ იმ მიმართვის აკრძალვა. თავის მოქმედებას ისინი იმით ხსნიან რომ პირიქით მოქცევა „უხერხულია”, „ასე არის მიღებული”, „ჩვეულებრივია”. საფიქრებელია, რომ ქცევის ასეთი შეფასება ცხოვრების წესის იმ გაგებას უახლოვდება, რომელიც „ურთიერთობის ნორმების ერთობლიობას გულისხმობს” (8, გვ. 47; 11, გვ. 120).

მორიდების ნორმები თავიდან ორივე მეუღლეს თანაბრად ეხებოდა, შემდგომში კი მხოლოდ ქალს დაეკისრა. ამ მოვლენას ხშირად ქალის უუფლებობას უკავშირებენ. ვფი-

ქრობთ, აქ მთავარი სქესობრივი განსხვავება უნდა იყოს. განსხვავების რდა ამისა, მარტო მორიდების ფორმების მიხედვით ქალში უფლებობაზე ვერ ვიღაპარაკებთ, რადგანაც არსებობს მორიდება ერთი სქესის წარმომადგენელთა შორისაც (27, გვ. 64).

საყურადღებო და მნიშვნელოვანია ქალის ურთიერთობა მეუღლის ოჯახის წევრებთან. ოჯახის, გვარის თუ სოფლის უფროსებისა და მამაკაცის წინაშე ქალის მორიდება ფართოდ იყო გავრცელებული სხვა ხალხებშიც.

საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებით იგრძნობოდა უფროსი თაობის პატივისცემის ტრადიციის ძალა, ხანდაზმული პირისადმი მოკრძალება. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, იმერეთშიც ოჯახის წევრთა ურთიერთდამკიდებულება უმცროს-უფროსობის პრინციპს ემყარებოდა.

დიდ ოჯახში რძლის მიერ მამამთილისათვის ან სხვა უფროსი მამაკაცისათვის თვალის არიდება სავალდებულოდ ითვლებოდა. რძალი იძულებით დამცირებულ და უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა და ასეთი სიტუაცია უზრუნველყოფდა მამამთილის და სხვა უფროსების უპირატესობას.

იმერეთის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ჩანს, რომ ამ რეგიონში „უმძრახობა“ ტრადიციული ფორმით არ დასტურდება. რძალს უფლება ჰქონდა დედამთილ-მამამთილს ოჯახში შესვლისთანავე დალაპარაკებოდა, თუმცა ქმრის ბაბუასა და მამამთილს მაინც განსაკუთრებული რიდით ექცეოდა. როგორც ყველგან, აქაც მათ „უბატონოდ“ ვერ გასცემდა ხმას. ჩვეულებრივი იყო მიმართვა - „მამა-ბატონი“ და „დედაბატონი“. გვიანდელი მოვლენა არის ის, რომ მათ მიმართავენ „დედას“ და „მამას“, რაც დღევანდელ პირობებში თითქმის ტრადიციად დამკვიდრებული ჩანს. მათი მოხსენიებაც უთუოდ დიდ პატივისცემას ემყარება.

რძლის მორიდება უფროსი მამაკაცების მიმართ იმაში გამოიხატებოდა, რომ ის მათ თვალს არიდებდა, მხოლოდ აუ-



ცილებლობის შემთხვევაში ელაპარაკებოდა. სახლში რეგულარულად, როსი შემოვიდოდა, ის მაშინვე უნდა ამდგარიყო, სკამი მიეწოდებინა და მის დაჯდომამდე არ დამჯდარიყო. მათი თანდა-სწრებით ბავშვისთვის ძუძუს წოვება სირცხვილად ითვლებოდა.

უფროს-უმცროსობის ტრადიცია ჩანს აგრეთვე ოჯახის უფროსი ქალისადმი დამოკიდებულებაშიც. იმერეთში უფროსი ქალი - „დიასახლისი“ განავებდა ქალთა საოჯახო საქმიანობას. ყველა ქალი მის სიტყვას უჯერებდა და ურთიერთგა-გებით ხდებოდა ყველაფრის მოგვარება. თუმცა დიდ ოჯახში უთანხმოებაც არ იყო გამორიცხული, რასაც თავდაპირველად მამაკაცებს არ აგრძნობინებდნენ. სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში მასში მამაკაცებიც ერეოდნენ, რაც თანდათანობით ამ ოჯახის გაყრის მიზეზიც კი ხდებოდა.

ძირითადად უფროსი მამაკაცი განავებდა ოჯახის ურ-თიერთობას მეზობლებთან და ნათესავებთან, მაგრამ თუ საქმე ქალთა სფეროში შედიოდა, მაშინ უფროსი ქალი - „დიასახლისი“ ავარებდა საკითხს. რაიმეს შეძენა, სესხება თუ გასესხება, სურსათის თადარიგი, საოჯახო, საგვარეულო თუ სასოფლო დღეობებისათვის მზადება უფროს მამაკაცთან ერთად დიასახლისის კომპეტენციაში შედიოდა. რძალს რომ „თავის სახლს“ (ე. ი. მამის ოჯახში) წასვლა უნდოდა, ჯერ დედამთილის ნებართვა უნდა მიეღო, მხოლოდ ამის შემდეგ ეკი-თხებოდა ქმარს.

რძალი პატივს სცემდა მაზლებსა და მულებს, განსაკუთრებით კი ასაკით უფროსებს. მაზლის აკვნის ფეხით დარწევის აკრძალვა ხომ მთელი საქართველოსთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. მულს, ტოლ და უმცროს მაზლს რძალი სახელით მიმართავდა, უფროს მაზლს კი „ჩემო მაზლო“-ო ეტყოდა და სხვებთანაც ასე მოიხსენიებდა.

ქალი პატივისცემას და მორიდებას გამოხატავდა არანამდების მარტო ოჯახის უფროსი წევრების, არამედ მეზობლების, ნათესავებისა თუ სხვა ახლობელი პირების მიმართ.

არანაკლები პატივისცემით ეპყრობოდნენ ოჯახში რძალს, მისდამი დამოკიდებულებას ფიზიკური და პიროვნული თვისებების გარდა, მისი მშობლების სოციალური და მატერიალური მდგომარეობაც განსაზღვრავდა.

მთხოვობები გადმოგვცემენ, რომ ადრეულ პერიოდში სიძეც ერიდებოდა სიდედრ-სიმამრს და მეუღლის ოჯახის სხვა უფროს წევრებს. მათ „ბატონი“-ბით მიმართავდა, მაგრამ ეს ტრადიცია დიდი ხანია დაკარგულა და ძირითადად სახელით მიმართვა დამკვიდრებულა, რომელსაც ზოგჯერ სიტყვა „ბატონი“-ს უმატებენ. მხოლოდ ცალეულ შემთხვევაში დასტურდება, რომ მათთვის მიემართოთ „დედა“ და „მამა“. ბოლო ხანებში დამკვიდრდა მამის სახელით, ოღონდ რუსული ფორმით მიმართვა, ასე მაგ.: კონსტანტინოვიჩ, გრიგორიჩ და სხვ. სიძე მეუღლის ოჯახს პირველი შვილის, უფრო კი ვაჟის შეძენამდე ერიდებოდა, რაც შეეხება სიძის მიმართ დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ ის ყოველთვის გამორჩეული იყო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ შორის რაიმე უსიამოვნება არ არსებობდა.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, მორიდების მეტი თავისებურებებით ხასიათდებოდა რძლის ურთიერთობა მეუღლის ოჯახის წევრებთან, მაგრამ ეს როდი გამორიცხავდა მშობლებისა და შვილების ურთიერთკრძალვას. რაც, ძირითადად, კვლავ უმცროს-უფროსობის პრინციპს ემყარებოდა. შვილები პატივს სცემდნენ მშობლებს, ხშირად ეშინოდათ კიდეც მათი, განსაკუთრებით კი მამის, რომლის სიტყვა იმერეთში, ისევე როგორც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში „კანონი იყო“. დიდი იყო მამის როლი შვილების დაქორწინების საკითხში, მაგრამ ეს საქმე დედის რჩევის გარეშეც არ გადაწყდებოდა. თვითნებურად, მშობლების გარეშე დაქორწინებას



ვერც ერთი შვილი ვერ გაბედავდა - ვერც ქალი და ვერც უძალი ეს ტრადიცია ბოლო დრომდე, როგორც წესი, ძალაში იყო, თუმცა გამორიცხული არც გამონაკლისი შემთხვევები ყოფილა.

მამის სახლში ყოფნა თითქმის ყველა ოჯახში იგრძნობოდა. შვილები უფრო წყნარად საქმიანობდნენ და საუბრობდნენ, ვიდრე მისი არ ყოფნის დროს. მამის მოსვლისთანავე შვილები ფეხზე დგებოდნენ, ტანსაცმელს ჩამოართმევდნენ, ხელს დააბანინებდნენ, მის დაჯდომამდე ვერ დასხდებოდნენ. მამას „თვალებში უყურებდნენ“ რაიმე ხომ არ უნდაო. უფრო სების საუბარში შვილები ვერ ჩაერეოდნენ, მხოლოდ შეკითხვაზე თუ უპასუხებდნენ. მამა შვილის აკვანს სხვების თანდასწრებით ვერ დაარწევდა, ვერც ბავშვებს მოეფერებოდა. ეს მისთვის სირცევილად ითვლებოდა და საზოგადოების თვალში მის ავტორიტეტს დაბლა სცემდა. ოჯახის უფროსის უპირატესობა ყოველთვის იგრძნობოდა - მგზავრობის დროს ოჯახის თავი წინ მიდიოდა, მეუღლე და შვილები უკან, ოჯახის თავი პირველი შედიოდა ნათესავისა თუ უცხოს ოჯახში, ოჯახის წევრებიდან პირველს ხელს მას ართმევდნენ, პირველი შედიოდა ოჯახის თავი სამძიმარზე ჭირისუფალთან, ახლობლებთან გადახვევნის დროს პირველობა ასაკით უფროსს ენიჭებოდა, პირველ ნაყოფს ოჯახის უფროსი წევრი მიირთმევდა (12, გვ. 95).

ცნობილია, რომ უფროს მამაკაცს თავისი გამორჩეული ადგილი ჰქონდა სუფრასთან და კერასთან. ამ მხრივ, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს. იმერეთში, სადაც ველზე მუშაობის დროს დადასტურდა უფროსი მამაკაცისათვის განკუთვნილი სკამის არსებობა, რომელიც ოჯახის სხვა წევრების სკამებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ის უფრო მაღალი იყო, ზოგჯერ საზურგეც კი ჰქონდა. ასეთი სკამები მთელ იმერეთში ყოფილა გავრცელებული, თუმცა მისი სახელწოდების დაფიქსირება ვერ მოხერხდა. ქუთაისის 6. ბერძენიშვილის სა-

ხელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეთნოგრა-
ფიულ კუთხეში შუა ცეცხლთან (უნდა ვივარაუდოთ, რომ იქნა-
ვე მდგომარეობა იყო შემდგომში ბუხართანაც) წარმოდგენი-
ლია სკამები დაახლოებით ისეთი, როგორიც ზემოთ აღვნე-
რეთ, რომელთაგან ერთი უფროსი მამაკაცისათვის, მეორე კი
- დიასახლისისათვის ყოფილა განკუთვნილი. დანარჩენი კი
ჩვეულებრივი სამფეხიანი, უზურგო სკამებია. ეს ფაქტი ოჯა-
ხში უმცროს-უფროსობის პრინციპის დაცვის და სქესობრივი
განსხვავებულობისადმი ყურადღების გამოხატულებაა.

სუფრასთან სხდომისა და ჭამის დროსაც ურთიერთობა
ასაკისა და სქესის მიხედვით იყო განსაზღვრული. მაგრამ ამ
დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის
სტრუქტურას. დიდ ოჯახში ჯერ უფროსი თაობის მამაკაცები
ჭამდნენ, შემდეგ ახალგაზრდები, მათ შემდეგ კი - ქალები და
ბავშვები. პატარა ოჯახებში მშობლები და შვილები ერთად
მიირთმევდნენ. თუ ოჯახში სტუმარი ჰყავდათ, იქ ბავშვები
საერთოდ არ ჩანდნენ, გამონაკლისი, ისიც-ცოტა ხნით, მხო-
ლოდ სტუმრის სურვილით თუ თხოვნით დაიშვებოდა.

ყურადღებას იქცევს დედმამიშვილთა ურთიერთობა.
მათ შორის მორიდება თითქმის არ არსებობს. მხოლოდ შეიმ-
ჩნევა მოკრძალება და-ძმებს შორის. ისინი ერთმანეთს სახე-
ლებით მიმართავენ და არა ნათესაობის აღმნიშვნელი სხვა
ტერმინებით.

ცხოვრების წესისა და განვითარების დონის ცვლილება
მრავალი წეს-ჩვეულების ცვლილებას განაპირობებს. იგივე
შეიძლება ითქვას ოჯახის წევრთა ქცევისა და ურთიერთდა-
მოკიდებულების ნორმებზეც.

იმერეთში დიდი ხანია აღარ არსებობს „უმძრახობა“
ტრადიციული გაგებით. რძალს უფლება აქვს დედამთილ-მა-
მამთილს ქორნილის დღესვე დაელაპარაკოს. თუმცა მამამთი-
ლთან ურთიერთობა მეტ-ნაკლებად მაინც შეზღუდულია. მე-
უღლებს შორის სახელით მიმართვა ჩვეულებრივი მოვლენა

გახდა. ისინი საზოგადოებაშიც ერთად ჩნდებიან, ზოგჯერ უმოსია ლი ქმრის გარეშეც კი მიდის ჭირსა თუ ლხინში ნათესავებთან და მეზობლებთან ერთად.

თანამედროვე პირობებში ქალისა და მამაკაცის მდგომარეობა თითქმის თანაბარია, მაგრამ კვლავ ძალაშია ქმრის განსაკუთრებული უფლებები ცოლის მიმართ მორალურ-ზნეობრივი ურთიერთობის სფეროში (5, გვ. 84). ბევრი სხვა ხალხისაგან განსხვავებით ქართულ ოჯახში ჯერ კიდევ მტკიცეა ამ საკითხის ტრადიციული გაგება.

რაც შეეხება ოჯახის ეკონომიკურ საფუძველს, თანამედროვე პირობებში ქალი მამაკაცთან ერთად არის ჩაბმული შრომაში, მასთან ერთად ეკონომიკურადაც და მორალურადც თანაბრად მონანილეობს ოჯახურ ცხოვრებაში. ხშირ შემთხვევაში, ამ მხრივ, ქალის როლის უპირატესობაც კი შეინიშნება, დღევანდელ საყოველთაო უმუშევრობის პირობებში ქალთა უმრავლესობამ ვაჭრობას (ადგილზე თუ დედაქალაქში) მიჰყო ხელი. ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი გახდა ამჟამად ოჯახის ძირითადი საარსებო წყარო.

ქალის შრომამ უზრუნველყო და უკანასკნელ პერიოდში განამტკიცა კიდეც ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ისევე როგორც მისი იურიდიული თანასწორობა მამაკაცთან, ეს არის ოჯახის ნევრთა ურთიერთობის ახალი ფორმების ძირითადი ფაქტორი (28, გვ. 83; 21, გვ. 41).

ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურების, პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების მისწრაფებათა ცვლილებები გავლენას ახდნენ ტრადიციებზე.

როგორც ალვინიშნეთ, ძველად შვილები მშობლების სურვილის მიხედვით ქორნინდებოდნენ. შვილები ამჟამადაც ითვალისწინებენ მშობელთა აზრს, მაგრამ ხშირად საქმეს საბოლოოდ თვითონ წყვეტინ. ეს საერთო მოვლენაა და აქ მთავარია მშობლების ავტორიტეტი. გადამწყვეტი როლი მშობლებს, რა თქმა უნდა, აღარ აქვთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ



მათ აზრს სრულიად არ ექცევა ყურადღება (2, გვ. 45). ტრანსკრიპცია, ციამ მშობლებს შეუნარჩუნა გარკვეული როლი. მშობლების აზრის გათვალისწინების საჭიროებას თვით ქართული ოჯახის ხასიათიც აყენებს. კვლავ დიდია მშობლების როლი მორალური, ეკონომიკური, შთამომავლობის აღზრდის და სხვა თვალსაზრისით.

მიუხედავად ცვლილებებისა, შვილების დამოკიდებულება მშობლების მიმართ, მაინც გარკვეული ეტიკეტის დაცვით გამოირჩევა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ახალგაზრდების როლიც შედარებით ამაღლდა, რაც მათი განათლების დონითა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით უნდა აიხსნას.

საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებით იგრძნობოდა უფროსი თაობის პატივისცემის ტრადიციის ძალა, ხანდაზმული პირისადმი მოკრძალება. დღევანდელ პირობებში უფროსი თაობა ვერ ეგუება უფროს-უმცროსობის წესის დარღვევას და ამ ტრადიციის დამცველ ოჯახებს დიდი პატივისცემით ეპყრობიან.

სოციალური და კულტურული დონის განვითარება თანამედროვე საზოგადოებაში ბევრად მაღალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაც მანამდე არსებობდა, ის უცებ მოისპობა. 70-იან წლებში ი. სმირნოვამ და ა. პერშიცმა ანარმოეს ანკეტური გამოკითხვა, რომელიც ორმოცდაათწლიანი პროპაგანდის შემდეგ ჩატარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა დიდი ნაწილი მაინც ოჯახის წევრთა შორის მორიდების მომხრე გამოვიდა (27; 29, გვ. 73).

ამგვარად, ქართულ ოჯახში ოჯახის წევრთა ქცევისა და ურთიერთდამოკიდებულების ნორმებზე გავლენას ახდენს ოჯახის სტრუქტურა, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახის წევრთა საქმიანობა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უმცროს-უფროსობისა და სქესობრივი დაყოფის პრინციპს, მორიდების წესს. ყველაფერი ეს სხვა ხალხთა ჩვეულებებშიც



მოქმედებდა. კავკასიისა და შუა აზიის ხალხებში ნათესავის კულტურული ჯგუფებს შორის არსებობდა და გარკვეული სახით დღესაც არსებობს თავისებური კომუნიკაცია. ტაბუ ამ სფეროში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ზოგიერთ სხვა ხალხში კი ასეთი სახის მორიდებას უმნიშვნელო ადგილი უჭირავს (19, გვ. 18).

ადამიანთა ქცევა იცვლება როგორც დიაქტონულ, ასევე სინქრონულ ჭრილში, ე. ი. ისტორიულ და ეთნიკურ სივრცეში. ეთნიკური ტრადიციის ფორმა და შინაარსი ერთად ან ცალ-ცალკე ყოველთვის განსაზღვრულია ისტორიული პერიოდით, მისი კონკრეტული თავისებურებებით. ეთნიკურ ტრადიციას აუცილებლად აქვს ფუნქცია და სწორედ ამის გამოა საოჯახო ეტიკეტი ცოცხალ სინამდვილეში არსებული და მოქმედი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. აჩუგბა, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ., 1990.
2. მ. ბექაია, საოჯახო და საქორნინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, თბ., 1981.
3. რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიშვა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.
4. თ. იველაშვილი, საქორნინო-საოჯახო აკრძალვები ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მაცნე, ისტორიის... სერია, 1980, №3.
5. ვალ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969.
6. ე. ნინოშვილი, ცოლი და ქმარი „ქართული პროზა”, ტ. 15, თბ., 1988.



7. ს. ულენტი, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექ-
სიონი), ტფ., სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს
ლოს ფილიალის გამოცემა, 1936.
8. ალ. რობაქიძე, ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1981.
9. ი. ფუტკარაძე, გლეხთა საოჯახო ყოფა, „ქუთაისის ისტო-
რიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები”, თბ., 1971.
10. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ.ლო-
ნტიმა, ტ. II, თბ., 1975.
11. გ. ჩაგანავა, განრიდების ფსიქოლოგიური მექანიზმი, „სა-
მხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა”, XI,
თბ., 1985.
12. გ. ჩაგანავა, განრიდების ჩვეულება და საკუთრება, „სა-
მხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა”, XIII,
თბ., 1986.
13. გ. ცეცხლაძე, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ.,
1991.
14. გ. ცეცხლაძე, იმერეთის საველე ეთნოგრაფიული მასალე-
ბი, 1991-1995 წ.წ.
15. ს. ჭანტურიშვილი, ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების
საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის
ცდა), თბ., 1984.
16. ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982.
17. С. А. Арутинов, Анализ и оценка избегания, "Советская этно-
графия", 1979, №1.
18. Б. Х. Бгажноков, Адыгский этикет, Нальчик, 1979.
19. Б. Х. Бгажноков, Очерки этнографии общения адыгов, Наль-
чик, 1983.
20. Ю. В. Бромлей, К вопросу об особенностях этнографического
изучения современности, "Советская этнография", 1977, №1.
21. Ю. В. Бромлей, М. С. Кашуба, Брак и семья у народов Юго-
славии, М., 1982.

22. Г. Н. Джавахишвили, Быт и культура горняков Грузии (по этнографическим материалам Ткибули и Чиатура), Тб., 1980.
23. Н. А. Кисляков, Очерки по истории семьи и брака у народов средней Азии и Казахстана, Л., 1969.
24. А. М. Максимов, Ограничение отношений между одним из супругов и родственников другого, "Этнографические обозрения", 1980, №1-2.
25. М. Сагарадзе, Обычай и верования в Имерети, "Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа", XXVI, I отл., Тифлис, 1899.
26. Я. С. Смирнова, Семья и семейный быт народов Северного Кавказа, М., 1983.
27. Я. С. Смирнова, А. И. Першиц, Избегание: формационная оценка или "этический нейтралитет?", "Советская этнография", 1978, №6.
28. А. Е. Тер-Саркисянц, Современная семья у армян, М., 1972.
29. С. А. Токарев, "Избегание" и этикет, "Советская этнография", 1979, № 1.

მინის დაპატრონების გავრცელებული ნიერი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (XVIII-XIX სს.)

მთაში მინა, როგორც წესი, დიდი თუ მცირე (ინდივიდუალური) ოჯახების კერძო საკუთრებას შეადგენდა¹. ეს ფაქტი დამოწმებულია მრავალი უცხოური თუ ქართველი მკვლევარის მიერ. სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებათა მიხდვით XIX-XX სს. სახნავ-სათესი მინა საქართველოს მთაში კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო სათიხები (ძირითადად ურნყავი) და საძოვრები თემის განკარგულებაში იყო, აქ ტყეც საერთო-სახალხო საკუთრებად ითვლებოდა (ზევი, ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი და სხვ.)².

ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს ზემოთაღნიშნულ დებულებათა სისწორეში, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩინია იმის აღნიშვნაც, რომ ჩემი წინაპრებისა და ზოგიერთი სხვა შეძლებული მცირე თუ დიდი ოჯახების კერძო საკუთრებას ს. ცდოში (ყაზბეგის რაიონი) ტყეც შეადგენდა და მისი მოქრა დასაშვები იყო მხოლოდ მეპატრონეთა ნებართვით. ეს წესი შენარჩუნებული იყო მე-20

¹ გ. მელიქიშვილი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური ნუობილების დახასიათებისათვის, ჟურნ. „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1979, №1, გვ. 21.

² M. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, I, M., 1890, с. 60-61; II, M., 1890, с. 55, 83-84, 107-109, 162, 206, 269-270; B. Гурко-Кряжин, Хевсуры, M., 1928, с. 18; A. Хаханов, Тушины, "Этнографическое видозрение", 1889, с. 7-8; ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 44; ვალ. იოონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 42, 50; ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, I, თბ., 1962, გვ. 114-115; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, II, თბ., 1939, გვ. 44, 76; გ. ჯალაბაძე, მინათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963, გვ. 47.



საუკუნის 30-40-იან წლებამდე, ანუ მათი კოლმეურნეობა განმგებლობაში გადასცლამდე. რაც შეეხება სასოფლო ახუ სახალხო ტყეებს, ისინი ინტენსიური და არასწორი ექსპლოატაციის შედეგად მნირი და გაჩანაგებული იყო.

ოდესლაც დანანილებული სათემო თუ სხვა სახის მიწები დროთა განმავლობაში ცვალებადობას - გადანანილებას განიცდიდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახი, თემი მრავლდებოდა. ამ შემთხვევაში მამეულიდან მომდინარე თავისავე ტყის ხარჯზე შეეძლო გაეზარდა მიწის ნაკვეთი (მამული): 1) ე. ნ. „ახოს დანაყვის“ გზით, 2) სახნავ-სათესი მიწის ყიდვა-გაყიდვით, 3) მიწის იჯარით გაცემით, 4) ძალად დაჭრევინების ნიადაგზე (ხევსურეთში), 5) მიწის მიცემა მოსავლის სანახევროდ, ან სამესამედოდ, 6) მიწის დაწინდვით (ვალების გული-სათვის), 7) მიწის ძალადობით დაკავება, 8) ნაკვეთის გაღორღვის - ქვისაგან გარჩევის გზით, 9) ბეითალმან (უპატრონო) მიწაზე უფლებების შენარჩუნებით, 10) ამანათთან დაკავშირებით და ა. შ.

განსახილველ მხარეებში მიწის დაპატრონება-დაუფლების ყველა ეს ფორმა სხვადასხვა დონით დამოწმებულია სპეციალურ ლიტერატურაში და მას თავისი დამახასიათებელი და განმსაზღვრელი ნიშან-თვისება აქვს.

ჩვენი მოკრძალებული მცდელობაც ამ თავისებურებათა და გარემოებათა მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლება.

1. მამულის გაფართოება თავისივე ტყის ხარჯზე – „ახოს დანაყვის“ გზით

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისეთი მხარეები, როგორიცაა თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, რელიეფის თვალსაზრისითა და ნიადაგებით არ არის ხელსაყრელი მიწათმოქმედების ნარმატებით განვითარებისათვის, თუმცა დასახელებულ მხა-

რეებში განსაკუთრებული დონეები მაინც შეიმჩნეოდა, მაგრა რამ არა ნარმატებული. აქ მეტ-ნაკლებად უფრო ვითარდეს და მეცხოველეობა, რომელიც ისევე, როგორც მიწათმოქმედება, ადგილზე დიდი შრომის შედეგად მიიღწეოდა. ამ მხარისათვის სოფლის მეურნეობის ორივე ეს მნშვნელოვანი და ნამყვანი დარგი, როგორც ითქვა, არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მოქცეული იყო გარკვეულ ჩარჩოებში და ყველგან (ხევსურეთი, ხევი და სხვ.) ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს სრულად ვერ აქმაყოფილებდა. განსაკუთრებით ოდითგან მამებზე განანილებული სახნავ-სათესი მიწები, სათიბი, ტყეები და საძოვრები, რომლებიც იყო როგორც კერძო, ისე სათემო მოხმარებაში (საძოვრები).

გ. ჯალაპაძის ცნობით ხევსურეთში „ძველი მამის შვილებს თემისაგან მიღებული მიწის ნაკვეთი უნდა დაემუშავებინათ და მამიშვილობის სეგმენტაციის დროს მამული სახნავი და ტყე თანატოლად გაენანილებინათ „საძმოდ“. როცა მამული ოჯახი აქტიურად მრავლდებოდა, მაშინ მამულის რაოდენობა თანდათან კლებულობდა. მამულის გაფართოება თითოეულ ოჯახს მხოლოდ თავისავე ტყის ხარჯზე შეეძლო ე. ნ. „ახოს დანაყვის“³ გზით.

ტყის გარკვეული მონაკვეთი იჩეხებოდა, ხოლო დარჩენილი ჩირგები ფესვებიანად ამოიყრებოდა მიწიდან, მათ გორებად აგროვებდნენ და წვავდნენ. ამის შემდეგ ნიადაგი სუფთავდებოდა ქვა-ლორლისაგან, სარეველა მცენარეებისაგან და საბოლოოდ კი ხდებოდა ნიადაგის ზედაპირას „გადაქარჩვა“ - გაფხვიერება.

ახოს ასაღებად ტყესაც საგანგებოდ არჩევდნენ. ტყის დანაყვა ძალზე შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი იყო და ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული მარტივი იარაღით (ცული, ქარჩი, თოხი, ნერაქვი და სხვ) ხდებოდა.

³ გ. ჯალაპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

გ. ჯალაბაძის ცნობით, „ტყის დანაყა“ მაშინ იწყებოდა, ხოლო ხე ფოთლით შეიმოსებოდა. გაზაფხულზე ხეს მინიდან ერთი მტკაველის სიმაღლეზე ცულით ან საყვერით შემოყვერა- ვდნენ. შემოყვერვა გულისხმობდა ამ სპეციალური იარაღით (რომელსაც სახელად საყვერი ენოდა) ქერქის შემოთლას, ან ცულით, ან ქერქის დაკვეჭნას და ამოთლას. იარაღის საყვერ- საკვერიდან მომდინარე ფორმა უნდა იყოს”⁴. დროთა განმავ- ლობაში ხის ამოსაძირკვი იარაღი იხვენებოდა. სავარაუდოა, რომ ის იყო ქვის ცული, ქვის კვერი, რითაც ნაყავდნენ (შემოკ- ვერავდნენ) ხის ქერს, რაც მთელი ოჯახის - კოლექტურ და ხანგრძლივ შრომას მოითხოვდა. ამ საქმით დაკავებულ პი- რებს „ტყის მნაყველებიც“ ენოდებოდა. დანაყილ ხეებში საკ- ვები აღარ მიეწოდებოდა და ხმებოდა, შემდეგ ჭრიდნენ და ამოძირკვავდნენ ან ზეზეურად წვავდნენ.

ახორბით მოპოვებული დამატებითი მინის ნაკვეთი, რო- გორც ითქვა, ოჯახის ერთობლივი შრომით მიიღწეოდა. „სამა- გიეროდ ასეთი წესით დამუშავებული ნაკვეთი სხვისთვის ხე- ლშეუხებელი იყო და ოჯახის საკუთრებად ითვლებოდა, რა- დგან ტყის აჩეხვაში მხოლოდ ოჯახის წევრები მონაწილეო- ბდნენ და აქ სხვისი დახმარება... არ შეიძლებოდა. დამატები- თი მიწები ოჯახს საკუთარი შრომით უნდა მოეპოვებინა“⁵.

აღსანიშნავია, რომ ტყის ხარჯზე სახნავ-სათესი მინის გაფართოება ყოველთვის ხელსაყრელი არ იყო, რადგან ეს იწ- ვევდა თავისივე კუთვნილი ტყის მარაგის შემცირებას, რაც ესოდენ საჭირო იყო ოჯახისათვის. „ტყის გატეხვით“ - ახორ- ბით მოპოვებული მინის ნაკვეთი ფშავში რჩებოდა ოჯახის მფლობელობაში მინის ხელახალ გადანაწილებამდე, ანუ ასე- თი წესით შემატებული მინა ოჯახის დროებით (4-5 წლით) სა-

⁴ იქვე, გვ. 48.

⁵ გ. ღუდუშაური, ხევსურეთის სოციალურ-ეკონომიკური წყობის საკითხისათვის XVIII-XIX სს-ში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, III, თბ., 2001.

რეგებლობაში - ოჯახებს შორის მიწის გადანაწილებამდე რეგისტრირებული ბოდა. დროებით სარგებლობაში გატეხილი მიწის ვადის გატეხილი ამდე მისი ხელახალი გადანაწილება დაუშვებელი იყო. მიწის ასეთი წესით გამოყენების შესახებ საქართველოს სამართლი-სა და კანონმდებლობის მიმოხილვის ერთ მუხლში დავით ბაგრატიონი მიუთითებს, რომ „ვინც ტყეს გატეხავდა და სახნავ-სათესად აქცევდა, მას შეეძლო 4 წლის განმავლობაში აღნიშ-ნული ნატეხი გამოყენებინა, ხოლო 4 წლის შემდეგ ასეთი მი-ნა გადადიოდა საერთო სათემო მიწების კატეგორიაში“⁶.

2. სახნავ-სათესი მიწის ყიდვა-გაყიდვა

აღმოსავლეთ საქართველოს მთის პროვინციებში დამკ-ვიდრებული იყო მტკიცედ რეგლამენტირებული ნორმების დაცვით მიწის ყიდვა-გაყიდვა, ძირითადად ნატურით და ეს მიწის მოპოვების ერთ-ერთ საშუალებას ნარმოადგენდა. მი-ნის ყიდვა-გაყიდვა უპირატესად ახლო ნათესაურ (ერთი ალ-ლუმის - მამის მოდგმის - საძმოს) ურთიერთობაში მყოფ პი-რთა მორის ხდებოდა. ეს კარგად ჩანს ხევსურეთის მაგალი-თზე. დასაშვები იყო გამონაკლისიც, როდესაც ახლობლები უძლურნი იყვნენ და არ შეეძლოთ მიწის შეძენა. მაშინ მიწის გამყიდველი ეძებდა მყიდველს უფრო შორეულ ნათესაობაში ან სულაც სხვა, უფრო შორეული აღლუმის ნარმომადგენლო-ბაში. მიწის ფასიც განსხვავებული იყო. ეს კი განისაზღვრე-ბოდა მისი ღირსებით. გ. ჯალაბაძეს აღნიშნული აქვს, თუ რა განაპირობებდა მიწის ღირსებას: „სახელდობრ ძვირფასად ითვლებოდა „კარის“ ანუ „ბოსლის“ მიწები, იაფად - მთისა“⁷. კარის მამულის ღირებულება, თუ ს. მაკალათიასაც დავიმო-

⁶ დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდ-ნების მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლეულ, 1959 წ., გვ. 316.

⁷ გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.



წმებთ ნ-ჯერ აღემატებოდა მთის მასულის ლირებულებას⁸ ხოლო საახოე, ტყე და, საერთოდ, ახალნატეხი მამულები უფრო ძვირად ფასობდა. მამულის შესყიდვა საქონლით - ძროხით ან ხარით ხდებოდა, ამიტომაც მამული ამის მიხედვით ფასდებოდა: „ძროხის“ ან „ხარის“ მამული. „ხარის“ მამული ენოდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მინა თავისი ნაყოფიერებითა და მოსავლიანობით აღემატებოდა ძროხის ლირებულებას.

მამული შეიძლება ყოფილიყო ერთი ან მეტი ძროხის ლირებულების. ასეთ მამულზე იტყოდნენ, რომ ერთი, ორი ან მეტი ძროხის მამული აქვსო. დადგენილი იყო მინის ღალიანობის კრიტერიუმებიც. „სამუალო ლირსებით დღიურ მინაზე დათესილი ქერი 70 ძნა უნდა დამდგარიყო“⁹. ამრიგად, ხევსურეთში მინის შედარებითი ზომის ერთეული დღიური იყო. მინის ზომის ერთეულის გამოსახატავად ხმარობდნენ სხვა ტერმინებსაც: „დაღალვას“ (ხვნის დროს შესვენებიდან შესვენებამდე დროის მონაკვეთია და ერთ დღიურში ოთხი დაღალვა შედიოდა) ან „მძღვარს“ (დღიური მინის ერთი ნაკვეთი).

ხევსურეთში შეძლებული მეკომურები მინის ნაკვეთის გარდა ტყისა და სათიბის მფლობელნიც იყვნენ და მათი ყიდვა-გაყიდვაც ამავე პრინციპებით (ძმათამვილობა) და ა. შ. ხდებოდა. ასევე ცხვრითა და სხვადასხვა საქონლით, მთის სათიბები უპირატესად - ცხვრით. გ. ჯალაბაძის ცნობით, „არხოტში“ 12 მთიბელის სათიბის ოდენობა 1 ცხვრად ფასობდა¹⁰.

მინის მყიდველნი, როგორც წესი, შეძლებული მეკომურები იყვნენ, რომლებიც ეუფლებოდნენ გაღარიბებული ოჯა-

⁸ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

⁹ გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

¹⁰ გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.



ხების მამულებს, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის უკმაყოფილობის ფილებას იწვევდა.

მინის ყიდვა, შეფასებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა ისეთი ნივთებითაც, როგორიცაა ფარდაგი, სპილენძი, ვერცხლეული და იარაღი.

3. მინის იჯარით გაცემა

მინის იჯარით გაცემის რამდენიმე წესი და საფუძველი არსებობდა. მინას იჯარით გასცემდნენ უპირატესად ბარში ჩამოსახლებული მეკომურები იმ მოსაზრებით, რომ თუ კი ვერ შეეგუებოდნენ ბარში ცხოვრებას ან გადაწყვეტილნენ ისევ სამემკვიდრო ადგილებში დაბრუნებას, მამული შენარჩუნებული ყოფლიყო და ჩვეულ პირობებში გაეგრძელებინათ არსებობა - ცხოვრება. მამულების იჯარით გაცემაც ისევე, როგორც ყიდვა-გაყიდვა, უპირატესად ძმათა შვილებზე და უახლოეს ოჯახებზე ხდებოდა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა მინაზე უფლების შენარჩუნების გარანტიას და რაც მთავარია, ამით ხელი ეწყობოდა ღვიძლი ნათესავების ეკონომიკური მდგომარეობის ხელშეწყობა-გაუმჯობესებას და თვითონაც სანაცვლოდ ღალას იღებდნენ. იჯარა არ იყო ერთჯერადი აქტი და „ზოგჯერ ეს იჯარა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა“¹¹.

მინის იჯარით გაცემა ყოველთვის უმტკივნეულოდ როდი ხდებოდა. თვით ბიძაშვილებშიც ზოგჯერ იყო შეცილება და ამის ნიადაგზე მრავალი გართულებებიც. სპეციალურ ლიტერატურაში დამონმებულია ურთიერთ შეტაკების და მკვლელობის ფაქტებიც.

¹¹ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

ხევსურეთში საერთოდ ცნობილია დაჭრის ნიადაგზე დაზარალებულის სასარგებლოდ მატერიალური ანაზღაურება პირუტყვის სახით. დავის აღსაკვეთად გამოიყენებოდა აგრეთვე მინის გარკვეული ნაკვეთის დაზარალებულისათვის გადაცემა. ხევსურეთში მინის მოპოვება დაფიქსირებულია აგრეთვე ძალად დაჭრევინების ნიადაგზე. მართალია ეს იშვიათად ხდებოდა, მაგრამ ამ თუნდაც ცალკეული შემთხვევების გვერდის ავღა სწორი არ იქნებოდა. ეს კი თურმე ასე ხდებოდა: მინის უქონელი კაცი შარს აუტეხდა მინის მქონებელს და თუ ის დაჭრიდა, მაშინ დაზარალებულისათვის საზღაურად მინის ნაკვეთი უნდა მიეცა. მინის ნაკვეთის ოდენობა კი განისაზღვრებოდა ჭრილობის ასანაზღაურებლად იქ დაწესებული საზღაურით. მაგალითად, „1 დღიური მინა ხუთი ძროხის ლირებულებას ფარავდა“¹².

5. მინის მიცემა სანახევროდ ან სამესამედოდ, მინის დაწინდვა

მინის სანახევროდ ან სამესამედოდ მიცემა შეიძლება ითქვას, რომ მინის იჯარით გაცემის წესის თანაბრად გამოიყენებოდა. მინის პატრონი იძლეოდა მინას მთელი მოსავლის ნახევრის ან მისი მესამედის მიღების სანაცვლოდ, რაც მინის პატრონსა და მის დამმუშავებელს შორის შემდგარი გარიგების საფუძველზე ხდებოდა. ვადებიც აქვე განისაზღვრებოდა და მათი დაცვა ორივე მხარისათვის სავალდებულო იყო. მინის პატრონს გარიგების თანახმად შეეძლო საფასურის რაღაც ნაწილის ნინასწარ მიღება. მინის დროებით გაცემას მიმართავდნენ მცირემინიანი მეკომურებიც. ამას, როგორც წე-

¹² გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

6. მიწის ძალადობით დაკავება

მიწის დაჩემებით, ძალადობით დაკავების ფაქტები აღინიშნებოდა, როგორც ცალკეული მემკვიდრეების, ისე ცალკეული სოფლების მიერ (სადაც საზღვრების დაჩემება - შემომტკიცების მიზნით. ეს გასანკუთრებით ხდებოდა სათიბ-საძოვრების მიმართ. სათიბი და საძოვარი მიწის საკითხი ხევშიც ერთობ გამნვავებული იყო და სხვადასხვა სოფლებს შორის ესა თუ ის ნაკვეთი სადაც ხდებოდა და არც შეხლა შემოხლა და სისხლიანი შეტაკებაც კი გამორიცხული არ იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას იძლევა ხევის მკვიდრი ალ. ყაზბეგვის თანამედროვე ანდრია კობაძე. სასოფლო მიწებზე ორნლიან დავას ფხელშე-გორისციხესა და სიონს შორის ნაყოფი რომ არ გამოუღია მოძალადეთა ასალაგმავად ერთ დღეს ს. სიონში საპრძოლო შეტაკებისათვის სამზადისი დაუწყიათ და იარაღის გამოყენებაც განუზრახავთ. ეს კონფლიქტი უსისხლოდ არ დამთავრდებოდა რომ არა ს. ტყარშეტის დეკანოზთა და ალ. ყაზბეგვის ძალისხმევა. ეს კი ასე მომხდარა: „სოფელ ტყარშეტის მცხოვრებთ, რიცხვით 15-20 კომლამდე, ორივე სოფლის ასეთი სამზადისი რომ შეუტყვიათ, რადგანაც თავისი ძალით ამათი გაშველების იმედი არ ჰქონდათ, დეკანოზებს ეს ღონე უღონებიათ: გამოუპრძანებიათ ერთ-ერთი სალოცველი ხატი, რომელსაც „მამანმინდას“ უწოდებდნენ. მოდავე სოფლელები ნახირის ფეხით ისე სიჩქარით ვერ ითვლიდნენ, როგორც ეს მოახერხეს ხატის გამომვენებლებმა დეკანოზებმა, რომელთაც მოდავე-მოპასუხეს საზღვარზედ მოასწრეს. ამ ხატის გამოპრძანებამ ცოტად თუ ბევრად მოამბოხე მოსისხლეები წყნარის ნაბიჯით ატარა სადაო ადგილისაკენ და სიონელებმა ამასობაში თავისი საზღვრის



გამაგრება მოასწორეს; ე. ი. მიაღწიეს იმ ალაგთან, სადაც კომიტეტი აშვილის დავითის დროს ქვის ჯვარი არის დაფგმული¹³. ზღვრის სახსოვრად და ხალხი ამ ალაგს მეტსახელად „ჩაძინებულს“ ეძახის.

ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, სიონელების საზღვარზედ ჩოხის კალთებ-შემოკეცილი და ოფლში გაპანული, ნაბდისჭუდიანი ალექსანდრე ყაზბეგი (ჩვენებურად კი სანდრო) გამოჩნდა. აქ ხატით ხელში ტყარმეტის დეკანზებიც მოვიდნენ. ხატის ხვეწნამ და სანდროს ლაპარაკმა ხალხის გულში თანდათან ალაგი დაიჭირა. ხალხმა შეისმინა გონიერის კაცების ხვეწნა-მუდარა, გული მოულბა. ამასთან, ჩვეულებისამებრ, ხატს ორივე მხარემ პატივი სცა და წყნარად მოისმინეს დეკანზების ხვეწნა-მუდარა. გორისციხელებმა თავისი ნახირი, სიონელების ხელგაუნდრევლად, საზღვრიდან უკან გააპრუნეს და სიონელებიც საზღვარს მოშორდნენ. როდესაც იხილა ალექსანდრემ ხალხის უხილათოდ გადარჩენა, ძალიან ესიამოვნა. ჩამოჯდა ქვაზე და თქვა: დღეს ათენგენობა არის, მე იქ უნდა ვხარობდე და ეხლა კი უფრო მოხარული ვარ, რომ აქ მშვიდობით გადარჩითო. თან დასძინა ღმერთმა ნუ აპატიოს, ვინც თქვენს შორის ასეთი განხეთქილება ჩამოაგდოს”-ო¹³.

მინის მიტაცების ფაქტები აღწერლი აქვს რ. ერისთავს¹⁴, ს. მაკალათიას¹⁵ და სხვ.

¹³ ა. კობაიძე, ალ. ყაზბეგი და ორი სოფლის დავა ერთ სოფელთან, „ცხოვრება ალ. ყაზბეგისა“, მოგონებები, 1988, გვ. 152-153.

¹⁴ პ. ერისთვ, Օ ტუშინო-შავა-ხევსურском округе, г. "Кавказ", 1854, №51.

¹⁵ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57-58.

7. ნაკვეთის გაღორღვის – ქვისაგან გარჩევის გზით მიწის დაპატრონება



ქვა-ლორლიანი მიწის ნაკვეთის ქვებისაგან გასუფთავებას ხევში, ხევსურეთში გაღორღვას უწოდებდნენ. ქვისაგან განმენდილი - გაღორლილი მიწის ნაკვეთი იმ ოჯახის სარგებლობაში რჩებოდა, ვინც მას გაღორღლავდა და სახნავ-სათესად გაომიყენებდა, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, ვიდრე მოხდებოდა მიწის ხელახალი გადანაწილება.

ქვა-ლორლიანი ნიადაგი უნაყოფო იყო და მას განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროებოდა. პირველ რიგში საჭირო იყო მიწის ნაკვეთის ყოველწლიური შეპატიება საქონლის ნაკელით, ნარჩენი ქვისაგან განმენდა, რაც ხანგრძლივი შრომით მიიღებოდა.

8. ბეითალმან (უპატრონო) მიწაზე უფლებების შენარჩუნება

სათემო საკუთრების ერთ-ერთ გადმონაშთად აღ. რობაქიძე მიიჩნევს წესს „რომლის მიხედვითაც კერძო საკუთრების პირობებში ბეითალმანად დარჩენილი, ამონყვეტილი ოჯახის მიწას, თუ ის წინასწარვე ხატისათვის შენირული არ იყო, მისი უახლოესი ნათესავები ეპატრონებოდნენ და აქაც სათემო უფლებები ძალაში რჩებოდა“¹⁶. თუმცა ოფიციალური ხელისუფლება ვერ ეგუებოდა სათემო საკუთრების ამ წესს და მის „განჩინებაში“ შეაქვს სპეციალური მუხლი, რის თაც ფაქტობრივად აუქმებს მას. მაგალითად, „ქუნუ ქნას, რომ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწყდეს, ან შვილი, ან ძმა არ დარჩეს, იმის მამულს ნურავინ დაიჭერს თუ უნდა გაყრი-

¹⁶ აღ. რობაქიძე, რ. ხარაძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 46.



ლი ძმაც ჰყავდეს, მინამდისინ ჩვენ არ მოგვახსენოს, მანამდინარე სინ ის მამული ისევ ბეითალმანად უნდა იდგას: მოწელე შოვი-დეს მოგვახსენოს, და როგორც ჩვენ უბძანოთ იმ მამულის საქმე ისრე უნდა აღსრულდეს"-ო¹⁷.

აი, ასე ცდილობდა ოფიციალური ხელისუფლება ამ მინების სახაზინო გამგებლობაში შეტანისათვის.

თემიც თავის მხრივ ვერ ეგუებოდა ხელისუფლების ამ მოთხოვნებს და არც თუ იშვიათად სათემო საკუთრების ძმაბიძაშვილზე გადანაწილება მაინც ხდებოდა, სათემო უფლებების დაცვით.

თუშეთში და ხევსურეთში დაწესებული იყო სათემო სახნავ-სათესი მიწების პერიოდული, ხელახლი გადანაწილება. ეს წესი კი ამა თუ იმ მიზეზთა გამო ხშირად ირღვეოდა, რაც თავის მხრივ ინვევდა ამა თუ იმ ოჯახის ხელში სხვადასხვა გზით მოპოვებული მიწების ყიდვა-გაყიდვას. ამის შესახებ გ. ჯალაბაძე აღნიშნავს: „ამ გარემოებას მოყოლია მრავალი უსამართლობა, მინა არა მარტო ყიდვა-გაყიდვის ობიექტად ქცეულა, არამედ გაჩუქებისაც და ზოგჯერ მიცვალებულის სულის მოსაგონარ დოლშიც კი შეუტანიათ გამარჯვებულის დასაჯილდოვებლად. ყოფილა შემთხვევა, როცა დოლში იმარჯვებდა მეორე სოფლელი და მინა მოუგია საჩუქრის სახით. დოლში მოგებულ მინას სხვა თემის კაცი თვითონ იშვიათად ამუშავებდა, მინას ან გაყიდდა, ან ადგილობრივთ აძლევდა საღალოდ, სახნავ-სათეს მინაზე ესოდენ თავისუფლება ძირითადად მნარმოებელთ, ე. ი. მხვნელ-მთესველთ მძიმედ ანვა. ინყებოდა მიწების კონცენტრაცია ერთეულთა ხელში; ეს ერთეულები იყვნენ ძლიერი ოჯახები, მრავალი ცხვრისა და ცხენის პატრონები¹⁸.

¹⁷ შ. ჩხეტია, ნილკნელის სარგოს გარიგების წიგნი 1660 წლისა, „საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1925, გვ. 23.

¹⁸ გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15-16.

იყო კიდევ მიწის დაპატრონების სხვა შესაძლებლობები, გერძოდ ხატის მიწებით სარგებლობის საკმაოდ გაუზრუნველობებული წესი.

ჩვენს მიერ ზოგადად განხილული მიწის მოპოვება-და-პატრონების წესები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ძველ მამებზე სათემო მიწების ოდესლაც დაწესებულ მიწით ფლობის წესებს, თანდათან ფეხს იკიდებდნენ ამ რეგიონების მიწა-თსარგებლობაში, რადგან მამეული ოჯახის გამრავლების დროს მამულის გაფართოება და ოჯახის რჩენა ამ გზით ყო-ფილიყო შესაძლებელი.

მიწების მიტაცების ან ყიდვა-გაყიდვის შედეგად მართა-ლია ეკონომიკურად რამდენადმე ძლიერდებოდნენ ცალკეული ოჯახები, მაგრამ თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთში, ხევში თემი მტრულად შეხვდა ამ გზით გამდიდრებული თემის წევრების მიერ სხვათა მიწების ხელში ჩაგდებას და სასტიკად უსწორდებოდნენ აღზევებისა და თემზე გაბატონების მსურ-ველებს, რასაც შემდგომში შეიძლება მათი კიდევ უფრო გაძ-ლიერება მოჰყოლოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გზა-პილიკაციის საკითხებისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეკონომიკური და სოციალური ყოფისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამიმოსვლო გზებსა და ბილიკებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა როგორც შიდარეგიონული, ისე ჩრდილოეთის მხრიდან მოსაზღვრე ქვეყნებთან კავშირი. მტრების თავდასხმებისა და სხვა გარემოებათა გამო მთის მაცხოვრებლები მოებსა და ტყეებში იხიზნებოდნენ და აქ გამავალი ბილიკებით სარგებლობდნენ, თუმცა ეს გზები არცთუ უსაფრთხო იყო. მათ შესახებ ვაუა-ფშაველა წერს:

„გზას ვამპობ თორემ რა გზაა,
ვინრო ბილიკი კლდეზედა?
სავალად მეტად ძნელია,
ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა“ [1].

დროთა განმავლობაში ოდესლაც ნადირთა და ცხოველთა მიერ გაკვალულ ვინრო ბილიკებს მთაში მცხოვრები სასიარულოდ გამოსადევს ხდიდნენ და თანდათან ითვისებდნენ. შემდგომში ცხოვრების განვითარების კვალობაზე სულ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი ხდებოდა დასახლებულ პუნქტებს შორის ურთიერთკავშირი. ეს კი, ბუნებრივია, მოითხოვდა გზა-ბილიკების გაუმჯობესებას; მათს ხარისხზე ზრუნვას, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო მთიელ მინათმოქმედთა, მესაქონლეთა, მონადირეთა და შინამრეწველთა შორის პროდუქტებისა და ადგილობრივი ნაწარმის გაცვლასთან. მაგრამ უმთავრესად მაინც უნდა მივიჩნიოთ ცალკეული სამეურნეო დარგების გამოყოფა-განვითარების პროცესი, ისტორიული კანონზომიერებანი და ყველა იმ აუცილე-

ბელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა, რაც ერთმანეთისაგან მოწყვეტით ვერ განვითარდებოდა.

მართალია, სამიმოსვლო გზა-ბილიკების გაკვლევა-განვითარება სხვადასხვა ეტაპს, სხვადასხვა თავისებურებას უკავშირდება, მაგრამ მათი ინტენსიურად განვითარება უპირატესად XVIII-XIX საუკუნეებში ხდებოდა. ეს ისეთივე შეუქცევადი პროცესი იყო, როგორც თვით სიცოცხლე და მოძრაობა.

ავილოთ თუშეთი, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთების უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს, სადაც ადრე, XIX საუკუნეში, მიმოსვლა შეიძლებოდა სამი გზით: პირველი გზა გადიოდა მაშინდელი თელავის მაზრაში არსებულ ლეჩურის ხეობაზე; ნაქერალასი – დიდგვერდისა და სამცორნის მთაზე და შედიოდა სოფლებში ვესტმოსა და საჩილოლოში; მეორე იყო პანკისის ხეობაზე ტბათანზე (სადაც ზაფხულობით ბინადრობენ წოვათუშები), ალაზნის თავზე, ანუ ბორბალოს მთაზე გამავალი გზა სოფელ ალისგორამდე, ხოლო მესამე გადიოდა დიდოეთზე (მაშინდელი თელავის მაზრა), შემდეგ ყადორის მთებზე, დიდოს სოფლებზე სუფრასა და ხიტრახოზე, სადუციას მთაზე, ვესტმოს ვაკეზე და შედიოდა სოფ. ომალოში.

თუშეთის კახეთისა და მთელ საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების შესახებ უფრო სრულ ნარმოდგენას იძლევას. მაკალათიას ცნობა: „დიდგვერდით გზა გადის სოფ. ომალოდან (2106 მ) და ბოჭორმა (2232 მ) – გორგულთა (2160 მ) – ვესტომთით კავკასიონზე გადადის დიდგვერდისა (3515 მ) და საკიხის (კანის) ლელის (3186 მ) გადასასვლელზე და ლეჩურ-ფშავლის გზით კახეთში ჩადის.

კეპნის გზა სოფ. ხისოდან (1890 მ) გადადის ზეთავის გადასასვლელზე (3101 მ) და ლეჩურ-ფშავლით კახეთში მიდის.

ალაზნისთავის გზა ჯვარბოსელ-ალისგორით (2144 მ) და ალაზნის სათავით (2357 მ) გადადის საყორნის გადასასვლელზე (2475 მ) და წიფლოვანის ხევით ეშვება ტბათანაში და

აქედან ბირკიან-ალვანის გზატკეცილით კახეთში გადას” [2]. მაკალათიას აღნერილი აქვს აგრეთვე ახალი მოკლე გზატკეცილი მშენებლობა, რომელიც თუში მ. აზიკაურის ინიციატივით დაწყებულა 1929 წელს და 120 კმ-იანი ძნელად სავალი გზის 31 კმ-მდე შემცირებას ითვალისწინებდა, ანუ 3-4 დღის სავალი გზა ერთი დღის სავალი უნდა გამხდარიყო. მისი მარშრუტი ასეთი იყო: გზა ინწყებოდა სოფ. ხისოდან და აბანოს ღელეთი გადადიოდა კავკასიონის ქედზე ბულანჩის ნვერისა და შაველდის შუა „საცხვრეორზე“ და ჩადიოდა „თუშეთის აბანოში. იქიდან თორლვას აბანოზე“ გავლით – ლეჩურ-ფშავლით კახეთში. ამის შემდეგ ს. მაკალათია აღნერს თუშეთიდან გამავალ გზას, რომელიც მას ხევსურეთსა და ფშავთან აკავშირებს და აღნიშნავს, რომ: „დასავლეთით თუშეთიდან გზა გადის ხევსურეთში პირიქითი ალაზნის ხეობით, ანუნტას გადასავალზე (3570 მ). ფშავში გზა მიდის ალაზნის სათავით (2357 მ), საყორნისა და ბორბალოს გადასავალზე (3135 მ), რომელიც ნოვის თავზე (2677 მ) გადადს და უკანა ფშავში ჩადის.

აღმოსავლეთით თუშეთიდან ლეკეთში გზა გადადის სოფ. დიდოდან (2153 მ) და ჭერო (1852 მ) – ხუშეთით (2046 მ) დაღესტანში ჩადის.

ჩრდილოეთით, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მიმართულებით რამდენიმე ბილიკი არსებობს: პირიქითი ალაზნის სათავიდან თებულოს გადასავალზე (3342 მ) ჭონთიოდან (1995 მ) ქერიგოს გადასავალზე (3551 მ) [2].

ა. შავხელიშვილის ცნობით: „თუშეთში ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის ხელშემწყობ პირობად შეიძლება დავასახელოთ მის ტერიტორიაზე გამავალი გზა-ბილიკები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებოდა თუშეთ-ჩეჩჩნეთ-ინგუშეთ-დაღესტანს, ფშავ-ხევსურეთსა და კახეთის ბარს“ [3]. ისტორიის გარკვეულ პერიოდში ამ გზებით ხორციელდებოდა საქართველო-ჩრდილო კავკასიისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი“ [4].

ვ. ლაგაზიძეც აღნერს იმ გზა-ბილიკებს, რომელიც თუშების შეთს აკავშირებდა მეზობელ ტომებთან. იგი წერს: „თუშები რდითგანვე დაკავშირებულნი იყვნენ მეზობელ ტომებთან შემდეგი გზებით: აღმოსავლეთით ჭეროს ვინწრო და მიუვალი ბილიკით, ხუშეთის გზა მიდიოდა დიდოელ ტომებთან, ცოტა სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადუცის გზით ყადორის ღელეზე გავლით თუშეთი უკავშირდებოდა კახეთს.

ჩრდილოეთით, ქაჩიუს ღელეზე მიდის გზა, რომელიც მიემართება გროზნოს ოლქისაკენ. ქერიგოს გზაზე მიმავალი გზაც მიემართება გროზნოს ოლქისაკენ, ხოლო უფრო დასავლეთით, თებულოზე გადის გზა, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიდის.

დასავლეთისაკენ ფშავ-ხევსურეთში ქვა-კადის ხევიდან პანუნტის ღელით გზა ეშვება ხარაკის წყალზე. არის კიდევ საყორნის გადასასვლელი, რომელიც მიემართება პირიქით ხევსურეთისაკენ, ალაზნის თავისა და ანდაქის გადასასვლელი, რომელიც მიემართება ფშავ-ხევსურეთის უკანა მხარეში ნიფლოვანის ხევიდან იორზე. ერთი გზა გადადის უკანა ფშავში, ხოლო მეორე გზა იორზე, თიანეთისაკენ.

კახეთთან თუშეთი დაკავშირებული იყო პანკისის ხეობით: ტბათანიდან ალაზნისთავზე მიმავალი გზით, ალაზნის თავიდან გომენრისაკენ მიმავალი გზით გაივლიდა ნაქერალას და საკინოს ღელით ჩადიოდა ორწყალში, შემდეგ გომენრის ხეობიდან პირიქითისაკენ და ჩაღმისაკენ მიემართებოდა ეს ყველაზე უძველესი და ადრინდელი გზა. კიდევ არის გზა, რომელიც ლოპოტის ხევით, ნაქერალის, დიდგვერდისა და ბულანჩის გადასასვლელით, ფიცრისჭალის გავლით, მიდის ჩაღმა თუშეთისაკენ. ეს გზა უფრო ახალია და უახლოესი გზაცაა. გარდა აღნიშნული გზებისა, ბარიდან მთათუშეთში გადადის სამი საცხვრე ბილიკი.



ზემოაღნიშნული გზები, უმრავლეს შემთხვევაში, ამაღლებულფეხო ბილიკებია და ცხენით მგზავრობისათვის მეტად ძნელი და მოუხერხებელია [5].

თუშეთში კახეთიდან გადასასვლელ ბილიკებს გ. კურდლელაძის ცნობით რამდენიმე სახელით იხსენიებენ: ყადორის გზა, ანდარაზანის, კეპნის, ნაქერალის, ალაზნისთავისა და, ძირითადი, აბანოსხევისა, ანუ იგივე ყოჯას გზა, რომლითაც, როგორც იქნა, ელირსა თუშეთს 1978 წლის 23 სექტემბერს პირველი ავტომანქანა ამოსულიყო. გზა სოფელ ფშავლიდან ინუება, სტორის ხეობას მიუყვება, თორლვას აბანოს ძირზე მდინარის მარცხენა მხარეს გადადის და შეუყვება მომქანცველ მიხევულ-მოხვევულ აღმართს და ზღვის დონიდან 2970 მ სიმაღლეზე გადადის თუშეთისაკენ, რაც ეშვება ჭანჭახოვნის ხეობაში, ფიცრისჭალაში, გაივლის სამხევს, ურციხეს, ხისოს, ცოკალთოს ჭალას და შედის ომალოში, რომელიც 2100 მეტრზეა. მანძილი სოფ. ფშავლიდან ომალომდე 90 კილომეტრია [6].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამიმოსვლო გზების შეკეთება-გაუმჯობესებამდე ისეთი მომთაბარე თემისათვის, როგორიცაა თუშეთი, იქ არსებული გზა-ბილიკებით სარგებლობა დიდ რისკთან და ხიფათთან იყო დაკავშირებული. ამასვე ადასტურებდნენ უცხოელი მოგზაურ-დამკვირვებლები, რომლებიც განცვიფრებას ვერ მაღავდნენ თუშეთის ნარმტაცი ბუნების გამო და იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რაც მათ განიცადეს იქ მოგზაურობის დროს. მათი დასკვნით, ამ გზა-ბილიკებით თუშები იძულებული იყვნენ ესარგებლათ, რათა მოეპოვებინათ საარსებო საშუალებანი, თუმცა არცთუ იშვიათად ენირებოდნენ იქაური მკაფრი ბუნების პირობებს „Один только неосторожный шаг, гибель неизбежна“ [7]. თავის საგაზეთო სტატიაში თუში ი. ცისკარიმშვილი აღნერს, თუ რამდენად სასიცოცხლო და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თუშებისათვის სამიმოსვლო გზებს. ასეთივე აზრს გამოთქვამს ვ. ვურკო-კრიაუინი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს თუშეთისათვის და-

მახასიათებელ განსაკუთრებულ თავისებურებებს, რომლებიც მათ და მათ მიმდევარებული მთაში ბინადართა ცხრებასთან: „Тушины занимают совершенно особое место среди всех других грузино-картвельских племен в этой сплошной массе оседлых земледельцев они являются единственными кочевниками-скотоводами” [8].

ხევსურეთი ისევე, როგორც აღმოსავლეთ მთიანეთის სხვა მხარეები უგზოობით გამოირჩევა. გზად იქ მიაჩნდათ საცალფეხო ბილიკები, რომლებითაც სარგებლობა შეიძლებოდა ძირითადად ზაფხულში, ხოლო ზამთრობით, განსაკუთრებით დიდთოვლობის დროს ამ ბილიკებით მიმოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამიტომ ხევსურეთის ცალკეული თემებიც კი ვერ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და „კარჩაკეტილად” ცხოვრობდნენ.

გზების მშენებლობა აქ 1930 წლიდან დაიწყო და ამჟამად არსებულ სამანქანო-სამიმოსვლო გზებსაც მაშინ ჩაეყარა საფუძველი. ეს იყო 94 კილომეტრიანი გზა შატილამდე, რომელიც შატილს ჩაჩინეთსა და ქ. გროზნოსთან აკავშირებს.

ს. მაკალათია დაწვრილებით აღნერს ხევსურეთის როგორც ძველად არსებულ ყველა სამიმოსვლო გზას, ისე გაუმჯობესებულს. „ეს გზა დუშეთიდან გადის არაგვის ხეობით, გაივლის უინვალს და მაღაროსკარს, ორწყალთან უხვევს ხევსურეთის არაგვის ხეობაში და ბარისახოში შედის.

მეორე საცალფეხო გზა მიდის ფასანაურიდან გუდამაყრის ხეობით. ეს გზა გასდევს შავი არაგვის ხეობას, შემდეგ ის უხვევს ბაკურხევისაკენ და გადადის ფხიტუს ღელეს გადასასვლელზე, საიდანაც უკანა-ახო-ბუჩუკურთით ბარისახოში ჩადის.

მესამე გზა ხევსურეთში მიდის ხევიდან (ყაზბეგის რაიონი) სნოს ხეობით სოფ. ჯუთამდის; აქ ეს ბილიკი ერთის მხრით გადადის ინგუშეთში შიბულელეს გადასასვლელზე (3447 მ), მეორე მხრით კი არხოტში ცირცლოვანასა და სამთ-



რეხლოზე და შემდეგ ჩადის კვირიწმინდა-ახიელში. ამას გადასავლები და, არის აგრეთვე ხევსურეთ-უკანაფშავის გადასასვლელი დალიკი მათურისა (3167 მ) და ანდაქის გადასვლით. ხევსუ-რეთ-თუშეთის გზა გადადის ანუნტის (3570 მ) გადასავალზე.

ჩრდილოეთის მიმართულებით ხევსურეთიდან გზები გადადის არხოტიდან და შატილ-არდოტიდან ინგუშეთ-ჩაჩინე-თის ტერიტორიაზე, საიდანაც შეიძლება ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონებში მიმოსვლა.

შიგ ხევსურეთში არის ორი სამიმოსვლო გზა, რომლი-თაც ყველა თემი სარგებლობს. ასეთია არხოტისა და შატილ-არდოტის გზა.

არხოტის გზა ცირცლოვანის ხეობით გადადის არხოტის თავზე, რომელის ხორხზე და რომელისვაკით ბარისახოში ჩადის.

შატილ-არდოტის გზა არაგვის ხეობით მიდის ბარისახო-ლულიდან გუდანამდე. აქ გზა უხვევს ხახმატის ხეობაში, სოფ. ბისო-ხახმატით გადადის დათვისჯვრის გადასავალზე და ჩა-დის ნუბროვანის ხეობაში. აქედან ლეპაისკარსა და გუროზე გავლით გზა შატილში მიდის [9]. ჩრდილოეთ კავკასიასთან უმთავრესი დამაკავშირებელი იყო ამჟამინდელი საქართვე-ლოს სამხედრო გზა. ვიდრე ამ გზის გაყვანის ისტორიულ ას-პექტებს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩინია დავასახელოთ ის მარშრუტები, რომლებიც დაფიქსირებული აქვთ რ. ხარაძესა და ალ. რობაქიძეს, როდესაც წერენ „ქალაქეთის“ გაგების იმ ციხე-სიმაგრეებისა და, აქედან გამომდინარე სამიმოსვლო კომუნიკაციების შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ: „ერთი მარ-შრუტი ამ ხეობაზე (იგულისხმება გზა, რომელიც ხადაზე გა-დიოდა – გ. ლ.) შემდეგი მიმართულებით გადიოდა: გუდაური – სახოვის გადასასვლელი – მუღურე – წკერე-სანიოსქედი – შონჩიოს ყელი – შონჩო – უოუონი – არგვის ხევი – ქვეშეთი. მე-ორე მარშრუტი გადადიოდა წკერედან ზაქათზე, დიდველზე

ანუ კაიშაურზე, ხოლო შემდეგ ღუდის ხიდით არახვეთს უქარისტოვა, თდებოდა.

მესამე მარშრუტი გულისხმობდა გუდაურიდან და შონიო-უოუონიდან მიმავალი და ხადაში შეყრილი გზების გაგრძელებას შემდეგი მიმართულებით:

1. ხადას ხევი→ქვეშეთი (ხადას ხევით);
2. ხადას ხევი→ზაქანი→კაიშაური→სეთურნი→ქუმლისციხე→არაგვისხევი" [10].

ამ მარშრუტის (ამჟამინდელი საქართველოს სამხედრო გზის) კეთილმოწყობა-განვითარებისათვის ზრუნვა დაიწყო 1801 წლიდან, ხოლო პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა 1803 წლიდან, როდესაც გაიცა მეფის განკარგულება. ცნობილია, რომ რუსეთის მეფემ ალექსანდრე I-მა მთავარმართებლად საქართველოში დანიშნა თავადი პ. ციციანოვი, რომელიც იმ დროს სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. მან თავიდანვე მიზნად დაისახა, რათა საქართველოს რუსეთთან საიმედო კავშირი ჰქონოდა და ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად საქართველოს სამედრო გზის მოწყობა-განვითარება ესახებოდა. მან ამისათვის პროექტიც შეადგინა და მოახსენა იმპერატორს: „ვთვლი რა უპირველეს აუცილებლობად კავკასიის ხაზის საქართველოსთან დაკავშირებას, ვბედავ, თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, წარმოგიდგინოთ აღნიშნული პროექტი განსახილველად".

მთის რთული რელიეფისა და მკაცრი ბენების პირობებში გზის მოწყობა იოლი საქმე როდი იყო, მით უმეტეს, რომ მას არ ჰყავდა საგზაო პროფილის სპეციალისტები, არ ჰონდა სათანადო ტექნიკა და სხვ. მაგრამ პ. ციციანოვი შეუპოვრად ისწრაფვოდა თივისი ჩანაფიქრის აღსასრულებლად და ბუნების პირობების გათვალისწინებით მის მშენებლობას ეტაპობრივადა და კლიმატური პირობების შესაფერისად გეგმავდა, რაც თავის რაპორტში ასახა კიდევც: „ჩემი მგზავრობისას, –



მოახსენებდა იგი იმპერატორს, – გადავლეხე რა ეს წინააღმდეგ დეგობანი, აშკარად დავრნმუნდი იმ ცნობების ჭეშმარიტებაში, რაც ჩემამდე აღნევდა. ჩემი დასკვნით, ვძედავ მოგახსენოთ თქვენს იმპერატორობითი უდიდებულესობას, რომ ამ გზის ისეთ მდგომარეობაში მოყვანას, რომ დიდი შრომის გარეშეც შეიძლებოდეს ჯარის გადაყვანა, არტილერიისა და საჭირო ჭურვების გადაზიდვა, დასჭირდება არანაკლებ ორასი ათასი მანეთისა. მიუხედავად, ასეთი დიდი თანხისა, თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის ხაზინის დასაზოგად და სახელმწიფოს სასარგებლოდ ამ გზის არსებობა დაკავშირებულია აუცილებლობასთან, ვინაიდან მოზღვოთან საქართველოში აქ მყოფი ჯარისათვის ამუნიციისა და არტილერიისათვის ჭურვების ჩამოზიდვაზე ყოველ წელს იხარჯება ორმოცდაათი ათას მანეთამდე. ეს ათ წელიწადში შეადგენს ხუთას ათას მანეთს. აქედან ნახევარს მაინც თუ მოვახმართ გზის გაკეთებას, დახარჯული თანხა მოკლე დროში სარგებლით ანაზღაურდება, რომ არაფერი ვთქვათ იმ სარგებლობაზე, რასაც ეს გზა მომავალში მოუტანს რუსეთს ვაჭრობაში, როცა სპარსეთთან კავშირი გაიოლდება. თუ ეს დიდი და საჭირო საქმე ღირსი გახდება თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის უმაღლესი წყალობისა, ჩემი თქვენდამი იმპერატორობითი უდიდებულესობის გულმოდგინე სამსახური მავალებს ქვეშევრდომულად დავსძინო, რომ ამ საკითხში თქვენი უმაღლესი ნებართვა მეტად საჭიროა. ხიდების აშენება, რომლებმაც მთები უნდა შეაერთონ, კირისა და სხვა საჭირო მასალების დამზადება დიდი წარმატებით შეიძლება ინარმოოს მიმდინარე გაზაფხულზე. მთლიანად მშენებლობის შესრულება მიმდინარე წლის აგვისტოს ნახევრიდან მომავალი წლის ივნისა-მდე..." [11].

რაპორტის ეს ვრცელი ამონარიდი იმიტომ გაგაცანით, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ გზის იმდროინდელი მდგომარეობა. თუ როგორ განვითარდა შემდგომში საქართველოს სამ-



ხედრო გზის მოწყობა-მშენებლობის საქმე, ეს ჩვენი კულტურული თემას არ წარმოადგენს და ამჯერად მხოლოდ ცნობების ფარგლებით.

ვალ. ითონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს არაგვისა და თერგის ხეობაში გამავალი ამ სამიმოსვლო არტერიის, ანუ ამ-ჟამინდელი საქართველოს სამხედრო გზის, მნიშვნელობის შე-სახებ და, მისი აზრით, ამ მაგისტრალმა უდიდესი როლი შეას-რულა საქართველოსა და რუსეთის მრავალმხრივი ურთიერ-თობების განვითარების საქმეში. იგი წერს: „საქართველოსა და რუსეთის მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარება დი-დად იყო დამოკიდებული ამიერ და იმიერკავკასიის ურთიერ-თდამაკავშირებელ გზებსა და გადასასვლელებზე, რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა არაგვისა და თე-რგის ხეობებში გამავალი მაგისტრალი” [12].

ჩვენ შევეცადეთ რაც შეიძლება კომპაქტურად წარმოგ-ვეჩინა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გზა-ბილიკები და საერთოდ, სამიმოსვლო გზები, რომლებიც აღნერილია სპეციალურ ლიტერატურაში. ამასთან, ჩვენი აზრით, შეძლე-ბისდაგვარად დავახასიათეთ მათი როლი მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში, მათ სოციალურ წყობასა და თემთა შორის კავ-შირურთიერთობის დამყარება-განმტკიცების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, თბ., 1985, გვ. 173.
2. ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 15-16.
3. ა. შავხელიშვილი, თუშეთი, 1987, გვ. 82.
4. И. Попиевков, Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1615-1640 гг., Тб., с. 233.

- საქართველოს
კულტურის
მუზეუმი
5. ვასილ ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარსულიდან (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის მეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი), თბ., 1966, გვ. 82-83.
 6. გ. კურდლელაძე, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 5.
 7. Газ. «Кавказ», №50, 1946.
 8. В. Гурко-Кряжин, В нагорной Тушетии, II, Грузины-Кочевники, 1929, с. 3.
 9. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 18-19.
 10. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 39.
 11. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2, აღწ. II, შენახ. ერთ. ეგზ. 364.
 12. ვალ. ითონიშვილი, მეგობრობის გზა, თბ., 1983, გვ. 3.

პალიტიკური საჭიროებები

ბებიას¹ მონაცემით ზღაპრიდან მახსოვს, რომ მეფემ, რომელსაც მზეთუნახავმა საცოლემ მოსთხოვა ქორწილამდე რა-იმე ხელობას დაუფლებოდა, ხალიჩების² ქსოვა ისწავლა. ქორწილიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ მდაბიურად ჩაიცვა და ხალხის გასაცნობად სასახლის გარეთ გავიდა, მაგრამ ყა-ჩალებმა დაიჭირეს და დილეგში ჩააგდეს. მეფე ყაჩალებს ის- ეთი ხალიჩის მოქსოვას შეპირდა, რომელშიც დედოფალი უთვალავ თვალ-მარგალიტს გადასცდიდა. ხალიჩა, მართლაც, ზღაპრული გამოვიდა. წაუდეს ყაჩალებმა დედოფალს ხალიჩა. დედოფალი ხალიჩაზე გამოყვანილი ორნამენტების მიხედვით მიხვდა, სადაც იმყოფებოდა მეფე, გაგზავნა მეომრები და ქმა-რი დაიხსნა.

აღნიშნული ზღაპარი მრავალმხრივაა საინტერესო, მაგ- რამ უპირველესად აღსანიშნავია ის, რომ ზღაპრის საშუალე- ბით ნათელი ხდება მისი შემქმნელი საზოგადოების შეხედუ- ლება ორნამენტებზე, როგორც ინფორმაციის მატარებელ სიმ- ბოლურ ნიშნებზე და, აგრეთვე, ის, რომ, უეჭველია, დედო- ფალმაც იცოდა ქსოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ გაში- ფრავდა სიმბოლოებს.

ცნობილია, რომ საქართველოში ქსოვა და მატყლის ხე- ლსაქმე მხოლოდ ქალებმა იცოდნენ (ქართულ ზღაპრებშიც ქა- ლის დაბადების მაცნედ ჯარა-ძაფის დასაგრეხი ხელსაწყოა

¹ ბებიაჩემი მარიამ ბერიაშვილი ქახელი ქალი იყო, სოფ. ველისციხიდან.

² ხალიჩა სულხან-საბა თრბელიანის “ლექსიკონი ქართულის” მიხედვით უცხო სიტყვაა, ქართულად ხაოიანი საფურია (ტ. 1, 607). XX ს-ის დასაწყისიდან საფურია (ხაოიანს და უხოროს) ფარდავი ეწოდება (1, 32-33), ამიტომ სტატიაში ყველგან, ზღაპრის ციტირების გარდა, ხალი- ჩისა და საფურიას ნაცვლად ტერმინ ფარდავს გამოვიყენებთ.



წარმოდგენილი). ქალები თავად ამუშავებდნენ და ღებავუნენ მატყულს, თელავდნენ ნაბდებს, ქსოვდნენ ფარდაგებს, კურზე დნენ ტანსაცმელს. ქსოვას ქალს პატარობიდანვე აჩვევდნენ. ხუთი წლიდან გოგონები წინდებს ქსოვდნენ; ათი-თორმეტი წლიდან კი – ფარდაგებსაც. ქალი მხოლოდ რთვა-ქსოვისა და კერვა-ქარგვის დაუფლების შემდეგ ითვლებოდა გასათხოვრად მზად. რადგანაც ქალები ხელსაქმის მიხედვით ფასდებოდნენ, ცდილობდნენ თავი მოეწონებინათ თავიანთი ნახელავით. მაგ., თუშეთში ქალებს საზეიმო თავყრილობაზე ლამაზი ფარდაგები მიჰქონდათ, რათა ზედ ჩამომსხდარიყვნენ, ხოლო ქსოვისას ცდილობდნენ ბეჭის (საქსოვი ზელსაწყო) ხმა სახლიდან ყველაზე ადრე და ყველაზე შორს გასულიყო. შრომისმოყვარეობის დასამტკიცებელი საბუთიც ჰქონდათ – მოქსოვილი ფარდაგების რაოდენობის მიხედვით ჭოდის (საქსოვი ზელსაწყო) ტარზე ამოგდებული ნაჭდევები (1, 19-20).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არამხოლოდ რთვა-ქსოვა და კერვა-ქარგვა იყო ქალების საქმე, არამედ - ხატვაც. მაგ., ზემო სვანეთში მიცვალებულთა დღეობის ლიფანალის დროს, ხოლო ქვემო სვანეთში - დღესასწაულ ბობლიას დღეებში ქალები ხატვდნენ გომურის ფასადზე, ხის ჭურჭელსა და ავჭზე – ჯვრებს, ცის მნათობებს, შინაურ და გარეულ ცხოველებს, მცენარეებს და ა.შ.

ცნობილია, რომ ქართული ტრადიციული ნაბდები, ფარდაგები, ტანსაცმელი თუ სხვა ნაწარმი გამოიჩინევიან თავისებური და მრავალფეროვანი ორნამენტებით და, თუმცა, ყოველი ოსტატი ქალის ნახელავს ფერთა შეხამების, ორნამენტის სირთულისა და კომპოზიციის მიხედვით მკვეთრად განსხვავებული მხატვრული სტილი ახასიათებს, მათზე გამოყვანილი ორნამენტები მხოლოდ ერთი პიროვნების მხატვრულ აზროვნებას კი არ ასახავენ, არამედ, როგორც უკვე აღიარებულია ისტორიულ მეცნიერებაში, მათი შემქმნელი საზოგადოების მი-

თოლოგიურ, კოსმოგონიურ, რელიგიურ და მაგიურ შეხედულობების მიზანით აშშახველ სიმბოლურ ნიშნებს წარმოადგენენ (9,3-6).

მართალია, ორნამენტთა სიმბოლური მნიშვნელობა ნაქ-სოფტზე დღეს დაკარგულია და მათ მხოლოდ მხატვრული ფუნქცია აკისრიათ, მაგრამ მათში ჩადებული იდეის გამოვლენა თითქმის ყოველთვის შესაძლებელია, რამდენადაც მათი შინარსი, რომელიც გარკვეული მოვლენის ძირითად თავისებურებებს ასახავს, სხვადასხვა ფორმითაა შემორჩენილი საზოგადოების წეს-ჩვეულებებსა და მითოლოგიაში.

ქსოვილის ყველა ორნამენტი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ამჟამად დავინტერესდით ერთი ორნამენტის ელემენტით, რომელიც გამოიხატება გეომეტრიული ფიგურით – კუთხით (ნახ. 1) და რომლის სტილიზებული ფორმის ორნამენტიც ხევსურულად “შიბა” (ნახ. 2), ხოლო თუშურად “შიბი” (ნახ. 3) ტერმინით აღინიშნება (6, 6-23).

ჩვენთვის საინტერესო ელემენტი – კუთხე სტილიზებული სახით – სხვა სახელწოდების მქონე ორნამენტებშიც გვნდება. მაგ., ხევსურულ ორნამენტებში: “დაკავკაული”, “ჭავრა”, “დაკაული”, “მარტულულა”, “ქისტაურა”, “კეხაი”, “თვეზის ზურვა”; თუშურ ორნამენტებში: “მიბი”, “ნაჭრული”, “თითო დეზი” “ჯირკვანაი”, “ზოლიან ჯირკვანაი”, “ჯირკვანანი ზოლები”, “ციცაის ფეხი”, “მერცხალიას ქუდი”, “ყვავისფეხაი”, “ტოტები”, “ტოტიან ჯარანაი” (ნახ. 4-21) (6, 23; 1, 35-39).

აღსანიშნავია, რომ თუშური ფარდაგის ქსოვა იწყება და მთავრდება “შიბით”. გვხდება “ცალპირა შიბი” – ერთხელ გადატარებული და “ორპირა შიბი” – ორჯერ გადატარებული. ცალპირა შიბს ვრეხნილის იერი აქვს, ორპირას კი – წნულისა. ფარდაგის ბოლოს სამზე მეტად ატარებენ შიბს და მას გამჭული წნულის იერი აქვს (1, 36-37).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, “შიბი” – “ერთი ნაქსოვია”, ან “შიბი” არის “ყელის ჯაჭვი თვალ-მარგა-



ლიტისა” (2, 300), ე.ი. ჩვენ მიერ აღნიშნული კუთხით ფიქტური ფორმის ელემენტთა გარკვეული რაოდენობა ან სტილიზაცია ქმნის ჯაჭვს.

ცნობილია, რომ ჯაჭვს ქართველთა წარმოდგენაში როტუალური დანიშნულება პქონდა. მათი შეხედულებით, ჯაჭვით ანუ “შიბის” საშუალებით ციდან ჩამოდიან და ხეზე დაბრძანდებიან ღვთაებები. ასეთი ხე ყოფილა ლაშარის ჯვრის მუხა ფშავში, ხმელგორში; ასეთი შიბები, გაბმული ორ საკულტო ადგილს შორის, ცნობილია იახსარის მითიდანაც; ზეციდან ჩამოვარდნილი შიბის ადგილას დაუარსებიათ კარატეს ჯვრის (კოპალას) სალოცავი (9, 180-181). ცნობილია ყელზე ჯაჭვ-მობმული მონების სიმბოლური მსხვერპლშეწირვა სოფ. აწყურის თეთრგიორგობის დღესასწაულზე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მთვარის ხატობად მიიჩნევს (13, 51-53). ვფიქრობთ, აღნიშნულ შემთხვევაში ჯაჭვი მსხვერპლად შეწირულის ღმერთთან კავშირზე მიუთითებს. ცნობილია, აგრეთვე, რაჭაში, სოფ. სორში “ჯაჭვის მონასტერი” – მრავალ-ძალის წმინდა გიორგის სახელობაზე (13, 55).

საინტერესოა, რომ საქართველოში, კერძოდ, თუშეთში ჯაჭვის გამოყენება სამელოვიარო რიტუალშიც სცოდნიათ. ჯაჭვი წარმოადენდა შავი ფერის ნაბდის მოგრძო ნაჭერზე ასხმულ რკინის რგოლებს, რომელსაც ბოლოში უკუღმა დართული ძაფისგან გრძელი ფოჩი – “ზავარო” უკეთდებოდა. სამგლოვიარო ჯაჭვი მთელი გლოვის განმავლობაში პქონდათ ქალებს ტანსაცმელზე უბის გასწვრივ მიმაგრებული (2, 51).

როგორც ჩანს, ჯაჭვი, ქართველთა რწმენით, დამაკავშირებელი ვერტიკალური ღერძი იყო როგორც ზეცასთან-ზესკნელთან, ასევე – სულეთთან-ქვესკნელთან და ამრიგად შენარჩუნებული იყო ღვთაებასთან კავშირი როგორც სიცოცხლეში, ასევე – სიკვდილის შემდეგაც.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ ქალები “შიბის” (“შიბას”) ორნამენტებში ღვთაებასთან

კავშირს გამოსახავდნენ. ვფიქრობთ, რომელიმე კონკრეტული მოვლენას უნდა შთაეგონებინა მათთვის “შიბის” (“შიბპუნქტის”) ორნამენტისათვის კუთხოვანი ფორმის მიცემა, რადგანაც მათ უკვე ჰქონდათ (ან შესაძლოა, შემდეგ შექმნეს) მრგვლოვანი ფორმისგან შედგენილი ორნამენტები, რომელთა სახელწოდებაშიც აისახება ტერმინები - “შიბი” და “ჯაჭვი”, მაგ. ორნამენტები: “თვლიანი შიბი”, ანუ “თვლიანი ჯაჭვისთვალია” (ნახ. 22), “შიბიანი”, ანუ “ჯაჭვისთვალიანი ზოლები” (ნახ. 23).

ხევსურეთსა და ფშავში (სავარაუდოა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც) ქალსა და კაცს შორის არსებობდა სასიყვარულო ურთიერთობა, ხევსურეთში – სწორფრობის, ზოლო ფშავში – წაწლობის სახელწოდებით. ამ ურთიერთობის შესახებ ამჟამად არ ვიმსჯელებთ, რადგანაც ეს საკითხი ერთ-ერთ სტატიაში უკვე განხილული გვაქვს (11, 119-126). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სწორფრობა (და წაწლობა) არის მისტერია, რომელიც სრულდებოდა პირველი ცოდვის შესამსუბუქებლად, რაც ქალმა იტვირთა, რადგანაც ეს მისი მოვალეობა იყო და ეს ტვირთი გამოხატა არა წამებით ან შსხვერპლშეწირვით, არამედ სიყვარულით. ვფიქრობთ, აღნიშნული მისტერიის არა-მხოლოდ შინაარსი, არამედ გარეგნული ფორმაც ღვთაებასთან კავშირის იდეას ატარებს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სწორფრობის (და წაწლობის) დროს ქალისა და კაცის წოლის ფორმა – ქალი წევს ვაჟის მკლავზე, მაგრამ ფეხები ორივეს განზე უწყვია, დაუშვებელია მუხლების მიახლოება; თუ წარმოვიდგენთ მათ სხეულებს სხივებად, წოლის ფორმა მიიღებს კუთხის გამოსახულებას. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფორმა გადაიტანა ქალმა “შიბის” (“შიბას”) ორნამენტში.

ამ მოსაზრებას ერთგვარად განამტკიცებს ქალის თავისებური საჩუქრები სწორფერი კაცისადმი. კერძოდ, 1. ქალი სწორფერისათვის ქსოვდა “ფარაგას” (პერანგის ნაწილი, რომელიც გულ-მკერდს ფარავს), რომელიც “შიბას” წესით სრულდებოდა და ისეთი სახით (“ხუთიც ამოგდებისა”-ით),

რომლითაც ყველაზე მდიდარი ორნამენტი გამოდიოდა სამუშაოების შესახებ (12, 205-206); 2. ქალი სწორფერისათვის კერავდა მძივებით მორთულ ორნამენტიან “კუთხაის” (ნახ. 24; 12, 199), რომელ საც კაცი იმაგრებდა პერანგის გულზე და, რაც უფრო ბევრი “კუთხაი” ჰქონდა მას, უფრო მეტად ფასდებოდა ხალხში – უფრო მეტად “დღიანი” იქნებოდა (12, 207). ხევსურთა აზრით, შეიძლებოდა დღიანი კაცის სიტყვა სხვის სიტყვაზე ნაკლები ყოფილიყო, მაგრამ ხალხს მაინც ის მოსწონდა (3, 20). საინტერესოა, რომელ ღვთაებასთან კავშირს გამოხატავდა სწორფრობისა (და წაწლობის) მისტერია?

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთში (სადაც ბოლო დრომდე შემოინახა აღნიშნული მისტერია) ღვთაებათა პანთეონი ტრიადულია: მორიგე ღმერთი – ქვეწის მომრიგებელ-მომწესრიგებელი, შემდეგ, ქალ-ღვთაება მზე, იგოვე მზექალი ანუ დღე დღესინდელი და კვირა (კვირია, კვირიე, კვირიაე) – ხმელთ მოურავი, კარავიანი და ცეცხლიანი. აღსანიშნავია, რომ ვერა ბარდაველიძე ტრიადის სათავეში მდგომ მორიგე ღმერთს მოვარეს უკავშირებს, მზექალს-მზეს, ხოლო კვირიას – მიწოურ სამყაროს და ისიც, რომ ღვთის კარზე ღვთისშვილთა შეკრება “მზის დაბრუნვისას”, ე.ი. მზის ჩასვლისას ხდებოდა (5, 167).

საინტერესოა, რომ სწორფრობის (და წაწლობის) მისტერიაც ღამით იმართებოდა და რომ სწორფრობისას ქალის მეშვეობით ხდებოდა კაცი “დღიანი” (ქალი, რომელიც ნათელ სიმბოლოს წარმოადგენდა – გათხოვებამდე ყვითლად იღებავდა და სხივისებურად - ნაჭაპნურად იწნავდა თმას (4, 141-142), “კუთხაის” ჩუქნიდა კაცს), ე.ი. ქალისგან გადაცემიდა მას ნათელი (ისევე, როგორც მზე ანათებს და “ადღიანებს” დედა-მიწას), რაც გვაფიქრებინებს, რომ სწორფერი ქალი და კაცი შესაბამისად მოიაზრებიან ღვთაებების მზე-ქალისა და კვირიას წარმომადგენლებად დედამიწაზე, შესაძლებელია შვილებად, ნაწილიანებად ან თუნდაც ანგელოზებად (მზექალს, ხალხის

რწმენით, თავისი ანგელოზები ჰყავდა, რომლებიც დღის მნიშვნელობის სხივებს განასახიერებდნენ და პერსონიფიცირებული იყვნენ ე.წ. დობილებად (სწორფრობაშიც არსებობს ტერმინი “დობილი”), თუმცა მათ სხვა დანიშნულება ჰქონდათ (5, 168) და მათი საშუალებით მყარდება კავშირი მორიგე ღმერთთან და ეს კავშირი არის ღვთაებრივი სიყვარულით გასხივოსნებული (სხივისებური ფორმისა ორნამენტის ელემენტი “შიბა” – “შიბი”, სწორფრობის (და წაწლობის) წოლის ფორმა და სწორფერის საჩუქარი “კუთხაი”).

თუმცა მკლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა მზის, მთვარისა და დედამიწის ღვთაებათა სქესისა და მათი უმთავრესობის შესახებ (10), მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულ მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს, რადგანაც სწორფრობა (და წაწლობა) მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულის გამოხატულებაა, სქესობრივი კავშირი კი აკრძალულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ზღაპრებში, ჯაჭვის გარდა, ირმისა და ჯიხვის რქებიც წარმოიდგინებიან ღვთაების სამყაროსთან დასაკავშირებელ საშუალებად (9, 110-111). ვფიქრობთ, ამ მოვლენას ასახავს ხევსურის აზრიც, რომ “რაიც კაცნ გაჩენილანავ, იმის მემრავ ქალ-ვაჟს სრუ სდობნივავ ერთუცივ, წინავ უფრო სდობნივას ერთმანეთი, სურულით ხოცილანავ წინან კაცნივ, ერთად წოლა ქვე არ ყოფილ, ეგზ თუ უაზრებდიან ერთუც. მემრ დმერთს ათერი-დ, აბურსელ უნასიან სურულით დახოცილნი, ამდგარა-დ სურულ ქალ-ვაჟისად მაუშორებავ, ირმის რქაზე, თამაქოზედა, ქალის ფარაგაზე გადაუტანავ” (3, 11). სურულის (სურვილის) ირმის რქაზე გადატანაც ასახეს ქალებმა იმ ორნამენტებში, რომელთა ტერმინიც და ფორმაც რქებზე მიგვანიშნებენ. ასეთებია, მაგ., ხევსურული ორნამენტები: “რქადახრილა”, “სკლატის რქაჩამახრილ მარტულელაი”, “რქიან მარტულელანი”, “ჯვარ-რქიან მარტულელაი”, “რქიან მარტულელაი”, “რქანი”, “რქიან ყაწიმი” (12, 185, 190-198).




ცნობილია, აგრეთვე, ირმის გამოსახულებიანი თურქული ფარდაგებიც (1, 27). რაც შეეხაბა “თამაქოს”, ეს არის იმის რქა, რომელსაც ხევსური ქალი ჩუქნის სწორფერს თუთუნის შესანახად. საინტერესოა, აგრეთვე, რომ მთიულეთში მამაკაცები ატარებენ თუთუნის შესანახ “თამაქოს”, რომელიც არის ნაქსოვი და დაჭრელებულია “შიბიანი” ორნამენტებით.


ამრიგად, ჩვენი აზრით, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფარდაგის ორნამენტს “შიბას” (“შიბის”), რომლითაც ქალები სიმბოლურად გამოხატავდნენ ღვთაებასთან კავშირის იდეას, საფუძვლად უდევს სწორფრობის (და წაწლობის) მისტერია.

და, ბოლოს, ალბათ, სწორედ ასეთი ორნამენტიანი იყო ის ჯადოსნური ხალიჩები, რომლებითაც დაფრინავდნენ ზღაპრებში – ღვთაებასთან კავშირის იდეა ხომ ცაში ფრენის ნიშანიცაა; ქართული ხალიჩები, რომლებსაც დღესაც ქსოვენ ქალები ტრადიციული იდუმალებით. მართლაც, ზრაპრული სილამაზით გამოირჩევიან.



ხევსურული ორნამენტები



თუშური ორნამენტები



მრგვლოვანი ფორმის ორნამენტები



1. ნანული აზიკური, თუშური ფარდაგი, თბ. 1999;
2. ნანული აზიკური, თუშური ფარდაგი, თბ. 1999;
3. ნათელა ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ. 1991;
4. სერგი მაკალათია, ხევსურეთი, თბ. 1984;
5. ვერა ბარდაველიძე, ქართველური ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, “მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის”, X, თბ. 1959;
6. ნატო დავითაშვილი, ბებოს სკივრი, თბ., 1991.
7. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
8. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
9. ირაკლი სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ. 1993;
10. ირაკლი სურგულაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების საკითხისათვის, “ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი”, ტ. I, თბ. 2001;
11. თამარ შარაბიძე, სწორფრობის (და წაწლობის) მისტერია, “მნათობი”, თბ. 2000, №9-10;
12. გიორგი ჩიტაა, შრომები, ტ. II, თბ. 2000;
13. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ. 1961.

ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობა საქართველოში (სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა)

ქართველი ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობა მრავალ ქართველ მეცნიერს აქვს შესწავლილი. აღნიშვნული საკითხი განხილული აქვთ ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ეთნოგრაფებს, მაგრამ რადგან ყველა მკვლევარი ქართველი ქალის საკითხს განიხილავდა სხვადასხვა მიმართულების (საოჯახო ან საზოგადოებრივი მდგომარეობის, ისტორიული როლის და სხვა) მიხედვით, მთლიანი მონოგრაფია ქართველი ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ ჯერ არ შექმნილა, თუმცა, ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება უკვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შევსების, გმითლიანებისა და განსჯის შედეგად ქართველი ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობის ამსახველი სრული სურათის შექმნა.

ამჟამად შემოვიფარგლებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მცირე ნაწილის განხილვით.

დ. ბაქრაძე ნაშრომში “ქართველი ქალები”² ახასიათებს ქართველ ქალებს, მოჰყავს ფრანგი ქან შარდენის სიტყვები ქართველი ქალების სილამაზისა და მშვენიერების შესახებ, შემდევ აღნიშნავს, რომ ბიზანტიის მფლობელნი ხშირად ცდილობდნენ ქართველ ქალებთან შეუღლებას და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები ისტორიიდან. ავტორი არ ეთანხმება ფრანგ მწერალ დიუბუა-დე-მონპერეს, რომლის აზრითაც ზეციურმა განგებამ იმიტომ მიაყენა საქართველოს ეს უბედურება – ქართველ ქალ-ვაჟთა გაყიდვა უცხო ქვეყანაში, რომ აღმოსავლეთის ხალხთა სისხლი გაწმენდილიყო. დ. ბაქრაძის აზრით, ადამიანს სახის სიმშვენიერე კი არა, ზნეობრივი ხასიათი ამ-



შეენებს, კერძოდ, გონიერება, ძალა, ხასიათის სიმტკიცეები, ზრდილობა, მიმზიდველი მანერები და სხვა და ქართველი ქალების ბედკრული ხვედრის მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო და, თუმცა ისტორია დაწვრილებით არ მოგვითხრობს ქართველ ქალთა მდგომარეობის შესახებ სამშობლოს გარეთ, უეჭველია, მათ დიდი გავლენა უნდა ჰქონოდათ სულთანებსა და შახებზე და ამ გავლენას სამშობლოს სასარგებლოდ მოიხმარდნენ. შემდეგ განიხილავს ქართველი ქალის მდგომარეობას საქართველოში და აღნიშვნავს, რომ, მართალია, დამყუდროებულ ზალხში დაუბრკოლებლად ჰყვავის ადგილ-მამულის მართვა და სწავლის წარმატება, ხოლო იქ, სადაც გარემოება ლაშქრობის ზრუნვას მოითხოვს, ეს თვისება მიყრუებულია, მაგრამ ქართველ ქალებს ხელთსაქმე შეეძლოთ და მათ შორის ნიჭიერებიც გამოირჩეოდნენ, რაც მოწმდება ეკლესიებსა და მონასტრებში დაცული იმათი ნაქარგ-ნაქსოვით; წერა-კითხვაც მრავალმა იცოდა: კითხულობდნენ უცხო ენიდან ნათარგმნებს, „ვეფხისტყაოსანს,“ ბერძენ ფილოსოფოსთა თხზულებებს, მამათა ცხოვრებასა და საღმრთო წერილებს, წერდნენ შრომებს, მაგ. კახეთის დედოფალმა აღწერა წმინდა ნინოს მოსკვლა საქართველოში და მირიანის მოქცევა, ხოლო XVII ს-ში თემურაზ პირველის დამ — მაკრინემ შეადგინა ქართველ წმინდანთა საგალობლები და სხვ.

დ. ბაქრაძის აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც დედაკაცი მონბაშია (მაგ. აზიაში), ქალი ვერც ხასიათის სიმტკიცეს იჩენს და, შესაბამისად, ვერც სამოქალაქო მართვაში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ საქართველოში სხვა ვითარებაა და მისი რწმენით, ამის მიზეზია ის, რომ ივერია წილად-ხვდომია ღვთისმმობელს, რომლის მადლიც უმეტესად ქალებს მოჰყენიათ და, თუ „ჰემმარიტი სარწმუნოების“ დამყარებამდის საქართველოში დედაკაცებს ვერა ვხედავთ, ამის შემდეგ, ცხადად აღმოჩნდებან: საქართველოში. დედაკაცმა მიიღო პირველად ქრისტიანობა და დედაკაცების (ნინო, სიღონია, ნანა, სალომე)

მეშვეობითვე გავრცელდა ქრისტეს რჯული. მხოლოდ თამარ შე-
რის მეფობა და საქმეები წარმოაჩნის არა მხოლოდ თამარ შე-
ფეხს, არამედ მთელი საქართველოს დედათა სქესს. შემდეგ ავ-
ტორი აღწერს ქართველ ქალთა გულადობისა და მამაცობის
მაგალითებს და აღნიშნავს, რომ, მართალია, ისტორიაში იცის
ქართველ ქალთა მანკიერებანიც, მაგ. რუსუდანისა და ნესტან-
დარეჯანის უძირისი ყოფა-ქცევა, მაგრამ რადგან ქვეყნად
სისრულე არაფერშია, ეს აუცილებელიცაა, ბიწიერება ზნეობი-
სათვის გრიგალია, რომელიც ორ-სამს იმსხვერპლებს, სხვებს
კი გააფრთხილებს და ისტორიაც იმ აზრით იწერება, რომ მა-
გალითები გვიჩვენოს, რა არის მანკიერება და თავის დაცვა
შევეძლოს.

დავით ქორიძე ნაშრომში „სახელოვანი ქართველი ქა-
ლები“²³ ისტორიული წყაროებისა და ქართული სიტყვიერების
შესწავლის საფუძველზე განიხილავს ქართველ ქალთა პორ-
ტრეტებს. პირველ თავში – „ქართველი ქალის სახე წერი-
ლობით ძეგლებსა და ზეპირსიტყვიერებაში“ – ავტორი აღნი-
შნავს, რომ ქართველი ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა
ცვალებადია, კერძოდ, თუ მატრიარქატის დროს ქალის რო-
ლის სამეურნეო მნიშვნელობის წინ წამოწევის გამო ქალი
ითვლებოდა ოჯახის უფროსად, პატრიარქატისას, როცა მესა-
ქონლე მამაკაცი ჩაება სამეურნეო საქმიანობაში და გაუძლვა
კონომიკურ სადაცებს, ქალი დარჩა ბავშვების აღმზრდელად,
რამაც შეამცირა მისი როლი საოჯახო საქმიანობაში, თუმცა,
კაპიტალიზმის დროს, ქალი კვლავ ჩაება წარმოებაში, მაგრამ
ეს იყო მონური შრომა, რის გამოც ქალის პიროვნება არ და-
წინაურებულა.

მკვლევარი ქვეთავში – „ქართველი ქალი ანტიკურ და
ფეოდალურ საქართველოში“, აღნიშნავს, რომ ანტიკური ხანის
საქართველოში ქალი იყო ოჯახის ბურჯი და სიტყვა „დი-
ასახლისიც“ (დედა სახლისა) ამას ამოწმებს და იზიარებს მო-
სე ჯანაშვილის აზრს ტერმინ „რძლის“ შესახებ. „რძალი“ ძა-

ლასა და ძლიერებას ნიშნავს, რადგან ახლად მოყვანილი უნდა იქნაოს, გვარის გამრავლებასთან ერთად ოჯახში შედის, როგორც შემაკაცი – დამხმარე ძალა.

დ. ქიქოძის აზრით, ქალის როლს ოჯახში ამტკიცებს ანდაზებიც: „ქალს დაუსახლებია“ ან „ქარგი დედაკაცის პატ-რონს საგზალი არ უნდაო“ და სხვ. ქალის პატივისცემის მიზნით შექმნილია ლეგენდები, რომელშიც ქალი წარმოდგენილია მზედ, ამავე აზრს ამტკიცებს „იავნანაც“ – „მზე დაწვა და მთვარე შობა“ და სხვ. ავტორი აღნიშნავს, რომ ქალის პატივისცემა მატრიარქატის ნიშანია, რისთვისაც იმოწმებს ტერ-მინებს: „დედასამშობლო,“ „დედანა,“ „დიასახლისი“⁴ და სხვ., ასევე, გვარების ქალის სახელიდან წარმოშობას (ანაშვილი, თამარაშვილი, ელისაბედაშვილი, ბებიაშვილი და სხვ.), ავტორი განიხილავს ქართველი ქალის სახეს ბალადაში „მოყმე და ვეფუხვი,“ „ვეფუხისტყაოსანში,“ ილიასა და აკაკის თხზულებებში. შემდეგ მოჰყავს უცხოელ ავტორთა (ესქილეს, პტოლე-მაიონის, კლიმენტი ალექსანდრიელის, სტრაბონის, პიეტრო დელა-ვალეს და სხვ.) ცნობები ქართველი ქალების შესახებ.

ნაშრომის მეორე თავში დავით ქორიძე ახასიათებს ქალთა პორტრეტებს წერილობითი ძეგლების მიხედვით. დახასიათებულია შემდეგი ქალები: „ხაზართა სასძლო“-არჩილ მეუის შვილი შუმანი (VIII ს. 40-50-იანი წწ.), გრიგოლ ხანმელის დროინდელი ქალები – ფეხრონია, ბევრეული-ანასტასია და მარიამი, მარიამ დედოფალი-ბაგრატის (1027-1072 წწ.) დედა, მართა – დედოფალი ბიზანტიისა, რუსუდან დედოფალი-დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) ასული, თამარი – დედა ქართლისა (XII ს.), თამარი-დედოფალი იკონისა (1224-1277 წწ.)-თამარ მეფის შვილი შვილი, სალომე ქართველი (მესულმანებისაგან წამებული XII ს-ის დასასრულს), ქვაბთა-ხეველი წამებული – თემურ-ლენგის დროინდელი მონაზვნები (1393 წ.), შალიკაშვილის ქალი – უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ქალი, ქეთევან დედოფალი (1575-1624 წწ.).

მარიამ დადიანი (XVIII ს.), დარეჯან ბაგრატიონი – შვილი ვახტანგ V-ის ძის – არჩილის და თეიშურაზ I-ის ძის დავითისა და განკუთხულისა ასულის ქეთევანისა, თამარ ბაგრატიონი – ვახტანგ VI-ის ასული (დედა პატარა კახისა), ქეთევან ანდრონიკაშვილი (1754-1782 წწ.) – ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის შვილი, მარიამ დადიანი – იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მეუღლე (XVIII-XIX სს.), ნინო ბაგრატიონი – ერეკლე მეფის შვილიშვილი (1773-1817 წწ.), დარეჯან დადიანი (1726-1807 წწ.), მარიამ დადიანი (1605-1682 წწ.), თეკლა ბატონიშვილი (1776-1846 წწ.), ქეთევან აბაშიძე-წერეთლისა (XVIII-XIX სს.). შემდეგ აღწერილია სოციალურ უსამართლობასა და გარეშე მტრებთან მებრძოლი ქალების ცხოვრება, რაც მანამდე ცალკე ნაშრომის – „თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები“²⁴ – სახით იყო გამოცემული.

აღნიშნული ნაშრომის შესავალში დავით ქორიძეს მოჰყვეს რომაელი მისიონერის პავლე მარია ფაიანცელის დახასიათება ქართველი ქალების შესახებ: „ქართველი დედაკაცები ტანძალალნი და შშვენიერი მოყვანილობისანი არიან... ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაპყავთ და თან დააქვთ შშვილდისარი და კაპარჭი“, შემდეგ აღნიშნავს, რომ მიუხედავისა, რომ ძველმა სოციალურმა და პოლიტიკურმა პირობებმა ქალს მამაკაცზე მეტი მოვალეობა დაკისრა ოჯახსა და სოფლის მეურნეობაში (ქართული გამოთქმა „გუთნისდედაც“ იმაზე მიუთითებს, რომ ძველად გუთანს მართავდა დედა-ქალი), ქართველი ქალები იმავდროულად თავგანწირვით იბრძოდნენ იარაღით ხელში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თამარ მეფის ლაშქარში, გიორგი სააკაძის რაზმში დასხვ.

დ. ქორიძის აზრით, ქართველი მემატიანენი ან ღუმან, ან მოკლედ აღწერენ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს, რის გამოცხვენთვის უცნობია ბევრი სახელოვანი ქალის, განსაკუთრებით კი გლეხი ქალების თავგადასავლები, მაგრამ ხალხს შე-



მოუნახავს მათ შესახებ ცნობები, რომელთა საშუალებათაგან
და, აგრეთვე, სხვადასხვა ავტორთა (დ. ჯანაშვილი, თ. ჭიჭი-
ნაძე, ალ. გარსევანიშვილი, მირ. ხუხუნაშვილი, გ. ლეონიძე,
ქ. სიხარულიძე, ლ. ასათიანი, კ. დგებუაძე) ნარკევებისა და
წერილების მიხედვით მკვლევარი გვაწვდის დამპყრობთა წინა-
აღმდეგ მებრძოლ გლეხ ქალთა გმირულ თავგადასავალებს.
ესენი არიან: ხერხეულიძეების დედა (XVIIს. მარაბდის ომის
მონაწილე), ნანა თოთელი (ჯუთელი ქისტ-ხევსურების
ბრძოლის მონაწილე), „შურისმაძიებელი ქართველი ქალი“
(1724 წ. ავლანების წინააღმდეგ იბრძოდა), ბებერი ქრისტინე
(იბრძოდა გორის ციხის აღებისას ავარიის ბატონის წინააღ-
მდეგ), დარეჯან შილდელი (იბრძოდა ლეპების წინააღმდეგ),
მაია წყნეთელი (XVIII ს-ის 40-იან წლებში იბრძოდა ლეპე-
ბის, თურქებისა და შინაური მტრების წინააღმდეგ), თინა წა-
ვკისელი (იბრძოდა 1795 წ. ალა-მახმად-ხანის წინააღმდეგ),
თამარ ვაშლოვნელი (XVIII ს-ის მეორე ნახევარში იბრძოდა
ლეპების წინააღმდეგ), მუხათელი რძალი ანა, ცნობილია ანა-
ბაჯის სახელით (იყო მოჭიდავე, ღონიერი, XVIII ს-ის მეორე
ნაჩ.) თუში შალვაის ასული (შური იძია ქმრის მკვლელ ქურ-
დებზე), თინა ფარსმელი (ცნობილია ლეპების წინააღმდეგ
ბრძოლით), ელისაბედ მრეკელი (ებრძოდა ბატონ თაქთაქი-
შვილს).

საინტერესოა, რომ ავტორი ქალების საგმირო საქმეების
აღწერის გარდა გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს მათი საო-
ჯახო მდგომარეობის, ქორწინების, ქმარ-დედამთილთან ურთი-
ეობის (მორიდება-მორჩილება), მოჯალაბე ქალის მდგომა-
რეობის და სხვათა შესახებ.

აღსანიშნავია დავით ქორიძის კიდევ ერთი ნაშრომი –
„ქართველი ქალები“,²⁵ რომლის პირველ თავშიც – „ქალი ქა-
რთული ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში“, ავტორი
შედარებით ფართოდ მიმოიხილავს ქართველი ქალის სახეს
მითოლოგიასა და ლიტერატურაში, ვიდრე ზემოთ განხილულ

ნაშრომში „სახელოვანი ქართველი ქალები“, ხოლო მეცნიერებების და კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი „ქალი ქართული საინსტიტუტი“ და სამართლებრივი სამსახურის მინისტრი „ქალი ქართველი ცხოვრებას“. ეს ქალები არიან: ზენობია, სერაფიტა, სალომე უჯარმელი, დუხტა დედოფალი და სხვა. მესამე თავი ეძღვნება სოციალური უსამართლობისა და გარემო მტრებთან მებრძოლ ქალებს (სულ ოცდაათი ქალია), ხოლო მეოთხე თავი-ტყველ წაყვანილ და გაყიდულ ქალებს.

საინტერესოა შალვა დადიანის ნაშრომი „ქართველი ქალები ისტორიული წყაროებისა და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.⁷ მკვლევარი განიხილავს ქართველ ქალთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას შუშანიკიდან თამარ მეფემდე, აღნიშნავს მათ დამსახურებას ქრისტიანობის გავრცელებასა და პოლიტიკაში, შეძლევ ახასიათებს „ვეფხისტყაოსანის“ გმირ ქალებს, რომლებიც, მისი აზრით, ქმნიან ქართველი ქალის სახეს-შშვენიერს, ბრძენს, მიჯნურს, მეცობარს, სათნოს, სამშობლოს მოყვარულს და აღნიშნავს, რომ ამ თვისებებმა შეუწყო ხელი ქართველი ქალის იდეალიზაციას.

აღსანიშნავია სერგი გერსამიას გამოხმაურება, „ქართველი ქალი ძველად და ახლა“⁵ პ. კაპანელის წიგნზე „სული და იდეა“. სერგი გერსამია აკრიტიკებს მოქ. კაპანელის მიერ ქართველ ქალზე შედგენილ საბრალმდებლო ოქმის მუხლებს:

1. ქართველი ქალი, როგორც დედა, უვარგისა, 2. ქართველი ქალი, როგორც მეოჯახე, ცუდია, რადგან ჩაკლული აქვს ოჯახის შექმნის სურვილი, 3. ქართველი ქალი მოკლებულია სექსუალობას, არ არის ეროტიკული, 4. ქართველ ქალს არა აქვს ინდივიდუალობა, 4. ქართველმა ქალმა არ იცის მიჯნურობა-სიყვარული, 6. ქართველი ქალი დამნაშავეა, მან არ გაამრავლა ქართველი ხალხი. ყველა აღნიშნული თვისების მთავარ მიზეზად პ. კაპანელი მიიჩნევს ამაზონობას, რამაც ქართველ ქალში ჩანერგა რაინდული სული და ყველა დანარჩენისაგან განძარცვა.

სერგი გერსამიას აზრით, მხოლოდ საკუთარი ჭიათურული ჭილების მიხედვით, ფაქტების გარეშე, კატეგორიული შეჯერობა მცერალს არ შეშვენის და გვთავაზობს ძველი ქართველი ქალისა (უძველესი დროიდან XVIII ს-ის დას-ძე) და ახალი ქართველი ქალის (XIX-XX სს.) დახასიათებას ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის მიხედვით და არა მხოლოდ აბათილებს კ. კაპანელის ბრალდებებს, არამედ მისი თვალსაზრისით, ქართველი ქალი იყო ის მნიშვნელოვანი ძალა, რომელმაც გადაარჩინა საქართველო აუარებელ მტერთა შემოსევებისაგან.

ქართველი ქალის საოჯახო მდგომარეობის შესწავლას ხელს უწყობს ქართველ ეთნოგრაფითა მიერ მაღალმეცნიერულ დონეზე დამუშავებული ქორწინების ინსტიტუტი და საოჯახო ყოფა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია თედო სახოკიას, სერგი მაკალათიას, რუსულან ხარაძის, ილია ჭეონიას, ვალერიან იორნიშვილის, მზია ბექაიას, ნუნუ მაჩაბელის, სოსო ჭავანტურიშვილის, ლია მელიქიშვილის, გოგი გოცირიძის, ბიძინა ნანობაშვილის, გულიკო ცეცხლაძის, ნუგზარ ანთელავას და სხვათა შრომები.

თედო სახოკიას ნაშრომში „ეთნოგრაფიული ნაწერები“, მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული მეგრელი ქალის შესახებ. კერძოდ, ქალი მითოლოგიაში, ქალის მონაწილეობა ახალი წლის რიტუალებში, საქორწილო და დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში, აღწერილია ქალის უუფლებობა ოჯახში, სადღარაცო და სამამაკაცო საქმე, ცოლის შერთვა-მოტაცება, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.

აღსანიშნავია სერგი მაკალათიას ნაშრომები:

„მთიულეთი“, „თუშეთი“, „ზევი“, „ფშავი“, „მესხეთ-ჯავახეთი“ და სხვ.

ნაშრომში „მთიულეთი“¹¹ მკვლევარი ეკონომიკური მდგომარეობის აღწერისას ახასიათებს ქალის შრომას – რბის ნაწარმის დამზადებას, მატყლის წარმოებას, შალისა და ფარდა-

ეს ქსოვას, ხოლო საზოგადოებრივი მდგომარეობის აღწერა-
სას – ოჯახის შემადგენლობასა და მის უფროს-უძვროსობებით, დაყოფას, ყოფის რეალებიდან გამოყოფს ტანთ ჩაცმა-მო-
კაზმულობას, ორნამენტებს, ხალხურ ჩვეულებებს (ქორწილი,
დიდი და პატარა ნიშანი, მშობიარობა, ბოსლობა, ბავშვის აღ-
ზრდა, ტირილისა და გლოვის წესები, ცრუმორწმუნეობა „ჩი-
ტფაფობა“, „მგელთკვერაობა“, „მღილის უქმე“, ფუძის ანგე-
ლოზისა და სახლის ანგელოზთან დაკავშირებული რიტუა-
ლები) და მასში ქალების მონაწილეობას.

ნაშრომში „თუშეთი“¹² სერგი მაკალათია მრავალ საინ-
ტერესო რიტუალს აღწერს, რომლებშიც ქალებიც მონაწილე-
ობენ, მაგ. საქორწინო წეს-ჩვეულებები, მშობიარობა, მიცვალე-
ბულის ტირილი, წელიწდობა, ქალთგორობა, თხურისიების ხა-
ტის დღესასწაული, შელოცვები აკადმყოფობის წინააღმდეგ და
სხვ.

ნაშრომში „ხევი“¹³ ავტორი მნიშვნელოვან მონაცემებს
იძლევა ქორწილის, ქალის დანიშვნის, მზითვის, ქორწილის
სუფრის, პატარძლის წყალზე გაყვანის, „მთხოვართ მირეკას“,
მშობიარობის, ქალის სახელების, ბავშვის აღზრდის, ხმით მო-
ტირალი დედაკაცების შესახებ. სერგი მაკალათია აღწერს რე-
ლიგიურ რიტუალებსა და მათში ქალების მონაწილეობას.

ნაშრომში „ფშავი“¹⁴ სერგი მაკალათია ეკონომიკური
მდგომარეობის აღწერისას განიხილავს მინამრეწველობას, რო-
მელიც მეცხვარეობასთან არის დაკავშირებული და რითაც და-
საქმებული არიან ფშაველი ქალები, ხოლო საზოგადოებრივი
ყოფის აღწერისას სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს ოჯ-
ახის შემადგენლობას, საოჯახო საქმიანობის განაწილებას ოჯ-
ახის წევრთა და ქალებს შორის, შემდეგ ახასიათებს ფშაველ
ქალს, აღწერს ქალების მომზადებულ საჭმელებს, ქალების
ტანთსაცმელს, ხალხური ჩვეულებების აღწერისას მნიშვნე-
ლოვან ცნობებს იძლევა დობილობის, წაწლობის, მუცლად და-
ქორწინების, ქალის გათხოვება - გარიგების, ქალის მოტაცე-



ბის, კვეთილში ჩასმის, ნიშნობის და ქორწილის, ქორწილის შემდგომი პერიოდის, მშობიარობის, მებოსლე ქალის, ბავშვის აღზრდის, ქალთა სახელების, ტირილისა და გლოვის წესებში ქალების მონაწილეობისა და სხვათა შესახებ. ავტორი აღწერს აგრეთვე რელიგიურ რიტუალებს (ახალი წლის შესახვედრ წეს-ჩვეულებებს, „მგელთუქმეს“, „ჩირჩილთუქმეს“, „კუდიანების ღამეს“), და მათში ქალების მონაწილეობას. საკულტო ადგილსამლოცველობისა და მასთან დაკავშირებული რიტუალების აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ სამლოცველოსთან და ხატებთან ქალების მისვლა არ შეიძლება, უპირატესობით სარგებლობს მხოლოდ „მოწმინდარი დედაკაცი“, შემდეგ ახასიათებს „ხატის ქალებს“, რომლებიც ქალწულებად რჩებიან და ემსახურებიან ხატს, მკითხავს, ქადაგს, აღწერს „ადგილის დედის“ რიტუალს, „მამის სალოცავს“ და „დედის სალოცავს“, „ლაშარობას“ და სხვ.

სერგი მაკალათიას ნაშრომი „მესხეთ-ჯავახეთი“¹⁶ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისაა, ეთნოგრაფიულ ნაწილში აღწერილია სოფლის მურნეობა და მასში დედაკაცის მონაწილეობა, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, ადათ-ჩვევები: ქორწილი, მშობიარობა და ტირილი. ნაშრომის ნაწილში სახელწოდებით „ცრუმორწმუნეობა“ აღწერილია ოჯახის სალოცავები (ახალი წლის მიგებების წესები, „ბედობა“, ბერიკობა“, „დიდება“, „ძუძუს ქვა“, ან „ძიქვა“) და მათში დიასახლისის მონაწილეობა.

სერგი მაკალათია ნაშრომში „მთის რაჭა“¹⁷ საზოგადოებრივი ყოფის აღწერისას გვაწვდის ცნობებს სადიასახლისო საქმეებში ქალებს შორის როლების განაწილების, ქალების პირადი ქონების შესახებ, ყოფის დამახასიათებელი რეალიების აღწერისას—ქალთა ტანთჩაცმულობისა და მოკაზმულობის შესახებ, ხალხურ ჩვეულებათა შორის გამოყოფს მშობიარობის, ქორწინებისა და გლოვის წესებს. ხოლო ხალხურ რწმენაში—ახალწლის მიგებების წეს-ჩვეულებებს და მათში ქალის მო-

ნაწილეობას, შემდეგ აღწერს საკუთრივ ქალების რიტუალური რომლის დროსაც გათხოვილი ქალები ოჯახის გამრავლებას შესთხოვენ სახლის ანგელოზს და იხდიან „სანამლეოს“ (სოფ. ჭორაში „არ ვარგიას“). ნაშრომის ერთ-ერთ თავში – „საკულტო სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალი“ – აღწერილია სათემო და სასოფლო სამლოცველოები, კერძოდ, „შხელის სამლოცველო“, რომელსაც ქალებს ახლოს არ აკარებენ და ქალების სალოცავი – „დედალვითისას კოშკი“, რომელიც ითვლებოდა შვილიერებისა და დედათა სქესის მფარველად.

ნაშრომში „ხევსურეთი“¹⁵ სერგი მაკალათია ხევსურების გვოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული მიმოხილვის შემდეგ განიხილავს მის ეკონომიკურ მდგომარეობას, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც წარმოადგენს ქალის სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ, ქსოვა, საზოგადოებრივი ყოფის განხილვისას გვაწვდის ცნობებს ხევსური ქალის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ხოლო ყოფის დამახასიათებელ რეალიებში საინტერესოდ აღწერს ხევსური ქალის ჩაცმულობას, ვარცხნილობასა და მანდილის მნიშვნელობას, ხალხურ ჩვეულებანში აღწერს სწორფრობის წესს – ქალ-ვაჟის ძმობილობას ანუ სიყვარულს, ქალის დანიშვნას, მოტაცებას, ქორწილს, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობას, მშობიარობას, ბავშვის აღზრდას, ხმით ტირილს და სხვ.

აღსანიშნავია ვალერიან ითონიშვილის მონოგრაფიები საოჯახო ყოფის შესახებ, კერძოდ, „ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან“,⁹ რომელიც ეხება საქორწინო წეს-ჩვეულებებს და ქორწინებისათვის სავალდებულო პირობებს, ნიშნობას, ქალის მოტაცებას, ქორწილს, ქორწილის შემდგომ პერიოდს და, ამრიგად, მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი ცნობები ხევში ქალის მდგომარეობის შესასწავლად და „მოხევეების საოჯახო ყოფა“, რომელშიც განხილულია საოჯახო ყოფის ძირითადი საკითხები: ოჯახის შემადგენლობა,



ეკონომიკური საფუძვლები, მმართველობის სისტემა და მდგრადი თრენინგის ხასიათი. ჩვენთვის საყურადღებო მასალა და ანალიზი ძირითადად ოჯახის მმართველობის სისტემის, შრომის ორგანიზაციის, ურთიერთდამოკიდებულების ნორმებსა და რიტუალებშია მოცემული, რადგანაც აქ ნათლად ჩანს ქალის საოჯახო მდგომარეობა, კერძოდ, დედაკაცის დიასახლისად გამოყოფის მომენტი, წინამდევი ქალი, მორიგე რძლები, მესწორე რძლები და სხვ. ნაშრომში საინტერესო მასალები და ანალიზია მოცემული, აგრეთვე, „ფუძის ანგელოზის“, „სახლის ანგელოზისა“ და „ადგილის დედის“ შესახებ.

აღსანიშნავია სოსო ჭანტურიშვილის ნაშრომი „ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში“,²⁷ რომელშიც წერილობითი წყაროებისა და ჰაგიოგრაფიული ძეგლების მონაცემების მიხედვით აღწერილია ქალთა სამეურნეო საქმიანობა (მექელსაცხებლობა, „ჭიჭაუხტის საქმე“), ურთიერთობა ოჯახის წევრებს, კერძოდ, ქალსა და კაცს შორის, ქორწინების წესის ზოგიერთი დეტალი—ნიშანი, მზითევი, ტანსაცმელი, აგრეთვე ბავშვის აღზრდა და მოცემულია ცნობები ცოლის ურვადით შერთვისა და ცოლ-ქმრის გაყრის შესახებ.

ქალის საოჯახო მდგომარეობის შესახებ საინტერესო მონაცემებია გულნარა ცეცხლაძის ნაშრომში „გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა“²⁷. ნაშრომში ოჯახის წევრთა დახასიათებისას ავტორი აღნიშნავს, რომ გურიაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხებში, გამოიყოფოდა სადედაკაცო და სამამაკაცო საქმე, რომ ქალის ძირითად მოვალეობას საოჯახო საქმიანობა წარმოადგენდა, დაწესებული იყო რძლების მორიგეობა და ქალებს შორის ფუნქციები ასაკის მიხედვით ნაწილდებოდა, რომ ფურადღება ექცეოდა ქალისთვის საოჯახო საქმის და განსაკუთრებით, ხელსაქმის სწავლების. ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების აღწერისას ავტორი გვაწვდის ცნობებს ქალთა ქცევის ნორმების შესახებ ოჯახის, გვარის და სოფლის სხვა წევრთა მიმართ, ხოლო

ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესრიგით, განიხილავს „ქალის წილს“, მზითევს, არჩივს და სხვ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, გულნარა ცეცხლაძის სტატია „ქალის საოჯახო მდგომარეობა გურიაში ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით“²⁷, რომელშიც ქალის საოჯახო მდგომარეობის გარდა მოცემულია მასალები ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის, კერძოდ, „უბნის ქალის“ ფუნქციების შესახებაც.

ქალის საოჯახო მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია ნაშრომებში, რომლებიც ეხებიან საქორწინო წესრიგულებებს საქართველოში, კერძოდ, მზია ბექაიას „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“³, ლია მელიქიშვილის „ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია“¹⁹, ნუნუ მაჩაბელის „ქორწინების ინსტიტუტი ქართლში“¹⁸, გოგი გოცირიძის „ქორწინება ფერე-იღნელ ქართველებში“⁶, ნუგზარ ანთელავას „ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში“¹, ბიძინა ნანობაშვილის „საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში“²⁰, თინა იველაშვილის „საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში“⁸. აღნიშნულ ნაშრომებში მოცემულია ცნობები ქალის მდგომარეობის შესახებ ქორწილამდე, ქორწილში და ქორწილის შემდეგ, ასევე ქალის ქონებრივი მდგომარეობა და უფლება-მოვალეობანი.

საინტერესო მასალებია მოცემული ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ ფაფალა გარდაფხაძე-ქექიძის ნაშრომში „ქართული ხალხური დღეობები“,⁴ საყურადღებოა, რომ ნაშრომში აღწერილი რიტუალების უმრავლესობა ეთნოგრაფიულ ღიტერატურაში უცნობია და, ამასთან, რაც ჩვენთვის საინტერესოა, მათში კარგად ჩანს ქალის როლი. მაგ. ასეთი რიტუალებია: „მეისარობა“, „კაი პარასკევი“, „ბოსლობა“, „დაურწყება“, „ყველიერი სამშაბათი“ და სხვ.



ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ კულტურული რადგებო ნაშრომს წარმოადგენს ოთხიაურის „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“.²¹ ნაშრომი ეყრდნობა ხევსურეთსა და ქართლში მოპოვებულ მასალებს და სხვა საკითხებთან ერთად განხილულია ქადაგი ქალების უფლება-მოვალეობანი.

ამრიგად, ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ განხილული არასრული, მაგრამ ძირითადი ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი:

1. ქართველი ქალი დახასიათებულია, როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად, თუმცა მისი უარყოფითი შემფასებლები გაკრიტიკებულნი არიან საფუძვლიანად.

2. ქართველი ქალის ძირითადი მოვალეობა იყო საოჯახო საქმიანობა, ბავშვების აღზრდა.

3. ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი ქართველი ქალი, მიუხედავად თავისი საოჯახო საქმიანობისა, აქტიურად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც (ცნობილია ქალი მეფე, დიპლომატი, დამპყრობელთა, შინაური მტრებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი), იცოდა წერა-კითხვა, ასწავლიდა სხვებს და ქმნიდა ნაშრომებს.

4. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები უკრძალავდნენ ქალებს ჯვარ-ხატებთან და სალოცავებთან მიახლოებას, ქალებს თავიანთი სალოცავები ჰქონდათ, როგორც საოჯახო, ასევე საზოგადო, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქალი იყო ქადაგი, ანუ პიროვნება, რომელიც მოციქულობდა ხალხსა და ღვთაებას შორის, ლაპარაკობდა ღვთაების პირით და აუწყებდა ხალხს მის ნება-სურვილს.

5. საქართველოში ქრისტიანობა პირველად ქალმა მიიღო და ქალისავე საშუალებით გავრცელდა.

ლიტერატურა:

1. ნუგზარ ანთელავა, ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, 1989. ხელნაწერი.
2. დიმიტრი ბაქრაძე, ქართველი ქალები (ისტორიული მიმოხილვა), ტფილისი, 1891.
3. მზია ბექაძა, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭ-არაში, ბათუმი, 1974.
4. ფაფუალა გარდაფხაძე-ქიქოძე, ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1995.
5. სერგი გერსამია, ქართველი ქალი ძველათ და ახლა, ბორჯომი, 1923.
6. გოგი გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ., 1987.
7. შალვა დადიანი, ქრთველი ქალები ისტორიული წყაროებისა და „ვეფუხიტყაოსნის“ მიხედვით, კრებული, პეტროვრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა, ტფილისი, 1915.
8. თინა იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებები სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1987.
9. ვალერიან ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.
10. ვალერიან ითონიშვილი, მოზევების საოჯახო ყოფა, თბ., 1970.
11. სერგი მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930.
12. სერგი მაკალათია, თუშეთი, ტფ., 1933.
13. სერგი მაკალათია, ხევი, ტფ., 1934.
14. სერგი მაკალათია, ფშავი, ტფ., 1934.
15. სერგი მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984.
16. სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938
17. სერგი მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987.



18. ნუნუ მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი, 1978.
19. ლია მელიქიშვილი, ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია, თბილისი, 1986.
20. ბიძინა ნანობაშვილი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი, 1988.
21. თინა ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954.
22. თედო სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1965.
23. დავით ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, თბ., 1965.
24. დავით ქორიძე, თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები, თბ., 1665.
25. დავით ქორიძე, ქართველი ქალები, თბ., 1976.
26. გულნარა ცეცხლაძე, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991.
27. გულნარა ცეცხლაძე, ქალის საოჯახო მდგომარეობა გურიაში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, თბ., 1985.
28. სიმონ ჭანტურიშვილი, ყოფა და გულტურა V-X საუკუნეების საქართველოში, თბ., 1984.

სამხედრო საქმის ისტორიიდან სვანეთში

ქართველთა სამხედრო ორგანიზაციის ისტორიას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულითაა შესწავლილი ეს მრავალმხრივ საინტერესო საკითხი. აღსანიშნავია, რომ ჯერ-ჯერობით კვლევაში ჩართული არ არის სვანური მონაცემები. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში სვანეთი ან საერთოდ არ ფიგურირებს, ან ყოველგვარი სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე მიმდევლია აღმოსავლეთ საქართველოს მთის სამხედრო ორგანიზაციებთან და აქედან გამომდინარე, მისი ხასიათი, ისიც მწირ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, განსაზღვრულია მხოლოდ ორგორც მელაშქრეობა-მექობრეობა.

არადა, იმ მცირე წერილობითი წყაროების მონაცემთა საფუძვლიან შეჯერებას, ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ფოლკლორულ თუ არქიტექტურულ მონაცემებთან, რომელებიც სვანეთის შესახებ არსებობს, შესაძლებელია სრული და განსხვავებული სურათი შეექმნა სვანეთის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ სვანეთს გააჩნდა ჩამოყალიბებული საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც იცავდა ორგორც ცალკეული თემების, ისე მთლიანობაში ხევის უსაფრთხოებას. მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი საბრძოლო-თავდაცვითი იარაღები, რომელთა უმეტესობა მეცნიერთა თვალსაზრისით ადგილზე-ვე მზადდებოდა (1, 200-223; 13). სამხედრო ორგანიზაცია მოიცავდა კოორდინირებულ მოქმედებას "ერთობილი სვანეთის" ინტერესებიდან გამომდინარე და "ერთობილი საქართველოს" ლაშქარში ბრძოლას.

ქართული სამხედრო ორგანიზაციის ცნობილი მკვლევარი ქ. ჩხარტიშვილი ვ. ბარდაველიძის სტატიაში მოცემულ მოსაზრებას სვანეთის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ უყოფმანოდ იზიარებს და თვლის, რომ სვანეთის ლაშქრის ორგანიზაცია თეორიულ პრინციპებს ემყარებოდა; მოლაშქრუ-მექობრეთა მფარველი



წმ. ბარბალე იყო, ხოლო ლაშქრობის გამრიგე-გამგებელნი მცირებული თის ამ სალოცავის მსახურნი იყვნენ (14, 28). თავისთავად ეს მოსაზრება, შესაძლებელია სინამდვილეს შეესაბამებოდეს, თუმცა ისე აღრინდელს, რომ მისი ბუნდოვანი ანარეკლილაა დარჩენილი კრთადერთ ლექსში და მისი განზოგადება მთელი სვანეთის მასშტაბით გაუმართლებელია. ამ დასკვნამდე ცოტათი ზემოთ იგი წერს: "სვანი მოლაშქრები მასობრივად იბრძოდნენ შეა საუკუნეების საქართველოს ლაშქარში და დიდ როლს ასრულებდნენ საგარეო მტრისაგან ქვეყნის დაცვაში. სწორედ სამხედრო სამსახურის ნადაგზე უნდა აიხსნას სვანეთის თემთა ზედაფენების წარმომადგენულთა ხშირი სოციალური დაწინაურება ბარის მხარეებში, როგორც მეფის მსახურეული პირებისა (ერისთავი, ტაძრეული...)" - (14; 27) აქ საინტერესოა მეორე შხარე, რომელიც მეცნიერის მსჯელობაში იკვეთება: მის თანახმად არსებობენ სვანეთის თემთა ზედაფენები, რომელთა წარმომადგენლების დაწინაურება ხშირია როგორც ერისმთავრებისა და ტაძრეულებისა და მეორე: ამ დაწინაურების საფუძველი სამხედრო სამსახურია. წერილობით წყაროებსა და მრავალ მეცნიერთა გამოკვლევებზე დაყრდნობით მკლევარი იმავე ნაშრომში ხაზგასმით მიუთითებს, რომ სამხედრო სამსახური "პატივი, პრივილეგია" იყო და იგი "შხოლოდ ზედაფენების მოვალეობასა და პრივილეგიას" შეადგენდა, რაც ფეოდალური ურთიერთობის უტყუარი ნიშანი იყო..."

ფაქტია, რომ ამ მხრივ შემდგომი კვლევა-ძიების ჩატარებაა საჭირო, რათა შეუქი მოეფინოს სვანეთის სოციალური სტრუქტურის დღემდე შეუსწავლელ საკითხებს.

სვანეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი დაცულობა კავკასიონის მთავარი ქედითა და ლეჩუმის, სამეგრელოს, აკიბოსა და კოდორის ქედებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში იმ ზოგიერთი მიუღებელი მოსაზრების საფუძვლად იქცა, რომლის თანახმადაც სვანეთი კარჩაკეტილ კუთხედ მოიაზრებოდა, რომელსაც არანაირი ხიფათი არ ემუქრებოდა არც მეზობლებისგან და არც შორეული დამცყრობლებისგან. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საფორტიფიკაციო სისტემის რთული ქსელი, რომლითაც მთელი სვანეთია დაფარუ-

ლი, მხოლოდ შინაური შუღლისა და გვაროვნული მტრობის ფაქტი ტორად იქნა აღმუშლი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული დაცულობა საბოლოო ჯამში არასდროს არ უზრუნველყოფდა რომელიმე ქვეყნის თუ კუთხის სრულ უსაფრთხოებას და არ განაპირობებდა მის მთლიან იზოლაციას მეზობელთაგან. როგორც ვახ. ითონიშვილი მიუთითებს: "კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, მართალია, ოდითგანვე წარმოადგნდა ერთგვარ ხალხთაგამყოფ ქედსაც, მაგრამ აღნიშნულ ბუნებრივ ზღუდეს მასზე გამავალი ათეულობით დიდ-პატარა კომუნიკაციით, არასოდეს შეუქმნია გადაუდახვი დაბრკოლება ამიერკავკასიური და იმიერკავკასიური ეთნიკური ჯგუფების ორმხრივი ტრანსმიგრაციისათვის" (3; 123), მითუმეტეს, რომ ქედებზე, რომლებითაც სვანეთია გარშემორტყმული, მხოლოდ უღელტეხილების რაოდენობა 50-ს აღემატება (12; 20), რაც საშუალებას აძლევდა დაინტერესებულ მომხდურს დაელაშეკრა ან დაერჩია სვანეთი. ძირითადად სწორედ ამან განაპირობა (სხვა მიზეზებთან ერთად, რომელთაც ცხადია, ჩვენ არ გამოვრიცხავთ) თავდაცვითი ნაგებობების სიუხვეს საგუშავო და სასიმაგრო კოშკების ქსელის არსებობა; თუმცა ყოველივე ამის მოუხედავად, სვანეთი ვერ ასცდა სხვადასხვა ჯურის მომხდურების თარეშსა და რბევას. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, სვანეთი თავის დროზე ისეთი დიდი ქვეყნების ცილაობის ობიექტი იყო, როგორებიც იყვნენ ირანი და ბიზანტია. წერილობით წყაროებთან ერთად ხალხურ გადმოცემებში უხვადაა შემონახული ინფორმაცია თათრების, კეისრის თარეშის შესახებ, რომელთა ინსცენირებას რიტუალების სახით დღესაც შეხვდებით ყოფაში. აღბათ ბევრისთვის უცნობია, რომ სვანეთში "ლეკიანობის", "ოსიანობის", "რუსიანობის" იდენტური ცნება "თათრიანობა" "თათრალობ, თათრობ" არსებობს, რომელიც არ შეიძლებოდა გაჩერილიყო დამპყრობელთა არსებობისა და მათ მიერ წარმოებული ბრძოლების გარეშე.

ამ კუთხით არანაკლებ საინტერესოა სვანებისა და მათი მეზობელი ჩრდილოგავკასიელების ურთიერთობა, რომელიც ზან კეთილგანწყობით გამოირჩეოდა, ზან კიდევ ერთმანეთის რბევითა და აკლებით. ამ მხრივაც მრავალ ინფორმაციას ინახავენ სვანური



ფოლკლორის ნიმუშები თუ გადმოცემები, სადაც მოთხოვთ მომზადების თუ ხშირად რა მძიმე შედეგებით მთავრდებოდა ჩრდილოკავკასიელ ტომთა შემოსევები. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ხშირად ხდებოდა არა მარტო ექლესიების რბევა, საქონლისა და ქონების წართმევა-მოპარვა, არამედ ხალხის მოტაცება, ტყველ წაყვანა და გაყიდვა. ყოფილა ჰერიოდი, როდესაც ბავშვებს აკვნებიდან იპარავ-დნენ, გზად მიმავალს იჭერდნენ და ყიდიდნენ. "სვანეთი აყრისთვის მიგიყენებია, შენ ეს ნუმც შეგრჩენია..." ასე იწყება ერთი სვანური ლექსი. თუმცა, სამხედრო საქმის კარგად ცოდნისა და მეორული ბუნების წყალობით, სვანებმა შეძლეს თავიანთი კუთხის დაცვა-შენარჩუნება და ამით დაიცვეს საქართველოს საზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები მონაკვეთი კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ალბათ ძნელი დასანახი არ უნდა იყოს ის როლი, მითუმეტეს დღევანდელი მოვლენების ფონზე, რომელიც სვანეთმა, როგორც მესაზღვრე კუთხემ, შეასრულა საქართველოს წინაშე.

სამხედრო ორგანიზაციის სოციალურ მხარეზე არანაკლებ ინტერესს იმსახურებს ის საბრძოლო-თავდაცვითი იარაღი, რომელიც საკმაო მრავალფეროვნებითა წარმოდგენილი სვანეთში. ცხადია, ისინი ისეთივე სახეობისანი იქნებოდნენ, როგორც საერთოდ საქართველოში იყო გავრცელებული, მაგრამ მათი შესწავლა მრავალ სხვა ასევექტოან ერთად მნიშვნელოვნად გვხვდებოდა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ იარაღთან დაკავშირებული სვანურენოვანი ტერმინოლოგია გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ძველი ქართული ტერმინების აღდგენა-შესწავლასაც, რომელთა დიდი ნაწილი უცხო ენებიდან შემოსული იიტყვებითა განდევნილი.

ამჯერად განვიხილავთ სვანეთში გავრცელებული ძველი იარაღების რამდენიმე ნიმუშს. მათი კლასიფიკაცია და ძირული შესწავლა კი მომავალი კვლევა-ძიების ამოცანას შეადგენს.

მშვიდლ-ისარი, რომელიც "უძველესი დროის ქვეყნებში მოპოვებოდა" (15; 244) თოფისა და ტყვია-წამლის გაჩნამდე, სხვადასხვა საჭრელ-საკეთელ იარაღებთან ერთად, ერთ-ერთი ძირითად ატრიბუტი იყო სვანი მეორის შეიარაღებისა. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, მას საქართველოში XVII ს-მდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა (15; 246). ასევე იყო სვანეთშიც, სვანე-

ბის მიერ მშვილდ-ისრის კარგად ხმარების შესახებ ცნობას წარ-
ლევა სტრაბონი: "სვანები ისრის წვერებისათვის წამალს ხმარობენ და საოცრად იტანჯებიან მისი სუნისა გამო მოუწამლავი ისრებით
დაჭრილებიც კი" (9:82). რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას, სვა-
ნეთის ტერიტორიაზე მოპოვებულია შუაბრინჯაოს ხანიდან მოყო-
ლებული ისრისპირების, შუბისპირებისა და ცულების დიდი რაო-
დენობა (11), რაც იმაზე მეტყველებს, რომ სვანები უძველესი დრო-
იდანვე იყენებდნენ ამ იარაღებს.

მშვილდ-ისრით წარმოებული ბრძოლებისა და შეტაკებების
ამსახველ ეპიზოდებს უხვად შეიცავენ სვანური ფოლკლორის ნი-
მუშები და პროზაული ტექსტები. ერთ-ერთი მთხოვნებელის თქმით
"ერთხელ თურმე თათრები მოადგნენ სვანეთს, მათ სვანეთის აღება
სდომებიათ, მაშინ ომი მშვილდ-ისრებით ყოფილა და ორივე მხა-
რეს მშვილდ-ისარი ჰქონია" (5; 89). ერთ-ერთ სვანურ ლექსში აღ-
წერილია, როგორ მოადგა სვანეთს თათრის ლაშქარი (აღსანიშნა-
ვია, რომ არ არის დადგნილი, თუ კონკრეტულად ვინ იგულისხმე-
ბა სვანების მიერ სიტყვა "თათრის" ქვეშ. ზოგადად ისინი თათარში
გულისხმობენ მუსლიმანური რწმენის ხალხს, თუმცა აქვე უნდა
მიეთითოს ისიც, რომ მასში არ იგულისხმებიან ჩრდილოკავკასიუ-
ლები. მათ სვანები კონკრეტული ტომობრივი სახელებით მოიხსე-
ნიებენ) სოფ. მუქალის მხრიდან. ერთმა მონადირემ შემთხვევით
ნახა ისინი და სოფელს შეატყობინა. შეიყარა მთელი თემი მულახ-
მუქალისა და შეხვდა მომხდურებს გვარისთან (ტოპონიმია). სანამ
ბრძოლას დაიწყებდნენ, გამოიკითხეს მეთაურები. თათრების
მეთაურს თუმჯაყიანი რქმევია, სვანებისას - ტოტა. მათ დათქვეს,
რომ პირველად ერთმანეთს თვითონ შეებმებოდნენ: სამჯერ უნდა
ესროლათ მშვილდ-ისარი ერთმანეთისთვის და ისე აეცილებინათ,
რომ ფეხი ადგილიდან არ დაეძრათ. თათრების წინამდღოლმა
პირველი სროლის უფლება მოითხოვა: "თათარი შორიდან
მოვდივარო". სამჯერ ესროლა ისარი ტოტას, რომელმაც სამივე-
ჯერ აიცილა. შემდეგ ესროლა ტოტამ და მოკლა თუმჯაყიანი. უმ-
ჯერ დარჩენილები მთათა ვიწროებში მოიმწყვდიეს, უკან
წასასვლელი გზები მოუჭრეს და ამოწყვიტეს" (6; 52-56).

ამ ნაწყვეტში აღწერილი მეთაურების შერკინების დაწესებულების ბრძოლის წინ, როგორც ჩანს ძველია და საერთოკავკასიური, როგორც ვიცით, ქართულ წყაროებში არაერთი ასეთი შებრძოლების შესახებაა მოთხრობილი.

უადგილო არ იქნება აქვე აღინიშნოს იმ რაინდული ქცევის შესახებაც, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო კავკასიური მენტალიტეტისთვის და რომლის ერთი მცირე მაგალითი ამ ლექსშიც მოიპოვება - რახან თათარი შორიდან მოდის და გრძელი გზა აქვს გამოვლილი პირველი სროლის უფლებით სარგებლობს, დამხვდურისაგან რაინდული დამოკიდებულებაა გამოხატული - ტოტა უყოყმანოდ უთმობს პირველი სროლის უფლებას და დგება მის წინაშე. რომ არა მისი მოხერხება, იგი სასიკვდილოდაა განწირული.

მშვილდ-ისრის სვანური სახელწოდებაა ცხუი ი კემბდ (ცხუი - ისარი, ცხემბდ - მშვილდი), რომელიც შემდგომ, დროთა განმავლობაში ერთ სიტყვად - "ცხემბდ"-ად ჩანს ფორმირებული. აღნიშნული ტერმინი სვანური ენის ოთხივე დიალექტში გვხვდება. არსებობს აგრეთვე მეორე სახელწოდება "ცხულა-კემბდ"-ი, რაც ჩვენი ფიქრით, რის საფუძველსაც ეთნოგრაფიული მასალა გვაძლევს, მათი სხვადასხვა დანიშნულებიდან მომდინარეობს.

"ცხუი ი კემბდ" ანუ "ცხემბდ" იყო ჩვეულებრივი მშვილდისარი, ხოლო "ცხულა-კემბდ" კი ცეცხლის წასაკიდებელი. შინაარსი თვითონ ტერმინებშიც არის ჩადებული. "ცხვი" ისარს ნიშნავს, მას აქვს აგრეთვე მეორე მნიშვნელობაც "ნესტარი ფუტკრასა", ხოლო "ცხულა" უნდა უკავშირდებოდეს "ლი-ცხულებს", რაც გადაწვას, შეტრუსვას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, "ცხულა-კემბდ" გადასაწველ, ცეცხლის წასაკიდებელ მშვილდ-ისარს უნდა გულისხმობდეს.

ცხკემბდ-ი "ზოგი კარგი თეორი ძვლისგან კეთდებოდა, ზოგი ვერცხლით იყო მოჭედილი. ისრებს გრძელი რკინები ჰქონდათ, ბოლოში შუბივით წაწვეტებული. ძველად საომრად რკინის ისრები ჰქონიათ ქველას" (8; 158-159).

ამავე ტექსტების მიხედვით "სხვანაირს აკეთებდნენ კიდევ რომელსაც ცხულა-კემადი ჰქვია, ამას თითის გამოსაკრავი აქვს

რქისგან გაკეთებული... ზოგს დღესაც აქვს ძველი ცხულა-კემაფილობის კადრებისაგან ძლიერ გაჭვარტლული". (8; 159)

"კემლისაგან ძლიერ გაჭვარტლული" ადასტურებს იმას, რომ ცხულა-კემადი ცეცხლის წასაკიდებელი მშვილდისარი უნდა ყოფილიყო. ასეთივე ინფორმაციას იძლევა ერთ-ერთი მთხოვნელი, რომელიც ზღაპრის მოყოლის დროს შენიშნავს "ამას ისეთი ცხულა-ცხემადი ჰქონდა, ისეთი რომ ყველაფერს ხვრეტდა და ცეცხლს უკიდებდა." (4)

ამრიგად, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით, სვანური მშვილდისარი შესაძლებელია ორნაირი ყოფილიყო და ეს სხვაობა სახელწოდებებშიც არის მოცემული: ცხული ი კემად - ისარი და მშვილდი, ჩვეულებრივი საომარი და ცხულა-კემად - ცეცხლის წასაკიდებელი მშვილდისარი.

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, სვანები კედლებისა და კარების შესამტკრევად ხმარობდნენ მოწყობილობებს, რომელთაც "ჯორავ" და "კიბერ" ეწოდებათ.

"ჯორავ" ბზ; ლნტ, "ჯორა" ბქ., "ჯორავ" ლშხ. - მოზრდილი მორი, რომელსაც ათი-თხუთმეტი ვაჟკაცი ხელებით მაღლა სწევს და გამოქანებით ურტყამს სახლის კარებს ან ჭიშკარს შესამტკრევად". (2; 888)

"ჯორავ"-ის გამოყენება სიმბოლურად დაფიქსირებულია ერთ-ერთი რიტუალის "უღულაშობის" დროს, რომელიც თებერვალში ტარდება ბალსქვემო სვანეთში, კონკრეტულად ჭუბერისა და ჩუბერევში. დღესასწაულის მეორე დღეს ახალგაზრდა კაცები შეიკრიბებიან და ჩამოივლიან სოფელს. ყველა მოსახლე ამ დროისათვის კარ-ფანჯრებს ეკტავს, ხოლო ახალგაზრდები ძალით ცდილობენ შიგნით შეღწევას. თუ კარებს ვერაფრით ვერ შეაღებენ, აიღებენ "ჯორავს" და ურტყამენ კარებს. საინტერესოა, რომ ამ დროს სახლებში მხოლოდ ქალები და მოზარდები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც წყლითა და სხვა საშუალებებით ცდილობენ მათ მოგერიებას. (7; 232) შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამ რიტუალის საფუძველი, ისევე როგორც მრავალი სხვა ამგვარი სვანური რიტუალებისა, ძველი ყოფითი რეალიები იყოს.



ამ ტიპის სამტვრევ საშუალებებს განეკუთვნება აუტომატური "კიპბერ"-ი. "კიპბერი დიდი ხის მორი ყოფილა. ეს მორი საშ აღვალას ყოფილა გახვრეტილი, სადაც გაყრილი პქონია ხელის მოსაკიდებლად ხის კუტები. ამ კუტებს ორ-ორი კაცი კიდებდა ხელს და ამტვრევდნენ კარი იქნებოდა თუ კედელი". (8; 14) როგორც ენათ-მეცნიერები თვლიან, ამ სიტყვას შემდეგ ძალის მნიშვნელობაც მიუღია. (2; 347)

საინტერესოა, რომ სიტყვა "კიპბერი" ოდნავ სახეცვლილი გვხვდება ლეჩხუმურ დიალექტშიც, სადაც ის ასევე ხის მორს აღნიშნავს "კაკიბერა სამზარეულო სახლში შუაცეცხლის პირდაპირ ზევით გადებული ხე, რომელზედაც საქაბე ჰქიდია." შესაძლებელია, რომ "კიპბერ" ლეჩხუმშიც თავდვპირველად ისეთი დანიშნულებისა იყო, როგორც სვანეთში და ეს სიტყვაც ძველი ქართულის იმ ტერმინებსა და იარაღებს მიეკუთვნებოდეს, რომლებიც საერთო იყო ქართული სამყაროსათვის, ან იგი სვანურიდან არის. შესული ლეჩხუმურ მეტყველებაში. (10; 147)

ამგვარად, განხილული წერილობითი წყაროების, სპეციალური გამოკვლეულების მონაცემების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლინგვისტური მასალების მიხედვით გამოჩნდა, რომ სვანეთში, ისევე როგორც საქართველოში საერთოდ, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა და განვითარდა მრავალმხრივ საყურადღებო საბრძოლო ტრადიციები. საკუთრივ სვანეთისათვის დამახასიათებელი ამ ტრადიციების საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ახალკაცი ნ., სამჭედლოები და მათი მოწყობილობა სვანეთში, ქრ. "ეთნოლოგიური ძიებანი", N-I, თბ., 2000.
2. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
3. იორნიშვილი ვახ., ნარგვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002.

4. იოსელიანი რ., საველე-ეთნოგრაფიული დღიურები (ხელნაწერი), 2002.
5. სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978.
6. სვანური პოეზია, თბ., 1939.
7. სვანური პროზაული ტექსტები, ბალსქვემოური კილო, II , თბ., 1975.
8. სვანური პროზაული ტექსტები, ლაშხური კილო, თბ., 1979.
9. სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი, IX , ეთნოლოგიის ქრესტომათია, თბ., 1997.
10. ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბ., 1938.
11. ჩართოლანი შ., სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977.
12. ჩართოლანი შ., ძველი სვანეთი, თბ., 1996.
13. ჩართოლანი შ., მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976.
14. ჩხარტიშვილი ქ., ნარკვევები სამხეორო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979.
15. ჯავახიშვილი ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962.

საპრეზიდო-თავმჯდომარი იარაღის ამსახველი
ტერმინით სვანურ ენაში

იარაღის ქართული ტერმინოლოგია საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, რასაც სხვადასხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებდა იმ ერებთან ხანგრძლივი ურთიერთობაც, რომელთანაც ქართველებს ომების წარმოება უხდებოდათ. ქართული სამხედრო ტერმინოლოგია ხშირად იცვლებოდა უცხოენოვანი სიტყვებით, რომელ ბიც საბოლოოდ დამკვიდრნენ ქართულ ენასა და მის დიალექტებში.

საბრძოლო-თავდაცვითი იარაღის აღმნიშვნელი უქველესი ქართული ტერმინები საჭურველი და ჭური დროთა განმავლობაში განდევნილი იქნა ხმარებიდან და მას ჩაენაცვლა აბჯარი, რომელ საც. ჯავახიშვილი უცხოენოვან ტერმინად მიიჩნევდა და წერდა, რომ "მისი ძირი და ეტიმოლოგია არსად ჩანს და სადაურობა გამო-სარკვევია" (13, გვ. 206). რაც შეეხება პერიოდს, თუ როდის მოხდა "აბჯრის" დამკვიდრება ქართულ ენაში, ივ. ჯავახიშვილის თანახ-მად "IX-X საუკუნეების ძეგლებში აბჯარიც და საჭურველიც გვხვდება, XII საუკუნეში უკვე აბჯარი იმარჯვებს, ხოლო საჭურ-ველი თანდათან ქრება და მწიგნობრულ სიტყვად ხდება" (13, გვ. 206-207).

მ. ანდრონიკაშვილის გამოკვლევის თანახმად "ქართული აბ-ჯარისათვის ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ არიშ. ფალ apacar, რაც "თარაღს ინსტრუმენტს, მოწყობილობას" ნიშნავს. მას აკრეთვე მიაჩნია, რომ თუმცა პირველად "მოქცევად ქართლისაძში" გვხვდება, აბჯარი უფრო ადრე, არშაკილული პერიოდის ბოლოს უნდა იყოს შემოსული ქართულ ენაში (2, გვ. 216-217).

ტერმინი აბჯარი საბა ორბელიანთან ასევა განმარტებული:
"აბჯარი-ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფ-
როსად საცვამთა ჯაჭვთა" (5, გვ. 38); "აბჯარი - საჭურველი, იარა-
ღია" (1, გვ. 51); "აბჯარი-ძველი სამხედრო საჭურველი, იარაღი" (9,



გვ. 86). როგორც ვხედავთ, ყველა ძირითად ლექსიკონში აბჯარის გროვის ერთნაირი განმარტება აქვს, იგი ზოგადი სახელია საბრძოლო-თავ-დაცვითი იარაღისა, როგორც ჯაჭვ-ჯავშანის, ისე საჭრელ-საკვე-თულის. ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც ამ კუთხით საფუძვლიანად გამოიკვლია ქართული წერილობითი ძეგლები, იმ დასკვნამდე მიღის, რომ აბჯარი ზოგადი ცნების გამომხატველი ცნება იყო, ხმალიც აბჯარდ ყოფილა მიჩნეული და ეს სიტყვა XVIII საუკუნეში იქნა დაცული, რის შემდეგაც იგი ადგილს უთმობს თურქულ ტერმინს "იარაღი", რომელიც XV საუკუნიდანაა ცნობილი და XVIII საუკუნიდან უკვე საბოლოოდ მკვიდრდება (13, გვ. 207-214).

ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად სვანური ენის მონაცემები შეაღენს, იყო თუ არა "აბჯარი" სვანურში დამკვიდრებული და კონკრეტულად რა მნიშვნელობას ატარებდა იგი. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავენ როგორც სვანეთის წერილობითი ძეგლები, ისე ხალხური პოეზიის ნიმუშები.

სვანეთის წერილობით ძეგლებში ტერმინი "აბჯარი" არაერთ-ხელ იხსენიება. იგი გვხვდება ხალხურ პოეზიაშიც, თუმცა აქ მის პარალელურად სხვა ტერმინიც გამოიყენება, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

სვანეთის წერილობითი ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური მონაცემი X-XVIII საუკუნეებს მოიცავს, ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდიან სამხედრო საქმის შესახებ სვანეთში. XIV ს-ის II-ნახევრით დათარილებულ საბუთში "დაწერილი ქვეყნის სამაგრობელი სრულიად სვანეთის კევისა", რომელშიც საუბარია "უშგული-დან ლალვერს შორის", ანუ სრულიად სვანეთის ერთობასა და ურთიერთობადგომაზე, წერია: "რაი ლომი და მოლაშქრე მოვიდეს, რომელიცა კევი ანუ სოფელი არ მოჰყვეს მისითა აბჯრითა, იმა კევსა და სოფელსა მიუკდეთ ჩვენ ერთობილი კევი" (7, გვ. 108). ამ ამონაწერში, ცხადია, იგულისხმება მოლაშქრე სრული შეიარაღებით და არა მხოლოდ ჯაჭვ-ჯავშით, ანუ სწორედ იმავე მნიშვნელობით, როგორც ივ. ჯავახიშვილი განიხილავს, "აბჯრის" შინაარსს. მეორე საბუთში კი, "წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიურ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე", რომელიც 1503 წელს არ-



ის დაწერილი, აბჯარი ორჯერ არის ნაბსენები, პირველადულის მიზანი კონტექსტში: "თუითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის საჟსრად გამოვიდეთ" (7, გვ. 113). აქ ძნელია გარკვევა, "კარგ აბჯარში" ჯაჭვ-პერანგი იგულისხმება, თუ საჭრელ-საკვეთელი იარაღი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს "კარგი აბჯარი" თავის გამოსახ-სნელად კახეთიდან დაბრუნებულმა ასმა სვანმა გაიღო, რომელნიც გლოლასა და ჭიორას შორის დაუტყვევებით, შეიძლება ვიგულის-ხმოთ, რომ მხოლოდ იარაღზეა საუბარი და არა ჯაჭვ-პერანგზე, რადგანაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ კახეთში სამუშაოდ წასული სვანები ჯაჭვის პერანგებში ყოფილიყვნენ გამოწყობილი, თუმცა ბოლომდე გამორიცხულიც აღბათ არ არის, იმ პერიოდში სვანეთის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე. რაც შეეხება ამავე საბუთში მეორე ადგილას ნახსენებ აბჯარს, აქ უკვე ცხადია, რომ ჯაჭვ-ჯავშანი იგულისხმება: "...ამ მამულის გარეთ სამასი სამანქანური და ზედალური აბჯარი გადავიცადეთო" (7, გვ. 115), რაშიც "სამანქანურისა და ზედალურის" მნიშვნელობის გარკვევა დაგვარწმუნებს.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არის ასეთი განმარტება: "ჯავშანი არის აბჯარი რკინისა, ტანსაცვამი ჯაჭვი, ხოლო ამ ჯავშანთა გვარნი არიან ხუთ: სამანქანი, ზეიდალი, ხოსროანი, ქირიფეა და ჯაბალა. სამანქანი არ ჯაჭვის თვალი მგრგვალი, სამ ფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, რბილი, გარდაგრეხით ძნიად გასატეხელი. ზეიდალი არ მსგავსი სამანქანისა, თვითო რიგი მთელი, უფარეშო, თვითო თვალი ფარეშოსანი" (6, გვ. 450).

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, სამანქანური და ზედალური აბჯრის - კონკრეტულად ტანზე ჩასაცმელი ჯაჭვის პერანგის სახეობებს ნიშნავს. ეს სახეობა ხუთი ყოფილა. სვანურ საბუთში მოხსენიებული სამანქანური და ზედალური, აბჯრის ორ სახეობას გამოხატავს. სამანქანური, ჩვენთვის გასაგებად რომ განვმარტოთ ისევ საბას ლექსიკონი უნდა დავიმოწმოთ: იგი "ჯაჭვის მრგვალი თვლებით სამ ფარეშოსან, ანუ სამ რკინის ჭანჭიკიან (ფარეში-რკინის ჭანჭიკი) (6, გვ. 183)", ნიკარტიან, ანუ როგორც ჩანს წვეტიან (ნიკარტი-ფარეშინველის ტუჩი (5, გვ. 593)), ნაქსოვ ჯაჭვის პერანგს ნიშნავს, რომელიც რბილი და გარდაგრეხით ძნიად გასატე-

ხელი ყოფილა. ხოლო ზეიდალი, რომელიც სვანურ საბუთებიში იყო, როგორც "ზედალური", ისე წერია, სამანქანურის მსგავსი ჯაჭვის პერანგი ყოფილა, რომელსაც თვითო რიგი მთელი და უფარეშო მიჰყებოდა, თვითო თვალი კი რკინის ფარეშოსანი.

ამრიგად, სვანურ საბუთში "სამასი სამანქანური და ზედალური აბჯარი" გადავიხადეთო, საუბარია კონკრეტულად ჯაჭვის პერანგიზე, რომლებიც სვანებმა რაჭის ჯაფარიძების სისხლის სანაცვლოდ გაიღეს, რომელთაც იმერეთის მეფე ალექსანდრე II- (1484-1510 წ.წ.) მფარველობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ სამასი ჯაჭვის პერანგის გადახდა სვანების მიერ (მამულებთან, ეკლესია-ციხეებთან, სოფლებთან, ცხენ-ჯორებთან და მრავალ ძვირფას ნივთთან ერთად, რომელთა გრძელი ჩამონათვალიც ამ საბუთშია მოცემული), იმის დასკვნის საშუალებას გვაძლევეს, რომ სვანეთში საბრძოლო-თავდაცვითი იარაღების კულტურა მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული. აქ ჯაჭვის პერანგები მათი სახეობების მიხედვით არის ჩამოთვლილი, რაც, აღბათ, იმას ნიშნავს, რომ სვანეთში ადგილზევე იკოდნენ ამ ჯაჭვის პერანგების დამზადება. გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი ამონაწერი მეორე საბუთიდან, სადაც ყოველი სოფელი ვალდებულია გამოიყვანოს მოლაშქრე თავისი აბჯრით ხევის საერთო ინტერესების დასაცავად, რაც ისევ იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული ნაწილი სვანი მოლაშქრეებისა, შეიარაღების სრულ კომპლექტს ფლობდა, რახან ხევი მას ასეთ პირობებს უყენებდა.

რაც შეეხება სვანური ფოლკლორის მონაცემებს, აქ აბჯარი ძირითადად ჯაჭვის პერანგის მნიშვნელობით გამოიყენება, რადგანაც თითქმის ყველგან აბჯრის ჩატაზეა საუბარი:

"ტანის ლაშქურებნე აბჯარის,
თხუმას ესუგემნე ზურჩიას
მეკრალს ლაშუდესგი ხეშნავრის,
თვეფს ი დაშნავს სგა ლაშუბემნე".

"ტანზე ჩავიცვამ აბჯარს,
თავზე დავიხურავ ზუჩის,

მკლავებზე მოვიცვამ ბეგთარს
 თოფს და ხმალს დავიკიდებ" (8, გვ. 136)

"ტანას ხექტრი დი ჰაბჯარი",

"ტანზე ეცმევა აბჯარი" (8, გვ. 160);
 "ტანას ჰაბჯარუ ჭურ ხოქტა...
 თხუმას ზურჩი უიუ ესუეგნა...
 მიჩა ფანგურ ფოფას ხობა..."

"ტანს აბჯარი თურმე ჩაუცვამს,
 თავზე ზურჩი დაუხურავს,
 თავისი ფრანგული წელზე დაუკიდია" (8, გვ. 162).

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, თუმცა ისედაც ნათელია, რომ აბჯარი აქ ყოველთვის ტანზე ჩასაცმელს გულისხმობს. ცალკეა გამოყოფილი არა მარტო ხმალი და თოფი, არამედ ზურჩი და მკლავებზე დასაფენი "ჰემნავირი", რომელიც ბეგ-თრად არის სვანურ პოეზიაში თარგმნილი (8). ხალხურ მეტყველებაში აბჯარი მთლიან შეიარაღებას რომ გულისხმობდეს, ერთხელ მაინც იქნებოდა პოეზიის ნიმუშებში ამ მნიშვნელობით ნახსენები.

ამრიგად, მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ სვანურ ენაში "აბჯარი" უფრო მკვეთრად ჯაჭვ-ჯავშანს ნიშნავს, თუმცა ზოგჯერ (ისიც ქართულ ენაზე შესრულებულ საბუთებში) მოელი საჭურველსაც. ეს მნიშვნელობა სრულიად შეესაბამება სულხან-სახა ორბელიანის განმარტებას, რომ "აბჯარი ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭვთა" (5, გვ. 38). ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ "აბჯარი ზოგადი, შემკრებლობითი მნიშვნელობის მქონებელი ტერმინიც ყოფილა და სპეციალურიც, დარგობრივიც. ს. ორბელიანს აბჯარი თავდასაცავად განკუთხნილი საცმელი საჭურველის საერთო სახელად მიაჩნდა. ცხადია, რომ ამ განმარტებაში აბჯრის მნიშვნელობის საბასდროინდელი გაგება უნდა იყოს აღბეჭდილი" (13,

გვ. 209). როგორც დავინახეთ სვანური მასალები აბჯრის საბაზე-
ულ განმარტებას უჭირს მხარს.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სვანურ ფოლკლორში იარაღის ზოგად, კრებით სახელად დასტურდება ტერმინი "ავეჯი", რომელიც აბჯრის პარალელურად იხმარება და უფრო ფართო მნიშვნელობა გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ ის სიტყვა "იარაღის" შინაარსის მატურებელია. რასაც ქართულ ენაში აბჯარი მოიცავს მთლიანობაში, ის სვანურ მეტყველებაში, როგორც ჩანს, დანაწევრებულია: აბჯარი უფრო ჯაჭვ-ჰერანგს გულისხმობს, ხოლო დანარჩენ საბრძოლო იარაღს ტერმინი ავეჯი გამოხატავს.

ავეჯი არაბული სიტყვაა: "ჰაუპ-იჯუ და ნიშნავს საჭირო საგანს, ნივთს" (11; გვ. 190). იგი შედარებით გვიან შემოსული ჩანს ქართულ ენაში, რადგანაც ძველი ქართული ენის ძეგლებში, მათ შორის ვეფხისტყაოსანშიც, არ გვხვდება. თანამედროვე ქართულში კი მისი მნიშვნელობა ასეთია: "ავეჯი-ბინის მოსაწყობი სკამი, მაგიდა და სხვა; სამკაული, ოთახის მოსაწყობ-მოსართავი ნივთები" (9, გვ. 152). ასევეა იგი განმარტებული საბა ორბელიანის ლექსიკონში: "ავეჯი-ესე არს სახლის იარაღი და ჭურჭელი, რაგინდრა" (5, გვ. 40). ანალოგოური მნიშვნელობა გააჩნია მას ხევსურულ დიალექტში: "ავაჯი, უნჯ-მანჯი=ინვენტარი" (12, გვ. 294); ხოლო სვანურ ენაში ამ ტერმინმა საბრძოლო იარაღის

მნიშვნელობა შეიძინა, რაც უფრო ახლოს დგას ამ სიტყვის არაბულ მნიშვნელობასთანაც, სადაც ის საჭირო საგანსა და ნივთს ნიშნავდა. შესაძლებელია, რომ სწორედ ავეჯის დამკვიდრების შემდეგ მოხდა "აბჯრის" მნიშვნელობის შევიწროება. თუმცა, აბჯარი რომ უფრო კონკრეტულად ჯაჭვ-ჰერანგის გამომხატველი არ ყოფილიყო. ალბათ არ დადგებოდა მასთან ერთად (ან შემდგომ) ახალი ტერმინის დამკვიდრების აუცილებლობაც. პარალელის გავლება შეიძლება ტერმინ "იარაღთან" დაკავშირებით, რომელიც ასევე ფართო მნიშვნელობის სიტყვაა და "თურქულად საშუალებას და

¹ ტერმინ "ავეჯის" არაბულ ენაში მოძიებაში დაგვეხმარა არაბული ენის სპეციალისტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკტორი, ქალბატონი მარიამ ნედოსპოვა, რისთვისაც მას დიდ მაღლობას უქმდით.

ყველა იმას ნიშნავს, რაც რაიმე მიზნისთვის გამოსაყენებელია ¹³ გვ. 213). "იარაღმა", როგორც ვიცით, ვანდევნა "აბჯარი" და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა საბრძოლო ტერმინოლოგიაში. ანალოგიურ პროცესს უნდა ჰქონოდა ადგილი სკანურ ენაშიც, სადაც "ავეჯმა" ასევე შეავიწროვა "აბჯარი" და იარაღის, ზოგადი საბრძოლო საშუალებების მნიშვნელობა შეიძინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სკანურშიც "იარაღია" დამკვიდრებული და სწორედ მის მიერ ჩანს განდევნილი ტერმინი "ავეჯი".

ავეჯის აღნიშნული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითები სკანური ფოლკლორიდან:

"ალ ურწმულუ საუდარისგა
ჰაუჯარ კაჩუშ ჯაძგუბურებ"

"ამ ურწმუნო სავებში
იარაღი ზეზეურად ჩამოგგლიჯეს" (8, გვ. 20).

"რიგს ხაცუდა ტანი ჰაუჯა,
რიგს ხაცუდა ნაბდი ქაფარ".

"ზოგს ეკიდა აბჯარი ("ტანის იარაღი")
ზოგს ეკიდა ნაბდის ტვირთები" (8, გვ. 24).

"ჩი მიშლადელ მურყვამთ ადე
თუეფს ი ჰაუჯს ხაწმენდებუდეს"

"ყოველ კვირადლეს ციხეში ადი
თოვეს და იარაღს გასწმენდდე" (8, გვ. 129).

"აფხნეგ-მარე ქორთადკერნე,
თუეფს ი ჰაუჯს ქა ხაბიშა"

"ამხანაგები შინ შეიყვანა,
თოვე-იარაღი ჩამოურთმევია" (8, გვ. 152).

"სგაუ" ამჩედლი თურქ-პარაჯათე"

"შესულა თოფ-იარაღისთვის" (8, გვ. 282).

"ავეჯი" სვანურ ლექსიკონში ასეა განმარტებული: "პარაჯი" (ზხ.), "აუეჯი" (ლშხ.) - იარაღი (4, გვ. 892). ავეჯის, როგორც აბჯარს ისე თარგმნის კ. დონდუა "აუეჯი-იშ; აუვარ=აბჯარი, იარაღის მოკაზმულობა, აგრეთვე კვეს-აბედი" (3, გვ. 18). "აბჯარად" და "იარაღად" არის თარგმნილი იგი სვანურ პოეზიაშიც, რაც აგრეთვე იმით არის გამოწვეული, რომ მას ისეთივე მნიშვნელობა გააჩნია (ზოგადი, კრებითი), როგორც ქართულად აბჯარს ან იარაღს. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ "აბჯარი", როგორც დავინახეთ, სვანური ენისათვის ცნობილი ტერმინია და რომ არა სხვაობა მათ შინაარსში, მაშინ ყველგან აბჯარი იქნებოდა გამოყენებული ავეჯის ნაცვლადაც.

საინტერესოა ისიც, რომ სიტყვა "ავეჯიდან" ჩანს წარმოებული "ლიპარეჯი" (ლი-პარეჯი), რაც სროლას, იარაღის ხმარებას ნიშნავს: "კუთხუა ისგუ ბარჯს ჯიკიდა, უოდ ჯიბინა ლიპარეჯი", „შენი კუთხა მხარზე გადმოგიღია, სანამ სროლას შეუდგებოდი" ... (8, გვ. 288). არსად მსგავსი შემთხვევა "აბჯართან" დაკავშირებით არ არის დაფიქსირებული.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის დიალექტებში გარდა რაჭულისა, ჩვენ ვერ შევძლით "ავეჯის" მსგავსი მნიშვნელობით დაფიქსირება. რაჭულ დიალექტში სიტყვა "ავეჯის" სვანურთან მიახლოებული მნიშვნელობა გააჩნია, რაც აღბათ, სვანეთისა და რაჭის ისტორიული სიახლოებით, უფრო მეტად კი რაჭაში სვანურ-ენოვანი მოსახლეობის არსებობით უნდა იყოს გამოწვეული. ამითი უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ რაჭაში ავეჯი ტანის მოკაზმულობა-მორითულობას ნიშნავდა (10, გვ. 24).

ამრიგად, როგორც წერილობითი ძევლების, ფოლკლორისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, სვანურ ენაში ზოგადად საჭურველის გამოსახატავად ორი ტერმინი "აბჯარი" და "ავეჯი" გამოიყენებოდა. აქედან პირველი უფრო კონკრეტულად ჯაჭვის პერანგს ნიშნავდა, ხოლო მეორეს უფრო



ფართო მნიშვნელობა გააჩნდა, იყი მეომრის მთლიან აღჭურვილობის გას, უფრო მეტად კი სასროლ-საკვეთელ იარაღს გულისხმობდა.

ჩვენი კვლევის დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ სვანურ ფოლკლორსა და გადმოცემებზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ იარაღის აღმნიშვნელად სვანურ ენას გააჩნდა საკუთარი, სვანურ-ენოვანი ტერმინი, რომელიც უცხოენებიდან შემოსული სიტყვების დამკიდრების შედეგად მიჩქმალული ჩანს. ამ ტერმინად ჩვენ მიკვაჩნია "ნახ", "ნახოლ" (იარაღი), რომელიც ძალიან იმვიათად ფიქ-სირდება და მასთან დაკავშირებულად, ან მისგან წარმოებულად გვეჩვენება "ლეხანზე", უი ლპახანზან", რომელსაც დღეს მხოლოდ მორთულ-მოკაზმულის მნიშვნელობა გააჩნია. შეიარაღებულად არის ეს სიტყვა თარგმნილი სვანურ პოეზიაშიც (8), თუმცა ამ ტერმინების ანალიზი ენაომეცნიერთა კომპეტენციას შეაღენს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
3. დონდუა კ, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2000.
4. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
5. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
6. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
7. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, თბ., 1986.
8. სვანური პოეზია, თბ., 1939.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950.
10. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
11. წერეთელი გ., არაბული ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 2000.
12. ჭინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
13. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III- IV, თბ., 1962.

ხელთუქმნელი ხატი და გასთან დაკავშირებული დღესასწაული საქართველოში

ხელთუქმნელი ხატის მოსვენება საქართველოში ანტონ მარტყოფელის სახელს მიენირება. „მამა ანტონი შუამდინარელი, რომელი იყო მონაფე იოვანესი, იყო ნმიდა ესე განშორებული შორის ფრიად სათნო და ნარჩინებული (6, გვ. 395). ნმინდა მამა ქ. ედისიდან საქართველოში მოსულა 545 წელს (4, გვ. 394). ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლის „შიო და ევაგრეს ცხოვრების“ მიხედვით იოანეს ჟამის წირვის დროს ანგელოზის მიერ საკურთხევლიდან მორთმეულ ქარტაში ერთად იყო მოხსენიებული უფლის მიერ ვამორჩეული ძმების სახელები: შიო, დავით, იოსებ, ანტონ, თეოდოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე. „ხატისა მარტომყოფელისა და ნმიდისა მამისა ანტონ მარტომყოფელის“ სვინაქსარში, რომელიც შექმნილია XVII-XVIII სს. მიჯნაზე, მითითებულია, რომ ანტონს გამოუკითხავს თავისი მოძღვრის იოანესა და მისი მონაფეების გზა „ტრიიალებითა თვესისა“ (6, გვ. 395) და ჩრდილოეთისაკენ მათ ნაკვალევზე ნასულა. ე. გაბიძაშვილის გამოკვლევით, აღნიშნული სვინაქსარული ცხოვრების წყარო უნდა ყოფილიყო არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები (6, გვ. 218-225). აღნიშნულ აგიოგრაფიულ ძეგლებში ყველგან მითითებულია, რომ ანტონმა საქართველოში ჩამოასვენა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ისტორია უკავშირდედა აპოკრიფულ თხზულებას „ეპისტოლე ავგაროზი მეფისა უფლისა ჩუენისა მიმართ იესე ქრისტესა ზედა ნარწერილი“ (5, გვ. 88). ხატის ისტორია მოთხოვნილია ზემოთ მოყვანილ სვინაქსარში „თუესა აგვისტოსა ივ სვინაქსარი ხატისა მარტომყოფელისა და ნმიდისა მამისა ანტონი მარტომყოფელისა“ (6, გვ. 393-398).



უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს პირისახით ტილოზე მოსახული ხელთუქმნელი ხატის ძალით ედესის წარმართი შეფერისა ავგაროზი კეთრისგან განკურნებულა. თადეოზის მიერ მისი სახლეული ამ სასწაულის შემდეგ „ნათელ-იყო“. ავგაროზის მემკვიდრეები კი კვლავ განსდგომნიან ღმრთის მსახურებას. ერთ-ერთ მათგანს (ავგაროზის შვილის შვილს) მოუსურვებია ამ საუფლო ხატის დამხობა, რომელიც ავგაროზს ქალაქის გალავნის ბეჭზე ჰქონდა დასვენებული, „რათა ყოველნი შემავალნი მუნ შინა ხილვით თაყვანს-სცემდნენ“ (6, გვ. 394).

ედესის ეპისკოპოსმა ამ ავი განზრახვის საპასუხოდ მაცხოვრის ხატის წინ აღანთო კანდელი, ხოლო მისი წიშის კამარა, ისე ამოქოლა და შელესა, რომ ვერავის მიეგნო.

ხოსრო ანუშირვანის ლაშქარს ქალაქში შესაღწევად ზღუდის სიძირკველის გამოთხრა დაუწყია.

ეპისკოპოსს ევლავიოზს გამოეცხადა დედა ღმრთისა, რომელმაც ამცნო, რომ ქალაქის „ბჭესა ზედა არის ხატი. იგი ჯელით-უქმნელი და დაფარული“ (6, გვ. 394). ეპისკოპოსი ლიტანიით გაეშურა და „პოვა წმიდა ხატი იგი ყოვლად განურყუნელი და კანდელი იგი წინაშე მისსა აღნთებული ეგეოდენთა უამთა სიმრავლესა შინა“ (6, გვ. 395). კანდელი მოალყებს „გარდაანუეთეს“, რომლებიც „ვითარცა მტუერი გარდაიბნივნეს“.

საქოლავზე (კეცზე) გამოსახული იყო პირი წმინდა ხელთუქმნელი ხატისა. ეს ხატები ნესტორიანთა ეკლესიაში გადასცვენეს.

ანტონმა წამოასვენა კეცის ხატი, დაადგა გზას ჩრდილოეთისაკენ და „მიიწია მტკუარს ზედა, განაპო იგი და დაემკვიდრა აღმოსავლეთით, ვითარ ოთხ მილიონ წაპრალსა კლიდისასა შინაგან მთათა აკრიანთა...“ (6, გვ. 396). ჯუანშერის თხზულებაში ზუსტად ასევეა მითითებული ანტონის „დამკვიდრება“ აკრიანის მთებში (2, გვ. 213).

ნმინდა მამა ანტონის ლვანლი წარმმართველია მოვლენა-
ნების განვითარებაში. ასურელი მამები აღმოსავლეთ საქართველოს
თვეელოს ეკლესია-მონასტრებში დაფუძნებულან და აქ მოლ-
ვანეობით არა მარტო თავიანთი სამლოცველო აღგილისა,
არამედ ქართველთა სქრისტიანოს ნმინდა მამები გამხდარან.
მამა ანტონის აკრიანის მთებში მოსვლით, ქარისტიანობის
განმტკიცებით, მის მიერ დაარსებულმა მონასტერმა რჩეული
ისტორია შეუქმნა ამ რეგიონს.

მარყოფის ხევს ზედა „არს, ეკლესია ლუთაებისა, გუმბა-
თიანი დიდშენი, გარ ზღუდე გოდლოსანი, მგზავრი ციხისა,
კეთილს შუენიერს ადგილს, აქ დაადგრა... მამათაგანი ანტონი
და ჰყო მონასტრად ესე (1, გვ. 537). ლვთაების მონასტრის აღ-
მოსავლეთით, ერთ-ერთ მაღალ მწვერვალზე აუგია სვეტი, სა-
დაც თავისი სიცოცხლის ბოლო თხუთმეტი ნელი მარტოს გა-
უტარებია.

ვაზუშტის აღწერით, მამა ანტონი, „თკთ მცირედ განშო-
რებით ქუებსა შინა მყოფობდა მარტოდ, და მით ენოდა ადგი-
ლსა ამას, მარტომყოფი და ან მარტყოფი“ (1, გვ. 537).

ამდენად, სწორედ მამა ანტონის სახელს უკავშირდება
საქართველოს ერთ-ერთი დიდი და უძველესი სოფლის მარტ-
ყოფის სახელწოდება. ლეგენდად შემორჩენილი ეს ამბავი მა-
რტყოფში ყველა მთხოვნელმა იცის. ამასთანავე ხალხმა შე-
მოინახა სოფლის ადრეული სახელწოდება აკრიანიც, რომე-
ლიც ზუსტად იმ ადგილის სახელწოდებაა, სადაც მამა ანტონი
„დამკვიდრდა“.

პლატონ იოსელიანის ცნობით, მარტყოფი ძველად აკ-
რიანის სახელწოდებითა ცნობილი (10, გვ. 6).

აკ. მათიაშვილის აღწერით, მარტყოფის ჩრდილოეთით
მდებარე მთას საგურამოდან სოფელ საცხენისის უკიდურეს
საზღვრამდე ენოდება იალნოს მთა, აკრიანის მთები კი იალ-
ნოს მთის საერთო მასივის სამხრეთ დასავლეთ კალთებს შეა-
დგენს. ამ მთების სხვადასხვაობის დასასაბუთებლად მკვლე-

ვარი იმოწმებს დავით კახთა მეფის – იმამ-ყული ხანის (1703-
1722) მიერ მარტყოფის ღვთაების მონსტრის სახელზე გრძელ-
მულ სიგელს (1722 წ.), რომელშიც ცალ-ცალკეა მოხსენი-
ებული იალნოსა და აკრიანის მთები (11, გვ. 98). ამ სიგელშივე
მითითებულია, რომ მამა ანტონეს განმარტოებული ცხოვრე-
ბის გამო უწოდეს მარტომყოფელი. სოფელ აკრიანისათვის კი
„ნეტარისა სახელისა ძალით... სოფლისიოსთა კაცთა ენითა
მარტყოფი უხმევიათ (3, გვ. 369).

ნეტარ მამას ამ ადგილას ვახტანგ გორგასლის დროს
აგებული ეკლესია დახვედრია, რომელიც მეფეს „განეჩინა სა-
ეპისკოპოსოდ, და მის ხარისხსა და ზედან მჯდომარ ექმნა
ეპისკოპოზად ბერი ერთი (3, გვ. 352).

მამა ანტონი ერთ-ერთ ძველ ხატზე ირემთან ერთად
არის გამოსახული (13, სურ. 34). სვინაქსარული ცხოვრების
მიხედვით, უფალმა ნმინდა ანტონს ხორციელ საკვებად ირმე-
ბი მიუჩინა. ისინი თავად მიდიოდნენ საძოვარზე და შინაც
ბრუნდებოდნენ, თითქოს მწყემსავდა ვინმე. ერთხელ დამფრ-
თხალნი დაბრუნდნენ. ერთ-ერთ ნუკრს ხორცი ცოცხლად
ჰქონდა მოკვეთილი. მამა ანტონი გაჲყვა მათ კვალს. გზად სა-
ნადიროდ გამოსულ მთავარს შეეყარა. მთავარმა ვინაობა
ჰყითხა. მამა ანტონმა აქაური ენა არ იცოდა და ხელით ანიშნა
თავისი სამყოფელისაკენ. მთავარი განყრა, ნმინდა მამის შეპ-
ყრობა და ხელის მოკვეთა ბრძანა.

ნმინდა მამა ანტონი მიჰვარეს მჭედელს. მჭედელმა შა-
ნთი გაახურა და ხელის მოკვეთა დაუპირა. თავად გაუშეშდა
ხელები. ნმინდა ანტონმა გაუშვირა ხელები და ანიშნა: „ყავ
ადრე ბრძანებული შენდა“. თვითმხილველებმა მთავარს სასწ-
რაფოდ მოახსენეს ყოველივე და მანაც ბრძანა მამა ანტონის
მოყვანა. მთავარმა შესთავაზა „რაა გნებავს, სთქუ და ყოველი
მოგცე“. მამა ანტონმა აიღო პატარა ქვა და ალოკა. მიხვდნენ,
რომ ქვამარილს ითხოვდა. მიართვეს ორი დიდი ლოდი. მან

„მოპერიჩა ერთი ლიტრა და წარვიდა და ალოკა ფუნქციებით თვისთა“ (6, გვ. 97).

წმინდა მამა ანტონი აღსასრულამდე იმ ხატის წინაშე მსახურებდა. „და წმიდა იგი წმიდათა შინა წმიდისა მიიცვალა და ჩვენ დაგვტევა ხატი იგი საუფლო, და არს ვიდრე დღეინდელად დღემდე უჩინარად და სასწაულმოქმედებს განცხადებულად, რომელ უადვილეს არს აღრიცხვა ზღვსა ქვშათა, ვიდრე საკურველებათა საუფლო მის ხატისათა“ (6, გვ. 398).

ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი შესაბამისი ჰიმნოგრაფიული მასალის შექმნა აბუსერისძე ტბელის სახელს უკავშირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს შემოესივნენ მონლოლი დამპყრობლები. დგება უმძიმესი დრო და „საჭირო ხდება მესიანისტური იდეის გაცოცხლება, კერძოდ იმის, რაც ისტორიულად ჩვენში შემუშავებული იყო, და ამავე დროს ახალი იდეის შემოტანაც“ (5, გვ. 90). ამ იდეოლოგიას უკავშირდებნ მრავალი ჭეშმარიტი შემოქმედის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს. ასეთი ქმნილებებია: იოანე შავთელის „გალობანი ვარძის ღმრთისმშობლისა“, ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტის ცხოველისანი“, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლები. იოანე ანჩელი (XII-XIII ს.) ანჩისხატს აჭედინებს ბექა ოპიზარს, ნერს საგალობელს ანჩისხატზე.

ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულის შემოღების ინიციატორად და დამკანონებელად კი გვევლინება აბუსარისძე ტბელი, რომელმაც შემოიკრიბა არსენ ქართლის კათალიკოსი და საბა სვინგელოზი (კარის ეპისკოპოსი). არჩევანი გააკეთა ჰიმნოგრაფ არსენ ბულმაისიმისძეზე. სამსახურში ჰყავს ჩაყენებული ძმებიც. ხელნაწერ A-85-ში არსენისა და საბას კანონების უშუალოდ მოსდევს აბუსარისძე ტბელის განმარტება-კომენტარი, „თუესა აგვსტოსასა ივ თაყვანისცემაზ ცხოველს-მყოფელისა საუფლოესა ხატისა წელითუქმნელისად, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესიათ კონსტანტინეპოვლედ. ხოლო მეო-



რედ, ვინათგან მიემადლა ნათესავსაცა ჩუენსა მოწყალეჭიშვილის დმრთისათა ღირსისა ჩუენისა მამისა ანტონი მარტომყოფე-ლისა მიერ. და დღესა ფერისცვალებასა ვემთხუევით კეცსა ზედა გარდამოხუფრულსა ტილოსა მიერ. ამისათვის ესე „უფალო ღაღადყავი“ ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა. ესე რომელ ამას ზემოხთ წერილ არს წმად და გუერდსა გალობითა; და მეორენი თვთძლისპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყვისა შემდგომად წერილ არიან მეორესა გუერდსა, რომელთა საქცევნიცა მუჯლმუჯლისა თვსა ნარწერილ არიან.

ხოლო მესამის გუერდისნი ითქუნეს საბახს მიერ სუნგე-ლოზისა, კაცისა ღმერთშემოსილისა, კარის ეპისკოპოსისა, და ვიტყვთ ზ(7) გავისტოსსა.

ხოლო ვინათგან ღირსისა ანტონის მიცვალებაც ათ-ჩუდმეტსავე იანვარსა იქმნა დღესა დიდისა ანტონის მეგვე-ტელისასა, ამისთვის მაშინცა ვგალობ და ვიტყვთ: პირველად რომელ „მქხნეონთა“ ზედა სწერია და მოურთავთ მაშინდა, რაც (რაც) დიდისა ანტონისი ხულე ითქუას, და მოურთავთ დი-დებად „მჯდომარესა“ ამას, ვითარმედ „მუამდინარეთი“ (5, გვ. 91, 92).

ამ განმარტებიდან მართლაც კარგად ჩანს, რომ აბუსე-რისძე ტბელს ეკუთვნის ხელთუქმნელი ხატის მოსვენების (მესიანისტური იდეა) ფაქტთან დაკავშირებული დღესასწაულის შექმნის იდეა-და ამ დიდი საქმის განსახორციელებლად პროგრამის პროექტის ჩამოყალიბებაც, რის საფუძველზეც შეიქმნა საგალობლები.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „დღესასწაული – ესე არს დღე დიდებული და წმიდა, რომელსა შინა თანა-გვაც სხვათა საქმეთა დატევება და მოცლა ვედრება(დ) ღმრ-თისა“ (14, გვ. 338).

საეკლესიო მოვლენებთან დაკავშირებული დღეები თან-დათან მომრავლდა. სახარებასთან დაკავშირებულ დღეებს შემდეგ (II ს.) შეემატა მოწამეთა „დაბადების“ დღეები (დაბა-

აბუსერისძე ტბელის ინიციატივას დღესასწაულის შექმნის შესახებ მოქმედ საეკლესიო კალენდარში უნდა შეეტანა ცელილება, გამოყოფილიყო საგანგებო დღე. აბუსერისძის დასკვნით, ეს უნდა ყოფილიყო აუცილებლად აგვისტო. ვინაიდან მართლმადიდებლური ეკლესია ედესიიდან კონსტანტინეპოლში ხატის გადასავენებას 16 აგვისტოს დღესასწაულობს, აგვისტოს ექვსში ფერისცვალებაა. საბა სვინგელოზის გალობას 7 აგვისტოს ვიტყვითო. და მეორე, აბუსერისძე ტბელი ანტონ მარტიმყოფელის გარდაცვალებას 17 იანვრით ათარიღებს, დიდი ანტონი მემკვიპტელის გარდაცვალების დღით... (5, გვ. 93).

ეს წინადადებები თითქმის ასევე იქნა დაკანონებული და დღეს სრულდება მცირეოდენი განსხვავებით. თანამედროვე კალენდრითაც 16 აგვისტოს (ახ. სტ. 29/VIII) აღინიშნება „მიძინების შემდგომი დღესასწაული, ნამოყვანება ედესიით კონსტანტინეპოლს ხელთუქმნელი ხატისა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ანჩისხატობა – მამა ანტონიობა მარტყოფში“ (16, გვ. 68). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტურგიკულ წყაროებში ანჩისხატი განირჩევა ხელთუქმნელი ხატისაგან. რაც შეეხება მის თანასახელწოდებას „მამა ანტონიობას“ საეკლესიო დღესასწაულის, ეკლესიაში აღვლენილი წირვა-ლოცვის გარდა ეს დღე დღეობის სახით დღესაც აღინიშნება მარტყოფის ღვთაების მონასტრის ტერიტორიაზე. დროთა მანძილზე აქ თავს იყრიან ახლო-მახლო სოფლების (მარტყოფი, ნორიო, საცხენე, ლილო, ახალსოფელი, გლდანი...) მოსახლეობა ღვთის სადიდებლად და მოლხენისათვის.

გაზეთი „კავკაზი“ (1856 წ. №67) წერდა: ქართველებს მრავალი დღეობა აქვთ, მაგრამ ყველა მათგანი როდი სარგებლობს ისეთი პატივისცემით, როგორც წმ. ანტონ მარტყოფე-



ლის დღეობა. საქართველოში ძნელად მოიძებნება ადამიანის უფლებათა რომელიც ამ დღეობაზე არ ყოფილიყოს, ხოლო ტფილისის მცხოვრებლებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ყოველი ქრისტიანული ოჯახი თავის აუცილებელ მოვალეობად თვლის წელინადში ერთხელ მაინც მივიდეს ამ წმინდანის მონასტერში, ხოლო თვით დღეობის დროს აქ თითქმის მთელი ქალაქი მიემგზავრება... შეიძლება გეფიქრათ, რომ ამ დროს ხალხის გადასახლება ხდებოდა (12, გვ. 48).

მარტყოფის მონასტერი საკმაოდ დიდ მამულებს ფლობდა. ქართველი ხალხის რელიგიურ და სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მარანს. ძველი მარნების ნაკვალევი აღმოჩენილია საქართველოს ყველა კუთხეში. შუა საუკუნეებში შესანიშნავი მარნები ყოფილა ნორიოსა და მარტყოფში, განსაკუთრებით ღვთაების მონასტრის მიდამოებში, სადაც რუსთველ ეპისკოპოსებს ვრცელი ზვრები ჰქონდათ (20, გვ. 4).

გაყრილ ოჯახებს საერთო საკუთრებაში ჰქონდათ მარანი, რომელიც შემდეგშიც, ერთი ცეცხლიდან გასული, თოთო-ოული ძმის დანატოვარი სხვადასხვა ბუდობებისთვის (პატრიონიმიისთვის) საზიაროდ რჩებოდა (18, გვ. 4).

ზოგი მარანი ძველ სახლთან იყო ახლოს, ზოგი ვენახთან. ეს ქვითკირით ნაგები, ბანიანი შენობა საღვინე სახლები (14, გვ. 438), როგორც ზემოთაც აღინიშნა, სამეურნეო დანიშნულების გარდა წმინდა ადგილის როლსაც ასრულებდა. აქ მოთავსებული იყო ცალკეული პატრიონიმიის „ბუდობის“ იდეოლოგიური ერთობის გამომხატველი ზედაშის ქვევრები. სულხან-საბას განმარტებით, ზედაშე არის შესანირი ღვინო (14, გვ. 278). ეს სახელი შემდეგში ამ ღვინის შესანახი ქვევრის სახელწოდებად ქცეულა. თვით ღვინოს კი ზედაშეს ღვინოს უწოდებენ. თითოეულ ბუდობას სხვადასხვა საღლოცავის სახელზე ჩადგმული ზედაშები ჰქონდა. დაწურვის დროს პირველად ამ ქვევრებში ასხამდნენ ღვინოს, რომლითაც ზედაშეზე

გაეთებულ შესანირზე ან მისი სახელობის სალოცავის დღე მისამართის სასწაულზე და „სამხთოს“ (საღმრთო) სუფრაზე ილოცებულ დნენ. ძველი მარნების მოშლის შემდეგ ზედაშეს ქვევრებს იმ სალოცავს „სწირავდნენ“, რომლის სახელზეც იყო იგი ჩადგმული. ბუდობების უმრავლესობას ღვთაების სახელობის ზედაშეები ჰქონდათ. მონასტრის ტერიტორიაზე დღესაც არის შემორჩენილი სიმპოლურად რამდენიმე შენირული ქვევრი.

რაც შეეხება აბუსერისძე ტბელის ზემოთ მოყვანილ ცნობას ანტონ მარტოდმყოფელის გარდაცვალების თარიღად, დიდი ანტონ მეგვიპტელის გარდაცვალების დღედ მოიხსენიება. დროთა მანძილზე წყაროების მიხედვით გვხვდება კომბინირებული საგალობლები და ცალკეულიც (5, გვ. 95). თანამედროვე საეკლესიო კალენდრის მიხედვით კი 17 იანვარი (ახ. სტ. 30/I) არის „ლირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ანტონი დიდის“ ხსენების დღე, ხოლო 19 იანვარი (ახ. სტ. 1/II) „ლირსისა მამისა ჩვენისა ანტონ მესვეტისა, მარტმყოფელისა (VI) – ცამეტ სირიელ მამათაგანისა“ (16, გვ. 19, 20).

საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ღვთისმოსავი მამები. მათი სამონასტრო ცხოვრება ცალკე კვლევის საგანია. უკანასკნელი წლების XX ს. II ნახ. მამათაგან ზოგიერთი ცნობები თვითმხილველთა გადმოცემის წყალობითაც ვიცით; კერძოდ არქიმანტრიტების გერმანესა და ხარლამპეს მოღვაწეობა (1934-1960 წწ.).

1993 წ. სოხუმის დაცემის შემდეგ ცხუმ-აფხეზთის ეპარქიის მრევლმა და სამღვდელოებამ დატოვა ეპარქიის საზღვრები და სხვა დევნილებთან ერთად, სვანეთის უღელტეხილის გავლით, გადმოვიდა ჭუბერში. უნმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მათ ღვთაების მონასტრებში დაიდეს ბინა. როგორც თავად ბერები ამბობენ: „ჩვენ ვცდილობთ კეთილი კვალი დავტოვოთ ჩვენი მასპინძლის „ღვთაების“, ლირსი და ღმერთშემოსილ მამათა სავანეში და შევევედროთ მამა

ანტონს და ყველა წმინდა მოღვაწე მამებს მეოხებას, რათა უკუკეთეს თილად წარიმართოს ჩვენი ბერული ცხოვრება, ასრულდეს ყველა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანის ნატვრა – დაგვიბრუნდეს ცხუმ-აფხეზეთი, სამაჩაბლო და, რაც უმთავრესია, მშვიდობა ღმერთთან, რის შემდეგაც ყველაფერს მადლიერებით, რწმენით, იმედით და სიყვარულით მივიღებთ" (9, გვ. 29).


ბერები მიუთითებენ, რომ დღესაც აღესრულება სას-ნაულები ანტონ მარტომყოფელის სახელობის ღვთაების წმინდა სავანეში. დროდადრო წმინდა მამის საფლავიდან, რომელიც მოთავსებულია მთავარ ტაძარში საკურთხევლის ნინ მარცხენა მხარეს, ამოედინება კეთილსურნელება, იკურნებიან რწმენით მოსილნი. საფლავის კანდელიდან წალებული ზეთი კი სიწმინდეა. ღვთაებრივი ძალის მქონე ამ მონასტერში ხელ-თუქმნელ ხატთან დაკავშირებულ სასწაულებზე ძველი მემა-ტიანებიც აღნიშნავდნენ. 1267 წელს მუცლის სენით დაავა-დებული დავით ულუ „მოეახლა მარტომყოფსა, მივიდა ხატსა მას ხელთ-უქმარსა“ (2, გვ. 214).

თემურ-ლენგის მესამე ლაშქრობასთან (1394 წ.) არის დაკავშირებული მარტყოფის მაცხოვრის ხატის „გაუჩინარება“. რუსთავ-მარტყოფის მაშინდელ ეპისკოპოსს გიორგი რუ-სთველს ხატი გადაუმალავს, მაგრამ ისე მოუკლავთ, რომ საი-დუმლოს გამჟღავნება ვერ მოუსწრია. მონასტერში დარჩენი-ლა ხატის ასლი, რომელიც ლეკიანობის დროს 1752 წელს თბი-ლისში ჩამოუპრძანებიათ.


ღვთაების მონასტრის ახლო-მახლო სოფლებში აღებუ-ლი საველე მასალით ხელთუქმნელი ხატი მაშინ „იჩენს თავს“, როდესაც ხალხი გახდება ღირსი.




ღვთაების ეკლესია




სამრეკველო



ՀՅՈՒԹԱԳՅՈՒՆ ԹՈՆՆԱՍՑԻՐՈՒ ՇԵՏԱՍՎՈՂԵԼՈ



ԹՈՆՆԱՍՑԻՐՈՒ ՔԵՐՈՒԹՈՐՈԱ




მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე
არსებული ერთ-ერთი სამლოცველო




მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული
ნიში („მისალოცი”)



„ԺԵՆՈՐՈԼՈ” վազրեծո.





მამა ანტონის სვეტი



მამა ანტონის საფლავი



ილუმენი მამა ბენიამენი (ბელქანია) ნათლავს
 11 თვის გურამ ყურაშვილს (სოფ. ნორიო)

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა,
 „ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, თბ., 1973 წ.
2. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965 წ.
4. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1976 წ.
5. აბუსერისძე ტბელი, თხულებანი, ნარგიზა გოგუაძის, მიხე-
 ილ ქავთარიას და რაულ ჩაგუნავას გამოცემა, ბათუმი,
 1998 წ.
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,
 ენრიკო გაბიძაშვილის გამოცემა, ნ. IV, თბ., 1968 წ.



7. ძველი ქართული აგიორგაფიული ლიტერატურის ძეგლების ენრიკო გაბიძაშვილისა და მიხეილ ქათვარიას გამოცემა, წ. V, 1989 წ.
8. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილია აბულაძის გამოცემა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, I, 1955 წ.
9. „ღვთაების“ სავანე, თბ., 2000 წ.
10. პლატონ იოსელიანი, Описание Марткопского монастыря, 1847 წ.
11. აკ. მათიაშვილი, მარტყოფის ისტორიიდან, 1963 წ.
12. აკ. მათიაშვილი, მარტყოფის ღვთაების მონასტერი, 1963 წ.
13. გ. იოსელიანი, წმინდანთა ცხოვრება, 1991 წ.
14. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991 წ.
15. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, 1993 წ.
16. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989 წ.
17. მ. ილურიძე, ზედაშე – „ბუდობის“ ერთობის სიმბოლო სოფელ მარტყოფში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, II, 2000 წ.
18. მ. ილურიძე, გვარები და „ბუდობები“ სოფელ მარტყოფში, თბ., 1998 წ.
19. მ. ილურიძე, „აქ დაადგრა... მამათაგანი ანტონი...“ უურნ. „ცისკარი“, 1998 წ.
20. მ. ჯანგირაძე, ძველი მარნები, გაზ. „სამგორი“, 1967 წ. №99.

თავადი ჩართველთა ტრადიციულ ყოფაში

ნაბადს, ანუ მატყლის თელვით მიღებულ ნაწარმს, ქართველთა ტრადიციულ ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას იყენებდნენ თავბურვასა და შესამოსელში, სახლის ინტერიერის გასაღამაზებლად, დასათბუნებლად და მოსამყუდროვებლად. ხმარობენ აგრეთვე დროებითი საცხოვრებლის, სახელდახელოდ მოწყობილი ღამისსათვი ქოხის გადასახურად, კარვებად, საჩრდილობლებლად და მოსაქრებადაც – მისგან ქარისაგან თავდასაცავ ზღუდეებს აკეთებდნენ მწყემსები; სასაპალნე და ტვირთმზიდი ჰირუტყვის (ცხენი, ჯორი, ვირი) აღკაზმულობაში; საღამურებად – ლოგინებად, სამზითვოდ... გამოიყენებოდა აგრეთვე ხალხურ მედიცინასა და სხვადასხვა სანესჩვეულებო რიტუალში. მეცხვარეობით დაწინაურებულ კუთხეებში ოჯახი არ იყო სხვადასხვა სახისა და დიდი რაოდენობის ნაბეჭები არ ჰქონდა. ყველა ქალი ცდილობდა მის ოჯახში რაც შეიძლება მეტი და ლამაზი ნაბეჭები ყოფილიყო, რადგან ოჯახის სიმდიდრეს, სხვა დოვლათთან ერთად, დასაფენი და დასახური ნაბეჭების ოდენობაც განსაზღვრავდა (მათ ბევრი სტუმრის მიღება შეეძლოთ), ქალს კი თავისი ლამაზი და უხვი ნახელავი საზოგადოებაში სახელოვნად ნარმოაჩენდა.

მოთელილი მატყლის ნაწარმს დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს – თბილია, რბილია, მსუბუქია, ეკოლოგიურად სუფთა, და მისგან შეკერილი შესამოსი შესანიშნავი თერმორეგულიატორია ორგანიზმისათვის. ამასთან ერთად თუ კარგადაა მოთელილი წვიმასა და წყალს ადვილად არ ატარებს და ველზე, მწყემსურ ჰირობებში, მეტად ხელსაყრელია. გარდა ამისა, იგი დარტყმისაგან თავსა და სხეულს კარგად იცავს. ისიც ცნობილია, ველად გასული აბრაგები გაშლილ ნაბადში

თავშეფარებულები რა ოსტატურად უსხლტებოდნენ მდევარს და მართვის სამინისტრო – ნაბადს ისე მოხერხებულად უმარჯვებდნენ სატევარს და მართვის სამინისტროს ტყვიასც კი, რომ ხშირად უვნებელი გადიოდნენ სამშვიდობო-ზე. მხრიანი ანუ საველე ნაბადი, თუ კარგადაა მოთელილი, ძნელად იქრება და იკვეთება.

გარდა აღნიშნულისა, ნაბადი საველე პირობებში იმითაცაა მიმზიდველი, რომ ადამიანს კარგად იცავს მწერებისა და ქვეწარმავლებისაგან. ცნობილია, თუ როგორ უფრთხიან ისინი მატყლის ბუსუსს. საველე სამუშაოებზე (მკა, თიბვა) წაყვანილ თოთო ბავშვებს დედები მარტოებს იმედიანად ტოვებდნენ – აკვანს ნაბადზე დგამდნენ, საჩრდილობელსა და მოსაქრებასაც ნაბდისგან უკეთებდნენ, მათთან მხოლოდ დიდი ქართული ნაგაზები თუ დარჩებოდნენ. მარილწყალში დასველებულ ნაბდის ნაჭრებს მნიუმსები წარმატებით იყენებდნენ მოტეხილი კიდურების მკურნალობისას.

ნაბდის ნაჭრებს იყენებდნენ საქართველოში ფონადაც.

საყოფაცხოვრებო, უტილიტარული დანიშნულების გარდა, იგი გარკვეული საწესჩვეულებო რიტუალების აუცილებელ ატრიბუტსაც წარმოადგენს. ეს არც არის მოულოდნელი, რადგან თვით მატყლს აქვს დიდი დატვირთვა. ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში, მეცხვარეობით დაწინაურებულ კუთხეებში, მატყლი ნაყოფიერებისა და სიუხვე-ბარაქიანობის სიმბოლოდ ითვლებოდა^{*}. და აუცილებლად იყო საშობაო და საახალწლო – ნაყოფიერებისა და დოვლათის დასაბევებელ სუფრაზე. ამ სუფრაზე, მატყლის გარდა, იდგა თაფლი და ელაგა გაუფუებელი ცომისაგან გამომცხვარი წაირნაირი „ბედის კვერები“ – „ცხვრის ძუძუ“, „ხარის კვერი“, „ცხენის ნალი“, ძროხის ძუძუ“, „ხარ-გუთანი“,

* ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში მატყლი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო საერთოდ ცნობილია და იგი უკავშირდება „მსოფლიო ხის“ სახელს (7, გვ. 238).



ოჯახის წევრთა სახელზე გამომცხვარი ბედის კვერები არყვებულია ლაფერი ის, რის სიმრავლესაც ნატრობდა ოჯახი. საქართველოს ზოგ კუთხეში საშობაო და საახალწლო რიტუალში მატყულს ცვლიდა აპრეშუმის შულოები (იმერეთი, 1, გვ. 64; კახეთი, გურია, სამეგრელო (6, გვ. 113) ან ბაშბა (ერნო-თიანეთი, 5, გვ. 191). ბარაქიანობის სიმბოლოდ ცოტა მატყულს დებდნენ სამეგრელო სუფრაზეც და მევლე როცა სახლში ბრუნდებოდა, ხელცარიელს არც მას გაუშვებდნენ, სხვა სანოვაგესთან ერთად ცოტა მატყულსაც გაატანდნენ.

მატყულის სიუხვე-ბარაქიანობის მიმანიშნებელია ხალხური გამოთქმაც: „მატყულს ეთქვა – სწორში გამრიე და სწორებს გაგასწორებო”, ე. ი. ნუ გადამაგდებ, ნუ მიმოაბნევ, სწორში გამრიე და სწორებზე უკეთ გამყოფებო და მართლაც, მატყულს ძალიან ეკრძალვიან, არ გადააგდებენ მის მცირე ნანილსაც კი. როცა რეცხავენ, ცდილობენ წყალს არ გააყოლონ – უბარაქობა იცისო, ცხვრისთვის არ ვარგაო. არ დაწვავენ – ცოდვააო, ამბობენ – მატყული მწყემსს საშველად უხმობს, იძახის – „მემცხვარევ, მიშველეო”. მატყული რომ დაწვან, იტყვიან ცხვარი „იზარალებსო” ან ყვავილი გაჩნდებაო (4). ამჟამად ეს რწმენა ახალგაზრდებში აღარ არის, მაგრამ მატყულს მაინც არ წვავენ – ცუდ სუნს უშვებსო, შესაძლოა ტრადიციის ძალითაც. გადასაყრელ ნარჩენ ბეწვებსა და მატყულს მოხვეტავენ და ისეთ ადგილას გადაყრიან, რომ არ დაიწვას და ფეხი არ მოხვდეს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შობის და ახალი წლის დილითაც ოჯახის დიასახლისი წყალს „მიუკვალავს”. წყაროზე ნასული თან ნაიღებს პურს, ყველს, ცოტა მატყულს ან ბაშბას (5, გვ. 193) და „წყაროს ბედის კვერს”. ამ კვერს წყაროზე შეაგორებს და თან იტყვის „წყალო, პური მოგიტანე, წყალო, ბედი გამაყოლეო...”

ყველიერში, შობის დღეს, მზისა და მზის მყოლი ანგელოზებისათვის გაშლილ სუფრაზე მატყულიც იყო წარმოდგე-

ნილი. ამ დღეს ლოცვაში კაც-საქონლის სიმრავლესა და ოპტიმიზაცია, ხის ხვავსა და ბარაქას შესთხოვენ უფალს...

მატყულის სიუხვე-ბარაქიანობას მიანიშნებს დაფიცების ფორმულაც. „ცხვარ-მატყულის მადლმა” – იტყვის მნიერი და მის ნათქვამში ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

სადღესასწაულო დღეების გარდა მატყული წარმოდგენილი იყო მიცვალებულთან დაკავშირებულ რიტუალებშიც და ესეც მოსალოდნელია, რადგან თვით მიცვალებულის კულტი მჭიდრო კავშირშია აგრარულსა და ნაყოფიერების კულტთან. მატყულს დებენ მიცვალებულის თავთან და მისი დაკრძალვის შემდეგ ახლობლებს ჩუქნიან. „დალაობის ფლასზეც” (მიცვალებულის ნლისთავზე ფარდაგზე დაფენილი მიცვალებულის სამოსი და ნივთები) მატყული იდო...

ნაყოფიერებისა და სიუხვე-ბარაქიანობის სიმბოლოა თვით სიტყვა „ცხვარიც”. როგორც ცნობილია, „ცხვარს” „ცხოვრებას” უკავშირებენ (3, გვ. 52, 53; 8) და „ქონებ-ცხოვრება” კი დიდ სიმდიდრესა და ოჯახის ძლიერებაზე მიუთითებს. ცხვარი რომ სიმდიდრის სიმბოლოა, კარგად ჩანს ერთი ქართული ლეგენდიდანაც: „ერთი ოჯახი მეტად ღარიბი იყო. სახლს სიღარიბე ჰყავდა დაპატრონებული. მოადგა ცხვარი და სიღარიბეს უთხრა – სახლი უნდა დამიცალოო. სიღარიბემ იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც ცხვარმა გააგდო. შესთხოვა ცხვარს სიღარიბემ – ერთ კუთხეში მაინც დავდგებიო. არაო – ცხვარმა – ერთ კუთხეში ბატყანი უნდა დავაყენო, ერთში ყველი დავდო, ერთში – მატყული და ერთში მე უნდა დავდგეო. იმ დღიდან ოჯახში სიღარიბისათვის ადგილი აღარ დარჩა” (3, გვ. 22).

ცხადია, ხალხის ყოფაში ძლიერად დამკვიდრებულსა და მის ცნობიერებაში ასე გააზრებული მასალისაგან (მატყული – ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლო) დამზადებულ ნაწარმს საწესჩვეულებო რიტუალებშიც გარკვეული ადგილი ეკავა, ნაბადი ხალხის ცხოვრების ბევრ მხარეში ჩანდა.



აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშ-ფშავე არყოფნის, ვსურეთი) ძველად გავრცელებული იყო მიცვალებულის ნაბა-დსა და ფარდაგში გახვევა და ისე დაკრძალვა. საამისოდ ყვე-ლა ოჯახს, ვისაც კი ხანდაზმული ჰყავდა, წინასწარ მომზადე-ბული ჰქონდა დიდი ზომის და აუცილებლად თეთრი ფერის მატყლისაგან მოთელილი ნაბდები.

„სულის ცხენის“ – მიცვალებული მამაკაცის კუთვნილი და მის სახელზე გასაცემი ცხენის აღკაზმულობის აუცილებე-ლი ნაწილი იყო ცხენის ტახტზე დაკრული მხრიანი ნაბადი. მი-ცვალებულის ნლისთავზე ამ ცხენს მთელი თავისი აღკაზმუ-ლობით (მოვერცხლილი აღვირი, უნაგირი და სამკერდული, ლამაზი ჩულები, ტახტზე დაკრული ნაბადი, უნაგირზე გადა-დებული ხურვინი) ნაძმობს ან დედისძმას ჩუქნიდნენ.

ქალიშვილებს, სხვა ნივთებთან ერთად, მზითვში იატა-კის, კედლისა და ტახტის სამშვენ ნაბდებსაც ატანდნენ.

მეოცე საუკუნის შუა წლებამდე შემორჩა ქართველ მთი-ელთა ყოფას პერიკების – ახალი ნლისა და ყველიერის რიტუ-ალების აუცილებელ მონაწილეთა საწესო ნიღბები, რომლე-ბიც ნაბდისაგან იკერებოდა. ამ ნიღბებს, სახის გარდა, ყელ-ყური და კისერიც უნდა დაეფარათ. ოთხკუთხედად შეკერილ, თავზე ჩამოსაცმელ ნაბდის ნიღაბს – „პერიკის ქუდს“, პირსა და თვალებს ამოუჭრიდნენ, ნასვრეტებს გაუკეთებდნენ ცხვი-რთანაც. პირთან ხის „კბილებს“ დაუმაგრებდნენ. თვალების გარშემო შავ ნაბადზე თეთრი ფერის ბაწრით წარპ-წამნამსაც შემოავლებდნენ, თეთრი მატყლის ულვაშებს გაუკეთებდნენ, თეთრ ნიღაბს კი შავი ფერით გააწყობდნენ.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, ქართველთა ტრადი-ციულ ყოფაში დიდი ადგილი ეკავა ნაბდის გამოყენებას და ყოფის ზოგიერთ მხარეს (საველე პირობებში ნაბდის გამოყე-ნება, სახლის ინტერიერის მოლამაზება, თავბურვა, ტვირ-თმზიდი პირუტყვის აღკაზმულობა...) ის დღემდე შემორჩა და



მენაბდეობა-მეცხვარეობით დაწინაურებულ კუთხეში – ტექურისა, შეთში – შინამრეწველობის დღესაც ცოცხალი დარგია.

დამონმებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ., მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957.
2. გიგინეიშვილი ბ., ცხვრის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა/საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1978.
3. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, თბ., 1975, წიგნი I.
4. კაცაძე აკ., ქართლის 1948 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, M^2 , №83 (ხელნაწერი).
5. ღამბაშიძე ნ., საახალწლო დღესასწაული ერწო-თიანეთში//ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, თბ., 1985.
6. ყარაულაშვილი ც., ქსოვის ხალხური წესები კახეთში, თბ., 1985.
7. Мифы народов мира, М., 1988.
8. Климов Г. А. Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოს ათიანეთში

იმ ხალხურ ტრადიციებს შორის, რომლებიც გამოირჩევიან ცხოველმყოფელობითა და რაციონალურობით, შეიძლება მოხსენიებული იყოს მოსაქმეთა მოსვლა-სტუმრობა ანუ „საქმით სტუმრობა“. იგი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეებში. მის შესახებ ცნობებს ჩვენ ამჯერად თუშეთის მაგალითზე წარმოვადგენთ. რას წარმოადგენს მოსაქმეთა მოსვლა, იგივე სტუმრობა? თუ სტუმარია მოსაქმე და მუშა რადა? თუ მუშა და მოსაქმე, სტუმარი რად არის?

ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია, რომ ხშირად ქალები თავისი ხელსაქმით, სამუშაოს სიმძიმის შესამსუბუქებლად, გასახალისებლად და გასაიოლებლად ნათესავ-მოკეთებში მიდიოდნენ ძირითადად 1-2 კვირით, ზოგჯერ ერთი თვითაც კი, თუკი ოჯახური პირობები ამის შესაძლებლობას აძლევდა, ე. ი. ოჯახში თუ ჰყავდა დედამთილი, რძალი ან მოსწრებული ქალიშვილი, რომელიც მისი შინარყოფნისას ოჯახში საქალო საქმეს გაუძლვებოდა. ქალი წინასწარ შეუთანხმდებოდა ოჯახის წევრებს, სახლშიც საქმეს ისე ააწყობდა, რომ გარკვეულ ხანს მისი შინ ყოფნის აუცილებლობა არ ყოფილი ყო და ამის შემდეგ წავიდოდა სახლიდან. წინასწარ განსაზღვრავდა იმასაც, თუ რამდენი ხნით წავიდოდა და ხელსაქმესაც იმ ოდენობით წაიღებდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მისი დამუშავება მოესწრო. ქალი ძირითადად შინა და გარე (მინდვრის) სამუშაოებისაგან შედარებით თავისუფალი ზამთარში იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მატყლის დართვა იწყებოდა. წასაღებადაც უფრო მოსახერხებელი იყო დაჩირილი, დასართავად გამზადებული მატყლის ფთილები: მსუბუქია და

თან არც დიდი ადგილი სჭირდებოდა. ქალი მას ხელითაც უდინებელი ვილად ატარებდა. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ჟურნალისა თარში სოფლებს შორის მიმოსვლა მხოლოდ ფეხით შეიძლებოდა და ხელით მძიმე ტვირთს ვერც ზიდავდნენ. ქალი თავის საქსოვ აბგაში ჩაილაგებდა ტარ-სახრელს, ფთილებს, მცირე საგზალს და გასწევდა ნათესავ-მოკეთისაკენ. ასე წასულ ქალებს „მოსაქმეთ“ (ჩაღმის თემი) ან „მზდავაცებს“ (პირიქითის თემი), „საზდავაცით წასვლას“ (გომენრისა და წოვათის თემები) ეძახდნენ. იტყოდნენ „მოსაქმენ მოვიდნესო“, ან „მზდავაცებ მოვიდნესო“.

ერთი სოფლიდან ან თემიდან ამა თუ იმ თემსა თუ სოფელში წასასვლელად რამდენიმე ქალი შეამხანაგდებოდა და ერთად გაემგზავრებოდნენ. ადგილზე მისულნი კი თავ-თავის ნათესავ-მოკეთებს ესტუმრებოდნენ. ასე მიდიოდნენ ჩაღმის თემიდან პირიქითის თემში, გომენრიდან და წოვათიდან ჩაღმაში და ა. შ. ე. ი. თემიდან თემში და სოფლიდან სოფელში, როცა თუმეთში მოსახლეობა მკვიდრად იყო, საფეხითო გზები სოფლებს შორის მუდმივად იყო გაკვალული, მიმოსვლა მუდმივი იყო.

ერთ სოფელში ზოგჯერ რამდენიმე „მოსაქმე“ ერთდროულად იყო მისული, ოღონდ სხვადასხვა ოჯახში. ოჯახში მისვლის, მოკითხვისა და შესვენების შემდეგ ქალი თავის ხელ-საქმეს შეუდგებოდა. პირველ დღეს გზადაგზა ნაქსოვ ნინდას მოქსოვდა – ისვენებდა, ეს საქმედ არ ითვლებოდა. ძირითად საქმიანობას – დართვას კი მისვლის მეორე დღიდანვე იწყებდა. ნინდის ქსოვას კი ისევ გზისათვის გადადებდა. ქალები მოსაქმედ ძირითადად „ჯალაფთას“ იარებოდნენ, დედის ან მამის თემ-სოფელში. მოსაქმის მოსვლა ოჯახის ცხოვრების რეჟიმს არაფრით არ ცვლიდა. დამხვდური ოჯახი ისევე განაგრძობდა თავის ყოველდღიურ და ჩვეულ საქმიანობას და არსებობას, როგორც მანამდე. მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში, სანამ მათთან მოსაქმე იყო მოსული, ცდილობდნენ მხიარუ-



ლად და ლალად ყოფილიყვნენ, რომ სტუმარს უხერხულობა არ ეგრძნო და არ მოეწყინა, „შინა არ მოჰვონებოდა“. „ცეცხლ უნდა გულის სტუმარსა, თვარ შინა მოაგონდებაო“ – შეუძლე-რებდნენ კიდევაც. საჭმელსაც მის პატივსაცემად შედარებით ამრავალფეროვნებდნენ.

ოჯახის დიასახლისი, თავისი ხელსაქმის დღიურ ნორმას რომ მორჩებოდა, მოსაქმესაც ეხმარებოდა დართვაში, ასევე – ოჯახში მყოფი სხვა ქალებიც. მოსაქმე კი მხოლოდ თავისი ხე-ლსაქმით იყო დაკავებული და სტუმრობით განებივრებული.

ზოგჯერ მასპინძელი ოჯახი მოსაქმე სტუმრის პატივსა-ცემად „მზდავაცებს“ (მზდევლი ქალები) მოიწვევდა და მის ხე-ლსაქმეს ერთ ლამეში დაართავდნენ. შემდეგ დღეებში კი თუ ვინმეს „მჩერელაობა“ ან „ზდავაობა“ (მომხმარენი დართვასა და ჩეჩივაში) ჰქონდა ოჯახის ქალებთან ერთად სტუმარიც წა-ვიდოდა მისახმარებლად და ხან ერთ სტუმრობაში 2-3 მზდა-ვაობასა და მჩერელაობაში მოუხდებოდა ყოფნა. თუ სტუმარი ქალის ხელსაქმეს დამხმარეთა მოწვევით ადრე მორჩებო-დნენ, ქალი მაინც დანიშნულ დრომდე მასპინძლის ოჯახში რჩებოდა სტუმრის სტატუსით, მას ადრე არ გაუშვებდნენ. პი-რიქით, ცდილობდნენ იგი დიდხანს დაეტოვებინათ თავისთან, რადგან ეს ოჯახისთვის სასახელო იყო.

როცა თავის ხელსაქმეს შეასუსტებდა, მოსაქმედ მო-სულ ქალს სოფელში რიგ-რიგობით ყველა ოჯახში პატიუე-ბდნენ, მიუხედავად იმისა იყვნენ თუ არა ახლო ნათესავები. მთის პატარა სოფლებში კი ყველა ოჯახი მეტ-ნაკლებად ერ-თიმეორის ნათესავი იყო. გადაპატიუებულ მოსაქმეს ყველა ოჯახი თითო დღე-ლამეს ტოვებდა, იქაც თავისი სართავი თან მიჰქონდა და იქაც ეხმარებოდნენ მას. მოსაქმედ ნასვლა ხში-რად ყველიერში იცოდნენ, როცა ბევრი უქმებია, საქმის დღეებში კი გაცდენილ დღეებს მიხმარებით უვსებდნენ. ყვე-ლიერში ბევრი ნათესავ-მოკეთე იყრიდა ერთად თავს და ერთად ყოფნა უფრო საინტერესო ხდებოდა, დიდი ხნის უნა-



ხავი ნათესავები ერთიმეორეს ხვდებოდნენ. ასევე სტუმრო-
ბდნენ თუშეთში მყოფი დიდოელი ქალები თავის დობილებში დაიკავდა.

როგორც კი თან ნაღებულ მატყლს დაართავდა ქალი,
მაშინვე შინისკენ გასწევდა. მას დიდი სითბოთი და მხიარუ-
ლებით გააცილებდნენ, თან საგზალსაც გაატანდნენ.

დღეს უკვე მივიწყებულ ამ ტრადიციაში ბევრი რამ სასი-
კეთო და საინტერესო იყო.

როგორც ცნობილია, ურთიერთობა და სტუმრობა, ერ-
თიმეორის მონახულება ნათესაობას განამტკიცებს, ნათესაო-
ბა არ იკარგება. მაგალითად, ხევსურეთში ხევსური გამოსწუ-
რავდა არაყს, ჩაასხამდა ტიკში და ცხენით მიდიოდა ნათესავ-
მოკეთისაკენ, ამით განამტკიცებდა ნათესაობას. თუშეთში
ამის შესაძლებლობა კაცებს არ ჰქონდათ, ისინი მთელი წლის
განმავლობაში წასული იყვნენ სახლიდან. თუშეთში ეს ფუნქ-
ცია ქალს ეკისრა. იგი მთელი წლის განმავლობაში სახლში
იყო, ოჯახთან, ზამთარშიც და ზაფხულშიც. შინიდან დიდი
ხნით წასვლა მას არ შეეძლო. ზამთარში იყო ცოტაოდენი ამო-
სუნთქვის შესაძლებლობა – აღარც ყანა იყო მოსამკელი, არც
შეშა მოსაჭრელი, აღარც წყალ-ნისქვილი იყო საფიქრალი.
ყველა ეს საქმე ზაფხულში სრულდებოდა და თანაც ისეთი სა-
ქმები იყო, რაც მუხლიაუხრელ შრომას ითხოვდა, თან
საუბარსა და ურთიერთობას გამორიცხავდა. მატყლის ხელსა-
ქმები კი ისეთია, რომელსაც ქალი აკეთებს დამჯდარი და თან
საუბარიც შეუძლია. ქალი ნათესავ-მოკეთისაკენ საქეიფოდ
ვერ გასწევდა, ცხადია, თან ხელსაქმე უნდა წაეღო. ხელსა-
ქმის თან წალება კი სახლიდან მის წასვლას თავისებურად ამა-
რთლებდა. ამასთან, ქალი თავისი დატვირთული ყოველდღი-
ურობიდან გადიოდა, ხალისდებოდა, ისვენებდა ისე, რომ არც
თავის საქმეს სცდებოდა. ეს იყო ქალური დროსტარებისა და
ოჯახთან, ყოველდღიურობასთან მიჯაჭულობისაგან ამოსუ-
ნთქვის მცირე მონაკვეთი.



ამ ურთიერთ მისვლა-მოსვლით ხდებოდა ერთიმეტანიანი გამოცდილება, მყარდებოდა შრომითი ჩვევები, ხდებოდა გამოცდილების ურთიერთგაზიარებაც და, რაც მთავარია, ნათესაური კავშირების განმტკიცება. ამასთან, ხდებოდა ერთი კუთხიდან, თემიდან თუ სოფლიდან მეორეში ფოლკლორული მასალის გატანაც. როგორც ცნობილია, ქალის ხელსაქმე და ფოლკლორი, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ხალხური შემოქმედება მჭიდრო კავშირშია ერთიმეორესთან: სახელსაქმოდ შეყრილი ქალები ათასნაირ ამბებს იგონებდნენ და უყვებოდნენ ერთიმეორეს, ამბობდნენ გამოცანებსა და ანდაზებს, ყვებოდნენ ზღაპრებს... აქვე მოსახსენიებელია მომავალი თაობის აღმზრდებლობითი ფაქტორიც. ეს ყველაფერი ხომ ბავშვების თვალწინ ხდებოდა, რაც ტრადიციისა და ფოლკლორის სიცოცხლისუნარიანობას აძლიერებდა.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, მოსაქმედ წასვლა შეიძლება ორგანიზებული შრომის დიდი ფუნქციით დატვირთულ საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ თავისებურ ფორმად მივიჩნიოთ, ამასთან ისეთ ფორმად, რომელიც თავისი შინაარსით მეტად ჰუმანური, რაციონალური და პროგრესული იყო: იგი ქალს აძლევდა თავისუფლებისა და ამოსუნთქვის საშუალებას. ჩანს, რომ ქალი არ იყო მეტისმეტად ოჯახს მიჯაჭვული და შეზღუდული, მას არავინ ზღუდავდა და მას თავისი მკვეთრად გამოხატული უფლებები ჰქონდა, იყო საკმაოდ დამოუკიდებელი. ამასთან, მოსაქმედ წასვლა ხელს უწყობდა ტრადიციის ერთიანობას, უწყვეტელობას და იყო თემსოფლის შემკრავ-შემაკავშირებელი და გამაერთიანებელი.

რეისლამიზაციის პროცესის დაღესტანი

დაღესტანში ისლამის აღორძინება გასული საუკუნის 80-იანი წლების II ნახევრიდან დაიწყო. 1990 წ. დაღესტნის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ“. გაიხსნა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი მუსლიმანთათვის, აშენდა მრავალი მეჩეთი, იმატა წმინდა ადგილების თაყვანისცემამ, ათასობით ადამიანმა მიაშურა მექასა და მედინას. რეისლამიზაციის პროცესი დაღესტნის დასავლეთ რაიონში უფრო მკაფიოდ გამოიხატა, ვიდრე იქ, სადაც ისლამი პევრად ადრე იყო გავრცელებული (ლეზგები, ლაკები, ტაბასარანებები, დარგოლებები). თითქოს კი პირიქით უნდა ყოფილიყო. დასავლეთ დაღესტანში XV ს-მდე ისლამი ძირითად აღმსარებლობად ვერ გაბატონდა, აქ ადათებსა და ძეველი რელიგიის ნაშთებს ბოლო დრომდე მკვეთრად ჰქონდათ ფესვები გადგმული. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ რეისლამიზაციის რაიონები სუფიური მიურიდების შხარეა და ისლამის აღორძინებას მეტი დასაყრდენი გამოუჩინდა.

დაღესტანში მიმდინარე რეისლამიზაციის პროცესი ემთხვევა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გამოცოცხლებას ამ ქვეყანაში. დაღესტნის ეთნიკური კონგლომერაცია სრულად გამოვლინდა 1989-94 წწ. ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში: ავარელებმა შექმნეს „შამილის საზოგადოება“, ლაკებმა - ყაზიყუმუხი“. ეს ორგანიზაციები ეროვნული მოძრაობის ჩანასასს წარმოადგენდა, მათში რელიგიური ასპექტები სუსტია. ეთნიკური სიჭრელე ჩიხია ეროვნული მოძრაობისათვის. ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა ისლამს თანამედროვე ეტაპზე შეასრულოს ის ფუნქცია, რაც მან მთიელთა მოძაობაში შეასრულა XIX ს. I ნა-



ხევარში? გავიხსენოთ, რომ შამილმა სწორედ ისლამზე დანიშნული და დამატებული მისამართი მის მიერ მის შექმნამდე რომ განვლო გზა განვლო (სახანოს დამხობა, თავისუფალი თემების დამორჩილება), ე. ი. ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფიდან გამოსული ძლიერი ხელისუფალი იქცა საყრდენად არა მარტო დაღესტნისათვის, არამედ, მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვის. დღევანდელ დაღესტანში არ არსებობს ხელშემწყობი გარემო იმისათვის, რომ ტრადიციულმა ისლამმა ითავოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ისლამური ტიპის სახელმწიფო, თუმცა არც ამისათვის მზადყოფნა შეინიშნება.

როგორც ჩანს, დაღესტანის სინამდვილეში უნდა მოხდეს ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანება, მათში არსებული ეთნიკური პარტიკულარიზმის დაძლევა, მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება ფიქრი ეროვნულ მოძრაობაზე, რომელიც თავისი ინტერესების დასაცავად ტრადიციულ ისლამსაც გამოიყენებს. ამ ეტაპზე რეისლამიზაცია მაინც გარედანაა ნასაზრდოები და საერთო ისლამური სამყაროსათვის ხარკის გადახდად აღიქმება. მიმდინარე რელიგიური პროცესები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაღესტანში ეთნიკური და რელიგიური ერთმანეთს არ ფარავს; მიმდინარეობს რეისლამიზაცია, მაგრამ არ ხდება ეროვნულ ძალთა გაერთიანება.

ბოლო ხანებში ახალი რელიგიური მიმართულება - ვაჰაბიზმი შემოვიდა, რომელიც XV ს-ის მიწურულს ჩამოყალიბდა ცენტრალურ აზიაში. მის დოგმათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯიპადს - საღვთო ომს. საუდის არაპეტში ვაჰაბიზმი ოფიციალურ რელიგიად ითვლება; გავრცელებულია ახლო და შუა აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში. კავკასიაში მის გავრცელებას ხელს უწოდს ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი - საუდის არაპეტი. ჩეჩენეთსა და დაღესტანში ათიათასამდე ვაჰაბიტია. ამჟამად დაღესტანი ვაჰაბიტური

მოძრაობის ცენტრია კავკასიაში, მაგრამ საღვთო ომს აქ იმპერიალისტი შენიდბული პოლიტიკური ომი ცვლის. საეჭვოა, რომ ეს მოძრაობა შეესაბამებოდეს დაღესტნის ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესებს. რაც შეეხება ჩეჩინეთს, აქ ისლამური რესუბლიკის გამოცხადება არ ნიშნავს, რომ ჩეჩინებმა აღიარეს ვაჰაბიზმი, რომელიც უარყოფს ყოველივე ეროვნულს. რუსეთი, რომლისთვისაც მიუღებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეაც კი ჩრდილოეთ კავკასიაში, ვაჰაბიზმს შეეგუება მანამ, ვიდრე ვაჰაბიტები კავკასიური სულის ჩავლას შეედებიან, ხოლო თუ ისინი ანტირუსულ კამპანიას გააჩაღებენ, მაშინ ვაჰაბიტები მიურიდების ბედს გაიზიარებენ, თუმცალა ვერასოდეს იტვირთებენ იმ მისიას, რაც მიურიდებმა აღასრულეს კავკასიის ისტორიაში.

ჩრდ. კავკასიელი ვაჰაბიტები საეუთარ თავს წმინდა ისლამის მიმდევრებად თვლიან, რომელიც არსებობდა მუჰამედისა და ოთხი ხალიფას დროს, რაც თავისი არსით ენინააღმდეგება კავკასიურ ტრადიციულ სუფიურ ისლამს (ერთი სუფიელი შეიხისათვის სწავლულ ალიმებს უკითხავთ: სუფიზმი რა არის? იგი მეორე ოთახში გასულა, ულოცია და შევედრებია აღაპეს, წაედო მისი სული, რათა უხერხულობისაგან ეხსნა. ამიტომ ამბობენ, ყველაფერი რაც ენით ითქმის, არ არის სუფიზმი"). თუ ვაჰაბიტები სუფიტებს ისლამიდან გადახვევაში ადანაშაულებენ, ტარიკატისტები მათ სექტანტობაში ამხელენ. ვაჰაბიტების გამოჩენა კავკასიაში დაკავშირებულია იმ ნინააღმდეგობებთან, რომელიც სუნიტურ თურქეთს, ფუნდამენტალისტურ ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებობს. ამ სახელმწიფოთა ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა კავკასიის რეგიონში, რაც ამ მხარის და ცენტრალური აზიის ბუნებრივ რესურსებს უკავშირდება; თუმცა დაპირისპირებულ ქვეყნებს ერთი საერთოც აქვთ - დამოკიდებულება რუსეთისადმი. თუ ირანისა და თურქეთისათვის კავკასია ტრადიციულად ინტერესთა სფეროა, საუდის არაბეთის დაინტერესება



ამ რეგიონით ახალია. ჩრდილო კავკასიის კონფლიქტი (ჩეჩენიური, თი, დაღესტანი) მომგებიან პოზიციაში აყენებს ირანს, აშკარაა მისი მცდელობა, ევროპის საიმედო პარტნიორი გახდეს მისთვის ენერგომატარებლების მიწოდების მეშვეობით, როთაცაა გამონვეული სახელმწიფო მეთაურის ვიზიტები ევროპის რიგ სახელმწიფოებში. საუდის არაპეთი კავკასიიდან შორს მდებარეობს, მაგრამ ენერგომზიდებით სარგებლის მიღებას იდეოლოგიისა და ფინანსების გულუხვად ხარჯვით ცდილობს (3, გვ 73). ვაჰაბიტები ცდილობენ დამკიდრებას არა მარტო კავკასიის ტრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციებში, არამედ პოლიტიკურ სტრუქტურებშიც. საბჭოთა იმპერიის დაშლამ ბევრი საზრუნავი გაუჩინა მანამდე ცენტრზე დამოკიდებულ დაპყრობილ ხალხებს. უაღრესად ძნელი გამოდგა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის: დანგრეული ეკონომიკა, ხელოვნურად შექმნილი ეთნოკონფლიქტები, კორუფცია, ადამიანებით ვაჭრობა, ნარკობიზნესი. ასეთ პირობებში ადამიანების მანიპულირება და მათი გადაბირება ადვილია. მითუმეტეს, რომ რუსეთ-ჩეჩინეთის ომის შედეგად ვაჰაბიტების პოზიციები გამყარდა და მათ შეაღნიეს კიდევ სამხედრო, სახელმწიფო თუ რელიგიურ სტრუქტურებში. ვაჰაბიტები ტარიკატისტებსა და ოფიციალურ ნრეებს რუსეთთან კავშირში ადანაშაულებენ და ორივეს ომს უცხადებენ. ვაჰაბიტებს აქტივური მოქმედებისათვის ჩეჩინეთში უკეთესი პირობები ჰქონდათ, ვიდრე დაღესტანში, მაგრამ მაინც ეს უკანასკნელია ვაჰაბიტური მოძრაობის ცენტრი კავკასიაში. ვაჰაბიტებსა და ტარიკატისტებს შორის ბრძოლა გასცდა იდეოლოგიურ ჩარჩოებს და შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა (1996-1997 წწ. მოვლენები ბუნებრივი, ყიზილიურთის, ნუმადისა და ხასავიურთის რაიონებში) (2, გვ. 195).

ჩეჩინეთში ხელისუფლებამ და რელიგიურმა ორგანიზაციებმა ბრძოლა ვაჰაბიტებთან იმით დაიწყეს, რომ ატარებდნენ მორნმუნებთან საუბრებს ვაჰაბიზმზე, კრძალავდნენ



არარეგისტრირებულ ლიტერატურას, ხურავდნენ უკანონო გახსნილ მეჩეთებს. რელიგიური ორგანიზაციები მოუწოდებდნენ სახელისუფლო ორგანოებს საზღვარი დაედოთ ვაჰაბიტთა თავხედობისათვის. მიუხედავად ამისა, ვაჰაბიტების ზემოქმედება პოლიტიკურ პროცესებზე სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა. მათ წინააღმდეგ გამოვიდა ჩრდილო კავკასიის მუსულმანთა კონგრესი, ასევე იჩქერიის დედაქალაქში მოწვეული აღმოსავლეთ კავკასიის მუსლიმანთა კონგრესი. კონგრესმა ხელისუფლების ორგანოებს მოსთხოვა ვაჰაბიტები კანონგარეშე გამოცხადებინათ. აღმოსავლეთ კავკასიის მუსლიმანთა კონგრესის გადაწყვეტილება თავდაყირა დააყენა 1998 წ. მოსკოვში პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულმა სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ეროვნებათა მინისტრები. სხდომამ გადაწყვიტა, რომ ვაჰაბიტები ექსტრემისტები არ არის. რუსეთმა მხარი დაუჭირა ვაჰაბიტებს იმ დროს, როცა იგი ოფიციალურად აკრძალეს ჩეჩენეთსა და ინგუშეთში, ხოლო დაღესტანში ისლამურ ფუნდამენტალიზმადაა მიჩნეული.

1998 წ. 21 აგვისტოს მოკლეს დაღესტნის სულიერი წინამდობლი - მუფტი. ზოგიერთი მომზდარ დანაშაულს ამერიკულ და ებრაულ სპეცსამსახურებს მიაწერდა. ამ ფაქტს მოჰყვა ისლამური რესპუბლიკის გამოცხადება სოფლებში - კარაბახში, ჩაბანმახში, კადარში. დაღესტნის ხელისუფლებამ ეს მოკლენა შეაფასა როგორც ანტიკონსტიტუციური და მიიღო გადაწყვეტილება აღედგინა კანონიერება და წესრიგი ამ რეგიონში. დაღესტნის მთავრობას მხარი დაუჭირა ჩეჩენეთის ხელისუფლებამ. ჩეჩენეთის მუფტიმ ფუნდემენტალისტებთან კაშირში ამხილა შამილ ბასაევი. ამ კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთმა თავი ისევ გამოააშკარავა: რუსეთის შინგან საქმეთა მინისტრმა ს. სტეპაშინმა კარამახელების მოთხოვნა კანონიერად გამოაცხადა და მოუწოდა დაღესტნის ხელისუ-



ფლებას, არ შეურაცხეყო მათი რელიგიური გრძნობეჭირებულება (გვ. 105).

დაღესტნის ახალი მუფტი აპმედ-ჰაჯი აბდულაევი უფრო ფრთხილი აღმოჩნდა. მისი განმარტებით, ისლამი რეჟიმი კი არ არის, არამედ ცხოვრების წესია და თითოეული მუსლიმის მოვალეობაა იცხოვროს შარიათის კანონებით.

მუფტი წინააღმდეგია რელიგიისა და სახელმწიფოს განცალევებისა, ასევე ნეგატიურადაა განწყობილი სახელმწიფო რელიგიის ინსტიტუტის აღდგენის მიმართ. აპმედ-ჰაჯი აბდულაევი უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს აზიაროს ისლამს სახელმწიფო მოხელეები, რათა მათ ქვეყანა მართონ შარიათის კანონებით. 1998 წ. შეიქმნა ჩრდ. კავკასიის მუსლიმანთა საკოორდინაციო ცენტრი. ეს ორგანიზაცია ხელს უშლის იმ ძალებს, რომლებიც ცდილობენ ჩრდილო კავკასია გამოსტაცონ რუსეთს (მუფტი კი ამტკიცებს, რომ რელიგიური პოლიტიკა თუ პოლიტიზირებული რელიგია დაღესტანში არ არსებობს). თუ ეს ის ძალებია, რომელიც დაღესტანში ნერვასა და უბედურებას გამოიწვევენ და დაღესტანს ნაიყვანენ არა დამოუკიდებლობის, არამედ ახალი დამოკიდებულებებისაც, მაშინ მუფტიც და აღნიშნული რელიგიური ორგანიზაციაც სწორ გზას ადგანან, მაგრამ ინტერვიუდან, რომელიც რელიგიურმა ლიდერმა გაზეთ „მუსულმანეს“ მისცა (1993, №3), არ ჩანს, რომ იგი თავის ქვეყანას რუსეთის იმპერიის გარეთ მოიაზრებს.

1990 წ. ასტრახანში დაარსდა პირველი მუსლიმანური პარტია - ალორძინების ისლამური პარტია. სსრკ დაშლის შემდეგ ამ პარტიაში შემავალი დაღესტნური ჯგუფის მთავარი იდეა იყო დაღესტნის ხალხების ერთიანობა ერთიანი სასულიერო ორგანიზაციის შესაქმნელად.

1998 წლიდან არსებობას იწყებს „დაღესტნის მუსულმანთა სასულიერო სამმართველო“. ამის შესაბამისად შეიქმნა ყუმუხებისა და დარგოელების სასულიერო სამმართველოები,



გაიხსნა 1500 მეჩეთი, 13 ისლამური უმაღლესი სასწავლებელი და 10 საობით მედრესე, დაკანონდა 200-ზე მეტი წმინდა ადგილი (მიურიდებისა და მუსულმან წმინდანთა საფლავები). ასობით ახალგაზრდა სწავლობს ახლო და შუა აღმოსავლეთის ისლამურ ცენტრებში. 80000-ზე მეტმა დაღესტნელმა შეასრულა ჰაჯი - წმინდა ადგილების მოლოცვა. დაღესტნის ხალხთა ენებზე ითარგმნა ყურანი. XX ს. დასაწყისიდან დღემდე სუფიური ტარიკატის სამი მიდინარეობა მოქმედებს: ნაკშბანდის, კადარის და შალიზის. ხელახლა გამოიცა ძველი ისლამური ლიტერატურა. გამოდის რამდენიმე დასახელების ისლამური მიმართულების უურნალი და გაზეთი. რელიგიურ პროპაგანდას ეწევა რადიო და ტელევიზია.

1995-1998 წწ. ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სოფლის მოსახლეობის 53,4% და ქალაქის მოსახლეობის 38,3% თვლის, რომ სწორედ ისლამი აკავშირებს მათ სამშობლოსთან. ისინი ეთნიკური კულტურის ორგანულ ნაწილად აღიქვამენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს. 1998 წ. ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა კონფესიური ნიშნით: რესპონდენტს 5-ჯერ უნდა ეპასუხა შეკითხვავზე: ვინ ვარ მე? მხოლოდ 21%-მა განმარტა თავისი კონფესიური კუთვნილება, აქედან მარტო 6,3%-მა მიანიჭა ამ საკითხს უპირატესობა. 1998 წ. კიდევ ერთი სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა დაღესტნის ახალგაზრდობის რელიგიურობის გამოსარკვევად. რესპონდენტები იყვნენ ძირითადად დაღესტნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სულ 617 კაცი. აქედან 83%-მა უპასუხა, რომ ის მორნმუნეა, ისლამისტი, 28%-მა დააკონკრეტა, რომ ის სუნიტია. გამოკითხულთა 4,6% დაქორწინებულია მაჰმადიანური წესით, 38 % იცავს ისლამის 5 ძირითად მოთხოვნას, 36% კითხულობს ყურანს (აქედან 8% არაბულად). კითხვაზე: დაღესტნის ტერიტორიაზე რომელ წმინდა ადგილებს იცნობთ, 2%-მა უპასუხა: რომ ამ ადგილებზე ლოცვის რიტუალს ასრულება, 3%-ს მოლოცვილი აქვს მექა

და მედინა. კითხვაზე: საჭიროა თუ არა დაღესტანში შეართოთ თის კანონების შემოღება, დადებითი პასუხი გასცა 13,3%-მა, დაღესტანი არარელიგიურ სახელმწიფოდ ესახება 70,8%-ს. გამოკითხვის შედეგები უჩვენებს რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ზერელედ რელიგიურია და მის რელიგიურობაში უფრო მეტად შეიგრძნობა ინდივიდი - საკუთარი ეთნოსის ნარმომადგენელი.

• მაჰარიყალაში მოქმედებს აზერბაიჯანის რელიგიური საზოგადოების მეჯლისი. სამხრეთ დაღესტანში ცხოვრობენ მუსულმანი შიიტები და სუნიტები. მუსულმანი შიიტების პოზიციების გამყარება დაკავშირებულია XVI ს-ის მოვლენებთან, კერძოდ, კასპიისპირეთის მიწები შირვანისა და დერბენდის ჩათვლით სეფიანთა ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. შიიტურ თემს შეადგენენ აზერბაიჯანელები, ირანელები, ლეზგების ნანილი. შიიტების სასულიერო ცენტრთაგან უპირველესია დერბენდი, აქ მდებარეობს მთელი დსთ-ს ტერიტორიაზე ყველაზე ძველი ჯუმა-მეჩეთი (VIII ს.). პატარა შიიტური თემი და მეჩეთი მაჰარიყალაშიც არსებობს. იგი ირანელების მიერაა აშენებული XIX ს., როდესაც ქალაქს ერქვა პორტ-პეტროვსკი. 1939 წ. მეჩეთი დახურეს და გადასცეს განათლების სახეობაში, მორნმუნებს ის 1991 წ. დაუბრუნეს. შიიტური თემის ბაქოს წარმომადგენელი კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს წევრია.

დაღესტნის მუსულმანთა სამმართველოს ინიციატივით დაარსდა „სამხრეთ დაღესტნის იმამთა კავშირი“ (სამხრეთ დაღესტანი შამილის სულიერი მოძღვრის მუჰამედ ეფენდი ალ-იარაღელის სამშობლოა). მის იურისდიქციაში შედის სამხრეთ დაღესტნის 13 რაიონი. მათ ურთიერთობა აქვთ ხელი-სუფლებასთან, სხვადასხვა რელიგიურ სტრუქტურასთან, მეზობელი აზერბაიჯანის მუსულმანებთან, პირადად კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს უფროსთან (ამ კავშირთან თანამშრომლობდა დაღესტნის განსვენებული მუფტი), კავშირი

აქვს თურქეთის მთავრობასთან არსებულ რელიგიური საქმეთა ების სამმართველოსთან. სამხრეთ დაღესტნის უნივერსიტეტში გახსნეს ღვთისმეტყველების ფაკულტეტი კვალიფიციური იმამების მოსამზადებლად, სადაც ვაჟებთან ერთად ქალებიც სწავლობენ. დაგეგმილია ისლამური ლიცეუმის გახსნაც.

1997 წლიდან დაღესტანში მოქმედებს სასულიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება - ახლადმოქცეულ მუსულმანთა კავშირი. იგი უნიკალურია ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე. მასში გაერთიანებულნი არიან ის ადამიანები, ვინც ადრე ქრისტიანობას ან სხვა რელიგიურ მრნამსს აღიარებდნენ, მაგრამ სულიერების ძიების გზამ, როგორც ამბობენ, ისლამის რწმენასთან მიიყვანა. ეს საზოგადოება აერთიანებს ახალ ძმებსა და დებს, ისინი 200 არიან, უმრავლესობა რუსია. კავშირის განყოფილებები მუშაობს მაჰარიყალაში, ბუინაკესპი, ჰასავიურთში. დაგეგმილია მისი დაარსება დაღესტნის ფარგლებს გარეთაც. ეს საზოგადოება თანამშრომლობს დაღესტნის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოსთან და მისი მხარდაჭერით სარგებლობს. საზოგადოების მესვეურნი ამბობენ, რომ ერთ-ერთი წევრი ჩამოვიდა ულან-უდედან, რათა ჭეშმარიტი ისლამი დაღესტანში შეიცნოს.

დაღესტნის ქალთა საზოგადოებაში პოპულარულია ორგანიზაცია „მუსლიმატი“. მისი მიზანია ისლამის ღირებულებების პროპაგანდა ქალთა შორის. „მუსლიმატის“ წევრები მონანილეობენ რესპუბლიკურ კონფერენციებში, მეჩეთებისა და მედრესეების გახსნაში. აარსებენ ქალთა სკოლებსა და მედრესეებს, უვლიან შეიხების საფლავებს, ყმანვილებს ასწავლიან ისლამის ძირითად დებულებებს, ორგანიზებას უწევენ ყურანის შესწავლას. ყურანის მეოთხე სურას ენოდება „ნისა“ („ქალები“). ერთ-ერთი ჰადისი მოუწოდებს მამაკაცებს, მოუფრთხილდნენ ქალებს, რადგან ისინი მათი ტყვეები არიან. მხოლოდ დედის მიმართ ამბობს მუჰამედი, რომ „სამოთხე მის ფერხთაა“. ეს მოტივი „მუსლიმატისთვის“ ძირითადია.



ამრიგად, ისლამი დაღესტანში ოდესალაც ერთიანი კულტურული მემკვიდრეობის, რელიგიური მომღერალის დიფერენციაციის მნიშვნელოვანი მოვლენაა. რელიგიური მთლიანობის დარღვევა, რა თქმა უნდა, უფრო გვიან მოხდა, თუმცა ამით ეთნიკური კავკასიულების შინაგანი მთიანობა არ დარღვეულა, რასაც მათი კავკასიური წარმომავლობა განაპირობებს. ისლამიც კი კავკასიაში თავისებურად, კავკასიურად დაფუძნდა. ამიტომაც ჩრდილო კავკასია ვერასდროს იქცა ფუნდამენტურ ისლამურ ქვეყნად. მთიელთა რელიგიურ რწმენაში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული ადგილობრივი კულტები და ყურანის სიუჟეტები, რასაც სპეციალისტები სინკრეტიზმს უნდებენ. ჩრდილო კავკასიის ხალხების ცხოვრებაში რელიგიური ელემენტები ბევრად აღრე გაჩნდა, ვიდრე მუჰამედი დაიბადებოდა. კავკასიის ქრისტიან და მაჰმადიან მოსახლეობას შორის ისლამი კედლად აღიმართა, მაგრამ საბოლოოდ საშიშ ძალად მაინც ვერ იქცა, რადგან დაღესტანში ცნებები „ეთნიკური“ და „რელიგიური“ პარალელურად არ აღიქმედა. პირველი ეთნოსის წიაღში ვითარდება და მისი სახეა, მეორე ისტორიული შენაძენია. კავკასიური ისლამის გასაგებად შამილის სახელი სრულიად საქმარისია. შხოლოდ ისლამის ყოფასთან მჭიდრო კავშირმა გამოიწვია ეროვნულისა და რელიგიურის ყალბი გაიგივება. შამილის დამოკიდებულება ეროვნული ელემენტებისა (იგი ნმინდანად აცხადებს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მთიელებს, კულტის მნიშვნელობას ანიჭებს მათ საფლავებს) და ადათებისადმი თანამედროვე ისლამის განვითარების საფუძველია, მით უმეტეს, რომ მძღავრი მხარდაჭერა აქვს ფუნდამენტური ისლამური სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები გააჩნდათ კავკასიაში, რაც ენინაალმდეგება რუსეთის ინტერესებს და ინვესტიციების პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვას, კონფლიქტებს, სისხლისლერას, რის შეღამაზებასაც ზოგჯერ იდეოლოგიით ცდილობენ. მსგავსი პროცესები მიმდინარეობს და-

ღესტანში. ეს ქვეყანა მთელს კავკასიასთან ერთად დიდ განვითარებული სახელმწიფოთა ინტერესების სფეროში ხვდება. მიზნის მისაღწევად ზოგი იარაღს იყენებს, ზოგი რელიგიურ მიმდინარეობას. ამ ფუნქციას ამჯერად ვაპაბიზმი ასრულებს, რომლის გავლენაც ადგილობრივ ნიადაგზე ჩამოყალიბებულ ისლამთან შედარებით სუსტია და არც საშიშროებას არ წარმოადგენს. რა გზას ირჩევს ტრადიციული სუფიური ისლამი ასეთ ვითარებაში? ამ კითხვაზე დაღესტნის სასულიერო პირთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა პასუხი ერთია: „რუსეთთან ერთად“, თუმცა ამტკიცებენ, რომ ისლამი აქ პოლიტიზებული არ არის. რაც უფრო რთულდება კავკასიის ურთიერთობა გარესამყაროსთან, მით უფრო ნათელი ხდება კავკასიური სულისა და სხეულის მთლიანობის აუცილებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაევი ვ., რელიგიურ-პოლიტიკური კონფლიქტი იჩქერიის რესპუბლიკაში 105 (რუს. ენაზე).
2. შიპაიძოვი ა., ისლამი დაღესტანში, „ცენტრალური აზია და კავკასია“, 1999, №4, გვ.195 (რუს. ენაზე).
3. ხაინდრავა ი., რელიგიური ომი ჩრდილო კავკასიაში: ხედვა საქართველოდან; „ცენტრალური აზია და კავკასია“, 1999, №5, გვ. 73 (რუს. ენაზე).

ქართლის სოციალური სტრუქტურა „მოქცევაზე ქართლისახს“ მიხედვით ქ3. ნ. IV ს-ის პოლოდან ახ. ნ. IV ს-ის II ნახევრაგდე

„მოქცევაზე ქართლისახს“ უაღრესად ძუნნ ცნობებს გვან-
ვდის ძველი და ადრეფეოდალური ქართლის სოციალურ აღ-
ნაგობაზე.

„მოქცევაზე ქართლისახს“ პირველი დიდი ნაწილით ძველი
ქართლის ისტორიის ქრონილოგიური ჩარჩოებია ძვ. ნ. IV -
ახ. ნ. IV ს. I ნახევარი. ამ დიდ ქრონილოგიურ ჩარჩოში „მოქ-
ცევაზე ქართლისახს“ მიხედვით დღევანდელი ქართლის, აღმო-
სავლეთ საქართველოს, ტერიტორიაზე ორი საზოგადოებაა
ნარმოსახული: უკლასო, ნინასახელმწიფოებრივი საზოგადო-
ება და კლასობრივი.

უკლასო ნინასახელმწიფოებრივი საზოგადოება ძეგლში
ძალიან მოკლედაა მოცემული, ეს პერიოდი ალექსანდრე მაკე-
დონელის ეპოქაა - ძვ. ნ. IV ს-ის II ნახევარი. ძეგლით ქართლში
ექვსი ციხე-ქალაქია: სარკინე, კასპი, უფლისციხე, ურბნისი,
ოძრავე და „ძველი მცხეთა“ (3, გვ. 81-82). ეს ქართული სახელ-
ნოდების ტოპონიმები (ციხე-ქალაქები), ცხადია, იმაზე მეტ-
ყველებს, რომ აქ ქართული მოსახლეობაა, მაგრამ „მოქცე-
ვას“ მიხედვით, ჯერ მას აქ სახელმწიფოებრიობა არ გააჩნია.
ამიტომ, აქვარაა, ძეგლი აქ გვისურათებს უკლასო გვარო-
ვნულ საზოგადოებას, ე. ნ. სამხედრო დემოკრატიის ზედა სა-
ფეხურს, ნინასახელმწიფოებრივ სტრუქტურას. ძეგლის „უფ-
ალი“, რომელიც, უეჭველია, ქართულ მოსახლეობას ჰყავდა,
აქ უფრო სამხედრო დემოკრატიის ტომთა გაერთიანების სა-
ტომო სამხედრო ბელადია, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკური
ხელისუფალი, საზოგადოება, ცხადია, ნარმართულია.

ცხადია, ძნელი არაა წინაკლასობრივი გვაროვნული შემთხვევა, ზოგადოების არსებობა ვაღიაროთ დღვევანდელი ქართლის ტერიტორიაზე უძველეს ხანაში, ეს არქეოლოგიური მონაცემებითაც კარგად დასტურდება. მაგრამ „მოქცევად ქართლი-სახს“ ცნობას უძველეს ქართლში წინაკლასობრივი გვაროვნული საზოგადოების არსებობის შესახებ მხარს უჭერს საკონტროლო ქართული ორიგინალური წერილობითი წყაროც, „ქართლის ცხოვრება“, სახელდობრ, ლეონტი მროველი.

უძველეს ხანაში კავკასიის ხალხთა ეთნარქების ამბავის თხრობისას, ლეონტი ეხება „ქართლის ქვეყანას“ და ქართლოსიანების უძველეს ისტორიას და აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ქართლოსიანების (ქართველების) დამკვიდრებისას ქართლში, „არავინ იყო მათ შორის უნარჩინებულეს და უსახელვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ენოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა“ (5, გვ. 11).

ბრნყინვალედ ნარმოსახული და ნათლად დახასიათებული აშკარა წინაკლასობრივი და წინასახელმწიფოებრივი გვაროვნული საზოგადოებაა, XI ს. ქართველი ისტორიკოსის მიერ მოცემული. საზოგადოება, სადაც არ არიან „წარჩინებულნი“, არ ჰყავთ „მეფე“ ანუ პოლიტიკური ხელისუფალი, არ ჰყავთ ერისთავები - სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელეები, მაშასადამე არ ჰყავთ გაბატონებული კლასი თავისი ნარმომა-დგენლობით, არა აქვთ სახელმწიფო თავისი პოლიტიკური ინსტიტუტებით.

ლეონტის მიერ აღნერილ ძველი ქართლის უკლასო საზოგადოებას ჰყავს მხოლოდ გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ხელისუფალი: ქართლის კუთხეების („ადგილითი-ადგილად“) გვაროვნულ საზოგადოებათა თავკაცები „თავადნი“, რომელთაც, ჩანს, ირჩევდნენ. ამ თავკაცთა და

მთელ ქართლოსიანთა უფროსი ხელისუფალი კი არის „მამაში“ თას მჯდომი „თავადი“, რომელსაც მამასახლისი ეწოდებოდა, იგი იყო „მაზავებელი და ბჭე“ ქართლოსიანთა საზოგადოებისა. ქართლის გვაროვნული საზოგადოების ეს „მამასახლისობის ხანა“ ნინაკლასობრივ, „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქას განეკუთვნება.

აქ ჩვენ შეგვიძლია „მოქცევად ქართლისაას“ აღნიშნული ცნობის სხვა საკონტროლო წყაროების მოყვანაც, ქართლში უძველეს ხანაში უკლასო საზოგადოების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს იმდენად ცნობილია, რომ ამჯერად მისი დამოწმება საჭიროებას არ წარმოადგენს. მთავარი ისაა, რომ „მოქცევად ქართლისააში“ სავსებით სწორად მოცემულია ცნობა ქართლში ნინაკლასობრივი საზოგადოების არსებობაზე. სადაც შეიძლება იყოს მხოლოდ ქართლში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პერიოდი - ქრონოლოგიურად IV ს-დან მისი უფრო სილრმეში გადატანის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

უკლასო, წარმართული გვაროვნული საზოგადოების მოკლედ დახასიათების შემდეგ „მოქცევად ქართლისაა“ გადმოგვცემს უკვე კლასობრივი საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას, რასაც იგი ალექსანდრე მაკედონელსა და მის ეპოქას უკავშირებს.

„მოქცევაას“ მიხედვით ალექსანდრეს ქართლში თან მოჰყვა ერთ-ერთი სარდალი არიან-ქართლის მეფის ძე აზო, რომელსაც მიუბოძა მცხეთა საჯდომად. აზო მიდის სამშობლოში, არიან-ქართლში, საიდანაც მოყავს ქართლში „რვად სახლი“ (ჩანს სამოხელეო წარჩინებული არისტოკრატია) და „ათნი სახლი მამა-მძუძეთანი“ (გამზრდელნი), არსენისეული „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით კი „ათასი სახლი“ თანამემამულე-თვისტომნი, ჯდება ძველ მცხეთას, წარმართული პანთეონიდან მისი კერპებია გაცი და გაიმ.

„მოქცევაზე ქართლისაა“ აქ გვამცნობს: აზო იყო „პირვეული მეფე მცხეთას შინა“ (3, გვ. 81-82), ანუ ასე ნარმოშვა ქართლში თვეელთა ახალი სახელმწიფო ბრივი ორგანიზაცია ქართლში.

როგორც ითქვა, შესაძლოა, ასეთ ისტორიულ ფაქტს ძვ. წ. IV ს. ბოლოს მართლაც ჰქონდა ადგილი: სამხრეთით, მცირე აზიის რეგიონში პონტოს სამეფოს აღმოსავლეთით არ-სებული სამხრეთქართული პოლიტიკური გაერთიანებიდან, „არიან-ქართლიდან“ (რომელსაც, ძეგლით, მეფე განავებს), პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთით, მცხეთის რეგიონში გადანაცვლებას, რაც აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და დაუჯერებელი აქ არაფერია.

ჩვენს ყურადღებას ამჟამად იქცევს „მოქცევაში“ მოცემული ამ მოვლენის მეორე, სოციალური მხარე, - კლასობრივი საზოგადოების ნარმოქმნა ქართლში (თუ „ჩრდილოეთ ქართლში“).

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „მოქცევაში“ არიან-ქართლის სამეფოდან მცხეთის რეგიონში აზოს გადმოჰყვა კლასობრივი საზოგადოება - რვა სახლი, არიან-ქართლის სახელმწიფოს მსახურეული არისტოკრატია და „ათნი“ თუ „ათასი სახლი“ (საგვარეულო) თანამემამულენი, რომელთა ნაწილი, შესაძლოა, მხედრები, ქურუმები, ვაჭარ-ხელოსნები და კიდევ სხვა სოციალური ფენა თუ ჯგუფი ყოფილიყო. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისს საფუძველი გააჩინია. მართალია, „მოქცევაზე“ მიგრანტი „სახლების“ სოციალურ დიფერენცირებას არ იძლევა, მაგრამ არსენისეული „ნინოს ცხოვრება“ „ათას სახლს“ „მდაბიორებად“ იხსენიებს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ სამხრეთიდან, არიან-ქართლიდან, ჩრდილოეთით, ქართლის ცენტრალურ ნაწილში - ურბნის - კასპ-უფლისციხე-მცხეთის რეგიონში სახელმწიფო ეპრიობის გადმონაცვლებას მოჰყვა, ასევე, ამ რეგიონში არიან-ქართლის კლასობრივი საზოგადოების მიგრაციაც. მართალია, უფრო რეალურ-ისტორიული ისაა, რომ ჩრდილოეთით,

ქართლში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერთებული რმოქმნა, როგორც ერთდროული პროცესი, მოხდა ადგილობრივი, სპონტანური განვითარების შედეგად, მაგრამ „მოქცევა ქართლისას“ კონცეფცია ისტორიული საქართველოს მოსაზღვრე სამხრეთ რეგიონიდან (რომელსაც „მოქცევას“ ავტორი „არიან-ქართლის“ სამეფოდ იცნობს) ჩრდილოეთით მცხეთის რეგიონში სახელმწიფოებრივისა და კლასობრივი საზოგადოების მიგრაცია-გადანაცვლების შესახებ, უსაფუძღლო არ ჩანს, რადგან ქართველ ტომთა საცხოვრისი ძვ. წ.-ის IV-III სს-ში განვითარებული ჩანს მთელ ამ ტერიტორიაზე, - პონტოს მოსაზღვრე ისტორიული მესხეთიდან (მოსხიკე) დაწყებული ვიდრე ძველი ალბანეთის საზღვრებამდე.

ისიც შესაძლოა, ქართლში (იბერიაში) კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნა მომხდარიყო სამხრეთ ქართული და ჩრდილოეთ-ქართული გაერთიანებების შერწყმის, მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სინთეზის გზით. მაგრამ „მოქცევა ქართლისაა“ მაინცდამაინც სახელმწიფოებრივი ცენტრის მიგრაცია-გადმონერვას უჭერს მხარს ქართლის სახელმწიფოსა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის საკითხში.

რაც მთავარია, „მოქცევა ქართლისაა“ ცნობით, ძვ. წ.-ის IV ს-ის ბოლო მესამედში (ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში) ქართლში იქმნება სახელმწიფო - ქართლის სამეფო, თავისი კლასობრივი საზოგადოებით. „მოქცევას“ ეს ცნობა-კონცეფცია სწორია და მას მხარს უჭერენ საკონტროლო ნყაროებიც - არქეოლოგიური და ნერილობითი.

აღინიშნა, „მოქცევა ქართლისაა“ ქართლის (იბერიის) უძველეს ქალაქებად IV ს-ში მიიჩნევს, კასპს, უფლისციხეს, ურბნისსა და მცხეთას - შიდა ქართლში, ხოლო ოძრეს - მესხეთში. არქეოლოგ-სპეციალისტთა გამოკვლევებით „მოქცევას“ ეს ცნობა ძირითადად დადასტურდა (4, გვ. 620). უფრო მეტიც, არქეოლოგთა აზრით, მცხეთა ძვ. წ. VI-V სს-ში უკვი

ქალაქური ტიპის სამოსახლო იყო და იგი ადრეელინისტური ხანიდან იბერთა მეფის დედაქალაქიდ იქცა (4, გვ. 623). ამავე პერიოდის (VI-Vსს.) ქალაქური ტიპის დასახლება იყო, მათი აზრით, უფლისციხე (4, გვ. 623).

გ. მელიქიშვილის აზრით, „ქართლის (იბერიის) ერთიანი დიდი სამეფოს ნარმოქმნა დედაქალაქით მცხეთაში, როგორც ჩანს, მართებული იქნება, რომ ძვ. წ. IV-III სს. დავუკავშიროთ (4, გვ. 444). როგორც იგი აღნიშნავს, ამაზე ისიც უნდა მეტყველებდეს, რომ არქეოლოგ-სპეციალისტთა აზრით, იბერიის უძველესი დედაქალაქის, ციხე-ქალაქ არმაზციხის (დღ. ბაგინეთი) უძველესი არქეოლოგიური ფენა სწორედ ამ დროისაა (1).

უნდა აღინიშნოს, რომ „მოქცევაზ ქართლისაში“ მოცემული შიდა ქართლის უძველეს ციხე-ქალაქთა მთელი კომპლექსი, ძირითადად გამოვლენილ-შესწავლილი არქეოლოგთა მიერ, სწორედ იმ პერიოდისაა, როცა IV-III სს-ში „მოქცევაზ“ გვაუწყებს სახელმწიფოსა (სამეფოს) და კლასობრივი საზოგადოების ნარმოქმნას ქართლში.

არქეოლოგიური მონაცემების გარდა, წერილობითი წყაროებიც ადასტურებენ „მოქცევაზ ქართლისას“ ცნობას - ქართლის სახელმწიფოს არსებობას ადრეელინისტურ ხანაში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ძვ. წ. I ს-ის ცნობილი გეოგრაფიის და ისტორიკოსის სტრაპონის (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 24 ნნ.) აღნერილობა იბერებისა და მისი ქვეყნის შესახებ, სადაც ნათლად ჩანს, როგორც იბერთა (ქართლის) სახელმწიფო მეფით სათავეში, ისე იბერიის კლასობრივი საზოგადოება (ოთხი კლასი, ნოდება („გენოსი“)) (6).

ძვ. წ-ის I ს-ში ქართლი (იბერია) რომ საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოა, ამას ცხადად მოწმობს ამ პერიოდის მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები - რომაელთა (პომპეუსის) ლაშქრობა იბერიის სამეფოში ძვ. წ.-ის 65 წელს და ქართლის სამეფოს

ურთიერთობა რომის უძლიერეს იმპერიასთან (დიონ კასტოუსი -
სა და პლუტარქეს ცნობები) (4, გვ. 501-503).

ამასთან, კარგადაა ცნობილი ქართლის სამეფოს ძლიერება და მისი პოლიტიკური აქციები რომის, პართიისა და ამიერკავკასიაში მეზობელი სახელმწიფოების (ალბანეთი, სომხეთი) მიმართ I-II სს-ში (სტრაბონი, პლუტარქე, დიონ კასტოუსი, ტაციტუსი) (4, გვ. 510-515).

ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების გარდა, „მოქცევა ქართლისას” ცნობას ადრეელინისტურ ხანაში ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისა და არსებობის შესახებ, ჩვენი აზრით, მონმობს, ასევე, თვით ქართლის ძველ დედაქალაქ მცხეთაში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული წარწერები I-II სს-ისა: რომის იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა მცხეთის გალავანზე 75 წელს, არმაზის ბილინგვა, - ორენოვანი წარწერა (ბერძნულ-არამეული) II ს-ისა, სადაც კარგად ჩანს ძველი ელინისტური ქართლის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია - უმაღლესი პოლიტიკური სამოხელეო სტრუქტურა მეფით სათავეში.

ამრიგად, უძველესი ქართული საისტორიო წყაროს „მოქცევა ქართლისას” ცნობა ადრეელინისტურ ხანაში, ძვ. ნ. IV ს. ბოლოს და III ს. დასაწყისში, ქართლში სახელმწიფოსა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნისა და არსებობის შესახებ დადასტურებას პოულობს ანტიკური ეპოქის არქეოლოგიურ, წერილობით და ეპიგრაფიკულ ძეგლებში. „მოქცევა ქართლისას” ამ ცნობის რეალობას მხარს უჭერს აგრეთვე ქართული ისტორიული ტრადიცია - ქართული ორიგინალური ძეგლი „ქართლის ცხოვრება” (ლეონტი).

ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს „მოქცევაში” დაცული ანტიკური ეპოქის (ძვ. ნ. III - ახ. ნ. III სს.) ქართლის სახელმწიფოს სოციალური სურათის რეკონსტრუქცია, რამდენადაც ამის საშუალებას თვით ძეგლი მოგვცემს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ წინაქრისტიანული ქართლის სოციალურ სურათს ძვ. წ. IV ს. ბოლოდან ახ. წ. IV^{ს.} 20-იან წლებამდე. „მოქცევად ქართლისაში” ეს ხანგრძლივი პერიოდი მშრალი ქრონიკული ჩანაწერებით, სახელდობრ, ქართლის მეფეთა სიითა და ამ მეფეების დროს მიკროპოლიტიკური და სამშენებლო ქრონიკის სახითაა მოცემული. მართლაც, „მოქცევას” ცნობებით, აზო-ფარნავაზ მეფეთა მემკვიდრეების დროს დიდი სამშენებლო სამუშაოები ნარმოებდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში - საქალაქო თავდაცვითი და საკულტო ნაგებობანი. უფრო ადრე მინიმენებულია ქართლში საირიგაციო სამუშაოებიც, ალექსანდრე მაკედონელის დროს, როცა აღნიშნულია, სარწყავი რუს გამოყვანა მდ. ქსნიდან („ალექსანდრემ რუს გამოიღო ქსნით”) და მისი წესრიგში ყოფნის მიზნით სარწყავ არხზე მერუეების დაყენება. მართალია, წინაქრისტიანული კლასობრივი საზოგადოება „მოქცევას” ცნობით სახეზეა, მაგრამ ძეგლში ქვეყნის საზოგადოების სოციალური სურათი უაღრესად ზოგადია: მოცემულია მეფეთა სია და მწარმოებელი საზოგადოება ზოგადად, სოციალური ფენები კი, გაბატონებული და ექსპლუატირებული კლასისა, წინაქრისტიანულ ქართლში მოცემული არაა. ამიტომ, წინაქრისტიანული ქართლის სოციალური სტრუქტურის, საზოგადოების დიფერენცირებული სოციალურ-კლასობრივი სურათის რესტავრაცია „მოქცევად ქართლისას” მიხედვით თითქმის არ ხერხდება.

მართალია, სოციალური ანუ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ქართლის ეს წინაქრისტიანული პერიოდის საზოგადოება, ძეგლის მიხედვით, კლასობრივია, მაგრამ იგი არ ჩანს არც ტიპოლოგიური (ფორმაციული) და არც სტადიალური (საფეხურებრივი) განვითარების დონის თვალსაზრისით. ერთი რამ კი აშკარაა: ქართლის პირველი კლასობრივი საზოგადოება (რაც მოცემულია „მოქცევაში”) შეიცავდა ექსპლუატაციისა და მორჩილების სხვადასხვა ფორმებს,



მათ შორის მონობას. ასევე იგი შეიცავდა კლასობრივი საზოგადოებრივი, გადობის მახასიათებელ ატრიბუტს, სახელმწიფოს საძოხე-ლეო სტრუქტურას. მართალია, წარმართი მეფეების სია - ქრონიკაში, უკანასკნელ წარმართ მეფე მირიანამდე, ქართლის მეფეების გარდა, არ ჩანს წინაქრისტიანული ქართლის სხვა სახელმწიფო მოხელეები: „მთავრები”, „ერისთავები”, „სპასპეტები”, „ქურუმები” თუ სხვა, ასევე სოციალური ფენებიც, მაგრამ ქართლის კლასობრივი საზოგადოების სოციალური და სახელმწიფოს სამოხელეო სტრუქტურის სურათი - ზოგადად, მაინც ჩანს უკანასკნელი წარმართი და პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის დროს, რაც რეტროსპექტულად შეიძლება გადავიტანოთ წინა, ადრეულ ხანაზე, მათ შორის ადრეელინისტურ ხანაზეც - ძვ. წ.-ის IV-ი საუკუნეებზე. კერძოდ, მირიან მეფის დროს „მოქცევათ” ქართლის სახელმწიფოში არის მეფის „პალატ-ბანაკი” (3, გვ. 86), ანუ სამეფო დარბაზი (საბჭო), რომელშიც იგულისხმება ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი. ასევე, „მოქცევას” ცნობებით, მირიანის მეფის დროს ქართლში არიან გაბატონებული კლასის წარმომადგენლები: „ერისთავები” („ერისთავი” - ნინოს მხლებელი) და „მთავარნი” („კახნი მთავარნი”) (3, გვ. 88-89). მოხსენიებულია აქ „ყოველი ერი”-ც („მირიან მეფე და ყოველი ერი”) (3, გვ. 91), რომელშიც, ჩვენი აზრით, იგულისხმება იმ დროის ქართლის ყველა საზოგადოებრივი ფენა - გაბატონებული და მორჩილი.

ამასთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ „ქართლის მოქცევის” ქრონიკის ცნობების შესამოწმებლად, ძველ ადრეელინისტურ ქართლში კლასობრივი საზოგადოების სოციალური სურათისა და სახელმწიფოს სამოხელეო სტრუქტურის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვაქვს საკონტროლო მონაცემები: კერძოდ, II ს.-ის მცხეთის არმაზის ბილინგვის, - ორენოვანი ბერძნულ-არამეული წარწერით კარგად ჩანს ქართლის სამეფოს მაღალი სამოხელეო

ორგანიზაცია და ამის მიხედვით, ნაწილობრივ, სოციალური სურათიც: მეფე, ეზოსმოძღვარი, სპასპეტი, პიტიახში (7; გვ. 525, 534...) და სხვ. და რაც მთავარია, ადრეელინისტურ ქართლში კლასობრივი საზოგადოების სურათის შესახებ „მოქცევაზ ქართლისაას“ მონაცემების შესამონმებლად, ჩვენ გვაქვს პირდაპირი და მეტად დიდმნიშვნელოვანი ცნობები უფრო ადრინდელი, ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის სტრაბონისა, რომლის მიერ მოცემული იბერიის (ქართლის) აღწერით, ძირითად ზოგად ხაზებში ნათლად არის ასახული აღნიშნულ პერიოდში, - ძვ. და ა. ნელთალრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართლის სოციალური აღნაგობა, საზოგადოების კლასებად, ფენებად დაყოფა. სტრაბონის აღწერით, ქართლში (იბერიაში) ოთხი „გვარი“, ანუ ოთხი კლასი, სოციალური ფენა არსებობდა: 1. მეფეთა საგვარეულო; 2. ქურუმები (კულტის მსახურნი, რომელნიც, შესაძლოა, „ერისთავებიც“ და სხვა რიგის ადმინისტრაციული მოხელეები, კუთხეების გამგებლებიც იყვნენ); 3. მინათმოქმედნი და მხედრები; 4. სამეფო მონები („ბაზილიკო დულო“) (6, გვ. 129-130). როგორც ვხედავთ, ზოგადი, მაგრამ მაინც, საკმაოდ ნათელი სურათია ელინისტური ხანის ქართლის სოციალური სტრუქტურისა.

ამრიგად, „მოქცევაზ ქართლისაა“ -ს პირველი ნაწილის - ძველი ქართლის, ძვ. ნ. IV - ა. ნ. IV სს. იბერიის ნარმართ მეფეთა სია - ქრონიკაში მოცემული, არსებითად, ბოლო ნარმართი მეფის მირიანის დროს არსებული ქართლის საზოგადოების მეტად მნირი და ზოგადი კლასობრივი სოციალური სურათი, დადასტურებას პოულობს სხვა საკონტროლო მონაცემებით და იგი რეალურ-ისტორიული ჩანს. მართალია, სტადიალურ-ტიპოლოგიურად ამ დროის ქართლის საზოგადოების სახე და განვითარების დონის გარკვევა რთულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი კლასობრივ-მონათმფლობელური იყო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 1. 1958 წ.
2. 6. ლომოური, დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1966 წ.
3. „მოქცევად ქართლისად”, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., 1963 წ.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970 წ.
5. „ქართლის ცხოვრება”, ტ. I, თბ., 1955 წ.
6. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957 წ.
7. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942 წ.

ჩართული ხალხური კოსმოტიკის ტრადიციები საქართველოში (ფარ-უმარილი)

სახის მოსავლელ კოსმეტიკურ საშუალებათა შორის ფერ-უმარილი სახის ერთ-ერთი ძირითადი გასამშვენებული საცხია.

აღნიშნული სახელწოდება, თუმცა, კომპოზიტია, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით „უმარილი - ვერცხლისწყალზე ძლიერი მუავის მოქმედებით დამზადებული თეთრი ფრვნილია, რომელსაც წყალში გახსნილს ხმარობდნენ ქალები სახეზე ნასასმელად”¹. „ფერი კი, მოვარდისფრო სალებავია სახისა, ხმარობენ უმარილთან ერთად”².

უმარილი, როგორც ერთ-ერთი უძველესი კოსმეტიკური საშუალება, დამოწმებულია, აგრეთვე, ქართულ სამედიცინო წიგნებსა და კარაბადინებში³. „იადიგარ-დაუდის” მიხედვით, უმარილი სამკურნალოა, თუმცა ერთი რეცეპტის მიხედვით, იგი კანზე გამონაყარის - სხმოს სამკურნალოდ გამოიყენება⁴.

ს-ს ორბელიანის განმარტებით უმარილი კალის ნაცარია⁵. „უსწორო კარაბადინის” ლექსიკონში განმარტებულია: „უმარილი ქალთა კოსმეტიკური საშუალებაა პირისახის თეთრი, ყირმიზი ფერით გასახალისებლად”⁶, ხოლო მის ყველა რეცეპტში დამოწმებულია როგორც სამკურნალო⁷.

ტერმინ ფერ-უმარილის განმარტება მოცემულია, აგრეთვე, დავით ჩუბინიშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში⁸ და ანდრია აფაქიძის მიერ შედგენილ არქეოლოგიურ ლექსიკონში⁹.



არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით არმაზის ხევშემოძღვანელობის სამარხებში (III-IV ს-ებ) ნანახი ფერი ნარმოდგენილია მუქი მონითალო კრისტალების სახით; აქვეა აღმოჩენილი ფერ-უმ-არილის სალესი ლამბაქიც¹⁰. ანალოგიური ფერი წითელი პიგ-მენტების სახით ნაპოვნია ძველ ევვიპტურ სამარხში. მეცნიერთა აზრით, იგი წითელ უანგ-მინას ნარმოადგენს¹¹.

საინტერესოა, რომ ჭიათურის რაიონის სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ ნანახის ოვალური მოყვანილობის რიყის ქვა, რომელსაც კარგად ეტყობა ნაკან-რები, ვარაუდობენ, რომ ეს იარაღი მინერალური სალებავის დასანაყად გამოიყენებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამავე რაიონის სოფელ ძუძუნაში ოხრას კვალი არის მიგნებული. ფიქრობენ, რომ ეს არქეოლოგიური მასალა სახის ტატუირებისათვის იყო განკუთვნილი¹².

დარეჯან მეგრელაძისა და მზია იაშვილის ცნობით, „ფერად გამოიყენებოდა მუქი იასამნისფერი კრისტალები, რომელიც წყალში გახსნისას წითელ ფერს იძლეოდა¹³. ამ სალებავს ს-ს ორბელიანი „ახალფერს“, „უბე ფერს“ უწოდებს¹⁴.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ფერი ტუჩის საცხივით (პომადასავით) იყო უფრო ხშირად მას დოლბანდზე ნაუსვამდნენ და მაგვარად მშრალი სახით იყენებდნენ. ხმარების წინ დოლბანდს დასველებდნენ და ისმევდნენ ლოყის ზედა ნაწილზე, ფერს უფრო მეტად ფერმკრთალი ქალები იყენებდნენ. იგივე ფერი გამოიყენებოდა ტუჩის საცხადაც.

უმარილს კი, იყენებდა ყველა სოციალური ფენის ქალთა აბსოლიტური უმრავლესობა.

უმარილი, ძირითადად, სითხისა და ფხვნილის სახით მზადდებოდა. ფერის მიხედვით, იგი, თეთრი და ვარდისფერია. სუფთა სახეზე ხელით ან შუშტაკით გადაისვამდნენ. შუშტაკი – ამ მიზნით შეკერილი, ხავერდის ან ბამბის ქსოვილის მრგვალი ფორმის ჰატარა ნაჭერია. სახეზე ნელსაცხებლის ნასასმელად.

ტრადიციული ფერ-უმარილი აერთიანებდა როგორ ფრთხოების გადასახმარებლივ ნივთიერებებს: კალა, ვერცხლის წყალი, ასევე ბუნებრივ ნივთიერებებს: თხის ქონი, კაკლის გული, თხილი¹⁵.

საინტერესოა, რომ სამედიცინო ნიგნებსა და კარაბადი-ნებში უმარილთან ერთად იმავე მნიშვნელობით დამონმებულია ტერმინი „უმარილო“¹⁶. ამ ტერმინს იხსენიებს ითანე ბაგრატიონი: „იყო პირდაბანილი უმარილოთა და ფერწასმული და მშვენივრად შემკობილი“¹⁷. დასახელებულ ტექსტში უმარილს სახის საცხად იყენებს მაღალი წრის წარმომადგენელი - დედოფალი.

ტერმინი უმარილი, რომელიც თავისი შინაარსით არაეშესაბანს ნიშნავს, თავდაპირველად ხომ არ გულისხმობდა, რომ უმარილის გამოყენების გარეშე სახე არაეშესაბანი, უმარილო იყო.

საინტერესოა, რომ საველე მასალის მიხედვით, ზოგჯერ სახის ფერის შესალამაზებლად სხვადასხვა სახის ბალახეული გამოიყენებოდა. სახის ბალახეულით შეღებვის წესია დამონმებული ჩვენს მიერ ქართლსა და კახეთში.

საველე მასალის თანახმად, გოგონები სახის ფერის შესაცვლელად წითელი ფერის ყვავილს, ენდროს ან წითელი ყურძნის მარცვლის წვენს ისმევდნენ. ეს წესი, ჩვეულებრივ, ყოველდღიური ხასიათისაა, თუმცა მას, საგანგებოდ, ფერიცვალება დღეს მიმართავდნენ¹⁸.

ანალოგიური მასალა კახეთში დამონმებული აქვს თეღო სახოკიას: „ძველად, კახეთში, ჩვეულება ჰქონდათ, ფერიცვალებას ფერიცვალა ბალახის წითელი ნაყოფით სახე შეეღებათ და ამნაირად ფერი ეცვალათ“¹⁹.

აქვე დავძენთ, რომ რიგ მთხოვთელთა გადმოცემით, კახეთში, ითესებოდა საგანგებო ბალახი, რომელსაც უმარილა ენოდება. მათივე განმარტებით, ამ ყვავილს თეთრი გული აქვს, ყვავილი კი წითელია²⁰.

ბალახოვანი მცენარის ფერად გამოყენებაზე ითანებული შემთხვევაში რატიონიც მიუთითებს. საყურადღებოა, რომ იგი ამ მიზნით საგანგებოდ შერჩეული ყვავილის ქალის ფერას ასახელებს. „ქალის ფერა - Fchuem italicum. ამ ორს წლისას აქვს ღერო... ყვავილთა გარდმოხდების წითელი ფერი, რომელსაც მდაბიურნი ქალი ისმენ ფერად²¹.

სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში ერთიდა იგივე მცენარე იგულისხმებოდეს.

საინტერესოა, რომ გურიასა²² და სამეგრელოში²³ სილამაზის დასაბედებლად ახალდაბადებულ გოგონას უმარილს უსმევდნენ.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ტერმინ უმარილში წიფელი ფერის მომცემი, რომელიმე ბალახი ან მცენარე იგულისხმება, რადგანაც ტრადიციული უმარილის გამოყენება ახალდაბადებულისათვის, ალბათ ნაკლებად სავარაუდოა.

წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფერ-უმარილი ითვლებოდა სახის მოსავლელ ძირითად კოსმეტიკურ საშუალებად. აქვე დავძენთ, რომ გარდა ტრადიციული ფერ-უმარილის საცხისა, ყოფაში დამოწმებულია ბალახოვანი საშუალებები: უმარილის ბალახი და ქალისფერა, რომლებიც ყოფაში, სადღეისოდ, იშვიათად მოწმდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
2. იქვე.
3. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940; „იადიგარ-დაუდი”, თბ., 1985. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურ-

6. ნალო ნიგნი - კარაბადინი. ტ. I, თბ., 1982, ქაშვილი А., Национальная
родная медицина в закавказском крае; Тб., 1902.
4. „იადიგარ-დაუდი”, დასახ. ნაშრომი.ს-ს ორბელიანი, ქარ-
თული ლექსიკონი.
5. ს-ს ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.
6. ს-ს ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.
7. ქანანელი, დასახ. ნაშრომი.
8. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
9. ა. აფაქიძე, არქეოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1980.
10. ა. კალანდაძე, ... მცხეთა, I, თბ., 1985.
11. ლუკას А., Ремесление производство древнего Египта, М.,
1957.
12. დ. თუშაბრამიშვილი, გვარჯილის კლდის პალეოლითური
ნაშთები, თბ., 1976.
13. დ. მეგრელაძე, მ. იაშვილი, ქართული კოსმეტიკის ისტო-
რიდან, „საბჭოთა ხელოვნება”, თბ., 1976.
14. ს-ს ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.
15. ქ. სიხარულიძე, ხალხური ჰიგიენა აღმოსავლეთ საქართ-
ველოში (საკანდიდატო დისერტაცია), 1990.
16. ქანანელი, დასახ. ნაშრომი, ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი,
დასახ. ნაშრომი.
17. დ. ბატონიშვილი „კალმასობა”, თბ., 1986.
18. იხ. ავტორის საველე მასალა, ქართლი, კახეთი 1980-82 წწ.
19. თ. სახოვია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბ., 1979.
20. იხ. ავტორის საველე მასალა, საგარეჯოს რ-ნი, 1980.
21. ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექ-
სიკონი, თბ., 1986.
22. იხ. ავტორის საველე მასალა, ჩოხატაურის რ-ნი, 1980.
23. 6. კაპანაძე, ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური ჩვეუ-
ლებანი, თბ., 1986.

ნარმართული ნეს-ჩვეულებები სამურზაყანობი

ნარმართული რწმენა-წარმოდგენები ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამურზაყანოში, რაც განსაკუთრებით XIX ს. პერიოდულ პრესაში აისახა. სხვადასხვა მნიშვნელობის სალოცავების არსებობას ხალხი დღესაც არ ივიწყებს, ვინაიდან წეს-ჩვეულებას ხალხი ქმნის; დროის მოთხოვნილების მიხედვით მასში ცვლილებები შეაქვს და მანამ ინახავს, სანამ მას საზოგადოებრივი ფუნქცია აქვს. ხოლო როცა წეს-ჩვეულება ამ ფუნქციას დაკარგავს, იგი ზეადმეტი და მიუღებელი ხდება და დავიწყებას ეძლევა [2, გვ. 31].

ჯ. რუხაძე სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ერის სულიერი კულტურის შესწავლა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით ხერხდება... მიუხედავად ამისა, საუკუნეების ნინ შექმნილი დღესასწაულები და ყოფის სხვა რეალიები, რაც ერის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია, ჩვენ თვალინინ ქრება, ჩვენ კი არ გვაქვს მათი დაცვის სათანადო სრულყოფილი შესაძლებლობა“ [32, გვ. 3].

მაგრამ იქნება გეგონოთ, რომ ჩვენ გვსურს ყველა ჩვეულების დაცვა, - აღნიშნავდა ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი). არა, ჩვეულებასაც თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს. და თუ იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია, და ამასთანავე ზნეობითს კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოვლად საჭიროა [42, გვ. 3]. მ. გორგოშაძის დაკვირვებით, უპირველესად ამა თუ იმ ხალხის ჩვეულება იძლევა ვინაობას და არა ტრადიცია [15, გვ. 20]. სხვათაშორის სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებულ ფერს, პიროვნულ ხასიათს. როგორც ყველა ცალკე პირისათვის საჭიროა მისი პიროვნული თავისებურება, ვინაობა, ისე ხალხისათვის საჭიროა გონივრული ხალხოსნუ-

რო ჩვეულება. სადაც ასე არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ არც გამოიყენება პროგრესია შესაძლო [42, გვ. 4].

ქართველთა უძველესი სარწმუნოების თვალსაჩინო მკვლევარის ვ. ბარდაველიძის დაკვირვებით, ქართველების უძველესი მსოფლმხედველობის შემცველი სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთები ეთნოგრაფიულ ყოფასა და ამ ყოფის ამსახველ წერილობით წყაროებში უმთავრესად რელიგიური სინკრეტიზმის სახით გვევლინება. უნდა ითქვას, რომ ეს გადმონაშთები ყველაზე მეტად ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული. ეს გარემოება უთუოდ იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობა ჩვენში ძლიერ ფეხმოკიდებული რელიგია იყო... ქრისტიანობა და საზოგადოდ უცხო მხრიდან შემოსული რელიგიები ხალხურ სარწმუნოებას შედარებით ნაკლებად შეეხო. იგი უფრო ხალხური სარწმუნოების გარეგნულ, სადემონსტრაციო ყველასათვის თვალსაჩინო მხარეში აისახა [3, გვ. 1].

ს. მაკალათიამ რელიგიური რწმენა-ნარმოდგენების შესწავლის საფუძველზე განსაზღვრა, რომ ხალხური ცრუმორნებუნეობა გენეტიკურად დაკავშირებულია ამა თუ იმ სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან... რელიგიის განვენებული დოგმატიკა მდაბიო ხალხისათვის მუდამ გაუგებარი იყო, მხოლოდ მისი გამოსახულების რიტუალი კი - უფრო თვალსაჩინო და მისაწვდომი [23, გვ. 292]. მისივე დაკვირვებით, ხალხური რწმენის გასარკვევად საჭიროა ამ რწმენის გამომსახველი კულტისა და რიტუალის გაცნობა, რომელსაც ხალხი ერთგვარი სასოებით ასრულებს. თვით ამ რიტუალს გამოყენებითი დაწინულება ეძლევა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანისა და მისი მეურნეობის კეთილდღეობას. რწმენის პრიმიტივობა მთის რაჭველებსაც ახასიათებთ და მათი ოჯახები ჯერ კიდევ გარემოცულია კეთილი და ბოროტი სულებით, რომელსაც რაჭველი გლეხი დღესაც ლოცვით მიმართავს [24, გვ. 71].

ნიშანდობლივია, რიტუალის როგორც სიმბოლური მოქმედების დეფინიცია. კერძოდ, რიტუალი თავისი არსით ღვთა-

ებრივ ყოფიერებასთან ერთიანობის, მასში თანამონაწილეების, ბის გამომხატველი სიმბოლური მოქმედებაა, საკრალური პირველსახის ანუ ღვთაებრივი განმეორება და, ამდენად, მრავალმრიანი კულტურული მოვლენა, ერთდროულად აღმნიშვნელი „შინაგანის“ (უხილავის) და „მინიერის“ ანუ სოციალური და ბუნებრივი „კოსმოსის“. სწორედ რწმენა, ანუ ადამიანის სულიერი კავშირი თავის შემქმნელთან, ღმერთთან შინაგანი აუცილებლობის ძალით განაპირობებს ხალხის მიერ გარკვეული ჩვეულებების რეგულარულ და უცვლელ, სტერეოტიპულ განმეორებადობას, მათ თაობიდან თაობაში გადაცემას [38, გვ. 5-6].

საინტერესოა, გაზეთ „დროების“ კორესპოდენცია ზოგიერთ ხალხურ წეს-ჩვეულებაზე. „ბევრი ისეთი ჩვეულებაა დარჩენილი ხალხის ცხოვრებაში, რომლის უნინდელი აზრი და მნიშვნელობა ახლანდელ დროში ჩვენ არ გვესმის, რომელიც თითქმის სასაცილოდ და სამასხროდ მიგვაჩნია. მაგრამ ცოტა რომ დაუკვირდეს კაცი ნახავს, რომ ამ ჩვეულებებს თავის დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონია ცხოვრებისათვის, ნახავს რომ მათში გამოხატულია ხალხის ცხოვრების პირობები, რომლის ქვეშ დაუწყია მას თავისი ცხოვრება“ [6]. იდეოლოგიური თვალსაზრისით, მეტად განსხვავებულია უურნალ „მწყემსის“ კორესპოდენცია. „ჩვენს ხალხში ბევრს ამაოდ მორწმუნობას და ცუდ ჩვეულებას აქვთ ფესვი გადგმული. მდაბიო ხალხი მტკიცედ ასრულებს ამ მორწმუნეობათ და ჩვეულებათა, რომელთაც ცუდი ზემოქმედება აქვთ ხალხის სარწმუნოებასა და ზნეზე. ამ ამაოდ მორწმუნეობათა შორის, ზოგი ისეთია, რომ კიდეც ვერ ნარმოგიდგენია, თუ საიდან შემოიღო ისინი ხალხმა და ან რა მიზნით ასრულებენ. ასეთია გურიაში არაქრისტიანული ჩვეულება, როგორიცაა „ყანის მოძახილი“ [26, გვ. 9].

ამჯერად, განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობაში გავრცელებული წეს-ჩვეულებები იქცევს ჩვენს ყურადღებას,

რომელიც იდენტურია სამურზაყანოსი. უფრო მეტიც, ახლო ურთიერთობიდან გამომდინარე გარკვეული მსგავსება ვლინათ დება აფხაზებთან. სწორედ ამას გულისხმობდა მკვლევარი, როდესაც წერდა, ჩვეულება არის ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული ცხოვრებისეული ვითარებით (სიტუაციით) ნაკარნახევი ქცევათა ისეთი ნორმები და წესები, რომელიც ძირითადად ოჯახში, ყოფა-ცხოვრებაში თუ ადამიანთა ისეთ ჯგუფებშია გაბატონებული, რომელიც ტერიტორიული მდებარეობით, ისტორიული ნარსულით, ენითა და კულტურით ახლოს დგანან ერთმანეთთან [21, გვ. 6].

„სამეგრელოში, ავადმყოფობის დროს შემწეობას თვით მათვან შექმნილ ღვთაებებში ეძებენ - ანუ დიდ ქვევრებში, რომელსაც ხალხის ფიქრით აქვსთ ზესთა ბუნებითი ძალა. ასეთ ქვევრებს აამსებენ ღვინით და უწოდებენ სახელებს: „საკაპუნო“, „საუკოდნო“, „საოხორო“, „სამიქელგაბრიო“, „ოდაბადე“, „სალორონთო“, „სანაჩეურო“ და სხვა. შემდგომ ოჯახის უფროსი მონინებით და მეტანით მიღის ამ ქვევრების მოსახულებად და ლოცვილობს; ლოცვაში იხსენიებს მთელ ოჯახობას და სთხოვს მას (ქვევრს) მოურჩინოს ავადმყოფი, სიმრთელე არ დააკლოს ჯანმრთელთა და გაუმრავლოს შინაური პირუტყვი. საზოგადოდ, ამ ქვევრებს ანერენ ყოველ მათ თავ-გადასავალთა! ამისათვის მსხვერპლის შენირვა და ლოცვა ამ ქვევრებისადმი მოუცილებელ საჭიროებად მიაჩინათ... მაგრამ ეს ამაოდ მორწმუნეობა მისის მეუფების, ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მოძღვრებისა და დარიგების შემდეგ და, ცოტა არ იყოს ღვინის მოსავლის შემცირების მიზეზითაც, შესამჩნევად მოისპო” [27, გვ. 9].

აფხაზების რელიგიურ შეხედულებათა შესახებ პ. ჭარა-ია წერდა, „ყველა ავადმყოფობათა შორის, რომელიც აფხაზის აზრით გამოწვეული არიან სხვადასხვა ზეგარდო მიზეზითა და პრალით, ანუ სხვადასხვა კეთილ და მავნე მომქმედ არსებათა მიერ, ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ის ავადმყო-



ფობა, რომელსაც აფხაზი რაცხს შედეგად ღვთის „მიზეზის“
ან ბრალისა. ხოლო ავადმყოფობის გამომწვევად აღიარება
ღვთის ბრალისა ხდება მკითხავის ანუ უკეთ „მელობიეს“ მიერ
ლობიოს მარცვლების გადაყრ-გადმოყრის შემდეგ, კვერს უკ-
რავს და უხსნის ჭირისუფლებს, თუ რის გამო შებრძანებულა
ღმერთი და რა გვარის ლოცვით შეუძლიათ თავი გამოიხსნან
სიკვდილისაგან... ამ „ბრალის“ გამო აფხაზი ვალად იდევს,
რომლისამე დღის წმინდ დაცვას, ანუ უქმებას... მეხის დაცე-
მის დროსაც ყოველ წლობით ამ გვარს საღოცავს კისრულობს
აფხაზი და ყოველკვირა თითო დღის უქმებას“ [8].

ზეციური ბრალისადმი ანუ ზენა დიდებულს, როგორი-
ცაა ქუხილი, ელვა და მეხი, ყოველ წელიწადს დანიშნულს
დროს ლოცვა იმართებოდა სამეგრელოს ზოგიერთ სამრევ-
ლოებში. უურნალ „მწყემსის“ ფურცლებიდან სამრევლოებს
მიმართავდნენ, რათა ხალხი დაეხსნათ ამისთანა კერპთაყვა-
ნისმცელობისაგან და უმეცრებისაგან. „სამწყსომ უნდა იცო-
დეს, რომ ქუხილი, ელვა და მეხი არის ბუნების მოვლენანი და
მათი თაყვანისცემა და მსხვერპლის შენირვა წინააღმდეგია
ღვთის მცნებისა“ [31, გვ. 6]. ამისთანა ღვთის საწინააღმდეგო
საქმე იყო მკითხავების მრავლად არსებობა სამეგრელოში.
„ძნელად ნახავთ რომელიმე სოფელს ანუ ისეთ სოფლის სა-
ზოგადოებას, რომელშიაც არ იყოს მკითხავი და სოფლის ცრუ-
ექიმი. მათ მიმართავდა ხოლმე გაუნათლებელი ხალხი რაიმე
ავადმყოფობის დროს [30, გვ. 8]. ლოცვის აღსრულების შემ-
დეგ, თუ მორჩა ავადმყოფი ხომ კარგი, თუ არა ისევ გარბის
ავადმყოფის პატრონი მარჩიელთან, რომელიც აიმედებს, რომ
შემცდარა, წმინდა გულით არ შეუწირავს მსხვერპლი. და ამი-
ტომ ხელახლა უნდა ილოცოს ხოზოთი (ხოზოს რძით მოხა-
რმულ ყველიან მჭადს უძახიან). თუ ავადმყოფი მორჩა ხომ კა-
რგი და თუ მოკვდა, მაშინ დაწესებულ დღემდე არ გაამხელენ
და არც იტირებენ [28, გვ. 10].

ასე იქცევიან „უინის“ სალოცავის დროს. უინი მეგრუ სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ზეციურს.

სამურზაყანოშო ნარმართულ წეს-ჩვეულებებს და კულტურებს ნაწილობრივი ცვლილება განუცდია. აქ წმინდა გიორგის განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც ქრისტიანული რწმენის გავლენის შედეგია. სამურზაყანოშო ხალხის რწმენით, ელვისა და ქუხილის განმკარგულებელი არის წმინდა გიორგი. უზენაესი ღვთაების უინის პრძანებით, ილორის წმინდა გიორგი ამარცხებს ეშმაქს თავისი გაორებული ისრით. სადაც ელვამ დაარტყა, იქ პოულობენ გაორებულ რკინის ისარს. თუ ელვა შინაურ ცხოველს მოკლავს, იგი უნდა მოათავსონ ფიცარნაგზე, თუ ხრამში არ გადაისვრიან, მაშინ ოჯახის წევრი დაავადდება [17, გვ. 115].

სამურზაყანოს მოსახლეობაში გავრცელებულ სალოცავების შესახებ თ. სახოკია გადაუჭარბებლად შენიშნავდა, აქაური საქონელი დასაკლავადაც იყიდება კარგი ძალი, განსაკუთრებით სალოცავებისათვის. სამურზაყანოშო იშვიათად ნახავთ ოჯახსა, რომ წელიწადში სამნაირი სალოცავის სამსახური არ ემართოთ. თითოეულ მათგანს თითო თავი საკლავი სჭირია. ახლა ამას მიუმატეთ მკითხავის რჩევით შენირული საქონელი! ზოგი მოსახლე - მწყემსი წელიწადში 200 მანეთის საკლავს გაჰყიდის [33, გვ. 288].

ვ. ზუხბაიას ცნობით, ძირითადი სალოცავები ძველ სამურზაყანოშო იყო სალოცავი სალორონთო, საჯგევო (ნმ. გიორგის), ოჭყადირე (გაზითა და ჩაქუჩით ლოცულობდნენ); წკელი - სალოცავი, ვაცით ლოცულობდნენ - ვაცს დაკლავდნენ; სამიქანგარიოს - მამლითა და გოჭით ლოცულობდნენ, იქვე უნდა მდგარიყო ძრობა. ლოცვა უინიში - თიკანითა და მოხარშული კვერით (ხოზოვერი). მთიდან საქონლის ჩამოსვლამდე საკლავს დაკლავდნენ, ელარჯსა და ჩემქვას აკეთებდნენ. იცოდნენ გვალვისა და წვიმების („ჭოროფას“) შელოცვა, „ციმუა“ ხარის დაკვლით და სხვა. იცოდნენ სხვადასხვა შე-



ლოცვები... მთელ რიგ სალოცავებში (მაგ. უინიში, ოჭკადიშვილი და სხვა) ქალებს უფლება არ ჰქონდათ შექმნათ მონაწილეობა [17, გვ. 113].

სალხურ წარმოდგენაში მჭედლობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აფხაზეთში სამჭედლოს და მჭედელს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მორჩმუნე ქრისტიანეთათვის საყდარსა და მღვდელს - წერდა პ. ჭარაძა. - და კიდევ მეტიც... ვისაც ფიცს გაუჩენდნენ თავის გასამართლებლად ის ფიცულობდა სამჭედელოში (ფიცის მიღების დროს იტყოდა „ამ ხატის მადლმაო“ და კვერს დაკრავდა გრდემლზე). თუმცა კანონით დღეს აკრძალულია, მაინც აფხაზი შინაურულად ეხლაც ხშირად, ფიცულობს სამჭედლოსა და სამჭედლოში [10]. მეგრელთა წარმოდგენით, მჭედელი სოფელში საპატიო და ამავე დროს ისეთ პირად იყო მიჩნეული, რომელიც განგებასთან იყო დაკავშირებული... მას და მის სამჭედლოს ავი ძალები ვერაფერს აკლებდნენ. მჭედელს შეეძლო ურჩები და ავაზაკები გრდემლზე დაერისხა და მათთვის დიდი უბედურება დაეტეხა [20, გვ. 88]. ს. მაკალათიას ცნობით, ფიცი და ხატზე გადაცემა იცოდნენ სამჭედლოში... სამჭედლოს ძველ სამეგრელოში ერთგვარის პატივისცემით ეკიდებოდნენ. „სახესუჯი“ ხელ-მხარის სალოცავია და მას 31 დეკემბერს ასრულებდნენ, განსაკუთრებით მჭედლები. იმ დამით ისინი იხდიდნენ „ოჭკადირეშიშ ოხვამერს“ (სამჭედლოს ლოცვას) [23, გვ. 322].

ჩვენი მასალებით, სამურზაყანოში, ძველი სტილით ახალი წლის პირველ ღამეს ბაბუა ილოცებოდა მოხარშული ღორის თავით ანდა შემწვარი გოჭით, სანთელითა და ღვინით. მიჰქონდათ სამჭედლოში, სადაც ინახებოდა გრდემლი ჩაქუჩით და სხვა ხელსაწყოები. ლოცულობდა ჯანმრთელობისათვის, ადამიანის გამრავლებისათვის. ამ ლოცვას „ხერხუნჯი“ ერქვა. მინახავს ეს რიტუალი და მას გიყვები [22, გვ. 10]. სამურზაყანოში მჭედლები თავიანთ მფარველად თვლიდნენ სამას

სამოცდახუთი (წლის დღეების ტოლი) ხელობის ოსტატს სამოცდახუთის ლომონს. მ. ჩიქოვანის ცნობით, ოდიშში, გადმოცემით, მჭედლობის ხელობის დამარსებლად წმ. სოლომონია მიჩნეული [40, გვ. 309]. ხალხში გრდემლს ყოველთვის დიდი მონიშნებითა და პატივისცემით ეპყრობიან. ვ. ზუხბაიას ცნობით, სამურზა-ყანოში გრდემლს მიიჩნევენ წმინდანად, მას თაყვანს სცე-მდნენ. ევედრებოდნენ გადარჩენას, ფიცს სდებდნენ, მტერს სწყევლიდნენ [17, გვ. 11].

სამჭედლოს ამ უმნიშვნელოვანესი ნაწილის - გრდემლის აუგად ხსენება აკრძალულია. ლეჩხუმში, ს. ცხეკუშერელი ოსტატების გადმოცემით, მას ყოველთვის სუფთად ინახავდნენ. ღამით ტილოს გადააფარებდნენ და ბრძნობის დღეს ხმიადს მიართმევდნენ. როგორც კარის ზღურბლზე, ისე გრდემლზე ჩამოვდომა არ შეიძლება [40, გვ. 309].

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, აფხაზ-ქართველთა იმ სულიერ ერთობას, რომელსაც თვალსაჩინოდ ამჟღავნებენ წარმართული ნეს-ჩვეულებებიც. ლაზებისა და ჭანების ენობრივი მასალების მიხედვით, ქართული ტერმინი „რკინა“ (კინა) ნიშნავს ცას, სამშაბათს ჭანურ ენაზე ენოდება ცის დღე (ერკინაშხა)... აფხაზურ ენაზე სამჭედლოს ენოდება - აურა, მჭედელს აურუ, სიტყვა აუან კი - ნიშნავს ცას. ამ მაგალითზე ნათლად ჩანს ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ქართველი ტომებისა და მათ მონათესავე ტომის წარმოდგენაში არსებობდა რკინის და ცის ცნებათა შორის [1, გვ. 41-42].

სამეგრელოში საქონლის გამრავლება-მფარველობას შესთხოვდნენ მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზს, უინიში ორთას (წმ. გიორგის) გალენიში ორთას, კაპუნიას და უინი ანთარს, წერს მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენების შესწავლისას მკვლევარი მ. მაკალათია [25, გვ. 63]. ხოლო აფხაზეთში, კ. ბერულავას ცნობით, „სამგარიოს“ ლოცვისას, ქრისტიანული სარწმუნოების ზეგავლენით ჰკლავდნენ გოჭს, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისა-



დმი მიძღვნილს. წესს ასრულებდნენ კერასთან, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეგარონში” (ვრცელი ოთახი, სადაც ენ-თო გაუქრობელი საღმრთო ცეცხლი). კერის ღვთაებას მსხვე-რპლად სწირავდნენ ხოლმე გოჭს ან ღორს. მეგრული „სამგა-რიო” უნდა მომდინარეობდეს ძველ ბერძნულ მეგარონისაგან [4, გვ. 4].

დიდი ი. ჯავახიშვილი ხალხში დარჩენილი მრავალი წარ-მართობის დროინდელი ზნე-ჩვეულებებისა და თქმულებების შესწავლისას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა მკვლევარებს. „თვით საგანი მეტად რთულია და დიდი სიფრთხილე და კრი-ტიკული ნინდახელულობაა საჭირო, რომ უცხო ქართულად არ ვიცნათ, ახალი ძველად არ გვეჩვენოს. ამიტომ ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც შემდეგს, ისტორიულად კა-რგად ცნობილს დროში, ისევე წინათაც, უუძველეს ხანშიაც, ქართველებს სხვადასხვა უცხო ერთან, მაგ. ასურელებთან, სპარსელებთან, ბერძნებთან, სომხებთან და მრავალ სხვა-სთან მეგობრული ან მტრული მეზობლობა ჰქონდათ და რომ, ქართულ წარმართობას, ზნე-ჩვეულებას და თქმულებებს ამ მეზობლობის კვალი უნდა ემჩნეოდეს [43, გვ. 38].

ჩვენი მასალებით, სამურზაყანში „სამგარიოს” ხუთშა-ბათს ლოცულობდნენ. შეიძლებოდა ხოზოთი (რძეში მოხარ-შული ყველიანი კვერი) სანთლითა და ღვინით ერთად. ძირი-თადად ოჯახის უფროსი შესთხოვდა საქონლის გამრავლებას, ზარალისაგან დაცვას. ძროხა რომ პირველად ხბოს მოიგებდა, მის რძის ნანარმს მანამ არ გასინჯავდნენ, სანამ არ შეულო-ცავდნენ. ამ ლოცვასაც საქონლის გამრავლების მიზნით ას-რულებდნენ [22, გვ. 6].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეგრული ოხვამერი ორგვარი მნიშვნელობით იხმარება. ერთი მხრივ ის ადგილია, სადაც ლოცვა-რიტუალი სრულდება, ხოლო მეორე მხრივ, ის საღლოცავისათვის განკუთვნილი შესანირავია. იგი შეიძლება იყოს ღვინო, პური, სანთელი თაფლი და სხვა, რომელიც ღვ-

თაებისათვის არის მიძღვნილი. ასეთივე მნიშვნელობისაა იმურავდება, რულ-რაჭული „სალოცვილი“ [19, გვ. 120].

ენობრივ მასალებს თუ დავეყრდნობით, მისაღებია არნ. ჩიქობავას მოსაზრება, რომ ოხვამე უნდა იყოს წარმართობის დროინდელი ტერმინი [39, გვ. 153].

ცნობილია, რომ ზოგიერთი სალოცავი გაქრისტიანებული იყო. ხოლო ქრისტიანული საწესო პრაქტიკა ჰქმნიდა ჩვენი ხალხის სულის ისტორიულ ერთობას, ერთიან ზოგად ქართულ კულტურას. ასეთი ერთიანობის გამომხატველად ლ. ჩინჩალაძე სამართლიანად მიიჩნევს მარანს, ზედაშესთან გამართულ რიტუალურ პურობებს, რომელიც გავრცელებული იყო სრულიად აფხაზეთის ჩათვლით. თითოეულ ოჯახში ინახებოდა ღვთისადმი და რომელიმე წმინდანისადმი შესანირავი ნითელი ღვინო - ზედაშე, რომელსაც ამ წმინდანის მოსახსენებელ დღეზე გახსნიდნენ [38, გვ. 74-75].

სამურზაყანოში მაგიზმიც იყო გავრცელებული, რომელიც ადრე, XVII ს. უცხოელ მოგზაურებს სამეგრელოში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. აქ „მიხვალ თუ არა ვისმეს ოჯახში, ნახავთ დიდ ჯოხს, საუენზედ უმაღლესს, სახლის წინ დასობილს. ეს ჯოხი არის მნარე ტყავიანი ხეებისა. თავი აქვს ზეპით ჯვარის სახით გაპობილი და იმაში არის ჩანყობილი პატარა ქვები, მასთან წამოცმულია მნარე გოგრა, მისთვის რომ ეშმაკები ყოველ ღამე დადიანო და როცა მოვლენ, წინ პირველად ამას ეტაკებიანო. მნარე გოგრას და ქვას ვერაფერს უზამენ და უკან დაბრუნდებიანო - ამნაირი აზრისანი არიან აქაურები [7]. გათვალისწინებით, თ. სახოკია თავის მოგონებებში წერდა: სამეგრელოში მზაკვრების, კუდიანების, მღალავების, ავი თვალის პატრონ ადამიანთა წინააღმდეგ სახლის კარს ზემოდან გვეკიდა გახვრეტილი ქვა, კარის ზღურბლზე დაჭედილი გვექონდა ცხენის გაცვეთილი ნალი, ღობის სარზე, საჩინო ადგილას, ჭიშკრის ახლო ჩამოცმული გვექონდა ცხენის ან ხარის თავის ქალა, მეორე სარზე - გახვრეტილი



ქვა, მხოლოდ ცოტა დიდი ზომისა, რომ გარედან კაცს ადგირავთ და დაენახა. ყველა ესენი ეზოს შიგნით მყოფი გვიფარა- ვდნენ სიავისა და ბოროტისაგან, რადგან ყველას სწამდა, რომ ავი თვალის ადამიანი თვალს მოავლებდნენ თუ არა სარჩე ნამოცმულ გახვრეტილ ქვას და ცხენის თავის ქალას, მის მის- ნობას, მის მღალაობას, ყოველივე ძალა ეკარგებოდა [34, გვ. 17]. გასაოცარია, მაგრამ ამგვარი რწმენის მატარებელ ადამიანებს დღესაც შეხვდებით სამეგრელოსა და სამურზაყა- ნოში. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. ბოროზდინის ცნობა, რომ მეგ- რელები მეტად ცრუმორნმუნენი არიან. მაგ. ყველა დარწმუ- ნებულია, რომ კუდიანები და ტარტაროზები არიანო, და ხან- დახან მეტად დრამატული ამბებიც ხდება [5, გვ. 36].

მაგიზმის ელემენტებს შეიცავს სამურზაყანოში მავნე- ბელი სულდგმულისათვის ორნაირი სახელის დარქმევა: ერთი - ნამდვილი და მეორე მოგონილი. როგორც თ. სახოკია შენიშ- ნავდა, ცდილობენ ყოველთვის მოგონილი სახელი დაუძახონ ხოლმე ამგვარ სულდგმულთ. იმიტომ რომ, - ამბობენ, ნამდვი- ლი სახელი რომ დავუძახოთ, ეგონება - გვეძახიანო. მოვლენ და დაგვაზიანებენ... თაგვსა და ჭიანჭველას გამოცვლილ სა- ხელებს განსაკუთრებით მაშინ უახიან, როცა აბრეშუმის ჭია- უსხედთ და თანაც დაატანენ: „ოშ გელოშ ვიშო“ - ას მთის იქით. ე. ი. ასის მთის იქით მისი (ცხოველის სახელი) თავიო!.. გარდა ამისა, თუ ნადირმა რაიმე ზიანი მოგაყენათ, ან აბრე- შუმის ჭიას თაგვი და ჭიანჭველა დაეხვია, ანდა ქათმები და საქონელი ჭირმა გაგინყვიტათ, სხვის სახლში თქვენს გაჭირ- ვებას ვერ იტყვით. ვითომ, რაც თქვენ გადაგხდათ თავზე ვი- საც უთხარით იმათ გადაედებათ. თქვენი ლაპარაკის შემდეგ თუ რამე მოუვიდათ, იტყვიან (თქვენზე): „მხარით მოიტანა (მარცხი) და დამისვაო“ [33, გვ. 282].

ნარმართულ ნეს-ჩვეულებათაგან სამეგრელოსა და სა- მურზაყანოში დღესაც გავრცელებულია თავზე ხელის შემოვ- ლება (მეგრულად ხეშ გოლუაფა), რომელიც ითვლება განუსა-

ზღვრელი სიყვარულის ნიშნად. თ. სახოკიას ცნობით, იგული ნიშანია იმისა, რომ ხელის შემომვლები მზადაა მოკვდეს იმავე მაგიერ, ვისაც ხელს შემოავლებენ. ეს ჩვეულება წარმოშობილია მეგრელის იმ რწმენისაგან, რომ ერთს შეუძლია მეორის მაგიერ მოკვდეს, ერთს შეუძლია თავისი სიცოცხლე მეორის კარგად ყოფნას ამსხვერპლოს. მიმართავენ ამ ჩვეულებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საყვარელი არსება, ვინმე მძიმე ავად გახდება... შეიძლება ადამიანის მაგიერ მსხვერპლად სიკვდილმა ცხოველიც შეიწიროს. ამ შემთხვევაში შესანირავ საქონელს სამჯერ შემოატარებენ ავადყოფის გარშემო [35, გვ. 95]. მსგავსი ჩვეულება გავრცელებული იყო აფხაზეთში. აფხაზი მეტადრე ქალები ამბობენ „შენ შემოგევლოს ჩემი თავი“, „რა ადგილზედაც დგეხარ იმ ადგილს შემოვევლე“. და მართლა აფხაზის ქალი დიდი ხნის უნახავს, ანუ ავადმყოფს გაზრდილს გარს უვლის სამჯერ ამ სიტყვებით: „შენი ავი, შანი ფათერაკი მე ნამელოს...“ აფხაზის რწმენით, ამ გარშემოვლების დროს ნამდვილად გადაედება კაცს იმისი ავი და ფათერაკი, რასაც გარს უვლის [9].

სამეგრელოში ბევრი წარმართული წეს-ჩვეულებაა, რომელიც სათანადოდ არის შესწავლილი მკვლევართა მიერ. ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს, ზოგიერთი დღემდე შემონახული წეს-ჩვეულების ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული ჰარალელები სულიერი კულტურის ხაზით წარმოჩნდეს.

თ. სახოკიას ცნობით, სამეგრელოში კერის პირას დამსხდართ ვინმე უმცროსს წინ რომ გადაეარნა, ხელს მოჰკიდებდნენ და უკანვე გააბრუნებდნენ. იგივე დასტურდება სამურზაყანოში. მკვლევარი ვისსამე წინგადასვლის საქციელს ცუდის მომასწავლებლად, აკრძალულად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ, წინგადამსვლელის უკანდაბრუნებით ცდილობენ შეანელონ საქციელის მავნებლობა, ძალა დაუკარგონ. შემდეგში ასეთი საქციელს მიეცა ხასიათი კადნიერებისა, ურჩობისა, არაფრად ჩაგდებისა [36, გვ. 161].



უმთავრესი ის იყო, რომ სამურზაყანოში, „ამ საბლავო განკუთხების ჩატარების შემთხვევაში მართლმადიდებელი არიან მოიპოვება. ჩინო ოლქს ყველა მცხოვრები მართლმადიდებელი არიან მოიპოვება. მათში მაპმადის სარწმუნოების აღმსარებელი არ მოიპოვება. ქრისტიანობას აქ მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული... სარწმუნოების მხრით აქაურებზე დიდი გავლენა აქვს სამეგრელოს. ოქუმელები (სამურზაყანოს ცენტრი - ი. კ.) მოსაზღვრენი და მეზობელი არიან მეგრელებისა. ოქუმელები მეგრელებისაგან იღებენ ზნე-ჩვეულებას და ამ მოსაზღვრენი მოსვლა-მოსვლა აქვს ერთმანეთში. მათში გახშირებულია ხორციელი და სულიერი ნათესაობა“ [29, გვ. 5].

სამურზაყანოში საოცარი ცრურნმენა არსებობდა აბრეშუმის მოყვანის შესახებ. „იქ ხალხი დარწმუნებულია, რომ აბრეშუმის ჭია თუ დავისვით, წმ. გიორგი გაგვირისხდება და დაგვხოცავსო“ [11]. ს. გალის მცხოვრებლები აბრეშუმის მოყვანას სრულიად არ მისდევენ. რადგანაც ამათის ფიქრით, აბრეშუმის მიზეზია, რომ სიმინდს პეპელი გაუჩნდა [12]. აბრეშუმის მოყვანა სააფხაზოში იშვიათია. გლეხები ფიქრობენ, ვითომ ყაჭის ჭიას დამოკიდებულება აქვს ჩვენს სალოცავზედ, რომელსაც უინის ვეძახითო... (ზენასი) ეს ლოცვა ვისაც ჰმართებს აბრეშუმის მოყვანა არ შეუძლიაო [13].

ასეთი დამოკიდებულება ისე იყო გამჯდარი ხალხის ცნობიერებაში, რომ ინფორმატორს დღესაც სჯერა, ს. გუდავის მცხოვრების მ. კოტუას ახალგაზრდა მეუღლის სიცოცხლე ემსხვერპლა მათ ოჯახში აბრეშუმის ჭიის გაჩენას [22, გვ. 9].

მნათობთა თაყვანისცემის გადმონაშთი სამურზაყანოშიც შემორჩენილა. როდესაც გამოჩნდება ახალი მთვარე, პირველად უნდა შეხედონ წმინდა ვერცხლს ან რკინას, ან სუფთა მინას. ამას აკეთებენ იმისათვის, რომ ადამიანი თვითონ განახლდეს (გადახალისდეს), ისე როგორც მთვარე და იყოს ისეთივე წმინდა (სუფთა) როგორც ის საგნები, რომელიც მან ნახა. მაგრამ ახალი მთვარის ნახვისას თუ შეხედა არაწესიერ

(არანშინდა) კაცს, მისი არანესიერება მას გადაუცემა შექმნითა [გვ. 116].

ამრიგად, ნარმართული წეს-ჩეცეულებების აღმოფხვრა და უმეტესად შეცვლა, ქრისტიანულმა რელიგიამ ვერ შეძლო. ნარმართული რელიგიის კვალი დღესაც ძალუმად არის ნარმოდგენილი მაგ. შელოცვებში. „ზოგიერთმა შელოცვამ დღე-მდე შეინარჩუნა თავისი ნარმართული სახე... ხოლო შელოცვების გარკვეული ჯგუფი ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ასახავს [41, გვ. 133]. შელოცვებს ადრე ინტენსიურად მიმართავდნენ, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. მოსახლეობაში დღესაც საკმაოდ ძლიერია სამკურნალო შელოცვებისადმი რწმენა. ინფორმატორი ასახელებს სოფელში ცნობილ შემლოცველს, მაინც სწამთ მისი. ვინაიდან შელოცვა მაგიის ელემენტებს შეიცავს, ეშინიათ კიდევაც. ი. გაგულაშვილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ შელოცვა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შემოინახა, არა როგორც მხატვრული ღირებულების სიტყვიერი მოვლენა, არამედ როგორც პრაქტიკული მნიშვნელობის საშუალება. ე. ი. შელოცვის შემონახვის ერთ-ერთი მთავარი და განმსაზღვრელი მხარე მისდამი რწმენის აქტში ვლინდება [14, გვ. 9] მაგ. როდესაც საქონელი ღამე ტყეში ან მინდორში დარჩება, შეულოცავენ... მერე შეკრავენ კანაფით სავარცხელსა და მაკრატელს, რომ ასე შეეკრას ნადირს კბილიო და სკამის ქვეშ შესდებენ [24, გვ. 85]. მსგავსადვე იცოდნენ სამურზაყანოში. კერძოდ, თუ ღამით პირუტყვი ტყეში დარჩებოდა, იმისათვის რომ იგი მგელს არ შეეჭამა, ასეთ წესს ასრულებდნენ: აიღებდნენ მაკრატელს და პირს ნაჭრით შეუკრავდნენ ან თოვით. მიაჩნდათ, რომ ამით მაგიურ ზემოქმედებს ახდენდნენ მგელზე, რომელსაც თითქოს პირი შეკვროდა და პირუტყვს ვერ ავნებდა [18, გვ. 92].

ამასთან დაკავშირებით, უფროდ საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზებისა და ქართველების (მეგრელების) ახლო ურთიერთობა ფოლკლორულ მასალაშიც სათანადოდ აისახა.



მკვლევარის დაკვირვებით, „ქართულიზმების“ გარევუნიტერიანობა, ნანილი აფხაზურ შელოცვებში მეგრული ან ქართული ენის ნილად მოდის, რომელიც მეგრელი მთქმელის საშუალებით უნდა ჰქონოდა აფხაზს შეთვისებული [14, გვ. 188].

ამგვარად, საკმაოდ ხელშესახებად არის ნარმოდგენილი ქართველ მორნმუნეთა ყოფაში ნარმართული რწმენის გად-მონაშთები, რომელიც ვლინდება მორნმუნეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც ა. სოხაძე შენიშნავს, მათგან ერთი ნა-ნილი პირველყოფილი რელიგიის ფორმების (ფეტიშიზმი, მა-გია, ანიმიზმი, ტოტემიზმი) ხოლო მეორე პოლითეიზმის გად-მონაშთების ჯგუფს განეკუთვნება [37, გვ. 130].

არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ საზოგადოე-ბრივ ცხოვრებაში ერთგვაროვანი ურთიერთობის, იდეების, ქცევის ნორმებისა და სხვათა მუდმივი განმეორება ნარმო-ქმნის მყარ კოლექტიურ ჩვევებს, რომელიც დროთა განმავ-ლობაში იძენს გარკვეული სისტემის სახეს. ჩვევათა ეს მზა ფორმები გადაეცემა მომდევნო თაობას, რომელიც უკრიტი-კოდ, ინერციით იყენებს მათ, რითაც ხელს უწობს ჩვევების ტრადიციად გარდაქმნის პროცესს და მათ შემდგომ კონსერ-ვაციას [16, გვ. 9].

მორნმუნები დღესაც თაყვანს სცემენ ნარმართულ სა-ლოცვებს, მაგრამ არა ისეთი სიცხოველით. მათი დაცვა სა-ზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებითაცაა უზრუნველყოფი-ლი.

გამოყენებული ნყაროები და ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. ახვლედიანი გ., ტრადიციების პრობლემა XIX-XX სა. ქართ-ველი ისტორიკოსების ნაშრომებში, თბ., 1984.



3. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი კორიდორი, თბ., 1949.
4. ბერულავა კ., აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1938.
5. ბოროზდინი კ., ბატონყმობა სამეგრელოში, ტფ., 1927.
6. გაზეთი „დროება“, №30, 1872.
7. გაზეთი „დროება“, №181, 1878.
8. გაზეთი „ივერია“, №185, 1888.
9. გაზეთი „ივერია“, №167, 1888.
10. გაზეთი „ივერია“, №186, 1888.
11. გაზეთი „ივერია“, №216, 1898.
12. გაზეთი „ივერია“, №158, 1904.
13. გაზეთი „ივერია“, №19, 1894.
14. გაგულაშვილი ი., ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986.
15. გორგოშვილი მ., ტრადიციების არსი, ფუნქციები, მომავალი, ბათუმი, 1990.
16. გუგუტიშვილი მ., ახალი ტრადიციები საქართველოში, თბ., 1976.
17. ზუხბაა ვ., ზანთარაია ს., გალი, სოხუმი, 1988.
18. ზუხბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988.
19. თოფურია ნ., საკულტო ნაგებობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, 1985.
20. კაკაბაძე ც., ჯალაბაძე გ., მჭედლობა სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979.
21. კეკელია მ., ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის, თბ., 1982.
22. კვაშილავა ი., საველე მასალა, რვეული 2, 1999.
23. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
24. მაკალათია ს., მთის რაჭა, თბ., 1987.

25. მაკალათია მ., მესაქონლეობასთან დაკავშირებული რეზიუმეების
ნა-წარმოდგენები სამეცნიეროში, მასალები სამეცნიეროს
ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979.
26. უურნალი „მწყემსი”, №21, 1887.
27. უურნალი „მწყემსი”, №19, 1892.
28. უურნალი „მწყემსი”, №16, 1885.
29. უურნალი „მწყემსი”, №12, 1889.
30. უურნალი „მწყემსი”, №10, 1885.
31. უურნალი „მწყემსი”, №32, 1886.
32. რუხაძე ჯ., ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეო-
ბა, თბ., 1980.
33. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1950.
34. სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955.
35. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. III, თბ.,
1955.
36. სოხაძე ა., ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის
გადმონაშთებთან პრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964.
37. ჩინჩიალაძე ლ., ზოგიერთი ქართული ხალხური ნ/ჩვეულე-
ბის ინტერპრეტაციისათვის, თბ., 2000.
38. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეცნიერულ-ქართული შედარებითი
ლექსიკონი, თბ., 1938.
39. ჩიქოვანი მ., ქართული ეპოსი, ნ. 1, თბ., 1959.
40. ცანავა აპ., ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1990.
41. ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები,
თბ., 1940.
42. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ნ. 1, თბ.,
1960.

ყულიშ-კარის ეთიმოლოგიისათვის

ყულიშ-კარი სამეგრელოში წარმართობისდროინდელ, ერთ-ერთ ძლიერ ხატ-სალოცავს წარმოადგენდა, რომლის სახელზეც ამავე სახელწოდების სოფლის ჩრდილოეთით დგას XIX საუკუნის ყულიშკარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ყულის ხატი სვანეთიდან ჩამოუტანია ყულიშკარში დღესაც მცხოვრებ როგავების გვარის წინაპრებს, რომლებიც სვანეთში „როგუანებად“ ყოფილან ცნობილი. ჩამოსვლის მიზეზი მათ მიერ სვანეთში კაცის მოკვლა ყოფილა; მათ იქ ვიღაც დაჩქელიანი მოუკლავთ (ალბათ იგულისხმება დადეშქელიანი). ჩამოსულა როგავების სამი ძმა და ერთი და; ერთ ძმას ერქვა უჩანა, რომელიც დასახლებულა უჩაშონაში, მეორეს როსტო, მესამეს კი ჯეგე; ყულიშკარში ისინი იმ ადგილას დასახლებულან, სადაც დღეს „ჯეგე-საგულადო“ და „ლეკერძაო საროგა“ მდებარეობს. მათ სვანეთიდან თან წამოუღიათ ყულის ხატი და „ჯეგე-უერდად“ (სიტყვასიტყვით „წმ. გიორგის ფერდობი“) წოდებულ ადგილას აუშენებიათ პატარა ხის ეკლესია; შემდგომში კი იმ ადგილას, სადაც ყულიშკარის წმ. გიორგის ქვის ეკლესია დგას, აუგიათ ჯერ ხის, ხოლო შემდეგ (XIX ს-ში) ქვის ეკლესია და ყულის ხატიც იქ გადაუტანიათ. როგავები თავიანთ „ჯინჯ“ (ძირ) ხატად ყულის ხატს მიიჩნევენ და ამ ხატის „მეხატულებსაც“ (მნათეებს) თავდაპირველად მხოლოდ როგავების გვარიდან ირჩევდნენ (19, გვ. 150-151).

როგავების გვარის სვანეთიდან ჩამოსვლის და მათ მიერ იქ კაცის მოკვლის შესახებ ხალხში ამგვარი ლექსიც არსებობს:



„რიგუ-რაგუ შონემქია;
ჰაპას დუდი მეკვათესდო;
რობუს ქიგიორაგვესია”.

„რიგუ-რაგუ სვანებმა; ჰაპას დუდი მოაჭრეს;
და ხრამში გადააგდესო”.

არის მისი სხვა ვარიანტიც:

„რიგუ-რაგუ როგემსია;
მუ რღლოლით დო მუ შერცოდით;
რობუს ქიგმორაგვეთია”

„რიგუ-რაგუ როგავებს;
რა გაგიკეთეთ ისეთი და რა შეგცოდეთ;
(რომ) ხრამში გადაგვაგდეთო” (23).

როგავების გვარის სვანეთიდან ჩამოსვლის და ყულის ხატის ჩამოტანის შესახებ გადმოცემა ჩაწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს (4, გვ. 200), ს. მაკალათიას (8, გვ. 364) და ჯ. როგავას (10, გვ. 194-197); თ. სახოვია კი მიუთითებს, რომ „ყულის ხატი სვანეთშია მოპარულიო (11, გვ. 63).

ექვთ თაყაიშვილი, როგავების გვარის აქ ჩამოსვლას, ადგილობრივი როგავას გვარის მღვდელმსახურთა გადმოცემის მიხედვით, კაცია II დადიანის დროს ვარაუდობს და ± 1788 წლით ათარიღებს (4, გვ. 200), თუმცა ექვთ. თაყაიშვილის განმარტებით, „ყულიშვარის ხატი” ამ დროისა არ ჩანს, რადგანაც, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, მას XIX საუკუნის უშნო მხედრულით ამგვარი წარწერა ჰქონია: „მღ(ვდელ)მა გაბრიელ როგავა გავაჭედი ხატი სულის ყულისა” (4, გვ. 200).

მთხოვთ გადმოცემით „ყულის”, „ილორის”, „უგურყელის” და ყულის სალოცავიდან ასევე ორ კილომეტრში მდებარე „ალერტი”-ს ხატ-სალოცავები ძმებად ითვლებოდნენ. „ყულის წმ. გიორგის” ხატი უფრო ძლიერ ხატად მიაჩნდათ, ვიდრე „ალერტის წმ. გიორგი”-სა. (20, გვ. 111). იმ ადგილას, სადაც დღეს ყულიშვარის წმ. გიორგის ეკლესია დგას, იკრიბებოდა მთელი ყულიშვარის თემის ხალხი წმ. გიორგის

ხატობა დღეს (ძველი სტილით 10 ნოემბერს), სადაც იკვლეულობის ბოდა მთელი თემის ხალხის მიერ საერთო ხარჯით ნაყიდში ჩამოიწყო, რი, რომელსაც „ენთარ ხოჯეს“ (ენთარი ხარი) ეძახდნენ (მთხრ. როგავა ლუდუკი მუშნის ძე, დაბ. 1930; ლოგუა ლუდუნი კოსმანის ძე, დაბ. 1922).

ყულიშვარის თემის ხალხი ამ ეკლესიასთან იკრიბებოდა არა მარტო ხატობა დღეს არამედ სათემო საქმეების მოსაგვარებლადაც (თემის შიგნის მომხდარი დავისა თუ დამნაშავის დასასჯელად და სხვა) „ოყედ“ წოდებული საყვირის ხმაზე, რომელიც ეკლესიაში ინახებოდა (მთხრ. მაქაცარია კიკულა ლევას ძე, დაბ. 1919; მაქაცარია ბოჩო ილას ძე, დაბად. 1921).

როგორც ჟ. მურიე გვამცნობს, „ყულიშვარის წმ. გიორგის მთელ სამეგრელოში უდიდეს პატივს სცემდნენ სამართლის დამყარებისას ან სერიოზული პროცესების ჩატარებისას, ზუსტად მის განთქმულ გამოსახულებაზე დებდნენ ფიცს მსჯავრდებულები...“ (28, გვ. 352).

მაშასადამე, დამოწმებული მასალიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ლოგიკურია ის აზრი, რომ „ყული“ თემის ხალხის „სჯა-ბაასის“ და „სამსჯავრო“ ადგილს წარმოადგენდა. როგორც ჩანს ამ ტოპონიმს საერთოქართველური ფუძე გააჩინია და ის თეონიმიური წარმოშობისა არ უნდა იყოს, მაგრამ სანამ ამ საკითხზე ჩვენს მოსაზრებას შემოგთავაზებდეთ საჭიროდ მიგვაჩინია დავიმოწმოთ შემდეგი გადმოცემა: „ყული თურქული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „მონას“ და ის ადგილი, სადაც ყულიშვარის წმ. გიორგის ეკლესია დგას, ძველად შემოლობილი ყოფილა, სადაც თურქები ტყვეებს ყიდდნენ“ (მთხრ. მაქაცარია კიკულა ლევას ძე, დაბ., 1919; მაქაცარია ბოჩო ილას ძე, დაბ. 1921, ყულიშვარი).

მაშასადამე, მთხრობელთა გადმოცემით, ყული იყო „მონათა საბაზრო“ ადგილი. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გავეცნოთ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ ზოგიერთ მოსაზრებას.

პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ „ყული“ ფუძის შემ-
ცველი ტოპონიმი სამეგრელოში ერთ ადგილას არის ფულაბერის
რებული, „ყულევი“ -ს სახით, ხობის რაიონში. ასევე უნდა აღი-
ნიშნოს, რომ „ყულალისი“ - სოფლებია ახალციხის და ბოგდა-
ნოვების რაიონში, „ყულანუხვა“ - აფხაზეთში, გუდაუთის ახ-
ლოს, „ყულარი“ - მარნეულის რაიონში, „საყულია“ - იმერეთ-
ში, ქუთაისთან ახლოს (15, გვ. 662).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეათე ტომში „ყუ-
ლი“, ტამილურ სიტყვად არის წარმოდგენილი, რომელიც სიტ-
ყვასიტყვით „საშოვარს“ ნიშნავს: „ყული ენოდებოდათ დაბა-
ლხელფასიან, არაკვალიფიციურ მუშებს - მებარგულებს, მტ-
ვირთავებს და სხვა. ყული ამერიკის ქვეყნებში ენოდებოდათ
(სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში) ხელშეკრულებით და-
ქირავებულ არაკვალიფიციურ მუშებს - ჩინელებს, ინდოე-
ლებს, მალაიელებს, ზანგებს, რომლებიც მძიმე სამუშაოს ას-
რულებდნენ პლანტაციებში. ყულის ინსტიტუტი აღმოცენდა
XIX ს-ის 30-იან, 40-იან წლებში ინგლის-ჰოლანდიის და საფ-
რანგეთის კოლონიებში მონობის გაუქმების შემდეგ და მნიშ-
ვნელოვნად განვითარდა XIX ს-ის მეორე წარევარსა და XX ს-
ის პირველ წარევარში“ (15, გვ. 662).

„ყული“, თავის უცხო სიტყვათა ლექსიკონში მ. ჭაბაშვი-
ლსაც ამგვარი განმარტებით აქვს შეტანილი (14, გვ. 545).

ნ. ჯომიდავას მასალის საფუძველზე, სამეგრელოში არ-
სებობს გვარი „ყულია“ ხოლო „ყული“ ავტორს განმარტებუ-
ლი აქვს, როგორც მონის აღმნიშვნელი სიტყვა (30, გვ. 162).

ამგვარი სახელწოდების („ყული“), გლეხთა ფენა არსე-
ბობს ბალყარეთშიც, რომლებიც აქ ტაუბებს (მაღალი წოდება
ბალყარეთში) ჰყავდათ ოჯახში მომუშავეებად და აღსანიშნა-
ვია, რომ ბალყარეთის წოდებრივი დაყოფის მაგალითზე „ყუ-
ლე“-ბი ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ
(24, გვ. 111-112).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, ვახტანგ მარტინიშვილი და დროს შეიქმნა „ყულარალასის“ ინსტიტუტი, რომელიც მეფის მცველი რაზმის სახელწოდება იყო და თავადიშვილების, აზნაურიშვილების და მსახურებისაგან შედგებოდა (3, გვ. 367), ხოლო ყულარალასისადმი დაქვემდებარებული მეფის მცველი ჯარის წევრებს „ყულე“-ბი ენოდებოდათ (12, გვ. 290).

ვახტანგი პატონიშვილის სიტყვით, როსტომშა „მონათუბუცესა ყულარალასი უნოდა“, ხოლო „მონათუბუცესის ხელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი“ (1, გვ. 499); შემდეგ ვკითხულობთ: „...ამათ ეკუეთა მაჲმუდ, აოტნა ყიზილბაშნი და მოიკლა ძმა მეფისა ყულარალასი როსტომ, მწნედ მებრძოლი ყულით“ (1, გვ. 23).

ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს სოფელ „ყულევი“-ს სახელწოდება, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხობის რაიონში, ზღვისპირა სამეგრელოში მდებარეობს.

სპაკი-ავტონომოვი, ყულევის ანუ, როგორც მას უნდებს, „რედუტ-კალეს“ აღნერილობის დროს, ეხება რა მისი სახელწოდების წარმოშობის საკითხს, აღნიშნავს: „როცა 1804 წელს კაზაკებმა დაიკავეს ხობის შესართავი, მათ მდინარის მარცხენა ნაპირზე, თითქმის ზღვის შესართავთან, ააგეს რედუტი; ამ „რედუტმა“ და ჯაიანის ძველმა კოშკმა „კულემ“ ანუ „კალემ“ მისცეს სახელი დღევანდელ რედუტ-კალესო“ (26, გვ. 25).

ნ. ხოშტარიას განმარტებით, სიტყვა „რედუტი“ ფრანგულია და ნიშნავს მომცრო ციხე-სიმაგრეს, რომელიც იმავე მნიშვნელობით რუსულშიც იხმარებოდა; „კალე“ და „კულე“, აღნიშნავს ავტორი, თურქული სიტყვები უნდა იყოს: პირველი ნიშნავს ციხე-სიმაგრეს, მეორე კი კოშკს (25, გვ. 77).

თ. ბერაძის აზრით, დღევანდელმა ყულევმა თავისი სახელი თურქული სიტყვა „რედუტ-ყალესაგან“ მიიღო (2, გვ. 42).



ნ. ასათიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელწოდებული „ყულევი” შეიძლება ნაწარმოები იყოს თურქული სიტყვა „ყული”-დან, რომელიც მონას ნიშნავს (ხობის შესართავთან რომ ოსმალებს ქართველი ტყვე-მონები გაჰყავდათ - ნ.ა) და მ. პაჭურია, ნ. ასათიანის ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, აღნიშნავს, რომ ამგვარ მოსაზრებას, იქნებ ეხმაურება „ყულისკარი”, რომელიც ზუგდიდის რაიონში ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება იყო” (9, გვ. 8).

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემებიდან გამოჩნდა, რომ „ყული” განმარტებულია, როგორც „მონის” (ან დაბალი ფენის გლეხის - ბალყარეთში) ან კიდევ თურქული ციხე-სიმაგრის” („კალე”) და კოშკის („კულე”) აღმნიშვნელი სიტყვა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარყოფთ „ყული”-ს ამგვარ გაგებას, რომ ის თურქულ-მონლოლურ ენებზე „მონას” ნიშნავს და არც იმას, რომ საქართველოში ვახტანგ VI-ის დროს შექმნილი „ყულარალასის” ინსტიტუტის სახელწოდებას სწორედ ამ თურქულ-მონლოლურ „ყულ” სიტყვიდან აქვს საწყისი; სავსებით დასაშვებია ისიც, რომ სამეგრელოში მდებარე ნავსადგურმა - „ყულევმა” სწორედ ამ უცხო სიტყვიდან მიიღო თავისი სახელი, მაგრამ ჩვენი აზრით, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს (ყულიშკარი) არავითარი კავშირი არა აქვს ამგვარ გაგებასთან.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაგვახსენდეს XVII საუკუნიდან მოყოლებული, სამეგრელოსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოში ცნობილი ტყვეთა გაყიდვის ფაქტები; აქვე შევნიშნავთ, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზღვისპირა სამეგრელოში არსებობს ტოპონიმი „ყულევი”, ხოლო სამეგრელოს მთისწინეთის ერთ-ერთ დამაკავშირებელ ხაზზე „ყულიშკარი”; ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს აზრი: ხომ არ იყო ყულიშკარი და ყულევი, რაღაც დამაკავშირებელი ხაზი ტყვეთა გაყიდვის საქმეში მთავან და ზღვისპირა სამეგრელოს შორის, ან კიდევ მთავარი „ტყვეთა ბაზრები”? ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ პირველ რიგში მოქმედებს ის ფა-



ქთი, რომ სამეცნიეროსა და საერთოდ დასავლეთ საქართველო
ლოში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა არც ისე სააშკარაოდ ხდებოდა,
რომ ამ სახის ბაზრები გაჩენილიყო, ხოლო შემდგომ კი ის ტო-
პონიმად ქცეულიყო; მეორე მხრივ კი, ვფიქრობთ, რომ ისეთი
ძლიერი ხატ-სალოცავის სახელწოდებად, როგორიც არის ყუ-
ლიშ-კარის ხატი, არ შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო თურ-
ქული სახელი და ამ შემთხვევაში „მონი“-ს აღმნიშვნელი სი-
ტყვა ყოფილიყო.

ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმ - ყულიშ-კარის ეტიმო-
ლოგია ქართველური ენებისა და დიალექტების საფუძველზე
სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომელსაც მხარს უჭერს
„ყულ“-ად წოდებული ადგილის დანიშნულება ყულიშკარის
თემის მოსახლეობისათვის.

კერძოდ, სვანური ენის ჩოლურულ კილოში „ყული“ სი-
ტყვასიტყვით ნიშნავს, „ბლავის“, „ყვირის“ (ბლავილს, ყვი-
რილს), რომლის მსგავსი სახელები ჩოლურში ადგილის სახე-
ლწოდებად არის წარმოდგენილი (7, გვ. 300).

„ყუილი“, ქიზიყურ დიალექტზე - ტურათა და ძალლთა
ღამის ხმაგაბმივ ყმუილს ნიშნავს“ (16, გვ. 615).

სიტყვა „ყვირილი“-ს აღმნიშვნელი ფუძეები ქართულშია
„ყვირ“, ჭანურში „ყურ“, ხოლო მეგრულში „ცურ“, თუმცა მეგ-
რულში მისი მნიშვნელობა დავინროებულია - იგი მხოლოდ
გარევეული სახის ყვირილს - „ყმუილს“ აღნიშნავს, ხოლო ფუ-
ძის მნიშვნელობა ქართულსა და ჭანურში არსებითად ერთი
და იგივეა (17, გვ. 359); „ყურ“-ძირის რედუპლიკაციით მიღე-
ბულია „ყულ“-ი (14, გვ. 374).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო
ტოპონიმი საერთოქართველურ დონეზე შეიძლება აღდგეს
და, უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, როგორც სემანტიკურად, ისე
აზრობრივად სვანურში მას უფრო გამოკვეთილი შესატყ-
ვისიც მოეპოვება; კერძოდ კი, სვანური ენის ჩოლურულ კი-
ლოში „ყულე“ სიტყვასიტყვით ნიშნავს - „ვამბობ“, „ვყოფ“ (7,



გვ. 300), აქედან „მი ყულე“ უნდა ნიშნავდეს - „მე ვამბობი ყული კუთხით ვყოფ“; ხოლო საერთო სვანურში „ყულე“ სიტყვასიტყვით ნიშნავს - „ყოფს“ (5, გვ. 807).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველ რიგში თუ გავითვალისწინებთ მთხოობელთა გადმოცემას იმის თაობაზე, რომ „ყულ“ - ად წოდებული ადგილი ყულიშვარის თემში წარმოადგენდა თემის შესაკრებად განკუთვნილ მთავარ ადგილს „სჯა-ბაასის“ ანუ „სალაპარაკოსი“ და „სამსჯავრო“ ანუ „სასამართლოსი“, მაშინ მას სავსებით შეესაბამება საერთოქართველურ დონეზე აღდგენილი „ყურ-ყულ“ ძირი და სვანური „ყულე“, რომელიც ნიშნავს „ვამბობ“, „ვყოფ“, ე. ი. ერთ შემთხვევაში ყულიშვარის მაგალითზე „სალაპარაკოს“, „სჯა-ბაასის“ („ვამბობ“) ხოლო მეორე შემთხვევაში „სასამართლო“, „სამსჯავრო“ („ვყოფ“) ადგილის მნიშვნელობას იძენს.

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი, მიუხედავად იმისა რომ მან ჩვენს დრომდე ერთ-ერთი ძლიერი წარმართული ხატ-სალოცავის სახელწოდებად მოაღწია, ნმინდა თეონიმური წარმოშობისა არ არის.

აღსანიშნავია, რომ თვითონ სახელწოდება ყულიშვარი, როგორც სოფლის და ხატის აღმნიშვნელი XVII საუკუნეში, სამეგრელოს შესახებ არსებულ არც ერთ ნერილობით წყაროში არ ჩანს, და აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეს ტოპონიმი უფრო გვიანდელი უნდა იყოს, რამდენადაც ისეთი ძლიერი ხატ-სალოცავის სახელწოდებად როგორმაც მან ჩვენს დრომდე მოაღწია, XVII საუკუნეში რომ არსებულიყო ძნელი წარმოსადგენია. ვფიქრობთ, ის არ უნდა გამორჩენოდათ ამ პერიოდში წლების მანძილზე სამეგრელოში მცხოვრებ არქ. ლამბერტს, უ. შარდენს, მ. ძამპს და სხვებს. ჩვენ ამით არ ვამბობთ იმას, რომ ყულიშვარში ამ დროს (XVII საუკუნეში და უფრო ადრეც) ძლიერი წარმართული სალოცავი არ არსებობდა, არამედ პირიქით, ამაზე აქ არსებული წმინდა ხე მიუთითებს. ჩვენი აზრით, ტოპონიმი ყულიშვარი სოფლის სახელწოდებად

დამკვიდრდა როგავების გვარის ანუ სვანი როგუანების სკოლის ნეთიდან ჩამოსახლების შემდეგ, რომელიც XVIII საუკუნის შემდებარების ნახევარში (ან კიდევ საუკუნის დასაწყისში) უნდა მომზადარიყო.

ჩვენი აზრით, როგავების გვარის აქ ჩამოსვლამდეც უნდა ჰქონოდა ამ ადგილს ამ სოფლის თუ თემის ცხოვრებაში (რომლის ადრინდელი სახელწოდება ჩვენთვის უცნობია) იგივე დანიშნულება, რაც სიტყვა „ყულ“-ში (სჯა-ბაასის, სამსჯავრო-სასამართლო) ჩვენ გამოვყავით, რამდენადაც, როგორც მთხრობელთა გადმოცემიდან ირკვევა, როგავების გვარს სვანეთიდან ჩამოსვლის დროს ხატი პირველად დაუსვენებიათ არა იმ ადგილას, სადაც დღევანდელი ყულიშვარის ნმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს, არამედ მისგან საკმაოდ შორს, ხოლო მოგვიანებით ისინი ხატს გადაასვენებენ და ეკლესიას აგებენ სწორედ იმ ადგილას, სადაც დღევანდელი ყულიშვარის ეკლესია მდებარეობს. ეს ფაქტი კი უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ ამ ადგილას, როგავების გვარის აქ ჩამოსვლამდე, იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ სოფლის თემის ცხოვრებაში, რასაც აქ ადრიდანვე მდგარი და დღესაც შემორჩენილი ნმინდა ხის სალოცავის არსებობა განსაზღვრავდა.

მაშასადამე, აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დასკვნა, რომ როგავების მიერ სვანეთიდან ჩამოტანილმა ნმ. გიორგის ხატმა (რომლის პირველადი სახე და სახელწოდება ჩვენთვის უცნობია) სახელწოდება „ყული“ (ყულის ხატი), ამ ადგილის დანიშნულების მიხედვით, ადგილის სახელწოდებიდან მიიღო.

აქ შეიძლება საკითხი დაისვას იმის შესახებ, გააჩნია თუ არა როგავების გვარის სვანეთიდან ჩამოსვლის შესახებ ხალხში არსებულ გადმოცემას რაიმე რეალური საფუძველი?

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ სამეცნიელოს სხვა რაიონებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, როგავების გვარის შესახებ სვანეთიდან ჩამოსვლის თაობაზე გადმოცემა გამონაკლისს არ წარმოადგენს. კერძოდ სვანეთი-

დან ჩამოსულად თვლიან თავიანთ ნინაპარს ჯგალის (წალენჯიშვილის, ჯიხის რაიონი) კვარაცხელიები, რომელნიც სვანეთში კვიციანები ყოფილან, ჯგალში მცხოვრები ჩანგელიები - სვანეთში ჩანგრსელიანები ყოფილან (21, გვ. 10-50), ჩქვალერის (წალენჯიხის რაიონი) ფიფიები, სვანეთში ფილფანები ყოფილან, ხაბუმეს (ჩხოროწყუს რაიონი) შენგელიები სვანეთიდან ჩამოსულან და სხვა. (22, გვ. 20-40).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთიდან ბარში (ან კიდევ პირიქით) მოსახლეობის მიგრაციის პროცესების განხილვა ამჯერად შორს წაგვიყვანდა, მაგრამ საკითხის დასმის მიზნით ზოგიერთი რამის აღნიშვნა შესაძლებლად მიგვაჩნია.

საყურადღებოა, რომ XIII საუკუნის სვანეთის საისტორიო ძეგლებში, სვანური-იან დაბოლოებებით მოხსენიებულია ბევრი ისეთი გვარი, რომლებიც დღესდღეობით სამეგრელოში არიან გავრცელებულნი: მაგალითად - ჩახტელიანი (6, გვ. 144) - იგივე ჩანგელია; აფაქიანი (6, გვ. 128). - იგივე აფაქია; გაბელდანი (6, გვ. 128) - იგივე გაბელია; ფანჯიკიანი (6, გვ. 126), იგივე - ფანჯიკია; ლიპარტიანი (6, გვ. 126), იგივე - ლიპარტია; ნიფურიანი (6, გვ. 138), იგივე - ნიფურია, ჭითიანი-ჭითანი (6, გვ. 140-145), იგივე - ჭითავა//ჭითანავა; გუარამიანი (6, გვ. 143), იგივე - გვარამია, ჯამბურიანი (6, გვ. 145), იგივე ჯამბურია.

ჩვენთვის საინტერესო როგავების გვარის მსგავსი ფორმა არც ამ ტექსტში და საერთოდ არც სვანეთის მაგალითზე დასტურდება; სვანური ფორმა, როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, „როგუანი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვფიქრობ, საინტერესოა თვითონ ამ გვარის ეტიმოლოგია, რომელიც ჩვენი აზრით, სვანური ენის საფუძველზე იხსნება, კერძოდ კი ზემო სვანურად „როგ“ ნიშნავს „ცერცვს“ (7, გვ. 252); მის ამგვარ ახსნას მხარს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ არსებობს ქართული გვარი ცერცვაძე, ხოლო იმერეთში - როგაძე. მაშასადამე, გვა-

რსახელები როგავა//როგუანი//როგაძე//ცერცვაძე ჩვენში მდგრადი, ნტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ ზოგიერთი მეგრული გვარის, კერძოდ კი როგავების გვარის სვანეთიდან ჩამოსვლის შესაძლებლობას, ვინაიდან სავსებით შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა მთიდან ბარში ეთნიკური მიმოქცევის პროცესებს; ამის მიზეზი კი შეიძლება ყოფილიყო მცირემინიანობა, რის გამოც სიღარიბით შეწუხებული სვანეთის მოსახლეობა სამეგრელოში სამუშაოს საძებნელად ჩამოდიოდა. ეს ვითარება მთხრობელთა გადმოცემიდან გამომდინარე, XX საუკუნის თითქმის მთელ სიგრძეზეც შეინიშნება და სამუშაოდ ჩამოსული სვანი უმრავლეს შემთხვევაში ადგილზევე რჩებოდა და სახლდებოდა. მათ აქ დარჩენას და დასახლებას ადრინდელ ეპოქებში (იგულისხმება XVI-XVII საუკუნეები და შემდგომ) ადგილობრივი ფეოდალებიც ხელს უწყობდნენ, რამდენადაც ისინი მათ თავიანთ ყმებად იხდიდნენ. ჩამოსახლების კიდევ ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო სვანეთში სისხლის აღების წესის შემოჩენილობა, რომელიც დამნაშავეს (მკვლელს) აიძულებდა თავისი სოფლიდან, თემიდან, ხევიდან შორს წასულიყო და სამეგრელოსთვის შეეფარებინა თავი და იქ დასახლებულიყო.

განსახილველ ტოპონიმთან (ყულიშ-კარი) დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მისი მეორე კომპონენტი - „კარ“ ლექსემა.

რ. ხარაძის აზრით, სახელწოდება „კარი“, რომელიც სოფლების ტოპონიმიკაშიც არის შემორჩენილი, გამოხატავს განსაკუთრებულ კომპაქტურ დასახლებას, რომელიც ნარმოდგენილია საოჯახო თემის დაშლის შედეგად (27, გვ. 63).

ენათმეცნიერ პ. ცხადაიას განმარტების მიხედვით, „მეგრულის გავრცელების ზონაში „კარ“ ლექსემის შემცველი ტოპონიმები აღნიშნავენ „მცირე დასახლებას“, რომელიც შექმნილია იმ ბუნებრივი თუ ხელოვნური ობიექტის გარშემო,

რომლის სახელი კომპოზიტის პირველ წევრადაა წარმოადგინებათ ნილი: „ოხვამე-კარი” (ეკლესიის კარი), „ვედიდეკარი” (ვედიდის კარი), „თხინაშვარი” (თხილნარის კარი) და სხვა; მაგრამ უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც მსაზღვრელ კომპონენტს წარმოადგენს ეკლესიის ან წმინდანის (ხატის) სახელი. ეს აშვარად ჩანს, როგორც სოფლების, ისე მისი უბნების სახელებშიც: გულეიკარი, ალერტიკარი, მანცხვარკარი, ბარბარკარი, უფალკარი, ყულიმკარი და სხვა (18, გვ. 117).

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ყული” ნიშნავს „სალაპარაკოს”, „სასჯააბასოს”, „სამსჯავრო-სასამართლო” ადგილს, ხოლო „კარ” ლექსემა მის ირგვლივ მდებარე მცირე დასახლებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, „ქართლის ცხოვრება”, ტ. I, თბ., 1952.
2. ბერაძე თ., XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, „ძეგლის მეგობარი”, №21, თბ., 1970.
3. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1952.
4. თაყაიშვილი ექვთ., არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, „ძველი საქართველო”, ტ. III, თბ., 1913-1914.
5. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
6. ინგოროვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, თბ., 1941.
7. ლიპარტელიანი ა., სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩულურული კილო), თბ., 1999.
8. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

9. პაჭკორია მ., რედუტ-კალე, თბ., 1968.
10. როგავა ჯ., გლეხთა კლასობრივი ბრძოლა XVIII ს-ის დასა-
ვლეთ საქართველოში, „საისტორიო კრებული”, III, თბ.,
1970.
11. სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
12. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფო-
სა და სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1952.
13. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მ. ჭაბაშვილი,
თბ., 1989.
14. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმო-
ლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1986.
16. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ.,
1984.
17. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი
ლექსიკონი, თბ., 1938.
18. ცხადაია პ., ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, თბ.,
1999.
19. ჭითანავა დ., დასახლების ფორმა სოფელ ყულიშვარში,
„ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი”, I, თბ., 2000.
20. ჭითანავა დ., თეონიმ „ალერტის“-ს ეტიმოლოგიისათვის,
„საქართველო და ქრისტიანობა“, თბ., 2001.
21. ჭითანავა დ., საველე-ეთნოგრაფიული მასალები, ჯგალის
თემი, რვ. №1, რვ. №2, 1998.
22. ჭითანავა დ., საველე-ეთნოგრაფიული მასალები, (ზუგდი-
დის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონები), 1997.
23. ჭითანავა დ., საველე-ეთნოგრაფიული მასალები, ყულიშ-
ვარის თემი, რვ: №1, რვ. №2, 1998.
24. ხარაძე რ, სოფლის თემი ბალყარეთში, „მასალები საქართ-
ველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XI, თბ., 1960.



25. ხოშტარია ნ., სოფელ ყულევის არქეოლოგიური გამოკიცვა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოზმძე“, ტ. VII, თბ., 1946.
26. ჯომიძე ნ., კოლხური (მეგრული) გვარ-სახელები, თბ., 1989.
27. Спасский - Автономов К., Редут-кале., ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან "отечественные записки", т. 55, 1847.
28. Харадзе Р., Грузинская семейная община т. II, Тб., 1961.
29. Mourier J., La Mingrelie, Odessa, 1883.

გზა-გადასასვლელი არხობის თემითან

მეზობელ ქისტებთან მიმავალი ძირითადი და უმოკლესი გზა მდ. ასსას მიუყვება. მანძილი თემის განაპირა სოფლიდან – ამღა-ინგუშეთის უახლოეს დასახლებულ პუნქტებამდე, – პუი-, რომელსაც არხოტივნები გოშტიკვაურს ეძებიან, 18-20 კმ-ს შეადგენს.

ეს გზა ადვილი გასასვლელია გვიან გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა თოვლის დნობა დამთავრებულია და წყლის დებოტი ძალზე შემცირებულია, მაგრამ საკმაოდ რთულია გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა წყალდიდობისაგან ხიდების უმრავლესობა განადგურებულია. ამ დროს ადიდებულ მდინარეზე ცხენით გასვლაც კი შეუძლებელია და ხშირად საჭირო ხდება მდინარის ფერდზე აღმა-დაღმა სიარული ფერდს მომდგარი წყლიანი ინტერვალის გადასალახავად. ზაფხულის წყალდიდობის დროს ხშირად მთის ბილიკებით სიარულს არჩევდნენ, რომელიც გაცილებით შორი და ფიზიკურად დამლელი, მაგრამ სიცოცხლისათვის პრაქტიკულად უსაფრთხო იყო.

ასეთი გზა, რომლის სიგრძე 40 კმ-ს აღნევდა, ხოლო მის გავლას თითქმის ორი დღე სჭირდებოდა, იწყებოდა სოფელ ამღიდან და ზეთუქის მთის (2668 მ), შუა ცხვირის ღელის (3112 მ) და ტერლის მთის (3209 მ) მიდამოების გავლით ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა.

ამ გზაზე პირველი ინგუშური სოფელია ქიახეი, რომელიც მდ. ასის მარცხენა შენაკადის სარტუს ხეობაში მდებარეობს. ამ გზაზე ბილიკი გაკვალული არაა, და ამიტომ ნისლიან ამინდში მისი გავლა გამოცდილ ადამიანსაც უჭირს. ინგუშეთის დასავლეთ ნაწილს – შორი (შავანი), – გულის (ლულის) თემს შიბუ-ღელის გადასავლით უკავშირდებოდნენ. ეს გზა



სოფელ ჭიმლიდან იწყება და შიბუ-ლელის გადასასვლელამზე
დასავლეთით მიემართება.

შემდეგ ეს გზა ეშვება მდ. არმხის (შონდონის) ხეობაში,
საიდანაც საკმაოდ კარგი გზა მიდის სოფელ შონში და მის მი-
მდებარე სოფლებში. ამ გზაზე ბილიკი საკმაოდ კარგადაა გა-
კვალული და მისი გავლა საპალნიანი ცხენითაც შეიძლებოდა,
თუმცა გადასასვლელი საკმაოდ მაღალია და თითქმის 3500 მ-
ს აღწევს.

მანძილი სოფელ ჭიმლიდან ს. შონამდე 35-40 კმ-ია.

არხოტის ერთ-ერთი სოფლის, ჭიმლის მოსახლეობასა
და შავანელთ (ინგუშეთის დას. ნაწილის თემი) კარგი ურთიე-
რთობა ჰქონდათ. ზოგიერთებს „მძადნაფიცობაც“ აკავშირე-
ბდა ერთმანეთთან. ახალ წელს შავანელი ქისტები საჩუქრით
გადმოდიოდნენ ჭიმლას. საჩუქრად მოჰქონდა ჯიხვის ტყავე-
ბი, თავ-რქანი.

შავანელ ქისტებს კარგად სცოდნიათ ქართული, ასევე
არხოტივნებს (ჭიმლივნებს) ქისტური. სხვა დანარჩენი სოფ-
ლებისა და გვარების ურთიერთობა, კეთილგანწყობა, სტუ-
მარ-მასპინძლობა და ქისტური ენის ცოდნა (გარდა ერთეული
შემთხვევებისა) არ ფიქსირდება არხოტში, გარდა ჭიმლივნე-
ბისა.

არხოტიონთ მტრობა და მესისხლეობა ჰქონდათ ქისტე-
ბთან. ასევე ქისტებს მათთან, მაგრამ ამ მტრობაში ჭიმლივნე-
ბი არასოდეს ერეოდნენ.

არხოტის თემი მოსაზღვრე თემებთან დაკავშირებულია
საცხენოსნო და საცალფეხო ბილიკებით.

ერთი საცალფეხო ბილიკი არხოტის ჭალაში შემოდის
ლილლოდან (შავანი).

მეორე, ზეთუკის გადასასვლელით შემოდის ამლაში.

ლილლოდან გადმომავალი ეს გზები მხოლოდ საცალფე-
ხო იყო, აქ ცხენით არავინ შემოდიოდა, რადგან ამ გზებით

უფრო სასისხლო საქმეების მოგვარების, დაზვერვის მიზნით
შემოდიოდნენ.

ეს იყო საიდუმლო გზები, რომლებიც პევრმა არ იცოდა.
ერთი გზა ამ მხრიდან (ქისტების) ჭიმლის წორჩშიც გადმოდი-
ოდა.

ნინჯადუდან წამსვლელი (საიდუმლო ბილიკით) ღილლო-
დან შემომავალ (საიდუმლო ბილიკი) გზას ორწყალთან უერთ-
დებოდა.

ნითელათანას (ადგილის სახელია) შეივლის (აივლის –
მ.ნ.) „ამლის კუდი“ (ადგილის სახელია), აქედან იწყება ამლის
სახნავ-სათესი, და შევდივართ ამლაში.

ქისტების მხრიდან შემომავალი ახიელში კიდევ ერთი
გზა არის. ეს გზა სანადირო გზაც არის.

აյ ჩამოთვლილი ყველა საცალფეხო ბილიკია, ისინი რო-
გორც ზევით აღვნიშნეთ, სასისხლო საქმეების მოგვარების,
დაზვერვის მიზნით გამოიყენებოდა.

ბუდე-ხევსურეთის თემთან არხოტს სამი გზა-ბილიკი
აკავშირებდა. სოფ. როშკაში გადასასვლელად ყველაზე უფრო
პოპულარული იყო ცირცვლოვანის წყლის ხეობა (მდ. ასის სა-
თავეები) და ბოგოვაჩის ღელე გადასასვლელი (2968 მ). ეს
გზა საკმაოდ კარგად იყო გაკვალული. ამ გზით საპალნიანი
ცხენები ბარიდან ეზიდებოდნენ პირველადი მოხმარების სა-
გნებს – ნავთს, მარილს და სხვ.

გზის სიგრძე სოფ. ახიელიდან სოფ. როშკამდე დაახლო-
ებით 20 კმ-ია. ეს გზა ზამთარში ზვავსაშიშია, ამიტომ ამ პე-
რიოდში, თუ მგზავრობა აუცილებელი იყო, ცირცვლოვანის
წყლის სათავეებთან როშკისაკენ მიმავალი ბილიკიდან მა-
რცხნივ გაუხვევდნენ, აუყვებოდნენ მოტიტვლებულ გორას,
ავიდოდნენ ბოგოვაჩის ღელის დასავლეთის მთავარ წყალგა-
მყოფ ქედზე და ასევე გორდაგორ სოფ. ბლოსკენ დაეშვებო-
დნენ. ეს გზა „საქევსურეთო გზის“ სახელწოდებითაა ცნობი-
ლი და მისი უპირატესობა ისაა, რომ ბილიკი, ძირითადად მო-

შიშვლებულ გორაკებს მიუყვება, აქ ქარი თოვლს ნაკლები აჩერებდა, რის გამოც ზვავის საშიშროება შედარებით ნაკლები იყო. ამ გზის სიგრძე სოფ. ახიელიდან სოფ. ბლომდე 15-20 კმ-ია.

მესამე გზა მდ. კალოთანის ხეობას მიუყვებოდა, გაივლიდა კალოთანის ლელეს (2978 მ) და სოფ. წინჯაღუში ჩადიოდა. მისი სიგრძე სოფ. ამღიდან სოფ. წინჯაღუმდე 20-25 კმ-ია. ამ გზით უფრო სოფ. კალოთანის მცხოვრებნი სარგებლობდნენ. არხოტის დანარჩენი მოსახლეობა კი მაშინ იყენებდა, როცა დანიშნულების პუნქტი სოფ. წინჯაღუ და მისი ახლომდებარე სოფლები იყო.

სოფ. ჯუთასთან არხოტის თემს საკმაოდ კარგად გაკვალული გზა აკავშირებს. ცირცვლოვანის ხეობაში, რომეკა-ბარისახოსაკენ მიმავალ ბილიკს გამოეყოფა საჯუთო გზა, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. იგი გაუყვებოდა ციცრცვლოვანის წყლის ერთ-ერთ განშტოებას და არხოტისთავის გადასასვლელით (3287 მ) მდ. ჯუთის წყლის მარჯვენა შენაკადის ვეშათწყაროს ხეობაში ეშვებოდა, საიდანაც საკმაოდ ფართო ხეობა მიდის სოფ. ჯუთამდე. ამ გზის სიგრძე სოფ. ახიელიდან სოფ. ჯუთამდე დაახლოებით 25-17 კმ. იქნება.

„მოხევეებთან მიმავალი ბუდე-ხევსურები და არხოტივნებიც ჯუთის ბოლოზე გაივლიდნენ და სოფლის ბოლოში პატარა მდინარეზე გადებულ ხიდზე გავიდოდნენ“ – ვკითხულობთ ალ. ოჩიაურის წიგნში „სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში“.

ამ გზაზე დადიოდა მთელი პირიქით-პირაქეთი ხევსურეთი და ვლადიკავკაზის მხრიდან მოჰქონდათ მარილი, სიმინდი და სხვ. (ვლადიკავკაზს მოხევეები და ხევსურები უწოდებდნენ ძაუგს). ძაუგიდან სხვადასხვა საოჯახო საგნებიც მოჰქონდათ და ყოველდღე ბევრი მგზავრი დადიოდა ამ გზაზე“ (1).

არხოტის თემს მოსაზღვრე ქართულ თემებთან ძირითადად, ნათესაური ურთიერთობები აკავშირებდა. ხშირი იყო მათ შორის მიმოსვლა დღეობებზე, ჭირსა და ლხინში.

ჯუთლები იგონებდნენ: თიბათვეში, პარასკევობით, დაუქმების ხანს ფაფუხ-საძელე გადმოვლილი დაწალიკული ცხენჯორები გამოჩნდებოდნენ, არხოტივნებიც გამოამოაყინტრავებდნენ თავის საფერხეებს. ზოგი სამოკეთეო მიმოსვლით გადმოდიოდა, ზოგსაც გაცვლა-გამოცვლის საქმეები ჰქონდა ხევისწყალზე მოსაგვარებელი... და იყო შაბათ-კვირას შეხვედრების მშვენიერი დღესასწაული (3).

შატილის თემთან უმოკლესი გზა სოფ. ამლიდან იწყება და აღმოსავლეთით მიემართება. გაივლის სოფ. კალოთანას და შემდეგ ვაშანიკის მთის (3028 მ) მიდამოების გავლით ისართლელის გადასასვლელისაკენ (3486 მ) მიემართება. აქედან გზა ეშვება ქვევით მდ. არღუნის მარცხენა შენაკადის გიორგინმიდის ხეობაში, სადაც შატილიდან 8-10 კმ-ით დაშორებული სოფ. გიორგინმიდა მდებარეობს.

გზა სოფ. ამლიდან სოფ. გიორგინმიდამდე საკმაოდ რთულია და მისი სიგრძე ოციონიდე კილომეტრს შეადგენს, თუმცა გზებს მთაში უფრო განვადობის ხარისხით აფასებენ, ვიდრე მანძილით. ამიტომ არხოტივნები შატილის მიმართულებით მგზავრობისას, ხშირად სამჯერ უფრო გრძელი გზით სიარულს არჩევდნენ, რადგან რომკა-გუდანი-დათვისჯვრის გადასასვლელით მიმავალი გზა უსაფრთხოდ მიიყვანდა ადამიანს დანიშნულების ადგილას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის ახლო, კეთილმეზობლური ურთიერთობები არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როცა ცალკეულ თუ ჯგუფურ თავდასხმებს ჰქონდა ადგილი, სოფლებისა თუ მგზავრთა გაძარცვის მიზნით. ხევსურებს, მოხევეებს, თუშებს, ფშაველებს და მთიულებს ერთმანეთშიც ჰყავდათ ძმადნაფიცები, მეგობრები, ჰქონდათ მოყვრული ურთიერთობებიც.

კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებდა მოხსენენდებული ებს არხოტივნებთან და საერთოდ ხევსურებთან.

სწოდან და კარკუჩიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით არის ამჟამად ყაზბეგის რაიონში შემავალი, მაგრამ ხევსურებით დასახლებული სოფელი ჯუთა. აქედან გადადიოდნენ მოხევეები მთის იქითა ხევსურეთში, არხოტსა და შატილის თემში. მათ ერბოში, ყველსა და ძროხაში გადასაცვლელად მიჰერინდათ მარილი, სპილენძის ჭურჭელი, იარაღი, რაზედაც ხევსურეთში დიდი მოთხოვნილება ყოფილა იმ დროს. ხევსურებიც გადმოდიოდნენ სავაჭროდ მოხევეებსა და მთიულებში.

ამ დროისათვის (XX ს. დასაწყისამდე) ვაჭრობა მთაში საქონლის გაცვლა-გამოცვლის პრინციპზე ყოფილა დამყარებული. ფული მომოქცევაში არ ყოფილა (4).

მართალია, ჩვენ აქ არხოტიონთა და ქისტების ურთიერთობებს ზოგადად შევეხეთ, მაგრამ არ შეიძლება რომ არ ითქვას: ხევსურეთის ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის ხევსურებისა და ქისტების ურთიერთთავდასხმისა და რბევა-ანიოკებისა, რაც სწორედ ზემოთ დასახელებული გზა-ბილიკებით ხორციელდებოდა. ამიტომ იყო, როგორც წესი, ახლად მოსულს ფეხზე ადგომით რომ შეხვდებოდნენ ხევსურნი, მოსული ასე უპასუხებდა: „დასხეით, მტერსამც წამაუდგებით“.

ამ გზა-ბილიკებითვე წარმოებდა არხოტიონთა და მეზობელ თემთა მტრულ-მოყვრული, სავაჭრო და სხვა კულტურული ურთიერთობები.

მხოლოდ მტრობა როდი იყო, მეგობრობა და მოყვრობა რომ არა, ვერც არხოტივნები და ვერც მისი მეზობელი მტერ-მოყვარენი ვერ შეძლებდნენ მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლების შექმნას.

არხოტიონნი და მისი მეზობელი თემები, მტრიანობისა და ურთიერთთავდასხმებისაგან რომ დაეცვათ თავის ოჯახე-

ბი, წლების განმავლობაში აშენებდნენ საცხოვრებელ უფრო მაღალ დოკუმენტებს თუ ციხე-კოშკებს, როგორც თავთაცვით ნაგებობებს.

არხოტივნები სავაჭრო ურთიერთობების მიზნით მგზავრობდნენ ძირითადად ვლადიკავკაზში, რომელიც უფრო ახლოს მდებარეობს არხოტიდან, ვიდრე თბილისი და კავკასიონის მთაგრეხილების გადალახვაც აღარ უხდებოდათ.

იარაღასხმული არხოტივნები, რომლებიც უფრო ჯგუფურ მგზავრობას არჩევდნენ, დინჯად გაივლიდნენ ინგუშეთის ვრცელ ტერიტორიას, ვლადიკავკაზის შესასვლელთან კაზაკების საგუშაგოს ჩააბარებდნენ თოფ-იარაღს, ქალაქში შეიძენდნენ საჭირო საქონელს და უკან გამობრუნდებოდნენ. ქალაქიდან გამოსვლისას კაზაკები უკლებლივ უბრუნებდნენ იარაღს, და თანაც წააქეზებდნენ: დასცხეთ, მაგ ძალლებს, ტყვია-წამალი ჩვენზე იყოსო.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქისტებისა და ხევსურების ურთიერთობებში მაინც მტრობა და მესისხლეობა სჭარბობდა, ამიტომ მათი ძირითადი საზრუნავი ყოველთვის იარაღი იყო.

ამას მოწმობს ალ. ყაზბეგის თხზულებათა ერთი ნაწილიც. „გადაკაგული მხარე”, სადაც ავტორი ხევსურების ყოფა-ცხოვრებას აღნერს, „ხევსურების ღარიბ ცხოვრებასა და მოწყობილობაზედ არა მცირედი მოქმედება აქვს იმათს ქისტებთან მეზობლობას, რომელიც არ უსვენებდნენ მათ და წამდაუნუმ თავს ესხმიან. ისინი ყოველთვის მზად უნდა იყვნენ მტრის დასახვედრად. ამის გამო ხევსურები უფრო იარაღზედ ზრუნავენ: ცდილობდნენ სხეულის გამაგრებას, ფარ-ხმალის ხმარებაში გავარჯიშებას. ხევსურის დაშნა, ხმალი, თოფი, ჯაჭვი ჩაჩქანი ყოველთვის გამართული, განმენდილი და მოვლილია (2).

არხოტივნები თემს (მამაკაცები) დიდი ხნით მხოლოდ მოსისხლეობის შემთხვევაში ტოვებდნენ. სხვა შემთხვევაში

ყველა ზრდასრული მამაკაცი სიცოცხლის ძირითად ნაწილები არის განვითარება, თემში ატარებდა.

მშენებლობა არხოტოვნებს მაინც და მაინც არ ეხერხებოდათ, და ამიტომ ხელოსნები სხვა დასხვა ადგილებიდან, უფრო კი ხევიდან (ყაზბეგის რ-ნი) მოჰყავდათ.

გარდა სავაჭრო ურთიერთობებისა, მოხევეები სამუშაო საქმიანობითაც ყოფილან დაკავშირებული ხევსურებთან, მათი დაურგები და კალატოზები ხევსურეთში დადიოდნენ და სახლების მშენებლობაზე მუშაობდნენ, ქირად რძის ნანარმესა და პირუტყვეს (უმეტესად ძროხებს) იღებდნენ (4).

არხოტში მშენებლებად ჩეჩენ-ინგუშებსაც ასახელებენ, ხევსურთა გადმოცემით აქ ციხეები და კოშკები ძირითადად ქისტების აშენებულია, თავის მხრივ ქისტებიც ციხეების მშენებლებად ქართველებს მიიჩნევენ.

რომკა-ბარისახოს გავლით არხოტივნებს ბარში, ძირითადად თბილისში გასაყიდად ჩატქონდათ ყველ-ერბო, უფრო კი ერბო, რადგან მისი ტრანსპორტირებაც ხელსაყრელი იყო და მყიდველიც ბევრი ჰყავდა მისი მაღალი ხარისხის გამო. ასევე გასაყიდად ჩატყავდათ პირუტყვი.

აღებული ფულით ყიდულობდნენ ნავთს, მარილს, ასანთს, იარაღს, ტყვია-წამალს, ვერცხლეულს, სპილენძის ჭურჭელს, ხალიჩებს და სხვა პირველადი მოხმარების საგნებს. რჭელს, ხალიჩებს და სხვა პირველადი მოხმარების საგნებს. მარცვლეული ძირითადად ადგილზე მოჰყავდათ, მაგრამ ზოგჯერ მოუსავლიანობის შემთხვევაში დამატებით ბარიდანაც გვერდის მიერთოდათ, ყველაფერი ეს ცხენებით გადმოჰქონდათ არხოტში.

ბარის რაიონებიდან არხოტივნებს ძირითადად ურთიერთობა ჰქონდათ კახეთთან, განსაკუთრებით ახმეტა-თიანეთისა და შირაქის რაიონებთან, საღაც მე-19 ს-ის II ნახევრიდან ფეხს იკიდებს ჩამოსული მოსახლეობა.

ხევსურების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ აღ. ყაზბეგი წერს:



„ხევსურები ბევრი არა ვაჭრობდნენ, თუმცა მათ უფრო მაღალი ერბო ბლომად ჩამოდის თბილისში, ამ ერბოსა და ცოტაოდენი მსხვილ საქონელს გარდა ხევსურეთიდან არა გამოაქვთ რა. რა საკვირველია ანგარიშში ჩასათვლელი არ არის კვერნის, მელის, მგლის ტყავები, რომელიც ხანდახან მოდის ხევსურე-თიდამ, – მართალია ხევსურები ასე ცოტას ჰყიდიან, მაგრამ ალებული ფული ჰყოფნით თავიანი მცირედი საჭიროებისა-თვის. ისინი ყიდულობენ სხვადასხვა მძივებს, ღვინჭილებს, ნაკუნებს, რომელთაც თავიანთი ტანსაცმლის მოსართავად ხმარობენ, ნემსებს, ტყვია-ნამალს და ა. შ. (2).


ნანადირევის ტყავებსა და თავ-რქას ისინი ოჯახებშივე იყენებდნენ. არხოტში დღესაც შეხვდებით ერთი შეხედვით ხევსურულად, მაგრამ გემოვნებით გამონყობილ საცხოვრე-ბელ სახლებს, რაც უფრო ეთნოგრაფიულ მუზეუმს მოგვაგონებს, ვიდრე ხევსურის სახლს, რომელსაც ცოტა არ იყოს უსიამოვნოდ ახასიათებენ ზოგიერთი მკვლევარი.

არ შეიძლება თვალი აარიდო ხევსურულ ფარდაგებს, კარგად გამოყვანილ ნანადირევის ტყავებს, რომლებსაც კე-დელზე ან სკამ-სავარძელზე ნახავთ მიფენილს.

ნანადირევის ტყავს უფენენ საწოლთან ფეხქვეშ, ან და-საჯდომ სკამთან ოჯახის უფროსს.

ნანადირევის ტყავს საჩუქრადაც იყენებენ მთასა და ბარში სტუმრობისას: ღილღველ-მავანელნი „ნელნადში“ (ახალ წელს) სტუმრად რომ გადმოდიოდნენ ჭიმლას, ჯიხვის ტყავები და თავ-რქა ჩამოჰქონდათ ჭიმლივნებისათვის საჩუქრად.

ამრიგად, კავკასიონი მიუვალ თუ ძნელად მისავალ მთა-გრეხილებში შეხიზნულ, მის ჩრდილოეთით თუ სამხრეთ კალ-თებზე მცხოვრებ მთიელებს, საარაკო სტუმარ-მასპინძლობას აჩვევდა, ასწავლიდა მტერ-მოყვარეობას, თავისი დაუწერელი კანონებისა და ჯანსაღი, კარგი წეს-ჩვეულებების სახით.



1:200 000

- სოფელი
:: ნასოფლარი
(უდელტეზილი
--- ბილიკი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.
2. ალ. ყაზბეგი, გადაკარუგლი მხარე, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950.
3. კობა არაბული, ავ. არაბული, მყივანა წისქვილები, თბ., 1984.
4. სპ. რეხვიაშვილი, ქართველ და ჩრდილოეავკასიელ მთიელთა სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1980.

სოციალური ვალდეპულებანი XIV-XIX სს-ის სვანეთში

ცნობილია, რომ სვანეთში როგორც საქართველოს ერთ-ერთ საერისთაოში კუთხის მასშტაბის შესაბამისი ფეოდალური ურთიერთობა სუფევდა. როგორც საქართველოს სხვა კუთხებში სვანეთის საზოგადოებაც ორი ძირითადი კლასის ფეოდალური წოდებისა და გლეხებისაგან შედგებოდა.

სვანეთის საზოგადოების სოციალურ წოდებათა შორის ბეგარა-ვალდებულებითი ურთიერთობის ამსახველი ჩვენამდე მოღწეული უძველესი დოკუმენტები ბალსზემო ანუ ე. ნ. თავისუფალ სვანეთს შეეხება და XIV-XV სს-ით თარიღდება.

აღნიშნული საბუთები ჩვენთვის საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ სოციალური ურთიერთობის ამსახველი საისტორიო წყაროები ბალსქვემო და ე. ნ. სადადიანო სვანეთიდან მხოლოდ გვიანდელი პერიოდიდან მოგვეპოვება.

XIV-XV სს-ის სვანეთის საისტორიო ძეგლები არაერთგზის განსაზღვრავენ ადგილობრივ აზნაურებსა და ყმა-გლეხებს შორის არსებულ ვალდებულებით დამოკიდებულებას. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. XV ს-ის I ნახევრით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „წმიდის გიორგის სეტისა და მაცხოვრისა მულახისა თავსდობობითა და შუვამდგუმბლობითა დაგინერეთ და გიბოძეთ ჩუენ მჯაფარიანმან თქუენ ხერევიანთა მტკიცე და უქცეველი: თუ ხერევიანი ასი მოსახლე იყოს, ამ ორი საკლავის მეტი არა ჰმართებდეს; რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უდს, ამა ჰირზედა იყოს, რაც მათ ჰაპუვას (?) ერთისა ჰმართებდა“ (8, 15). საბუთის მიხედვით ხერგიანების ვალდებულება აზნაურ ჯაფარიძეებისადმი (ხერგიანები ასი მოსახლეც რომ იყოს), ორი საკლავით შემოიფარგლებოდა, რასაც იმავე პერიოდის სხვა სა-



ბუთში ჯაფარიძეები ფიცით ადასტურებენ: „...თუ ასი მოწიგვა, ხლე შეიქნას, ამ ორ საკლაუს იქეთ არა ემატოს; თუ განაყოფი ამოუწყდეს, ქრთამი არ მოუწყდეს; თქუენით კარკაცობითა თუ სამგზაუროს წამოგუყვებით, თუ არა არა გკადროთ სადაცა გუახლდეთ, თქვენ არა ვისი ვარჩიოთ, რომე ჯაფარიძე ყმიანად დაიწოცოს – მაშინცა არა ვესარჩლო...” (8, გვ. 16). არსებული მოსაზრების მიხედვით „ხსენებულ ორ გვარს (ჯაფარიძებსა და ხერგიანებს) შორის ურთიერთობა წოდებრივ და ქონებრივ ანუ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობაზე იყო დამყარებული” (2, გვ. 121).

აზნაურ ჯაფარიძეების მიმართ ვალდებულებით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მუტვილიანებიც. XV ს-ის ერთ-ერთი დაწერილის მიხედვით ქელდიშ მუტვილიანის ოჯახის ვალდებულება ჯაფარიძის სასარგებლოდ განისაზღვრებოდა შემდეგში: „...ერთი ცხუვარი ბეგარა, ერთი მგზავრობად საჯამავიროს იყოს, ერთი ხამი, სამი ნადობა, – უკუნისამდე” (8, გვ. 16). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ დოკუმენტან მიმართებაში არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს. მ. ბერძნიშვილი თვლის, რომ ამ საბუთში განსაზღვრულია ჯაფარიძესა და მუტვილიანს შორის არა ბატონყმური, არამედ პირადი დამოკიდებულების ფაქტი (1, გვ. 124). განსხვავებული ინტერპრეტაციის მიხედვით კი საქმე გვაქვს აზნაურსა და გლეხს შორის ფეოდალური დამოკიდებულების არსებობას-თან (2, გვ. 124).

სვანეთის საზოგადოების სოციალურ წოდებთა შორის ბეგარა-ვალდებულებით ურთიერთობას ზემოაღნიშნულის გარდა ასახავენ სხვა დოკუმენტებიც. საბუთები ეხება აგრეთვე სვანეთის საზოგადოებასა და ეკლესიას შორის ვალდებულებით დამოკიდებულებასაც. როგორც აღინიშნა ეს დოკუმენტები ბალსზემო სვანეთს შეეხება და XIV-XV სს-ით თარიღდება.

სვანეთის სამთავროს ჩამოყალიბების შემდგომ, თუმცა მონაბეჭდის დადგინდების არაერთგზის მცდელობას საკუთარი ჰეგე-მონობა დაემყარებინათ ე. ნ. „თავისუფალ სვანეთზე“ ნარმატება არ მოჰყოლია. ბალსზემო სვანეთი წვრილაზნაურთა ცალკეულ თემებს ნარმოადგენდა. საარქივო მასალების მიხედვით აქ ცხოვრობდნენ აზნაურები: ჯაფარიძეები, ჩარკვიანები, ყიფიანები, ქურდიანები, დევდარიანები, იოსელიანები და სხვ. რომელთა მიმართაც ბალსზემო სვანეთის მოსახლეობას გარკვეული ვალდებულება ეკისრა.

ერთ-ერთი ცნობის მიხედვით ლენჯერის, მულახის, მუჟალის, იფარის, ადიშის და კალის საზოგადოებები ვალდებული იყვნენ: ჯაფარიძეების, ყიფიანების, ქურდიანების, იოსელიანებისა და დევდარიანებისათვის გადაეხადათ გარკვეული რაოდენობის მარცვლეული (ხორბალი და ქერი), რომლის ღირებულება კომლზე 20 კაპიკიდან 5 მანეთამდე შეადგენდა (25, გვ. 518).

პ. უსლარის ცნობით მულახის საზოგადოების ყოველი კომლი 5 ან 6 კარან ხორბალს უხდიდა აზნაურს, უმასპინძლდებოდა მას და მცველად მიჳყვებოდა მგზავრობის დროს (9, გვ. 3; 6, გვ. 104).

საარქივო მასალების მიხედვით სადადიანო სვანეთის - მინაზე გავლისათვის, კალის საზოგადოების ყოველ ოჯახს უნდა გადაეხადა ორი გირვანქა გვარჯილა ლენტეხის მოურავისათვის, დადიანის სასარგებლოდ (9, გვ. 1; 6, გვ. 107).

ბალსზემო სვანეთის ორი საზოგადოების, ლენჯერისა და ლატალის მოსახლეობა კი სამეგრელოს მთავარს დადიანს ბაჟს უხდიდა ვაჭრობის უფლებისათვის (17, გვ. 467; 6, გვ. 108).

ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკური დაწლის შემდეგ თავისუფალი სვანეთის ნაწილი აღიარებდა იმერეთის მეფის უფლებას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ თავისუფალი სვანი (კონკრეტულად უშგულის მოსახლე-



ობა) მეფის ხაზინის სასარგებლოდ წელიწადში იხდიდა (თავისუფალი მიერ დამზადებულ) 3 ბათმან თოფის ნამალს (7, გვ. 197; 16, გვ. 256).

ი. მამაცაშვილის ცნობით, მე-19 ს-ში ბალსზემო სვანე-თში, აზნაურის მოკვლისათვის დამნაშავე იხდიდა 200, ხოლო ვლეხის მოკვლისათვის კი 100 ძროხას (23).

ბალსქვემო სვანეთში ბეგარა-ვალდებულებითი ურთიერთობის ამსახველი საბუთები მხოლოდ გვიანდელი პერიოდიდან მოგვეპოვება, როდესაც აქ დადიშქელიანთა (დადეშქელიანთა) სამთავრო ჩამოყალიბდა.

ე. ნ. „ვაფარიძეთა სიგელის“ მიხედვით სვანეთში დადიშქელიანების ფეოდალური საგვარეულოს არსებობა დასტურდება ჯერ კიდევ XV ს-ში. რიჩვიანებთან და სვანეთის სხვა პრივილიგირებულ საგვარეულოებთან პირველობისათვის წარმოებული ბრძოლა საბოლოოდ დადიშქელიანების გამარჯვებით დამთავრდა და ისინი ბალსქვემო სვანეთის ერთადერთი მფლობელები გახდნენ.

დადიშქელიანების თავდაპირველი რეზიდენცია იყო ბარში (სოფელი ეცერის თემში). ბარშის დადიშქელიანებისეული საცხოვრებელი კომპლექსიდან, რომელიც XVI ს-ის დასაწყისში აგებულად ითვლება, დღემდე მხოლოდ კოშკილაა შემორჩენილი, თუმცა მოგზაურთა მიერ დატოვებული აღნერილობებისა და ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემების გათვალისწინების საფუძველზე ჩანს, რომ თავის დროზე იგი მოიცავდა თავდაცვითი ფუნქციის, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების მრავალ ნაგებობას. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რიგითი სვანის საცხოვრებლისაგან და გამიზნული იყო პრივილეგირებულ-ფეოდალური მთავრისათვის, რომელსაც მრავალრიცხოვანი ყმა-გლეხი, მსახური და შინაყმა ჰყავდა (14, გვ. 55-59).

თავად დადიშქელიანებსა და ყმა-გლეხებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის საარქი-

ვო დოკუმენტები, აგრეთვე ეთნოგრაფიული და ფოლკლორის მასალა.

სვანეთის სამთავროში ყმა-გლეხების მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს ის უამრავი გადასახადი, რომელსაც ისინი სვანეთის მთავრების სასარგებლოდ იხდიდნენ. სადადიშქელიანო სვანეთში ყმა-გლეხები ვალდებული იყვნენ ბატონის მამულში შეესრულებინათ ნებისმიერი სახის სამუშაო, რომელსაც დადიშქელიანები მოისურვებდნენ. ასე მაგალითად, გლეხი თავისი ოჯახით ვადპელული იყო „გამწევი ძალით, შრომის იარაღებითა და თავისი ხარჯით მებატონის პირად მეურნეობაში ემუშავა ნებისმიერ დროს, როგორც ხვნა-თესვის, აგრეთვე მკა-თიბვისას. ამასთან გლეხები ვალდებული იყვნენ მითითებისამებრ დადიშქელიანების ყანები შეეღობათ, გაენაყოფიერებინათ, გაემარგლათ, მოსავალი დაებინავებინათ, ხორბლეული გაესუფთავებინათ და დაეფქვათ, თივა და შეძა დაემზადებინათ და შინ მიეზიდათ. მონანილეობა მიეღოთ თავისი უფლის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაში... ამასთან გლეხები იხდიდნენ ღალას (მოსავლის მესამედს ან მეოთხედს) ან მის ფულად ღირებულებას (ფულადი გადასახადი ბოლო დროს საკმაოდ გავრცელებული იყო). ამის გარდა, გლეხის კომლს ევალებოდა განსაზღვრულ დროში გადაეხადა ცხვარი, თხა, ძროხა ან ხარი (მსხვილფეხა საქონელი ერთ ან ორ წელინადში ერთხელ, ხოლო წვრილფეხა – უფრო მოკლე დროში). გლეხის კომლი ვალდებული იყო აგრეთვე მებატონე დადიშქელიანისათვის ერთი შინამოსამსახურე მიეცა ყოველწლიურად, ლაშქრობაში მიეღო მონანილეობა (კომლიდან ერთს ან ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს), აგრეთვე ბატონი გაეცილებინა მგზავრობისას. მისი ბარგი გაეზიდა და სხვ.” (3, გვ. 46-47).

ზამთრის პერიოდში ყმა-გლეხები ვალდებული იყვნენ გამოეკვებათ თავადის საქონელი ორი ძროხა ან ორი ხარი (ზოგ შემთხვევაში ერთი ძროხა ან ერთი ხარი), ან შესაბამი-

სად გადაეხადათ 4 ან 2 ფუთი ხორბალი (11, გვ. 194-195; 197 გვ. 87).

გარდა ზემოაღნიშნულისა არსებობდა აგრეთვე დამატებითი გადასახადებიც იმ შემთხვევაში თუ გლეხი დაქვრივდებოდა თავადისათვის უნდა მიერთმია 60 მანეთის საჩუქრები, ქვრივის გათხოვებისას კი თავადი მისი ქმრისაგან დებულობდა 120 მანეთის ქონებას. ქელების გადახდის დროს გლეხი ვალდებული იყო თავადისათვის გადაეხადა დაკლული საქონლის მეოთხედი, აგრეთვე გაკვეული რაოდენობის არაყი და პური (11, გვ. 194-195; 15, გვ. 87; 3, გვ. 47).

ე. გაბლიანის ცნობით, სვანეთის სამთავროში თვითოეული კომლი ყოველწლიურად 20 მანეთს იხდიდა, სამ წელიწადში ერთხელ კი თვითოეულ მოსახლეს ბატონისათვის უნდა მიეცა ძროხა, ყოველწლიურად მოსავლის ნახევარი. ამასთანავე მშენებლობის დროს კირის, ხე-ტყისა და სილის საფასურად გლეხისათვის დაკანონებული იყო 25 მანეთის გადახდა და სხვ. თუ ბატონს ვინმეს ოჯახში მოეწონებოდა ცხენი, ხარი ან ძროხა, პატრონის დაუკითხავად მიჰყავდა. გლეხს არ შეეძლო ბატონის დაუკითხავად გათხოვება, არც ცოლის მოყვანა. ნინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე ისჯებოდა, ხოლო როცა საქმე მორიგეობოდა, სასიძოს ბატონისათვის სასყიდელი უნდა გადაეხადა (4, გვ. 69).

საარქივო მონაცემების მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ ბერის თემიდან ოთარ დადიშქელიანის წლიური შემოსავალი 1980 მანეთს და 45 კაპიკს შეადგენდა (11, გვ. 198; 6, გვ. 92).

ყმა-გლეხებისაგან მიღებული ბეგარა-გადასახადები არ იყო დადიშქელიანების შემოსავლის ერთადერთი წყარო. სვანეთის ისტორიის მკვლევარი რ. კანდელაკი აღნიშნავს, რომ სვანეთის მთავრები ზაფხულის თვეებში სვანეთის საძოვრებით სარგებლობისათვის მეგრელებიდან, აფხაზებიდან, ყარაჩაელებიდან და ყაბარდიელებიდან ე. ნ. საბალახო გადასახადს კრებდნენ (16, გვ. 82).



არაერთი ცნობის მიხედვით სვანეთის სამთავროში განვითარებული იყო ტყვეთა სყიდვა. ჰაქტპაუზენის ცნობით, რომელმაც XIX ს-ის 30-იან წლებში იმოგზაურა კავკასიაში, სვანეთის მფლობელები ძალიან ხშირად ყიდდნენ ბიჭებს და გოგონებს. ისინი გადაჰყავდათ მთებით ჩერქეზეთში, იქიდან კი კონსტანტინოპოლში, მისივე ცნობით ბიჭების ღირებულება 400-ს, ხოლო გოგონებისა კი 200 მანეთს შეადგენდა (20, გვ. 135; 18, გვ. 10).

დადიშქელიანების მიერ ტყვეებით ვაჭრობის შესახებ ცნობებს გვანვდიან იმდროინდელი ისტორიკოსები: ლაბანოვ-როსტოვსკი, დობროვოლსკი და სხვ. ისინი თვლიან, რომ ტყვე ადამიანებით ვაჭრობას სვანეთის თავად-აზნაურების მიერ ფართო ხასიათი ჰქონდა და იგი სვანეთის მფლობელების შემოსავლის ერთ-ერთ სარფიან წყაროს წარმოადგენდა.

სვანეთის მთავრების ყმა-გლეხებთან ურთიერთობის შესახებ ე. გაბლიანი აღნიშნავს, რომ „საშინელ მდგომარეობაში ჰყავდათ თავად დადიშქელიანებს ჩაყენებული თავისი ქვეყნის გლეხკაცობა. გლეხები სულიან-ხორციანად ბატონების ხელში იყვნენ. ხშირად ისინი თავის ქვეშევრდომთ ისეთში და სხვაგან ყიდდნენ, დამნაშავეებს ასამართლებდნენ, აჯარიმებდნენ, სიკვდილითაც სჯიდნენ“ (4, გვ. 69).

სვანეთის სამთავროში ყმა გლეხების მდგომარეობას აღნერს ლობანოვ-როსტოვსკი. მისი სიტყვით „არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანები ბედნიერები იყვნენ. იქნება სასინარულო თუ სამწუხარო შემთხვევა ბატონების ოჯახში, ისინი ძარცვავენ გლეხებს. დაიბადება, იქორწინებს თუ მოკვდება ვინმე, მათგან კვლავ ლებულობენ სხვადასხვა გამოსალებს“ (24).

აღნიშნულ საკითხს ეხება აგრეთვე ისტორიკოსი ნ. დუბროვინი და წერს, რომ სვანეთის სამთავროში ბატონსა და გლეხს შორის დამოკიდებულება მიღიოდა მონობამდე. ბატონები გლეხებს ყოველგვარი დანაშაულისათვის აჯარიმე-

ბდნენ, ზოგჯერ დიდი რაოდენობითაც. მათ დააწესეს გაფრთხოებისა და გადები გაყრისთვის, ქორნინებისთვის. მიითვისეს უფლება ყოველწლიურად რიგრიგობით ჰყოლოდათ მონობაში მამაკაცი ან ქალი. დადიშქელიანებმა თავის სასარგებლოდ ერთგვარი გადასახადები დააწესეს. ყველა ეს გადასახადი თავადების არსებობის ერთადერთ წყაროს შეადგენდა (21, გვ. 91).

სვანეთის სამთავროში გლეხების მძიმე მდგომარეობაზე წერენ აგრეთვე მკვლევარები: მ. კოვალევსკი, ი. ივანიუკოვი და სხვ.

ცნობილია, რომ სვანეთის სამთავროში მინის უდიდესი ნაწილი დადიშქელიანებს ეკუთვნოდა. მინის ხელში ჩასაგდებად მთავრები სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ. მთხოვნელთა გადმოცემის მიხედვით ისინი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის გადაემტერებინათ თემები, გვარები, რიგითი ოჯახები, რათა უკაცრიელად დარჩენილ მინას თვითონ დაპატრონებოდნენ (13, გვ. 240).

საინტერესოა აღნიშნოს, რომ თავად ლევან დადიშქელიანის საკუთრებაში მყოფი მინების ერთ დღეში დასამუშავებლად საჭირო იყო 224 მხვნელი. 280 მომკელი, 170 კაცი ძნების შესაკრავად, 500 კაცი მარცვლეულის გასალენად, 116 მთიბველი. გარდა ამისა გლეხები მას აძლევდნენ ნელინადში 14 მოსამსახურეს, 28 ძროხას, აშენებდნენ და აახლებდნენ დადიშქელიანების ყოველგვარ ნაგებობებს (10, გვ. 14; 6, გვ. 92; 15, გვ. 88).

ერთ-ერთი ცნობის მიხედვით დადიშქელიანების უმცროსი შტოს ნარმომადგენლის თენგიზის სამფლობელოში მე-19 ს-ის შუახანებში შედიოდა 132 კომლი გლეხი, აქედან 603 მამაკაცი, ხოლო ბექირბის მფლობელობაში იყო 57 კომლი გლეხი (25, გვ. 516).

საარქივო მასალის მიხედვით სვანეთის სამთავროში კაცის მოკვლისათვის დამნაშავე იხდიდა 120 მანეთს, ხოლო დაჭრისათვის 60-ს (11, გვ. 195), სხვა მონაცემებით კი კაცის მო-

კვლისათვის 300, ქურდობის გამო 200 და იარაღით დაჭრიული და თვის 100 მანეთი იყო დაწესებული (4, გვ. 69; 19, გვ. 607).

არაერთი ავტორი აღნიშნავს, რომ სვანეთის სამთავროში ბატონსა და ყმა-გლეხს შორის ვალდებულებითი ურთიერთობა მძიმე და მრავალფეროვანი ფორმით ხასიათდებოდა. ზოგიერთი მცვლევარის აზრით ამ ვალდებულების საფუძველი იყო არა მიწა, არამედ პოლიტიკური მფარველობა (15, გვ. 86).

ქვემო სვანეთი, რომელზეც სამეგრელოს მთავრებმა დადიანებმა გაავრცელეს თავიანთი პროტექტორატი, ადმინისტრაციულად სამეგრელოს სამთავროში შედიოდა და „სადადიანო სვანეთად“ იხოდებოდა. გელოვანები, რომლებიც ლაშეთის უდიდეს ნაწილს ფლობდნენ და გარდაფხაძეები, რომლებიც ჩოლურის თემის მფლობელებად ითვლებოდნენ სხვა მებატონებთან ერთად დადიანების უზენაესობას აღიარებდნენ. გადმოცემის მიხედვით „გალფხანებს (გარდაფხაძეებს) იმდენად უყვარდათ გლეხების ტანჯვა-წვალება, რომ ფერდობში ყანების გათოხნის დროს მუშებს წელი და მუხლები რომ უფრო ძლიერ სტკენოდათ, აიძულებდნენ გაეთოხნათ ყანები არა ისე, როგორც საზოგადოთ არის შემოღებული ქვევიდან ზევით, არამედ ზევიდან ქვევით, ხოლო როცა გლეხებმა ამ ფიზიკური ტანჯვისაგან თავის დასაღწევად მიმართეს ხრიკებს და თავის ბატონს მადლობა უთხრეს ყანების ამ ნესით დათოხნისათვის, რადგან თოხნის დროს გადმოცვენილი ქვები ფეხებში არ გვხვდება, მაშინ ბატონმა ყანების ამ ნესით დათოხნა შესცვალა და ისე დააწყებინა, როგორც საერთო წესია“. (5, გვ. 27).

ქვემო სვანეთში დადიანის უშუალო ყმებს ლენტებში 170 და სოფელ სასაში (ლაშეთის თემი) 26 კომი შეადგენდა (22, გვ. 384-386; 2, გვ. 268).

ლენტებში მებეგრე გლეხი ყოველწლიურად იხდიდა ნატურალურ გადასახადს; ერთ ღორს, ორ ცხვარს, ექვს ქათამს,

ერთ ჯამ კანაფის თესლს, რვა გორო ხორბალს, 1/4 გურული ლობიოს, ექვს კოკა ღვინოს (12, გვ. 170-171; 6, გვ. 95). ამიგვაწყვეტილია დასახადის ფულადი ღირებულება კი 10 მანეთსა და 80 კაპიკს არ აღემატებოდა (22, გვ. 285).

საერთოდ კი რ. კანდელაკის ცნობით სამეგრელოს მთავრის შემოსავალი, სადადიანო სვანეთიდან ფულზე გადაყვანით 1180 მანეთსა და 85 კაპიკს უდრიდა (6, გვ. 96).

გარდა ამისა ლაშეეთის თემის ერთ-ერთი სოფლის სამი საუკეთესო ვაუკაცი ვალდებული იყო სოფელ გორდში, სამეგრელოს მთავრის საზაფხულო რეზიდენციაში ემსახურა მთავრის პირად დაცვაში (6, გვ. 96).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად ბატონიშვილი ურთიერთობა სვანეთის სამთავროსა და სადადიანო სვანეთში თითქმის იმავე შინაარსისა და ხასიათის იყო, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებში (6, გვ. 10).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბერძნიშვილი მ., სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV-XV სს-ის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა”, II, თბ., 1968.
2. გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
3. გასვიანი გ., ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991.
4. გაბლიანი ე., ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.
5. გაბლიანი ე., თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927.
6. კანდელაკი რ., სვანეთი XIX ს-ის I ნახევარში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1959.



7. კავაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1920.
8. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი II, პ. ინგოროვას გამოცემა, თბ., 1941.
9. სცსსა, ფ. 416, აღნ. 4. საქმე 37.
10. სცსსა, ფ. 545, საქმე 8.
11. სცსსა, ფ. 545, აღნ. 1, საქმე 6.
12. სცსსა, ფ. 220, საქმე 1076.
13. სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსზემოური კილო (ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა), თბ., 1957.
14. ქალდანი ა., დადეშქელიანების ციხე-დარბაზი სოფ. ბარშ-ში, „ძეგლის მეგობარი”, №43-44, თბ., 1976-77.
15. ჩარკვიანი ა., სვანეთი (XIX ს-ის მეორე ნახევარში და XX ს-ის დასაწყისში), თბ., 1967.
16. Акты, т. IV, Тиф., 1870.
17. Акты, т. VIII, Тиф., 1881.
18. Авалиани С. А., Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одес-
са, 1912.
19. В Сванетии, Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевско-
го, «Вестник Европы», 1886, т. V, кн. 8-я.
20. Гактгаузен, Закавказский край, СПб., 1857.
21. Дубровин Н., История войны и владычество русских на Кав-
казе. т. I, кн. II, СПб., 1871.
22. Документы по истории Грузии, т. I, ч. I, под редакцией проф.
М. К. Чхетия, Тб., 1954.
23. Кавказ, №121, 1872.
24. Кавказ, №16, 1852,
25. Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, составил
проф. П. В. Гугушвили, Тб., 1950.

დგანისის ცემიზეათიკური მონაცემები

დმანისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 1936-37 წწ.-დან თითქმის ინტენსიურად მიმდინარეობს, საიდანაც უამრავ მასალას ვიღებთ. ერთ-ერთი მათგანია ნუმიზ-მატიკური კოლექცია. აქ, გვხვდება, როგორც ქართული, ისე უცხოური წარმოშობის ფულები.

პირველად შევეხოთ ქართული წარმოშობის ნიმუშებს.

„ნაქალაქარის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია 400 მონეტაზე მეტი, რომელთა უდიდეს ნანილს ქართული მონეტები შეადგენენ. მის გარეუბანში შემთხვევით აღმოჩენილი მონეტების რაოდენობა კი დაახლოებით ამდენივეს შეადგენს - (300 ცალს აღემატება). (17, გვ. 153). ეს 1974 წ. მონაცემებით.

1960 -66 წწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია იშვიათი ცალები XI-XII სს-ის, სწორედ ამ ექსპედიციის მიერ არის ნაპოვნი დავით აღმაშენებლის 1 მონეტა.

ვ. ჯაფარიძის კი მიაჩნია, რომ:

„რიცხობრივად, ყველაზე მეტი რაოდენობით ქართული მონეტებია, რომელთა ნაკადი ინყება დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) მონეტებით და თავდება XIX ს-ის დასაწყისის ქართული ვერცხლის ფულით. ქართული მონეტებიდან XII ს-ზე ადრინდელი ფული დმანისში არ გვხვდება“ (18, გვ. 23). და იქვე აღნიშნავს, რომ:

„XII-მდე დმანისში გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიკური მონეტები და სრულებით არ გვხვდება ქართული და აღმოსავლური მონეტები, მათ შორის არ აღმოჩნდა, არც ერთი სპარსული მონეტაც“ (18, გვ. 23).

დმანისში აღმოჩენილია დემეტრე I-ის ერთადერი და მის მემკვიდრეობის მონეტა, მოქრილი 1136-1152 წწ. არანესიერი ჭედვით გამოირჩევა. 1936 წ. წარმოებული გათხრის შედეგად აღმოჩნდა გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) მონეტებიც. აქ არის, როგორც ე. წ. არანესიერი, ისე ნესიერი ჭედვის ეგზემპლარები. გიორგი III-ის დროიდან ადგილი აქვს პარალელურ ჭედვას, როდესაც ნესიერი, მრგვალი ფორმის ცალკეული ცალები უთუოდ გამოხატავდნენ გარკვეულ ფულად ღირებულებას მაშინ, როდესაც „არანესიერი“ ჭედვის ერთეულებზე სხვადასხვა თანხა მიდიოდა. გიორგი III-ის ფული, ნინამორბედი ქართული მონეტებისაგან რამდენიმე სიახლით გამოირჩევა. მასზე აღარ არის უცხო მმართველთა სახელები, პირველად ჩნდება „მხედრული“ ასოები და ქორონიკონით გამოხატული თარილი.

XIII ს-ში ფულების რაოდენობა უცემ საგრძნობლად მატულობს.

1964 წ. ითხრებოდა საყდრის ქედის ეკლესია. ეკლესის დასავლეთით, კედლის კვადრატში აღმოჩნდა ქართული ფულების განძი. ეკლესის დასავლეთით კედლის ძირში 0,16 მ სილრმეზე აღმოჩნდა თამარის და დავითის სახელით მოქრილი სპილენძის ფულები კიდევ ერთი განძის 33 ც. რაოდენობით.

აღვნიშნეთ, რომ საყდრის ქედის ეკლესის განმენდისა და გათხრის პროცესში აღმოჩნდა 52 მონეტა, რომელთა ფილი ნანილი განძის სახით შესანირავად მოტანილი მონეტებია. ეს იყო თამარის და დავითის სახელით 1200 წ. მოქრილი მონეტები, რომლებიც აღმოჩნდა ეკლესის დასავლეთით, კედლის ძირას. ერთი განძი შედგებოდა 15 მონეტისგან, ხოლო მეორე 33 ც., რომელიც პირველი განძის მახლობლად იყო ჩაფლული.

„თამარის და დავითის სახელით მოქრილი მონეტები 48-ე 1200 წელსაა მოქრილი, რასაც მტკიცედ ადასტურებს მონეტაზე არსებული ქორონიკონი, მაგრამ საყურადღებო



ისაა, რომ ყველა მონეტას დასმული აქვს დამღა. დამღებილი სმულია რევერსზე და წარმოადგენს ცნობილ დამღას, რომ-ლებიც მხოლოდ თამარის და დავითის სახელით მოჭრილ მო-ნეტაზე გვხვდება. ეს დამღა შედგება ორი ასოსაგან. ქართუ-ლი ასომთავრული - ტ-ონისა და არაბული „μ"-ისაგან, რომე-ლიც დონის მარჯვნივაა აღბეჭდილი" (1, გვ. 157-158).

გარკვეულია, რომ პირველი დამღიანი მონეტები თამა-რის დროს ჩნდება და არ შეიძლება ისინი 1213 წ-მდე უგვიანე-სი იყოს.

„1936 წ. გაითხარა აგრეთვე ქალაქის კარი. აქ, ორ ნახე-ვარ მ. სილრმეზე აღმოჩნდა დიდი, მეტისედ დამუშავებული ფი-ლაქნების ქვაფენილი, რომლის ზემოთ კულტურულ ფენაში ნაპოვნი თამარის ფული - 1200 ნლისა. იგი უნდა მიეკუთვნოს არაუგვიანეს XII საუკუნეს (11, გვ. 4).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დმანისში ბიზანტიური ფულის ბრუნვის შეწყვეტისთანავე ჩნდება ქართული ფული. ჯერ დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის შემდეგ თამარ მეფის, გი-ორგი ლაშასი, რუსუდან დედოფლის და სხვა ქართველ მეფე-თა სახელით მოჭრილი მონეტები. განსაკუთრებით დიდი რაო-დენობით გვხვდება თამარისა და რუსუდანის სახელით მოჭ-რილი მონეტები.

ქართული ფულის რაოდენობა განსაკუთრებით მატუ-ლობს XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში. როგორც აღი-ნიშნა, დმანისში აღმოჩენილი ქართული ფული რაოდენობით მნიშვნელოვნად ჭარბობს აქვე აღმოჩენილ უცხო ქვეყნის ფულს ერთად აღებულს.

აღსანიშნავია, რომ თამარის სახელით ორგვარი ფული იჭრებოდა. დმანისში მისი ორივე სახესხვაობაა ნაპოვნი. ამათგან არანესიერი ჭედის 3 ეგზემპლარი, რომლებზეც გა-ცვეთილობისა და შტამპის სიმცირის გამო თარიღი (1189 თუ 1210 წნ.) ვერ ამოიკითხეს. თამარის ამგვარი მონეტები, რომ ორი განსხვავებული თარიღით იჭრებოდა ქვეყნი = 1187 და

ქსყ30=1210 ნნ. დიდი ხანია ცნობილია. ქართულ ისტორიულ მეცნიერებების რაფიაში დამკვიდრებული თამარის გარდაცვალების თარიღი - 1212 თუ 1213 ნნ., ბოლო დროს კვლავ მეცნიერული დავის საგანი გახდა, რამაც გააცხოველა ინტერესი თამარის 430 წლით დათარიღებული მონეტისადმი. მის დროს მრგვალი, სწორი ფორმისა და გარკვეული ტიპის მონეტებიც იჭრებოდა, მათზე თამარისა და დავით სოსლანის სახელებია დაქარავგებული (ნაპოვნი 190 ც); ტიპით ყველა ერთნაირია, დათარიღებული 420ქრ (1200 ნ.). მათ შორის 6 ეგზემპლარი უთარიღოა.

1948 ნ. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული კერამიკული სახელოსნოს გათხრის შედეგად აღმოჩნდა, სხვა უმნიშვნელო კერამიკულ მასალასთან ერთად, 150-მდე მონეტა. აღმოჩენილ მონეტებს შორის არ ყოფილა XIII ს-ის 30-იან წლებში უფრო ვგიანი მონეტა. ამიტომ, როცა გ. ლომთათიძეს 1950 ნ. 9 იანვარს წაუკითხავს ინსტიტუტში საანგარიშო მოხსენება 1984 ნ. ჩატარებული კერამიკული სახელოსნოს გათხრის შესახებ, ნუმიზმატიკური მონაპოვრის საფუძველზე იმ დასკვნამდე მისულა, რომ სახელოსნო შეიძლება დაენგრიათ XIII ს-ში" (18, გვ. 3).

ამ წელს არქეოლოგიური გათხრის დროს 133 მონეტა სახელოსნოს ნანგრევებში აღამიანის ჩონჩხთან ახლოს აღმოჩნდა.

თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით 1200 ნ. მოჭრილი - 3 ც. ასევე 12 მონეტა აღმოჩნდა სახელოსნოს ფართობშე, რომლებშეც გატარებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილების საინვენტარო დავთარში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული 12 მონეტიდან 6 კერამიკის ნამტვრევების გადანაყარ გროვაში აღმოჩნდა. გიორგი-ლაშას მონეტა VII თხრილში - 1,8 მ სიღრმეზე; რუსულანის - 2, 1 მ სიღრმეზე, გიორგი III-ისა ერთი 1,7 მ სიღრმეზე, ხოლო მეორე 2,1 მ სიღრმეზე; ორი ძლიერ გაცვე-

თილი მონეტიდან ერთი აღმოჩნდა - 1,6 სილიმეტრი, ხოლო მეტი კი არ გვიანდა.

ამასთან დაკავშირებით გ. ლომთათიძე ასკვნის, რომ ეს მონეტები და კერამიკის ნამტვრევები თანადროულია, რაც სრულიად მართებულია; ეთანხმება ვ. ჯაფარიძეც.

1965 წ. ითხრებოდა C¹ შენობა და 1966 წ. აქ, ამ ფართო-ბზე აღმოჩნდა 14 მონეტა, რომელთაგან ჯერჯერობით გარკვეულია - 1.

ვ. ჯაფარიძე მიგვითითებს, რომ „13 მონეტიდან თამარ მეფის სახელითაა მოჭრილი 2 მონეტა“ (19, გვ. 71).

დმანისის მონაპოვარში არის, როგორც დამლიანი, ისე უდამლო ცალები.

ლაშა-გიორგის დროს მონეტების დადამლვის წესი ქრება და ახლდება რუსუდანის მეფობაში. წესიერი ჭედის ორი განსხვავებული ტიპის მონეტები ატარებენ „გიორგი თამარის ძის“ სახელს. სახეობა, რომელზეც გიორგი-ლაშა „ჯავახთუბლად“ იხსენიება, საკმაოდ იშვიათია. ცნობილი ცალების რიცხვი რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა, ამგვარი ცალი დმანისში - 2 ც. ნაპოვნი.

XIII ს. მნიშვნელოვნად მატულობს მონეტების რიცხვი და განსაკუთრებით ქართული მონეტების. აქედან ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება რუსულანის მონეტები - 287 ც.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მონეტის დადამლვა, რუსუ-
დანის მეფობაში აღმდეგარა და მოქმებებდა 1222-26 წ.

1948 წ. არქეოლოგიური კამპანიის დროს, აღვნიშნეთ, რომ ამოვიდა 145 ც. მონეტა, აქედან რუსულან დედოფლის 3 ც., რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზა-ტიკის განყოფილების საინვენტარო დავთარში შემდეგ ნომე-რზეა.

7. რუსულანის - 1127 წ.
 8. სპილენძის ფირფიტა
 9. სპილენძის ფირფიტა.

აქვეა ლაშა-გიორგი 1 ც. რომელიც 12-ე ნომრით არ უნდა იყოს 12. გიორგი-ლაშასი (1213-1222 წ.)

რუსუდან დედოფლის სპილენძის ფულები დათარიღებულია 447 ქორონიკონით (1227 წ.) ყველა ერთი ტიპისაა, მხოლოდ მრავალი განსხვავებული შტამპით მოჭრილი. რუსუდანის სპილენძი ხშირად იდამდებოდა სხვადასხვა ნაირი დამლით. არის დაუდამლავიც. მათ შორის არიან სრულიად დამახინჯებულნიც. არაბული ზედნერილები უთუოდ იმდროინდელი ნაყალბევია.

მონეტის AV-ზე რუსუდანის სახელის ქარაგმა ჩასმულია რთულ ჩარჩოში, რომლის შინაარსი აზრთა სხვადასხვაოპას ინვევს. ეს ფიგურული ნიშანი სპეციალურად შეისწავლათ. ბარნაველმა. მისი აზრით, მოჩარჩოების, როგორც გარეგან, ისე შინაგან ხვეულებში, მოცემულია გარკვეული სისტემის მონოგრამულად შერწყმული ასოები, რომლებიც რუსუდანის სახელს შეადგენენ და ამასთან, გარეგან ხვეულებში სახელი დაწერილია მხედრული ასოებით, ხვეულების შინაგან ყულფებში კი მონოგრამა მოხაზულია მთავრული ასოებით.

„ვფიქრობთ, ეს მოსაზრება ერთგვარად გაუგებარია და აუხსნელიც: რა მიზნით იყო ეს ფარული მონოგრამები რუსუდანის სახელის სრულიად ნითელ დაქარაგმების თავზე“ (20, გვ. 357-58).

1965 წ. არქეოლოგიური გათხრების დროს, შენობის ფართობზე აღმოჩნდა 13 მონეტა, ხოლო 1966 წ. - 7 ც. განსაკუთრებული მნიშვნელობა შენობის დათარიღებისათვის აქვს 1965 წ. აღმოჩენილ მონეტებს იმის გამო, რომ სწორედ აღნიშნულ წელს ჩავიდა ექსპედიცია შენობის იატაკისა და საძირკველის დონეზე. 13 მონეტიდან, ორის გარკვევა არ მოხერხდა მათი ძლიერი გაცვეთილობის გამო: 2 მონეტა აღმოჩნდა შენობის გარეთ 1,5-2,4 მ სიღრმეზე. 4 ც. ზედა ფენაში (0,9-1,1 მ-დე), ხოლო დანარჩენი 5 შენობის გარეთ 1,5-2,4 მ. სიღრმეზე

ამოვიდა. აღნიშნული 5 მონეტიდან 2 ც. რუსუდან დედოფლების სახელითაა მოჭრილი (1227-1245 წწ.).

„ამავე წელს, - C¹ ოთახის გათხრისას აღმოჩნდა 4 მონეტა: ერთი ქართულ-ჰუდაგუიდური (XIII ს.), მეორე - ვერცხლის მონეტა, რომლის განსაზღვრა დამატებით მუშაობას მოითხოვს; მეფე რუსუდანის მონეტა - აღმოჩენილი - 1,5 მ სიღრმეზე, ხოლო მეოთხე იმდენად გაცვეთილია, რომ მისი განსაზღვრა ვერ ხერხდება“ (19, გვ. 73).

1966 წ. კი, ამავე ფართობზე აღმოჩნდა 14 მონეტა და მათ შორის რუსუდან დედოფლის - 5 მონეტა.

1968 წ. აგურით ნაგები უცნობი დანიშნულების შენობის ნანგრევებს შორის აღმოჩნდა სპილენძის ორი მონეტა - რუსუდან დედოფლის, დავით ნარინის (1244-45 წწ.) სიქით და ჯალიარიდების მონეტა, XIV ს. დასასრულის.

„XII შენობის ჩრდილოეთის კუთხესთან აღმოჩნდა ორი მონეტა, ორივე სპილენძის, რუსუდან დედოფლის სახელით მოჭრილი. ერთი მათგანი 0,80 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, ხოლო მეორე 0,9-1,0 მ სიღრმეზე. დმანისის გათხრების პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, როცა დიდ ფართობზე ორი მონეტის მეტი არ აღმოჩნდა, თანაც ორივე სულ 20 სმ სიღრმითაა ერთმანეთისაგან დაშორებული“ (2, გვ. 77).

X შენობაში აღმოჩნდა F¹ ოთახში 2 მონეტა. მონეტებიდან აღსანიშნავია: დავით ნარინის და რუსუდანის მონეტები (VIII ს.) აქვე 0,7 მ სიღრმეზე აღმოჩნდა რუსუდანის კიდევ ერთი მონეტა. 1,2 მ სიღრმეზე კი თამარის და დავითის. აქ არის დავით ნარინის დმანისში მოჭრილი ფული ქართული ქორონი-კონით. უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც, რომ აქვე ნაპოვნი რამდენიმე ამავე სახის მონეტა, რომლებსაც ქორონიკონი აქვთ არა მარტო ავერსზე, არამედ რივერსზეც - ამ უკანასკნელზე უკულმა სახით.

ე. ი. ირკვევა, რომ საქართველოში, გარდა ტფილისისა, ზარაფხანა გარკვეულ დროს დმანისშიც ყოფილა. „როგორც



ჩანს XIII ს-ის პირველ ნახევარში ეს ქალაქი კვლავ თავის მეტობას მთლად მოკლებული არ ყოფილა და ცენტრის როლიც კი უთამაშია: იქნებ რუსულანის რეზიდენცია დროებით ქუთაისიდან გადმოსვლის შემდეგ დმანისში იყო. დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ დმანისი, როგორც ჩანს, ლაშას ძისა და მისი შთამომავლების ხელშია. დავით ლაშას ძე განსაკუთრებულ მზრუნველობას - იჩენს დმანისის მიმართ და ცდილობს მისი მოსახლეობის გაძლიერებას" (10, გვ. 32).

XIII ს-ში რომ დმანისშიც იჭრებოდა ქართული ფული, პირველად გ. წერეთელმა შენიშნა. ქართულად ამ ფულს დავით მეფის დამღა აზის; არაბულად აღნიშნულია მეფის სახელიც, ზარაფხანის ადგილიც - ქ. „დმანისი“ და თარიღიც, რომელიც 1244 წ. უდრის: „ასეთი უცილობლად დმანისში მოჭრილი ფული სულ 18 ცალია, ხოლო ასეთივე 13 მონეტის შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობა სათუოდ რჩება, დმანისში მოუჭრიათ ისინი თუ თბილისში“ (12, 447).

როდესაც შიდაციხის ტერიტორიაზე ორსართულიანი შენობა გაითხარა (შესაძლებელია სასახლე), რომელსაც მიშენებული ჰქონდა აბანო, მაშინ გაირკვა, რომ: „აქ იყო ზარაფხანა და იჭრებოდა 1245 წ. დავით ნარინის ფული“ (20, 357-358).

1244-45 წწ. ჩნდება დავით ნარინის სახელით აღბეჭდილი სპილენძის მონეტა - „აღსანიშნავია ერთი ფაქტიც - რომ დავით ნარინის სახელით თბილისში მოჭრილ მონეტებთან შედარებით, დმანისში მოჭრილი მისივე მონეტები საერთოდ უფრო სრულწონიანია და ტექნიკურადაც უკეთ დამუშავებული ჩანს“ (9, გვ. 88) რომლის შუბლის ცენტრში ასომთავრულით წერია მეფის დაქარაგმებული სახელი, ხოლო ირგვლივ შემოყოლებული არაბული ზედნერილი გვამცნობს, რომ ფული: „მსოფლიოს მფლობელ ყაანის მონას, დავით მეფეს“ ეკუთვნის. ზურგზე არაბულად აღნიშნულია მოჭრის ადგილი (დმანისი) და თარიღი - ჰიჯრის 642 (1244-45 წწ.); მონეტას

ხშირად ქართული 465 ქორონიკონიც (=1245 წ.) ანერია ხელმისაწვდომია, მე" (8, გვ. 25).

ამ მონეტას ალბათ საქართველოში დარჩენილი დედამისი და მისი მომხრეები ჭრიდნენ. ეს გასაკვირიც არ არის, რაღაც 1244 წ. რუსუდანი ჯერ ისევ ცოცხალია, ხოლო მისი ძე დავით-ნარინად წოდებული. ამ დროს ყარაყორუმში იმყოფება, თუმცა ის იმ დროს უკვე მეფედ იწოდება.

ყარაყორუმიდან დაბრუნების შემდეგ, სახელდობრ 1247-48 წნ. სპილენძის მონეტას და ვერცხლის დრაჟმას დავით ნარინი ჭრის, უკვე თბილისში.

დავით ნარინის მოჭრილი ფული სხვადასხვა სახისაა - ქორონიკონიანი და უქორონიკონი, მაგრამ საფიქრებელია, რომ მუსლიმანური თარიღიანი ცალების გამოშვება წინ უსწრებდა ქორონიკონიანს. ნარინის მონეტები გამოირჩევა მოჭრის მაღალი ტექნიკით, (რაც არ ითქმის თბილისში მოჭრილზე) ზედნერილობის შრიფტის დახვეწილობით, მაღალი წონით. ისინი ნახა მ. ბარათაშვილმა (მ. ბარათავევმა), მაგრამ ვერ შეძლო ზედნერილობის სწორად ახსნა.

დავით ნარინის სახელით დმანისში მოჭრილი მონეტის საინტერესო ვარიანტია დაცული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. მას თარიღი სულ არ აქვს. ეს ცალი ეტყობა გამონაკლისს ნარმოადგენს. ზედნერილის ("ხანგრძლივ ჰყოს იგი ღმერთმან") ქვემოთ, იქ სადაც, როგორც წესი, ყოველთვის ჰიჯრით გადმოცემული თარიღია მოთავსებული. არის ორნამენტიც, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მონეტის წარნერები საერთოდ დაუდევრადაა შესრულებული და იმდენად დამახინჯებულია, რომ იმის გარკვევა, რომ მონეტა დმანურია თუ თბილური, ძნელია. შესაძლებელია ეს მონეტა რომელიმე სხვა ზარაფხანაში მოიჭრა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მონეტა იმ დროინდელ ნაყალიბევს ნარმოადგენს. უკანასკნელ ვარაუდს ისიც უწყობს ხელს, რომ ცნობილია იმ დროინდელი აშკარად ყალბი ცალები.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მ. ბარათაევმა, დავით გულაძემ, მოქრილი მონეტა, შეცდომით თბილისში მოქრილად მიიჩნია. ეს მონეტები 1936-37 წწ. არქეოლოგიური გათხრის შედეგად აღმოჩნდა დმანისში, სხვა მრავალრიცხოვან ნივთებთან ერთად. ყველა ერთნაირი ტიპისაა, რომლებზეც არაბული ასოებით გამოყვანილი წარწერებია მოთავსებული. გ. წერეთელმა მონეტებზე, ტექსტის პირველი გაცნობისთანავე აღმოაჩინა, რომ მათზე ქალაქის სახელი - დმანისი არის მოთავსებული. როგორც გამოირკვა, ანალოგიური ტიპის მონეტები კარგა ხანია არსებობენ სხვადასხვა ნუმიზმატიკურ კოლექციებში, ცნობილია ლიტერატურაში. მაგრამ ქალაქის სახელი, მანამდე ყველა ავტორის მიერ მცდარად იკითხებოდა (თბილისი, ნაცვლად დმანისისა).

დმანისის მონეტა პირველად ამ 100 ნლის ნინათ გამოიცა. მ. ბარათაშვილის მიერ, თავისი შრომის VIII ტაბულაზე, ავტორმა მოათავსა ლითონის ანაბეჭდების ფოტოგრაფიები, ხოლო 142-143 გვერდზე გამოაქვეყნა წარწერის ტექსტი. თარგმანითა და კომენტარებით. წარწერის ტექსტს, რომელიც №3-ზეა მოთავსებული, მ. ბარათაშვილი ამგვარად კითხულობს. ამასთან, პირველი სტრიქონის შემდეგვე შენიშვნა აქვა:

„უკანასკნელ სიტყვას ერთგვარი მსგავსება აქვს თბილისის სახელთან, რომლებიც შემდგომ ნომრებზეა წარმოჩენილი, მაგრამ ნინამავალი ასოების მნიშვნელობა მე არ შემიძლია განვსაზღვრო“ (5, გვ. 142-143).

ხსენებული მონეტა თბილისში მოქრილად იყო მიჩნეული საქართველოს მუზეუმისა და პეტერბურგის ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ კაბინეტში.

„ვინაიდან ფულის ტექსტი ყველა თავისი ვარიანტით ჯერჯერობით ზუსტად არ არის წაკითხული, საეჭვოდ მიგვაჩინა მათი აქ წარმოდგენა მთლიანად (აქ 10 ც. მონეტაა წარმოდგენილი“ (13, გვ. 167-172).

№1 ფიგურაზე ტექტი კარგად იკითხება. ყველა ასო წარმოდგენილია, თლად ჩანს და რაიმე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ წარწერა ყველა ეგზემპლარზე ერთნაირად არ არის წარმოდგენილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა RV, რომელიც №1-თან ამგვარად იკითხება: ქალაქი დმანისი ხანგრძლივ ჰყოფს მას ღმერთი - წელსა ექვსას ორმოც[და]ორსა. ტექსტის წაკითხვა სიძნელეს არ იწვევს. პირველი სიტყვა განსაკუთრებით კარგად არის შენახული №3-ზე, იქვე №4-ზე ნათლად ჩანს ქალაქის სახელი. ისე რომ, აღრევა (თბილის)თან შეუძლებელია.

ამგვარად, ტაბულაზე, ფულის სხვადასხვა ვარიანტი არის წარმოდგენილი. ცხადია, დმანისის ამ დღემდე უცნობ ზარაფხანაში, რამდენიმე სიქა არსებობდა მონეტის მოსაჭრელად. მონეტების დიდი რაოდენობა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ასევე მათმა სხვადასხვა სახეობამ დაამტკიცა, რომ დმანისის ზარაფხანას ერთ დროს საკმაო როლი უთამაშია.

ამ მომენტის შესახებ ცნობას გვაწვდის თ. ლომურიც. რომელიც ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს მონეტა დავით ნარინისაა და მოჭრილია დმანისში: „ვფიქრობთ, ეს დავით რუსუდანის ძეა: იმიტომ, რომ ამ დროს ნაკურთხ მეფედ ითვლებოდა რუსუდანის ძე. მართალია, ის ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული მონლოლთა უმაღლესი ყაენის მიერ და ჯერ ისევ უცხოეთში იმყოფებოდა, მაგრამ მაინც ცნობილი იყო, როგორც საქართველოს ტახტის მფლობელი და ამ ფულების მოჭრით მონლოლები აღიარებდნენ, როგორც მის უფლებებს, ისე საქართველოს სახელმწიოებრივ სუვერენიტეტსაც. 1247 და 1252 წნ. ამავე ტიპის მონეტებიც ამავე დავითს უნდა მივაკუთვნით” (10, გვ. 125).

ეს იმიტომ იყო მაშინ ძნელი დასაჯერებელი და წაკითხვის დროს შეცდა ლანგლუა, რომ საქართველოში მოჭრილ ქართულ და არაქართულ მონეტებზე, გარდა ტფილისია, არც ერთი სხვა ქალაქი მოხსენიებული არ არის და ამიტომ არც შეიძლება იყოს ზარაფხანის ადგილად მიჩნეული. ერთი

კი ცხადია - ზემოხსენებული მონეტები მოჭრილია ქ. დავითგარების, სში ჰიჯრის 642 წ. (-1245 წ.), დანარჩენი ამგვარივე მონეტები მოჭრილია ქ. ტფილისში ჰიჯრის 468 და 650 წნ.

დავითთა სახელით მოჭრილ მონეტათა შორის დღემდე დავის საგანია ცხენოსნის გამოსახულებიანი და ქართულ ინიციალებიანი „ტფ“ სპილენძის მონეტა არაბული ზედნერით - მეფე მეფეთა, მეორე ხაზზე დავით ძე გიორგისა მახვილი მესიისა.

დმანისში მოჭრილი მონეტები სხვამხრივაც არიან საინტერესონი. ზოგიერთ მათგანზე, გარდა იმ ნარნერებისა, რომლებიც შეუმჩნევიათ და, თუმცა შეცდომით, მაინც ამოუკითხავთ ამ მონეტის გამომცემლებს. არის კიდევ რამოდენიმე ნიშანი, რომლებიც აქამდე ლიტერატურაში აღნუსხული არ არის. Av - იქ სადაც მოთავსებულია უკანასკნელი სიტყვა, მარცხნივ ჩანს ქართული ასომთავრული ჭყ, ხოლო მარჯვნივ სუ. მთლიანად ჭყსუ, როცა იხსენება: ქორონიკონსა 465 (1245 წ.), ამგვარად რევერსის თარიღი ჰიჯრით 642 და Av ქართული ქორონიკონით სავსებით ეთანხმება ერთი მეორეს.

1964 და 1965 წნ-ში დავითის სახელით მოჭრილი 6 ც. სპილენძის მონეტა აღმოჩნდა, რომელიც XIII ს-ის საცხოვრებელ ნაგებობაში იქნა მიკვლეული.

„დმანისის ზარაფხანის პროდუქციად შეიძლება ჩაითვალოს XIII ს-ის ბოლო წლების თითო-ოროლა „სომხეთის“ სამონეტო ტიპი, რომელიც იმეორებს იმ დროს გავრცელებულ ქართულ-ჰულაგულურ დრაპეტის ტიპს“ (9, გვ. 95).

დ. კაპანაძემ ყურადღება მიაქცია და გამოარკვია, რომ „სომხურ“ მონეტებად მიჩნეული ერთი ჯგუფი XIII-XIV სს. მონეტებისა, სინამდვილეში ქართული მონეტები ყოფილა: „რომელსაც საქართველოს სამხრეთ პროვინციაში - სომხითში ჭრიდნენ, ამ საკითხის გადაჭრაში დიდი როლი ითამაშა დმანისში აღმოჩნდნილმა მასალამ“ (20, გვ. 58).

ძნელია იმის გამორკვევა, თუ რითი აიხსნება ზარაფხაცხადის დანიშნულების გადატანა: იყო ეს იმითი გამოწვეული, რომ საქართველოს დედაქალაქში - თბილისში, მონღლოლთა ხელისუფლების დამკავიდრების გამო შეუძლებელი გახდა იქ ფულის მოქრა, თუ რაიმე სხვა მიზეზები არ იყო. თვით ფაქტი კი ყოველ შემთხვევაში დმანისში ზარაფხანის არსებობისა, ინტერესს მოკლებული არ არის.

ვ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ აქ ზარაფხანის მოქმედება მხოლოდ ექსტრემალური ვითარებით იყო გამოწვეული. ამას ისიც მოწოდებს, რომ: „შემდეგში მისი სახელწოდება მონეტებზე პირდაპირ აღარსად აღინიშნება, თუ არ მივიჩნევთ, რომ XVIII ს. 80-იანი წლების ანონიმური სპილენძის ჯვრის გამოსახულებითა და სომხური ასოებით („სომხითის მონეტები“), ვარაუდით დმანისში იჭრებოდა (20, გვ. 58).

ჩემის აზრით კი, დმანისში ზარაფხანის არსებობა შესაძლებელია, მართლაც ექსტრემალურ ვითარებით იყო გამოწვეული, მაგრამ არც ისაა აზრს მოკლებული, რომ დმანისი ამ დროს საკმაოდ მდიდრობს - როგორც ქალაქი, მდებარეობს საკმაოდ ხელსაყრელ სავაჭრო გზაზე, დედაქალაქიდან საკმაოდ ახლოს იმყოფება და ჩვენი მეცნებიც, ამ ყველაფრიდან გამომდინარე სწორედ აქ გადაწყვეტენ ეროვნული ფულის მოქრას. ამას ისიც ადასტურებს, რომ აქ აღმოჩენილი მონეტების რაოდენობით, დმანისს ვერც ერთი შუა სს-ის არქეოლოგიურად მეტნაკლებად შესწავლილი სხვა ვერცერთი ქალაქი კონკურენციას ვერ უწევს.

რაც შეეხება ვ. ჯაფარიძის აზრს, რომ „სომხითის“ მონეტები, ვარაუდით დმანისში იჭრებოდა, ამას საბოლოოდ დ. კაპანაძემ დაუსვა ნერტილი და დაამტკიცა, რომ ისინი ნამდვილად ქართული მონეტებია და საქართველოს სამხრეთ პროვინციაში - სომხითში იჭრებოდა.

დმანისშივე აღმოჩნდა ვახტანგ III-ის და დავით VIII-ის მონეტები. ამ უკანასკნელის დირპემები ჯერ კიდევ გასულ

სს-ში იყო ცნობილი. ყველა ცნობილი ცალის შესწავლით გინდა, რომ ისინი იქრებოდა 1297 წ. 25 აპრილიდან ამავე ნლის 27 ივნისამდე (ან შესაძლოა შემდეგაც).

ვახტანგ III-ის სახელს ორი განსხვავებული ტიპის სპილენძის ფული ატარებდა - ერთი, რომლის შუბლის სამსტრიქნიანი ზედნერის ბოლოში მთავრულად ნერია: **ჭავჭავაძე**, ხოლო მეორე, რომლის ზურგზე ოთხსტრიქონიანი მუსლიმანური სარწმუნოებრივი სიმბოლოს შემდეგ არის ქართული მონოგრამა ბ. ორივე ეს სახეობა საკმაოდ იშვიათია.

ერთი რამ კი აღსანიშნავია, რომ 1960-66 წწ. ექსპედიციის განმავლობაში მოპოვებული 154 სხვადასხვა მონეტა, უმთავრესად სპილენძის და ვერცხლისაა, რა თქმა უნდა ქართული ნამატით.

ასეთსავე სურათს იძლევა მოსახლეობიდან ამოღებული მონეტები, რომლებიც შემთხვევით იქნა აღმოჩენილი. ამ შემთხვევაშიც უმეტესი ნაწილი ქართული მონეტებია და მათ შორის რუსულანის სახელით მოჭრილი.

ე. ი. XII ს-ის მეორე ნახევარსა და XIII ს-ში დმანისი არის თავისი დროის ვრცელი და მდიდარი სავაჭრო ქალაქი. ამის დამადასტურებელია მრავალრიცხოვანი მონეტები (2000 ცალზე მეტი), აღმოჩენილი როგორც ნაქალაქარის ტერიტორიაზე, გათხრების პროცესში, ისე მის გარეუბნებსა და გარეუბნის ვრცელ სამაროვნებზე, სამარხებში. ასევე (მათ შორის განძების სახით), როგორც ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე, ისე ჩრდ. რუსეთის, ბალტისპირეთის ქვეყნებში.

შემდეგ არის ოთხსაუკუნოვანი ხარვეზი და ამასთან გაურკვევლობა, მეცნიერთა აზრთა შეუსაბამობა. მაგ.: ამ აზრს იზიარებენ ი. ჯალაღანია და ვ. ჯაფარიძე. ისინი თვლიან, რომ არის მხოლოდ არაქართული ფულები, შემდეგ თვითონ ვ. ჯაფარიძე ნერს, რომ XIV ს. აღმოჩენდა მონეტა „დავითის ფარის“ გამოსახულებით (ეს მონეტა აღმოჩენდა 1968 წ. არქეოლოგიუ-

რი მუშაობის შედეგად III უბანზე. აქ იყო 10 ც. სპილენძის „მოწვევა, ნეტა, მათ შორის 6 ც. შენობის შივნით”) (84, გვ. 65).

დ. მუსხელიშვილი კი გვამცნობს, რომ XV ს-ში გვაქვს 1 მონეტა (გიორგი VII-ის). XV-XVII სს-ები კი სულ არაა წარმოდგენილი ფულის სახით. ეტყობა ეს უნდა ყოფილიყო ქვეყნის დიდი ეკონომიკური კატასტროფის შედეგად, რაც შეიძლება გამოეწვია თემურ ლენგს არაერთგზის მძვინვარე შემოსევას, რამაც ქვეყანა დალუპვის პირამდე მიიყვანა. ამ დროიდან დმანისი აღარ წარმოადგენს ქალაქს, იგი სოფელია.

დ. კაკაბაძეს კი მიაჩნია, რომ:

„XVI ს-ის ქართულ წარწერიანი მონეტები გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ადრინდელნი, სამაგიეროდ გავრცელდა თურქული და ერანული მონეტები და მათი მიბაძვით ადგილობრივ მოჭრილი ფული, რადგანაც ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუაზე გაიყვეს (8, გვ. 35).

ე. ი. ამით მტკიცდება, რომ ამ 4 ს-ის განმავლობაში საერთოდ კი არ არის, როგორც ქართული, ისე არაქართული მონეტები, არამედ სხვა საუკუნეებთან შედარებით ნაკლებად მოგვეპოვება (ნ. მ.), ამის ნათელი დადასტურებაა 1960-66 წწ. აღმოჩენილი XIV ს-ის მონეტები, მათ შორის ოლვაიოთუ ილხანის (1304-1316 წწ.), აბუსაიდის (XIV ს.), ვერცხლის მონეტები. იშვიათად, მაგრამ მაინც არის XVII-XVIII სს. მონეტები (სვიმონ მეფის, ბაქარის). ირანული სულეიმან I-ის (1666-1694 წწ.), ირანული საქალაქო მონეტები XVII ს-ის. „სოფ. პატარა დმანისში (ბაშკიჩითის რ-ნი), აჰმედ ჯელაირის (1382-1411 წწ.) ვერცხლის მონეტა” (6, გვ. 65).

სპილენძის მონეტა

1927 წ. გამოქვეყნებული იქნა სპილენძის მონეტების მცირე ჯგუფისადმი მიძღვნილი ე. პახომოვის წერილი „О нес-



которых монетах, чеканенных в Армении в XIII-XIV вв.", *ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆ* մուշ նշանությունը մասալա որպես գաղտնալու:

1. ქრისტიანობის უდავო ნიშნების მატარებელი მონეტები.
 2. მონეტები, მოჭრილი საერთო მუსლიმანური ტიპით.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ მონეტების პირველმა ჯგუფმა, რადგან ქართულ ნუმიზმატიკაში მნიშვნელოვან აღმოჩენათა წყალობით, მასალის შესწავლისათვის უკეთესი პირობები მოგვცა.

სპილენძის მონეტები აღმოჩენილი იქნა 1948 წ., არქეოლოგიური კამპანიის დროს - 2ც. ისინი მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთარში შემდეგი ნომრებით.

8. სპილენძის ფირფიტა.

9. სპილენძის ფირფიტა.

XVIII ს-ში გვხვდება თეომურაზ II-ის სახელით მოქრილი მონეტა. XIX ს-ში კი თბილისური მონეტები „ქართული თე-თრი“ (ვერცხლის) და „ქართული ფული (სპილენძის) ალ. ბა-ტონიშვილის (1795-96 წ.).

ქართულ-პულაგუიდური

დმანისში არქეოლოგიური კამპანიის დროს აღმოჩნდილი იქნა თავისებური ფულები, რომლებიც ქართულ-ჰულაგურ-დური მონეტების სახელით არის ცნობილი.

აქ იყო XIII ს-ის 80-90 წელი. ცალები. არღუნის (1284-91 წელი) - 10 ც. ბაიდუხი (1295 წ.) - 2 ც. ამ მონეტის ძირითადი სახეობის აღნერილობა ქართულად არც გამოქვეყნებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მ. ბარათაშვილს.

ამგვარი დირჟემების გარდა, ნაკლები რაოდენობით; მა-
გრამ მაინც არსებობს ასეთივე სპილენძის მონეტები.

ეს სამონეტო ტიპი, უცხო ქვეყნების ზემო აღნიშნულ ნიშნებს რომ შევადაროთ, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის

უდავო მსგავსებაა. ამიტომ, დამკვიდრებული ტერმინი („ქრისტიანული სტილის ქულაგუილური დირჰემი“) მას არ უხდება. ამ დირჰემების ქართულ წარმოშობას არც ე. პახომივი უარყოფს, როდესაც მას „საქართველოში მოჭრილ ქრისტიანულ-ქულაგუილურ დირჰემს“ უდარებს. ამასთან დაკავშირებით დ. კაპანაძე შენიშნავს: „ჩვენ მას ვეთანხმებით, რომ ეს მონეტა საქართველოშია მოჭრილი, - ამისთვის მრავალი საბუთი მოიპოვება, მაგრამ ტერმინს „ქრისტიანულ-ქულაგუილურს“ ვერ ვიზიარებთ, რადგან მონეტის ჭეშმარიტი წარმოშობის შესახებ ნამდვილი შთაბეჭდილებას არ იძლევა. ამ გავრცელებული ტერმინის შეცვლისა და მონეტისათვის ნამდვილი სახელის მიცემის შესახებ კატეგორიულად უნდა დაისვას საკითხი. ჩვენ პირადად ვარჩევთ, რომ მას „ქართულ-ქულაგუილური დრამა დავარქვით“ (7, გვ. 42).

შევადაროთ ე. ნ. „მონდოლურ-სომხური“ სპილენძის მონეტა ამ ჩვენ ქართულ-ქულაგუილურ დრამას. მათ შორის მჭიდრო ნათესაობაა. განსხვავება მხოლოდ ზედმეტ დეტალებშია - სომხურ ინიციალებში, რომლებიც ჯვრის ტოტებს შუა არის მოთავსებული. მაგრამ არც ეს გარემოება და არც იმავე არაბული ზედნერილის სხვანაირი განლაგება მდგომარეობას არ ცვლის. შინაარსი უცვლელი რჩება, ძირითადი დეტალები ორივე მონეტაზე ერთნაირია, ისევე როგორც დავით VI-ის და ვახტანგ III-ის დრამები და ზოგიერთი შავი ფული, №№ 1-3 სპილენძის ფულიც ქართულ-ქულაგუილური დრამების ძირითადი სამონეტო ტიპის განმტოვება უნდა იყოს მხოლოდ.

უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ ქართულ-ქულაგუილური დრამის და №№ 1-3 მონეტის წარმოშობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ამ მონეტაზე თარიღის უქონლობა ე. პახომივს ხელს არ უშლის ასეთები 1280-1282 წწ. დაათარიღოს. ამის დასასაბუთებლად მას ის გარემოება მოჰყავს, რომ აბალას სახელით აღმოჩენილ მონეტებზე მონდოლური ზედნერილის ზემოხსენებული ფორმა თავდაპირველად სწორედ ამ

სხვა წყაროები გვარნმუნებენ, რომ სამონეტო ტიპის ათვისების საკითხი სხვანაირად უნდა ყოფილიყო. ა. მარკოვა მოყვანილი აქვს ქართულ-ჰულაგუიდური დრაშმა, რომელზედაც თარიღი გაცილებით ადრინდელია, სახელდობრ რები ულ ახირ 678 ჰიჯრისა (=1279 წ. აგვისტო) ([1]; 571), მაგრამ ეს ცნობაც რომ არ ყოფილიყო, ცხადია, რომ ე. ნ. „მონღოლურ-სომხური“ მონეტები, ქართულ-ჰულაგუიდურ დრამებზე ადრე ვერ მოიჭრებოდა. ეს უფრო პირიქით უნდა მომხდარიყო, რა-დგან მიბაძვის დროს საერთოდ ისეთ ნიმუშებს ირჩევენ, რომ-ლებიც უფრო ხშირია და რომელსაც მოსახლეობა შეჩვეულია. ამ შემთხვევაში კი მისაბაძი ნიმუში რა თქმა უნდა ქართულ-ჰულაგუიდური დრაშმაა. ამ ორი სახესხვაობათა ცნობილი რაოდენობა რომ შევაჯამოთ, ქართულ-ჰულაგუიდური დრაშ-მების აშვარა უპირატესობას შევნიშნავთ. ეს მონეტები ძალიან გავრცელებულია. მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი რაოდენობაც კი ასეულებს აღნევს. №№ 1-3 სპილენძის მონეტები კი სულ 17 ცალადაა ცნობილი. ე. პახმოვის წერილში აღუნუს-ხულმა ამ სპილენძის მონეტების რაოდენობამ უკანასკნელ დროს საგრძნობლად იმატა, ამიტომ მათ ხელმეორედ აღვრიცხავთ:

1. სახელმწიფო ერმიტაჟში (სანკტ-პეტერბურგი) - 2 ც.
 2. ა. ბაიბურთიანის კოლექციაში (აზალციხე) - 1 ც.
 3. 6. 3. ივაშჩინის (თბილისი) - 2 ც.



4. თბილური - 2 ც. („-“). ეს 7 ც. ე. პახომოვს აღუნუსხულებული აქვს. ამჟამად ამას დაემატა
5. ჩვენი პირადი კოლექციის (თბილისი) - 2 ც.
6. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (თბილისი) - 8 ც.
შეძენილია დმანისის არქეოლოგიური მუშაობის შედეგად.

ამრიგად, 17 ცნობილი ცალიდან საქართველოს საზღვრებს გარეთ მხოლოდ 2 ცალია, რვას აღმოჩენის ადგილის და პირობებს შესახებ ძვირფასი ცნობები ახლავს. ეს მაჩვენებელი ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ერთ გარემოებას. აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით ანისში წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგები ცნობილია, მაგრამ აქ აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ მასალაში, ასეთი მონეტა ნაპოვნი არ ყოფილა. ამავე დროს კი 1936-1937 წწ. დმანისის გათხრების შედეგად (ექსპედ. ხელმძღ. ლ. მუსხელიშვილი) ამ მონეტის საერთო რაოდენობამ ერთი-ორად იმატა.

1261-62 წწ. იქრება ახალი ტიპის მონეტები, რომლებიც თავისი წინამორბედისაგან ანონიმურობით გამოირჩევა. ყან მანგუს სახელი შეცვლილია „დიდი ყაანის“ ტიტულით. ამ ახალ სამონეტო ტიპს „ყაანური“ ეწოდება. აქ ნაპოვნია ვერცხლის მხოლოდ ორი - „ყაანური“ და საგრძნობი რაოდენობა „ყაანურის“ თანადროული სპილენძის. 1279-1280 წწ. მთავრდება დღეს ცნობილი ანონიმური „ყაანურების“ მოჭრისა და ილხან აბადას დროს იწყება სრულიად ახალი ტიპის მონეტების გამოშვება - ის დინასტიურ ცვლილებებთან არ იყო დაკავშირებული. ეს ე. ნ. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტებია (მოჭრილი XIV ს-ის 20-იან წლებში), რომლის ერთ მხარეს თავსდებოდა ხუთსტრიქონიანი უილურული ზედნერილი, ბოლო სტრიქონი ილხან არღუნის დროიდან არაბულია და შეიცავს ილხანის სახელს: მეორეზე ქრისტიანული ლოცვაა არაბულად და ჯვრის გამოსახულება. ამ ტიპის ფული საკმაოდ დიდხანს



იჭრებოდა. ამგვარად, აქ არის, როგორც ვერცხლის, ისე ჟურნალის, ლენინის ფული. ეტყობა ეს უკანასკნელი იმ დროინდელი ნაყალბევია, რომელიც დავერცხლის შემდეგ ვერცხლად საღვებოდა.

ქართულ-ჰულაგუიდური მონეტებთან ახლოს დგას და ტიპოლოგიურად მათთან პირდაპირ კავშირშია XIII ს. ბოლოს მოჭრილი სპილენძის მონეტების პატარა ჯგუფი, რომელიც დღემდე მკვლევართა დავის საგანია. ეს სამი, განსაკუთრებული ტიპის მონეტები, მათზე მოთავსებული ზედნერილობისა და გამოსახულებების მიხედვით - ქრონოლოგიურად ლაგდება. მათგან უადრესია ისინი, რომლებიც წარმოდგენილია დმანიურ კოლექციაში.

Av სტრიქონზე უილურული ზედნერილი: „სახელითა ყანისა, აბალას მოჭრილი“. გარეთა სეგმენტებში დამახინჯებული თარიღი.

ამ ჯგუფის მონეტათა მოჭრის ვითარება ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგება. სპილენძის მონეტა ჯვრის გამოსახულებითა და სომხური წარნერით შეიძლებოდა მოჭრილიყო უმაღ ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემის გამოშვების შემდეგ (XIII ს. 80-იანი წლები), ხოლო მეორე ტიპი „რანჯ“ - უკვე ვახტანგ III დირჰემის მოჭრის შემდეგ (1298 წ.) თითქმის ყველა ცნობილი ამგვარი ფულის პოვნა დმანისში გვაფიქრებინებს, რომ ისინი შეიძლებოდა მოჭრილიყო დიდ სავაჭრო ქალაქ დმანისში, სადაც სომხური მოსახლეობაც იყო.

უცხოური წარმოშობის

ბიზანტიური:

1964 და 1969 წ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს აღმოჩენილი იქნა ბიზანტიური მონეტები. ასევე 1963 წ. სოფ. ლოქვანდარის ძველ სასაფლაოზე. 1966, 1970

ნნ. მიწის დამუშავების დროს. 1968, 1969; 1974 ნნ. მაღლავის ისევ ლოქჯანდარას სასაფლაოზე.

„1981 ნ. ივლისში - სოფ. კამარლოში - მონეტა მუზეუმს შენირა კახა კახიანმა. 1970 ნ. ორი გაცვეთილი მონეტა. 1932 ნ. დაბა დამანისში - საქართველოს მუზეუმს შემონირეს ლ. და გ. ლეონიძეებმა. 1962 ნ. აღმოჩნდა გომარეთ-ზურტაკეტის პლატოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექპედიციის მიერ ყორდანში ჩაშენებულ საფლავში (3, გვ. 52).

დმანისი VI ს-დან მოყოლებული XII ს-მდე მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული ბიზანტიისთან და ამავე დროს, ამ პერიოდში, სრულიად არ ჩანს, მისი კავშირები სხვა ქვეყნებთან. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მრავლად გვხვდება მხოლოდ ბიზანტიური ფული და სრულებით არ ჩანს სხვა ქვეყნების ფული. კონსტანტინე VII (913-959 ნნ.); 1964 ნ. ითხრებოდა „საყდრისქედის ეკლესია“. ეკლესიის სამხრეთით ჩანდა რაღაც ნაგებობის ნანგრევი. ექსპედიციამ (ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი) 1973 ნ. დაიწყო ამ ნაგებობის თხრა. მონაშენის კარის ზღურბლზე (n-0,5 მ) აღმოჩნდა სპილენძის ბიზანტიური მონეტა, მოჭრილი თეოდორას (1055-1056 ნნ.) სახელით. მეორე - აგრეთვე სპილენძის რომანოზ III-ის (1028-1034 ნნ.). აქვე გვხვდება რომის იმპერატორის დიოკლიტიანეს (284-305 ნნ.) სპილენძის მონეტა; პართელ ოროდ II-ის (ძვ. ნ. 57-ახ. ნ. 37) და იმპერატორ ავგუსტეს (ძვ. ნ. 37-14 ნნ.) ეერცხლის ფულები. „ამათგან განსაკურებით საყურადღებოა დიოკლიტიანეს მონეტა, რომელიც ამის გარდა მხოლოდ ლაგოდებშია ნაპოვნი (14, გვ. 17).

დმანისში აღმოჩენილი ფულები უმთავრესად სპილენძისაა და ვერცხლის. სულ განმენდილი და შესწავლილია 228 ც. უძველესი მონეტები ბიზანტიურია: VI, VII და IX ს-ის (თითო ცალი). XI ს-ის - 3 ც. X-XI სს-ის - 1 ც.; XI ს. - 7 ც. მიხეილ IV პა-

ფლავონელის (1034-1041 წწ.); კონსტანტინე მონომაზიანის (1042-1056 წწ.).

ბიზანტიური მონეტები შეისწავლა და ერთ კატალოგად გამოსცათ. აპრამიშვილმა.

აქვე არის: იუსტინე II-ის (565-578 წწ.) - 2 ც., რაც აღმოსავლეთ საქართველოსთვის პირველი შემთხვევაა. კონსტანტინე II-ის (641-668 წწ.) - 1 ც. ოქროს მონეტა. მასზე მეფის ნელსზევითი გამოსახულებაა - მარჯვენა ხელში უჭირავს სფერო ჯვრით, მეორე მხარეს ოთხსაფეხურიან გოლგოთაზე - ჯვარი. VIII ს-ში იუსტინე II-ისა და მისი შვილის ტიბერიუსის (705-711 წწ.) სახელით მოქრილი. IX ს-დან ბიზანტიური ფულის ნაკადი მატულობს. ნიკიფორე I-ის (802-811 წწ.); მიხეილ II-ის და თეოფილის (820-842 წწ.) ტიპის, ბასილი I-ის (867-886 წწ.) და ბოლოს, საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ლეონ VI-ის (886-912 წწ.) მონეტებისა, რომელთა აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოში სწორედ დმანისით შემოისაზღვრება. იგი ეტყობა ვაჭრობის გზით შემოსულა აქ.

X ს. იმპერატორ იოანე I ტიმისხის (969-976 წწ.) - 1 ც. მის შუბლზე დაკრულია აღმოსავლური დამღა და ისიც აღბათ, მუსლიმანური საემიროს გზით არის მოხვედრილი ჩვენთან. გვხვდება აგრეთვე რომანო III (1028-1034 წწ.); კონსტანტინე X ოქრო (1059-1067 წწ.), რომანო III დიოგენი (1068-1071 წწ.); მიხეილ VII დუკა (1071-1078 წწ.); ალექსი I კომნენის (1081-1118 წწ.); კონსტანტინესი და ევდოკიასი (XI ს.), კონსტანტინეს ხელით მოქრილი (1058-1067 წწ.). ეს არის ოქროს ფულის აღმოჩენის ერთერთი შემთხვევა, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციების პრაქტიკაში. აღმოჩენილია, ჯვაროსანთა მიერ დაარსებული, ლათინთა იმპერიის მმართველის, პენრი ფლანდრიელის (1205-1206 წწ.) მონეტა. საინტერესოა დემეტრე დუკას (1244-1245 წწ.) თესალონიაში მოქრილი მონეტაც. იოანე II-ისა (1280-1297 წწ.) ძალიან გაცვეთილი მონეტა. აქვე

ზედაპირულად ნაპოვნი ავგუსტე კეისრის რომაული დენარიუმის არის აგრეთვე ტრაპიზონურ ასარი იოანე II-ისა (1280-97 წ.).

ბიზანტიურ მონეტებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ VI-VIII ს-ში აღნიშნული მონეტების ერთეულები გვხვდება, ხოლო IX სს-ში პროგრესულად იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ორი ს-ის ყველა იმპერატორის ფულებია აღმოჩენილი ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

ბიზანტიური ფულის ნაკადი იმპერატორ ალექსი I კომნენის (1081-1118 წ.) მონაცემებით წყდება და სრულიად არ გვხვდება XII-XIII სს. ბიზანტიური იმპერატორების მონეტები.

აღმოსავლური მონეტები

1953 წ. ივნისში, დმანისის რ-ნის სოფ. დმანისში, ნასახლარების დათვალიერებისას მიწის ზედეპირზე აღმოჩნდა ოროდ I-ის დრაქმა:

„მპოვნელმა განსაზღვრსათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში მიიტანა. შემდგომში მონეტა მასთან დარჩა კვლავ“ (3, გვ. 101).

1960-72 წ. (ამ დროს გათხრებს ვ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა) მრავლად ამოვიდა მონეტები. ამ დროს აღმოჩნდა მანგუყაენის ორი მონეტა - შიდაციხის აბანოში (ერთი მათგანი სამხრეთ-დასავლეთ კედლის ძირში) სპილენძის.

1964 წ. „საყდრის ქედის ეკლესიის“ გათხრისას, მისი ნანგრევების გასუფთავების დროს, აღმოჩნდა ორი თურქული მონეტა XVIII ს. ერთი მოჭრილი აჰმედ III-ის სახელით (ვერცხლის), ხოლო მეორე მონეტის მომჭრელის ვინაობა გაურკვეველია გაცვეთილობის გამო.

„1941-43 წ. დმანისი რაიონის სოფ. დამლუთისხევში, ოქროს ძიების დროს აღმოჩენილია ძალიან გაცვეთილი არაბული ფელსი“ (15, გვ. 8).

აქვეა მიკვლეული (დმანისში) ილდიგიზური მონეტების 2 ც. (მოჭრილი XII-XIII სს-ში) (აზერბაიჯან. ათაბაგ.) ჯალალ-ეფ-დინის მიერ მოჭრილი - 1226 წ.

იმ მრავალრიცხოვანი, ძნელად გასარჩევი სპილენძის მონეტებიდან, რომლებიც დმანისშია ნაპოვნი, მხოლოდ 7 ც. უცილობლად ეკუთვნის ჯალალ-ეფ-დინს. ეს საყოველთაოდ ცნობილი ერთადერთი ტიპია.

აქ არის აგრეთვე ქაიქუბად I-ის (1219-1236 წწ.) ორი დი-რპემი და 20 სელჩუკური ფელსი, რომელთა უფრო ზუსტი გა-ნსაზღვრა ვერ ხერხდება მეტისმეტი გაცვეთილობის გამო. აღსანიშნავია, რომ ადრეულ XII ს. ფელსები მათში არ ურევია მონღოლური XIII ს. 40-50 ნლების - 4 ც. კი, საქართველოს გა-რეთ არის მოჭრილი. არის რუმის სელჩუკების (XII ს. 90-იანი წლები, XIII ს-ის I ნახევარი); ქეიქუბად I (1219-37 წწ.) - 1 ც. და მანგუ ყაენის (1251-1260 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტები. არის აგრეთვე ე. ნ. ყაანური მონეტების ერთი ტიპის (XIII ს. 60-იანი წლები) და მეორე ტიპის ყაანურები (XIII ს. 60-70- წწ.). ჰუ-ლაგუიდური, რომლებიც გავრცელებული ჩანს XIV ს-ის დასა-ნყისიდან, მათ შორის ყველაზე აღრინდელია ოლჯაითუს სა-ხელით მოჭრილი მონეტები (1304-1317 წწ.). დმანისის განა-თხარში შედარებით გავრცელებული ჩანს ჰულაგუიდი აბუ საიდის (1317-1335 წწ.) მონეტები, მაგრამ გვხვდება აგრეთვე სულეიმანის (1339-1349 წ.) და ანუშირვანის (1343-1355 წწ.) მონეტებიც.

ყველაზე გვიანი მონღოლური მონეტაა, რომელიც დმა-ნისში გვხვდება. ეს არის ოქროს ურდოს ხანის - გიიშად-დინ თოხთამიშის (1376-1395 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტა. შე-მდეგ კი XIII ს-თან შედარებით, მონეტების რაოდენობა XIV ს-ში მნიშვნელოვნად კლებულობს.

ვ. ჯაფარიძე წერს:

„რომ აქ, საერთოდ არ გვხვდება სასანური ირანის ფუ-ლები, თუმცა ქვის საკულტო ძეგლებზე V-VI სს. სტელებზე,

სტელების ბაზისებზე ქრისტიანული სიმბოლოს ჯვრის ფერებით, რდით გვხვდება მადეიზმის სიმბოლოს წმინდა თავსაკავის რელიეფური გამოსახულებაც. ეს გარემოება შესაძლებელია ირანის იდეოლოგიური ექსპანსიისა და ზეგავლენის გამომხატველი იყოს, მაგრამ ამასთანავე ფაქტია, რომ დმანისში და მის მიდამოებში აღმოჩენილი არ არის სასანური ირანის არც ერთი მონეტა” (21 გვ. 24).

დმანისშია მოკვლეული - ქესრადინ შირვანშაჰის მანუჩერ II-ის - XII - 1 ც.

1948 წ. არქეოლოგიური კამპანიის დროს, აღმოჩენილი იქნა აბუ-ბაქარის (1191-1210 წწ.) - 5 ც. ილდიგიზიდების XII-XIII სს.- 9 ც. ჯალალ-ედ-დინის - 7 ც. სელჯუკური მონეტები - XII-XIII ს. - 8 ც. ამას გარდა სელჯუკ ქეიქებად I (1219-1237 წწ.) - 6 ც. ქეიხოსრო II (1237-1246 წწ.) - 4 ც.

„მონლოლოიდური მონეტებიდან აღსანიშნავია მანგუყანის (1251-60 წწ.) მონეტები (რომლებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება) - 58 ც. ე. წ. ანონიმური მონეტები - ყანურები - (XIII ს. 60-70 წწ.) 10 ც. მონლოლური ფელსი - XIII ს. - 2 ც.” (21). ჰულაგუიდების-ოლჯაითუსი (1317-1335 წწ.) - 11 ც. სულეიმანის (1339-1342 წწ.) - 2 ც. ნუშირვანის - 6 ც. ილ-ხანების XIV ს. - 1 ც. ჯელაიდური - XIV ს. - 1 ც. ქუჩიდი თოხთა-მიშის (1376-85 წწ.) - 1 ც.

აქ არის აგრეთვე თურქული წვრილი ფულები ე. წ. აყჩა”.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, რომ 1948 წ. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა რუსული ორკაპიკიანი - 1883 წ. რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუ-მიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთარში 4-ე ნო-მერზე იმყოფება.

ამრიგად, ნუმიზმატიკური მასალა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რო-გორც ქვეყნის შიგნით, ისე გარე სამყაროსთან. აღებ-მიცემობის აუცილებლობითა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობით

იყო ნაკანახევი ხსენებულ ხანაში სამონეტო ზარაფხანებისა, სიმრავლე საქართველოში.

გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობების ნიადაგზე თავის ახლო მეზობელ ერებთან და ახლო აღმოსავლეთთან, დმანისი იგროვებს დიდ ეკონომიკურ დოვლათს და ხდება საშუალო სს-ის კეთილმოწყობილი დიდი სავაჭრო ქალაქი, სადაც საკმაოდ განვითარებულია შინამრეწველობის სხვადა-სხვა დარგი. იგი იმდენად მნიშვნელოვანი ქალაქი ხდება, რომ მონლოლთა ბატონობის დროს, იქ იჭრება ქართული ფული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. აბრამიშვილი - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პიზანტიური მონეტები, თბ., 1965 წ.
2. ვ. ართილაყვა, ვ. ჯაფარიძე, - გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში (სსმ არქეოლოგიური ექსპედიციები II), თბ., 1971 წ.
3. თ. აბრამიშვილი - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჰართული მონეტების კატალოგი, თბ., 1965 წ.
4. ვ. ართილაყვა, ვ. ჯაფარიძე, - სსმ არქეოლოგიური ექსპე-დიციები, თბ., 1971 წ.
5. მ. ბარათაშვილი - ნუმიზმატიის ფაქტები ანუ ძველი ფული საქართველოს სამეფოსანი, პეტერბურგი, 1844 წ.
6. გ. დონდუა - სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს-ის საქართველოში, თბ., 1999 წ.
7. დ. კაპანაძე - XIII-XIV სს. მოჭრილი რამოდენიმე სადაცო სპი-ლენბის მონეტის შესახებ, სსმ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, №1,2, თბ., 1999 წ.
8. დ. კაპანაძე - ფული ძველ საქართველოში, თბ., 1950 წ.
9. დ. კაპანაძე - ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969 წ.

10. თ. ლომოური - XIII ს-ის ქართული ფულის საკითხთა გამოყენების სსმ მოამბე Х-В, თბ., 1940 წ.
11. ლ. მუსხელიშვილი - დმანისის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები, კომიუნისტი, 1937 წ. 28 ოქტომბერის 28 თებერვალი.
12. ლ. მუსხელიშვილი - შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა - დმანისი, 1938 წ.
13. გ. წერეთელი - დმანისის მონეტის გამო. „ლიტერატურული ძიებანი”, II, თბ., 1944 წ.
14. ი. ჯალალონია - ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972 წ.
15. ი. ჯალალონია, ვ. ჯაფარიძე - დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი (ფსად. V), თბ., 1987 წ.
16. ვ. ჯაფარიძე - დამანისის სავაჭრო ურთიერთობანი შუა საუკუნეებში, დმანისი - I, 1999 წ.
17. ვ. ჯაფარიძე - შუა საუკუნეების ერთი ისტორიული არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში, უსაძ II, თბ., 1974 წ.
18. ვ. ჯაფარიძე - შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის დაზუსტებისათვის. დმანისი - I, 1999 წ.
19. ვ. ჯაფარიძე - სსმ არქეოლოგიური ექსპედიციები 1965-76 წწ., თბ., 1969 წ.
20. ვ. ჯაფარიძე - ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, „მეცნიერება”, თბ., 1969 წ.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული ცეს-ჩვეულებები რაჭაში

რაჭის მკვიდრთა ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, რომლებმაც დღემდე შემოინახა თავი.

ამ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებულ რიტუალს ხალხი ერთგვარი სასოებით ასრულებდა. თითოეულ მათგანს გამოყენებითი დანიშნულება ჰქონდა, რადგან იგი მიზნად ისახავდა მისი საქონლის თუ მეურნეობის კეთილდღეობას, მათ გამრავლებას.

სხვადასხვა ლოცვებით და ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებული რიტუალებით ადამიანები ცდილობდნენ დაეთრგუნათ ბოროტება და თავიდან აეშორებინათ იგი.

რაჭაში, უფრო მეტად კი მის მაღალმთიან სოფლებში, დღესაც შეხვდებით ეზოს მესერზე თუ ლობეზე ჩამოცმულ, ან ბოსლის კედელზე ჩამოკიდებულ გახვრეტილ ქვებს. უფროსი ადამიანები ამას მიმართავდნენ იმისათვის, რომ საქონელი დაეცვათ ავი თვალისაგან, არავის „გაეთვალა“, „ჯვარნერილად“ ყოფილიყო.

სწამდათ, რომ „გათვალული“ ხარი კანკალებს, კბილები ერყევა და იმასათვის, რომ ამ მდგომარეობიდან გამოეყვანათ წალმის ცეცხლზე სამჯერ გადაატარებდნენ, შეულოცავდნენ და ნალოც ქაღალდს რქაზე შეაბამდნენ. ადამიანები დარწმუნებული იყვნენ ცეცხლის მაგიურ ძალაში, იმაში რომ ის ავი თვალისაგან და სულისაგან იცავდა ადამიანსა და ცხოველებს. სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცეცხლმა უდიდესი როლი შეასრულა პირველყოფილი ადამიანის ფორმირებაში. შემდგომ, ცეცხლთან და კავშირებული რწმენა-წარმოდგენები და რიტუალური წეს-ჩვეულებე-



ბი კერის კულტში ჩამოყალიბდა. ამდენად, ჩვენს მიერ უძლიერითაა, რილი წეს-ჩვეულებაც ცეცხლის კულტთანაა დაკავშირებული და მას შორეულ წარსულში ედება სათავე. სახელდობრ ცეცხლის მაგიურ ძალასთანაა დაკავშირებული ერთ-ერთი წეს-ჩვეულება, რომელიც ა. სოხაძის მიერაა ფიქსირებული სოფელ ნიკორნმინდაში. მასალის მიხედვით ახალშობილ გოჭებს დიდ ქვაბში ჩასვამდნენ, შემდეგ ქვაბს ცეცხლზე შემოჰკიდებდნენ და იქამდე გაახურებდნენ, სანამ გოჭები ხტუნვასა და ჭყივილს არ დაინტებდნენ. ამ რიტუალის შესრულების შემდეგ გოჭები იქნებოდნენ ჯანმრთელი, მათ სახადი და სხვა ავი ძალა ვერაფერს დააკლებდა (9, გვ. 23-24), ავი თვალისაგან დასაცავად ავგაროზებსაც იყენებდნენ. რქაზე ნალოც ჩვარს უკეთებდნენ. ვინც ლოცვა არ იცოდა, სხვას შეალოცვინებდნენ. იცოდნენ ბოსელში ნალოცი მცენარის „ბჭორის“ (ეპლიანი ფოთლები აქვს), ნალის ჩამოკიდება. ხალხის რწმენით, საქონელს ეს დაიცავდა ავი თვალისაგან და ავი სულისაგან. რაჭაში ნალს იშვიათად იყენებდნენ, აქ უფრო გავრცელებული იყო ბოსელში „ბჭორის“ შეტანა.

სოფელ სადმელში მცხოვრებ ესტატე კერესელიძეს XX საუკუნის დასაწყისში თბილისში კერძო სტამბა ჰქონდა, სადაც სალოცავ ავგაროზებს ბეჭდავდა. ლოცვები გაზეთშიც იბეჭდებოდა, რის გამოც გაზეთი აქტიურად საღდებოდა. თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა ავგაროზი. მას წვრილად გაკეცავდნენ, ტყავის ბუდეში ჩადებდნენ რომ არ გაცვეთილიყო და აკვანზე ჰყიდებდნენ. ესტატე კერესელიძის სტამბაში იბეჭდებოდა საქონლის ლოცვები, სიზმრის ახსნა, რაც შემდეგ პატარა ნივნად შეიკრა და გამოიცა. ყოველივე ეს ხალხში საკმაოდ სწრაფად ვრცელდებოდა. ესტატეს შემდგომ ამ საქმეს მისი შვილიშვილები აგრძელებდნენ.

იშვიათად, მაგრამ მაინც დღემდე შემორჩია ის ჩვეულება, რომ ოჯახი თავისი საყვარელი ფურის ან ხარის თავის ქალას ბოსლის კედელზე მიაკრავს. ცხადია, ამ წესსაც თავის დროზე

მაგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდა და დღემდე გადმოწმოს მთის სახით შემოინახა.

ჩვენი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით თუ ლამე საქონელი გარეთ დარჩებოდა, ნადირისაგან დაცვის მიზნით მას შეულოცავდნენ. ლოცვასთან ერთად სკამს ოთხივე ფეხზე თასმას ან ბანარს გააპამდნენ, „დაბორკავდნენ”, მასზე ძაფით კბილშეკრულ ხის სავარცხელს, თასმით პირშეკრულ მაკრატელს დაჰკიდებდნენ და ქვასანაყს დაუდებდნენ. „დაბორკილ” სკამს მთელი ლამე გარეთ მოაჯირზე სტოვებდნენ. ამით იმედოვნებდნენ, რომ ნადირს კბილი შეეკვრებოდა და კბილშეკრული ნადირი საქონელს ვერ მიეკარებოდა. ანალოგიური რიტუალური წეს-ჩვეულებები რაჭაში ფიქსირებული აქვს ა. სოხაძეს. მკვლევრის კომენტარით, ნადირის განუძრევლობის გამომწვევ მოქმედებად სკამის ფეხების შეკვრა მიაჩნდათ, მაკრატლის თასმებით შეკვრა მისი „პირის შეკვრად”, ხოლო სავარცხლის კბილების შეკვრა, ნადირის „კბილების შეკვრის” საშუალებად (9, გვ. 23).

დაცემულ საქონელს ნაჯახით ან წალდით წრეს შემოუხაზავდნენ გარშემო, რომ ავი სულისაგან დაეცვათ, ხოლო თვით იარაღი, რკინა, ავისაგან დამცველ ძალის მატარებლად იყო მიჩნეული.

მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ამსახველ საკულტო წეს-ჩვეულებათა შემცველი ქართული ხალხური დღეობებიდან უმნიშვნელოვანესი იყო „ბოსლობა”, რომელიც ახალი წლის შემდეგ, შაბათს, ყველიერამდე ერთი კვირით ადრე სრულდებოდა. მიჩნეულია, რომ ეს იყო არქაული წეს-ჩვეულება, რაც სათანადოდაა შესწავლილი ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (9, გვ. 24). ამიტომ მისი დეტალური აღნერილობიდან თავს შევიკავებთ და, მხოლოდ ზოგიერთ მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ქვემო რაჭის სოფლებში ჩანერილი მასალის მიხედვით, სხვა პურებთან ერთად სამგანატეს აცხობდნენ ხარის, ძროხის და ვენახისას. სორში ბო-

სლობა დღეს შეკეცილებს აცხობდნენ, რომელთაგან ერქვათ ერთ-ერთი რომელიც ბოსელში უნდა წაეღოთ „განატეხი“ ერქვა. ხვანჭკარაში საბოსლებოდ სართვიან პურებს (ლობიანს) აცხობდნენ, მათგან ერთში, რომელიც ჯვარსახიანი განატეხი იყო ანთებულ სანთელს ჩაარჭობდნენ, ბოძზე დადებდნენ, აქვე დაალაგებდნენ გოჭის ბეჭს, ჭიქით ღვინოს და ოჯახის უფროსი კაცი ბოსელში წაიღებდა. იგი საქონელს ყველას ცალ-ცალკე თავზე შემოავლებდა და ამგვარად შეულოცავდა: „საქონლის ანგელოზო“, ააშორე ჩვენს საქონელს ყველაფერი გაჭირვება, სახადი და ნადირი - ამ ბარაზე მოგვირთმევია სანთელი და განატეხი“ (4, გვ. 66).

მთა რაჭის სოფლებში - გლოლაში, ღებსა და ჭიორაში დიასახლისი საგანგებო „განატეხს“ და რამდენიმე „ლობიანს“ აცხობდა, იმის მიხედვით თუ რამდენი სული ხარი და ძროხა ჰყავდა. ფქვილს რომ გაამზადებდა მოსაზელად და ხელს აურევდა, დაილოცებოდა: „ღმერთო, ამრავლე შენი საქონელი, ააშორე ავადმყოფობა და წყალში დახრჩიობა“ (9, გვ. 36). ამ დღისათვის რაჭის სოფლებში ზოგი ხაჭაპურს აცხობდა და ბოსელში კვერცხთან ერთად მიჰქონდათ. ნიკორნმინდაში ქონიანი პური, კვერცხი და ღვინო შეჰქონდათ ბოსელში და იქ შეექცეოდნენ. ზემო რაჭაში საბოსლო რიტუალურ პურებს განეკუთვნებოდა ცხიმიანი ბაჭულები. ბაჭულებს კაცის სულზე აცხობდნენ. შეღამებისას ოჯახის უფროსი აიღებდა ორ ბაჭულას, კვერცხებს და ბოსლისაკენ გაემართებოდა. მათ აქვე შეექცეოდნენ და ლოცულობდნენ (8, გვ. 62-63). ბოსლობა დღეს ან ბოსლობის კვირის განმავლობაში ქალებს სასტიკად ეკრძალებოდათ რთვა, ძახვა, ქსოვა, კანვა და ყოველგვარ საქმე. მამაკაცებს ბოსლობის კვირაში აღკვეთილი ჰქონდათ ყველა სამუშაო.

საბოსლო რიტუალის შესრულების დროს გლეხი საქონელს ტანზე ქათმის კვერცხს ან ღორის ქონიან ნაჭერს უსვამდა, ამით კვერცხს თავისი თვისებები უნდა გადაეცა საქონ-

ლისათვის - სიმრგვალე, სისქელე, სითეთრე, ე. ი. უნდა გაცემული ქებულიყო, „ხორცი შეესხა”. ამ რიტუალის შესრულების დროს იღოცებოდნენ „გაიზარდეთ, გაიზარდეთ, გახდით ისე სავსენი, როგორც ეს კვერცხია”, ასე გამრავლდი, „დათვი მჭლე და შენ მსუქანიო, ასე თეთრად გასუქდები”, „ასე სუქდე-ბოდეთ, ასე კეთდებოდეთ, აგცილდეთ ჭირი და ყოველივე ტკივილი” (10, გვ. 49).

მიჩნეულია, რომ „ბოსლობასთან” დკავშირებული მთელი რიტუალი იყო არქაული წეს-ჩვეულების რთული კომპლექსი, რომელმაც ჩვენამდე გადმონაშთის სახით მოაღწია. ის მსხვილფეხა საქონლის კეთილდეობას და გამრავლებას ემსახურებოდა. რაც შეეხება „საბოსლო განატეხზე” უღელგამობ-მული სახველის გამოსახულებას, ეს მიწათმოქმედების, ხარის, როგორც გამწევი ძალის დიდი მნიშვნელობის, მეურნეობის ამ ორი დარგის (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის) დიდი ტრადიციებისა და სიმბოლურობის მაჩვენებელია.

ასეთივე ხასიათისა და დანიშნულებისაა მეორე დღეობა „თედორობა”, როდესაც წმინდა თედორეს ევედრებიან საქონლის გამრავლებას, განსაკურებით ცხენისას; ამიტომ დიდი მარხვის პირველ შაბათს აცხობენ კვერებს და თედორეს შესთხოვენ ცხენის და ხარის მომრავლებას. ამ დღეს ზოგი ხარს შუბლს პარსავს, ვისაც ცხენი ჰყავს ცხენის ბედზე მარხულობს. როგორც ს. მაკალათია წერს, სოფელ ლებში წმინდა თედორეზე შენირული ყოფილა ერთი სათიბი და ორი ყანა. თედორობას ამ მამულის შემოსავლიდან ყიდულობენ პურს და ლვინოს, ეკლესიის ეზოში იკრიბება კომლზე ორი კაცი, ლოცულობენ და ამ პურ-ლვინოს შეექცევიან (8, გვ. 79).

რაც შეეხება მსხვერპლშენირვას, უმეტეს შემთხვევაში შეინირებოდა საფურუ მას შემდეგ, რაც ის 6 თვის ასაკს გადასცილდებოდა. მსხვერპლად შენირვა ხდებოდა გიორგობას ან მარიობას. ამ დროს ოჯახის წევრი ლმერთს ევედრებოდა თავის ოჯახის სიკეთისათვის. შეიძლებოდა სალოცავზე მიეყვა-

ნათ ოჯახის რომელიმე ნევრზე შეთქმული შესანირავის გალებულისათვის კი ნებისმიერ ადგილზე შეიძლებოდა საკლავის დაკვლა.

ოჯახი, რომელსაც შესანირავი მიჰყავდა სალოცავზე, მეზობლებს, მეგობრებს და უახლოეს ნათესავებს პატიუებდა. დაკვლას ქალი ვერ დაესწრებოდა, ხორცს კი აჭმევდნენ; არც მორჩენილი ხორცის ნაღება შეიძლებოდა სახლში. მას იქვე ვინმეს გაუნანილებდნენ. დაკლული ცხოველის ძვლებს მარხავდნენ. მთა რაჭის სოფელ ჭიორაში ფიქსირებულია მასალა, რომელიც უშუალოდ კერის კულტთანაა დაკავშირებული და საინტერესო ცნობას შეიცავს: „ძროხა რომ მოიგებდა, პირველ გამონაწველ რძეს კერაში ჩააწვეთებდნენ (ნაკვერჩხალს დადებდნენ თიხის ნატეხებზე და ზედ დააწვეთებდნენ), რომ წველა გაძლიერებულიყო, ოჯახს დოვლათი და ბარაქა ჰქონოდა, შემდეგ კი ამ რძეს კეცზე დაასხამდნენ, კარგად შეწვავდნენ და ბავშვებს აჭმევდნენ. იტყოდნენ „რძის დოვლათი ოჯახში იტრიალებსო“. ამ მასალას აქვს რა მიცემული სათანადო კვალიფიკაცია, სხვათა შორის ნატევამია, რომ რაჭის ამ ზოლში მეურნეობის ძირითადი, ნამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, ოჯახის კეთილდღეობა „რძის დოვლათის დატრიალებაზე“ იყო დამოკიდებული და აღნიშნული რიტუალიც ამ მიზანს ემსახურებოდა (2, გვ. 28).

„საპოსლობი“ გოჭის მსხვერპლშენირვა უპირატესად გოჭების გამრავლებისა და დაცვის მიზნით ხდებოდა. რაჭაში თუ „პოსლობა“ დღეს გოჭი არ დაიკვლებოდა, მაშინ საქონლის ღვთაებას „ლორი“ მიეძღვნებოდა. ამრიგად, ღორის საკულტო მნიშვნელობა რაჭაში დიდი იყო. ღორის გამრავლება-განაყოფიერების მიზნით რაჭაში ორი დიდმნიშვნელოვანი დღეობა არსებობდა: გოჭის ხუთშაბათი და ღორების მილოცვის დღე, რომელიც ბოსლობის კვირაში ეწყობოდა. რაჭაში საახალნლოდ ღორი ან გოჭი უნდა დაკლულიყო, ღორის თავი ჩიჩილაკთან, ყველიან განატეხთან და ღვინოსთან ერთად უმ-



ნიშვნელოვანების შესანირავი იყო რაჭაში, რომელიც ყოველი უფრო მაღალი დოკუმენტის უნდა ჰქონოდა. ახალ წელს, თუ გლეხი დარიბი იყო და ლორს ვერ დაჰკლავდა, ის საახალწლოდ ლორის თავს მაინც იყიდდა.

ლორის სიმრავლეს შესთხოვდნენ ლმერთს საკალანდო რიტუალის შესრულებისას. საღამოს ოჯახის უფროსი გამოიყვანდა საკალანდოდ გასუქებულ ლორს, დაკვლავდნენ, თავს და შიგნეულს გაასუფთავებდნენ და გადამალავდნენ ისე, რომ არავის შეეხედა ნათლიღებამდე. დანარჩენ ხორცს, ნაწილს მოხარშავდნენ, გამოაცხობდნენ ერთ საშუალო განატეხს, ჩაურთავდნენ შიგ საკალანდო ლორის ქონს. ეს განატეხი იყო „ლორის სალოცველი”, მას დააჭრელებდნენ საფოთრით, ნაფტკენით (შეკრული ფრთები) და შესძახებდნენ „ნეი, ნეი, ნეი, ტახი, ნეი, ნეი, ნეი, ტახი”. „ლორის სალოცველ” განატეხს დაადებდნენ თავზე უძვალო ხორცს, პატარა ნაკვერჩხალს, სანთელს, ერთ ჭიქა ღვინოს და ვახშმობამდე უფროს კაცს ან ბიჭს უნდა წაეღო სალორის კარებთან და შეიღოცებოდა: „წმინდა ბასილამ ამრავლოს, შენ ამრავლე ჩვენი ლორები”, თან განატეხს და ხორცს მოსტეხდნენ. რამდენჯერაც მოსტეხდნენ განატეხს, იმდენჯერ უნდა ეთქვათ „ამრავლე ჩვენი ლორები”, ამის შემდეგ შინ შებრუნდებოდნენ და კერასთან დაილოცებოდნენ. ვახშმად საკალანდო ლორის ხორცს ჭამდნენ, სხვას (თუ ოჯახის ნევრ არ იყო) არ აჭმევდნენ.

ვახშმობა რომ დამთავრდებოდა და კაცები მილაგდებოდნენ, ქალები მოხარშავდნენ გადამალულ შიგნეულს, შეკმაზავდნენ და ჩაურთავდნენ პურში. აცხობდნენ მოზრდილ ჯვარსახიან განატეხს, რომელსაც „სირის კუდი” ერქვა. ამ პროცესს კაცი არ ესწრებოდა. უფროსი ქალი ცეცხლში ჩააკმევდა სანთელს კერასთან დაილოცებოდა ღვინით - „ლმერთო, მრავალი მოგვასწარი ეს დღე ოჯახის ნევრებით” და დაინანილებდნენ განატეხს. კალანდა ღამეს ოჯახის ნევრი ქალები და გოგონები ჭრელ-ჭრელ კაბებს ჩაიცვამდნენ, თვალ-

ნარბს შეიღებავდნენ რომ ჭრელ-ჭრელი გოჭები გაზრდის უძრავი დათ" (4, გვ. 61).

რაც შეეხება საკალანდო ღორის დასაკლავ დანას, მას ინახავდნენ მომავალ კალანდობამდე. სოფელ ახალსოფელში, ვიქტორ ქევანაშვილის ოჯახში, საკალანდო ღორის დასაკლავი დიდი დანა საგულდაგულოდ ჰქონდათ შენახული, ისე რომ არავინ მიჰყარებოდა, მას მხოლოდ საკალანდო ღორის დასაკლავად და მისი ხორცის დასაჭრელად იყენებდნენ.

რაჭაში „საბოსლობო“ შესანირავებიდან ერთ-ერთ უმნიველოვანეს შესანირავს ღვინო ნარმოადგენდა. შესანირავ ღვინოს „ზედაშე“ ანუ „საზედაშე“ ღვინო ენოდებოდა. ღვინო საქონლისა და დედამინის ღვთაებებს მიეძღვნებოდა და მით ლოცავდნენ. „ზედაშეს“ საკითხი სათანადოდაა შესწავლილი ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (1, გვ. 65; 5, გვ. 131; 6, გვ. 155; 7, გვ. 107; 3, გვ. 27), ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდებით. გარდა ამისა ის სცილდება კიდეც ჩვენს საკულტურულ პრობლემას. საყურადღებოა, რომ რაჭაში ამინდის პროგნოზისა და ზამთრის უხვთოვლიანობას ღორის მეშვეობითაც ადგენდნენ რაჭელები. მაგალითად, თუ ღორი შინ გარბის ჩალას, ბალახს, ძონძებს პირით მიათრევს და ბუნაგს იწყობს, დიდი წვიმაა მოსალოდნელი: თუ საშობაოდ დაკლული ღორის ელენთა თავში დიდია, ზამთარიც დასაწყისში დიდთოვლიანი იქნება, თუ ელენთა შუაშია დიდი, შუა ზამთარში უხვად ითოვებს, თუ ელენთა ბოლოშია დიდი, ზამთარი კუდს მოიქნევს.

რაჭელთა რწმენით, მფარველი ანგელოზების გარდა მის ოჯახზე და საქონელზე რაღაც ჯადოსნური გავლენა ახალ მთვარესაც ჰქონდა, რომლის განრისხებას შეეძლო დაეზარალებინა ოჯახი ცეცხლითა და ნადირით. ამ მიზნით ისინი იხდიდნენ „ცინცხალობას“ (ახალი მთვარე). მთვარის მოქცევის პირველ პარასკევს მარხულობდნენ და უქმობდნენ, რომ ნადირს საქონელი არ დაეზიანებინა ან ოჯახს ცეცხლი არ გასჩენოდა. ამიტომ „ცინცხალობის“ გატეხვა შეუძლებელი იყო.

და თუ ვინმეს ცეცხლისა და ნადირისაგან ზარალი მოუშენებულია, და, იტყოდნენ, რომ „ცინცხალი“ არ შეინახაო“ (8, გვ. 81).

საყურადღებოა ისიც, რომ ახალ მთვარეზე საქონელს არ კოდავდნენ. არც ახალ მთვარეზე დაბადებულ ხბოს შეინახავდნენ საჯიშედ, რადგან თვლიდნენ რომ ამ დროს დაბადებული საქონელი გასამრავლებლად არ გამოდგებოდა.

ამრიგად, რელიგიური რწმენა-ნარმოდგენები, ზოგიერთი ცვლილებებით, გავრცელებული იყო როგორც ზემო, ისე ქვემო რაჭაში. ყველა სოფელში სხვადასხვა სალოცავ რიტუალს დიდი პატივისცემით ასრულებდნენ.

ძველი ხალხური დღესასწაულები თელორობა, ბოსლობა, კოხინჯრობა და სხვა ერთსა და იმავე დროს ეძღვნება როგორც მესაქონლეობას, ისე მინათმოქმედებას.

რაჭის ეთნოგრაფიულ ყოფაში, ისევე როგორც საერთოდ საქართველოში, შემორჩენილია ხარის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანიც, რადგანაც ხარი უპირატესად მხვნელის, მინის მუშის საქონლის სახითაა ნარმოდგენილი. საქონლის გამრავლებისა და ხარის სიმრთელისადმი მიძღვნილი სარიტუალო ქმედებანი სრულდებოდა სხვადასხვა სადღესასწაულო ვითარებაშიც - „ბარბარობის“, ახალი წლის და სხვა.

საინტერესოა ისიც, რომ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა ერთ წყებაში ვლინდება კერისა და ცეცხლის კულტი და უმეტესობა კერასთან სრულდებოდა: კალანდა, ახალი წელი, ბოსლობა, თელორობა და სხვა.

ამრიგად, რაჭის მკვიდრთა წეს-ჩვეულებებში დიდი ადგილი ეთმობა ადამიანთა აზროვნების უძველესი საფეხურიდან გამომდინარე მაგიას და მასზე დამყარებულ სარიტუალო ქმედებებს. ცხადია, რომ მაგიის გადმონაშთების არსებობა რაჭის დღეობათა ციკლში სხვა მომენტებთან ერთად მის სიდეველეზე მიუთიებს, რაც ადასტურებს იმას, რომ ადგილობრი-



ვი სასაქონლო მეურნეობის ფესვები ღრმა წარსულშია გადამზადებული.

ლიტერატურა:

1. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и образование графические искусство грузинских племен, Тб., 1957.
2. ბ. გამყრელიძე, რაჭული მთური საცხოვრებელი კომპლექსი, ძეგლის მეცნარი, №2, თბ., 1990 წ.
3. ბ. გამყრელიძე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, თბ., 1982.
4. ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე, - ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-რეჩხუმში), თბ., 1995.
5. 6. თოფურია, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953.
6. 6. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XII-XIII, თბ., 1963.
7. 6. თოფურია, მეურნეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XX, თბ., 1979.
8. ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930.
9. ა. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნეობისა და მისი გადმონაშთების ბრძოლის ისტორიდან, თბ., 1964.
10. ა. სოხაძე, წეს-ჩვეულებათა ავ-კარგიანობის კრიტერიუმისათვის, თბ., 1985.

დაგოღვილი კაცის ნაცოდვილარი*

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ (2002 წ. №29) ერთი სავსე გვერდი დაეთმო პუბლიკაციას - „სოლო პლაგიატისათვის უმეცრების თანხლებით“, რომლის ავტორია მალხაზ აფრიდონიძე. რეცენზიად სახელდებული ეს პასკვილი ფაქტიურად არის ჩემი წიგნის - „სადაც ქართველი გადაწვება“ (თბ. 1999 წ.) ლანდღვა-გინება. მ. აფრიდონიძემ დიდი გულმო-დგინებით დაახვავა წიგნის ავტორისადმი მიმართული დამამ-ცირებელი ფრაზები, შეზავებული უტიფარი ბრალდებებით და ცილისნამებებით. რეცენზენტმა, ამჯერად, თავისი ბოლმა და შხამი გადმოანთხია წიგნის იმ ნაწილისადმი, რომელშიც განხილულია ჰერალდიკის საკითხები. პოლემიკისათვის შეუ-ფერებელი მისი ავყია გამონათქვამების ციტირებას აქ არ ვა-პირებ. შევეხები მხოლოდ მის პრეტენზიულსა და დაუსაბუ-თებელ შენიშვნებს, რაც ააშკარავებს რეცენზენტის ბინძურ ბუნებას, უსამართლობას და უმეცრებას.

დავინციოთ იმ უცნაური დამოკიდებულების მხილებით, რაც გამოიხატა ანოტაციაში და წინასიტყვაობაში ავტორისე-ული ნათქვამისადმი. საკითხავია, რატომ უნდა ყოფილიყო მოულოდნები რეცენზენტისათვის იმის აღნიშვნა, რომ მეც-ნიერულ-პოპულარული უარის ნარკევეი განკუთვნილია რო-გორც სპეციალისტების, ისე ფართო მკითხველი საზოგადოე-ბისათვის (ანოტაცია). ან ასე რატომ შეიცხადა მან წინასიტყ-ვაობაში თქმული: „ძნელი სათქმელია, როგორ მიიღებს ჩემს ნაშრომს მაღალი მნიგნობრული გემოვნებით გამორჩეული ქართველი საზოგადოება, მაგრამ თუკი ის მცირეოდენ მაინც

* პირველად დაიბეჭდა გაზეთში („ლიტერატურული საქართველო“, 2002 წ. №40) სახელწოდებით - უცნაური რეცენზიის გამო.



გამოუკეთებს მკითხველს სულიერ განწყობილებას, თავს უჭირავა ედნიერეს კაცად ჩავთვლი, რამეთუ მნამს, რომ „გაუკერძესტებული სული ქვეყნისა მუდამ კეთილის წესის დამადგენელი იქნება“ (ვაჟა-ფშაველა) (გვ. 12).

ნუთუ გაურკვევლად ითქვა, რომ წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, რომ მის შემფასებლად ავტორს ეგულება მაღალი მნიგნობრული გემოვნებით გამორჩეული საზოგადოება და არა ჩასაფრებული ინტრიგანი, რომელიც თავის „თანამოაზრებთან“ ერთად დეპრესიას შეუპყრია წიგნის გამოქვეყნების გამო. დეპრესიის მიზეზი უფრო მეტად ის უნდა იყოს, რომ ბოლმითა და გესლით შეპყრობილი ხელმოცარული „ისტორიკოსი“ მეტისმეტად ჩამორჩა ცხოვრებას. თავისი უნიჭობისა და უცოდინარობით სვეგამნარებული მ. აფრიდონიძე მხოლოდ იმითი სულდამულობს, რომ სხვისი საქმის განქიქებით დაიმკვიდროს „მეცნიერის“ ადგილი საზოგადოებაში მაშინ, როდესაც მისი ასაკის ისტორიკოსების ერთი ნაწილი მეცნიერებათა დოქტორის დიპლომებს ფლობენ.

რეცენზენტმა მკრეხელობად ჩამითვალა წიგნის დაწერით ჩემი ჩანაფიქრის განხორციელება და სწავლულთაგან კონსულტაციის მიღება. იგი პერსონალურად ეხება ცნობილ კინორეჟისორს ლერი სიხარულიძეს, რომელიც მადლიერების გრძნობით მოვიხსენიე საჭირო ლიტერატურით მომარაგებისათვის. დაბოლმილმა რეცენზენტმა ლვარძლიანად ამცნო მკითხველს, რომ ღ. სიხარულიძის მიერ მოტანილი წიგნები და სტატიები პირდაპირ შევიტანე საკუთარ წიგნში. ამ უსუსური და უაზრო ბრალდების ავტორმა ნუთუ ვერ დაინახა ჩემს მიერ გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ვრცელი სია (130 დასახელება), რომელიც, თვით ხელნანერების ჩათვლით, მითითებულია წიგნის შესაბამის გვერდებზე. საკითხავია, ღ. სიხარულიძის მიერ მოტანილი წიგნებიდან და სტა-

ტიტობიდან რომელი ერთი შევიტანე ჩემს ნაშრომში პირდაპირ და რანაირად გავასაღე ჩემად?

ამასთან დაკავშირებით ჩემი უბადრუკი ოპონენტი შემდეგი სახის კურიოზულ განმარტებას გვთავაზობს: „უდაცოდ ნიჭიერი კაცია. მე ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ერთი-ორი კაცი მეგულება სხვისი ნაწერების მითვისებას 24 საათზე ნაკლები მოანდომოს“. ჭკუათმყოფელ კაცს ხომ უნდა ეფიქრა, რომ სხვისი ნაწერები ავტორს ერთ დღე-ლამეში როგორ უნდა მიეთვისებინა. იქნებ ისიც კი დამაბრალოს, რომ ლ. სიხარულიძემ ეს წიგნი სასტამბოდ გამზადებული გადმომცა და ჩემი სახელით ერთ დღე-ლამეში გამოვეცი? დაე, თვით მკითხველმა განსაჯოს - ნორმალური კაცი ასეთ კურიოზულ სისულელეს იტყოდა?

ერთადერთი ორსტრიქონიანი ფრაზა, რომელიც სიმბოლიკის განმარტებას ეხება და რომლის მითითება მექანიკურად გამომრჩა, არის რეცენზენტის ერთადერთი საბუთი, რითაც მან პლაგიატობაში დამდო ბრალი. ყველა სხვა შემთხვევაში, წიგნში გამოყენებული ყოველი წყარო და ნაშრომი უკლებლივ მითითებულია. ამის მიუხედავად იგი უსაფუძვლო ბრალდებას მიყენებს, თითქოს „მთელი წიგნი სხვადასხვა ავტორებისაგან არის გადაწერილი“. ე. ი. ის ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს „გადაწერას“ და „ციტირებას“.

რეცენზენტი დიდი გულმოდგინებით მიყიუინებს და ამის ერთ-ერთ „საბუთად“ მიიჩნევს საქართველოს სახელმწიფო, ანუ სამეფო ხელისუფლების ნიშნების ჩამონათვალს (წიგნი, გვ. 52). ეს ჩამონათვალი ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის ულ კლასიფიკაციას, რომელიც ნიშნებს შორის ასახელებს ღროშას, გერბს და ბეჭედსაც (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1984 წ. გვ. 157). ფაქტიურად მ. აფრიდონიძე უმეცრებაში ბრალს სდებს ივ. ჯავახიშვილს და თანაც მის ნათქვამსაც „ასწორებს“: „სხვათა შორის, იმ „ბეჭედშიც“,



ალბათ, „საბეჭუავი“ იგულისხმება”. გამოდის, რომ ივ. ჯავახიშვილი, შეიღებას ბეჭედი საბეჭდავისაგან ვერ განუსხვავებია.

დროშის შესახებ მ. აფრიდონიძე იმოწმებს ჩემს განმარტებას: „დროშის შემადგენელი კომპონენტებია: 1. ტარი ან ტანი („ბუნი დროშისა“), 2. თავი ან ბუდე („დროშის თავი“, „დროშის ბუდე“) და 3. დროშის ტილო - ალამი (ან „სამხრე ზორტი“) (ნიგნი, გვ. 52).

ამ შემთხვევაში ვეცუძნებით სულხან-საბა ორბელიანისა და ივ. ჯავახიშვილის განმარტებას, მაგრამ რეცენზენტი, თავის მხრივ, გესლითა და ღვარძლით დაყურსულ ფრაზას გვთავაზობს: „ს.-ს. ორბელიანის „სამხრე ზორტის“ გაბეჭყირიასეულ გააზრებაზე არ გავამახვილებ ყურადღებას. ასე რომ მივყვე მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება ამ ნიგნის კრიტიკაში უნდა გავლიო. რაც შეეხება დროშას: გაოცდებით, ბატონო გიორგი, მაგრამ სწორედ „დროშის ტილო“ არის დროშა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი, ტარი თუ „თავი“, დროშის შემადგენელი ნაწილია მხოლოდ, თანაც არა სავალდებულო“. ე. ი. ტილოს შემადგენელი ნაწილები ყოფილა ტარი და თავი. თანაც საკითხავია, თუ ტარი და თავი დროშის შემადგენელი ნაწილებია, როგორლა შეიძლება დროშად ნარმოვიდგინოთ მხოლოდ ტილო? დროშად ხომ აღიქმება ამ ნაწილების ერთობლიობა და არა მხოლოდ მისი ერთი დეტალი - ტილო. გაუგებარია იმის თქმაც, რომ ტარი და თავი არ ყოფილა „სავალდებულო“. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ომში თუ ხატობაში მხოლოდ ტილოს მიაფრიალებდნენ? რა გაეწყობა - დროშის რაობაში მ. აფრიდონიძე უკეთესად ყოფილა გარკვეული, ვიდრე ივ. ჯავახიშვილი.

ციტირებულ ადგილში გაისაზრა უცნაურმა ნათქვამმა, რომ ჩემი ნიგნის კრიტიკული შეფასებისათვის მისი დარჩენილი ცხოვრებაც კი არ ეყოფა. როგორ გავიგოთ ეს - ჩემი ნიგნი მისთვის მიუწვდომლობის ნიმუშია, თუ თვითონ იმდენად უმ-



ნეო და უმეცარია, რომ მის შეფასებას მთელი დარჩენილი ცხოვრება შეალიოს?

რეცენზენტი ასევე ხელალებით უარყოფს მეცნიერებაში გამოთქმულ ვარაუდს, რომ „ყაზბეგში აღმოჩენილი ბრინჯაოს ლვთაება (ძვ. ნ. I ათასწლ. I ნახ.), რომელიც რამდენიმე წელი გრძელებაში დამაგრებულ ხარის რქებზეა შემდგარი და რკინის ენებიანი ბრინჯაოს ზარებითაც არის დამშვენებული, სწორედ ერთ-ერთ უძველეს დროშას უნდა წარმოადგენდეს (ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953 წ., გვ. 6, ჩემი წიგნი, გვ. 53).“

სპეციალისტის ამ შეხედულებას, რომელსაც მე ვიმოწმებ, ახლავს რეცენზენტის კომენტარი: „რაც შეეხება მის დროშად აღქმას, ამისათვის მეტად ცხოველი ფანტაზია და ერთობ უცნაურად მოქცეული ჭკუაა საჭირო“. ნათქვამი აღძრავს კითხვას - ვისი ჭკუაა „უცნაურად მოქცეული“ - ცნობილი სპეციალისტის ს. ბარნაველის, თუ დილეტანტი რეცენზენტისა? - პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს - ამისი მთქმელი უცილობლად ნაღრძობი ტვინისა და მოღრეცილი ჭკუის პატრონია.

რეცენზენტი უარყოფითად აფასებს გ. ბულაძის მიერ შესრულებულ ნახატებს, რომელთა გააზრებას საფუძვლად უდევს ჰერალდიკის სპეციალისტის დ. კლდიაშვილის მიერ მოცემული აღნერილობა და არა მხატვრის ფანტაზია.

წიგნიდან (გვ. 55) მ. აფრიდონიძე იმოწმებს დ. კლდიაშვილის განმარტებას იმ ცვლილებების შესახებ, რაც საქართველოს სამეფო დროშამ XIV საუკუნეში განიცადა და დ. კლდიაშვილის ნათქვამს „ბედაური ტყუილი“ უწოდა. მისივე თქმით, დ. კლდიაშვილი „უცნაური“ კაცია და თავისი ნააზრევით თავსატებს უჩენს „ჰეროლდთა ასოციაციას“ და მის ნევრებს რეცენზენტის ჩათვლით. ამასთან დაკავშირებით ვიტყოდი, რომ ერთმანეთში სადაც საკითხების გადაწყვეტა მათი საქმეა, ხოლო ის გარემოება, რომ დ. კლდიაშვილმა თავისი ხელნაწე-

რი ნაშრომით სარგებლობის საშუალება მომცა, ეს ჩემია მწარმართვა, დან მისდამი მადლიერების გამომხატველია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეცენზირების უსახურ არგუმენტაციას აქარნიულებს ივ. ჯავახიშვილის შეხედულება იერუსალიმში ქართული დროშებით შესვლისა და საქართველოს სამეფო დროშაზე ნმინდა გიორგის გამოსახულების შესახებ (ივ. ჯავახიშვილი, თბილებაზი 12 ტომად, ტ. VI, გვ. 161).

ივ. ჯავახიშვილის განმარტებაზე დაყრდნობით, ნიგნში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სამეფო-დროშაზე დანამდვილებით ნმინდა გიორგი იყო გამოსახული“ (იხ. სურ. 7).

დამოწმებული შეხედულების უარყოფის საფუძვლად და ნიგნის ავტორის „უმეცრების“ სამხილად რეცენზირები მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია იერუსალიმში კოტოვიჩის ენახა ბუღაძისეული დროშის ნახატი. ამის საპასუხოდ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ, არსებული ცნობების საფუძველზე, გ. ბუღაძის მიერ დახატულია დროშა იმ სახით, როგორც ის უნდა ყოფილიყო ქართველთა იერუსალიმში შესვლის დროს. როგორ შეიძლება რეცენზირება მომანეროს ის უაზრობა, რომ კოტოვიჩის ენახა გ. ბუღაძის მიერ ახლახან შესრულებული ნახატი?

რეცენზენტი არა მარტო ჩემს ღირსებას ეხება აუგად, არამედ იმ წყაროებსაც უნდობლობას უცხადებს, სადაც დერბი და ნიშანი გაიგივებულია (ვახუშტისეული „დერბნი ანუ ნიშანი“). მისი მტკიცებით, უაზრობა ყოფილა ის, რომ „საქართველოში გერბის შესატყვისი სიტყვა „ნიშანი“, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოდან რუსეთიდან შემოსულმა „დერბმა“ შეცვალა“ (ნიგნი, გვ. 57). მ. აფრიდონიძე იმასაც არაფრად აგდებს, რომ „იმანე ბატონიშვილის მიხედვით, „დერბნი არიან ნიშანი ხარისხისა და პატივისანი“ (ნიგნი, გვ. 57). მისთვის ასევე მიუღებელია თ. ასათიანის ნათქვამი: „საქართველოს სახელმწიფო გერბს სამსაუკუნოვანი დოკუმენტირებული ისტორია აქვს. იგი ისეთივე მრავალგვარი და ცვალებადია, რო-



გორც ჩვენი სამშობლოს უკანასკნელი სამასი წლის ცურავებით, „რება” (თ. ასათიანი, საქართველოს გერბები, ქ. „არტანუჯი”, 1996 წ. №5, გვ. 37).

თ. ასათიანის ეს ნათქვამი დავიმოწმეთ წიგნში, რაც ვერ აკმაყოფილებს რეცენზენტის „მაღალ გემოვნებას”, მაგრამ 2002 წლის 10 მაისს დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში - „ქართული გერბთმცოდნება ანუ ჰერალდიკა”, თ. ასათიანმა კვლავაც მიუთითა: „წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში წარმოებული კვლევის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია XVII საუკუნის მეორე ნახევარი, უფრო ზუსტად კი - 1672 წელი. ეს არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული კლასიკური ეპოქული ტიპის გერბების დაფიქსირების თარიღი.

შესწავლილი საგნის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნად XX საუკუნის ბოლო - 90-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ” (თ. ასათიანი, დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 5).

ამას წერს სპეციალისტი, რომელმაც ამ თემაზე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა, წინააღმდეგ ჩემი თავგზააბნეული ოპონენტისა, დაახლოებით 45 წლის ხელმოცარული ვაი ისტორიკოსისა, რომელსაც ასეთი ქაოტური ჯახირით, ალბათ, საკანდიდატო დისერტაციის დაწერაც გაუჭირდება. როგორც თვითონვე წერს, ამ წიგნის გამოცემით, „სულიერ დეპრესიას ძლივს გადაურჩა”, მაგრამ შემიძლია ვანუგეშო, რომ მისი ნაცოდვილარი დეპრესიის ადეპვატურია. უმჯობესი იქნებოდა მას თავისი ავტორიტეტი კეთილსინდისიერი შრომით აემაღლებინა და „პოპულარობის“ მოპოვებისათვის წიგნის ავტორის დამცირებაზე არ ეფიქრა. სამწუხარო ის არის, რომ მისი უმეცრება „დამშვენებულია“ გაუმართლებელი სიცრუით. მაგალითისათვის იკმარებდა თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ 1735 წლით დათარიღებულ ვახუშტის რუკაზე „ქართული და საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყნების „ლერბნი ანუ ნიშანია გამოსახული“ და არა იმის ჩვენება, თითქოს შირვანის ჰერალ-



დიკაზედაც მქონდეს რაიმე ნათქვამი. საკმარისია თუმცა აუტომატური სურათს დახედოთ, რომ ეს უხამსი ცილისნამება გაიფანტოს.

დ. კლდიაშვილის ხელნაწერ ნაშრომზე დაყრდნობით წიგნში ნერია: „ამრიგად, საქართველოს ეროვნულ გერბს - ტერიტორიულის სიმბოლოს - ნმ. გიორგის (ჰერალდიკურად მხედრის) სტილიზებული გამოსახულება წარმოადგენდა. ქართული სამეფოების რუსეთთან ურთიერთობის შემდეგ, სამეფო გერბზე პირველობა მას ქრისტეს კვართის გამოსახულებამ „ჩამოართვა“, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს აღმნიშვნელ ემბლემად მხედარი (წმ. გიორგი ნიმბის გარეშე), ცეცხლისმფრქვეველი მთა (ამირანის სიმბოლო) და აჯილდა გვევლინებიან, ხოლო რაც შეეხება ქრისტეს კვართს, როგორც საქართველოს მიწა-ნყლის აღმნიშვნელ სიმბოლოს, ის მხოლოდ ბაგრატიონთა საგვარეულო გერბში დარჩა“ (წიგნი, გვ. 59).

ნათქვამთან დაკავშირებით „სწორუპოვარი ჰერალდიკოსი“ ცინიკურად შენიშნავს: „მეტად მეეჭვება, პატივცემულო მყითხველო, სადმე სხვაგან ასეთ მოკლე ამონანერში ამდენი შეცდომა აღმოაჩინოთ და ამიტომ, რომ არ აგერიოთ რაიმე, ყველას დავნომრავ“. ასედაც მოიქცა და თავისი უმეცრებით ყოველი დანომრილი შენიშვნა მიუტევებელი შეცდომებით გადატენა. მივყვეთ მის მიერ დანომრილ განმარტებებს: პირველ ნომრად გამოყოფილ პუნქტში აცხადებს, რომ „გერბი სიმბოლო არ არის, არც ყოფილა და არც იქნება მანამ, სანამ ყველა გაბესკირიას ჭკუაზე არ მოიქცევა“.

ამ უტიფარი კატეგორიულობის პასუხად იქმარებდა თ. ასათიანის დამოწმება: „ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გაღდანულებილი თანამედროვე ეროვნული სიმბოლოების - სახელმწიფო გერბისა და დროშის საკითხი (თ. ასათიანი, ავტორეცერატი, გვ. 3). თ. ასათიანის დებულებამ აპრობაცია გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის

სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დამატებული სი სამეცნიერო საბჭოს წევრთაგან არავის არ გაუხდია სადა-ოდ. მაგრამ, როგორც ჩანს, სამეცნიერო საბჭოს წევრები „მო-ტყუვდნენ”, რომ ნინასნარი კონსულტაცია არ მიიღეს მანია-კური თვითდაჯერებით შეპყრობილი რეცენზიენტისაგან. მეი-თხველი ალბათ დამერნმუნება, რომ ისტორიისა და ეთნოლო-გიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭო, თ. ასათიანთან ერ-თად, სწორედ რომ გაბისკირიას ჭკუაზე მოიქცა და არა ჭკუ-ასთან მწყრალად მყოფი მ. აფრიდონიძის „ნაფიქრალზე”.

მეორე ნორმად ფორმულირებულია შემდეგი „ნასიბ-რძნი”: „ნმ. გიორგი არ არის თეთრი გიორგი. ნმ. გიორგი ქრის-ტიანული წმინდანია, ხოლო თეთრი გიორგი წარმართული ღვთაება. და ის, რომ ვიღაცამ, რომელიღაც ჩამორჩენილ რე-გიონში ისინი გაიგივა, ეს ნამდვილად არ არის ქრისტიანული ეკლესიის ბრალი. სხვათა შორის, ასეთივე „გაიგივება” მოხდა მეზობელ სომხეთში, სადაც წარმართული ღვთაება, „კარაპე-ტი” ნმ. იოანე ნათლისმცემელთან გაიგივდა. ესე, რომ, თუ ნმ. გიორგი თეთრი გიორგია საქართველოში, მაშინ ნმ. იოანე ნათლისმცემელი კარაპეტი ყოფილა სომხეთში. პირადად მე, სანამ ვინმე არ მომიტანს იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ ნმ. გიორგი მთვარის ღვთაება იყო, ხოლო თეთრი გიორგი რომაელი ლეგიონერი, მანამ წება მომეცით მათი გამაიგივე-ბელი არა მარტო ურჯულოდ და ქრისტიანობისაგან განდგო-მილად, არამედ ავადმყოფური გონების ადამიანად ჩავთვა-ლო. თუმცა, თუ ასეთ ადამიანს მხოლოდ იმის სურვილი ამოძ-რავებს, რომ თეთრი გიორგი წარმართულ უმეცრებაში არ და-ტოვოს და რომელიმე ქრისტიანად მოაქციოს, მივესალმებით მის მარტვილობასა და ღვთიურ სათნოებას; თხოვნაც გვაქვს: კარაპეტიც არ დაივინყოს”.

დამოწმებული ნაცოდვილარის შეფასებამდე, ბატონ მა-ლხაზს პირობას ვაძლევთ, რომ მის მშობლიურ ღვთაება კარა-პეტს არ დავივინყებთ. რაც შეეხება მის ამდენ უთავბოლო ჯა-



ხირს, ეს განაპირობა უმეცრებამ, როდესაც თეთრი გილეადი წარმართულ ღვთაებად გამოაცხადა. მან ვერ გაიგო ივ. ჯავახიშვილის განმარტება, რომ „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, 1979 წ., გვ. 90). დიდ-მა მეცნიერმა დაასაბუთა, რომ წარმართული ღვთაება მთვარის ადგილი ქრისტიანულმა ღვთაებამ წმინდა გიორგიმ დაიკავა. ეს რომ სცოდნოდა ამბიციებით შეპყრობილ „ისტორიკოსს“, აღარ გაირჩებოდა იმისათვის, რომ წმინდა გიორგი „წარმართული უმეცრებიდან“ ეხსნა და, ცხადია, არც კარაჟეტს გაიხსენებდა. საინტერესოა, ამ შემთხვევაში ვინ უნდა იგულისხმებოდეს „ავადმყოფური გონიერის ადამიანად“, ვიღაც ტყუილად ბრალდებული „ურჯულო და ქრისტიანობისა-გან განდგომილი“, თუ ხელმოცარული „ისტორიკოსი“?

ერთ-ერთი განმატრებით, „გერბში დაფიქსირებული წმ. გიორგი არ ნიშნავს იმას, რომ წმ. გიორგი გერბი გახლდათ“.

ამ უპასუხისმგებლო განცხადების გასაქარწყლებლად კვლავ შეიძლება დავიმოწმოთ სპეციალისტის შეხედულება: „რუსეთის რევოლუციამ ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ერთბაშად მოშალა უძველესი პერალდიკური ტრადიცია, რის გამოც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბად უძველესი ემბლემის ნაცვლად წმ. გოიორგის სტილიზებული „თეთრ გიორგად“ წოდებული შუბოსანი მხედრის გამოსახულება მივიღეთ“... საბჭოურ პერიოდში სხვა სახის ემბლემა შემოიღეს, ხოლო „XX საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ კვლავ „თეთრი გიორგი“ დადგინდა“ (თ. ასათიანი, ავტორეფერატი, გვ. 11).

ჩემი აზრით, მ. აფრიდონიძეს არ აწყენდა, რომ ჰერალდიკის ანბანის შესწავლისათვის მოწაფედ მიჰბარებოდა თ. ასათიანს.

„კრიტიკოსის“ აზრით, „ცეცხლისმფრქვეველი მთა“ საქართველოს ბოლო არ არის, იგი ემბლემაა... ცეცხლისმფრქვეველი მთა ამირანის სიმბოლო არასოდეს ყოფილა... უფრო მეტიც, კლდიაშვილ-გაბესკირიასეული „ცეცხლისმფრქვეველი მთა“ საქართველოს ეროვნული გერბის ფარში საერთოდ არ არსებობს და იგი მეტად ცხოველი ფანტაზიის ნაყოფია“.

ამასთან დაკავშირებით უპრიანია კვლავ პროფესიონალის შემდეგი განმარტება დავიმოწმოთ: „საქართველოს კლასიკური სამხარეო, ქართლისა და კახეთის გერბებიც, სახელმწიფო გერბთან ერთად პირველად რუსეთის მეფის ალექსი მიხაილოვიჩის „ტიტულიარნიკში“ გვხვდება. ქართლის სამეფოს გერბი, რომელსაც დართული აქვს რუსულენოვანი წარწერა - „государ иверские земли“, შემდეგნაირად გამოიყურება: სტილიზებულ ოვალურ ფარში - ორი ისრით ირიბად გამსჭვალული ცეცხლისმფრქვეველი მთა. კომპოზიცია სავარაუდოდ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანის, პრომეთეს შესახებ ლეგენდას უნდა ასახავდეს“... (თ. ასათიანი, ავტორეფერატი, გვ. 11).

ნათქვამიდან გარკვევით ჩანს, რომ ცეცხლისმფრქვევილი მთა ნამდვილად სიმბოლოა იმიტომ, რომ ის გერბის ოვალურ ფარში ზის, მისი შემადგენელი კომპონენტია, ხოლო გერბი თავისთავად სიბოლოა და არა ემბლემა. ამდენად, ამ შემთხვევაში უაზროდ გადმოსროლილ ფრაზებს მეცნიერულ კვალიფიკაციასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

აღნიშნული რეალობის მიუხედავად, მ. აფრიდონიძე კვლავ ჯიუტად იმეორებს: „რაოდენ სამნექაროდაც არ უნდა გვევჩვენოს, ბატონო გიორგი, ქართული ჰერალდიკის „სამკუთხოვანი დოკუმენტური ისტორია ზღაპარია“. თურმე ნუ იტყვით, საქართველოს გერბი „შექმნილია მხოლოდ საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ და შეიქმნა, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის აღმნიშვნელი ნი-

შანი. ხოლო პირველი ქართული გერბი კი შეიქმნა 1918 წელს მაისს".

რეცენზიად ნოდებული უხამსი მიდებ-მოდება მთავრ-დება მკითხველისადმი მიმართვით: „ნინასნარ გულდათუთ-ქული ვიზიარებ თქვენს მნუხარებას ქართული ისტორიოგრა-ფიის დამხმარე ისტრიული დისციპლინების - ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ტრაგიკულად დაღუპვისა და დასამარების გამო. თვალზე ცრემლშეუშრობელი ვსტირით თქვენთან ერთად".

ესოდენ უსუსურად ფორმულირებული ამ სტრიქონების ავტორი მკითხველის წინაშე ვალდებულია აღიაროს, რომ ზე-მოაღნიშნულ დარგებს თვითონ ასამარებს უზომ-უძირო უმე-ცრებით. ჩემმა წიგნმა კი უდიდესი პოპულარობა მოიპოვა და ეს აღიარა არაერთმა კომპეტენტურმა ოპონენტმა. „სწორუ-პოვარ ჰერალდიკოსს" ისიც უნდა შევახსენო, რომ ჩემი წი-გნის რედაქტორი იყო ვახტანგ ითონიშვილი - საქვეყნოდ ცნობილი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, მრავალი პირველხა-რისხოვანი გამოკვლევის ავტორი. მისმა თანაკურსელმა რე-ცენზენტმა კი არც ვახტანგ ითონიშვილი დაინდო.

ბოლოს ჩემი რჩევა იქნებოდა, რომ მ. აფრიდონიძემ, რო-მელსაც ჰერალდიკაში ფასეული არაფერი გაუკეთებია, ჩემი წიგნის გამოქვეყნებით ამ დარგის ტრაგიკულად დაღუპვის კი ნუ დასტირის, არამედ იტიროს თავის უმეცრებასა და უსუსუ-რობაზე, ხოლო თავისი საკუთარი უმნეობის გამოტირებისას არც მშობლიური კარაპეტი დაივინყოს.

ვალერიან ითონიშვილი	
რედაქტორის ინფორმაცია.....	3
გიორგი გოცირიძე	
ვახტანგ ითონიშვილის გახსენება.....	7
ხათუნა იოსელიანი	
ვახტანგ ითონიშვილის ახალი წიგნები.....	13
ვახტანგ ითონიშვილი	
ლეონტი მროველის ცნობები საქართველოს მთიანეთისა და მისი გადასასვლელების შესახებ.....	17
ვახტანგ ითონიშვილი	
ჯვრის უდელტეხილის სახელწოდების ნარმომავლობის შესახებ.....	53
ვახტანგ ითონიშვილი	
შავი ზღვის აუზის ეთნიკური გეოგრაფიიდან (წინასწარი მონახაზი)	78
ვალერიან ითონიშვილი	
ტერიტორიული თემი საქართველოში.....	84
დავით პავლიაშვილი	
კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების თავისებურებანი ტანა-ატენის ხეობაში.....	115

ლევან ფრუიძე მოსაზრებანი აკად. გ. ჩიტაიას სახელობის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის სახელმწიფო ლია ცის ქვეშ მუზეუმის რეანიმაციისა და ფუნქციონირებისათვის.....	132
ოლეგ მელაძე ვაინახების გადმოსახლება საქართველოს მთიანეთში ანტიკურ ხანაში.....	149
ოლეგ მელაძე ქართულ-ვაინახური სარწმუნოებრივი და კულტურული ურთიერთობანი შუა საუკუნეებში.....	185
ნათელა კაპანაძე ბავშვის აღზრდის ტრადიციები საქართველოში	230
გულნარა ცეცხლაძე საოჯახო ეტიკეტი იმერეთის მოსახლეობაში.....	273
გიორგი ლუდუშაური მინის დაპატრონების გავრცელებული წესები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (XVIII-XIX სს.)	291
გიორგი ლუდუშაური აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გზა-პილიკების საკითხისათვის.....	304

თამარ შარაპიძე	
ჯადოსნური ხალიჩა.....	315
თამარ შარაპიძე	
ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობა საქართველოში.....	325
ხათუნა იოსელიანი	
სამხედრო საქმის ისტორიიდან სვანეთში.....	341
ხათუნა იოსელიანი	
საბრძოლო-თავდაცვითი იარაღის ამსახველი ტერმინები სვანურ ენაში.....	350
მარიამ ილურიძე	
ხელოუქმნელი ხატი და მასთან დაკავშირებული დღესასწაული საქართველოში.....	359
ნანული აზიკური	
ნაბადი ქართველთა ტრადიციულ ყოფაში.....	376
ნანული აზიკური	
საქმით სტუმრობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.....	382
ნანა ომარაშვილი	
რეისლამიზაციის პროცესები დაღესტანში.....	387
მედეა გოგოლაძე	
ქართლის სოციალური სტრუქტურა „მოქცევაზ ქართლისას“ მიხედვით ძვ. ნ. IV ს-ის ბოლოდან ახ. ნ. IV ს-ის II ნახევრამდე.....	398

ქეთევან სიხარულიძე ქართული ხალხური კოსმეტიკის ტრადიციები საქართველოში (ფერ-უმარილი)	409
ირმა კვაშილავა წარმართული წეს-ჩვეულებები სამურზაყანოში.....	414
დავით ჭითანავა ყულიშვილის ეტიმოლოგიისათვის.....	431
მზია წიკლაური გზა-გადასასვლელები არხოტის თემიდან.....	445
ია გვარმიანი სოციალური ვალდებულებანი XIV-XIX სს-ის სფანეტში.....	456
ნინო მიქელაძე ღმანისის წუმიზმატიკური მონაცემები.....	467
მანანა ქევანაშვილი მესაქონლეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები რაჭაში.....	494
გიორგი გაბესკირია დაბოლმილი კაცის ნაცოდვილარი.....	504

2002-353

